აკაკი გელოვანი

რწმენა, ღმერთები, ადამიანები

რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა
თბილისი – 1990

86.3
რ999

„რწმენა, ღმერთები, ადამიანები" რელიგიურ სიტყვა-ცნებათა პირველი რამდენადმე ვრცელი ლექსიკონია ქართულ ენაზე.

ქართულად რომ დღემდე არ გამოცემულა ამ ხასიათის ლექსიკონი, ეს გაუგებარ ხარვეზად მიგვაჩნია და მისი ნაწილობრივ ამოვსების მიზანს ისახავს ეს პირველი ცდაც, რომელიც რუსული ათეისტური ლექსიკონების თარგმანსაც წარმოადგენს და საკუთარ ეროვნულ ასპექტში მოვლენებთან მისვლის ცდასაც, — არამარტო ტერმინოლოგიის გაძლიერებით, არამედ ეროვნული სულისკვეთებითა და ქართულ ენობრივ თუ ზოგადად კულტურის ისტორიის მონაცემებზე ყურადღების გამახვილებითაც. მისი მიზანია ტერმინების განმარტება და არა შიშველი „აგიტირება", ელემენტარულ ცნობარში სუსხიანი ჩარევა, ვინმეს განქიქება და ციტატების კორიანტელის დაყენება. ვფიქრობთ, ასეთი უნდა იყოს საერთოდ ლექსიკონის სტილი. აქ უხვადაა ქართული სიტყვა-ცნებები, აუცილებელი ცნობები გამოჩენილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებზე (გრ. ხანძთელი, იოანე-ზოსიმე, ექვთიმე ათონელი, გაბრიელ ქიქოძე, ანტონ კათალიკოსი, ილია II და სხვ.).

ეროვნულ-სარწმუნოებრივი წიგნების გამოცემა მით უფრო საჭიროა ახლა, როცა საბოლოოდ აღსრულდა ერის ათასხუთასწლოვანი ოცნება — დამტკიცდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია (1990 წ. მარტში).

როგორც ითქვა, ლექსიკონის მიზანია არა ვინმეს სარწმუნოებრივი თუ მოქალაქეობრივი ღირსების შეურაცხყოფა და განაწყენება, არამედ ცოდნით გამდიდრება. ყოველგვარი ტენდენციურობის, ცალმხრივობის ნაცვლად წინ წამოწეულია სწორი ინფორმაცია, ფაქტები, ისტორიული ასპექტი.

ცხადია, ასეთ რთულ ნაშრომში გაიპარებოდა ცალკეული უზუსტობანი. შემდგენელიცა და გამომცემლობაც მადლობით მიიღებს ყოველ საქმიან შენიშვნასა და წინადადებას.

© საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1990

70202 — 09
8 ——————— 1 — 4 — 90
М — 606(02) —90

წიგნი საწამებელი

> სცნას ყოველმან მოძღვრებაი ესე, ვითარ რაი არს, ღმერთისაგან არს, ანუ მე თავით თვისით ვიტყვი.
>
> **იოანე 7,17**

ყოველ ავტორსა თუ რიგით მკითხველს ყოველდღიურ ცხოვრებაში უხვად ხვდება რელიგიური ცნებები, ტერმინები, სახელები, რომელთა მნიშვნელობა შეიძლება ზერელედ ან სულაც არ იცოდეს. ზოგად ლექსიკონებში მათი უმეტესობა მოკლედაა განმარტებული ან სულაც არაა. სად ეძიოთ ახსნა?

სხვა დიდ ენებსე მრავალი დარგობრივი ლექსიკონი არსებობს, ჩვენში კი, სადაც ქრისტიანობას ათასექვსასწლოვანი ისტორია აქვს, ასეთი ლექსიკონი არ შექმნილა. შეგვიძლია დამხმარე ცნობარებიდან დავასახელოთ დიდი თუ მცირე ნაშრომები, რომელნიც სხვადასხვა დროსა და გარემოებაში გამოცემულა ქართულ ენაზე: ო. გაბიძაშვილის, თ. ფანჯიკიძის, გ. სახაროვის, დ. გეგეშიძის, ზ. კიკნაძის და სხვათა ცნობილი წიგნები; მითოლოგიური ლექსიკონი; „მცირე ათეისტური ლექსიკონი", „ბიბლიის მცირე ლექსიკონი", „ბიბლიის საანდაზო საგანძური", „სახარების საანდაზო საგანძური" (ლ. ტაქსილის სამტომეულის დანართები); „პაპები და ანტიპაპები" („ ბალთაზარ კოსას" დამატება); „ათეიზმის ისტორია" და სხვ.

მაგრამ საკუთრივ რელიგიურ ტერმინთა რამდენადმე სრული ლექსიკონი მაინც არა გვაქვს. ამიტომ როცა „პარტიული სიტყვის" რედაქციამ ასეთი ლექსიკონის შედგენა მთხოვა, მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, შევეცადე ამ საკმაოდ რთულ საქმეში მცირე წვლილის შეტანა (ხსენებული ჟურნალში ეს ლექსიკონი გაგრძელებით იბეჭდებოდა 1984 წლიდან დღემდე).

ესაა ნაწილობრივ რუსული დიდი და მოკლე ლექსიკონე-

ბის სტატიების თარგმანი, ოღონდ ქართული რედაქციით, ხოგი რამის შემცირებით და ასობით ახალი ტერმინის შეტანით, ქართული სულისკვეთებით (მაგ. განმარტებულია სიტყვა-ცნებები ნინოობა, თელეთობა, ქადაგი, ჯვარი ვაზისა, ბსობა, ხატობა, განცხდაბი, ხეკისბერი, შუამთობა, ილიაობა, საფარობა და სხვ.). ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა მხოლოდ გააძდიდრებს ქართულ ლექსიკონს.

„აწ კვლავ უფლებამოსილი ღმერთი" ჩვენთანაა და მისი ენაც უნდა ვიცოდეთ. ესაა ენა, რომელზედაც მეტყველებს ადამის მოდგმა მას შემდეგ, რაც გამოქვაბულიდან გამოვიდა.

* * *

საჯაროობისა და აზროვნების ახალი სტილის სასიკეთო ნაყოფი ისიცაა, რომ რამდენადმე კი არა, არსებითად შეიცვალა დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენების მიმართ, ადამიანები გახდნენ უფრო შემწყნარებელი, ჰუმანური, გულახდილი და რეალისტურად, რაციონალურად მოაზროვნენი.

ქართულ ტაძრებში კვლავ გაისმა ძალმომრეობით დახშული წირვა და საგალობელი. აგუგუნდა გაუბსარავი, მაგრამ მდუმარე ზარები.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა საკითხს მარტივად, ხშირად ტლანქი სახით იხილავდნენ, ანგრევდნენ ტაძრებს, ეკლესიებს, ხელყოფდნენ კულტურის ფასდაუდებელ ძეგლებს, ანტირელიგიური აჟიოტაჟით მოცულნი იჭრებოდნენ სამლოცველოებში, ბორგნეულებივით შეურაცხყოფდნენ მორწმუნეთა თავმოყვარეობას, ეწეოდნენ პროპაგანდას მშრალი, ცივი, მბრძანებლური, ბერზერკერული მეთოდით, განშარტავდნენ რელიგიას, როგორც ხალხის ოპიუმს და მეტი არაფერი. ასეთ შემთხვევაშიც კი საჭიროა განმარტება, რატომ არის ის ოპიუმი, რომელი პირი, მხარე და ეპოქაა უარყოფითი, რით ჯობდა წარმართულ კერპთაყვანისმცემლობას ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც ქადაგებდა „არა კაც კლა", „არა იმრუშო", „არა იქურდო", „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა"... აქ საჭიროა ცოდნა, დარწმუნება, და არა რეჟიმი.

რელიგიის ისტორია კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი, სისხლხორცეული ნაწილია მთელი მისი შეგნებული თუ შეუცნობელი ცხოვრების მანძილზე.

თავის უფლებებში აღდგა ის, რისი უარყოფაც შეუძლებელია და არცაა საჭირო. დროის მოთხოვნაა, რომ სკოლებში ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია. თუ ისწავლება სამხედრო ხელოვნების ისტორია, ცივილიზაციის ისტორია, ზნეობის, ესთეტიკის ისტორია, რა გამონაკლისია რელიგია? ის არსებობს. რა საჭიროა მიჩქმალვა, უგულვებელყოფა, ლანძღვა და აგდება-დამცირება? ესაა ცოდნა.

რომის პაპის იოანე პავლე მეორის ერთ-ერთ მიმართვაში ნათქვამია: „თვით წინააღმდეგობამ რელიგიასა და ათეიზმს შორის, რაც ჩვენი დროის ნიშნად იქცა, შეინარჩუნა კეთილშობილური და ღირსეული ადამიანური ნიშნები, არ არღვევს დედამიწაზე მცხოვრები არც ერთი ადამიანის სინდისის უფლებებს“.

განუზომელია რელიგიის როლი კაცთა მოდგმის ისტორიაში. ეს როლი მხოლოდ უარყოფითი როდია. განა იუდეველთა სარწმუნოების ნაყოფი არაა „ბიბლია“, ადამიანის გენიის უნიკალური შედეგი? განა ბუდისტური, ინდური, ქრისტიანული რელიგიების კარნახით და მფარველობით არ შეიქმნა მარად ცოცხალი ხელოვნების უთვალავი ხელთუქმნელი ძეგლი, ეპოსი, ოპერა, კანტატა, სიმღერა? განა საეკლესიო მოღვაწეები არ იყვნენ ეკლესიის მამები, ავგუსტინე, იოანე ოქროპირი, პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, ათონელები, იოანე-ზოსიმე, გაბრიელ ქიქოძე? ეკლესიასთანაა დაკავშირებული ჯორდანო ბრუნოს, კამპანელას, სერვეტის, სავონაროლას, ლუთერის, იან ჰუსის, მრავალი დიდი მხატვრის, პოეტის, ძოაზროვნის შემოქმედებითი ცხოვრება. არსებითად რელიგიას, რწმენას, ქრისტიანობას ემსახურებოდნენ აღორძინების ტიტანები, ბიბლია და სახარება იყო ის წიგნები, რომელთა ილუსტრაციებად გვესახება ხელოვნების ათასობით ძეგლი, ქვეყნად რომ ჯუფთი არ მოიძებნება...

მთავარია არა ის, რას ქადაგებს ესა თუ ის მოძღვრება, არამედ ის, თუ რას აკეთებს, რას აძლევს ხალხს. ამ თვალსაზრისით მრავალი სცოდავდა და სცოდავს, მრავალი აღთქმული

ედემი აღმოჩნდა უარყოფილი და ავად მოსაგონებელი. საამისო მაგალითებს იძლევა ქვეყნების, ხალხების, იმპერიების მთელი ისტორია და გამონაკლისი არც რელიგიის ისტორიაა, მასაც აქვს თავისი შუქი და ჩრდილი, პეტრეს ტაძარი და ბართლომეს ღამე.

* * *

გვახსოვს ის დრო, როცა პოლიტიკურ დოგმებზე აღზრდილი მედროვენი მავნე წიგნად თვლიდნენ ბიბლიას.

საქმე მხოლოდ ბიბლიას და მის ვულგარულ კრიტიკას როდი ეხება. თუ როგორ ექცეოდნენ ახლო წარსულში ჩვენს ძეგლებს, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 1924 წ. კახიან-ღოღობერიძის პოლიტიკურმა მაფიამ და სხვა „აქტივისტებმა" საქართველოში „გლეხების ნებით" მიწასთან გაასწორეს 1500 ეკლესია, ვინმე ლომინაძე კი „კომუნისტში" ამ ბარბაროსობას ამართლებდა. დღეს საქართველოში 270 მოქმედი ეკლესიაა და მათი რიცხვი მატულობს.

რა სიკეთეც მოუტანა ხალხს ასეთმა „პოლიტიკამ", დრომ გვიჩვენა. რევოლუციის ქარიშხალმა ჩამოიქროლა, მისმა ცრუ მოციქულებმა ასწიეს დროშა, დაიკიდეს მაუზერები, აპოკალიფსის მხედრებივით ჩაიქროლეს, თან წარიტაცეს რწმენა, რომლის სახელითაც ეუმკლავდებოდით მოძალებულ მტერს, დააქციეს კულტურის ძეგლები, და გაიძახოდნენ: „ჩვენ ავაშენებთ ახალ სამყაროს!" ააშენეს კი ბაბილონის გოდოლი, ძველი ზნეობა დაიკარგა, ახალი ვერ შექმნეს და დაბნეულები დაეხეტებოდნენ აღთქმული ქვეყნის ძებნაში, როგორც მოსეს ხალხი — უდაბნოებში.

ხალხი და მისი მესიტყვეები არ კარგავენ მონაპოვარს, გულში აქვთ შენახული სატაძრო ქვები. დიდმა ილია მართალმა ერს დროშაზე დევიზად წაუწერა: „ენა, მამული, სარწმუნოება". სამივე ჩვენთანაა.

ქრისტიანობა მაღალ ზნეობას ქადაგებს. კლასიკური მწერლობაც მუდამ აკავშირებდა რწმენას და სიბრძნეს: „თუცა სიწმინდე არა გაქვს, ბრძენი ვერ შეიქმნებია", — წერს ვახტანგ VI.

საქართველო ნინომ განანათლა; საქართველოში იქადაგა

ანდრია მოციქულმა; საქართველოა ღვთისმშობლის წილხვედრი; საქართველოს მფარველია წმინდა გიორგი; საქართველოში ინერგებოდა ქრისტესმიერი სიყვარული ერისა და სწორედ ეს არ დააფასა მრავალმა წარმართმა თუ ქრისტიანმა, ურჯულთა და მკვლელთა მფარველმა, — ჩანს, შურდათ და შურთ ამ ერისა, გამორჩეული განსაცდელის წინაშე რომ დააყენეს თვით სიმართლის მეუფების ჟამს, და ათასი წმინდა მოწამის რიცხვი ჩვენს დროშიც გაზარდეს; „თავისი ღმერთივით ჯვარცმული ერის" ერთგული შვილები, ქალწულები, გოლგოთაზე ისე ავიდნენ, რომ პითონივით ჭრელი და გულცივი მკვლელების წინაშე სიძულვილიც კი არ გამოუხატავთ, საკრალური ცეკვითა და გალობით შეეგებნენ ჯალათი გენერლის დამსჯელ ჯარს, — რაც სათნოებისა და სისასტიკის შეხვედრის კლასიკური მაგალითია, — მაგრამ არ მოუხარეს ქედი მას, ვინც „პირსა სცემდა", ვინც ისინი „შეჭამნა". ბაბილონის მეძავი კი ქრისტესმიერი სათნოებით გამორჩეულ ერზე სისინებდა: „ყველანი უნდა დაეხოცეთ!"

ვერვის ხელეწიფების ერის დახოცვად! ამაზე მეტყველებს მისი კულტურა, სიკეთე, შეუდრეკელი სული, რწმენა და თუნდაც საუკუნეობით შემუშავებული რელიგიური ტერმინოლოგია, რომლის ნაწილიც ამ ლექსიკონშია განმარტებული.

აკაკი გელოვანი

ა

აბატი (სირიულ-არამეული აბბა, აბო—მამა) — მონასტრის წინამძღვარი დას. ევროპის ქვეყნებში V ს-დან, განაგებდა საბატოს (ნ.); უფროსი ღვთისმსახური ზოგადად (კათოლიკურ ეკლესიაში).

აგრარული (სამიწათმოქმედო) კულტები — რელიგიური, მაგიური, ჯადოქრული რწმენებისა და ზნე-ჩვეულებათა ერთობლიობა ძველ მიწათმოქმედ ხალხთა ცხოვრებაში. მათი მიზანი იყო ჯადოქრობის ძალით ბუნების სტიქიებზე რაღაც ზებუნებრივი ძალით ისეთი ზემოქმედების მოხდენა, რომლის შემწეობითაც მოსავლიანობას გაზრდიდნენ. ასეთი ვითომ მაგიური მოქმედება მიმართული იყო რეალური საფრთხის წინააღმდეგ, რაც მოსავალს ან შინაურ ცხოველებს ემუქრებოდა (გვალვა, სეტყვა, კალია, საქონლის ჭირი, წყალდიდობა და ა. შ.). ისტორიულად შესაძლებელია ამ კულტებში მატრიარქალური და პატრიარქალური კომპლექსების გამორჩევა. უძველესი კომპლექსია მატრიარქალური, ადრეული ეპოქისა, როდესაც მიწას თოხით ამუშავებდნენ. აგრ. კულტების ამ უძველესი პერიოდისათვის დამახასიათებელია ქალ-ღვთაებათა შემადგენლობა, როცა არ იყო ქურუმობა, ქურუმთა წოდება. მატრიარქალური აგრ. კულტების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ჩრდილოეთ ამერიკელ ინდიელთა — ირიკეზების რელიგია, სადაც თაყვანსა სცემდნენ ძიძასულებს: სიმინდის სულს, ცერცვის სულსა თუ კვახის სულს, რომელიც მათ თითქოს კვებავდა, როგორც სული. დედისეული საგვარეულო წყობის რღვევასა და პატრიარქალური (მამრობითი) წყობის დამკვიდრებას მოსყვა მამრობითი ღვთაებების გამოჩენა, რომელთაც ქალ-ღვთაებათა ადგილი დაიკავეს. პატრიარქალური აგრ. კულტის ნიმუშად გამოდგება ძველ სლავთა რელიგია და მისი პანთეონი: ველესი, იარბლო, დაჟდ-ბოგი, პერუნი და სხვანი. პატრიარქალური აგრ. კულტი საერთოდ არ გვხვდება სუფთა სახით. მასში ყოველთვის შესამჩნევია მატრიარქალური აგრ. კულტის გადმონაშთები.

ადათი (არაბ. — ჩვეულება) — ჩვეულებრივი, შარიათისაგან განსხვავებული დაუწერელი კანონ-სამართალი იმ ხალხებში, რომელთაც ისლამი სწამთ. ა-ის მრავალი ნორმა (სისხლის აღება, ძმადნაფიცობა, ქალის მოტაცება და სხვ.) ჩამოყალიბდა გვაროვნულ-ტომობრივ ურთიერთობათა პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ა-ში უდავოა ზოგიერთი მარტივი ზნეობრივი ნორმების არსებობა (მოხუცების პატივისცემა, სუსტთა შველა თუ მფარველობა, სიტყვის პატრონობა და სხვ.), ის მაინც რეაქციულ როლს თამაშობს, რადგან იცავს დრომოჭმულ პატრიარქალურ-გვაროვნულ და ფეოდალურ-ბაიერ ურთიერთობას, უარყოფით ზეგავლენას ახდენს საქორწინო-ოჯახურ ურთიერთობათა სამოქალაქო სამართალთან შესაბამის რეგულირებაზე, პირადი ქონების მემკვიდრეობის კანონიერ წესზე, ხელს უშლის სოციალისტურ საერთო საცხოვრებელთა კანონ-წესების განხორციელებას. სსრ კავშირში ადათმაც და შარიათმაც დაკარგეს სამართლებრივი ძალა.

ადგილობრივი ქრება — სამღვდელოების (უფრო ხშირად ეპისკოპოსთა), დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) ეკლესიის ან მისი ცალკეული ნაწილის

(მაგ., სამიტროპოლიტო ეპარქიის) ყრილობა, რომელსაც პერიოდულად იწვევენ სარწმუნოების, საეკლესიო წყობის და სხვ. საკითხების გადასაწყვეტად. ზოგიერთ ეკლესიაში, მაგ. რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ად. კ-ს საკანონმდებლო უფლებებიც აქვს, უმაღლესი საეკლესიო ორგანოც არის, რომელშიაც მონაწილეობის უფლება ეძლევა არა მარტო ეპისკოპატს, არამედ დაბალი სამღვდელოების წარმომადგენლობასაც და საეროსაც. ად. კ-ს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ქრისტიანობის ჩამოყალიბების ჟამს, II-III-ს-ებში. ასე, II ს-ის 70-იან წლებში კრება მოიწვიეს მონტანიზმის ერესის განსასჯელად, ხოლო 90-იან წლებში იერუსალიმში, რომსა და გალია'ში მოწვეულ კრებებზე განიხილეს ‘აღდგომის დღესასწაულის დროის დაწესების საკითხი. III ს-ში ცნობილია ალექსანდრიის ორი ა. კ. ეპისკოპოსებისა, ორიგენის ერესებთან დაკავშირებით, ანტიოქიის რამდენიმე ად. კრ. პავლე სამოსატელის ერესებზე და სხვ., ხოლო IV ს-ში ად. კ-ბთან ერთად დაიწყეს მსოფლიო საეკლესიო კრებების მოწვევა. ამას სულაც არ შეუშლია ხელი, რომ კელავინდებურად მოეწვიათ ად. კ-ები, რადგან ეს მიაჩნიათ ერესებთან ბრძოლისა და შინაგანი დისციპლინის განმტკიცების ეფექტურ საშუალებად. ე. წ. სამოციქულო წესდება ეპისკოპოსებს ავალებდა წელიწადში ორჯერ მოეწვიათ ად კ. სარწმუნოებისა და წყობის საკითხების განსახილავად. შემდგომ კი ად. კ-ებმა თავიანთი მნიშვნელობა საეკლესიო ცხოვრებაში შეინარჩუნეს უპირატესად აღმოსავლეთის (მართლმადიდებელ) ავტოკეფალიებში, კერძოდ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. მატიანე გვაუწყებს ეპისკოპოსთა კრებებზე, რომელნიც მოუწვეიათ 1051 და 1147 წლებში. ყველაზე უფრო ინტენსიურ პერიოდად ამ მხრივ ითვლება XVI—XVII ს-ები. მარტო XVI ს-ში მოწვეული იყო 21 ად. კრ., არც მომდევნო საუუნეში მოუწვევიათ ნაკლები კრება. მონაწილეთა შემადგენლობისა და განხილული საკითხების მნიშვნელობის მიხედვით არჩევენ დიდ და მცირე ად. კ.-ს. 1721 წ. პეტრე I-მა გააუქმა საპატრიარქო და შეცვალა სახელმწიფო სინოდით. სინოდალურ პერიოდში ად. კრ. აღარ მოუწვევიათ. ად. კ.-ების მოწვევა და მოქმედება განახლდა მეფის დამხობის შემდეგ. ად. კ-მ 1917—1918 წლებში აღადგინა საპატრიარქო და პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი ტიხონი (ბელავინი), მტკიცე, შეუპოვარი მღვდელმთავარი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული რეაქციული მართლმადიდებელი სამღვდელოების მძიმე საქმიანობა (ნ. ტიხონოვშჩინა). 1942 წ. ულიანოვსკში მოწვეულმა ად. კ-მ ხარისხი წაართვა ეპისკოპოს პოლიკარპეს (სიკორსკის), რომელმაც თვითნებურად გამოაცხადა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია და კავშირი შეკრა გერმანელ ოკუპანტებთან. 1943 წ. მოსკოვში მოიწვიეს ად.კ., რომელმაც პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი) და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხარისხი ჩამოერთვათ სასულიერეროებს და შეჩვენებულ იქნან საერონი, რომელნიც გადავიდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა მხარეზე. 1945 წ. მოწვეული ად. კ. იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ყრილობათაგანი. პატრიარქად აირჩიეს მიტროპოლიტი ალექსი (სიმანსკი) და მიღებულ იქნა „რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დებულება“. 1971 წ. ად. კ.-მ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატ-

რიარქად აირჩია მიტროპოლიტი პიმენი (იზვეკოვი). გარდა ამისა, ცნო ეკუმენური (გამაერთიანებელი) და ძმეიდობისმყოფლობის სასარგებლო მოღვაწეობა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა, აგრეთვე სხვადასხვა განხეთქილებათა აღკვეთისათვის წარმოებული გაძლიერებული მუშაობა (გაუქმდა ფიცი ძველ ადათ-წესებზე).

ადვენტისტები (ლათ. ადვენტუს — მოსვლა, გამოცხადება) — პროტესტანტიზმის წიაღში შექმნილი ქრისტიანული მიმდინარეობის მიმდევრები. ეს მიმდინარეობა ჩამოაყალიბა XIX ს-ის 30-იან წლებში ბაპტისტმა ვილიამ მილერმა (1782—1849) შეერთებულ შტატებში. ევოლუციის პერიოდში ადვენტიზმი გაიყო რამდენიმე შტოდ, რომელთაც თავიანთი დამოუკიდებელი ეკლესიები შექმნეს. ყველაზე დიდი ეკლესია იყო მეშვიდე დღის ა-ების ეკლესია. მათი რწმენის მთავარი პუნქტია. ქრისტეს „მეორედ მოსვლის" სიახლოვე, ცათა შინა ათასწლოვანი მეუფება, განკითხვის დღე (ნ. ხილიაზმი). კაცთა მოდგმის ისტორია განიხილება, როგორც ქრისტეს მარადიული ბრძოლა სატანასთან, რაც დასრულდება სატანისა და მისი მიმდევრების დაღუპვით. ა-ები აღიარებენ, რომ სული მოკვდავია და ის კვდება სხეულთან ერთად, მაგრამ აღდგება „მეორედ მოსვლის" დღეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა „პიროვნების მორალურ განახლებას", როგორც აუცილებელ პირობას ქრისტესთან შეხვედრისათვის. ქადაგებენ ე. წ. „სანიტარულ რეფორმას", რაც გულისხმობს ზოგიერთ საკვებზე უარის თქმას (ღორის ხორცი, ყავა და სხვ.). მორწმუნეებისაგან მოითხოვენ მეათედის გადახდას და აქტიურ მისიონერულ მოღვაწეობას. მეშვიდე დღის ა-ები აღიარებენ თავიანთ წინასწარმეტყველს ელენე უაიტს, რომლის შრომებსაც ბიბლიის დონეზე ამაღლებენ. ა-ების 52-ე მსოფლიო კონფერენციის მონაცემებით მათი ეკლესიის მიმდევართა რიცხვია 2,5 მილიონი. მის განკარგულებაშია 494 უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი, 4299 დაწყებითი სკოლა, 386 სამედიცინო დაწესებულება, 50 გამომცემლობა და ა. შ.

ადვენტიზმი ცოდვილთა სრულ სიკვდილს ქადაგებს (მკვდრეთით ვერ აღდგებიან).

სსრკ-ში არის ა.-რეფორმისტების ცალკეული ჯგუფები, ანტისაზოგადოებრივი მოძრაობის უკიდურესად რეაქციული მიმდევრებისა, თუმცა ლოიალობა ჯერ კიდევ 1924 წ. გამოაცხადეს.

მკაცრად ითხოვენ მეოთხე მცნების დაცვას, შაბათის დასვენებას, ლოცვას.

აპატარა (ძვ. ინდ., სანსკრიტ. „ჩამოსვლა", გამოცხადება, ჩამობრძანება) — ღვთაების ჩამოსვლა დედამიწაზე, ღმერთის გამოცხადება მოკვდავი ადამიანის სახით ინდუისტურ მითოლოგიასა და რელიგიაში. ასეთი გარდასახვა ხდება მაშინ, როცა კეთილს ბოროტი ემუქრება, კაცობრიობა გადაგვარების გზაზე დგება, სათნოება საფრთხეშია ან მორწმუნეთა დაცვაა საჭირო (შეად. ბერძ. დევკალიონის მითი, ქრისტ. მეორედ მოსვლა, ჩრდ. მით-ის რაგნაროკი). ესაა ინკარნაცია, ტრანსფორმაცია, სულიერი და ხორციელი განსპეტაკების, სათნოების ხსნის (დხარმას) პროცესი, როცა ღმერთი ინარნუნებს ღმერთის ძალასა და თვისებებს, მაგრამ ხდება ადამიანი ან რაშე ცხოველის სახეს იღებს. ერთხელ ყოვლისშემქმნელმა ღმერთმა პრაჯაპატიმ ტა-

ხის სახე მიიღო და ოკეანიდან დედამიწა ააკირავა, ხოლო კუს სახით მოვლენილმა ცოცხალი არსებები გაანინა. ძირითადად კი ესაა ვიშნუს გარდასახვა, რადგან მთავარი ღვთაების ადგილიც მან დაიჭირა. მისი ათი ძირითადი ავატარა დახასიათებულია „მაჰაბჰარატაში", „რამაიანაში" და პურანებში.

ათი ავ. (დაშ-ავ.) — ესაა ათნაირად ხორცშესხმული ვიშნუ. მათგან უფრო გამოჩენილი პერსონიფიკაციებია რამა („რამაიანა") და კრიშნა („მაჰაბჰარატა"). ორივე „შავს" ნიშნავს, ორივე ინდური ლიტერატურის მნიშვნელოვანი პერსონაჟებია, რომელთაც მრავალი საგმირო საქმე აქვთ ჩადენილი. ამ გაგებით, როგორც გარდაქმნილი გმირი, მითების პერსონაჟის მნიშვნელობითაც იხსარება. „ავატარა — ესაა ვიშნუ რომელიმე ცხოველის ან ადამიანის სახით" (ძვ. აღ-ის ლექსიკონი, ლაიპც., 1978); „ავ. — ღმერთ ვიშნუს განსახიერება (ვოპლოშჩენიე) კრიშნას, რამას და სხვა გმირთა სახით" („საბჭ. ენციკლ. ლექსიკ.", ერთტომეული, მოსკ. 1983, 12); „ინკარნაციის სახით მოვლენილი კუს-სახე ვიშნუ" (კლაუს მილიუსი, ძვ. ინდ. ლიტ. ისტ., ლაიპც., 1983, 154); „ბუდიზმში ავ. საერთოდ ღვთაების განსახიერებაა" (ათეისტ. ლექსიკ., მოსკ., 1983, 5); იქვე: „ბუდა — ვიშნუს მეათე ავატარაა" (189); „სინტოიზმის თანახმად, ღმერთები ბუდიზმის სახეშეცვლილი ავატარები არიან" (იქ., 447). ამრიგად, ავ. გარდასახვის პროცესიცაა და გარდასახული არსებაც. ძირითადად — ვიშნუს სახეცვლა, როცა ღმერთი მოკვდავთა ან ცხოველთა სახით ცხადდება, რომ მოდგმა იხსნას.

ავგუსტინელთა ორდენი — მოგლეხაკე ბერთა ცნობილი ორდენი, რომელიც 1243 წ. დაარსდა და ცნობდა წესდებას, რაც თითქოს წმ. ავგუსტინეს ხელით იყო დაწერილი. იცავდა პაპთა ძალაუფლებას.

ავგუსტინიზმი — მიმდინარეობა ქრისტ. ფილოსოფიაში, განავითარებს წარმოდგენას რწმენაზე, როგორც ღმერთთან ადამიანის შინაგან კავშირზე, ირაციონალური (გონებისათვის მიუწვდომელი) გ'ნით ღმერთის შეეცნებაზე. მისი დამაარსებელია ღვთისმეტყველი ავგუსტინ ავრელიუსი (354—430) საუკუნეების განმავლობაში ეს იყო კათოლიკურ ეკლესიაში გაბატონებული მოძღვრება. XIII ს-დან პირველობას უთმობს თომიზმს (თომა აქვინელის მოძღვრებას). ამჟამად თუმცა აღარ არის კათოლიციზმის ოფიციალური ფილოსოფია, მაგრამ შესაძრნევია ესი ზეგავლენა კათოლიკურ წრეებში.

ავინიონის ტყვეობა — ნ. პაპთა ავინიონის ტყვეობა.

ავსული. — ნ. მაენე და კეთილი.

ავტოკეფალია (ბერძნ. ავტოს — თვითონ და კეფალე — თავი) — მართლმადიდებლობაში: ერთი ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობა მეორისაგან; პირველი ა-ური ეკლესიები წარმოიქმნა რომის იმპერიაში და მის მეზობელ ქვეყნებში. IV ს-ში შეიქმნა ოთხი ა-ური ეკლესია: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, მოგვიანებით ანტიოქიისას გამოეყო კვიპროსისა და ქართული ეკლესიები. ამჟამად არსებობს 15 ა-ური მართლმადიდებელი ეკლესია: ალბანეთის, ალექსანდრიის, ამერიკის, ანტიოქიის, ბულგარეთის, ქართული, იერუსალიმის, კვიპროსის, კონსტანტინოპოლის, პოლონეთის, რუმინეთის, რუსეთის, სერბიული, ჩეხოსლოვაკიური

და ელადის (ბერძნული) ეკლესიები. ქართ. ა-ი ეკლ. დიფტიქით მეცხრეა.

ათეიზმი (ბერძ. ა — უარყოფის ნაწილაკი, თეოს — ღმერთი. სიტყვასიტყვით: უღმერთობა, ურწმუნოება) — შეხედულებათა სისტემა, რომელიც უარყოფს რელიგიურ წარმოდგენებს (რწმენა ღმერთისა, სულის უკვდავება, საიქიო, მკვდრეთით აღდგომა და ა. შ.) და მთლიანად რელიგიას. როგორც შეხედულებათა სისტემა, ათ. ვერ ამოიწურება მარტოოდენ რელიგიის ისტორიულ, ფილოსოფიურ, საბუნებისმეტყველო-მეცნიერული კრიტიკით. ათ. ხსნის სინამდვილის რელიგ. წარმოსახვის სპეციფიკასა და არსს, იკვლევს ამ სპეციფიკას, განმარტავს მასებში რწმენის წარმოშობისა და წყაროების პირველ მიზეზებს, სწავლობს რელიგიის სოციალურ ბუნებას, მისი დაძლევის პირობებსა და საშუალებებს. ათ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მატერიალისტური მსოფლმხედველობისა.

ათ. წარმოიშვა შორეულ წარსულში მეცნიერული ა-ა და მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარების საფუძველზე.

თავდაპირველი არათანამიმდევრული და გულუბრყვილო ფორმა ა-ისა იყო ძველი მონათმფლობელური სახ-ის ათ.; უმაღლეს განვითარებას მან მიაღწია საბერძნეთსა და რომში. ბერძენი ფილოსოფოს-მატერიალისტები თალესი, ანაქსიმე, ანაქსიმანდრე, პარმენიდი, ჰერაკლიტე თვლიდნენ, რომ სამყაროს საფუძველია მატერიალური საწყისი, რომ სამყარო მარადიულია, არც ერთ ღმერთს არ შეუქმნია და არც საჭიროებს შემქმნელს. ჰერაკლიტე უარყოფდა რელიგ. წარმოდგენას სამყაროს უცელელობაზე, ქსენოფანი — ქმნილების ღვთაებრივ იდეას. ხაზგასმით ამბობდა, რომ ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი თავის ხატად და მსგავსად. ანტიკურმა ათ-მა თავის უმაღლეს განვითარებას მიაღწია დემოკრიტეს, ეპიკურეს და ლუკრეციუსის მოძღვრებებში. დემოკრიტე და ეპიკურე ატომისტური წარმოდგენიდან გამოდიოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქვეყნად არა არის რა, ატომებისა და სიცარიელის გარდა. ატომების მოძრაობა გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით, არავითარი ღვთაებრივი ჩარევა აქ არ არის. ისინი უარყოფდნენ სულის უკვდავებას. დემოკრიტე რელიგ. რწმენის მიზეზს ხედავდა ადამიანთა შიშში ბუნების მოვლენების — მეხის, მზის დაბნელებისა და მისთანების წინაშე. ეპიკურე ღმერთების რწმენის მთავარ მიზეზად თვლიდა სიკვდილის შიშს. ბერძენი მატერიალისტების ათეისტური ტრადიციები შემდგომ განვითარებას პოულობენ ლუკრეციუსის პოემაში „საგანთა ბუნებაზე". ამ განოქმულ ნაწარმოებში პოეტი იცავდა მატერიალური სამყაროს ობიექტური არსებობის თვალსაზრისს. ანტიკური ათ. საზოგადოებრივი აზრის ისტორიის დიდი მონაპოვარია. ეს წვლილი მეცნიერებაში ბერძენთა და ლათინთა მოაზროვნეებმა შეიტანეს. მიუხედავად გულუბრყვილობისა, შეზღუდულობისა და არათანმიმდევრულობისა, მან დიდი ზეგავლენა მოახდინა ...ისტური იდეის შემდგომ განვითარებაზე.

ფეოდალური შუა საუკუნეების პერიოდში რელიგია იდეოლოგიის გაბატონებულ ფორმად იქცა. საეკლესიო დოგმა, ენგელსის თქმით, ყოველგვარი აზროვნების ამოსავალ წერტილად და საფუძვლად ითვლებოდა. ეკლესია ყოველგვარ ღონისძიებას იყენებდა ათ-ისა და თავისუფალი აზროვნების წი-

ნააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ უძლური იყო შეეჩერებინა მეცნიერული აზრის წინსვლა. რელიგიისა და ეკლესიის პოზიციებს თანდათან არღვევდა ძასობრივი ანტიკლერიკალური და ერეტიკული მოძრაობა.

წარმოების კაპიტალისტური წესის დანერგვასა და განვითარებას, ხალხთა მასებისა და ბურჟუაზიის ერთობლივ ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ თან ახლდა გამოსვლები ფეოდალური იდეოლოგიის წინააღმდეგ. აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგები თავიანთ მოძღვრებათა ცენტრალურ მომენტად იხდიან პიროვნების განთავისუფლებას ეკლესიის სულიერი არისტოკრატიისაგან. იტალიელმა ჰუმანისტმა პიერო პომპონაციმ (1462—1524) თეოლოგია უბრალო ადამიანთა მოტყუების საშუალებად გამოაცხადა, ეჭვის ქვეშ დააყენა ქრისტ. დოგმატები სულის უკვდავებისა და საიქიო ცხოვრების შესახებ. გენიალურმა ნოსტრომენ ჯორდანო ბრუნომ (1548—1600) დაამტკიცა უნიადაგობა რწმენისა, რაც ეხებოდა ღმერთის სამერთიანობას. XVII ს-ში ქრისტ. იდეოლოგიის კრიტიკა ახალ საფეხურზე ავიდა თომას ჰობსის (1588—1679), ჯონ ლოკის (1632—1704), ბენედიქტ სპინოზას (ბარუხ სპინოზა, 1632—1677), პიერ ბეილის (1632—1704) მატერიალისტურ მიმდინარეობებში. ბეილის ორტომიან „ისტორიულ და კრიტიკულ" ლექსიკონს მარქსი თვლიდა „ათეისტური საზოგადოების გამოჩენის" მაუწყებლად.

ფრანგმა მატერიალისტებმა დიდრომ, ჰელვეციუსმა, ჰოლბახმა, ლამეტრიმ „დაამტკიცეს" რელიგიის უძლურება ფილოსოფიური, ისტორიული, მეცნიერული. პოლიტიკური და ზნეობრივი თვალსაზრისიდან. ყოველგვარ რელიგიას ისინი თვლიდნენ მასების უმეცრებისა და სიბნელის ნაყოფად.

მორიგი ნაბიჯი წინ ბურჟუაზიული ათეიზმის ისტორიაში გადადგა გერმანელმა ფილოსოფოსმა ლუდვიგ ფოიერბახმა. მან გააშიშვლა მიწიერი სარწმუნო რელიგიური რწმენებისა, რომელნიც წარმოშობილან ადამიანის თვისებების განსხვავებისა და ამ-თვისებების მიღმურ საყაროში გადატანის შედეგად. უზარმაზარი ფაქტიური მასალის საფუძველზე ფოიერბახმა გვიჩვენა რელიგიის წარმოშობის ისტორიული პირობები.

განსაკუთრებული ადგილი მარქსამდელ დემოკრატიულ ათ-ში უჭირავთ რეს რევოლუციონერ დემოკრატებს — ბელინსკის, გერცენს, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, პისარევს მათ ნათლად და დამაჯერებლად ახსნეს საზოგადოებაში რელიგიის სოციალური როლი, ფიდეიზმის არსი, იცავდნენ რელიგიისაგან ხალხთა მასების განთავისუფლების იდეას. თვალსაზრინო დამსახურების მიუხედავად, დემოკრატიულმა ათ-მა თავისი ისტორიული და კლასობრივი შეზღუდულობის გამო ვერ შეძლო აეხსნა მთავარი — რელიგიის წარმოშობის სოციალური მიზეზები. ამიტომ ის რელიგიური რწმენების დაძლევას უტოპიური საშუალებებით ვარაუდობდა. დემოკრატიული ათ. განსაკუთრებულური იყო. უმკაცრესი, უმაღლესი ფორმა ათ-ისა მარქსისტული ათეიზმია, რომელიც ეკლესიის ქონების ტაცებას (მკრეხელობას) და სამღვდელოების დახვრეტასაც კადრულობდა. კრახი განიცადა.

ათერთმეტი სახარება — სახარების 11 მონაკვეთი, სადაც აღწერილია ქრისტეს აღდგომა მკვდრეთით. ერთ-ერთი ცისკრისას იკითხება (კვირას).

ათი მცნება — ათი მითითება, დარიგება, სავალდებულო მცნება, რო-

შელნიც ძველი აღთქმის მიხედვით იაკვემ უქადაგა სინაის მთაზე მოსეს. ბიბლიაში მოცემულია ორი ვერსია, რომელთაც მრავალი ვარიანტი ახლავთ (გამოსლვათა 20 და 34; II სჯულისა 5). ძირითადად ამ სახით ჩამოყალიბდა: 1. მე ვარ უფალი.ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი; 2. არა ქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი... არა თაყვანი სცე მათ, არა ჰმსახურებდე მათ; 3. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა; 4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ყავ იგი: ექვს დღე იქმოდე და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა; 5. პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; 6. არა კაც ჰკლა, 7. არა იმრუშო; 8. არა იპარო; 9. არა ცილ სწამო მოყვასსა შენსა; 10. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არცა სახლისაოვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მხელისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა ყოელისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა.

აქედან პირველი სამი ქადაგებს მონოთეიზმს და ებრძვის მრავალღმერთიანობას. ქრისტიანობის ძიერ გადმოღებული ეს პრინციპი მიმართავს სისასტიკეს ამ მცნებიდან გადახვევისათვის; მეოთხე მცნება იცავს შაბათის საკულტო უქმეს (იმ დღეს პურის მარცვლების ჭამისა და სნეულის განკურნებისაკენაც კი სამართლით ემუქრებიან ქრისტეს სინედრიონის მესვეურები), მეხუთე მცნება მშობელთა პატივისცემას ითხოვს, რაც დასაბამიდან მომდინარეობს; დანარჩენი ხუთი მცნება სოციალურ სარჩულზეა აგებული, კრძალავს ქურდობას, კაცის კვლას, მოყვასის (თავისიანის) დაჩაგვრას, ქონების მითვისებას, ცოლის წაგვრას და სხვ.

სხვა საქმეა, როგორ სრულდება ცალკეულ შემთხვევებში, მაგრამ თავისთავად ათი მცნება სიკეთეს და ადამიანურობას ქადაგებს და მრავალ მართებულ მოთხოვნას აყენებს, წყვლის ბოროტებას: „წყეულ იყავნ, რომელმან აცდუნოს ბრმანი გზასა"; „წყეულ იყავნ, რომელმან მოიღოს ქრთამი მოკლვად სულისა მართლისა"; „შეეწიე დავრდომილს, უქონელსა და ქვრივ-ოხერს"...

ათორმეტთაგანი (თორმეტი) საუფლო დღესასწაული — მართლმადიდებელთა 12 უდიდესი საეკლესიო დღესასწაული, მაცხოვრის ხორციელი შობისა და ღვთაებრივი სასწაულების გამომხატველი დღეობანი: 1. ნათლისღება (განცხადება) უფლისა — 19 იანვარს (ახ. სტილით); 2. მირქმა (მიგებება) იესოსი (15.II); 3. ხარება ღვთისმშობლისა (7.IV), 4. ბზობა (ბაიობა), დიდებით შესვლა ქრისტესი იერუსალიმს (აღდგომის წინა კვირას); 5. ამაღლება უფლისა (აღდგომის მე-40 დღეს); 6. სულთმოფენობა, სულიწმიდის გადმოსვლა მოციქულებზე (აღდგომის 50-ე დღეს); 7. ფერიცვალება უფლისა (19. VIII); 8. მიძინება ღვთისმშობლისა (28. VIII); 9. შობა ღვთისმშობლისა (21. IX); 10. მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელი ჯვრისა (27. IX); 11. ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა (4. XII); 12. შობა იესოსი, მაცხოვრის შობა (7. I). დღესასწაულები ყალიბდებოდა ქრისტიანობის რწმენისა და კულტის ფორმირების პროცესში, მიზნად ისახავენ სარწმუნოების პროპაგანდასა და შენარჩუნებას.

ათორმეტი სახარება — სახარების 12 მონაკვეთი, სადაც აღწერილია

ქრისტეს ენება (წამება), იკითხება ენების კვირის დიდ ხუთშაბათს (საღამოს), პარასკევს (ცისკრის ჟამს).

აითამეტი (ათსამეტი) **ასურელი მამანი**, სირიელი მამები — გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი, მისიონერები, განდეგილები, რომელნიც VI ს-ში ჩამოსულან ასირიიდან საქართველოში, გაუძლიერებიათ ქრისტიანობა, გაუჩაღებიათ ფართო სამონასტრო მშენებლობა და წარუშლელი კვალი დაუტოვებიათ ქართული კულტურის ისტორიაში. მათი ქართველობა, რასაც შ. ნუცუბიძე და კ. კეკელიძე ამტკიცებდნენ, ივ. ჯავახიშვილს უსაფუძვლო თვალსაზრისად მიაჩნდა. არც ჩამოსვლის მიზეზი და მიზანია დადგენილი: თითქოს მონოფიზიტების დევნამ აიძულა მიეტოვებინათ საშობლო (კ. კეკელიძე); თითქოს, პირიქით, დიოფიზიტები ყოფილიყვნენ (მართლმადიდებელნი, ქალკედონელნი) და ამ სარწმუნოების გასავრცელებლად ჩამოსულიყვნენ (ივ. ჯავახიშვილი); ტრადიციული შეხედულებით კი საერთოდ ქრისტიანობის განსამტკიცებლად და ეკლესიების ასაშენებლად ჩამოვიდნენ. და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. დავით გარეჯა, შიო მღვიმე, ზედაზნისა და მარტყოფის ტაძრების აგება და იქ გაჩაღებული კულტურულ-სამწერლო საქმიანობა ერის დიდებაა. მათი მკაცრი ასკეტიზმი კი ჩვენში ფეხს ვერ იკიდებს.

შამათა რიცხვია 12 (ათორმეტი მამა) ან 13 (ათსამეტი მამანი), რაც ალბათ საკრალურია და ქრისტეს მოციქულთა რიცხვს ეფარდება, კიდეც ითვლებიან მოციქულთა ტოლ მოღვაწეებად და წმინდანებად შერაცხეს. სინამდვილეში მათი რიცხვი მეტია: იოანე ზედაზნელი (ჩამოსულა 501 წ. ან 543 წ., მოწაფეების თანხლებით), შიო მღვიმელი (513), ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი (დაახ. 545), ზენონ იყალთოელი, ისიდორე სამთავნელი, დავით გარეჯელი (520 წლის შემდეგ), სტეფანე ქიზიყელი, მიქაელ ულუმბოელი, ელია დიაკონი და სხვანი. მათი მეცადინეობით უნდა გავრცელებულიყო საქ-ში დიოფიზიტობა. შ. ნუცუბიძე მამათა ჩამოსვლას უკავშირებს პეტრე იბერიელისეულ ქართულ კოლონიას სირიაში. სინამდვილე ისაა, რომ მამათა მოღვაწეობამ განამტკიცა ქართული ეკლესიაც, ეროვნული სულისკვეთებაც, ირანის წინააღმდეგ ამხედრებული ერის ძლიერებაც. შემონახულია რამდენიმე თხზულება მამათა მოღვაწეობაზე: იოანე ზედაზნელის ცხოვრება და წამება, შიო მღვიმელის ცხოვრება, დავით გარეჯელის ცხოვრება და სხვა ძეგლები დიდ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოქალაქეობისა.

აიაზმა (ბერძ. წმინდა წყალი) ← „არს განწესებული მოწესეთაგან ეკლესიურთა განსაწმენდელად... უფრორე დღესა განცხადებისა ანუ ნათლისღებისასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომელ არს ექვს იანვარს“ (ი. ბაგრატიონი). დიდი აიაზმა ყრმის ნათლობაში დარჩენილი წმ. წყალია. რომლის გადაღვრა მხოლოდ სუფთა ადგილზე შეიძლება; მცირე აიაზმა — ჩვეულებრივი ნაკურთხი წყალი, სახლში და ეკლესიაში მოსასხურებელი (აიაზმის ხდა, ვოდოსვიაშენინე), წყლის კურთხევა დღესასწაულებზე.

აიათი (არაბ. „სასწაული“, ალაჰის საკვირველება) — ყურანის სალექსო სტრიქონი, ჩვეულებრივ ერითმება მომდევნოს (სურას ნაწილი).

აიათოლა (აიათი, სასწაული) — შიიტ მუსულმანთა ცნობილი მოღვაწე,

გარკვეულ წრეებში და მხარეებში დიდად პოპულარული პიროვნება, რომელსაც უფლება აქვს დამოუკიდებლად ეანმარტოს ისლამის მოძღვრება და შარიათი, ეწევა სათნო ღვთისმოსავის ცხოვრებას, ღრმად ფლობს შიიტთა დოგმატიკას, ღვთისმეტყველებას. ირანში ასიდან ათასამდე აიათოლას ითვლიან. მათგან ყველაზე უფრო ავტორიტეტული იყო ანტიშაპური რევოლუციის მოღვაწე აიათოლა სეიდ რუჰოლა ჰომეინი (გარდ. 88 წლისა, 1989 წ.).

აკაფისტო (ბერძ. ἀκάθιστος — აკათისტო, „დაუჯდომელი") — ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანთა სადიდებელი საგალობლები, რომელთაც ზეზეულად ასრულებენ (მორწმუნენი ხდებიან ღვთისმსახურების თანამონაწილენი).

აკრძალულ წიგნთა ინდექსი (ლათ. index librorum prohibitorum) — კათოლიკური ეკლესიის მიერ საკითხავად აკრძალული წიგნების სია, ეკლესიის სახელით ფართოდ განხორციელებული ღონისძიება ანტიკათოლიკური მოძრაობისა და მოწინავე აზრის წინააღმდეგ. პირველი ინდექსი გამოქვეყნდა 1571 წ. და საგანგებოდ შექმნილი კონგრეგაცია 1917 წლამდე არსებობდა. 1900 წ. სიით აკრძალული იყო 7200 წიგნი, 1930 წ. — 8000; ამდენივე იყო უკანასკნელ ინდექსში (1948). საუკუნეების განმავლობაში იკრძალებოდა გალილეის, კეპლერის, კოპერნიკის, ბრუნოს. პასკალის. ვოლტერის. რუსოს, სპინოზას, ლაიბნიცის, კანტის, ბეკონის, ჰობსის. ლოკის, დეფოს, დიუმას, სტენდალის, ჰიუგოს, ზოლას, მილტონის და სხვათა წიგნები, იკრძალებოდა პაინეს თხზულებანი. 1966 წლიდან სია ამ სახით აღარ ქვეყნდებოდა, მაგრამ კონტროლი გრძელდებოდა.

ალაშერდობა (ობა — დღესასწაული) — მოსავლის დღეობა, დაკავშირებული ჭირნახულის მოწეასა და დაბინავებასთან (დაახ. 28.IX—20.X).

ალაჰი (არაბ. ألله) — ისლამის ღმერთი, ყოველი არსის ღმერთი, სამყაროს გამრიგე, ცის, მიწისა და ადამიანის მეუფე, უფალი, ე. ი. ყოვლისშემძლე მფლობელი, არსთა მპყრობელი. ა-ის რწმენა ისლამის პირველი დოგმატია. აქვს მონოთეისტური ღმერთის ყველა მონაცემი. აქვს 99 ხედწოდება: ყოვლისშემძლე, დიდი, ბრძენი, მოწყალე, კეთილი... განაგებს მთელი ხალხების და ცალკე ადამიანის ბედს. ითხოვს მონურ მორჩილებას. ურჩს ჯოჯოხეთი მოელის.

ალბიგოელები — ფრანგი, იტალიელი და გერმანელი ერეტიკოსები XII—XIII საუკუნეებში, უპირატესად საფრანგეთში (მოძრაობის ცენტრი იყო ქ. ალბი. ლანგედოკში). წინააღმდეგობას უწევდნენ კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც აფერხებდა შუა საუკუნეების ქალაქთა განვითარებას. მოძრაობაში ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ხელოსნები, რომელთა მხარეზეც დადგა გლეხობისა და წვრილ ფეოდალთა ნაწილი. მატერიალურ „ეშმაკის სამეუფოს" (ე. ი. მიწიერ ცხოვრებას) უპირისპირებდნენ სულიერ „ღვთის სამეუფოს" და უწოდებდნენ კათოლიკ. ეკლესიას „ეშმაკის ძალას", უარყოფდნენ ღმერთის სამერთიანობას, ჯოჯოხეთს, სალხინებელს, საეკლ. საიდუმლოებასა და წესებს, ჯვრის და ხატის თაყვანისცემას. არ ცნობდნენ პაპის ძალაუფლებას. პაპმა მათ ანათემა დაატეხა, და მაშინ საკუთარი ეკლესია შექმნეს. პაპმა ინოკენტი III ჯვაროსნული ომი გამოუცხადა (1209), საშინე-

ლი მხეცობით გაჟლიტეს, გადაბუგეს ღანგედოკი. საბოლოოდ გაანადგურა ინკვიზიციამ, როგორც კათართა („წმინდათა") ერეტ. სექტა (XI — XIV ს.).

ალექსანდრიის ეკლესია — მართლმადიდებელთა ავტოკეფალური ეკლესია, დაარსდა ადრეული ქრისტანობის ერთ-ერთ ცენტრში — ალექსანდრიაში. II ს-ში უკვე ჰყავდათ ეპისკოპოსი (ეგვიპტეში), პირველმა მსოფლიო საეკლ. ყრილობამ (325) რომისა და ანტიოქიის ეპარქიებს გაუთანასწორა.

ალილო (ალბათ ბიბლიურ ალილუიადან, ძვ. ქართ. ჭონა) — ჯგუფური საშობაო მიმოსვლა სოფლად (ალილოდ სიარული), ქრისტეს სადიდებლად; საძხმიანი საწესო სიმღერა შობის კვირაძალზე, კარდაკარ მოარული გუნდი რომ ულოცავდა ყველას დღესასწაულს, უსურვებდა სიკეთეს, სიუხვეს, ჯანმრთელობას („ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო"; „წისქვილს ბური დავარიგე..."; „სიტი ღობეზე შემოჯდა"...).

ალილუია (ძვ. ებრ. „ადიდეთ უფალი") — ქრისტ. ეკლ. ღვთისმსახურების მისამღერი. მართლმადიდებელ ეკლესიაში საძგზის (ან შეიდგზის) წარმოითქმის, როგორც ღვთაებრ. სამების ყოველი წევრისადმი მიმართული სადიდებელი (სიმბოლური). იუდაიზმში — საზეიმო შეძახილი უფლისადმი. ა-ზე შექმნილა მრავალი მუსიკა.

ამაღლება — ქრისტ. დღესასწაული; მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთ-ერთი ათორმეტთაგანი, აღინიშნება აღდგომის მე-40 დღეს, როცა მკვდრეთით ამდგარი იესო ხორცით „ამაღლდა ზეცით და დაჯდა მარჯვენით მამისა" (მარკ. 16, 14—19). ასევე ამბობს ლუკა. ხოლო მათეს და იოანეს სახარებებში ამაზე არაფერია ნათქვამი. „საქმე მოციქულთა" ზოგადად გვაუწყებს, რომ ამ 40 დღის განმავლობაში იესო ეცხადებოდა მოწაფეებს ლეგენდის წყაროდ თვლიან ძვ. ფინიკიელთა, ბერძენთა და იუდაისტური რელიგიების ანალოგიურ მოთხრობას (ადონისი, აგნი, მითრა, დიონისე...). დღესასწ. დაკანონდა VI ს-ში. მისი მიზანია მორწმუნეთა დარწმუნება იმაში, რომ მათი ქომაგი იესო ზეცაშია და ერკვევა ყოველ მიწიერ საქმეში; ქება, დიდება (ნ. ჩუბ.); რუს. ვოზნესენიე; ნ. ჯვართამაღლება.

ამგიონი (ბერძ. ამბონ, ზმნიდან „ასვლა", „ამაღლება") . სამქადაგებლო, საფსალმუნე. ამაღლებული ადგილი ე. წ. აღსავლის კარების წინ, საკურთხეველის გზაზე, სადაც იკითხება სახარება და სრულდება ქადაგება (მართლმადიდ. ეკლ.). ამბიონიდან ქადაგებსო — ირონ. მნიშვნელ.

ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია — ყველაზე ახალგაზრდა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რ-საც რუსეთის მართლმადიდ. ეკლესიამ 1970 წ. მიანიჭა ავტოკეფალია, თუმცა არსებობდა 1793 წლიდან, როცა ალასკაზე სინოდმა მისია დააარსა. მერე მეფის მთავრობამ ალასკა ამერიკას მიჰყიდა, მისიის ცენტრმა გადაინაცვლა სან-ფრანცისკოში, იქიდან ნიუ-იორკში, სადაც დღესაც მისი ცენტრია. ჰყავს მიტროპოლიტი, აქვს 9 ეპარქია, 350 მრევლი (ჩრდ. და სამხ. ამერიკაში), აქვს კავშირი რუსეთის მართლმად. ეკლესიასთან, წევრია მსოფლიო საბჭოსი (15-თაგანი).

ამინ (ებრ. „ჭეშმარიტად", სწორედ) — უფლისადმი ერთგულების სიმბოლო, სიტყვა იხმარება ქრისტ. ლოცვების დასასრულს, მიუხედავად იმისა, ჭეშმარიტად სწამთ მორწმუნეებს ნათქვამი თუ არა სწამთ.

ამულეტი (არაბ. ‘ამალა — „ტარება“) — ავგაროზი, ნივთი, რომელიც თითქოს ჯადოსნური ძალითაა აღჭურვილი და უნარი აქვს ზებუნებრივი მფარველობა გაუწიოს მის მფლობელს, არ გააკაროს სენი და ხიფათი, მიანიჭოს სხვა ადამიანებზე და ბუნების მოვლენებზე ბატონობის უნარი, აარიდოს „ბოროტი ჯადო“ და ა. შ. ასეთი მისტიკური „თილისმის“ რწმენა (ბერძ. ტელესმა — ჯადო) მოდის უძველეს ხალხთა ფეტიშიზმისა და ანიმიზმის ჟამიდან, შენარჩუნებულია დღემდე (გახერეტილი ქვა, ნიკარა, ჯვარი...).

ანაბაპტისტები (ბერძ. ანაბაპტიზო — ისევ ჩავყვინთავ; ხელახლა ვნათლავ) — „ქრისტიანული ძმები“ და დები, რეფორმაციის გლეხურ-პლებეური შტოს წევრები, მოითხოვდნენ არა მარტო რელიგიურ, არამედ სამოქალაქო თანასწორობასაც. ბიბლიის სწორად გაგების აუცილებელ პირობად მიიჩნდათ „სულიწმიდის მოვლინება“, სწამდათ მეორედ მოსვლა — ქრისტეს მეორედ გამოცხადების გაგებით და ქრისტეს ათასწლოვანი მეუფება. ანაბაპტისტები უარყოფდნენ ადამიანთა წინასწარგანგებას და ფატალური ცოდვის კითხვას, სწამდათ, რომ ადამიანმა თვითონვე უნდა შეცვალოს თავისი ბედი. უარყოფდნენ ნათლობას ადრეულ ბავშვობაში, რაც ეწინააღმდეგებაო პირადი სარწმუნოებით პიროვნების ხსნას და მოითხოვდნენ ნათლობას მხოლოდ ზრდილი, ჭკუაში ჩამდგარი ადამიანებისას. ა-ებს მოუხდათ პირველი თაობის მეორედ მონათვლა, ამიტომ ეწოდათ „გადანათლულნი“. მათი რეფორმა ითხოვდა თანაბარ — მომთხოვნელობის პრინციპს კომუნიზმის სახით, რისთვისაც მათ უწყალოდ ანადგურებდნენ. ა-ტური მოძრაობა გაძლიერდა გერმანიაში, მორავიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში (XVI ს. 30-იანი წლებიდან, შუა წლებიდან კი არსებობა შეწყვიტა და დაიშალა სექტებად). პირველი ნათლობა — 1525 წ. მეთაური — თომას მიუნცერი, 1529 წ. რაიხსტაგმა სიკვდილის მუქარით აკრძალა. დღეს მენონიტების სახით ევროპაში ასი ათასამდე ანაბაპტისტია.

ანათემა (ბერძ. ანას — ზორს, ტითეინ — დაყენება) — საეკლესიო დაწყევლა, შესვენება, განკვეთა, უდიდესი სასჯელი საქრისტიანოში უფლის სახელით, წყრომა, რომლის წინაშეც თვით იმპერატორები ცახცახებდნენ. ა-ის გამოტანის უფლება ჰქონდა საეკლ. კრებას, კათოლიკ. საყაროში — პაპს. იყო დაშინების საშუალება, რელიგ. ფანატიზმის გაღვივების ღონისძიება. ა. გამოუცხადეს სპინოზას, ს. რაზინს, ე. პუგაჩოვს, მრავალ მეცნიერს, ოღლეწეს. 1918 წ. პატრიარქმა ტიხონმა ა. გამოუცხადა საბჭოთა წყობილებას. ამჟამად ანათემას მიმართავს ვატიკანი.

ანალოი, ანალოგი (ახ. ბერძ. ანალოგიონ) — „დაბრილი ძაგიდა“, პატარა მაგიდა ღვთისმსახურების დროს ხატის დასასვენებლად, ან ახლად შეუღლებულთა შემოსავლელად (საეკლ. წესით).

ანაშორა (ბერძ. ანა — ფერი; „ზემოთ (ცვლავ) ვატარებ“) — პალეკარტი, სამღვდელო ფართოსახელოებიანი ზედა სამოსი (რუს. ოლფორ, რიასა); ანაფორანაკურთხი ბერი — ანაფორიანი ბერი, ღვთისმსახურების შესრულების უფლებას მოკლებული (რიასონოსეც).

ანგელოზები (ბერძ. აგგელოს, ლათ. ანგელუს — მაცნე, შიკრიკი) — ციური არსებები, შუამავლები ღმერთსა და ადამიანებს შორის, ზებუნებრივი „უხი-

ლავი საშყაროს" უხორცო ფრთოსანი ბინადარნი იუდაიზმში, ისლამსა და ქრისტ. რელიგიებში. ა-ების რწმენა არაფერით განსხვავდება „წარმართული" რწმენისაგან, რაც ასიმიზმის ჟამიდან იღებს სათავეს. აღიარებს კეთილსა და ბოროტ სულებს, დემონებს და ა. შ. ზოგ რელიგიაში შემორჩენილია რწმენა „დამბობილ ანგელოზებზე", სატანის მსახურებზე, ქაჯებზე, დემონებზე, რომელთა წინაშეც ცახცახებდნენ ცრუმორწმუნეთა თაობები (ცოდან გადმოგდებული „შეამბოხე სატანა", „ანგელოზთა წეიმა", კერის ანგელოზი, ძფარველი ანგელოზი და სხვ.). გადატ. — კეთილ ადამიანზე. სახლის ანგელოზი – ყოველი სახლის მფარველი (ფშავში, სვანეთში და სხვ.). ა-ებია სერაფიმები, ქერუბიმები, მთავარანგელოზი (9 საფეხური).

ანგელოზობა — ყველიერის შაბათის დღეობა. ამ დღეს თითქოს სოფლად ანგელოზი ჩამოიელის და მხარზე აჯდება ყველას. ამ დღეს ხალხი უქმობდა.

ანგლიკანური ეკლესია — ერთ-ერთი პროტესტანტული ეკლესია, რ-მაც ბევრი რამ შეინარჩუნა რომაულ-კათოლიკური ეკლესიისა. ესაა ინგლისის ოფიც. ეკლესია, კულტითა და ორგანიზაციით ძლიერ მახლობელი კათოლიციზმთან. წარმოიქმნა რეფორმაციის შედეგად XVI ს-ში. 1534 წ. პარლამენტმა „უხენაესობის აქტით" მეფე ჰენრიხ VIII გამოაცხადა ა. ე-ის მეთაურად. ვატიკანთან კავშირი გაწყდა, მონასტრები დაკეტეს, სამონასტრო მიწები ჩამოართვეს, ხატები და წმინდა ნაწილები დაწვეს. 1549 წ. შემოიღეს ახალი ლოცვანი, გაუქმდა სასულიერო წოდების უფორწინობა. 1571 წ. დამტკიცდა 39 მუხლიანი სიმბოლო სარწმუნოებისა ანგლიკანთათვის. ანგლიკანობაში ეკლექტიკურად გაერთიანდა პირადი სარწმუნოებით ხსნის დოგმატი (პროტესტანტული) და ეკლესიის მხსნელი ძალის დოგმატი (კათოლიკური). შენარჩუნებულ იქნა საეკლესიო იერარქია და სამღვდელოების მდიდრული შემოსილობა, ღვთისმსახურების ფუფუნებასთან ერთად. ეპისკოპოსებს ნიშნავს პარლამენტის კომიტეტი საეკლ. საქმეებში. დღესაც არსებობს ორი საეკლ. პროვინცია: კენტერბერიისა და იორკის (პრიმასის უფლებით კენტერბერიისა სარგებლობს). ამერიკაში, ირლანდიაში, შოტლანდიაში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში არსებობს დამოუკიდებელი ა. ეკლესიები. ეპისკოპოსთა საერთო საკრებულო ათ წელიწადში ერთხელ იმართება.

ანგლოკათოლიციზმი — მიმართულება ანგლიკანურ ეკლესიაში, რომლის მიზანია კათოლიციზმთან მეტი სიახლოვე, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა (XVII–XVIII ს-ებიდან). მიზანი — ეკლესიის ძველი პრივილეგიური მდგომარეობის შენარჩუნება.

ანდრია (ბერძ. ანდრეას) — ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული, პეტრეს ძმა, მეთევზე; პირველი მიიწვია ქრისტემ, რისთვისაც ეწოდა „პირველწოდებული"; იყო მცოდნე და მჭევრმეტყველი, ქადაგებდა მაცხოვრის მოძღვრებას ბალკანეთში, სკვითებთან, შავი ზღვის სანაპიროებზე. რომის მაგისტრატმა ჯვარს აცვა ჯვრის ფორმის ძელზე („ა-ს ჯვარი"). საეკლესიო გადმოცემით ა-მ მოიარა საქართველო (ცალარჯეთი, სამცხე, ქართლი, სვანეთი, დიდი აჭარა, აფხაზეთი, ოსეთი). გაუფლია სამხრეთიდან ჩრდილოეთით, პონტოდან ნიკოფსიამდე, სადაც დაუტოვებია მოციქული სიმონ კანანელი, ყოფილა ტრაპიზონშიც. ჩამოუტანია (სიმონთან ერთად) აწყურის ღვთისმშობლის ხატი.

ჯვარზეც განაგრძო ქადაგება (60 წ.). „ღვთის განგებით საქ-ში ჩამოსულ ანდრიას“ ხსენების დღეა 30 ოქტომბერი.

ანდერძის აგება — ნ. წესის აგება.

ანთროპოგენეზი (ბერძ. ანთროპოს — ადამიანი, გენეზის — შობა, წარმოშობა) — ლათ. ჰომინიზაცია: გაადამიანება, ადამიანის წარმოშობა და ჩამოყალიბება. თანამედროვე მონაცემებით, რ-იც სრულიად უარყოფენ მითიურ ეერსიებს (ღმერთის მიერ თიხისაგან გამოძერწვისა და სხვ.), ესაა უხარმაზარი მონაკვეთი დროისა, რასაც ზოგადად 2,5—3 მილ. წლით საზღვრავენ. პრიმატ. კულტურის პირველი ნიშნები ჩნდება დაახ. 3 მილ. წლის წინ. დარვინისა და ჰექსლის შემდეგ საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ადამიანი წარმოშობილია ხანგრძლივი განვითარების გზით ცხოველებისაგან, კერძოდ უმაღლესი განვითარების მაიმუნების, პრიმატებისაგან, ან მათი მონათესავე საერთო წინაპრისაგან. მაიმუნთან ნათესაობა ძტკიცდება პალეოანთროპოლოგიური, პალეონტოლოგიური, ემბრიოლოგიური, ფიზიოლოგიური, შედარებითი ანატომიის მონაცემებით. მაგრამ დარვინის ევოლუც. თეორიის, ბუნებრივი შერჩევის კანონის აღმოჩენის შემდეგაც გაურკვეველი რჩებოდა საკითხი, თუ საიდან, როგორ მოხდა ადამიანის ჩამოყალიბება მოაზროვნე ცხოველად. ენგელსმა ამ საკითხს მთელი ნაშრომი უძღვნა და დაამტკიცა, რომ შრომამ შექმნა ადამიანი. ახ. მეცნ. მონაცემები აყენებენ ჰიპოთეზას, რომ ამ პროცესში გარკვეული როლი ითამაშა რადიოაქტიურმა გამოსხივებებმა მაგ., აღ. აფრიკაში მიგნებულია უძვ. ადამიანთა საცხოვრისი და მარტივი იარაღები, როცა დას. ნაწილში იგივე არსებები (პრიმატები) იმავე დონეზე დარჩნენ, რაზედაც მილიონი წლების წინ ყოფილან. აღ. აფრიკაში ვულკანური არეებია და გამოსხივება უფრო აქტიურად ხდიდა ტვინის მოქმედებას. ამით ფართოვდება არე მაიმუნის გაადამიანების ამხსნელი ფაქტორებისა. ნახევრად მაიმუნების (პროზიმიის) და მაიმუნების (ანთროპოიდების) მომდევნო საფეხურებია ჰომინოიდებად წოდებულ წინაპართა განვითარება. სად მოხდა პირველ ადამიანთა წარმოშობა, მაინც გაურკვეველია, თუმცა არქეოლოგ. და პალეოანთროპოლოგიის ძონაცემები მეტს ამბობენ აღ. აფრიკის სასარგებლოდ. ასახელებენ სამხ.-აღ. აზიასაც. ადამიანის მსგავსი ავსტრალოპითეკები მსოფლიოს მრავალ მხარეში ცხოვრობდნენ 2 მილ. წლის წინ. ორ ფეხზე დადიოდნენ, ნადირობდნენ, ჰქონდათ შედარებით უფრო განვითარ. ტვინი. დროთა განმ-ში მათ გამოეყო უფრო განვით. ფორმის არსება, რ-მაც დაიწყო პრიმიტ. იარაღების კეთება (ქვის, ხის, კაჟის). ეს იყო ჰომო ჰაბილისი (მარჯვე, უნარიანი ადამიანი), რ-საც თვლიან უძვ. ადამიანად მისი იარაღები აღმოაჩინა 1960 ინგლ. არქეოლოგმა ლ. ლიკიმ ოლდოვაის ხეობაში (აღ. აფრ., ტანზანია). სპეც. მეთოდით იანგარიშეს მისი ასაკი: 1750—1850 ათ. წ. ანუ ერთნახევარ-ორ მილ.-ამდე. კენიაში აღმოაჩინეს 2,6 მილ. წლის იარაღები. საქმე გვაქვს ავსტრალოპითეკის განვით. შუამომავალთან. ზოგი უძვ. ადამიანს ეძახის ჰომო საპიენსს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის მხოლოდ „წინარე ადამიანია“, ინსტინქტურად აკეთებს იარაღებს. უფრო განვითარ. ადამიანებად ითვლებიან ი

(500 000, შუა ევროპა), ოლდოვაის პითეკანთროპი (დაახ. ასევე. აფრ. 2 მილ-ზე ნაკლები ხნისა, სხვაგვარად ჰომინიდი — ავსტრალოპითეკის ტიპისა, 30—40 მ სიღრმეში, ვულკანის ფერფლში და შლამში). ლიკი 40 წელი (სიკვდილამდე) თხრიდა აფრიკის მიწას და მეორე ტიპიც აღმოაჩინა. სახელოვანმა მკვლევარებმა, ცოლ-ქმარმა ლიკიმ სახელი განუთქვეს ოლდოვაის ხეობასაც და მის „მარჯვე ადამიანსაც", ჰომინიდ ჰომო ჰაბილისს, რითაც ადამიანის გაჩენის ვადა იქით გადასწიეს. აღსანიშნავია აღ. ახიის სინანთროპიც (300 000), შემდეგ ნეანდერთალელი (150—200 ათ. წლისა), შედარებით უფრო განვითარ. ტვინით, რ-იც ბევრად არ განსხვავდება თანამედ. ადამიანის ტვინისაგან. შესაძლოა, მას რაღაც გვაროვნ. წყობის ნაშთიც გააჩნდა. კლანიდან, ჯოგიდან იქმნებოდა საზ-ბა. მისი განვითარ. სახეა ჰომო საპიენს (ლათ. „ბრძენი", „გონიერი" ადამიანი). „შექმნათა" ამ მრავალმილიონიან მეცნ. პერიოდში არსებენ 3 მთავარ ეტაპს: 1. არქანთროპები (უძვ. ადამიანები), რ-იც ცხოვრობდნენ სამ, ორნახევარ მილიონ-სამასი ათასი წლის წინ (ოლდოვაის კაცი, პითეკანთროპი, პეკინის კაცი); 2. პალეოანთროპოსები (ძვ. ადამიანები): 300 000—400 000 წლის წინანდელნი: ნეანდერთალელნი სხვადასხვა ტიპისა — ჰომო საპიენსის გადაშენებ. სახეობა; 3. ნეოანთროპოსები (ახ. ად-ები): ჰომო საპიენს საპიენს, ახლანდ. ად-ის უშუალო წინაპარი, რ-ის ფორმირებას ვარუდობენ 30 000—40 000 წლის წინ. მისი ნაშთები აღმოჩენილია კრომანიონის გამოქვაბულში (საფრანგეთში) 1868, ეწოდა კრომანიონი.

ამრიგად, დგება ასეთი სქემა: ავსტრალოპითეკი და პარანთროპუსი (რამოპითეკის მსგავსი) — მაოი მონათესავე ჰომო ჰაბილის (2 მილ. წ.) — ჰომო ერექტის პაიდელბერგელი, ჰომო კაპენსის (1 მილ. წ.) — ჰომო ერექტის ერექტის, ჰ. მავრიტანიკუს (500 000 წ.) — ჰომო ერექტუს პეკინენსის, პეკინის კაცი (500 000) — ჰომო საპიენსი („გონიერი", 100 000) — ჰომო საპიენს ნეანდერთალენსის (100 000) — ჰომო საპიენს საპიენს (30 000 — 40 000). მთელი ამ დიდი ციკლის მიღმა ვარაუდობენ წინაპართა ისეთ ტიპებს, როგორიცაა პროკონსული, რამაპითეკი, პონგიდები (25 მილ. — 3 მილ.).

ამჟამად ადამიანმა ძიაღწია განვითარების უმაღლეს ფორმას და ბუნებრივი შერჩევით მისი განვითარება დასრულებულია, თავს იჩენს მხოლოდ ახ. საფრთხე, რომ თავისი უნივერსალური გონების მონაპოვრით არ დაასრულოს თავისი არსებობა, რაც მილიონჯერ უფრო დიდი უგუნურობა იქნება, ვიდრე ჰომინოიდების ყველა მოქმედება. ცხოველთა სამყაროს ად. გამოეყო შრომის შემწეობით, რ-საც საზოგად. მნიშვნელ. პქონდა და ქმნიდა ად-ს, როგორც საზოგ. არსებას, ბუნების ყველაზე უფრო სრულყოფილ ქმნილებას, სოციალურად, გონებრივად და ზნეობრივად დასრულებულ მეუფეს. ეს მეცნ. პროცესი დღესაც დასტურდება ახ. ანთროპოლ., არქეოლოგ., ენათმეცნ. და სხვა მონაცემებით.

ანთროპომორფიზმი (ბერძ. ანთროპოს — ადამიანი, მორფე — ფორმა) — ბუნების მოვლენების, აგრეთვე წარმოსახვით-ფანტასტიკური, ზებუნებრივი არსებების (ღმერთების, ბოროტ და კეთილ სულთა, დემონთა) მიმსგავსება ადამიანთან, როცა ადამიანს წარმოდგენებში თუ ხელოვნებაში თავისი გარეგნობა გადააქვს ზებუნებრივ არსებებზე (ანგელოზთა, ქაჯთა, ფერიების

და ა. შ. სახით) განსაკუთ. ცნობილია ანთროპომორფული ღვთაებები ეგვიპტურ მით-ში, სადაც ღმერთებს ადამიანის, ცხოველთა, ფრინველთა სახე ჰქონდათ.

ANTROPOPATIZMI (ბერძ. ანთროპოს — ადამიანი. პათოს — ეინი, ვნება) — ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება ბუნების „გაადამიანურებისაკენ“. ე. ი. გარეშო ბუნებაში ადამიანის უნარისა და თვისებების ჩილვა. ბურე. რელიგიათმცოდნეობაში ესაა რელიგ. მსოფლმხედველობის ფორმა. სინამდვილეში ეს რელიგიამდელი მოელენაა, ზებუნებრივის გაგებას ის არ შეიცავდა. იყო ბუნებაზე წარმოდგენის უმარტივესი ხერხი. ტერმინი შემოიღო გერმ. მეცნიერმა ფრ. შულცემ (XIX ს.). ენათესავება ფეტიშიზმის, ანთროპომორფიზმის. განსახიერების, პერსონიფიკაციის ცნებებს.

ANTROPOSOFIA (ბერძ. ანთროპოს — ადამიანი., სოფია — სიბრძნე) — მისტიკ. მოძღვრება ადამიანზე, რომელსაც თითქოს შინაგანი ღვთაებრივი უნარის გახსნით შეეძლოს ბუნებაზე ბატონობა. პირველი მსოფლიო ომის დროს გამოეყო თეოსოფიას (ნ.). პყავს მიმდევრები აშშ-ში. ფედერ. გერმ-ში. საფრ-ში...

ANTROPOCENTRIZMI (ბერძ. ანთროპოს — ადამიანი: ცენტრუმ — ცენტრი) — რელიგ.-ფილოს.. იდეალისტ. შეხედულება ადამიანზე. როგორც სამყაროს წყობის ცენტრსა და საბოლოო მიზანზე. ისევე. რ-ც ტელეოლოგია (მოძღვრ. მიზანზე). ამტკიცებს. რომ დასაბამითვე არსებობს ადამიანის მიღმური, წინასწარ დადგენილი. მიზანმიმართებითი ობიექტური ძალა. რომლის მიზანი და შუაგულია ადამიანის ფენომენი. ბრუნოს. კოპერნიკის. გალილეის. დარვინის, აინშტაინის, პაველოვის და სხვათა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა ნიადაგი გამოაცალეს ასეთი მოძღვრების არსს. განსაკ. ღრმად განვითარებულს იუდაისტურ. ქრისტ. და ისლამის რელიგიების კოსმოგონიურ თვალსაზრისებში.

ANIMATIZMI (ლათ. ანიმატუს — გაცოცხლებული. გასულიერებული) — ყოველი რელიგიისათვის დამახასიათებელი უძველესი წარმოდგენა ბუნების გაუპიროვნებელ ძალაზე. რ-ის წყალობითაც თითქოს ხდება უხვი მოსავლის მოწევა. პირუტყვის გამრავლება, წარმატება ნადირობაში. ოკეზაობაში, ბრძოლაში თუ შრომაში (ინდიელთა. ესკიმოსთა და სხვა ხალხთა რწმენით). ეს ძალა არაა გაპიროვნებული. მაგრამ. ჩანს. არის უძველესი ცდა სამყაროს ერთ მთლიანობაში გააზრებისა.

ANIMIZMI (ლათ. ანიმუს, ანიმა — სული) — სულთა. უსხეულოთა რწმენა. „რელიგიის მინიმუმი“, როგორც უწოდა ინგლისელმა ეთნოგრაფმა ედუარდ ტეილორმა, ანიმისტური თეორიის უფროსმდებელმა. გ. პლეხანოვის უფრო სწორი განსაზღვრით, ესაა ყოველი რელიგიის აუცილებელი ელემენტი. რომელიც დღემდეა შემორჩენილი მსოფლიოს რელიგიებში, მათ შორის ქრისტიანობაში (მადლის, წყალობის უნარის მიწერა ვინმეზე ან რამეზე. დაახ. იგივე. რაც პოლინეზიელთა და აფრიკელთა რწმენით არის „მანა“). სულთა სიმრავლე ბუნებაში განუზომელია, ამას ემატება მიცვალებულთა სულები. სტიქიის განსახიერებანი (კეთილი, ბოროტი. მავნე. მოწყალე. უხოროცო. ხორციელი).

ანისიმოველები — რელიგიური სექტა. „არამსმელთა“ სახელსწოდება. მათი მოთავე ანისიმ სმირნოვი ოცდაერთ წლებში პეტროგრადში ქადაგებდა სმახე და თამბაქოს წევაზე ხელის აღებას და ამ სასარგებლო ქადაგებას თავისებურად უთავსებდა შარლატანურ სცენებს, რამაც დანაშაულებრივ მოქმედებამდე მიიყვანა. 1925 წ. გაასამართლეს, დანაშაული აღიარა. სექტა დაიშალა (თუმცა ამ „ახალ ქრისტეს“ ცალკეული მიმდევრები დღესაც პოულობ).

ანტიკლერიკალიზმი — საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის მიზანია რელიგიისა და ეკლესიისაგან პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების, განათლების, მეცნიერების, კულტურის გამოყოფა, განთავისუფლება ყოველგვარი რელიგიური ტყვეობისაგან. კლერიკალიზმს ებრძვიან სხვადასხვა რწმენისა და ფილოსოფიური შეხედულების მქონე ადამიანებიც, თვით მორწმუნეები, რომელთა აზრითაც კლერიკალიზმში მხოლოდ ცალკეული ჯგუფების, რეაქციონერების მიერ რელიგიის ბოროტად გამოყენების შედეგია. ამიტომაც კლერიკალიზმის წინააღმდეგ ნამდვილი უკომპრომისო ბრძოლა წარმოებს მხოლოდ მარქსიზმის დროშით, თუმცა რელიგია და კლერიკალიზმი მაინც ერთი და იგივე არაა.

ანტიმინსი (ბერძ. „სატრაპეზო“) — ოდიკი, გარდამოხსნა სატრაპეზო (ოთხკუთხა ქსოვილი ქრისტეს გარდამოხსნის გამოსახულებით), ნ. ოდიკი.

ანტიოქიის ეკლესია.— ავტოკეფალური (დამოუკიდებელი) მართლმადიდებელი ეკლესია, თავისუფლება მიიღო III ს-დან (არაბეთის, სირიის, ფინიკიის, კილიკიის, კვიპროსის ეკლესიების გაერთიანება). აქვს 3 საეპარქიოსო (ავსტრალიის, მექსიკის, ჩილის), 18 ეპარქია. ცენტრი — დამასკო (სირია). აერთიანებს 1 მილიონამდე მორწმუნეს.

ანტიპაპი (ლათ. ანტიპაპა) — კათოლიკური ეკლესიის ის მეთაურები, რომელთაც ეკლესია არ ცნობს და მხოლოდ ასახელებენ (ისიც ფრჩხილებში) ყოველწლიურ სიებში. სულ დაახლოებით 300 პაპია (პირველ პაპად ითვლება პეტრე მოციქული), აქედან 27 უკანონოდ. ანტიპაპად ითვლება: ზოგის არჩევა ჩაითვალა არასწორად, ზოგმა გასამრჯელო მიიღო და ტახტზე უარი განაცხადა, ზოგიც რომელიმე ხელმწიფის მფარველობით სარგებლობდა, საკუთარი „კარი“ გაიჩინა და ფაქტიურად „განუდგა“ ეკლესიას, თუმცა ეს რომ კრიტერიუმად გაეხადათ, ყველაზე უფრო ცოდვილი, „ცინიკოსი და გახრწნილი“ (ენგელსმა, თქვა ბალთაზარ კოსაზე) იყო იოანე XXIII, ინოკენტი VII. ალექსანდრე VI. პირველი ანტიპაპი იყო წმ. იპოლიტე (217—235). უკანასკნელი — ფელიქს V (1439—1449). მათ შორის მცირე ხნით ბატონობდნენ ნოვაციანი, ფელიქს II (განდევნეს), დამასი I, ლავრენტი და სხვები. ტიაროსან ტირანთა ცვლას ხალხთა ბედი არასოდეს შეუმსუბუქებია. „პაპები იცვლებოდნენ, მოსდევდნენ ერთიმეორეს, მაგრამ მმართველობის სისტემა რჩებოდა უცვლელი, გაუსწორებელი და გამოუსწორებელი“ (ფრ. შლოსერი, „მსოფლიო ისტორია“).

ანტიფონი (ბერძ. „შეპასუხება“) — ცისკრის ლოცვაზე იბაკოს შემდეგ წასაკითხავი რამდენიმე მუხლიანი ლოცვა. „გალობა აღსავალთა“, რასაც ბანს აძლევენ მეორე კლიროსში. ნ. აღსავალები.

ანტიქრისტე — ქრისტეს მოწინააღმდეგე (იოანე ღვთისმეტყველის მი-

ხედვით). რომელიც დაკავშირებულია სამყაროს აღსასრულის, წარღვნის, ნგრევისა და ქრისტეს მეორედ მოსვლის (გამოცხადების) კოსმიურ მოვლენასთან. იოანეს გამოცხადებაში აღწერილია საზარელი მხეცი, რომელიც თითქოს ქეყნიერებას მოვლენია ყოველნაირი შეცოდების, გარყვნილების, წმინდანთა დევნისა და უანგნობისათვის („ვინ არს მსგავსი მხეცისა ამის? ვინ შეძლებელ არს ბრძოლად ამისა? და მიეცა მას ხელმწიფება ყოველ ბრძოლისა ორმეოც და ორი თთვე... ყოველსა სედა ტომსა და ერსა, და ენასა და წარმართთასა"). ხანმოკლე მეუფება ანტიქრისტესი დასრულდებაი ქრისტეს გამოცხადებით და ბორიტების დათრგუნვით. ᲔᲑᲘᲡ საფუძვლად უნდა დასდებოდა რომაელთა რწმენა იმპერატორ ნერონის მეორედ გამოცხადებასე, რაც შემდეგ ანტიქრისტეზე გადაიტანეს და გამოიყენეს რელიგიური ფანატიზმის გასაღვივებლად. XIII ს-ში, პაპმა გრიგოლ IX-ძ ანტიქრისტე უწოდა ფრიდრიხ II-ს. რეფორმაციის ეპოქაში პაპი და ლუთერი ერთიმეორეს ანტიქრისტეს ეძახდნენ. განხეთქილების ლიდერი ამბაკო ამბობდა: „მეფე და პატრიარქი — ანტიქრისტეს ორი რქა არისო" („გამოცხადებაში" ლაპარაკია „სხვა მხეცზე", რომელსაც ჰქონდა „რქანი ორნი, მსგავსი კრავისა, და ზრახეიდა, ვითარცა ვეშაპი"). რუსეთის მართლმადიდებელთა მესვეურებმა გაავრცელეს ხმა, რომ ანტიქრისტე პეტრე დიდის სახით გამოცხადდა; 1918 წ. კი პატრიარქმა ტიხონმა საბჭოთა ხელისუფლება ანტიქრისტეს განსახიერებად გამოაცხადა; საძულველი, ურწმუნო, სასტიკი ადამიანი, ტირანი

ᲐᲞᲝᲙᲐᲚᲘᲤᲡᲘ — ნ. გამოცხადება.

ᲐᲞᲝᲙᲠᲘᲤᲔᲑᲘ (ბერძ. აპოკრიფოს — საიდუმლო, დაფარული) — ძველი და ახალი აღთქმის (ბიბლიის, სახარების) ის წიგნები, რომლთაც ეკლესია ცრუ და მავნე ნასხვაურებად აცხადებს და კრძალავს გამოყენებას. შინაარსით არსებითად არ განსხვავდებიან „საღმრთო წერილისაგან", მაგრამ მათთან ბრძოლაში გამოვლინდა შეურიგებელი ბრძოლა საეკლესიო დოგმატებს შორის: უფრო ძლიერი დოგმატები ერეტიკოსებად აცხადებდა მოწინააღმდეგეებს. მათს წიგნებსაც ეწოდებდა. ძველი აღთქმის კანონიზაციის დროს რამდენიმე ათეული წიგნი გამოცხადდა აპოკრიფად. მათი უმეტესობა, ისტორიულად და ლიტერატურულად, ცხადია, საინტერესო, დაიკარგა. 1947 წ. მკვდარი ზღვის გამოქვაბულებში ნახეს ზოგიერთის ფრაგმენტები, დევნის დროს გადანახული ნაწილები. ახალი აღთქმის კანონიზაციის შედეგად ლაოდიკეს საეკლესიო კრებამ 364 წ. აპოკრიფულად გამოაცხადა დაახ. 30 სახარება, ათი „გამოცხადება", ეპისტოლეები. საქმე მოციქულთა და სხვ. არც ახალი აღთქმის აპოკრიფები შემონახულა — უმეტესობა დაკარგულია. რელიგიური დევნის შედეგად განადგურდა იშვიათი ხელნაწერები, შემორჩა მხოლოდ მამათა თხზულებების ციტატების სახით. 1956 წ. ეგვიპტეში ნახეს ზოგი ნიმუში. დაახ. 70 აპოკრიფიდან შემონახულია სამი ათეული. ძვ. აღთქმის აპოკრიფებია: I ეზრას წიგნი, ტობია, იუდითი, სიბრძნე სოლომონისა, ისუ ზირაქის სიბრძნე, ბარუქის წიგნი, იერემიას ეპისტოლე, ეზრას აპოკალიფსისი, I—II—III მაკაბელთა, იობის და ზოგ სხვა წიგნთა ნაწილები. მეორე რიგის აპოკრიფებად ითვლებიან ადამ და ევას ცხოვრება, ენოქის წიგნი და სხვ. ქრისტიანული ეკლესიისათვის სეპტანტის მიხედ-

ვით ითარგმნა როგორც კანონიკური, ასევე არაკანონიკური წიგნებიც. ასევე ითარგმნა ბიბლია სრულად ქართულ ენაზეც. ქართულს აპოკრიფების თარგმანის უძველესი ტრადიცია აქვს. მხოლოდ ქართული თარგმანშია შემონახული ტობიას წიგნის ერთი ვერსია. ახალი აღთქმის ზოგი ნაწილი („საქმენი" ფრაგმენტები და სხვ.) უკვე გვქონია V—VI ს. ხანმეტ პალიმფსესტებში. შემონახულია წმ. გიორგის დადიანისეული ცხოვრება, ლიტერატურაში ცნობილია ზოგი ორიგინალური აპოკრიფული თხზულებაც (ნებროთის, ქრისტეს კვართის ამბები). თარგმნიდნენ ლეონტი მროველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ცნობილი იყო ტერმინებიც: „განკანონებული" და „განუკანონებელი" ეს საკითხი უკვლევიათ ნ. მარს, ა. ხახანაშვილს, ი. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, ც. ქურციკიძეს, რ. ბარამიძეს.

აპოლოგეტები — პირველი ქრისტიანი მწერლები, ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველნი, რომლებიც ამტკიცებდნენ ქრისტეს მოძღვრების ყოველნაირ სიკეთეს, ათანხმებდნენ ანტიკურ ფილოსოფოსთა მოძღვრებებთან. მთავარი აპოლოგეტები იყვნენ იუსტინი (გარდ. 165 წ., დაწერა „აპოლოგია"), ათანაგორე, შემდეგ ტერტულიანე (155—220), რომელიც ქადაგებდა ასკეტიზმს (მისი თქმა: „მწამს, რადგან აბსურდია", ე. ი. ქრისტ. დოგმები უნდა იწამოთ, თუნდაც უაზრობად გეჩვენოთო).

აპოლოგეტიკა (ბერძ. — გეტიკოს, „დამცველი") — თეოლოგიის დარგი, „ძირითადი ღვთისმეტყველება", რომლის მთავარი მიზანია ქრისტ. რელიგიის დაცვა ათეიზმისა და მატერიალიზმისაგან. შეიქმნა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. პირველი აპოლოგეტების (ეკლესიის მამების) ნაშრომები ამტკიცებდნენ ამ რელიგიის უპირატესობას, ჰუმანურობას, პროგრესულ ხასიათს ყველა სხვა რელიგიასთან შედარებით და ებრძოდნენ მწვალებლებს, განდგომილებს, იუდაიზმს, ქრისტიანთა შემავიწროველ იმპერატორებს. მას შემდეგ, რაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ა-ის მიზნად იქცა ბრძოლა ერესთან, ამჟამად ცდილობს შეეგუოს ახალ ვითარებას და კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ შეუძლებელია სამართლიანობის, წმინდა ზნეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება ჭეშმარიტი რელიგიის გარეშე. მატერიალიზმის საწინააღმდეგო პოზიცია უჭირავს მეცნიერებასთან და ფილოსოფიასთან დამოკიდებულებაში. აპოლოგიები იწერებოდა II—III ს-ებში (ნ. აპოლოგეტები).

აპოსტოლი (ბერძ. „გზავნილი", მოციქული) — ნ. მოციქული.

არბობა, ატოცობა — გიორგობა (15—18 აგვ.).

არიანობა, არიანელობა, არიოზელობა — ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმდინარეობა IV—VI ს-ებში, რომლის დამფუძნებელია ალექსანდრიელი (ეგვიპტელი) მღვდელი არიოზი (გარდ. 336). საფუძველი ჩაეყარა დაახ. 318 წ. არიოზო (არიუსი) ამტკიცებდა, რომ მამა ღმერთი მარად არსებობდა, ქრისტე კი არარაობიდან იშვა, უზენაესის „უბრწყინვალესი ქმნილებაა", იგივე ადამიანია, თავისი სიკეთით რომ ღმერთს გაუტოლდა, მაგრამ ადამიანური საწყისი ჭარბობს. ამით უარყოფდა მთავარ ქრისტ. დოგმას მამისა და ძის ერთარსობაზე. ცდილობდა დაეძლია წინააღმდეგობა იუდაიზმის ერთღმერთიანობასა (მონოთეიზმსა) და ქრისტ. სამებას შორის. მიმდინარეობა დაგ-

მო ჯერ 320 წ. ალექსანდრიის საეკლ. კრებამ, მერე კონსტანტინე დიდის მიერ მოწვეულმა ნიკეის კრებამ 325 წ., ბოლოს კონსტანტინოპოლის საეკლ. კრებამ (381). მაგრამ ა-ს მაინც ბევრი მიმდევარი გაუჩნდა, მეტადრე ხელოსნებში. შემოინახეს გუთებმა, ბურგუნდებმა, ვანდალებმა, ლანგობარდებმა. პოლონელი სოციინი XVI ს-შიც კი ქადაგებდა (სოციინიანობა). განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებდა ა-ის წინააღმდეგ დიდი ალექსანდრიელი ღვთისმეტყველი, მართლმადიდებლობის მამად წოდებული ათანასე (გარდ. 373).

არმაგედონი (დამახინჯებული ებრაული სიტყვებიდან: ჰარმ გიდდონ „ქალაქი მეგიდას მთასთან", სადაც ხდებოდა ხშირი საბრძოლო შეტაკებები) — ადგილი ჩრდ. პალესტინაში, სადაც იოანეს გამოცხადების მიხედვით უნდა მოხდეს უკანასკნელი დიდი შეტაკება იაკვეს (იეჰოვას) და სატანის ძალებისა და უნდა მონაწილეობდეს ყველა მეფე. ამ ბრძოლაში უნდა დამარცხდეს ბაბილონის მეძაური, „დედაკაცი მჯდომარე მხეცსა ზედა წითელსა... რომელსა ედგნეს შვიდნი თავნი და ათნი რქანი". შვიდი თავი — შვიდი მთაა, და მეფენი არიან შვიდნი, „და ათნი იგი რქანი ათნი მეფენი არიან" „და ადგილსა მას ეწოდების ებრაელებრ არმაგედდონ" (გამოცხ. იოანესი, 16,16). ამ ბრძოლაში ბაბილონის მეძაური უნდა მოკვდეს და შეიჭამოს, რაც თავისებური სიმბოლიკაა ბოროტების ძლევისა, მეორედ მოსვლისა, ქვეყნიერების ხსნისა და განახლებისა. სატანა დაემხობა და იეღოვისტები გაიმარჯვებენო, ასეთია ამ ჩვენების შინაარსი

არქეოლოგია, საეკლესიო (ბერძ. მოთხრობა ძველზე) — რელიგიის დარგი, რომლის მიზანია მეცნიერული არქეოლოგიის მისადაგებით ახსნას და დაასაბუთოს ვითარება, ფონი, გარემო, ადათი, წესები, ისტორიის ქრისტიანული გაგება, არქეოლოგიური მონაცემებით გაამართლოს ძველი და ახალი აღთქმის მონაცემები. ამასთან ხდება მრავალი ფაქტის ფალსიფიკაცია. მთელი მითქმა-მოთქმა, აკიოტაჟი გამოიწვია ახლახან თითქოს ქრისტეს კვართის აღმოჩენამ ერთ-ერთ სამარხში, ამაზე დაიწერა გამოკვლევები სამეცნიერო პრესაში. შეიქმნა ავტორიტეტული სამეცნიერო კომისიები, ჩატარდა სისხლის ლაქების ანალიზი, ქსოვილის გამოკვლევა და ა. შ.

განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ბიბლიური არქეოლოგიის მუშაობამ, XIX ს. ნახევრიდან გამოიყო დიდი თანხები არქეოლოგიური კვლევა-ძიებისათვის ბიბლიურ ადგილებში (პალესტინაში და სხვ.). აღმოჩნდა მრავალი მონაცემი, რაც ბიბლიაში სასწაულად მოთხრობილი ამბების ისტორიულ სარწმუნოზე მეტყველებს. არ დადასტურდა ებრაელთა ყოფნა ეგვიპტეში და იქიდან გამოსვლა; წარღვნის ანუ ხალხის წარმოდგენით „მეორედ მოსვლის" საყოველთაო ხასიათიც არ დადასტურდა, ნახეს მხოლოდ სამხრეთ პალესტინის ფარგლებში მომხდარი წყალდიდობის ფაქტი. შეისწავლეს მიწის შრეები და დამტკიცდა, რომ ბიბლიური მოთხრობა მითიური ხასიათისაა და სხვ.

არქიდიაკონი — ნ. დიაკონი (ბერძ. „მთავარი დიაკონი").

არქიელი (ბერძ. არქიერეკსი — უფრ. მღვდელი) — მღვდელმთავარი, უმაღლესი საეკლ. იერარქები (ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი, პატრიარქი).

არქიმანდრიტი (ბერძ. ხლეულის უფროსი, იგულისხმება მონასტრის

ზღუდე – გალავანი) – მართლმადიდებელი ეკლესიის ბერთა უმაღლესი სასულიერო წოდება; მამაკაცთა დიდი მონასტრის წინამძღვრის, ზედამხედველის საპატიო ტიტული; სასულიერო სემინარიის რექტორი; სასულიერო მისიების უფროსი.

ასამაღლებელი (რუს. ეოზგლას) – სამების სადიღებელი, ლოცვათა ბოლო ლექსი, რასაც მღვდელი ხმამაღლა წარმოთქვამს. სასჯიმო კილოთი. საიდუმლო ლოცვისაგან განსხვავებით, მისი თქმის ნება ეძლევა მხოლოდ მღვდელს ან მღვდელმთავარს („ძალი და დიდება მამისა, და ძისა...“; „ხმითა ჩემითა...“).

ასკეტიზმი (ბერძ. ასკესის – გმირობა, ვარჯიში) – განდეგილობა, ხორცის გვემა, ცხოვრების სიამეთა უარყოფა, ბუნებრივ მოთხოვნილებათა ჩაკვლა რწმენითა და სებისყოფით, მორწმუნის პირადი ცხოვრების ძირითადი კანონი. ახასიათებს თითქმის ყველა რელიგიას, მაგრამ ქრისტ. რელიგიის არსებით თვისებად იქცა ეკლესიის მამათა ქადაგებით, რომ მორწმუნემ მიბაძოს წმინდანებს, ჩაიკლას ყველა სურვილი და მოახდინოს „გმირობა“, დაიკლოს საჭმელ-სასმელი და სარწმუნოება მიუსაღაგოს თავის სიღარიბეს, „აცხონოს სული“. მეცნიერება და პროგრეს. ლიტ. უარყოფენ ცხოვრებისაგან უაზრო განდგომას, პასიურობასა და თვითგვემას. ი. ჭავჭავაძე „განდეგილში“ გმობს სალი კლდის მღვიმეში დაკუდებული განდეგილის მოქმედებას და ბრალს ქალს ათქმევინებს: „ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ! მერე იცი კი, რარიგ ტკბილია? აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე, აქ ჭირია და იქ კი ლხინია“. ამ დავაში ასკეტი მარცხდება. ესაა სიცოცხლის უარყოფა.

ასკლეპიოსი (რომ. ესკულაპი) – აპოლონისა და ნიმფა კორონიდას ძე, მკურნალთა ღმერთი ბერძ. მით-ში. განსაკუთრებით ძლიერი იყო მისი კულტი ეპიდაროსში. საითაც მთელი საბერძნეთი მიეშურებოდა.

ასტარტა – მიწათმოქმედების, დედობისა და სიყვარულის ქალღმერთი ფინიკიურ მითოლოგიასა და რელიგიაში, გამოსახავდნენ შიშველ რქოსან ქალად.

ასტარტას ეძღვნება საყურადღებო ლექსი, რომელიც ერთი მხრივ უგარიტული მითოლოგიის მოტივებს გამოხატავს, მეორე მხრივ ეგვიპტის ახალი სამეფოს მითოლოგიურ ტექსტებს ეხმიანება და თავისი ლორელაისებური მოტივით ახალ დროშიც პოულობს გამოძახილს. ცუდად შემონახულ ბერლინურ პაპირუსში ეს სადავო, თავსა და ბოლოს მოკლებული კონტრასტული ლექსი სემიტურ იშტარსაც მოგვაგონებს და ბერძენთა აფროდიტესაც, რაც მითოლოგიურ რეგიონთა ნათესაობაზეც მეტყველებს: „ვარ პირველი და უკანასკნელი; ვარ საძულველიც, პატიეცემულიც; ვარ შეძავი და კდემამოსილი; ვარ დიაცი და ქალწული ქალი; მე ვარ დედა და ასული მისი; ვარ კიღურები დედაჩემისა, მე ვარ ცოდნა და ვარ უმეცრება; ვარ უსირცხვილო და მორცხვი თანაც; მე ვარ შიში და ვარ ძლიერება; მე ვარ ომი და მე ვარ მშვიდობა... მე ვარ ბერძენთა, ძველ ბერძენთა სიბრძნე და მცირე ცოდნა ბარბაროსების... მაქეს ეგვიპტეში ბევრი ხატება, არ მაქვს სურათი ბარბაროსებში; ვარ ყველასაგან შეძულებული და ყველასაგან შეყვარებული“, ადამიანის ბუნების ორმაგობა, სიკეთისა და სიავის მთლიანობა, საერთოდ ერთიანობა.

რამაც ჩინელი ბრძენის ლაოძის აზრითაც შეკრა არსი ყოველი. ცა და მიწა, ადამიანი და ბუნება, — აი, ესაა გამოხატული დიდი ქალღმერთის ასტარტას ამ დახასიათებაში.

ASTRALURI KULTEBI (ბერძ. ასტრონ — ვარსკვლავი) — ლოცვა. შელოცვა, წესები, ცერემონია, დაკავშირებული ციურ სხეულთა გაღმერთებასთან. ყველა ძველსა და ახალ რელიგიას თავისებურად ახასიათებს. განსაკუთრებით ძლიერი იყო ა. კ. შუამდინარეთში, ქალდეაში. ეგვიპტეში, საბაელთა ტომში (საახ. არაბეთი). ნაეოფია უძველეს წარმოდგენებში ციურ მნათობთა გაღმერთებისა და მათზე დაკვირვებისა მიწების მორწყვასთან დაკავშირებით. ბაბილონში გაღმერთებული იყო მთვარე (სიმ), მზე (შამაშ — ჩანს, შუმორრა სვანურ სიმღერაში „შამარერა" — მზის ჰიმნი), მარდუქი (იუპიტერი), იშთარი (ვენერა, „ბაბილონის დედოფალი", აფროდიტე). ნაბუ (ბიბლ. ნებუ, მერკური), ნინურტუ (ცოომილი სატურნი). ძველ ხალხებს სწამდათ, რომ მათ შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ მოსავლიანობაზე, ადამიანთა ბედზე. „არგონავტიკაშიც" ძთვარე გაღმერთებულია, ამიტომ უმართებულოა ზოგ თარგმანში „ნათელი მთვარის" ციტირება, უნდა იყოს „წმინდა მთვარე" (იერეს მენეს). ა. კ-ის ნიადაგზე განვითარდა ბაბილონში ასტროლოგია, მეცნიერება. ქრისტ. რელიგიაში ამ ცრუ რწმენის კვალია მითებში ბეთლემის ვარსკვლავზე, რ-იც თითქოს ყრმისაკენ სავალ გზას უკვლევდა აღმოსავლელ მოგვებს, და იოანეს გამოცხადების შვიდი ვარსკვლავი („საიდუმლო შვიდთა ამათ ვარსკვლავთა, რომელნი იხილენ მარჯვენესა ჩემსა ზედა...", I, 20).

ASTROLOGIA (ბერძ. ასტრონ — ვარსკვლავი, ლოგოს, — სიტყვა, მოძღვრება) — ძველ ხალხთა რწმენა, თითქოს შესაძლებელი იყო ციურ სხეულთა განლაგების მიხედვით ადამიანთა, ქალაქთა და სახელმწიფოთა ბედ-იღბლის წინასწარმეტყველება. დაკვირვებას ახდენდნენ უბრალო თვალით და პროსკოპით. წარმოიშვა ძვ. ასირიაში, ბაბილონში, ეგვიპტეში... რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მრავალი მეფე, სარდალი, იმპერატორი სალაშქროდ ისე არ წავიდოდა, ასტროლოგთა რჩევა რომ არ ეკითხა. ზოგჯერ შემთხვევით წინასწარმეტყველება მართლდებოდა, რაც ამ ცრუ რწმენას ძალას აძლევდა. ამ დაკვირვებასაც და ასტრალურ კულტსაც ის სარგებლობა მოჰქონდა, რომ ადამიანი სწავლობდა ციურ სხეულებს, მოვლენებს. ასტროლოგებს, ვარსკვლავთმრიცხველებს უზენაესი სიბრძნით მომადლებულად რაცხდნენ და დიდი მოწიწებით ექცეოდნენ. შემორჩა ხალხთა მეტყველებაში: „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული", „უბედური ვარსკვლავი" და სხვ. უცხოეთში დღესაც სწამთ, იბეჭდება პროსკოპები, ზოდიაქოს ცხრილები, ჟურნალები...

AUTODAFE (ესპ. და პორტ. აუტო და ფე — „რწმენის აქტი") — ინკვიზიციის განაჩენის აღსრულების (ან გამოცხადების) სახეობა ცერემონიალი, რ-შიაც მონაწილეობდა ყველა რანგის სამღვდელოება, ტრიბუნალის წევრები, ბერები, მსახურნი, მსჯავრდებულნი, რ-თაც ემოსათ მასხრული, მოხატულ-აჭრელებული სამოსი (სანბენიტო). მსვლელობა თავდებოდა იმით, რომ მეფის ან სხვა ხელისუფალთა დასწრებით კითხულობდნენ განაჩენს, კოცონზე აპყავდათ განკიცხულნი ან სჯიდნენ გაშოლტვით. კიდურთა მტვრე-

ვით. საპარცხვინო ბოძზე გაკვრით და ა. შ. (უკანასკნელი ა. მოხდა 1826 წ.). ერეტიკოსთა, კუდიანთა, განდგომილთა ამ საჯარო დასჯის გირდა ასე ეწოდა ეკლესიისათვის მიუღებელ წიგნთა და ხელნაწერთა საჯარო დაწვას.

აღაბი (ბერძ. აგაპაი, აგაპე — სიყვარული; აგაპაძო — პატივით მიღება) — სვანური წარმართული დღესასწაული, ლაშქრობა, მოსდევდა ჯგირაგ უღვლაშობას და მერსანაბს. კაცი მეზობლის კარში შეაგდებდა ანთებულ ჟინჟღილს (ხიხილის ან მუხის თაგგაჩეჩქილ და წინასწარ სხვენზე გამხმარ „ლამპარს"). მერე გაიქცეოდა და მეზობლები მოსდევდნენ. ყველა მეზობელი თოვლში დაასობდა ჟინჟღილებს და იმართებოდა ლოცვის ცერემონიალი აღბერ — სამი კვირა მარხვიდან (ლალჩა — მარხვა), ნ. აღაპი.

აღაპი (ბერძ. აგაპაძო — დიდი პატივით მიღება ან გაცილება) — სერი. მოსახსენებელი, სერობა, ქრისტ. დღესასწ. (VII ს-მდე), ქრისტეს უკანასკ. სერობის მოსაგონებელი საღამო: წირვის დროს მკვდელი ახსენებს განსვენებულებს, რომლებიც საღამო რვეულში უწერია. მართლმადიდებელ ეკლესიაში ეს ხდება მეცხრე, მეორმოცე დღეს, ნახევარი წლისა და წლისთავზე მოსაგონებლის გარდაცვალებიდან, გარდა საერთო მოსახსენებელი დღეებისა (სამების კვირაძალზე, მშობელთა შაბათი) ეკლესიის მოძღვრებით, ღმერთი შეისმენს ლოცვას და შეუმსუბუქებს ხვედრს განსვენებულთა სულს. გადმონაშთია სულთა უკვდავებისა და წინაპართა ხსოვნის რწმენებისა. მოსახლეობის სარწმუნოებრივი სიმტკიცისათვის ამ წესს დიდი მნიშვნელობა ეძლეკა. აღაპის წიგნი — სადაც მიცვალებულთა სახელებია, აღაპი განუჩინეო — გამოთქმაა. რუს. პომინანიე.

აღდგინება — (მკვდრეთით) აღდგენა (ლაზარეს აღ.). მრავალჯერაა ნახსენები ძვ. და ახ. აღოქმაში (II ნეშტთა 24, 13, II მაკაბელთა 14, 33; იოანე 2,19): კელავ აშენება (ტაძრის).

აღდგომა (ებრ. პესაჰ, პესაქ — გამოსვლა, გადასვლა: ებრაელთა გამოსვლის გამო ეგვიპტის მონობიდან. რაც მოსეს ხუთწიგნეულშია მოთხრობილი. აქედ. ბერძ. პასქა) — ქრისტ სარწმ-ის მთავარი დღესასწაული, ჯვარცმულ იესოს მკვდრეთით აღდგომის დღის აღსანიშნავი საყოველთაო რელიგ. ზეიმი. თავდაპირველად უკავშირდებოდა ებრაელთა ანალოგიურ დღესასწაულს, ეგვიპტიდან გამოსვლას, აგრეთვე გაზაფხულის აღლუმს, იაპვეს (იეღოვას) გულის მოსაგებსა და მოსავლიანობის, პირუტყვის გაძრაველების მიზნით შეწირულ მსხვერპლს („პასექის" დღესასწაული). შემდეგ დაიწყეს მაცოტის (ხმიადის) დღესასწაულის აღნიშვნა (პურის თავთავების შეწირვა). როცა ებრაელთა ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა, ჩაისახა ერის მხსნელი მესიის რწმენა, რაც ქრისტ-ბამ გაწმინდა ებრ. წესებისაგან და აქცია ახალი, კაცთმოყვარული, საყოველთაო რელიგიის, მესიის, ქრისტეს რწმენად,

აღდგომა — იმედის, განახლების, მარადიული სულიერი სისპეტაკის, ზნეობრივი სიწმინდის დღესასწაულია, რ-საც საძირკველი ჩაეყარა „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი იესოს" მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით.

აღდგომა — უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, „ოდეს ყოველი არსი ხარობს, რამეთუ აღდგა ქრისტე" (ახ. სტ. 4 აპრილსა და 8 მაისს შორის).

აღდგომის ზეიმი, უძველეს მესაქონლეთა და შემდეგ მიწათმოქმედთა საგაზაფხულო, საყოველთაო განახლების დღესასწაული, უშორესი ძირებით სხვა უძველეს „წარმართულ რელიგიებთან კავშირშია, უწინარეს ყოვლისა მოკვდავი და აღდგინებადი ღმერთის რწმენით. რაც ყველგან ბუნების კვდომასა და აღდგომას უკავშირდება (ფინიკიელთა, ბერძენთა, ფრიგიელთა სიკეთის ღმერთი კვდება და აღდგება ბუნებასთან ერთად). ეგვიპტელთა კეთილი ღმერთი ოსირისი ვერაგმა ძმამ სეთოსმა მოკლა, დაქუცმაცა, მიმოაბნია; მერე ერთგულმა დამ და მეუღლემ ისიდამ ნაწილები აკრიფა, შეკრა, გააცოცხლა, და ის მიცვალებულთა ღმერთად იქცა. მაგრამ ხალხი ყოველ გაზაფხულზე მის აღდგომას გამორჩეული ზეიმით ხვდებოდა, შეძახილით: „ოსირისი აღდგა!"

აღდგომას წინ უძღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება და ზიარება, ვნების კვირა (იესოს წამება, ეკლის გვირგვინით შემკობა, ცემა, ჯვარცმა, ე. ი. ვნების, ტანჯვის დღეები). ესაა ზეიმთა ზეიმი. აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნიც ქადაგებდნენ და სინედრიონის ნებით ჯვარცმულ ქრისტეს სახით განხორციელდა.

თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ და IV ს-ში მიეცა თანამედროვე სახე; ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო ყრილობამ 325 წ. დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობიდან (დღისა და ღამის თანასწორობის, საესე მთვარის) მომდევნო კვირას (იუდეველთა პასქის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს). ეს ხვდება ძვ. სტილით 22 მარტიდან 25 აპრილამდე (ახ. სტ. 4 აპრილიდან 8 მაისამდე, ე. ი. მთელი თვის განმაელობაში მერყეობს, ამიტომ განეკუთვნება მოძრავ დღესასწაულებს). მასთან დაკავშირებული დღესასწაულებია მიმდევრობით ხორციელი-ყველიერი, აღდგომა-ამაღლება, სულთმოფენობა (სამებობა). დიდი ზეიმი გრძელდება ერთ კვირას, ესაა ნათელი კვირა (კვირაცხოვლობამდე). საადგომო სიმბოლო — წითელი კვერცხი აღნიშნავს ადამიანთა სახსნელად ქრისტეს მიერ დაღვრილ სისხლს და მარადიულ სიცოცხლეს (კვერცხი). სამსხვერპლო ბატკანი ტრადიციულია. მესაქონლე ებრაელები უდაბნოს და საძოვრის სულთა გულის მოსაგებად აღთქმული ქვეყნის გზაზე ბატკანს სწირავდნენ. ძვ. წ. XIII ს-დან ებრაელთა პასექი უმთავრესად აგრარულ დღესასწაულად იქცა. შემდეგ მას მიემატა მესიის იდეა, ქრისტიანთა გაგებით იესო ქრისტე — კაცთა მოდგმის მხსნელი მესია, რ-საც შორეულ წარსულში ჰყავდა ანალოგიური პროტოტიპები: ხსენებული ოსირისი (ეგვიპტეში), ადონისი (ფინიკიაში), რეა-კიბელე (ფრიგიაში), თამუზი (დუმუზი) (ბაბილონში) (ღმერთები, რ-ებიც კვდებიან და აღდგებიან). კვერცხიდან ცოცხალი არსების გამოსელა მარადიული სიიდუმლოება იყო და ქრისტიანულ სიმბოლიკაშიც ასე შევიდა (შეღებვა სხვადასხვა ფერით, როგორც ფიქრობენ, სულთა ყურადღების მიპყრობის რწმენიდან მოდის).

რუსეთში და სხვა ქვეყნებში აღდგომა დაემთხვა საქონლისა და მიწის ნაყოფიერების, სიუხვის საგაზაფხულო დღესასწაულს. საქ-ში ის უფრო წმინ-

და რწმენის საბით შემოვიდა, როგორც მაცხოვრის დღესასწაული, ყველა წესით. უმთავრესი კი იყო შვიდკვირიანი მარხვა, რწმენა ქრისტეს ენებისა, რაც დასრულდა გოლგოთაზე (აღდგომის საეანე), ბოლოს კი დაგვირგვინდა მკვდრეთით აღდგომით.

დღესასწაულთა ციკლის გასარკვევად ადგენენ საგანგებო ცხრილებს — პასქალიები. შაგ., 1988 წ. აღდ. იყო 10 აპრილს, 1989 წ. ხვდება 30 აპრილს, 1990 წ. — 15 აპრილს, 1991 წ. — 7 აპრილს, 1992 წ. — 26 აპრილს, 1993 წ. — 26 აპრილს, 1994 წ. — 1 მაისს.

1988 წ. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მეათასედ იზეიმა ნათლისცემის დღესასწაული, ე. ი. აღდგომაც. საქართველოში ის უკვე დაახ. 1600-ჯერ იზეიმეს, რაც ნიშანია იმისა, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას დიდი სოციალური, პოლიტიკური, კულტურული ძნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სასანური, სპარსული, საერთოდ მუსულმანური და წარმართული რელიგიების ნაცვლად ევროპის კულტურული ერების სარწმუნოებისაკენ შემობრუნებას, ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავების ერთ-ერთ სტიმულს, ერთა დაძმობილების სარწმუნოებრივ საფუძველს. ყოველივე ეს დადებითი მხარე მხედველობაში უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც დღესასწაულის მითიურ-რელიგიურ სარჩულზე, მორჩილების ქადაგებაზე, აღთქმული სასუფევლის მარადიულ ამაოებაზე მსჯელობს.

აღშბა (რუს. ზაგოვენიე) — ძარხვის შემოსვლის წინადღე (დღე ან ღამე), გერმანულ ენაში „უკანასკნელი ხორციელი დღე". სამეტყველო ენაში ცნობილია: ყველიერის აღება, დიდი აღების დღე, ხორცით აღება. ანდაზა: საწყალ გლეხკაცსა კინ მისცემს აღების ღამეს ღვინოსა! მჭადი ჭამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა.

აღთქმა (დაპირება) — თავისებური სიტყვიერი სახე ურთიერთობისა ღმერთსა და ადამიანს შორის (ებრაულ და ქრისტ. რელიგიებში), ძველსა და ახალ აღთქმაში. პირველად — იაპეეს (იაღვეს) ურთიერთობა პატრიარქ იაკობთან. შემდეგ ხალხთან (იუდაიზმის მიხედვით, ბიბლიაში): ღმერთი სიტყვიერად არიგებს, ლოცავს, აღუთქვამს, ასაჩუქრებს რჩეულ მსახურებს, ზოგჯერ ეჩვენება კიდეც. ასე, პატრიარქს ეუბნება: გამრავლდი, ეითარცა ზღვაში ქვიშაო, მოსეს კი სინას მთაზე გამოეცხადება და სხე. ახალი აღთქმის მიხედვით ღმერთი კავშირს აპყარებს არა ცალკე ხალხთან, არამედ ყველა ხალხთან. მთელს კაცობრიობასთან, სამაგიეროდ ჰპირდება მარადიულ სასუფეველს საიქიოში. აღთმული ქვეყანა — ქანაანი, პალესტინა...

აღსავალთა გალობა — ცისკრის ლოცვის წინარე მუხლი, რვა ხმისათვის; აღსავლები, ანტიფონი, ანტიფონები — წირვის პირველი სამი საგალობელი, მსგავსი ეამნისა (საუფლო დღესასწაულებზე). რუს. პროტივუპენიე.

აღსავლის კარი — ტაძრის კანკელის შუა კარი (ცარსკიე დვერი).

აღსარება — მონანიება, ქრისტ. სარწმუნოების ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, მორწმუნეებზე ზემოქმედების ძლიერი იარაღი: ცოდვების განდობა-მღვდლის წინაშე, რომელიც უფლის სახელით შეუნდობს, რაკი აღიარებ- და ინანიებს. ითვლება ქრისტეს მადლად, რომლის წყალობითაც ადამიანთუნდაც მკვლელი, თავისუფლდება ცოდვათა სიმძიმისაგან და ახლად იშობ-

როგორც ნათლობისას. ამასთან სინანულის აქტი ზნეობრივ სისპეტაკეზე მაღლა დგება, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას ცვლის პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე. როცა ფარისეველებმა დრტვინვა დაიწყეს, ქრისტე ცოდვილებს შეიწყნარებს „და მათთან სჭამს და სვამსო", მათ ქრისტემ უთხრა იგავი: მწყემსი რომ ერთ ცხვარს დაკარგავს, 99 ცხვარს მიატოვებს და იმის საძებნელად წავა, ნახავს და გაიხარებსო. „ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეღარა ოთხმეოცდა-ათცხრამეტთა მართალთა, რომელთა არა უხმს სინანული" (ლუკა, 15,7). ეკლესია ქადაგებს, რომ სინანულის გარეშე ვერც ზნესრული მორწმუნე იჩსნის სულს. ამით რწმენა დგება მორალზე მაღლა. ეს მრაგვრელებს ყოველთვის დიდ გასაქანს აძლევდა, ეკლესია კი ინარჩუნებდა მორწმუნეებს. ა. იქცა სახელმწიფოს ძლიერების იარაღად. მეფე (მაგ., პეტრე I) მღვდლებს აფრთხილებდა გაეცათ აღმსარებლის საიდუმლო, რაც ძალაუფლების ხელყოფას ეხებოდა. მღვდელი ხშირად არღვევდა აღთქმას, მორწმუნეთა საიდუმლოს გასცემდა ხოლმე. დღეისათვის ეკლესიებში მიღებულია კოლექტიური ა. და სინანული (რაც ახალი არაა), როცა ტაძარში მყოფი ყველა მორწმუნე ერთდროულად ინანიებს. პროტესტანტული წესი, რაც შვიდი საიდუმლოს ტრადიციებს უარყოფს, ცოდვილს არ აიძულებს ვინმეს გამოუტყდეს, მაგრამ მოვალეა შეცვალოს ის „თვითანგარიშით".

აღსრულება — რელიგ. ტერმინი, ქრისტ. შინაარსისა. ერთი მხრივ ძველი აღთქმის შეცვლა ახლით, მეორე მხრივ ბიბლიური ღვთისმსახურების აღსრულება და ახალი სარწმუნოების დამკვიდრება.

ახალი აღთქმა — ბიბლიის ნაწილი, ქრისტ. ღვთისმეტყველთა მიერ ასე წოდებული ძველი აღთქმისაგან (ბიბლიის ძველი ნაწილისაგან) გამოსარჩევად. შედგება 27 „წიგნისაგან": 4 სახარება (მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანესი), რომლებშიაც თვალსაჩინო განსხვავებით მოთხრობილია ქრისტეს შობის, ცხოვრების, სასწაულების, ქადაგების, ვნების, ჯვარცმის, აღდგომისა და ცადამაღლების ამბები: „მოციქულთა საქმეები", ქრისტეს მოძღვრების გამავრცელებელთა ამბავი, ადრე-ქრისტიანულ თემთა წყობის ამსახველი, დამრიგებლური და მამხილებელი ხასიათის ეპისტოლეები, სულ 21 წერილი, რომლებიც მიწერება მოციქულებს — იაკობს, პეტრეს, იოანეს, იუდას, პავლეს (რომაელთა, კორინთელთა, გალატელთა, ეფესელთა მიმართ და სხვ.); „იოანეს გამოცხადება" — ქვეყნიერების აღსასრულის, აპოკალიფსის, განკითხვის დღის ამბები. ამ წიგნებში იგრძნობა ახ. წ. I ს. რომაელ მწერალთა და ფილოსოფოსთა, იუდეველთა მესიანისტური სექტის წარმომადგენელთა ზეგავლენები (ფილონ ალექსანდრიელი, სენეკა და სხვ.), კიდევ უფრო — ძველი აღთქმისა (ხალხის მხსნელ მესიის იდეა, აგრეთვე თავისი შინაარსით წარმართული და ბიბლიური ცნება მეორედ მოსვლისა, რაც ქვეყნის აღსასრულის, წარღვნის, სტიქიური უბედურების ძველ მოლოდინს გამოხატავს და ქრისტიანულმა რელიგიამ დაამკვიდრა, როგორც ქრისტეს მეორედ მოსვლის, განკითხვის დღის აღმნიშვნელი ცნება). ახ. აღთქმის წიგნები ზეგარდმო ნაკარნახევ საღმრთო წიგნებად ითვლებიან და ეკლესია მათ ქრისტ. მოძღვრების, მორალის, პრინციპების დასამკვიდრებლად იყენებს.

ახალი დღესასწაულები — ახალი შინაარსის დღესასწაულები, რესპუბლიკის ცხოვრებაში უკვე მტკიცედ დამკვიდრებული და ტრადიციად ქცეული საზეიმო დღეები, რომლებიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და პროფესიულ დღესასწაულებთან ერთად თვალსაჩინო ადგილს იჭერენ და ადგილობრივ ხასიათში საზოგადოებრივ შინაარსს ითავსებენ. საქართველოში ამჟამად 130-ზე მეტი ასეთი დღესასწაულია, დაკავშირებული შრომისა და ძმობის ზეიმებთან, ერის სასიქადულო შვილთა ხსოვნასთან. ეროვნულ შინაარსთან ერთად ამით გასაქანი ეძლევა მოსახლეობის აქტიურობას, მის კულტურულ-ლიტერატურულ მხარეს, უკავშირდება რელიგიურს, გონივრული საწყისი ცვლის უსარგებლო ღრეობას. რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა ერთიანი სისტემა ახ. დ-ისა, დადგენილია კალენდარი, შემუშავდა პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდები. ყოველივე ეს ერის მესვეურთა საგანგებო ზრუნვის საგანია.

მაგალითად, საფარობა — მესხეთის დღესასწაული ქართული ხელოვნების შედევრთან — საფარის ტაძართან, იგონებენ კუთხის სახელოვან შვილებს, იხდიან ქორწილს, ჩამოყალიბებულია სახალხო უნივერსიტეტი. ნიმუშები: (IV თვე) სიმღერის დღესასწაული (ლენტეხი), მეგობრობის (საგარეჯო); (V) ყვავილების (ქუთაისი), დედის დღე (ზუგდიდი), გარეჯობა, სიმღერის (ცაგერი), პოეზიის (თბილისი); (VI) გოგლაობა (პატარძეული), გამსახურდიას დღე (აბაშა), საბაობა (ტანძია), დმანისობა; (VII) შრომის დღეობა (ეცერი, მესტია), მეცხვარის დღე (ომალო); (VIII) შუამთობა (ხულო), ვაჟაობა (დუშეთი), თრიალეთობა (წალკა), სამსახარაგველობა (წალკა), საფარობა (ახალციხე), გრემქალაქობა (გრემი); (IX) დიდგორობა (თეთრიწყარო), გურამიშვილობა (კასპი, ლამისყანა), აკაკის დღე, შოთაობა (ასპინძა); (X) ერისკაცობა (ჩოხატაური), ფაზისობა (ფოთი), იაკობობა (გორი), მამულიშვილობა (კასპი), მოსავლის ზეიმი (სიღნაღი, გურჯაანი), ფიროსმანობა (წითელწყარო), ილიაობა (ყვარელი), შოთაობა (იყალთო), თბილისობა; (XII) ნიკ. ბარათაშვილის დღე (თბილისი), ნატრობა, ყაზბეგობა....

ბ

ბა — ადამიანის არსი, სული, სიცოცხლის ძალთა განსახიერება ეგვიპ. მით-ში, კაცისთავიანი ფრთოსანი; დემონი ჩინ. მით-ში, ვირთხის სახისა.

ბაბიზმი (არაბ. სიტყვიდან „ბაბ" „კარიბჭე", სექტის დამფუძნებლის სეიდ ალი მუჰამედის (გარდ. 1850) ზედწოდება) — მუსულმანურ-შიიტური სექტა, სახალხო ამბოხების მეთაური ჯგუფი, რომელსაც უნდა გაევლო სამართლიანობისა და ჭეშმარიტების „ჭიშკარი" („ბაბ"). ალი მუჰამედმა თავი შუამავლად „ბაბად", თითქმის ღვთაებად გამოაცხადა (შეად. ინდ. ავატარა: ღმერთად ქცევა და ღმერთის განსახიერება), იქადაგა მაჰდის (მუსულმ. მესიის) მალე გამოცხადება და მოძველებული ყურანის ნაცვლად დაწერა წიგ-

ნი „ბეიანი“ („ვამოცხადება“), რ-შიაც იქადაგა თანასწორობა, ისლამის რეფორმა, პანთეისტური თვალსაზრისი, სადრის უარყოფა. დევნიდნენ. დახვრიტეს. მიმდევრები ემიგრაციაში წავიდნენ ან იატაკქვეშ განაგრძეს მუშაობა.

ბაბილონის გოდოლი — მით. კომკი, რ-საც ბიბლიური თქმულების თანახმად აშენებდა ერთ ენაზე მეტყველი და ერთნაირად მოიაზრვნე ყველა ხალხი, რომ ცად აეწიათ. განრისხებულმა ღმერთმა გათავხედებულ ხალხს ენა აურია, აშენებლებმა ერთმანეთს ვერაფერი გაუგეს და შენება შეწყდა, ხალხები კი მოელს დედამიწაზე გაიბნენ. მეცნიერებამ დაამტკიცა ასეთი მოთხრობის უსაფუძვლობა, მაგრამ როგორც თქმულება, მითი, ის კლასიკურია.

ბაიობა — ნ. ბზობა (ბერძ. ბაიონ — ბზა).

ბაკქანალია (ლათ. ბაკქოსის, ბახუსის საღიდებელი დღესასწაულები) — ბერძენთა დიონისიების რომაული სახეობა: ბახუსის დღეობა, რასაც ახლდა ღრეობა, მისტერიები, ცერემონიები, უზომო თრობა და ექსტაზი. გარყვნილება. სენატმა აკრძალა II ს-ში ძვ. წ.

ბაპტიზმი (ბერძ. ბაპტიძო — წყალში ვყოფ) — პროტესტანტიზმის ნაირსახეობა ევროპასა და ამერიკაში, შეიქმნა XVII ს. დასაწყისში ინგლიკანების მიერ დევნილი მორწმუნეების მიერ, რომელთაც ჰოლანდიაში მოუხდათ გაქცევა და იქ 1611 წ. გამოუშვეს თავიანთი დებულება. სხვა პროტესტანტებზე უფრო თანმიმდევრულად იცავდნენ სულთა ხსნის პრინციპს მხოლოდ საკუთარი რწმენის წყალობით, დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ღვთაებრივ გამოცხადებას. სწამდათ ღმერთთან მისტიკ. კავშირის შესაძლებლობა, განგება, ქადაგება წმინდა მორალისა. მოითხოვდნენ რჯულშემწყნარებლობას, ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. უარყოფდნენ ხატებს, წმინდა ნაწილებს, ჯვარცმას, მდიდრულ შემოსილობას მათი წესია საზოგადო ლოცვა, სასარგებლო საუბრები, გალობა. ნათლობა. ჩდება მოზრდილისა (შეგნების ასაკში), აღნიშნავდნენ შობას, აღდგომას, სამებას, მოსავლის დღეს. სარწმუნოების ერთადერთ წყაროდ თვლიან ბიბლიას. ერთი ნაწილი ემხრობა კალვინიზმს და თვლის, რომ ღმერთმა „დასაბამითვე“ განწირა ადამიანთა უმრავლესობა დასაღუპავად და ქრისტეს შეუძლია მხოლოდ „რჩეულთა“ ხსნა. ამას ამტკიცებენ „კერძო“ (პარტიკულარული) ბაპტისტები; უმრავლესობა კი, „ზოგადნი“, ქადაგებენ, რომ ღმერთი ცოდვებს შეუნდობს ყველას, ვისაც ქრისტე სწამს (რუსეთშიც ეს მიმდინარეობაა). ცნობენ ავტონომიას. ჩვენში 1944 წ. შეუერთდნენ ევანგელისტებს.

ბარბოლ — სვანთა წარმართული ღვთაება. მზისა და გადამდებ სნეულებათა (ყვავილ-ბატონების). სწირავდნენ ხარს ან ძროხას (ბარბლაი — ბარბალობისა). სრულდებოდა სარიტუალო ცეკვა. უძვ. საწესო ლექსია: „მზე შემოაქვთ რქებით ხარებს — მზე შენია, ბარბალ დოლაშ“. უდავო შეხედრა აქვს შუმერთა მზის ღვთაებასთან და ოქროსრქიან ხართან; ბარბალობის დღესასწაული, იგ. ბარბლაშ (ზოგს არასწორად ესმის: ბარბლაშ სვანურად ბარბალობაა და არა ბარბალე). ამ წინაქრისტიანულ ქალ-ღვთაებას, ბუნების ნაყოფიერების და საერთოდ დედური საწყისის მზიურ განსახიერებას, ეძღვნებოდა მრგვალი, მზის დისკოსთან მიმსგავსებული ატრიბუტები — მწვანეფრტოების გვირგვინი, ფათალოს გვირგვინი, კვირისტაკი, ბურთისებური

კვერი (სვანეთში). დღესასწაული უკავშირდებოდა ზამთრის ნაბუნიობას. ასახავდა ბნელისა და ნათლის კოსმოგონიურ ბრძოლას, წლის დასაწყისში. იგ. შუმერთა ბაბბარ.

ბარბალე ქრისტ. წმინდანიც იყო, მისი კულტი გავრცელდა აღ-ის მართლმადიდებელთა შორის (ეგვიპტიდან, ფრიგიიდან...). მის დღეობას აღნიშნავდნენ 4-6 დეკემბერს. ეკეთრებოდნენ სნეულთა შორისენას. ბაბბარ-ბარბალე-ბარბარე ნიმუშია წარმართული და ქრისტ. სახეების შერწყმისა ეკლესიის მსახურთ მიანდათ ქარიშხლისა და ცეცხლისაგან მფარველ წმინდანად.

ბართლომეს ღამე — 1572 წ. 24 აგვისტოს სისხლიანი ღამე, როცა კათოლიკებმა პარიზში წმ. ბართლომეს სახეიმო ღამეს უწყალოდ გაეტეტეს მძინარე ჰუგენოტები (ფრანგი პროტესტანტები). ამას მოჰყვა ჰუგენოტების ბარბაროსული ჟლეტა მთელს საფრანგეთში. სულ გაწყვიტეს 30 000 კაცი (მარტო პარიზში გაწყდა 5000 ჰუგენოტი). ამ სისხლიანი ღამის მოთავე, მცირეწლოვანი მეფისწულის კარლ IX-ის დედა ეკატ. მედიჩი პირველად ჰუგენოტებს მიემხრო, მაგრამ მალე მათს დაუძინებელ მტრად იქცა, ისარგებლა პროტესტანტების ლიდერის ანრი ნავარელის ქორწილით და გაწყვიტა პარიზში თავმოყრილი ჰუგენოტები. პირველი მსხვერპლი იყო ადმირალი გასპარ დე-კოლინი (პირველად გიზების მეგობარი). არსებითად ეს იყო მსხვილ მიწათმფლობელთა ომი ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის წინააღმდეგ. პაპმა გრიგოლ VII უმსგავსო სისხლისღვრა დალოცა და მედალიც კი გამოჭრა. ბ. ღამე იქცა რელიგ. ფანატიზმისა და მუხანათობის სიმბოლოდ.

ბასილი, ბასილა — ძვ. ქართ. წარმართ. ღვთაება, შერწყმული ეკლესიის მამის ბასილ დიდის სახელთან, „დიდ ღმერთს" ეძახდნენ და სიუხვის, მოსავლის მფარველადაც თელიდნენ. უცხობდნენ ადამიანის სახის კვერს (ბასილაკვერა, ბედისკვერი, კაცბასილა) — საახალწლო სუფრისათვის (ქართლში, რაჭაში, თუშეთში, ხევსურეთში და სხვ.). სხვაგვარად — ბოსელი.

ბასილი დიდი (დაახ. 330—379) — დიდი საეკლ. მოღვაწე, ეკლ. მამათაგანი, არიოზელთა მრისხანე მოწინააღმდეგე, ათანასე ალექსანდრიელის დამცველი, დაამუშავა მოძღვრება სამებაზე, ბიბლიის თქმულებები (კოსმოგონია) ცნობილი თხზულებით „ექვსთა დღეთაი". ანტიკურ იდეალისტ. ფილ-ს იყენებდა ეკლესიის სასარგებლოდ, სამყაროს თვლიდა ღმერთის პარმონიულ ქმნილებად, ითხოვდა განდეგილობას, ლამობდა აღ. და დას. ეკლესიების შერიგებას. გადმოცემით, კაპადოკიელი ქართველი იყო, გრ. ნოსელის ძმა. უსწავლია კესარეაში, ათენში, კონსტანტინოპოლში. იყო კესარეის ეპისკოპოსი, კაპადოკიის მიტროპოლიტი. მისი თხზულებები უთარგმნიათ ათონელებს.

ბედისწერა — ნ. განგება; 1. წინასწარგანგება, სვე, ხვედრი, რაც ყოველ ადამიანს თითქოს შუბლზე აწერია, გარდუვალია და თვით ღმერთები უძლური არიან მის წინაშე (აპოლონმა ვერ გააცოცხლა მეგობარი კიპარისი...). უდიდეს როლს ასრულებდა ბერძ. მით-ში. ებრძოდა მოწინავე აზრი, მეცნ-ება. ევრიპიდე ქადაგებდა ადამიანთა პასუხისმგებლობას ურიგო საქციელისათვის, ამაღლებდა მორალს, რის გამოც მრავალი უღირსი გადაიკიდა, ვინც მავნე საქციელს ბედისწერის ქალღმერთებს (ტიქეს, მოირებს) აბრალებდა,

2. ქრისტ. სარწმუნოებით ბ-ს ცელის განეგება, უნენაესის ნება. ბ-ის მწერლები — ბეღის გამგებელნი, ნაშწერნი ქართ. მით-ში.

ბენედიქტელთა ორდენი, ბენედიქტელები — ბერთა პირველი ორდენი დას. ევროპაში (VI ს-დან), შეიქმნა წმ. ბენედიქტეს სახელსე (დაარსა ბენედიქტე ნურსიელმა 530 წ.). ქადაგებდა მუდმივად მონასტერში ყოფნას, მორჩილებას, თავშეკავებას ყოველი სიამისაგან. მფარველობდნენ პაპები, იყო უმდიდრესი და უძლიერესი საეკლ. ორგანიზაცია, ითვლიდა 10 000 ბერსა და 20 000 მონაზონს. ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას (ბალტიისპირეთში). ღღესაც კი ოცი ათასამდე წევრი ჰყავთ.

ბენეფიციები (ლათ. ბენე — კარგი, ფაციო — ვაკეთებ) — კათოლიკე სასულიერო პირის დასანუქრება ფულით ან მიწის ნაკვეთით, შემოიღეს V ს-დან (რომ.-კათ. ეკლ., ძირითადად უძრაეი ქონება).

ბერიკაობა (ბერი — შეილი) — ქართ. წარმართული სანახაობა, ნიღბების თეატრი, მსგავსი ბერძ. სატირული სანახაობისა. საუკუნეების განმავლობაში გამოდიოდა ეს ხალხ. თეატრი, შვილიერების სადიდებელი მისტერიების შინაარსი და ფორმა იცელებოდა (კომიკ. სიუჟეტები, გადამთიელთა მოთავეების გამასხრება, ტანის გარდაცვალების და აღდგომის სცენები, უსამართლობის მხილება, ცხოველთა ნიღბები...). ზოგან შემორჩა ბიელო დრომდე. თავისებურად სრულდებოდა თუშეთში და სვანეთში (უღელაშობის სცენები, ყველიერობა).

ბერობა (ბერძ. „მონახოს" — კენტად მცხოვრები, განდეგილი, აქედ. რუს. მონახ, გერმ. მონხ და სხვ.) — წუთისოფლიდან განდგომილ, მონასტრებში და ქვაბებში მცხოვრებ მორწმუნე ბერთა დიდი კორპორაცია, განდეგილობა. სხვადასხვა სახით ბ-ის ინსტიტუტი აქვთ ისლამს, ბუდიზმს, ლამაიზმს, ქრისტიანობას. მთავარი რწმენა სულისა და ხორცის დაპირისპირებას ეხება. ხორცი მხოლოდ დროებითი გარსია, ცოდვით დამძიმებული, ის უნდა განუდგეს სოფლის სიამეს, დაიკლოს, ეწამოს, ილოცოს, რათა იხსნას სული, მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მას (თვითგვემა, ჭერეტა, ქალზე და ქორწინებაზე უარის თქმა და ა. შ.). საამისოდ ბ. ითხოვს ასკეტურ ცხოვრებას, სრულ მორჩილებას, მარხვას. ბერები სახლდებიან თემებად, მონასტრებში, ურთიერთისადმი ერთან კავშირში (გარჩეულია მამათა და დედათა მონასტრები). წინამძღვარი ჩვეულებრივ წარჩინებულთა წრიდან გამოსული ბერია. კათოლიციზმში ქმნის დიდ კონგრეგაციებს, სადაც ერთ მთავარ მონასტერს დანარჩენები ემორჩილებიან.

განდეგილობა, კენტად ცხოვრება, ანაქორეტობა III—IV ს-დან ვითარდება. ჯერ ეს იყო პასიური პროტესტი უსამართლობის წინააღმდეგ. მონები და დაღდასმულნი გარბოდნენ „უდაბნოში", უარყოფდნენ მიწიერ ამაოებას. მერე გაერთიანდნენ, უფრო მცოდნე და უფლებისმოყვარე ზედა ფენა გაბატონდა და მონასტერი იქცა რელიგიური სისტემის ბურჯად, პროგრესისა და ფილ. აზრის ერთგვარ კერად. ბერი იყო ჯ. ბრუნოც, გაიქცა და იქცა ეკლესიის რისხვად.

ბესპოპოვცები („უმღვდელონი") — „ძველი რჯულის მცველთა" (სტაროობრაიდჩესტვო) მიმდინარეობა. წარმოიშვა, როგორც პასიური პროტესტი

ბატონყმური ძალმომრეობის წინააღმდეგ (აქედ. უიმედობა, პასიურობა, ფანატიზმი, ქვეყნის აღსასრულისა და მეორედ მოსვლის ქადაგება, თავის დაწვაც კი). ქადაგებდნენ. რომ პატრიარქ ნიკონის შემდეგ (XVII ს.) რწმენა წახდა, კანონიერი მწყემსები აღარ არიან, ყოველი კაცი — ქრისტიანი მღვდელია; შვიდი საიდუმლოებიდან ცნობდნენ მხოლოდ ნათლობას და აღსარებას. 1917 წ. შემდეგ დაიშალა, შემორჩა აქა-იქ.

ბზობა, ბაიობა, ბზობის კვირა — ქრისტეს შესვლა იერუსალიმში (უკანასკნელი კვირა აღდგომის წინ), ერთი ათორმეტი საუფლო დღესასწაულთაგანი. ქრისტ. რწმენით, პასექის წინ კვირას ქრისტე იერუსალიმს გაემგზავრა. გზად სახედარი მოპგვარეს, შეჯდა, მორწმუნეები ლაზარეს მკვდრეთით აღმადგენელ მესიას ძირს უფენდნენ სამოსელს, ყვავილებს, მწვანეს, საიდანაც მართლმადიდებელთ ასეთი დასკვნა გააკეთეს: უთუოდ ბზა (ბაია, პალმა) იქნებოდა, რადგან ამ მცენარეს ძველთა რწმენით მავნისაგან დაცვა შეეძლო. თაყვანისმცემელნი ღაღადებდნენ: „ოსანა ძესა ღვთისასა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა". იერუსალიმს შესვლა ნიშანი იყო ძველი იუდეველთა დედაქალაქის დამხობისა და ახლის აშენებისა, ნათლის გამარჯვებისა ბნელზე, ახალი რელიგიის დამკვიდრებისა. აღწერილია მათეს (21,1—11), მარკოზის (11,1—11), ლუკას (19,29—44) სახარებებში. აქ მათში გამოვლინდა ხალხის მერყეობაც. ვისაც წინა დღეს ბზას უფენდნენ და უგალობდნენ, მალე ჯვარს აცვეს. საღამოს იოსებ არიმათიელმა და ნიკოდიმოსმა ჩუმად ჩამოხსნეს და დაკრძალეს. ბ-ის კვირა (დღე და მთელი კვირა).

ბზა ძელქვაზე და ურთხელაზე მაგარი და მკვრიელია, სარკესავით პრიალაა და ბზასკეთილობის უძვირფასესი მასალა, სამკურნალოა მისი ზეთიც და, ბუნებრივია, რომ საქ-ში ქრისტეს სახელს დაუკავშირეს მარადმწვანე ბუჩქი, მაგრამ ბზობა ჩვენში დაუშვებელი ვაჭრობის დღედ იქცა და თუ ასე გაგრძელდა, ეს ძვირფასი მცენარე მალე გაჩანაგდება. სწორად აღინიშნა პრესაში: „500 000 რტო ამდენივე ბზის ტკივილია", და მისი მტვრევა დარგვით უნდა შეიცვალოს, „მეკერძეები" კი განიდევნონ.

ბზობა იგივეა, რაც ბაი(ა)ობა (ბერძ. ბაიონ — ბზა), რუს. ვერბნოე ვოსკრესენიე (ნედელია). ბზის მაგიერია პალმაც, ტირიფიც (რუსეთში).

ბიბლია (ბერძ. „წიგნები") — იუდეველთა და ქრისტიანთა საღმრთო წიგნი, ძველი დამწერლობის უსარმაზარი ძეგლი, და როგორც ასეთი, „ღვთაებრივი კომედიისა" და ადამიანის გენიის სხვა კარდინალურ ქმნილებათა თანაბარი მნიშვნელობისა. იქმნებოდა დროის უზარმაზარ მონაკვეთში: ძვ. წ. XIII ს-დან ახ. წ. II ს-მდე (როცა დაიწერა ზოგი სახარება). შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან: ძველი აღთქმა (საკუთრივ ბიბლია, ძვ. გაგებით) და ახალი აღთქმა, საქრისტიანოს კანონიკურ წიგნთა კრებული. სულ ბ. შედგება 77 კანონიკური და არაკანონიკური წიგნისაგან, პირველს ორივე რელიგია ერთნაირად ცნობს, მეორეს — მხოლოდ ქრისტიანები ცნობენ. სარწმუნოება მთელს ბ-ს თელის ზეშთაგონებული, ზეცით ნაკარნახევ წიგნად, სინამდვილეში კი უამრავი ავტორი ჰყოლია და მრავალი გადაკეთება განუცდია. ეს დამტკიცდა კუმრანის ხელნაწერებით და სხვა არქეოლოგიური მონაცემებითაც.

ძვ. აღთქმის 39 კანონიკური წიგნი 3 მთავარ ნაწილად იყოფა: I. ხუთწიგნეული, მოსეს ხუთი წიგნი, თორებად (სჯულის წიგნებად) ცნობილი: შექმნათა, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა და II სჯულისა; II. წინასწარმეტყველთა: უფროს და უმცროს წინასწარმეტყველთა, მსაჯულთა, 2 სამუელის, 2 მეფეთა (ან ერთად: 4 მეფეთა წიგნი (ლუთერს აქვს 2 სამუელის და 2 მეფეთა); ჰაგიოგრაფია (რასაც ზოგი უმეცარი მხატვრულ წიგნებად არ თვლის): ფსალმუნები, სოლომონის იგავნი, იობის წიგნი, ქება ქებათა, რუთი, იერემიას გოდება, ეკლესიასტე, ნეემია, ქრონიკების 2 წიგნი (პარალიპომენი, ნეშტთა). არაკანონიკურად ითვლება, მაგრამ გამოცემებში შეაქვთ: ტობიას, ივდითის წიგნები, სოლომონის სიბრძნე, ისო ზირაქის ძის სიბრძნე, იერემიას ეპისტოლე, ბარუქის, ეზრას 2 და მაკაბელთა 3 წიგნი (სულ 11). ჩვენთვის ეს წიგნები წარმოადგენენ ლიტ. ძეგლს, ხელოვნებისა და ლიტერატურის მასალას და შთაგონების წყაროს საუკუნეების განმავლობაში (განსაკუთრებით აღორძინების ტიტანთა ხელოვნებაში) — ნაირნაირ ამბავთა, ოიტუალურ და იურიდიულ კოდექსთა სახით შემორჩენილი ძველი ყოფის, მორალის, ნაწილობრივ ისტორიულ მონაცემთა, სიმღერების, ეროტიული სცენების, მითების, გადმოცემების, ქრონიკების დიდ კრებულს, საუკუნეების განმავლობაში რომ საკითხავ და სასწავლო წიგნად ჰქონდათ ხალხებს.

საყურადღებოა უნგრელი მეცნიერის გუსტავ გეჩეს „ბიბლიის მოკლე ცნობარი", სადაც ნათქვამია: „ღვთისმეტყველთა მოძღვრებით, ბიბლია არ საჭიროებს არც რეკომენდაციას, არც დაცვას. ღვთაებრივ-ადამიანურმა წარმოშობამ ის ერთბაშად დააყენა მთელი ცხოვრების შუაგულში. ბიბლია ქვეყნად ერთადერთი წიგნია, რომელმაც საფარველი ახადა სამყაროს და ადამიანის წარმოშობას და განსაზღვრა სამყაროს წყობის მიზანი. მრავალი მიმდევარი ჰყავს ამ წიგნს, მაგრამ კიდევ მეტი — მტერი" (გ. გეჩე, ბიბლიის მოკლე ცნობარი, ვარშავა, 1931). არსებობს ბიბლიის მრავალი თარგმანი: არამეული (ძვ. წ. I ს.); სეპტუაგინტა (70 ბერძნის ნამუშევარი კუნძულ ფაროსზე, სადაც უფრო ზუსტად 72 იერუსალიმელი მცოდნე თარგმნიდა 72 დღის განმავლობაში. ესაა თორას ბერძნული თარგმანი, II ს.); ებრაელთა (აკილის, სიმაქის და თეოდონტონის თარგმანი ბერძნულ ენაზე, II ს.); ბერძნულიდან თარგმნეს ეთიოპიურ ენაზე ძირითადი წიგნები (V ს.), ამას მოჰყვა სომხური, ქართული, იტალიური, წმ. იერონიმეს ცნობილი თარგმანი ლათინურ ენაზე (383 წლიდან, პაპ დამასის დავალებით), ესაა ვულგატა. როგორც უწოდეს XVI ს-ში, როგორც გამარჯვებულ, პოპულარულ თარგმანს, რაც კანონიკურად ცნო ტრიდენტის ყრილობამ XVI ს-ში; შემდეგ ის ისევ ჩასწორდა და ეწოდა ვულგატა სიქსტინა, რადგან პაპ სიქსტეს დავალებით შესწორდა, თუმცა არც ეს იყო საბოლოო (კლემენტინის ბიბლია, ვატიკანის ტექსტი და სხვ.).

ქართული თარგმანი ერთ-ერთი უძველესთაგანი და ულამაზესი თარგმანია, ნიმუში ქართული ენისა, რაზედაც თაობები აღიზარდნენ.

კრიტიკული მიდგომა ყველა ხსენებული თარგმანისადმი დასაბამიდან მოდის და დღესაც გრძელდება (შესწორებანი, წინააღმდეგობანი, განმარტებანი და სხვ.).

ბლაღოჩინი (რუს. ზედს. ბლაგოჩინნი) — წინამძღვარი, მღვდელმთავარი.

ბოგომილები (ლეგენდ. მღვდლის ბოგომილის სახელიდან) — ანტიფეოდალური ერესი, ქალაქისა და სოფლის ღარიბ-ღატაკთა ინტერესების გამომხატველი რელიგ. მიმდინარეობა, რ-ის ნაწილიც შემდეგ მეამბოხეებს შეუერთდა. წარმოიქმნა X ს-ში ბულგარეთში. გამოსცეს „საიდუმლო წიგნი". ითხოვდნენ თანასწორობას, მეფის და მემამულეთა სამსახურის უარყოფას, ლოცვას, მაგრამ უარყოფდნენ წმ. ნაწილებს, ჯვარსა და ხატს: ზეგავლენა მოახდინა დას. ევროპის ერესზე.

ბოლნისობა — ძველი ქართული ტაძრის ბოლნისის სიონის სახალხო დღესასწაული (10.X).

ბოროტება — ნ. მავნე და კეთილი.

ბოსელი — ქარო. წარმართული ღვთაება, მესაქონლეობისა და მოსავლიანობის მფარველი. ვენახის გამხარებელი, ხვავის მომმადლებელი (ბერძ დიონისეს და დემეტრეს ფუნქციებით). აქედ. „ბოსლობა", ამ ღვთაების დღესასწაული, გავრცელებული განსაკუთრებით დას. საქ-ში, რაჭაში და სვანეთში, იანვარ-თებერვალში. „რაჭაში შაბათსა, მეზვერისა და ფარისევლის კვირასა დღესასწაულობენ ლოცვით ხვასტანგის გასამრავლებლად და მოსაშენებლად" („კავკასი", 1850,25; დ. ჩუბინაშვ. ლექსიკ.). ბოსელში შედიოდნენ სანთლითა და დოქი ღვინით, ლობიონარევი ნამცხვრით, ძროხის წილ ნამცხვარს ცალკე ლოცავდნენ, ხარის წილს ცალკე, საქონელს შუბლზე თმას სანთლით დაუტრუსავდნენ და ღვინოს შესვამდნენ (აცხობდნენ „ვაზის წილსაც"). სვანეთში ბოსლობას „ლიღმესარის" უწოდებენ და რელიგიურ დღესასწაულად ითვლება (სვ. ღესე—ქონი).

ბოსლობა — რელიგიური დღესასწაული, რომლის მიზანი იყო მესაქონლეობის ღმერთის (ბოსლის) გულის მონადირება და საქონლის დაცვა-გამრავლება. ზეიმობდნენ ხორციელის ხუთშაბათს, ზამთრის ბოლოს. რიტუალის შემსრულებელნი ბოსელში შედიოდნენ, ხონჩაზე ქონს იღებდნენ, საქონელს უსვამდნენ, ხაჭაპურს შეექცეოდნენ, თან ილოცებოდნენ; ასევე ერქვა თვიურიანი ქალის ყოფნას განკერძოებით, ბოსელში.

ბრაჰმა — უზენაესი ღმერთი, სამყაროს შემოქმედი ინდ. რელიგიაში, პირველი წყვრი დიდი სამებისა (ტრიმურტის): ბრაჰმა-ვიშნუ-შივა. მოგვიანებით პირველობა ვიშნუს და შივას დაუთმო, მაგრამ მაინც უდიდესი გამგებელია, რომელიც განასახიერებს ოთხი თავით ოთხ მხარეს, რამდენიმე ათას წელიწადში ერთხელ კვდება და აღდგება. ვედური რელიგიის გაგრძელებაა, შემდეგ ბუდიზმი ავიწროვებს. კალიდასა კი წერს: „გინდ ბრაჰმა იყოს, გინდა ვიშნუ და თუნდაც შივა, ცალკე ყოველი ერთარსებას — სამებას ერთვის".

ბრაჰმანიზმი — ძვ. ინდ. რელიგია, ვედური რელიგიის გაგრძელება, ქადაგებს უდრტვინველ მორჩილებას ბრაჰმანებისას (უზენ. ქურუმთა), ვარნას (სულთა გადასახლებას ნებისმიერ ადამიანსა და ცხოველში), მეფის ერთგულებას, ხანგრძლივ სინანულს, რასაც დხარმის (კანონის, ჭეშმარიტების) მკაცრი დაცვის გზით ადამიანი მიჰყავს აბსოლუტთან, შემოქმედ ღმერთ ბრაჰმამდე, რომლის ნაწილებიც ჩვენ-ვართ. ვინც დხარმის წესებს არ შეასრულებს.

მისი სული და სხეული შესაბრალისად დაიტანჯებიან. იყო მორჩილების იარაღი. მისი ვედები და კომენტარები შეიქმნა ძვ. წ. VIII—VI ს-ებში.

ბრეპიარიები (ლათ. ბრ-იუმი, მოკლე ტექსტები) — კათოლიკეთა საწესო (სამუშაო) წიგნი, შეიცავს ნაწყვეტებს ბიბლიიდან, მამათა წიგნებიდან, ფსალმუნებს, წმინდანთა ცხოვრების ცალკეულ ადგილებს. დაამტკიცა პიუს V-მ საგანგებო ბულით 1568 წ. (შედგება 4 ნაწილისაგან, წლის დროების შესაბამისად).

ბრესტის საეკლესიო უნია (ლათ. უნია — კავშირი) — პაპისა და პოლონეთის კათოლიკეთა ერთობლივი ღონისძიება აღ-ში ზეგავლენის სფეროს გაზრდის მისნით: 1596 წ. ბრესტში ძალადობით შეიკრა კავშირი კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის, პირველთა უპირატესობით, მართლმადიდებლებს დაუტოვეს მხოლოდ წესების შესრულების უფლება. უკრაინელი ხალხი აღდგა ასეთი თავსმოხვეული უნიის წინააღმდეგ, რაც მხოლოდ 1946 წ. გაუქმდა.

ბუდა (სანსკრ. ბუდდჰა — სხივმოსილი, განათლებული, ბრძენი) — უზენაესი, სრულყოფილი, აბსოლუტურად სპეტაკი და სამართლიანი ღვთაება, გადმოც. გაუტამას ტომის მეფის ძე, ნახევრ. მით. სახე, დიდი რელიგიის დამაარსებელი. ცხოვრობდა დაახ. 625-544 წლებში ძვ. წ., შობის დღეს ცა და მიწა შეერთდა. ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, „ცოდნის ბორბალი დაატრიალა", დაწყველა ინდრა, რომელმაც ცოლი შეუცდინა. გარდ. დაახ. 80 წლისა. ცნობილია რამდენიმე ბ., რელიგია დააარსა გაუტამამ. 1956 წ. ბუდისტებმა ზეიმით აღნიშნეს მისი 2500 წლისთავი. დაბადებიდან 500—600 წლის შემდეგ დაიწერა ბ-ს ცხოვრება, მითებისა და გადმოცემების კრებული.

ბუდიზმი — ბუდას მოძღვრება, ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია იმ სამთაგან, რომლებიც შეიქმნა ინდოეთში ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში. დიდი გავრცელება მიიღო სამხ-აღ. აზიაში, შუა აზიაში, შორ. აღ-ში. დამფუძნებლად ითვლება ბუდა შაკია-მუნი. სინამდვილეში ეს ახალი რელიგიაც დროის პირმშო იყო: დაირღვა ძვ. გვაროვნული ინსტიტუტები, შეიქმნა სახელმწიფო სისტემა, საჭირო გახდა ძლიერთა მეუფების დასაბუთება ძმლავრი ცენტრალიზებული რელიგიის ქადაგებით, მინათმფლობელურ სახელმწიფოთა აპოლოგიით, „ხსნის" დოგმატიკით. ბ-ს მოძღვრებით, სიცოცხლე ყველა თავისი სახით არის ბოროტება, რასაც მხოლოდ ტანჯვა მოაქვს. ტანჯვის მიზეზია ადამიანის ყველა გრძნობა, სურვილი, ვნება, მისი გარდასახვა მარადიულ წრებრუნვაში. ამ გარდასახვა-გადაქცევას სანსკრიტულად ეწოდება სანსარა (იწერება სამსარა). ამ სიძნელეთა გადალახვით, ბორტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობით, გარდაქმნით ადამიანი ქმნის ისეთ კარმას (კარმანს), რაც ბუდიზმის თანახმად იწვევს არყოფნას — ნირვანას, აბსოლუტურ სიმშვიდეს, გაქრობას, ხსნას, რვასაფეხურიან გზაზე დადგომას, რაც გულისხმობს უარის თქმას ვნებებზე, ქონებაზე, ცოლ-შვილზე, თავის თავში ჩაკეტვას. ესაა ბუდიზმის არსი. ასეთი ცხოვრება მხოლოდ ბერთა შორის შეიძლება. ასეთი საეროს შეუძლია, თუ ბერებს უხვად დასაზუქრებს და შეასრულებს 5 მცნებას: ნუ იქმს ავს, ნუ იცრუებს, ნუ იქურდებს, ნუ იმრუშებს და ნუ დალევს. ეს მკაცრი ასკეტური ფილოს. სასარგებლო იყო გაბატ. წრე-

ებისათვის, რადგან ყოველი ბოროტების მიზეზად ისევ ცოდვილ ადამიანს თვლიდა, არა მჩაგვრელს. იაპონიაში, ბირმაში, ტაილანდში და სხვა აზიურ ქვეყნებში ბ. სულ სხვადასხვა როლში გამოდის: ეროვნ. თავისუფლების ან ანტიკომუნიზმის დროშით. ბოლო დროს ევროპასა და ამერიკაშიც კი გავრცელდა თავისებური სახით.

ბუდისტური სასულიერონი — ქურუმები, ბიქშუ — „ლატაკნი" ითვლებიან ადამიანთა უმაღლეს კატეგორიად, „ცოცხალ ღმერთებად". ლამაიზმში უზენაესი ლამა ღმერთად გველინება. ტაილანდში და ლაოსში (ასევე კამბოჯაში) მეფე ეროვ. ეკლესიის მოთავეცაა. საერთოდ, ბუდიზმი დაიშალა სკოლებად, მიმდინარეობებად, მაგრამ ბერი მაინც მისი მთავარი დასაყრდენია.

ბულა (ლათ. ბულლა — ბურთულა) — 1. შუა საუკუნეებში — მრგვალი ბეჭედი, რითაც ამტკიცებდნენ მეფეთა, იმპერატორთა, პაპთა ბრძანებულებებს; 2. აქედან — თვით ბრძანებულება, პაპის მიწერილობა, რაზედაც ოქროს ან ტყვიის ბეჭედი ეკიდა ზონრით. ლევ X-ის ბულა ლუთერმა ცეცხლში ისროლა.

ბუხმანიზმი — „რეაქციული" რელიგიურ-ეთიკური მიმდინარეობა, რ-იც ამტკიცებს, რომ კაპიტ. სამყაროში ანტაგონიზმი არ არის, ყველა მანკიერება პიროვნების არასრულყოფილობის შედეგია. დამფუძნებელია ამერიკელი ლუთერანი, პროტესტანტი ფრენკ ბუხმანი. უარყოფს „ტრადიციულ რელიგიას", ითხოვს ადამიანის მორალურ სრულყოფას 4 მოთხოვნის დაცვით: პატიოსნება, სიწმინდე, თვითგანკვეთა (ყველა სიამეზე უარის თქმა) და სიყვარული. ვინც ამ აბსოლუტებს დაიცავს, განიწმინდება. უარყოფს კლასთა ბრძოლას, ითხოვს საყოველთაო მშვიდობას, ჰარმონიას. საამისოდ აქვს პრესა, რადიო, ტელევიზია და სხვა საშუალებები. შეერთ. შტატები უხვად აფინანსებენ. ბუხმანი გარდ. 1961 წ., მისი მოძღვრება კარგავს ზეგავლენას.

გ

„გადმოცემა წმინდა" — რელიგ. დებულებანი, ან სამოციქულო ტრადიცია, რომელთაც ქრისტ. ღვთისმეტყველება განიხილავს, როგორც ღვთაებრივი ზეშთაგონების შედეგს, ღვთივმოვლენილ აზრებსა და გამოცხადებას, რითაც დამატებით დასტურდება ის, რაც წმინდა წიგნში, საღმრთო წიგნში — ბიბლიაში წერილობითაა მოცემული. მართლმადიდებელი და კათოლ. ეკლესიები ერთნაირად ცნობენ ასეთ ზეპირ გადმოცემებს, ჩამოყალიბებულს „ეკლესიის მამათა" თხზულებებში, აგრეთვე პირველი შვიდი საეკლესიო ყრილობის გადაწყვეტილებებში. პროტესტანტები ამ წიგნების ღვთაებრივ წარმომავლობას უარყოფენ, ადამიანის ქმნილებად თვლიან და საღმრთო წიგნებად ცნობენ მხოლოდ ბიბლიის ნაწილებს. კათოლიკები კი „წმ. გადმოცემებად" თვლიან პაპთა გადაწყვეტილებებსაც. ისლამი ანალოგიურ გადმოცემებად რაცხს სუნას.

გამოყოფა ეკლესიისა სახელმწიფოსაგან — ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოს მართვის საქმეებიდან, სამოქალაქო აქტების წარმოებისაგან, რელიგიის სწავლების აკრძალვა სკოლებში, ამა თუ იმ რელიგ. რწმენის ძალადობით მიღებისაგან მოქალაქეთა განთავისუფლება — იმ პირობით, რომ სახელმწიფო არ ჩაერევა რელიგიის შინაურ საქმეებში (ღვთისმსახურება, კანონიკური მოქმედება, ნათლობა, მოქმედი ეკლესიები...). ამას პარტიის პროგრამის ძალით საფუძველი ჩაეყარა 1918 წ. 29 იანვრის დეკრეტით „სახელმწიფოსაგან ეკლესიის და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის შესახებ". დეკრეტმა გამოაცხადა მოქალაქეთა სინდისის თავისუფლება, გაარკვია სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიასთან, რ-მაც დაკარგა სახელმწ. ორგანოს უფლება. მოისპო მოქალაქეთა პრივილეგიები, უფლებრივი უთანასწორობა, ვალდებულება, რომ მოქალაქე უთუოდ რომელიმე სარწმუნოებას ეწდა ეკუთვნოდეს ან არ ეკუთვნოდეს. გაუქმდა რელიგ. ფიცი, დაფიცება, რელიგ. აქტები სამოქ. მდგომარეობისა (ქორწინება, შობა, სიკვდილი), რაც სახელმწიფოს გადაეცა, საეკლ. ქონება კი გამოცხადდა სახალხო საკუთრებად. საეკლ. ორგანიზაციები გამოცხადდა კერძოდ, ისინი არსებობენ მორწმუნეთა შეწირულობის, საკულტო საგნების გაყიდვისა და წესების შესრულებისათვის აღებული თანხებით. სახელმწიფოსაგან ეკლესია არ იღებს ფინანსურ დახმარებას, გაუქმდა ყოველგვარი პრივილეგია. აკრძალულია ეკლესიის ჩარევა ბავშვთა აღზრდაში, არასრულწლოვანთა მონაწილეობა რელიგ. რიტუალებში, ღვთისმეტყველების სწავლება საზოგადოებრივ ადგილებში, სკოლებში. ყველა საეკლ. ორგანიზ. ითვლება კერძოდ და არ სარგებლობენ სუბსიდიებით. ყველა სასულიერო პირი კანონიერი მოქალაქეა და იკრძალება რაიმე დამცირება, ხელის შეშლა რელიგ. წესების აღსრულებაში, თუ არ დაირღვევა წესრიგი. ასევე გამოყოფილია სკოლა ეკლესიისაგან, რაც ბოლომდე არ მიუყვანია არც ერთ კაპიტ. ქვეყანას.

გამოცხადება (ლათ. რეველაციო, გერ. ოფფენბარუნგ, რუს. ოტკროვენიე) — რელიგ. წარმოდგენების თანახმად: უფლის, უზენაესის ან მისი თანაშემწეების მიერ ზებუნებრივი გზით („გამოცხადებით") საიდუმლოების განდობა, ჭეშმარიტებათა გადმოცემა ადამიანებისათვის, ვითარცა ღვთაების ნებისა. რელიგიების უმრავლესობა მას აღიარებს ცოდნის მთავარ წყაროდ, რაც არკვევს ადამიანთა დამოკიდებულებას ღმერთისადმი ან ერთიმეორის მიმართ. სხვადასხვა რელიგიურ წარმოდგენებში ეს სულ სხვადასხვაგვარად, მაგრამ არსებითად ერთი პრინციპით ხდება: რომელიმე დიდ მორწმუნეს, განდეგილს, წინასწარმეტყველს (მაგ. საულს), პატრიარქს (მაგ. აბრაამს, იაკობს) აგზნების წუთებში ან უბრალოდ, მოულოდნელად, ან კიდევ კანონმდებლობის საჭიროებასთან დაკავშირებით (მაგ. მოსეს სინას მთაზე), ზოგჯერაც მოციქულს (მაგ. იოანე მახარებელს) გამოეცხადება ღერთი და გაანდობს თავის ნებას, მიცემს აღთქმას, უჩვენებს გზას (აღთქმული ქვეყნისას), ამით ხელმძღვანელობს ხალხი „მეორედ მოსვლამდე"... ინდუიზმის ანალოგ. მოვლენაა ავატარა („ჩამოსვლა", „ჩამობრძანება") — უზენაესის (ხვეულებრივ ვიშნუს) გამოცხადება, როცა ქვეყნიერებას დაღუპვა ემუქ-

რება — კუს, თევზის, ლომკაცის, ტახის, მეომრის, რაშას სახით და ა. შ., ამასთან ამ ცხოველის ან ადამიანის სახით მოვლენილ ვიშნუს განსახიერებასაც აკატარას უწოდებენ. ესაა პერსონიფიკაცია. კათოლიკენი და მართლმადიდებელნი გ-დ თვლიან საღმრთო წერილს (ბიბლიას) და „წმ. გადმოცემას" (ეკლ. მამათა თხზულებები). მათ მოკედავის გონება „ვერ მისწვდება". იდეალისტ. ფილ-ში გ. ეწოდება რთულ ჭეშმარიტებებს, რომელთაც მხილოდ შთაგონებული რჩეულნი სწვდებიან.

ბამოცხადება იოანესი (ბერძ. აპოკალიფსის) — ახალი აღთქმის წიგნი, ადრექრისტ. ნაწარმოები, რ-იც იოანე მოციქულს მიეწერება. ამავე ღვთისმეტყველს მიეწერება 3 ეპისტოლე. წიგნი დათარიღებულია 95 წლით და ენგელსის განსახღვრით წარმოადგენს რელიგ.-პოლიტ. პამფლეტს, რომლის მიზანია რომის იმპერიის ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლება. ლაპარაკია საშინელ მხეცზე, რ-იც შვიდ გორაკზეა (7 რქა, მინიშნება 7 ბორცვზე აგებულ ქალაქ რომზე) და ზურგზე ზის მეძავი बाबილონისა. ხშირად მეორდება ღვთაებრივი ფორმულა: „მე ვარ ანი და პაე, პირველი და უკანასკნელი". როცა იოანე სალოცავად პატმოსის ჭალაკში იყო, მოესმა „ხმა დიდი, ვითარცა საყვირისა", და მერე იხილა „პირველი იგი ცხოველი მსგავსი ლომისა, მეორე მსგავსი კურისა, და მესამესა ცხოველსა აქვნდა, ვითარცა პირი კაცისა, და მეოთხე ცხოველი მსგავსი არწივისა" (4,7). ამ აპოკალიფსურ ცხოველზე ზის საბაოთი (დახატა რაფაელმა). მერე სხვა მრავალი ჩვენებაა. „მხეცური რიცხვი" 666 სიმბოლურად გამოხატავს ტირან ნერონს (გარდ. 68 წ.). ლაპარაკია ხალხთა ბედზე, ციურ ანგელოზთა ომზე სატანის წინააღმდეგ, განკითხვის დღის საშინელ სამსჯავროსე, ქვეყნის დაქცევაზე, რაც მეორედ მოსვლის ცნებასთანაა დაკავშირებული. აღიარებულია კანონიკურად.

ბანბება — 1. რელიგ. დოგმატი, რ-ის მიხედვითაც ყველაფერი, რაც ქვეყნად ხდება (ცხოვრება, მოქმედება, ხსნა; განსჯა), დამოკიდებულია ღმერთის ნებაზე. იუდაიზმის, ქრისტ-ობის, ისლამის მთავარი დოგმა, რ-ის გარშემოც გაუთავებელი დავაა: მართლა ღმერთზეა დამოკიდებული თუ კაცის თავისუფალ ნებისყოფასაც აბსოლუტურ გ-ის წინაშე დიდი ძალა აქვს. ერეტიკოსები ამ აზრს იცავდნენ, ავგუსტინე კი ამტკიცებდა, რომ ბედი და ხსნა მთლიანად ღმერთის ნებაა. ისლამი ფატალიზმსაც აღიარებს და ადამიანის ერთგვარ როლსაც. კათოლიკები და მართლმადიდებელნი ცნობენ აბსოლუტურ (ღვთაებრივ) გ-ბასა და ადამიანის ნებისყოფას, თავისუფალ ნებას, ისე რომ ეს უკანასკნელი მაინც ღვთაებრივს ექვემდებარება. ღვთისმეტყველნი ცდილობენ ეხსნან ღმერთს პასუხისმგებლობა ჭირის, ომის, შიმშილობის, ჯიბგირობის, მკელელობის და სხვა ბოროტებათა არსებობაში, ამიტომ დანაშაულს ადამიანის ნებას აბრალებენ. ადრეულ ხანაშიც ქრისტიანი ღვთისმეტყველნი ცხარედ დაობდნენ ამ საგანზე, შეიქმნა მთელი მიმდინარეობანი. ერთნი აღიარებდნენ სიკეთისაკენ ადამიანის მისწრაფებას, მეორენი ედავებოდნენ: ეს მისწრაფება მხოლოდ სულიწმინდის წყალობით ხდებაო. მხოლოდ ეკლესიაა თავის წესებით კაცთა მხსნელი ცოდვებისაგან, სამაგიეროდ ის მოუწოდებს სიკეთისაკენ მორწმუნეებს, რ-ნიც მორჩილნი უნდა იყონ. კალვინმა ეკლესიის როლი უარყო, მაგრამ განაცხადა, რომ ღმერთი დაბადებამ-

დე განსაზღვრავს ადამიანის ბედს. გ. ამცირებს ადამიანის როლს საზ-ში, ადუნებს მის აქტიურობას; 2. უხენაესის ნება, მიუწვდომელი მოკვდავთათვის. ყველაფერი ამ ნებით ხდება ესაა ადამიანის უძვ. წარმოდგენა სტიქიურ ძალებზე. ბერძნებმა ეს ასახეს ბედისწერის ქალღმერთების — მოირების, ეუმენიდების, ანანკეს — მოირების დედის სახით, რასაც პლატონიც აღიარებდა.

რუსთაველთან გ-ს, როგორც სიტყვის მასალას, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს („სწადს განგებასა, ზენასა"; „რა მოვა ჩემთან განგება, ზეცით მოსრულნი ხენანი"; „უგანგებოდ ვერას მიზმენ"; „განგებასა ვერვინ შეცელის, არსაქმელი არ იქმნების"), მაგრამ მის პოემაში პრაქტიკულად უდიდესი როლი ენიჭება ადამიანის აქტიურ მოქმედებას, ადამიანი ამსხვრევს ბოროტებას და სიკეთე იმარჯვებს — სულაც არა უხენაესის უშუალო ნებით.

განბანვა — წესი, დამყარებული სახარების ეპიზოდზე, როცა ქრისტემ თაეის მოციქულს (საერთოდ, ძიწაუებს) ფეხი დაბანა. ამის ანალოგიით წესს ასრულებს ზოგი სექტა (ორმოცდაათიანელთა, მეშვიდე დღის ადვენტისტების და სხვ.).

განდეგილობა — რელიგ. ასკეტიზმის სახეობა, ახასიათებს მრავალ რელიგიას და განსაკ. ქრისტ. რელიგიას. განდეგილნი განუდგებიან ამქვეყნიურ ცხოვრებას, უარყოფენ ყოველგვარ ხორციელ სიამეს, დაეუფლებიან სადმე სენაკში ან გამოქვაბულში, ჯვალოთი იმოსებიან, მარხულობენ, ლოცულობენ, ებრძვიან მაცდურ ვნებას და ასე გალევენ სიცოცხლეს სულის სახსნელად. ესაა ღმერთთან შიახლოების გზა, ეკლესიის აზრით სრულყოფის მისაბაძი გზა (ინდოელი ასკეტიც ხშირად წლობით ცხოვრობდა უდაბნოში, ფიცარზე ეძინა, კალიებით იკვებებოდა, ნემსებს იჩხვლეტდა და ასე „უახლოვდებოდა" ბრაჰმას). დღეს ასეთ მავნე და უაზრო თვითგვემას ველარავინ აცხადებს მისაბაძ მაგალითად.

განიცდე — მცირე საგალობელი წირვის დასასრულს.

განკვეთა (ოტლუჩენიე) — ეკლესიიდან ან რელიგ. თემობიდან განკიცხვა, გაგდება, დისციპლინარული სასჯელი, რასაც ცოდვილს აძლევენ კათოლიკენი, მართლმადიდებელნი, იუდეველნი და სხვ. ასეთი გარიცხვა ხდებოდა საზეიმო ცერემონიალზე, სადაც დასჯილს წყევლიდნენ და ამით უნერგავდნენ მორწმუნეებს მეტ შიშს. საიქიოში მას ჯოჯოხეთი ელოდა.

განკითხვის დღე — საშინელი სამსჯავრო, ქვეყნის აღსასრული, ბიბლ. დოგმატი, ღვთაებრივი სამსჯავრო, რომელზედაც გადაწყდება ცოდვილთა და მართალთა საბოლოო ბედი. პირველნი ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაიყრებიან, მეორენი კი ნეტართა სასუფეველში მოხვდებიან. განკითხვა რომ მამაღმერთმა იესოს ანდო, ეს ჩანს იოანეს სახარებიდანაც: „არცაღა მამა სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა" (5,22); მათეც ადასტურებს, განკითხვის დღეს „შეეკრბენ წინაშე მისსა ნათესავნი, და განარჩინნეს იგინი ურთიერთარს, ვითარცა იგი მწყემსმან, რა განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან" (25,32); „მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა" (მათე, 13, 43). ამით ასაბუთებს ქრისტიანობა საყოველთაო განკითხვას და ვინც მას არ იწამებდა, სატანის მოციქულად შეი-

რაცხებოდა. ამანაც დიდი როლი შეასრულა მორწმუნეთა დაშინების თვალსაზრისით. ჯოჯოხეთის შიშით უთვალავი ცოდვილი აღვებოდა სინანულის და ოვითგვემის გზას. მეორედ მოსვლის თავდაპირველი ბიბლიური და წარმართული შინაარსი ხალხთა წარმოდგენაში არსებითად დაუკავშირდა ქრისტეს სამსჯავროსაც და ქვეყნიერების დაღუპვის (წარღვნის, კატასტროფის, ხანძრის) მოლოდინს, რასაც უნდა მოპყოლოდა კვლავ განახლება (როგორც ბერძ. მითებშია). ანალოგიური თქმულებებია ისლამის და ზოგი სხვა რელიგიის პრაქტიკაში, და იქაც მას მორწმუნეების იარაღად იყენებდნენ:

განმაახლებელნი (ობნოელენცები) — რუსეთის მართლმადიდ. ეკლესიის განახლების, მოდერნიზაციის, საბჭოთა ხელისუფლებასთან შეგუების მომხრეთა მიმდინარეობა, რაც წინ აღუდგა პატრიარქ ტიხონის შეურიგებელ პოზიციას და კიდეც გადააყენა კრებამ ტიხონი, აღიარა ბევრი სიახლე, ცნო საბჭოთა ხელისუფლება (1923). დაიყო რამდენიმე მიმდინარეობად „ცოცხალმა ეკლესიამ" უარყო ბერობა, დოგმატიკური და ლიტურგიული რეფორმები.

განმანათლებელი — ცისკრის წირვაზე კანონის შემდეგ წასაკითხი სამმუხლიანი ლოცვა (საეკლ. ტერმინი).

განსაწმენდელი — ნ. სალხინებელი.

განტევება — პატიება შეცოდებისა. ბერძ. მით-შიც ეს რიტუალი დიდ როლს ასრულებს. იქ განწმენდას ეძახდნენ. განწმინდეს შვილების მკვლელი ჰერაკლე, მამის მკვლელი ორესტე, ძმისმკვლელი მედეა. ამას თან ახლდა მთელი ცერემონიალი. ქრისტ. ეკლ-ში ეს ხდებოდა კურთხევით, ინდულგენციების ყიდვით, მსხვერპლის შეწირვით და ა. შ. საანდაზოდ დარჩა „განტევების ვაცი": თხას აპკიდეს ცოდვები კაცთა და უდაბნოში გაუშვეს, სადაც მხეცებმა შეჭამეს.

განცხადა (სვან.) — ნათლისღება, ახალი წლიდან (კანდა) პირველ კვირას (მეექვსე დღე, 6 იანვ.) კლავდნენ სამსხვერპლო თხას, კვირის ბოლოს იყო „ჯედი ჰამ" (გრძელი დილა) — შუაღამიდან დილამდე გაშლილ სუფრასთან (ტაბაგზე) ენთო სანთლები და შენდობას უთვლიდნენ მიცვალებულებს (გაცილების წინ). განთიადისას ზედაშეს წაქცევით აცილებდნენ გარეთაც. 6. აიაზმა.

განხეთქილება — ეკლესიის შინაგ. ბრძოლის სახეობა, დაყოფა ორ ან რამდენიმე ეკლესიად, ორგანიზაციად. მასში მონაწილეობენ უმაღლესი რანგის სასულიერონი, კლირი, მორწმუნეთა მასები. მიზეზი მრავალია: კლასობრ. წინააღმდეგ. ზრდა, სოციალ-ეკონ. პირობების ცვლა, სახელმწიფოთა ურთიერთობა, საეკლ. მოღვაწეთა პატივმოყვარეობა... 1054 წ. მოხდა ქრისტიანობის გათიშვა, გაყოფა ორ მთავარ ნაწილად: კათოლიკობად და მართლმადიდებლობად (პაპი ვერ შეეწყო ბიზანტიის პატრიარქს და ა. შ.). თვით კათოლიციზმის შიგნით მოხდა დიდი განხეთქ., რასაც მოჰყვა არეულობის ორმოცწლიანი პერიოდი პაპობის ისტორიაში (1378—1417). ის დაიწყო პაპთა „ავინიონის (70-წლიანი) ტყვეობის" შემდეგ, 1378 წ., როცა პაპად აირჩიეს იტალიელი ურბან VI, ხოლო კარლოს V-ის ზეგავლენით იმავე დროს პაპი გახდა კლიმენტი VII (რობერტ ჟენეველი). ურბან VI რომში იჯდა, კლიმენ-

ტი VII ავინიონში, მათ შორის სასტიკი ბრძოლა იყო. თვით ავინიონი პეტრარკას თქმით იქცა ყოველგვარი ბოროტების ბუნაგად. ზოგჯერ სამი პაპიც იჯდა და მათი მომხრეები — მეფეები, ფეოდალები, ხალხი, სასულიერონი მუდმივ ქიშპობაში ასუსტებდნენ კათოლ. ეკლ-ის ავტორიტეტს, ვიდრე 1414 წ. კონსტანცის საეკლ. კრებამ სამივე პაპი არ გადააყენა და აირჩია რომაელი მარტინ V (კოლონა), ამასთან გადააყენა გახრწნილი იოანე XXIII. ამით დასრულდა დიდი განხეთქილება. რუსეთის მართლმადიდ. ეკლესიის განხეთქ. მოხდა XVII ს. მეორე ნახევარში. რუსეთის სახელმწ. ცენტრალიზაციის შესაბამისად პატრიარქმა ნიკონმა განიზრახა ეკლ. ცენტრალიზაციაც, ამით შეებრძოლა ადგილობრივ ტაძართა და ეკლესიათა დამოუკიდებლობას. ერთმანეთს დაეტაკნენ „ნიკონიანები“ და „ძველმორწმუნენი“, რეფორმის მოწინააღმდეგეები, რომელთაც სასტიკი დევნა დაუწყეს. დამარცხებულნი გაიქცნენ ციმბირში, ჩრდილოეთში, ვოლგისპირეთში, და იქ დააარსეს თავიანთი თემობანი. მასების ბრძოლა ძველი სარწ-ის დასაცავად არსებითად იყო ბრძოლა ფეოდ. რეჟიმისა და ძალმომრეობის წინ-გ, რაც მხოლოდ პუგაჩოვის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ შეწყდა. ნ. გაყოფა ეკლესიებისა.

გაპატიოსნება — მიცვალებულის წინაშე ყველა საჭირო წესის აღსრულება, პატივის დადება, დასაკრძალავად მომზადება, შემოსვა, წესის აგება.

გაპონოეშჩინა — მეფის ჟანდარმერიის მზაკვრული მოქმედება, რომ მუშებში დანერგოს მონარქიული სულისკვეთება, სწორი ბრძოლის გზიდან გადაიყვანოს რეფოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ასეთი ორგანიზაცია მოაწყო მღვდელმა გ. გაპონმა პეტერბურგში 1903 წ. 9000 წევრით (ჟანდარმერიის დახმარებით). აქ ეწეოდნენ მეფის სასარგებლო აგიტაციას, ქმნიდნენ მოცეკვავეთა გუნდებს, ავრცელებდნენ ნებადართულ ლიტ-ს. მაგრამ მუშები სულ უფრო მტკიცედ გამოდიოდნენ მეფის საწინააღმდეგო მოთხოვნებით, ხოლო 1905 წ. 9 იანვარს ჟანდარმთა დავალებით გაპონმა მუშები გაიყვანა ვითომ მშვიდობიან დემონსტრაციაზე, პეტიციით მეფის მიმართ. ამას მოჰყვა ხალხის დახვრეტა (სისხლიანი კვირა). გაპონი იქცა ღალატისა და სიცრუის სინონიმად.

ბარდამავალი დღესასწაულები — 13 საეკლ. დღესასწაული (გამოითვლება არა რიცხვით, არამედ სხვა დიდი დღესასწაულების დღეების მიხედვით): ღირსი მამისა შიო მღვიმელისა (ყველიერის ხუთშაბათს), თევდორობა (თეოდორე ტირენისა, დიდმარხვის პირველ შაბათს), თესალონიკელი მთავარეპისკოპოსის გრიგოლ პალამასი (დიდმარხვის მეორე კვირას), ღირსი მამისა იოანე კლემაქსისა (დიდმარხვის მეოთხე კვირას), მარიამ მეგვიპტელისა, ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებისა (ბზობის წინა შაბათს), გამოცხადება ივერიის ღვთისმშობლის ხატისა (ბრწყინვალე სამშაბათს), მენელსაცხებლე დედათა (აღდგომის მესამე კვირას), წმ. კეთილმსახურის თაშარ მეფისა (მენელსაცხებლეთა კვირას ან 1 მაისს); მართლის ტაბითასი, დოდო გარეჯელისა და ხსენება ყოვლად წმიდათა.

ბარდამოხსნა — მოხსნა, ჩამოღება; ქრისტეს გამოსახულებიანი ხატის, ქსოვილის ჩამოხსნა ჯვარცმულ ქრისტეს გვამიდან; ქრისტეს ჩამოღება ჯვრიდან; ასეთი გამოსახულებიანი ხატი (ქსოვილი). შაბათს, დიდი დღესას-

წაულის ჟამს, ეკლესიები აწყობდნენ ამ გარდამოხსნის ინსცენირებას და პატივით დაკრძალვას, თან საზეიმოდ ქადაგებდნენ: „ქრისტე ითმენდა, თქვენც მოითმინეთ!" ახლახან პრესაში მთელი სენსაცია გაიმართა ქრისტეს ნაშდვილი გ-ის (რუს. ჭლაშჩანიცა) პოვნასთან დაკავშირებით. შეღგა კომისიები, ჩატარდა გამოსახულების სისხლიანი ლაქების ანალიზი, დადასტურდა ქსოვილის იმჟამინდელობა, სისხლის ლაქების არსებობა იმავე ადგილებში, სადაც მაცხოვარი ევნო და ა. შ. ამ თემაზე შეიქმნა მრავალი კლასიკური სურათი (რელიეფი და ტილოები ბიზანტ., დას. ევროპ. ტიპისა, XI ს-დან, შემდეგ დანიელო და ვოლტიერა, რუბენსი, რემბრანდტი...).

ბარეჯობა — ახ. დღესასწაული დავით გარეჯის დიდ სამონასტრო კომპლექსთან, სადაც მტერთაგან აოხრებული და გაუდაბურებული მხარე აღორძინდა, მოირწყა, ტარდება დიდი მუშაობა ზეიმი (19. V).

ბაყოფა ეკლესიებისა — ქრისტ. ეკლესიის გათიშვა აღ. (მართლმადიდებელ) და დას. (კათოლიკურ) სარწმუნოებად. შედეგია დიდი სოციალური ძვრების, წინააღმდეგობათა აღ. და დას-ს შორის, შემოსავლის განაწილების სიძნელეები რომის პაპსა და ბიზანტიელ, კონსტანტინოპოლელ პატრიარქებს შორის. გათიშვა მოხდა IV ს. ბოლოს. რომსა და კონსტანტინოპოლში შეიქმნა ცალცალკე ცენტრები, წესები, დოგმატიკა, ორგანიზაციები. ადრევე აშკარა განხეთქილებას ოფიც. გაფორმება მიეცა 1054 წ., როცა ლეო IX და პატრიარქმა კირულარიოსმა ერთიმეორე დაწყევლეს. ეს ანათემა ერთ-ერთი ისტ. აქტი გახდა იმისა, რომ რწმენისა და პრინციპების ერთნაირობა ვერ უზრუნველყოფენ პატივმოყვარე მპრძანებელთა მშვიდობიან კავშირს. მხოლოდ 1965 წ. მოილაპარაკეს პავლე IV-მ და პატრიარქმა ათინაგორემ, რომ დავიწყებას მიეცეს ძვ. ანათემა, მაგრამ ესეც დროებითი თავაზიანობა იყო.

ბეენა (ებრ. გეენა, ებრ. გეპინნომ — ჰინომის ველი) — ჯოჯოხეთის ცეცხლი, არსთა დამღუპველი (ებრ. და ქრისტ-თა რწმენით). „თანამდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა" (მათე, 5,22).

ბეოცენტრული სისტემა — სამყაროს წყობის მცდარი გაგება, როცა ცენტრად ითვლებოდა ცთომილი დედამიწა, გარშემო კი ტრიალებდნენ მზე, პლანეტები და ვარსკვლავები. პირველად ეს სისტემა შეიმუშავეს არისტოტელემ და პტოლემეოსმა, რომელთა ნააზრევში ეჭვის შეტანა იკრძალებოდა. რელიგიის შემწეობით ამ კონცეფციამ 1500 წელი იარსება. მას საფუძვლად ედო მოძღვრება ადამიანზე, სამყაროს გვირგვინზე და ღვთის მსახურზე. ამ დოგმატს ებრძოდნენ დიდი მეცნიერები — ბრუნო, რ-იც სამყაროს უსასრულობას ამტკიცებდა, გალილეი, რ-მაც დაამტკიცა, რომ მიწა ბრუნავს (ინკვიზიციამ შანთით აწამა მოხუცი, აიძულა უარეყო), ბოლოს კოპერნიკის და კეპლერის აღმოჩენებმა საბოლოოდ გაუკაფეს გზა ჰელიოცენტრიზმს. ნიუტონის გენიალური აღმოჩენები აგვირგვინებენ მეცნიერების ტიტანთა ამ ღვაწლს.

ბერი — მცირე ზომის საცისკრო ლოცვა, „აქებდითის" ბოლოსწინა მუხლში ჩართული — დასდებელის ნაწილი; ღამისთევის ლოცვის ნაწილი („აღსდგა იესო").

გიორგი — წმინდანთა კულტის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი, გაღმერთებული გმირი. განსაკუთ. განდიდებული საქ-ში, კერძოდ სვანეთში, სადაც ჯგირაგს ეძახიან და მრავალი ეკლესია უდგას (ლახამულის, ლატალის, მესტიის და სხვ.) წმ.-ნები საერთოდ ადამიანთა მფარველებად მიაჩნდა ეკლ-ს, შუამავლებად ღმერთსა და ადამიანებს შორის, და ასეთებს შორისაა წმ. გიორგი კაპადოკიელი (ზოგს უკვირს, რატომ უწოდებენ მას კაპადოკიელს, როცა ცნობილია, რომ ტრადიცია მას კაპადოკიის მკვიდრად თვლის). მისი სახელობის ეკლესია აშენდა ყველგან, სადაც გარდაცვალების შემდეგ ღმერთმა მისი სხეულის ნაწილები მიმოაბნია, თვითონ კი „ღვთაების სახით ჩამოყალიბდა... აღ. საქ-ს მთაში დღემდე შემორჩა ადგილობ. ღვთაებები, რ-თაც გარდა თავისი სახელებისა, გიორგისაც უწოდებდნენ (ლაშარი, ლომისი, ხახმატი და ა. შ.), ბარში კი ძვ. წარმართული ღვთაება მთლიანად შეცვალა ქრისტ-მა წმ. გიორგიმ" (ი. სურგულაძე, ქსე). წმ. გიორგის, სადირთა მფარველი ღვთაების სალოცავები იყო თითქმის ყოველ სოფელში (აწყურის თეთრი გიორგი, ილორის, სუჯუნის, ოდიშის, გურჯაანის, წინანდლის, საგარეჯოს, ატოცის, ქაშვეთის, კასპის, ჩალოუბნის და სხვა უთვალავი). დღეობა იმართებოდა 23 აპრილს და 10 ნოემბერს. ხალხი სამჯერ ან შვიდჯერ შემოუვლიდა ეკლესიას დიდებით, ან ჩოქვით. ეს იყო გიორგობა, ალაველობა, ატოცობა... სვანეთში საფიცარია (ჯგირაგლი).

მეტაფრასტის ცნობით, გიორგი იყო კაპადოკიელი დიდებული. შამაცი მეომარი, საქ-სთან მტკიცედ დაახლოებული მხარის გამგებელთაგანი. როცა დიოკლეტიანემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, ქრისტიანთა ბურჯად იქცა და რვადღიანი წამების შემდეგ თავი მოკვეთეს (23.IV. 303წ.) ადრეეე გახდა პოპულარული. დიდმა ეთავარმა იაროსლავმა პაჭანიკებზე გამარჯვების შემდეგ კიევში ტაძარი აუგო. „იურის დღე" რუსეთში 26 ნოემბერს აღინიშნებოდა და დაკავშ. იყო მიწათმოქმედებასთან, რ-ის მფარველიც იყო გიორგი (იორგი, გერგი, ჯერჯის და სხვ., თვით სახელი გეორგიოს ბერძნულად მიწათმოქმედია). გ-ის სახელთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული: თითქოს სპარსთა მეფე დადიანი 7 წელი აწამებდა, სამჯერ მოკლეს; მესამედ რომ მახვილი გაუყარეს, მტანჯველნი ღმერთმა დახოცა; თითქოს წამებამდე ან გარდაცვალების შემდეგ მოკლა მახვილით და შუბით დრაკონი, რომელიც ერთი მეფის ქვეყანას აოხრებდა და მსხვერპლად გოგო-ბიჭებს ითხოვდა. როცა მეფის ასული დრაკონს ელოდა, გამოჩნდა გიორგი და ჯვრით მოათვინიერა გველეშაპი, რ-იც მეფის ასულმა ქალაქში კრავივით შეიყვანა, რის შემდეგაც მეფემ ქრისტიანობა მიიღო, და ა. შ. ამ ლეგენდამ მსოფლიოში განუთქვა სახელი გ-ის. დრაკონთან ბრძოლა დახატა მრავალმა დიდოსტატმა, მათ შორის რაფაელმა (ვატიკანი).

წმ. გიორგი კაპადოკიელი, დიდ ქრისტიან წმინდანად ფორმირებული გმირი, საქართველოს მფარველად ითვლება. ხალხთან მისი სისხლხორცეული კავშირი, რაც ოსირისის მითს მოგვაგონებს, ფიქსირებულია რწმენით, რომლის თანახმადაც მოწამის სხეული 360 (ან 363, 365) ნაწილად დაკეპილი მიმოუბნევიათ მთელ საქართველოში, და სადაც წმინდა ნაწილი ეოჩვდა, ყველგან ეკლესია აუგიათ (აქედან იგ. თქმა: „365 წმ. გიორგი შეგეწიოსო").

ხალხის რწმენა და სიყვარული აისახა ხელოვნებაშიც.

გიორგის სახელობის უთვალავი ეკლესიის გარდა ცნობილია ურიცხვი ფრესკა, მინანქარი, ხატი და ჯვარი: საკაოს წმ. მხედარი (Xს., მოოქრული ვერცხლი); ლაბეჭინას ხატი (მოოქრული ვერცხლი: გიორგი შუბით კლავს დიოკლეტიანეს, XI ს.); ზუგდიდის წმ. გ. (მოოქრული და თვლებით შემკული, 1816); ვერცხლის დიდი ჭედური ჯვარი წმ. გ-ის ცხოვრების სცენებით, წამების გამოსახულებით (125 სმ, საკურთხevლის განძი, მესტიის მუზეუმი, XI ს.); ოქრომჭედლის ორნამეტირებული ხატი, მხედარი წმ. გ. კლავს დიოკლეტიანეს (ლაბეჭინას გამოსახულების შებრუნებული სახე, XI ს. დასაწყისი, ნაკიფარი, სვანეთი, ოსტატ ასანის ნახელავი); სხვა ჭედური ხატები მესტიისა: წმ. გიორგი და თევდორე; ყინწვისის ფრესკა (XI ს.) და სხვ.

გიორგობა (სვ. ლიგერგი) — სოფლის მნიშვნელ. დღესასწაული (23 აპრილს), დაკავშ. სამეურნეო საქმიანობასთან, სიმბოლიკაა ზამთარზე მზის გამარჯვებისა, როცა საქონელს საძოვარზე უშვებენ, მაგრამ მხეცები გლეჯენ ხოლმე, ამიტომ მოიხმეს მფარველად მაშაცი გიორგი, მის ხატს ეკედრებოდნენ, დათვისა და მგლისაგან პირუტყვი დაიცავიო. „ძლევამოსილის“ წოდებაც გ-მ მხეცთა და ურჩხულის დამარცხებით მიიღო. მეფის ქალიშვილის დახსნა და დრაკონის მოთვინიერების ვერსია სიმბოლურ ხასიათს ატარებს: ტბიდან გამოსული, ქალ-ვაჟის შემმუსვრელი და მოსავლის მომწამველი დრაკონი — წარმართობაა, ქალწული — ეკლესია, ეკლ. ქადაგებდა: შევწიროთ თავი მეფეს, როგორც გ-მ გასწირა თავი მეფისათვისო! რუსეთში წმ. გ-ის ჯვარი ეძლეოდა თავდადებულ მებრძოლებს. გ. მკურნალიცაა, ლატაკთა მფარველი... მისი დღეობის სხვა სახელებია გერისთობა, ატოცობა, ალავერდობა, ილორობა, სვან. ლიგერგი.

გიორგობა, იგ. გიორგობის თვე, ნოემბრის ძვ. ქართ. სახელიცაა. წმ. გიორგის დღესასწაული, „მრავალძალი წმინდა გიორგობა — მთვარის მსახურების ნაშთი“ (ივ. ჯავახ.) 23 აპრილს და 10 ნოემბერს ხვდებოდა (ძვ. სტ.).

გლოსოლალია (ბერძ. გლოსოს, გლოსსა — ენა, მეტყველება, ლალია — ყბედობა) — უცხოდმეტყველება, „განყოფა ენათა“: უაზრო სიტყვები და წამოძახილები, რომელთაც ხანგრძლივი ლოცვით დაქანცული მორწმუნე ექსტაზში წარმოთქვამს და ვითომ მოციქულებზე სულიწმინდის მოვლინების ჟამს წარმოთქმულს იმეორებს: „და ეჩვენნეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი... და აღიკსნეს ყოველნი სულითა წმიდითა“ (საქმე მოციქ. 2,3-4). სწამდათ სექტანტებს — ორმოცდაათიანელებს, როგორც ნათლისცემის მწვერვალი, ციური მადლის ნიშანი. ნერვულ დაძაბულობას იწვევს, კანონით იკრძალება.

გნოსტიკოსები (ბერძ. გნოსტიკოს, გნოსის — მცოდნე) — გნოსტიციზმის მიმდევრები: ასე ეწოდათ გვიანი ანტიკის თეოსოფიურ-რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებს, რ-თა მტკიცებითაც ქრისტე მხოლოდ მოჩვენებით იყო ადამიანური საფარველით მოსილი, ჰქონდა არა ცოდვის გამოსაყიდვის, არამედ მხოლოდ მხსნელის მისია და წარმოადგენდა ერთ-ერთ ‘შუალედურ’ არსებას — ნეონს (ეამთა გამრიგეს). ბევრი რამ ისესხეს პლატონიზმისა და სტოიციზმისაგან, ამტკიცებდნენ, უფლის რჩეულნი ვართო. აღია-

რებდნენ შეუცნობელ პირველსაწყისს (ბოროტებას, რასაც უპირისპირდება სიკეთე, წყდიადს--ნათელი და ა. შ.). სრულყოფილ ღვთაებასა და ტლანქ მატერიას შორის არსებობენ ეონები. მთავარი გ-ები იყვნენ ვალენტინ ეგვიპტელი და ვასილიდ სირიელი (II ს.).

გოლგოთა — გორაკი იერუსალიმთან, სადაც ებრაელები დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ. აქვე აიყვანეს და ჯვარს აცვეს ორ ავაზაკთან ერთად ქრისტეც, რ-საც ჯვაზე საკუთარი ჯვარი აზიდვინეს, ტანჯვის სიმბოლო, ხოლო ვინმე იოსებ კარტაფილმა (კარტოფილმა) წიხლი პკრა, რისთვისაც ის მარადიული ხეტიალისთვის გაიწირა. ქრისტ. მეტყველებაში — ტანჯვის ალეგი.

გრძნეულება — ჯადოქრობა, მისნობა, კუდიანობა, მაგია. ძე. რუსეთში მაგიის აღწერილობას „შავ წიგნს" ეძახდნენ და მეცნიერებსაც ამ წიგნებში აქცევდნენ, თუ ბუნებისმეტყველებას სწავლობდნენ. შუა საუკ-ებში „გრძნეულებს", „კუდიანებს" აწამებდნენ, კოცონზე წვავდნენ და ბნელი_რწმენის მსხვერპლი ხდებოდა ათასობით უდანაშაულო ადამიანი.

დ

დაბადება — შექმნა; ბიბლია, ძვ. და ახ. აღთქმა, უფრო — მოსეს ხუთწიგნეული.

დავით გარეჯელი — დიდი საეკლესიო მოღვაწე, თორმეტ (ან ცამეტ) ასურელ მამათგანი, რ-იც თითქოს პირველად ჩამოსულა საქ-ში, ლუკიანეს და დოდოს თანხლებით, 520 წელს ან ცოტა მოგვიანებით, და აუშენებია თავისი სახელობის მონასტერი, კლდეში გამოკვეთილი მონასტრის უნიკალური ნიმუში. შემონახულია ანონიმური თხზულება მისი ცხოვრებისა (ორი რედაქცია, X და XII ს.).

დაისის ლოცვა — მწუხრის ლოცვა, ცისკრითურთ (ვსენოშინი, აღრიპინა).

დალოცვა — სიტყვით ან მოქმედებით ვინმეს ან რამეს მიმართ ღმერთის მფარველობის, მადლის, კეთილგანწყობილების გამოწვევა — წარმატების, გამარჯვების, დღეგრძელობის, კეთილდღეობის სურვილი, დაშწყალობება. ამასთან თავზე ხელს ადებენ, ან მაღლა აღმართავენ ხელებს. გამოხატულებაა წინაპართა, წმინდანთა, პატრიარქთა კულტის, მათი ძლიერების რწმენისა. თუ მღვდელმთავარი ლოცავს ხალხს, ამით იმადლიერებს და ინარჩუნებს მის რწმენას. ეს აუცილებელია საიდუმლოებათა შესრულების დროს.

დაოსიზმი (ჩინ.) — თავდაპირველად ფილოსოფ. მიმდინ. ჩინეთში ძვ. წ. VI ს-ში. მის დამფუძნებლად ითვლება ნახევრად ლეგენდ. ბრძენი ლაო-ცზი („მოხუცი მასწავლებელი"), რომელმაც დაწერა წიგნი „დაო დე ცზინ". ახ. წ. II ს-ში ეს მოძღვრება საფუძვლად დაედო რელიგიას, რ-ძაც იგივე სახელი — დაოსიზმი მიიღო. მისი ძირითადი პრინციპია დაო — ყოველი არსის დასაბამი კანონი, „საგანთა დედა", ქვეყნიერების მარადიული ცვლა, რაც არ ეშორ-

ჩილება არც ღმერთებს, არც ადამიანთა ძალას. ამიტომ ადამიანი უნდა დაეშორჩილოს, დანებდეს, არ იმოქმედოს, იყოს პასიური, დაუბრუნდეს პირველქმნილ იდეალურ ბუნებას, აშენოს მცენარეები და ცხოველები, თაყვანი სცეს კულტს, რ-ის მთავარი საზრუნავია დემონთა და ავსულთა განდევნა, მკითხაობა. უსენაესი ღმერთია შან-დი, ცის ღმერთი, იმპერატორთა („ცის შვილთა") მამა, შემდეგ მოდის ლაო-ცზი და პან-გუ (სამყაროს შემოქმედი, ღვთაების რანგისა). ბოლო დროს თითქმის მთლიანად შეავიწროვა ბუდიზმმა, კონფუციანობამ და ქრისტიანობამ.

დასდებელი — ლოცვების კრებული, ცალკეული ერცელი ლოცვების ბოლოს ჩასართავი (მუხლებში). მაგ: „უფალო, ღაღად-ვყავთ", „აქებდით". სიტყვა „საგალობელის" (დასადებელის) მნიშვნელობით. გვხვდება უკვე VII ს-ში, როგორც დამატებითი მუხლი (იერუსალიმურ ლექციონარში), დამატება. IX—X ს. პიმნოგრაფიულ კრებულებში ფართოდაა გავრცელებული („დ-ნი აღდგომისანი" და სხვ.). „თქუეს დასდებელი იბაკოითურთ" (ძვ. ხელნაწ.).

დაუჯდომელი (ბერძ. აკათისტო) — ღვთისმშობლის სადიდებელი ერცელი საგალობელი, რომლის შესრულების დროს მღვდელმსახურიც და მორწმუნეებიც უეხზე უნდა იდგნენ. იკითხება მორიგეობით შესასრულებელ მცირე ზომის კონდაკსა (ლოცვას) და უფრო ვრცელ იკოსს შორის (12-12 კონდაკი და იკოსი; ყოველი იკოსი შედგება შესავლისა და 12 „გიხაროდენისაგან". ბოლოს მღვდელმსახური იტყოდა „ალილუიას". ქართ. დ-ის შექმნას ბერძნულიდან VII — VIII ს-ებში ვარაუდობენ (ბიზანტიელ რომანოზის ლექსიდან).

დაცანი — მონღოლთა და ბურიატთა ლამას მონასტერი. დიდ დ-ებში ათასი ან მეტი ბერი ცხოვრობდა. მონასტერში იყო ბუდას და სხვათა უამრავი ქანდაკი.

დედის დღე — ახ. სახალხო დღესასწ. ხულოში, სადაც მტარვალთა ამაოხრებელი თარეშის მიუხედავად მშობლიური ენა და ზნე გადარჩა და დღეს 1300-ზე მეტი მრავალშვილიანი დედაა. ტარდება 1983 წლიდან.

დეიზმი (ლათ. დეუს — ღმერთი) — შუა საუკ-ების ფილ-დან გამომდინარე რელიგ.-ფილოს. მიმდინარეობა, რ-ის მიხედვითაც ღმერთია განუპიროვნებელი პირველმიზეზი სამყაროს წყობისა, არსებობს მის გარეთ და არ ერევა არც ბუნების, არც ადამიანთა საზ-ბის განვითარების საქმეებში. ეკლესიის სულიერი მეუფეების ჟამს ეს იყო „მოხერხებული და იოლი საშუალება" (ძარქსი) რელიგიიდან განდგომისა, ადამიანის პიროვნების ამაღლებისა ბუნების შეცნობის საქმეში, გამოხატავდა მოწინავე ბურჟ. სულისკვეთებას განახლების ეპოქაში, მეტადრე XVII ს-ში, როცა ამ მოძღვრების დამფუძნებელი ლორდი გერბერტ ჩერბერი შოღვაწეობდა (გარდ. 1648). ეს დიდად განსწავლული კაცი, ბუნებით ავანტიურისტი, რ-საც დონ კიხოტსა და იმავე დროს პლატონს ადარებდნენ, აღიარებს ღმერთის არსებობას, სიქველეს, რწმენას, მონანიებას, მაგრამ თავის შრომებში ამტკიცებს, რომ ღმერთმა ადამიანს სულში ჩაუნერგა ჭეშმარიტება, მისცა გონება, ესაა ზეგარდმო ნაბოძები და არა ცდით მოპოვებული, არა დაუწერელი დაფა. მას შესწევს

უნარი შეიცნოს ბუნება, ესაა ღვთაების ემანაცია. ჩერბერი მაინც ათეისტად და ულმერთოდ გამოაცხადეს. მის მიერ დაფუძნებულ მიმდინარეობას, რაც არ იყო ერთგვაროვანი, მიემხრნენ მატერიალისტები, განმანათლებელნი: ლოკი, ვოლტერი, ტოლანდი, რუსო, ლესინგი, ლიმონოსოვი, რადიშჩევი, პნინი. ემხრობოდა ნიუტონი, განზე იდგა ბეკონი, რ-საც პირადად იცნობდა. მისი მოძღვრება პროგრესულ როლს თამაშობდა XVIII ს-მდე, როცა დიდრომ და ჰოლბახმა მეტაფიზიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან გააკრიტიკეს. XIX ს-ში რელიგიის დამცველნი ათეიზმთან ბრძოლის იარაღად იყენებდნენ. აშკარად დ. ითვლება დათმობად რელიგიასა და ბუნებისმეტყველებას შორის. იგი განსხვავდება თეიზმისაგან, რ-იც აღიარებს კავშირს ღმერთსა და ბუნებას შორის, პანთეიზმისაგან, რ-იც ღმერთსა და ბუნებას აერთიანებს, და ათეიზმისაგან, რ-იც საერთოდ უარყოფს ღმერთს. იდეალისტები — ლაიბნიცი და დავიდ იუმი (Hume) დ-ის დროშით გამოდიოდნენ, დღეს კი დ-ით რელიგიას ამართლებენ.

დემითოლოგიზაცია — ბიბლ. მითების ახლებურად განმარტების ცდა, რ-ის მიზანია არა მათი უარყოფა, არამედ თანამედროვე ადამიანის შეგნების დონეზე ახსნა თქმულებებისა, რ-თა გულუბრყვილო შინაარსი აღარაფის სჯერა. ამით მათ ეძლევათ სიმბოლური მნიშვნელობა. დ-ის მამამთავარია რ. ბულტმანი („ახ. აღთქმა და მითოლოგია", 1941).

დემონოლოგია (ბერძ. დემონ — ღვთაება, ზებუნებრ. არსება, ღოგოს — სიტყვა; მოძღვრება) — რელიგ. მოძღვრება დემონებზე, ცრუმორწმუნეობა, რ-ის მიხედვითაც არსებობენ ბოროტი დემონები, ავსულები, კუდიანები, ტროლები, ქაჯები, ჭინკები და ა. შ. განსაკ. ძლიერი იყო ეს რწმენა ძვ. ქვეყნებში, შუმერში, ბაბილონში, ძვ. ირანში, საიდანაც მერე გადავიდა იუდაიზმში, ქრისტ-ში და ისლამში. ქრისტ. სარწმუნოებამ აქედან შექმნა მთელი მოძღვრება ეშმაკის, ყველა ცოდვის წყაროს — სატანის შესახებ. პრაქტიკულად ამ რწმენის საშინელი შედეგი ის იყო, რომ უთვალავ უდანაშაულო ადამიანს ბრალს სდებდნენ, ეშმაკი ჩაგიჯდაო, დემონის მონა ხარო, კუდიანი ხარო, რასაც მოსდევდა ეშმაკეულთა (ეშმაკის შეპყრობილთა) და კუდიანთა წამება, „ეშმაკის განდევნის" ტანჯველი ცერემონიალი (ბნედიანთა და სხვ.) და მასობრივი წამება, კოცონზე დაწვა უდანაშაულო ადამიანებისა. ეკლესიის რწმენით, ადამიანი ყველგან დემონებითაა გარემოცული და მათგან დახსნა შეუძლია მხოლოდ ლოცვას, წმ. ნაწილებს, საეკლ. წესების დაცვის. დოკტრინა დემონებზე ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო და მის შედეგად ინკვიზიციამ ათი ათასობით ადამიანი აწამა. ამავე ცრუ რწმენასთანაა დაკავშ. მისნობა, მკითხაობა, შამანთა მოქმედება. ბოროტ ძალთაგან ადამიანთა სულების ხსნას მოსდევდა მათი ხორცის უსარგებლო წამება. „არ არსებობს დემონი, ადამიანზე მაგნე და საშიში", — იტყოდა ხალხი, და გულისხმობდა ინკვიზიტორებს.

დემონიონი — შინაგანი ხმა, „ძრჩეველი", კეთილი ძალა, რაც ეძიმე წუთებში ადამიანის მოქმედებას წარმართავს, სიკეთისა და სიქველის, სიმართლისა და სრულყოფის გზას უჩვენებს (ანტ. ფილოს.). სოკრატე საშსჯაე-

როზეც ამტკიცებდა, რომ მას პყავს თავისი დ., რაც ულმერთობის ბრალდებად წაუყენეს: ოლიმპოს ღმერთებს უარყოფს, საკუთარი დემონები პყავსო.

ᲓᲘᲐᲓᲔᲛᲐ (ბერძ. „თავსაკრავი") — ძველად. ძვირფასი შემოსაკრავი, რითაც იმპერატორები თავს იმკობდნენ. შემდეგ სახე იცვალა. ძვირფასი თვლებით შემკულ დ-ს დედოფლები ატარებდნენ.

ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲘ (ბერძ. დიაკონის — მსახური) — მოძღვრის თანაშემწე, რ-იც მას ეხმარება ღვთისმსახურების წესების შესრულებაში, კითხულობს დავითსს, ზოგ შემთხვევაში ცვლის მოძღვარს, როცა წესის აგების დროს ან სხვა შემთხვევაში ის არაა. იერარქიულად გარჩეულია: კერძო დ., მედავითნე; მთავარი დ., არქიდიაკონი (მონაზვნად მოსილი), ბერთა დ., უფროსი დ., ეპისკოპოსის თანაშემწე (ძველად).

ᲓᲘᲐᲡᲞᲝᲠᲐ (ბერძ. „გაფანტვა", გაბნევა) — ხალხის, ტომის, ეთნიკური ერთეულის გაბნევა, ცხოვრება საკუთარი მიწა-წყლის გარეთ, უმცირესობის და დაჩაგრულის სახით. მიზეზია ომი, ძალადობა, ეროვნული ჩაგვრა, გენოციდი, რ-ის ნამდვილი მნიშვნელობა როდი ესმის ყველა დესპოტს. VI—I ს-ებში ძვ. წ. ასე ეწოდებოდა ცალკეულ სამოსახლოებს პალესტინის გარეთ, ებრაელების შევიწროების შედეგად (სპარსელთა, მაკედონელთა, რომაელთა ომებში, იერუსალიმის დაქცევისა და ბაბილონის ტყვეობის მძიმე ჟამს). შემდეგ სიტყვას მიეცა განზოგადებული მნიშვნელობა.

„ᲓᲘᲓᲐᲮᲔ" (ბერძ. დარიგება, შეგონებანი) — „12 მოციქულის მოძღვრება": ადრე-ქრისტ. (I—II ს.) აპოკრიფული თხზულება (ნორმები, შეგონებანი, ლოცვის წესები, სამზადისი მეორედ მოსელისათვის). აღმოჩ-ია XIX ს-ში კონსტანტინოპოლში.

ᲓᲘᲓᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ — მართლმადიდებელი ეკლესიის ის დღესასწაულები, რომლებიც არ შედის ათორმეტ მთავარ დღესასწაულთა რიგში, მაგრამ მათ განკუთვნებიან: უფლის (იესოს) წინადაცვეთა — 1 (14) იანვარს; შობა იოანე ნათლისმცემლისა — 24.VI (7. VII); წმ. პეტრეს და პავლეს ხსენებისა — 28. VI; იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა — 29.VIII; ღვთისმშობლის საფარველი და მცხეთობა (1.X); დამატებით (ქართული) — ნინო ქართველთა განმანათლებლისა — 14 (27). I და 19.V (1.VI).

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ — ქრისტ. ეკლ-ის მსახურთა მიერ დაწესებული მარხვა იმ დღის აღსანიშნავად, როცა იუდამ გასცა მოძღვარი და სინედრიონის წევრებს აღუთქვა დახმარება მის ცნობასა და შეპყრობაში, რისთვისაც 30 ვერცხლი მოსთხოვა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქრისტემ იერუსალიმის ტაძრიდან განდევნა მოვაჭრენი, მეკერმენი: „წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქვაბ ავაზაკთა". მაშინ პასექის დღესასწაული იყო და მოძღვე მღვდელმთავრებმა ვერაფერი გაუბედეს, მორწმუნეთა წასვლის შემდეგ კი იუდას შეპწეობით შეიპყრეს და ჯვარს აცვეს (იუდამ კი ის 30 ვერცხლი მღვდელმთავრებს მიაყარა და თავი ჩამოიხრჩო). ამ ამბის აღსანიშნავად დაწესდა დ. ო.

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ — დღე, როცა პილატესთან მისულმა მღვდელმთავრებმა მისი ნებართვით დარაჯები მიუჩინეს ქრისტეს გვამს, რომელიც მდიდარმა მოწაფემ იოსებ არიმათიელმა პილატეს ნებართვით კლდეში დაასვენა და

ლოდი მიაგორა. მათ პილატეს უთხრეს, იმ მატყუარამ (იესომ) იწინასწარმეტყველა, სამი დღის შემდეგ ავდგებიო და მართლა არ ადგესო: „უფალო! მოვიხსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან სთქვა, ვიდრე ცოცხალღა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვსდგეო" (მათე, 27,63). შაბათს „შეიმუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი, ღაღადებდნენ ციურნი ძალნი: დიდება შენდა!" — ქრისტე ცად ამაღლდა (სინამდვილეში ვითომ მცველები ძოისყიდეს და გვამი მოიპარეს). ეკლესია ამ დიდ შაბათს ზეიმით აღნიშნავს.

დიდი ხუთშაბათი — ქრისტეს უკანასკნელი სერობის (ეახშმობის, სამხრობის) დღე, როცა სუფრა გააწყო, 12-ვე მოციქული დაჯდა, მოძღვარმა ჯერ მათ სათითაოდ დაბანა ფეხი, შემდეგ თქვა: ერთი თქვენგანი გამცემსო. ყველა შეძრწუნდა, და თვით იუდამ იკითხა: „ნუთუ მე ვარო?" „სწორედ შენ", უთხრა ქრისტემ და ჩასჩურჩულა: „რომელ გეგულვების საქმედ, ჰაყე ადრე". ბოროტი იუდა ადგა, მღვდელმთავრებთან გაეშურა, ქრისტემ კი პური გაუტეხა მოციქულებს, მიაწოდა, უთხრა: „ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის გატეხილი" (სიმბოლიკაში ათეისტი ხედავს კაცოჭამიობის გადმონაშთს), შემდეგ ღვინო დაუსხა: „ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული". ასე აღსრულდა პირველი ზიარება. სერობის სახსოვარია დ.ხ.

დიოფიზიტები (ბერძ. დის — „ორგზის", ფიზის — „ბუნება") — მორწმუნეები, რ-ნიც ქრისტეში ორ ბუნებას ხედავენ: ღმერთსა და ადამიანს. ეს ორი საწყისი ერთიანი და განუყოფელია. ქრისტე ადამიანურია, ოღონდ უცოდველი, თანაც ღვთაებრივი, გამომსყიდველი და მიმტევებელი შეცოდებისა. ეს მიმდინარეობა, რასაც გარკვეული აღიარება ხვდა ნიკეისა და კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებებზე (325 და 381), დაკანონდა ქალკედონის საეკლ. კრებაზე (451), რის გამოც დ-ებს ქალკედონელებიც ეწოდათ, ხოლო ეტიქელებს, ქრისტეს ერთბუნებოვანობის მქადაგებლებს, მონოფიზიტები უწოდეს. მათ შორის ცხარე დავა და მტრობა გაჩაღდა. საქართველოში დვინის საეკლესიო კრებაზე (506, სომეხთა საეპისკოპოსო ცენტრში, სადაც 24 ქართველი ეპისკოპოსი ჩავიდა) გამოიცა „ერთობის" შემარიგებელი აქტი, მაგრამ VII ს-დან ქართული ეკლესია, უდავოდ ასურელ მამათა ზეგავლენითაც, დიოფიზიტური ხდება.

დისიდენტები (ლათ. დისსიდენს,-ტის: ვინც არ ეთანხმება) — 1. ის მორწმუნენი, რ-ნიც არ ეთანხმებიან გაბატ. ეკლესიის ავტორიტეტს, მის ზოგ წესსა და პოლიტიკას. პირველად ასე უწოდებდნენ უფრო კვაკერებს, კონგრეგაციონისტებს, მეთოდისტებს, ოფიც. ეკლესიიდან განდგომილებს, უფრო რეფორმაციის ეპოქაში; ბრესტის უნიის შემდეგ კი (1596) — პროტესტანტებს. დევნიდა სამეფო და საეკლ. ძალაუფლება, უფრო კათოლიკური; 2. არსებული წყობილების მოწინააღმდეგეები.

დოგმატები (ბერძ. დოგმატოს) — რელიგ. მოძღვრებით: ძირითადი დებულებანი სარწმუნოებისა, რ-ნიც უდავოდ და სამუდამოდ უნდა იწამოს მოცემ. რელიგიის ყველა წარმომადგენელმა, რადგან ზეგარდმო ნაკარნახევადაა მიჩნეული. ყოველი ეჭვი მათს ჭეშმარიტებაში ერესად ითვლებოდა და სასტიკ სასჯელს იმსახურებდა (წამება, ჯვარცმა, კოცონი, საპყრობილე). დ-ებია სამების, უბიწოდ ჩასახვის, იესოს აღდგომისა და ცადამაღლების... ამათ გარ-

და „რწმენის სიმბოლოში“ შედის სულის უკვდავება, ნათლისღება, მღვდლობა, ქრისტეს ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების შესახებ, მისი 2 ნებისა და 2 მოქმედებისა, ხატთა თაყვანისცემის აუცილებლობა, სალხინებლისა, ღვთისმშობლის ხორციელი ცადამაღლების, პაპის უცოდველობის დოგმა... პროტესტანტიზმმა უარყო ამ წინა საეკლ. ყრილობების მიერ დამტკიცებული დოგმატები მღვდლობის, ზეთისკურთხევისა და სხვ., შემოიღო ახლები, და საერთოდ დროის შესაბამისად იცვლებოდა რელ. დ-ებიც.

დოგმატური თეოლოგია — ქრისტ. ღვთისმეტყ-ის მთავარი შემადგ. ნაწილთაგანი: სარწმ. დოგმების ჭეშმარიტების შესახებ, რაც მუდამ სადავოა. კათოლიკ. ეკლ. ამტკიცებს დოგმების ღვთაებრიობას, ჭეშმარიტებას, მარადიულობას. მაგრამ იმავე დროს მართლმადიდ. ეკლ. არ ცნობს მისი „დოგმატიკის განვითარებას“, ე. ი. ცნობს მხოლოდ საეკლ. ყრილობების მიერ დამტკიც. დოგმების ჭეშმარიტებას, შეიძლება განსხვ. იყოს მხოლოდ მათი განმარტება. „დოგმატიკის განვით.“ კი გულისხმობს, რომ შეიძლება ახალი დოგმების დამატებაც (მაგ., პაპის უცოდველობის, რაც ხელს აძლევს კათოლიკობას, აგრეთვე სულიწმიდის მოფენას არა მარტო მამა-ღმერთის, არამედ ძე-ღმერთისგანაც და ა. შ.). უფრო კი იცვლება კანონი, არა დოგმა.

დომინიკანელები — მოგლახაკეთა ორდენი, რ-იც დააარსა ტულუზაში 1215 კათოლიკე ბერმა დომინიკე გუდსმანმა (1170—1221). 1 წლის შემდეგ ორდენი დაამტკიცა პაპმა ჰონორიუს III (დაარსდა ინოკენტი III დროს, მაგრამ ოფიც. დამტკიცება მოხდა მისი გარდ-ის წელს, 1216, ამიტომ არაა ზუსტი მაიერის ენც-ის ცნობა, ინოკენტი III-მ დაამტკიცაო (იხ. მაიერი, 1972,3, 649). იმთავითვე იქცა ინკვიზიციის ბურჯად, განსაკ. იეზუიტების ორდენის დაარსების შემდეგ. დ-ები სათავეში ჩაუდგნენ ინკვიზიციას, უმოწყალოდ აწამებდნენ ათი ათასობით უდანაშაულო ადამიანს, ლოცავდნენ მისიონერებსა და კონკისტადორებს, რომელთაც სისხლში ჩაახრჩვეს ახლად აღმოჩენილი ამერიკის ხალხები — ინკები, აცტეკები, მთელი იმპერიები. ებრძოდნენ ერესს, განსაკ-ით კატარებს, კათოლ. ეკლესიის და პაპთა მოწინააღმდეგეებს. მიცემული ჰქონდათ სიღარიბის, ხორცზე უარის თქმის, თავშეკავებული ცხოვრების ფიცი, მაგრამ თუ საქმე ერეტიკოსებს ეხებოდა, თავს არავითარი უკაცურობისაგან არ იკავებდნენ. მათი წევრი იყო კათოლ. ფილოსოფიის ბურჯი, თომიზმის დამფუძნებელი თომა აქვინელი. 1232 წ. გრიგოლ IX-მ ინკვიზიცია ჩაბარა. მთელი ევროპა დაისერა მათი საშინელი ქსელით. პროგრესისა და თავისუფ. აზრის მტრებს დღესაც 10 000 წევრი ჰყავთ, 600 მონასტერი აქვთ, მოქმედებენ 50 ქვეყანაში.

თავიანთი მოძღვრების გასავრცელებლად დ-ები სასწავლებლებსაც ხსნიდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანია ორდენის გენერლის თხოვნით პავანაში (ესპანიოლაში, კუბაში) 1728 წ. უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა (სან ხუან დე ლეტრანის მონასტერში). პირველად მისი გახსნა მოითხოვეს 1670 წ.

დუალიზმი რელიგიური (ლათ. დუალის — ორმაგი, გაორებული) — ღვთისმეტყველური გაგება, რ-იც ერთდროულად აღიარებს სამყაროს მატერიალურ და სულიერ არსებობას, სულსა და მატერიას, ამასთან ხილულ და უხილავ სამყაროს, ე. ი. მიწიერსა და ზებუნებრივს. დ-იზმის მთავარი წარ-

მომადგენლები არიან დეკარტი და კანტი. რელიგიაში ხილული სამყაროა „მკვდარი შატერია", ბუნება, რ-შიაც ცხოვრობენ ადამიანები და ცხოველები, უხილავი სამყაროს ბინადარნი კი არიან „წმ. სული" — ღმერთი, ანგელოზები, ქერუბიმები, სერაფიმები. ადამიანიც თავის მხრივ ორმაგია: შეიცავს მოკვდავ სულს და ხრწნად სხეულს. აქედან სული უკვდავი და მარადიულია, სხეული — წარმავალი, დროებითი და განკითხვის დღეს დასაღუპავად განწირული. ამ გაორების შერიგების ცდები გამოიხატა ერთღმერთიანობით, მონოთეიზმით (ისლამი, ქრისტიანობა), მაგრამ დ. მაინც ძალას ინარჩუნებს. ქრისტ. რელიგიაში ღმერთკაცის გარდა დ-ზე მეტყველებს ღმერთის მოპირდაპირე ძალის — ეშმაკის, სატანის რწმენა. კეთილისა და ბოროტის არსებობას აღიარებენ ისლამი, მანიქეველობა და სხვ.

დუხობორები (სულისთვის მებრძოლნი) — სულიერი ქრისტიანები: ძვ. რუს. სექტანტური მიმდინარეობა, მიმართული ფეოდ.-ბატონყ. ძალაუფლების წინ-გ. შეიქმნა XVIII ს-ში ვორონეჟის გუბერნიაში, გლეხ კოლესნიკოვის და ვაჭარ პობიროხინის თაოსნობით. სექტა არ ცნობს ბიბლიას: მართლმადიდებელ ეკლესიას, სასულიერეოებს, ტაძრებს, ხატ-ჯვარს, სამთხეს, მარხვას, ბერობას, 7 საიდუმლოს (ნათლობას, ზიარებას, მღვდლობას, მონანიებას, მირონცხებას, ქორწინებას, ზეთის კურთხევას), ე. ი. ქრისტ-ული დოგმების, წესების უდიდეს ნაწილს, ცნობს მხოლოდ ქრისტეს — არა როგორც ღმერთს, არამედ როგორც უბრალო ადამიანს, რ-შიაც ყველაზე ძლიერ გამოვლინდა ღვთაებრივი სული და გონი. ადამიანი დუხობორების გაგებით ცოცხალი ეკლესიაა. შექმნეს საკუთარი კომუნები, მეურნეობა. მათი „ცხოველი წიგნი" შეიცავს ზეპირ გადმოცემებს, შელოცვებს, კითხვა-პასუხს, ფსალმუნებს, რ-თა ბოლო მუხლს სიმღერით აიტაცებენ („ნაწერი—მკვდარია"). მათთვის ღმერთია მარადიული სიყვარული, სიბრძნე და სიკეთე. ამასთან აღმერთებენ თავიანთ ბელადებს, რადგან მათში „ქრისტეს სული ცოცხლობს". აქვთ გამარტივებული წესები, სწამთ სულის უკვდავება და ზიარებას იღებენ „სულიერად", სიტყვის სახით. საღმრთო საუბრებს ღია ცის ქვეშ ეწყვიან, ხანაც სამყოფელებში. ლექსებს იტყვიან, ასრულებენ საქორწინო და სამგლოვიარო წესებს. მეფის დროს დევნიდნენ, რადგან უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურზე, არ ემორჩილებოდნენ საერო ძალაუფლებას. ამიტომ ნაწილი გაიქცა კ. კიპროსზე, იქიდან კანადაში (1898 წ.). დ-ები ჩვენში დღესაც არიან (საქ., აზერბ., როსტოვში).

დღე ერთიანობისა — ერთობლივი დღესასწაული ეკანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტებისა (ევბ), სექტებს შორის არსებულ განსხვავებათა მოსპობის მიზნით, ეკლესიების გაერთიანების სულისკვეთებით.

დღესასწაულები რელიგიური — ეკლესიებისა და რელიგ. ორგანიზაციების თაოსნობით მოწყობილი დღეობები ღირსშესანიშნავ ამბებთან დაკავშირებით (ეკლ. ისტორიიდან, მითოლოგიიდან, საკულტო პრაქტიკიდან). ტარდება უძვ. დროიდან ყველა ხალხში: ყველა რელიგიის სახელით (ტოტემიზმი, ანიმიზმი, მაგია, ახ. რელიგიები). უკავშირებდნენ მაგიურ მოვლენებს, მოსავლის მოწევას, ომს, ტომის ბედს, სულთა დღეობებს. მსხვერპლის შეწირვა, ვედრება და მისთ. ხდებოდა უზესაეს ძალთა „მონადირების" მიზ-

ნით. ამით ლამობდნენ თვით სიკეთილის, ბოროტების ღმერთთა გულის მოლ-ბობას. დახვეწილი რელიგიები ამ ფორმას ფართოდ იყენებენ მასებზე ზე-მოქმედების საშუალებად, აშდენად ითვლება ბაენე გადმონაშთად და იცვლება ახალი დღესასწაულებით (ან ეწყობა პარალელურად, რეალისტური ნიშნით, ახ. დღეობები). 6. ძველი აღთქმის დ., ქრისტიანული დ.

დჯარმა (ან დჯამმა: სანსკრ. ტარება, ქონება) — ინდ. რელიგიების უმ-რავლესობის მიხედვით: კანონი, წესი, მოვალეობა, სიქველე, რწმენა, ქონე-ბა, ჭეშმარიტება და სხვ. მრ., 1. რელიგ-ფილოს. მოძღვრება, რ-იც აერთია-ნებს ცხოვრების წესებს, სამოქ. და საკულტო მოთხოვნებს, რ-ბიც სხვადა-სხვა კასტას თითქოს სხვადასხვაგვარად ებოძებათ (კასტა, წოდება შემდეგ განვითარდა ცნებიდან ვარნა, რ-იც აღნიშნავდა 4 მთავარ წოდებას: ბრაჰ-მანების, ქშატრიების, ვაიშიების, შუდრების). ვინც დ-ს დაიცავს, კეთილია და ვინც არა — ცოდვილი. ბუდისტები თავიანთ სარწმუნოებას სულაც დ-ს უწოდებენ, რადგან ეს თითქმის სიქველის, სათნოების სინონიმია. ისაა წყა-რო გარე სამყაროს ტანჯვათა ილუზიისა (სულთა გადასახლების, ცვალების, სანსარას მოვლენისა). მისი დაცვა იწვევს აბსოლუტურ სიმშვიდეს (ნირვა-ნას), რაც ძალზე რთული, ხანგრძლივი პროცესია; 2. უწვრილესი სულ. ნაწი-ლაკები, საიდანაც იქმნება ინდივიდ. შეგნება (ბუდიზმის თეოლოგია).

ეგზარქოსი (ბერძ. „თავი", „უფროსი") — 1. ძვ. ბერძენთა ქურუმთუფრო-სი; 2. ბიზანტიაში: ბარბაროსთაგან წართმეული ოლქის მმართველი; 3. იქ-ვე — ეკლესიის ეპისკოპოსი (VII ს-მდე); 3. დღეს: მართლმადიდებელთა ეგ-ზარქატის თავი. ეგზარქატი — სასულ. და საერო ძალაუფლ. მპყრობელი ბი-ზანტიაში; მართლმადიდ. ეკლესიის ოლქი, რამდენიმე ეპარქიის გამაერთია-ნებელი, რ-ის უფროსი, ეგზარქოსი ემორჩილება პატრიარქს (ციმბირი, ამე-რიკა, უკრაინა — რუს. მართლმად. ეკლესიის ეგზარქატებია); პატრიარქის ან მიტროპოლიტის მოადგილე.

ეგზეგეტიკა (ბერძ. ექსეგეომაი — განვმარტავ) — ღვთისმეტყველების დარგი, რ-ის მიზანია საღმრთო წერილის — ბიბლიის (დაბადების) ახსნა-გან-მარტება (მისი ღვთაებრივობის დამტკიცება, რელიგ. ზნეობის განსამტკიცებ-ლად).

ეგუტერი, ეკვდერი — ეკლესიაზე მიშენებული მცირე სამლოცველო (პრიდველ).

ედემი (ებრ. ედენ, ედემ) — მით. ადგილი, სადაც ძვ. ებრაული ტრადი-ციით (ბიბლიის მიხედვით) არსებობდა მიწიერი სამოთხე, წალკოტი (შექმ. 2,8-15), ცხოვრობდნენ ადამი და ევა, ვიდრე გველი (სატანა) აცდუნებდათ და განრისხებული ღმერთი განდევნიდა. ტიგრისა და ევფრატის ხსენებით ირკვევა, რომ ედემი შუამდინარეთში მდებარეობდა. ჩაუვლიდა 4 მდინარე.

ევა (ებრ. ჰავა — სიცოცხლის წყარო) — ძვ. შუმერული მითიდან მომდი-ნარე საქვეყნოდ ცნობილი სახე, ბიბლიური სამოთხის მკვიდრი, პირველი ქალი, დედამთავარი დედამიწაზე. შეაცდინა გველმა, აჭამა აკრძალული ხი-ლი ხე ცნობადისა, აჭამა ადამსაც, რომლის ნეკნიდანაც ის შექმნა ღმერთმა, და დაიტეხა სიშინელი ცოდვა, მთელი დედათა მოდგმისათვის სამძიმო (მტკივ-ნეული შშობიარობა, სამოთხიდან განდევნა, ოფლით პურის მოპოვება). გახ-

და უთვალავი ლიტ-ული და ფერწერული თუ სკულპტურული ქმნილებების შთამაგონებელი, ფილმისა და შარჟის საგანი. უხატავთ მიქელანჯელოს, რაფაელს, დიურერს, კრანახს, რუბენსს, ურიცხვ სხვა დიდოსტატს.

ევანგელისტები (ბერძ. ევანგელიონ — ხარება, კეთილი ცნობა, აქედ. სახარება) — სახარების ავტორები: მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე. მეცნ. გამოკვლევით, ოთხივე სახარება (და არაკანონიკური წიგნები) შეიქმნა ახ. წ. I—II ს-ებში.

ევანგელისტური ეკლესია — ლუთერანული ეკლესიის ძვ. სახელწოდება. ასევე ეძახიან სხვა პროტესტანტულ ეკლესიებსაც, რ-თა საყრდენია არა კათოლ., არამედ ლუთერანული სარწმუნოება.

ევანგელისტი (სახარებისეული) ქრისტიანები — პროტესტ. სექტის, ბაპტისტების მონათეს. მიმდინ.-ის მომხრენი, რ-ნიც მხოლოდ სახარებას ეყრდნობიან და ბაპტისტებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სახარების ცალკეული ადგილებისადმი სხვაგვარი მიდგომით. მაგ., განგების საკითხში, შეხედულებით, რომ მიტევება ყველას ეკუთვნის, ვინც ქრისტეს მორწმუნეა, კეთილი საქმეები კი მხოლოდ ამ რწმენის შედეგებია და სხვ. რუსეთში XIX ს-ის 70-იანი წლებიდან გამოჩნდნენ. 1944 წ. შეუერთდნენ ბაპტისტებს. ევანგელისტი (სახარებისეული) ქრისტიან-ბაპტისტები (ექბ) — ეკლესია, შექმნილი ბაპტისტების, ევანგელისტ ქრისტიანთა და ორმოცდაათიანელთა შეკავშირებით 1944 წ. 1966 მათ შეუერთდნენ „ძმები მენონიტები". ეს მოხდა ურთიერთდათმობით.

ევდემონიზმი (ბერძ. ევდემონია — სეტარება) — ანტიკ. სამყაროდან მომდინარე ეთიკური პრინციპი, რ-ის მიხედვითაც ადამიანის მიზანია მისწრაფება ბედნიერების, სიამისაკენ. სოკრატეს და არისტოტელეს იდეალები გაანავითარა სპინოზამ, მერე იზიარებდნენ დიდრო და ჰელვეციუსი, ბოლოს თავისებურად განიმარტა ძილის და ბენტამის შრომებში. ქრისტ. მორალს ეწინააღმდეგება ამქვეყნიური სიამოვნების ქადაგებით, მაგრამ აკლია სრულყოფა, ცალმხრივია.

ევქარისტია — ნ. ზიარება.

ეკლესია (ბერძ. „კრება", „საკრებულო") — ძვ. საბერძნეთში (ათენში) — ყოველი დიდი სახალხო კრება, სამსჯავრო, სადაც გამოდიოდნენ სტრატეგები, სარდლები (ეიმონი, მილტიადე, ალკიბიადე და სხვ).; საქრისტიანოში — „უფლის სახლი", საყდარი, ტაძარი; სარწმუნოება, რელიგია (ქრისტ.; კათოლ., მართლმად.).

ეკლესია დიდად ანგარიშგასაწევ როლს თამაშობს სიკეთისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში. საეკლესიო მოღვაწეები მონაწილეობენ ეროვნულ და მსოფლიო ორგანიზაციებში, აწყობენ შეხვედრებს, კრებებს, შეაქვთ საქველმოქმედო თანხები. დიდ მუშაობას ეწევა მსოფლიო საეკლესიო საბჭო, რომელიც აერთიანებს ასზე მეტი სახელმწიფოს რელიგიურ საძმოს, მართავს სამშვიდობო კონფერენციებს, პროცესიებს (ამ სამშვიდობო საქმიანობაში უერთდებიან სხვა რელიგიებიც).

ქართული ეკლესია მუდამ იდგა ერისა და სარწმუნოების სადარაჯოზე, იცავდა რწმენას, რაც იქცა ეროვნულ დროშად თავისუფლებისათვის ბრძო-

ლაში. ჩვენი ავტოკეფალური ეკლესია, როგორც ყოველთვის, რჯულშემწყნარებელია და დიდ საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა მუდამ. ეს პროცესი საგრძნობლად შეაფერხა დამოუკიდებლობის დაკარგვამ რუსეთის ეგზარქოსთა მეუფეების ჯაჭს (1811 –1917), როცა მრავალი ანტიეროვნული დონისძიება გატარდა, განიძარცვა ეროვნული განძი. შემდეგ ის აღდგა თავის უფლებებში და სამამულო ომშიც კალისტრატე ცინცაძემ დიდი მუშაობა გასწია გამარჯვებისათვის ბრძოლაში, შეიტანა თანხები დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად, შეიდგეგც გახდა მრავალი სამშვიდობო ინიციატივის შესეული რელიგიური ძმობის შეკრებაში, რაც არსებითად საფუძველად დაედო ეკუმენურ მოძრაობას. იგივე ტრადიცია განაგრძო და საყოველთაო ავტორიტეტი აუმაღლა ქართულ ეკლესიას უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აღიარების დიდი ფაქტიც იყო საქართველოს ეკლესიის არჩევა მსოფლიო საეკლესიო საბჭოს წევრად (1962 წ.). თვით ილია II ხუთი წელი ასრულებდა ერთ-ერთი პრეზიდენტის საპატიო მოვალეობას. ამავე საპატიო სამშვიდობო მისიას ანხორციელებს დღესაც ქართული ავტოკეფალური ეკლესია და მისი მრევლი.

ეკლესიასტე — ძვ. აღთქმის მცირე წიგნი, შეიწერება სოლომონ ბრძენს, რ-მაც სიბერის წინ იგრძნო „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო". საწყისი სიტყვაა „მზის ქვეშე". შეადგენს ბრძენთა გამონათქვამების კრებულს ცხოვრების წარმავლობასე; მზის ქვეშ მეოფთა გოდება, ტანჯვა- და ურვა, ურწმუნოთა უსიხარულო ცხოვრება აყვანილია მაღალ პოეტურ რანგში. ვინც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს, წყალობის იმედი არ უნდა ჰქონდეს სოლომონი აღსასრულის წინ ამბობს: „ეიყაკი მეფე ისრაელისა..." ეკლესიასტე ეწოდა თვით სოლომონს (ბერძ. ეკკლესია, ლათ. კონსილიუმ, ებრ. კაჰალიდან).

ეკლესიის მამები (ლათ. პატრეს — მამები, აქედ. პატრისტიკა — მათი რელიგიური, ფილოსოფიური, პოლიტ.-სოციოლოგ. დოქტრინების ერთობლიობა) — პირველი გაბრწენილი ღვთისმეტყველნი, მოაზროვნეები, რ-თა ნაშრომების მიზანი იყო ქრისტ. ეკლესიის დაცვა ებრაელთა და წარმართთა თაედასხმებისაგან, მისი უპირატესობის მტკიცება ყველა სხვა რელიგიის წინაშე, ქრისტეს პუმანურობის თეორიული დასაბუთება და ა. შ., მოკლედ — ქრისტიანობის აპოლოგია. ამიტომაც ეწოდება ამ მწერალთა შრომებს აპოლოგეტური. ცხოვრობდნენ II-VIII ს-ებში. ებრძოდნენ აგრეთვე ერესს, გნოსტიკოსებს, მოუწოდებდნენ რომის იმპერატორებს, რომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოეცხადებინათ, უმტკიცებდნენ მის ლოიალობას ტახტის წინაშე და უპირატესობას ძვ. პოლითეიზმთან შედარებით. იუსტინი (II ს.), ათინაგორე (გარდ. დაახ. 177 წ.), ტერტულიანე (გარდ. დაახ. 220) ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანობა ყველაზე სრულყოფილია. დიდად აფასებენ კლემენტ ალექსანდრიელის (გარდ. 215 წლამდე) აპოლოგეტიკას: სიტყვა — ღმერთის „ეამოსხივებაა", რელიგია და ცოდნა ერთიანია, ქრისტ-ობა და ანტიკ. ფილოსოფია თანხმობაშიაო და ა. შ. მან და ორიგენემ (გარდ. 254 წ., ალექსანდრიელი ფილოსოფოსი, „საწყისების" ავტორი) პირველად სცადეს ქრისტ. რელიგიის, როგორც სისტემის ჩამოყალიბება, თეოლოგ. დასაბუთების სრულ-

ყოფა, ცოდნისა და რელიგიის თანხმობის მიღწევა. ამის მიუხედავად, ეკლესიამ დაგმო ორიგენეს ზოგი დებულება სამყაროთა უსასრულობაზე (რაც ბრუნომ ასე პოეტურად იქადაგა 1300 წლის შემდეგ). უმაღლეს დონეს მიაღწია ეკ. მამათა მოღვაწეობაში „კაპადოკიელთა" წრის წარმომადგენელთა — ბასილ დიდის, ეპისკოპოს გრიგოლ ნაზიანზელის,(თეოლოგის, დაახ. 330—390), გრ. ნისელის შრომებში (აღ-ში) და ნეტარ ავგუსტინეს ნაწერებში (დას.). ამ ეტაპზე (IV—V ს-ები) ქრისტ-ბას მიეცა ფილოს. დასაბუთება, დამყარდა კავშირი ნეოპლატონიკურ და სტოიკურ ფილ-სთან, ეს შრომები გამოცხადდა „წმ. გადმოცემების" ნაწილად და უცოდველობის ავტორიტეტით სარგებლობდნენ საუკუნეების განმავლობაში. იოანე დამასკელმა (675—753) მოახდინა ქრისტ-ობის, როგორც მოძღვრების სისტემატიზაცია („წყარო ცოდნისა"), შექმნა სქოლასტიკა. ეკ. მამათა ცხოვრებანი დღესაც შეუფალ ავტორიტეტად ითვლება კათოლ. და მართლმად. ეკლესიებში და როგორც ფილოს. აზროვნების ნიმუშები, შეიცავენ მრავალ მსჯელობას, რ-თა გვერდის ავლა შეუძლებელია რელ. და ფილ. ისტორიაში. კაპადოკიელ მოაზროვნეთა და მწერალთა შრომები ქართულად უთარგმნიათ ათონელებს, ეფრემ მცირეს და სხვ.

ეკლესიოლოგია (ბერძ. ეკლესიათმცოდნეობა) — ღვთისმეტყვ.-ლური მოძღვრება ეკლესიაზე, როგორც „ქრისტეს სხეულზე", მისტ. გაერთიანებაზე, რ-იც თითქოს დედამიწაზე ღმერთის ყოფნის რეალური გამოვლინებაა. კათოლ. და მართლმად. (განსაკ. პირველი) ამაზე აგებს „ჭეშმარიტი ეკლესიის" პრინციპულ პონაცემებს: იერარქიის აუცილებლობას, მიწიერი (მეომარი) და ციური (მოზეიმე) ეკლესიის დოგმებს, ეკლესიის უეჭველობას საერთოდ.

ეკუმენური (ოიკუმენური) მოძრაობა (ბერძ. ოიკუმენ — მსოფლიო) — ეკლესიის საყოველთაო კრიზისის დაძლევის ცდა ეკლესიათა გაერთიანების საშუალებით, საყოველთაო თანხმობით. აქვს რამდენიმე საფეხური (ეერსია). გაერთ. მსოფლიო საეკლ. კრების დონეზე, პროტესტანტულ (ლუთერან., ბაპტისტ. და სხვ.) სამყაროში, ცალკეული ქვეყნის (მაგ., ინგლ., აშშ) მასშტაბით, ცალკეული ქვეყნების გაერთიანებათა (აფრიკისა და სხვ.), დაბოლოს „დარგობრივი" რეგიონის ფარგლებში (სტუდენტთა და სხვ.). საფუძვ. ჩაეყარა მისიონერთა კონფერენციაზე 1910 წ. ედინბურგში. 1948 წ. შედგა ეკლესიათა მსოფლიო ყრილობა. ვატიკანის II ყრილობამ მიიღო „დეკრეტი ე-იზმზე" (1962—1965). ე. მ-ს ხელმძღვანელობას უწევს ეკლესიების მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმი (დამტკიცდა 1938 წ. უტრეხტში), რ-საც ირჩევს გენერალ. ასამბლეა, აგრეთვე გენერალ. კომიტეტი. გენერ. სამდივნო ჟენევაში მუშაობს. გაერთიანებას ესწრაფვის რუს. მართლმად. ეკლ., ბოლო დროს კი წარმომადგენელს გზავნის კათოლ. ეკლ., რ-იც ლამობს ყველა ეკლესია ვატიკანს დაუქვემდებაროს. ე. მ-ს ბევრი საზრუნავი აქვს: მასების ეკლესიიდან განდგომის შეჩერება (რასაც გარეგნულად, თუნდაც მასების უბრალო ცნობისმოყვარეობის სახით, გარკვეული წარმატება აქვს, აქტიურობით აღიარებენ), ახალგაზრდობაში რელ-ის გავრცელება, მისიონერობის განვითარება, „საერთაშორისტ. სოციალური პროგრამის" გამოშუშავება, რაც გამოსადეგი იქნება ყოველნაირი წყობის სახელმწიფოში. გაერთიანება ცდილობს

აძაღლდეს სოციალიზმზეც და კაპიტალიზმზეც, ამასთან გამოხატავს ჩაგრულ ხალხთა სულისკვეთებას („განთავისუფლების თეოლოგია", მცირე ერების ჩაგვრის წინ-გ ლაშქრობა, „რეკოლუციის თეოლოგია" და სხვ.). ე-ური მოძრაობა უდავოდ ასრულებს დადებით როლს დაძაბულობის შენელების, ომის საფრთხის წინ-გ ბრძოლის საყოველთაო საქმეში, ქადაგებს მშვიდობას.

ე. მ-ის ფართო და მრავალმხრივი მუშაობა ვერ აიხსნება მარტოოდენ ქრისტ. რელიგიის კაცთმოყვარეობით და სიკეთისაკენ მისწრაფებით, ესაა ახ. საშუალება მატერიალიზმისა და ათეიზმის წინ-გ ბრძოლისა, „მარადიული კერპთაყვანისმცემლობის" დასაძლევად (კათოლიკე მწერალი მადღლი ათეიზმს გულისხმობს ამ სიტყვაში). საამისოდ მზადდება ნიადაგი, როცა აღიდებენ ებრაელთა საღმრთო წიგნს თალმუდს, ცდილობენ შეარიგონ ქრისტები და ებრაელები (1964 წ. პაპი იოანე პაველ IV „წმინდა მიწაზე" ისრაელის პრეზიდენტს შეხვდა სიტყვებით „შალომ, შალომ!" — მშვიდობა; 1965 წ. ვატიკანის II ყრილობაზე თანამედროვე ებრაელები გაათავისუფლეს ქრისტეს ჯვარცმის შეცოდებისაგან; ნებადართულია თანაშრომლობა ეგზოს საპირისპირო რელიგიებს შორის; ქრისტეს ჯვარმცმული ებრაელები ცხადდებიან „უფლის ნების აღმსრულებლად" და ა. შ.). საბოლოოდ ე. მ. არის ეკლესიების გაერთიანების ცდა „მოძალებული ათეიზმისა და მატერიალიზმის წინ-გ ბრძოლაში" (პროტესტანტების 4 პრინციპ. განცხადებიდან), ჯერ ამ ცდას წარმატება არ მოპყოლია, წინააღმდეგობა დიდია, „მაგრამ გრძელი გზა არ ნიშნავს გადაულახავ გზას" (თ. ფანჯიკიძე). ე. მ. დროის მოთხოვნაა და შეიძლება გარკვეული წარმატება მოპყვეს.

ელიობა (ილიას დღე, სვან. „ამინდისა და ავდრის დღე", რუს ილინ დენ) — ილია წინასწარმეტყველის პატივსაცემი დღესასწაული მართლმადიდ ეკლ-სა, ტარდება 20 ივლისს (2 აგვისტოს). ზაფხულის ეს მნიშვნელ. დღესასწ. დაკავშირებულია ძვ. ქანაანის წყალთა და მიწათმოქმედების ღმერთის — ილიას სახელთან, რ-იც ბიბლიაში იქცა მრისხანე წინასწარმეტყველად, მრავალი ბიბლ. თქმულების გმირად. ბაალის სამსახურში გადასული აქაბის დასჯის მიზნით ილიამ სამი წლით შეწყვიტა წვიმა. თვითონ ნაკადთან ცხოვრობდა, საკვები ორ ყვავს მოაქონდა (ტოტემიზმის ნიშანი), წყალი დაშრა. ილია გადავიდა ერთ ქვრივთან, გაამრავლა მისი სანოვაგე (ასევე მოგვითხრობენ ზევსი, დიოსინე, ქრისტე); გაახერა იორდანე, გააპო და მშრალად გადავიდა ელისესთან ერთად. ბოლოს ანაზდად გამოჩნდა ცეცხლის ეტლი და ილია აიტაცა ზეცაში. სადაც ის ცეცხლოვან ეტლს დააქროლებს, წვიმას უშვებს, მეხსა სტყორცნის მავნეს (მორწმუნენი ამ დროს პირჯვარს იწერენ, „წმინდა არსო", გაიძახიან, კარ-ფანჯარას ხურავენ ეშმაკის შიშით). ელიობას მორწმუნენი ხელის განძრევასაც უკრძალავენ თანასოფლელებს, რომ ილია არ გაანაწყენონ, რაც დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას (თიბვა, მკა და სხვ.). ქრისტ. წმინდანის თვისებები მიაწერეს რუსეთში ჭექა-ქუხილის ღმერთს პერუნს. გერმანიაში მისი ორეულია თორი (დონარი). ცეცხლის ეტლზე ცადამაღლებით ილია მოგვაგონებს სპარს. ღმერთს მითრას, ბერძ. ჰელიოსის მზის ეტლს. ღრუბელთა, მეხის, წვიმის გამგებელ ილიას სახე კლასიკურადაა დამუშავებული „დაბადების" წიგნებში (მეფეთა, III—IV).

ენკენია (ბერძ.) — ტაძართ განახლების ყოველწლიური დღესასწაული (ობნოვლენიე, ოსვიაშჩენიე). დან. 3,3; კურთხევა (მათ. 26,7-11).

ენკრატისი (ბერძ.) — ეოწესე დედა, მონაზონი.

ენკერი — სამღვდელმთავრო შესამოსელი, მარჯვენა გვერდზე დასაკიდი, ოთხკუთხი (ეპისკოპოსთა, არქიელთა: ნაბედრენნიკ, პალიცა).

ენციკლიკა (ბერძ. ენკიკლიოს, ლათ. ენციკლიკა — საერთო, საყოველთაო) — პაპის განსაკუთრებული მიმართვა სასულიერო სამყაროსა და მორწმუნეებისადმი — სადღესასწაულო საჭირბორიტო საკითხებზე, კათოლ. ეკლესიის სოციალურ მოძღვრებაზე, ახალ ვითარებასთან შეფარდებულ პოზიციებზე და ა. შ. სახელი ჩვეულებრივ ეძლევა ტექსტის პირველი სიტყვების მიხედვით. მაგ., ლეო XIII პირველი სოციალური ე. ცნობილია სახელწოდებით „რერუმ ნოვარუმ" („ახალი საგნები", 1891). პაპი ილაშქრებდა კომუნიზმის წინააღმდეგ, ითხოვდა მუშათა კათოლ. ორგანიზაციების შექმნას, კლასობრივ ზავს, იცავდა მიწიერი ცხოვრების წარმავლობისა, ადამიანთა ტანჯვისა და კაპიტალიზმის მარადიულობის იდეებს. 1931 წ. 15 მაისს ამ ანტიკომუნისტური მანიფესტის 40 წლისთავზე პიუს XI-მ გამოუშვა ე. „კვადრაგესიმო ანნო" („მეორმოცე წლისათვის"), რ-ითაც დაწყევლა კომუნიზმი და შეაქო ფაშისტური კორპორაციული წყობა, როგორც იდეა. 70 წლისთავზე (1961 წ. 15 მაისს) იოანე XXIII (ცხადია, არა ბანდიტი — პაპი ბალთაზარ კოსა, იგივე იოანე XXIII, რომელიც ისტორიამ უარყო) სცემს ე-ს „მატერ ეტ მაგისტრა" („დედა და დამრიგებელი"), რ-შიაც გათვალისწინებულია ბევრი სიახლე მეცნიერებასა და სოც. წყობაში, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა (ოღონდ კაპიტ. ფარგლებში), აღარაა თავდასხმა სოციალიზმზე (თუმცა დაგმობილია უმმერთო საზოგადოების შენება), შეტანილია მოთხოვნა ბირთვული იარაღის მოსპობაზე. ეს სამშვიდობო მისწრაფება განსაკუთრებით გამოვლინდა იმავე იოანე XXIII-ის მორიგ ე-ში „პაცემ ინ ტერრი" (მშვიდობა დედამიწაზე, 1963), რ-შიაც პაპი ხალხებს მოუწოდებს მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და იარაღის სრული აკრძალვისაკენ. 1967 წ. 26 მარტს პავლე VI-მ გამოუშვა ე. „პოპულორუმ პროგრესსიო" (ხალხთა პროგრესი), მიმართული სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი. პაპი აღიარებდა მშრომელთა მძიმე მდგომარეობას. თუმცა ყველა ე. მაინც შეიცავს მტრულ პოზიციას სოციალიზმისადმი, მაგრამ ახალი ვითარების შესაბამისი დათმობები უდავოდ არის, და ეს გამოიხატა იოანე პავლე VI-ის ე-ში „ლაბორემ ექსერცეს" (ადამიანის შრომაზე): პაპი აღიარებს მშრომელთა გასაჭირს, ინფლაციას, უმუშევრობას, ეხება გლობალურ საკითხებს, ითხოვს გარემოს დაცვას. საერთოდ, თითქმის მთელი საუკუნეა, რაც ე-ებში იგრძნობა მომხდარ ცვლილებათა აღიარება, მაგრამ ძირითადი ხაზი — კაპიტალიზმის დაცვა, ათეიზმის გმობა უცვლელი რჩება.

ეპარქია (ბერძ. ეპი — ზე, ზემო, არქო — განვაგებ: ეპარქია) — არქიელის საბრძანებელი, სამღვდელმთავრო (ბიზანტიაში — ქალაქის თავი: ეპარქოსი). განაგებს ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი (არქიელი). შედგება რამდენიმე „ბლაღოჩინის (წინამძღვრის) უბნისაგან", რაც მრევლებად იყოფა.

ეპისკოპოსი (ბერძ. „ზედამხედველი") — ქრისტ. ეკლესიების უმრავლესობის უმაღლესი იერარქი, არქიეპისკოპოსი საერთო სახელი (მიტროპოლიტი, არქიეპ.).

ეპისკოპალური ეკლესია — ნ. ანგლიკანური ეკლესია; აშშ-ის ე. ე. 1789 წ-დან არსებობს, უმრავლესობა ბურჟ. ინტელიგენციაა, დიდი როლი ენიჭებათ საეკლ. საქმეებში ერისკაცებს. ქადაგებს ქრისტიანულ სოციალიზმს.

ეპიტაფია (ბერძ ტო. ეპიტაფიონ: ეპი — „ზე", ტაფოს — „კუბო") — 1. საფლავის ქვაზე მინაწერი ლექსი ან პროზა; 2. ლექსი, გალობა (დაკრძალვაზე).

ეპიტიმია (ბერძ. ე-იონ, სასჯელი) — მორალურ-გამასწორებელი სასჯელი, რასაც სულიერი შამა დაადებს მორწმუნე საეროებს (ხანგრძლივი მარხვა, ლოცვა, მიწამდე თავის დაკვრით ხატის თაყვანისცემა, ჯარიმა).

ეპიფანია (ბერძ. „გამოცხადება" ღვთაებისა) — ქრისტეს გამოცხადება; ნათლობა იორდანეს წყალში.

ერესები (ბერძ. ერეო — ვირჩევ, ვარწმუნებ; პაირესის, ერესის — ამორჩევა; მოგვიანებით — სექტა, სკოლა, მოძღვრება) . განდგომა, ეკლესიის ოფიც. დოქტრინის. დოგმების წინ-გ მიმართული მოძღვრებანი, რ-სიც ჩვეულებრივ არ სცილდებიან რელიგიის ფარგლებს (დოგმატიკა, კულტი, ორგანიზაცია). გამოხატავენ უფრო ჩაგრულთა ინტერესებს, ფეოდალიზმის და გაბატ. ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულს, ძირითადად სამების, ქრისტოლოგიის, განგების საკითხებში. ადრეული ქრისტ-ის მანიქეველთა და სხვა ერესების შემდეგ ამ მოძღვრებათა საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს დუალიზმი (ალბიგოელები, ეალდენსელები), მისტ. პანთეიზმი და სხვ., ამ საბრძოლო და კრიტიკ. მიდგომის შედეგად უარყოფდნენ სამებას, ქრისტეს მოვლინებას პურისა და ღვინის სახით, სინანულს, ხსნას, შეცოდებას, კულტს, 7 საიდუმლოს, ბერობას, ეკლესიის სიწმინდეს, სასულიეროებს, და დედამიწა ცხადდებოდა ბოროტების, სატანის, ანტიქრისტეს სამეუფოდ. სახელმწიფო და ეკლესია ერეტიკოსებს სასტიკად დევნიდა, სჯიდა, წვავდა, აწამებდა, იცემოდა ენციკლიკები და ბულები, კიცხავდნენ საეკლ. კრებები. ამ მიზნით შეიქმნა წმ. სამსჯავროები, ორდენები, ინკვიზიციის სახარელი მექანიზმი. რუსეთშიც ე. გამოხატავდნენ ჩაგრულთა ინტერესებს, ძალადობის სიძულვილს.

ესქატოლოგია (ბერძ. ესქატოს — უკანასკნელი, ლოგოს — მოძღვრება) — რელიგ. მოძღვრება ქვეყნის აღსასრულზე, რაც გამოიხატება წარღვნის, მეორედ მოსვლის, განკითხვის დღის (ამ ცნებების ისტ.-რელიგ. კავშირი უდავოა), აგრეთვე რაგნაროკის (მსოფლიო ხანძრის), ეკოლოგიური კატასტროფის რწმენით; ეს რწმენა შორეულ წარსულში პოულობს ნიადაგს: ზოროასტრის, ძველი ეგვიპტის, მეტადრე იუდაიზმის მოძღვრებებში (ახასიათებს ისლამსაც, სხვა ძვ. და ახ. რელიგიებს). ბიბლიის ვარაუდი მესიაზე ხორცს ისხამს ქრისტ. ე-ში, ანტიქრისტეს და მეორედ მოსვლის რწმენებში. მეორედ მოსვლას, კატასტროფის განმეორებას წარმართობის ჟამსაც ელოდნენ და ძვ. აღთქმის პატრიარქების ჟამსაც. ქრისტ-მ ეს წარმართული ტერმინი საბოლოოდ დააკვიდრა, როგორც განკითხვის დღის სინონიმი, მაგრამ ხალხის წარმოდგენაში დარჩა ძველი გაგებაც, რაც ენამ შემოგვინახა.

ეტლი — ზოდიაქოს ცთომილთა ნიშანი; პლანეტა; ცთომილი, ვარსკვლავი; ბედი, ბედისწერა (ეტ. წუთისოფლისა; რა ეტლზე დაბადებულა; რაც ეტლსა გიწერია; ეტლთა რბენა, ჩარხი ცხოვრებისა). ძვ. ხალხთა ასტროლოგიურ და პოეტურ მეტყველებაში დიდ როლს თამაშობს, აგებულია ეს ფატალურ რწმენაზე, რომლის მიხედვითაც ადამიანის ბედი ბურთის ან ბორბლის მოყვანილობისაა, ბრუნავს, მიფრინავს, აამაღლებს ან „გადარეხავს" პატრონს.

ექსტაზი (ბერ. ექსტასის — აღტკინება, სიშმაგე, უკიდურესი აგზნება) — უკიდურესი ნერვული დაძაბულობა, აღტაცება, როცა ადამიანი კარგავს კონტროლს საკუთარ მოქმედებაზე, უეღარ არჩევს რეალურსა და არნახულს. ხშირად გამხდარა და ხდება რელიგ. კულტის შემადგენელი ნაწილი. ე-ს განიცდის ჩამორჩენილ ტომთა ჯადოქარი, როცა გაშმაგებით ცეკვავს ცეცხლის გარშემო, წარმოთქვამს გაურკვეველ ბგერებს, ეინმე განწირულს მიადგება და მისი წამებით მოკვლას ითხოვს. ე-ს იწვევს ხანგრძლივი მომქანცველი ლოცვა, როკვა, უძილობა, თვითგვემა, ნარკოტიკები. აგზნებული ვეღარ გრძნობს ტკივილს, დროსა და ადგილს ვერ არჩევს, აქვს ჰალუცინაციები, რაც ხშირად დანაშაულით თავდება.

აშკარა გამოვლინებაა შამანობა, გლოსოლალია, ხლისტების სიგიჟე, ისლამის შაპსეი-ვაპსეი.

ეშმაკი (სპ. ქაჯ, ბერძ. დიაბოლოს — მატყუარა, ცილისმწამებელი, ქალდ. ძვ. ებრ. სატანა) — მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობისათვის ცნობილი ავი არსება, ბოროტი საწყისი, ღმერთის მთავარი მოქიშპე, ყველა ცოდვისა და უბედურების მიზეზი, იგ. ბელზებელი, „წყვდიადის მთავარი", ცბიერი, უნდო, მაცდური დემონი, რ-იც ერთნაირადაა მითოლოგიისა და რელიგიის განსჯის საგანი. თომა აქვინელის მტკიცებით, შეუძლია კავშირი დაიჭიროს ქალთან და გააჩინოს გომბეშოსნაირი, გველისკუდიანი, მგლისთავიანი არსება. ამ არარსებულმა არსებამ, რ-საც ტრადიციით თხის რქები და ჯორის ფლოქვები აქვს, უთვალავი ადამიანი შეიწირა, რადგან საუკუნეების განმავლობაში ეშმაკთან კავშირი სასიკვდილო შეცოდებად ეთვლებოდა ქალსა თუ კაცს. იეზუიტმა ელბუცმა ტრირში 1607 წ. 200 „ეშმაკეული" დაწვა. ვიურცბურგის ეპისკოპოსმა 209 კუდიანი დაფერფლა ქრისტეს სახელით; ტორკვემადამ 11 272 კაცი დაწვა, დესამ — 1664, სისნეროსმა — 4624, კიროგამ — 2816. და მთელს ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში ეშმაკი მართლაც ეშმაკის როლს ასრულებდა. მუსულმანთა იბლისი, შაითანი, ქრისტ. ლიტ-ში უფრო ღრმადაა დამუშავებული. სატანა ღმერთის უძლიერესი მოწინააღმდეგე იყო, საბაოთმა ის დაამარცხა, როგორც ზევსმა ტიფონი, და ტიფონივით ქვესკნელში ჩაგდო მიმდევართა დიდ ნაწილთან ერთად. რელიგია ოსტატურად იყენებს ეშმაკს, როგორც ყველა ტანჯვის მიზეზს, რ-საც უნდა ვებრძოლოთ, ამით მასების ყურადღებას აშორებს ნამდვილ მჩაგვრელებს, რ-თა ნაკლებობა არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა. მოსწრებულად შენიშნა ფრანგმა მატერიალისტმა, „ჯიბის ღვთისმეტყველების" ავტორმა პოლ პოლბახმა: „სამღვდელოებას ეშმაკი ღმერთზე ნაკლებად როდი ესაჭიროებაო". ვისაც ღმერთი სწამს, ე-იც სჯერა. ძველთაგანვე იყო რწმენა, რომ კაცის შიგნით ისადგურებს ერთი ან

უთუალავი ეშმაკი და გარკვეული ღონისძიებით შეიძლება მისი (მათი) განდევნა. „განსხმა": „უფალო! სახელითა შენითა ეშმაკნი განვიხენით" (მათე 7,22); „ენახე რაჟე ეშმაკისა სიცრუე და სიბილწეო" (შ. რუსთაველი)

3

. **ვალდენსები**, ვალდენსელები (ან ლათ. ვალდენსეს, ლიონელი ვაჭრის პიერ ვალდის სახელიდან, რ-მაც 1176 წ. „სრულყოფილთა" თეში შეადგინა) — შუა საუკ-ების ბოლოხთა და ხელოსანთა ერეტიკ. სექტა სამხ საფრ-ში, გავრცელდა გერმ-ში, ჩეხეთში, ჩრდ. იტალიაში, ესპანეთში. გამოხატავდნენ პროტესტს ფეოდ. ჩაგვრისა და კათოლ. ეკლ-ის წინ-გ, უარყოფდნენ 7 საიდუმლოს, პაპის უფლებებს იწოდებოდეს მოციქულის მოადგილედ და მიითვისოს გადასახადების შეკრეფა .. სასტიკად დევნიდნენ, როგორც მონათესაკე ალბიგოელთა და კათართა სექტებს, მაგრამ გაძლეს XX ს-მდე ითხოვდნენ თანასწორობას, პაპს სატანის მოციქულს უწოდებდნენ.

ვალპურგის ღამე (იღუმენ ვალპურგიას სახელიდან, რ-ის ხსოვნასაც კათოლიკენი 1 მაისს აღნიშნავენ) — თავდაპირველად წარმართ გერმანელთა გაზაფხულის დღესასწაული, ტარდებოდა 1 მაისის წინა ღამეს პარცის უმაღლეს მთაზე – ბროკენზე (ბლოკსბერგზე), სადაც თითქოს იმ ღამეს თავს იყრიდნენ კუდიანები, ჯადოქრები, ავსულები, და სატანის წინამძღოლობით აწყობდნენ შაბაშს (ცეკვა-თამაში, ჯადოქრობანი). ქრისტიანობამ ჯერ მტრულად შეხვდა ამ ორგიას, როგორც „უწმინდურ, კერპთაყვანისმცემლურ ქაჯობას", მონაწილეებს ანათემას უცხადებდნენ, ძალისთან კავშირს სწამებდნენ. შემდეგ, ეტყობა, ავსულთა შაბაშს შეურიგდნენ და დღესასწაულს მათ წინააღმდეგ გამოსვლის ხასიათი მიეცა, თუმცა გარკვეული არაა ამაში ინგლისელი მისიონერის, დედათა მონასტრის წინამძღვრის ვალპურგას (ვალბურგას) როლი (გარდ. 777 წ. ჰაიდენჰაიმში). თუმა დაამუშავა გოეთემ „ფაუსტში" („ვ-ის ღამეს" ესწრებიან ფაუსტი და მეფისტოფელი).

ვატიკანი (ვატიკანო) — 1. რომის ერთ-ერთი 7 გორაკთაგანი, რ-ზედაც აშენებულია პაპთა რეზიდენცია; 2. მთელი ჩუროთმოძღვრული ანსამბლი — წმ. პეტრეს ტაძარი, საოციქულო სასახლე, რ-იც სიმბოლურად „კლდეზეა" აგებული (აქ ირჩევენ პაპებს), სიქსტინის კაპელა და სხვ.; 3 პაპთა ოფიც. რეზიდენცია 1870 წლიდან, როცა გარიბალდის ბრძოლებისა და მერე ნაპოლეონ II-ის ტყვედ ჩავარდნის შემდეგ იტალიელმა პატრიოტებმა რომი აიღეს, პაპის საერო ძალაუფლება დაემხო და პიუს IX-მ თავი „ვატიკანის პატიმრად" გამოაცხადა; 3. რომის ნაწილი, პაპის სახელმწიფო, რ-ის ფართობია სულ 44 ჰა, მოსახლეობა — 1000 კაცი, აქვს თავისი სტამბები, გაზეთი „ორსერვატორე რომანუ" (1861 წლიდან), ფული, აპარატი, ბანკი (ვ. ერთ-ერთი უმდიდრესი სახელმწიფოა მსოფლიოში)... ოფიც-დ შეიქმნა 1929 წ., მუსოლინისთან პიუს XI-ის მიერ შეკრული შეთანხმების საფუძველზე. პაპის ძალაუფლება განუსაზღვრელია. ფინანსებს, მშენებლობას განაგებენ კარდინალთა საბჭო და

გუბერნატორი, პოლიტ. საქმეებს — კურია, რ-ის მეთაურია კარდინალ-სტატსმდივანი (საგარეო საქმეთა შინისტრი). სინოდის შემადგ-ში შედიან აღ. ეკლესიის პატრიარქები და მიტროპოლიტები (კათ. აღ-სა), მონასტრების წარმომადგენლები და პაპის დანიშნული პირები. ურთიერთობა აქვს ასსე მეტ სახელმწიფოსთან, რომელთა წარმომადგენლები ქმნიან დიპლ. კორპუსს. აქვს უნივერსიტეტები, აკადემიები, კოლეჯები, სემინარიები, რადიო, ტელეცენტრი, პროპაგანდის მთელი სისტემა, დროშა, ჰიმნი, მარკები, ავტოპარკი, მუზეუმი, უმდიდრესი ბიბლიოთეკები, რკინიგზის სადგური, ჰყავს ჟანდარმერია (ე. წ. შვეიცარიის გვარდია), ტრიბუნალი, აგენტების ქსელი. ვ-ში მუშაობს 3000 მოსამსახურე (ძირით. იტ-ელი მღვდლები), ეაჭრობს უბაჟოდ. ბანკებში აქვს მილიარდობით დოლარი. ესაა სახელმწიფო სახელმწიფოში, მთელი საქრისტიანოს მბრძანებლის პრეტენზიით.

ვატიკანის საეკლესიო კრება — ნ. საეკლესიო კრება.

ვნების კვირა — დიდმარხვის ბოლო კვირა (7 დღე), აღდგომის წინა სადღესასწაულო დღეები, რ-თაც ეკლესია მარხვით აღნიშნავს ქრისტეს ვნების (ტანჯვის) მოსაგონებლად, იმ ცოდვების გამოსასყიდად, რ-ებიც თითქოს ადამიანს აქვს უფლის წინაშე. ეს მარხვა ქმნის ნაღვლიან განწყობილებას და წუხილს იმ წამების გამო, რაც იესომ ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად გადაიტანა. ეკლ. დაბეჯითებით ამტკიცებს იმ დღეებში მარხვის აუცილებლობას (დიდი ორშაბათი, როცა იესომ დაწყეველა უნაყოფო ლეღვი; დიდი სამშაბათი, როცა ტაძარში ახ. მოძღვრება იქადაგა; დიდი ოთხშაბათი, როცა მოწაფეებმა სერობა მოუწყვეს; დიდი ხუთშაბათი, როცა თვითონ გაუმართა მოციქულებს სერობა, ამხილა იუდა და დაადგინა ზიარების საიდუმლო; დიდი პარასკევი, როცა აწამეს; დიდი შაბათი, როცა დაკრძალეს).

ზ

ზადიკი — საგალობელთა წიგნი, ერგასის მომდევნო 50 დღისა (პასეკიდან სულთმოფენობამდე), თითოეული დღის განგებები: ნ. ზატიკი.

ზარი (გერმ. გლოკკე და რუს. კოლოკოლ მომდინარეობს ძვ. ბრიტანულიდან კლოკკა, კიმრთა გერმ. ტომის ენიდან კლოკ, ახ. ლათ. კლოკა, ფრანგ. კლოკ, შვედ. კლოკკა და სხვ.; ძვ. სლავ. კლაკოლუ; იტალ. კამპანა) — ფოლადის ან ბრინჯაოს (იშვიათად კერამიკული) ჩამოსხმული, მაჩიტას ყეავილის მოყვანილობის, უძრავი ან ჰაერში მოქანავე კორპუსი, რ-იც „ზარის ენის" დარტყმით გამოსცემს ჰარმონიულ ხმას, კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებში ჩვეულებრივ სალოცავად მომწოდებელს, ომის ან სხვა საგანგაშო შემთხვევების დროს — მხმობელს, რომ ხალხი შეიყაროს და საერთო ძალით გაუმკლავდეს გასაჭირს, შეხედეს შემოჭრილ მტერს, მიეშველოს გასაჭირში ჩავარდნილს, შეიკრიბოს სამსჯავროზე და სხვ. ზ. აფრთხობდა ავსულებს, მავნეს.

ზარის ჩამოსხმის ხელოვნება დიდად განვითარდა აღ. აზიაში ძვ. წ. I

ს-ში. ევროპაში ცნობილი გახდა უფრო VI ს-ში, თუმცა ბერძენი და რომაელი მწერლები (ტიბულუსი, სტრაბონი, პოლიბიუსი და სხვები) ძვ. წ. II—I ს-ებში უკვე აღწერენ დიდი ხელოვნებით ჩამოსხმულ ზარებს. ძვ. საქ-ში ახ. წ. 500 წ. ჩამოსხმის საქმე უკვე მაღალ დონეზე იდგა, ხოლო XII ს-ში ხანძთის მონასტერში და სხვა სამლოცველოებში უკვე ყოფილა საძრეკლო, საიდანაც მლოცველებსა და მეომრებს საჭიროების მიხედვით მოუხმობდნენ. ზარის, დედო-ზარის პარმონიული, იდუმალი ხმობა მშვიდობის ნიშანიც იყო და გლოვისაც. მეზობელ მონასტერთა ზარების ხმა ქმნიდა ერთიან პარმონიულ სიმფონიას, რაც საუკუნეების განმავლობაში ეფინებოდა საქ-ს მთასა და ბარს. ამაზე შექმნილია ცნობილი ჰიმნიც „რეკა მწუხრის ზარისა, რეკა მწუხრის ზარისა...“ რეკავდა დახელოვნებული მრეკავი ვ. ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ მთავარი გმირია ფიზიკურად ძახინჯი და სულით ძლიერი ქვაზიმოდო, მეზარე.

ქრისტიანულ ტაძრებთან შენდებოდა უბრალო ან მდიდრული საძრეკლოები. საქ-ში ცნობილია გუდარეხის (1278), იჯარეთის, საფარის, გელათის, იშხნის, შუამთის, შემდეგ ხობის, ბოლნისის, ანანურის, არმაზის, ნინოწმინდის და სხვა საძრეკლოები, სადაც ზარების ხმა ნუგეშის, საფრთხისა და იმედის ჰიმნივით გაისმოდა. შარდენი აღწერს სიონს და სიონის საძრეკლოს.

ზარი მხოლოდ წირვისათვის მხმობელი როდია. შაქრორის ბრძოლის წინ ფეხშიშველა თამარი გამარჯვებას ლოცულობდა მეტეხის ტაძარში... ზარების ხმა ისმის დღესაც, ისმის სამრეკლოებზე და სცენებზე, მუსიკალურ ნაწარმოებებში, და მოგვაგონებს იმ ბარბაროსული აქტებს, როცა გარეშე თუ შინაური მტრები სიკეთის მხმობელ ზარებს ხსნიდნენ, ამტვრევდნენ და ადნობდნენ.

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ზარის გამოყენება ნოლანელ ეპისკოპოსს პაულინს აზრად მოუვიდა მაჩიტას ყვავილის ხილვისას, ნიაეზე რომ პარმონიულ ხმას გამოსცემდა. რუსეთში დას-დან შემოვიდა (გლოკკე — კოლოკოლ). პირველად 100-ფუთიანი ზ. სასწაულად მიაჩნდათ, მაგრამ სოფიის ტაძარში (კიევი) 250-ფუთიანი ზარიც ეკიდა. პეტრე დიდმა უამრავი ზ. ჩამოასხა. უდიდესი კი, მეფე-ზარი მოსკოვში არაერთხელ ჩამოასხეს, მეორის წონა 3351 ფუთი იყო, დაიმტვრა 1812 წ. და განაახლეს 1817 წ (4000 ფუთი). გერმანიაში უძველესი ზარი 1144 წ. ჩამოასხეს.

ზარის რეკვა — განსაკუთრ. რეკვა, ერთი ზარისა, დარტყმების გამოთვლით, დღესასწაულების ხასიათის მიხედვით, მლოცველთა მოსახმობად.

ზატიკი — „ენება“, ტანჯვა (იესოსი), „პასქი“, „დღესასწაული ჰურიათა“; „ყო იოსია მეფემან ზატიკი იგი უფლისა“ (I ეზრა, 1,1); „ზატიკად ჩვენდა დაიკლა ქრისტე“ (I კორინთ. 5,7). აქ — მსხვერპლი. აქედ. — გალობანი.

ზებუნებრივი — მოვლენა, არსება, რ-იც არ ექვემდებარება ამქვეყნიურს, რეალურს, ბუნებრივს (ღმერთი, ეშმაკი, დემონი, სასწაული, წინასწარმეტყველება).

ზეთის კურთხევა და ცხება — ძველი სნეულის განსაკურნავად ერთობლივად ილოცება 7 მღვდელი, სცხებენ ზეთს შუბლზე, სახეზე, პირზე, ხელებზე. მართლმადიდ. ეკლ. ასწავლის, რომ ამით მთელდება სნეული სულიერად

და ხორციელად, თავისუფლდება ცოდვებისაგან, რ-თა მონანიება თავის სიცოცხლეში კაცმა ვერ მოასწრო. ესაა წმ. საიდუმლო, რ-ითაც მოუხმობენ მომაკვდავზე ღმერთის კურთხევას. იაკობ მოციქული ხალხს ასწავლიდა, რომ ეს ახალი წესი არაა, უწინაც ასრულებდა ქრისტე, რ-მაც დააწესაო. კათოლიკური ეკლესია არ ცნობს ზეთის კურთხევის სამკურნალო დანიშნულებას, მხოლოდ დამამშვიდებელ საშუალებად თვლის (რუს. ელეოსვიაშჩენიე. სობოროვანე)

ზესკნელი — ცის ზემოთ სავარაუდებელი სამყარო, უპირისპირდება ქვესკნელს, გარესკნელს, შიდასკნელს. II სჯულისა 28—23; ფს. 8,1. მაგიის გადმონაშთია.

ზიარება (ევქარისტია: ბერძ. ευ — კარგი, ხარის — წყალობა; რუს. ПРИЧАШЧЕНИЕ) — ქრისტ. სარწ.-ების ერთ-ერთი 7 საიდუმლოთაგანი, მორწმუნის მიერ პურის და ღვინის მიღება, როგორც ქრისტეს ხორცისა და სისხლისა (ასე აუხსნა მოციქულებს საიდუმლო სერობაზე). ამით თითქოს ხდება ცოდვების გაშოსყიდვა, რადგან პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად იქცევა. ამბობენ, რომ ესაა ძვ. ტოტემიზმის გადმონაშთი, როცა პირველი ტოტემები უმ ხორცსა და სისხლს იღებდნენ, ვითომ ღვთაებას ეზიარებოდნენ. ადრეული ქრისტიანები ზ-ს არ იღებდნენ: ქრისტემ უკვე გამოისყიდაო ყველას ცოდვა. მართლმადიდ-ნი და პროტესტანტები მუდამ ეზიარებოდნენ, კათოლიკებმა კი (საეროებმა) პურთან ერთად ღვინის მიღების ნება მხოლოდ ვატიკანის II მსოფ. ყრილობაზე მიიღეს. თანამედ. ღვთისმეტყველნი ამ რიტუალში მხოლოდ განწმენდისა და გულის მოხებების საშუალებას ხედავენ.

მათეს სახარების ცნობილი ადგილი (26,28): „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ ზოგს გულუბრყვილოდ ესმის: კაციჭამიობის გადმონაშთიაო. სინამდვილეში ეს მოტივი ცნობილია ძვ. ხეთების, ეგვიპტელთა და სხვა ხალხთა ისტორიიდან, მას სიმბოლური გაგება აქვს და პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ.

ზოომორფიზმი (ბერძ. ζωον — ცხოველი, მორფე — ფორმა) — რეალური ან წარმოსახვითი არსებებისათვის ცხოველთა ფორმის მიცემა (გადმოცემებში, საკულტო წესებში, მით. და რელიგ. წარმოდგენებში). გადმონაშთია ტოტემიზმისა, როცა პირველ მონადირეებს ნადირები (მეტადრე ისეთები, რ-ნიც მათს საარსებო წყაროს წარმოადგენდნენ) ნათესავად, ტომის ტოტემად მიაჩნდათ (ახლაც ჩრდ-ის ხალხებში დათვის კულტია, ინდოეთში — ძროხის და მაიმუნის, პოლინეზიაში — თევზის). ძვ. ეგვიპტეში ღმერთებს ჩვეულებრივ ცხოველთა თავს ან ტანსაც აძლევდნენ: ხარი აპისი განასახიერებდა ოსირისს, ვერძის სახე იყო ხნუმი, იბისის — თოთი, ქორცქვიტასი — პოროსი, ნიანგის — სებაკი, აფთრის სახე ჰქონდა ანუბისს... ქრისტ. სარწმ-ში ასეთი გადმონაშთია მტრედი—სულიწმინდის განსახიერება. იმავე შინაარსისაა ანიმალიზმი (ლათ. ანიმა — სული), ზოოლატრია (ლატრია — მსახურება).

ზორეა (ზორ, სვან. ზორაკ — „მსხვერპლი“, ზვარაკი) — მსხვერპლი; შეწირვა; ღვთისმსახურება, მსხვერპლის მიტანა; ვეზორეები — ვეწირები (სვ. „შენი ზორაკი ვიყო!“). „შესწირეს ზორვილნი მათნი“ (IV მეფ., 16,15) — აქ ზორვილი მსხვერპლია; „უზორეთ ღმერთთა“; „კერპთა უზორვენ“; „ზორ-

ვასა მას ბილწებისასა აღასრულებდეს"; „დასთხიეს სისხლი უბრალო. სისხლი ძეთა და ასულთა მათთა, რომელ იგი უზორეს კერპსა მას ქანანისასა, დაკლვით მოისრა ქვეყანა სისხლით" (ფს. 105,37).

ზოროასტრიზმი, პარსიზმი (სიტყვიდან სპარსეთი) — მაზდეიანური რელ., რომლის რეფორმაც ძვ. წ. VII—VI ს-ებში მოახდინა წინასწარმეტყველმა ზოროასტრმა (ბერძ. სარათუშტრა), ისტ. პიროვნებამ, ბრძენმა, რ-საც მიეწერება უძვ. გათები, ავესტა (ზენდ — ავესტა), ძვ. სპარს. რელიგიის მთავარი „წმინდა წიგნი". მთავარი იდეა: მარადიული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. პირველია სიკეთის, შუქის, ჭეშმარიტების განსახიერება, — აქედ. მაზდეიზმი. მეორე კი ანხრა — მაინი (ბერძ.-ად ორმუზდი და არიმანი, როგორც ღმერთი და სატანა). არიმანი (პარიმანი) განასახიერებს სიბნელეს, სიკვდილს. ძალზე პოპულარული რელიგიაა, მისი დუალიზმი განაპირობა მომთაბარე ტომთა გასაჭირმა, უდაბნოს ყაჩაღების თავდასხმებმა, რასაც პარიმანის (არიმანის) მოქმედებად თვლიდნენ. ზ. ქადაგებს ცეცხლთაყვანისმცემლობას, მეორედ მოსვლას, ცეცხლოვანი კატასტროფით პარიმანის განწმენდას და დიდი ხნით სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე. სწამთ დღესაც ზოგ მხარეში. აპურამაზდას მეგობრად ითვლება მითრა, რ-იც შრომას ქადაგებს. ის განწმენდს სამყაროს ცეცხლში არიმანსაც და ყოველ მოკვდავსაც. ხსნას ჯაფაში ხედავს.

თ

თავისუფლება სინდისისა — მოქ-თა უფლება, რომ იწამონ ესა თუ ის რელიგია, არ იწამონ, იყონ მორწმუნე თუ ათეისტი, აწარმოონ ანტირელიგ. პროპაგანდა თუ შეასრულონ კულტი.

თალმუდი (ძვ. ებრ. ლამეიდ — შესწავლა) — ებრაელთა მრავალტომიანი წიგნი — სასულიერო-დოგმატიკური, ფილოსოფიური, უფლებრივი, საკულტო, იდეოლოგ., ყოფითი ტრაქტატების კრებული, იქმნებოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში (ძვ. წ. IV — ახ. წ. V ს.). მარტო ძვ. აღთქმის კომენტარებს უჭირავს 6 განყ., სულ 63 ტრაქტატია, პალესტინური და ბაბილონური ნაწილებით. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირად, ამიტომ უწოდებენ ზეპირს, წერილობითი ბიბლიისაგან გამოსარჩევად. დღემდე ითვლება იუდაიზმის კანონთკრებულად, ნორმად; ებრ. ერის კარჩაკეტილობის ქადაგებითა და ანტიმეცნ. შინაარსით, ფილოს. უარყოფით და ჩაგვრის გამართლებით, მორჩილების იდეითა და მდაბიოთა დამამცირებ. ტენდენციით რაბინების ხელში მძლავრი რეაქციული იარაღია, თუმცა შეიცავს ზოგ ისტ. ცნობასაც (მწოგნობრებზე, სადუკეველებზე, ფარისეველებზე), მოცემულია მრავალი მითი, ზღაპარი, ლექსი, სამედიც. ცნობა, იგავები და ა. შ. ძალზე მძიმე წიგნია, შეიცავს 365 აკრძალვას, 248 ბრძანებას, რაც კლავს ადამიანის აქტიურობას.

თამარაშვილი მიხეილ (მიქელ თამარათი, 1858—1911) — გამოჩენილი ქართველი საეკლესიო და ეროვნული მოღვაწე, ისტორიკოსი, რ-მაც სიცოცხ-

ლის მიზნად გაიხადა უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში მრავალწლიანი ჯაფით მოძიებული მასალებით საქართველოს ისტორიის ბინდით მოცული ფურცლების შევსება და კიდეც შექმნა „მეორე ქართლის ცხოვრება". განსაკუთრებით კი გააშუქა კათოლიკობის ისტორია („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" და „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას", 1904). ჩამომავლობით მესხი, დაიბადა და სწავლობდა ახალციხეში, მერე კონსტანტინოპოლის ქართულ სასულიერო სასწავლებელში, ესპანეთის სასულ. სასწავლებელში. პარიზის წმ. ლაზარეს სახელობის სასულ. სასწავლებელში, რ-იც 1888 წ. დაამთავრა. საქ-ში დაბრუნებულმა ღრმად განსწავლულმა, ენების მცოდნე პატრიოტმა მიზნად დაისახა სასულიერო საქმე მეცნიერული ნიადაგზე გადაეტანა, მაგრამ 1890 წ. მეფის ლაქიებმა სამშობლოში ცხოვრება აუკრძალეს „უცხო იდეებისათვის". თ. რომში ჩავიდა, დაამთავრა სასულ. აკადემია, მიიღო დოქტორის წოდება, ენერგიულად განაგრძო მუშაობა ევროპის არქივებსა და მუზეუმებში, განსაკუთრებით ვატიკანის საცავში და პარიზის მუზეუმში. 1910 წ. რომში გამოსცა „საქ. ეკლესიის ისტორია", რაც, სამწუხაროდ, ქართველი მკითხველისათვის ჯერაც მიუწვდომელია. აღმოაჩინა კასტელის ალბომი, რაც შემდეგ ბეჟან გიორგაძემ გამოსცა.

1911 წ. 16 სექტემბერს რომსა და ჩივიტავეკიას გზაზე. საკურორტო სოფ. სანტა-მარინელაში თ-მა მოახდინა თავისი მეორე ისეთივე გმირობა, როგორიც იყო მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრება. ქრისტიანული სათნოების განსახიერებამ გადაარჩინა უცნობი, რ-იც ზღვაში იხრჩობოდა, თვითონ კი დაიღუპა (ეს იყო საქ-ს ორგული, ვერაგი ადამიანების ხაფანგი). დიდი მოღვაწე პატივით დაკრძალეს სანტა-მარინელას პატარა ეკლესიაში, სადაც თავი მოიყარეს პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მეგობრებმა, ორიოდე ქართველმა. დაკრძალვას ესწრებოდა კარდინალი მერი დელა ვალე. შემდეგ ნეშტი ჩივიტავეკიაში გადაასვენეს, ხოლო 1978 წ. რ. თაბუკაშვილის უშუალო მეცადინეობით მოხერხდა მისი საქ-ში ჩამოსვენება. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე შოთა ლომსაძემ დაწერა ნაშრომი „მიხ. თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი" (საბჭოთა საქართველო, 1984).

თარინგზელის (თარგლეზერის) წირვა — სანახევროდ წარმართული ჩასიათის ქრისტ. დღესასწაული სვანეთში, აღობის (აღაბის) ხუთშაბათს, ლაშთხვერის მთავარ ანგ. ეკლესიასთან (ლენჯერში), რ-ის აშენებას თამარს მიაწერენ, თითქოს ამირანის და ბაყბაყ დევის ბრძოლა თამარს ამ ეკლესიის მშენებლობის დროს გაუგია და მხატვრისთვის უბრძანებია გარე კედელზე ამ სცენის დახატვა. აქ იმართება ლოცვა, რიტუალი, პურობა. წინა დღეს დამზადებულ თოვლის კოშკს ანგრევენ. მურყვამზე ჯვარია. ვინც მას ხელით იგდებს, მისთვის ეს წელი ბედნიერი იქნებაო. იმართება ხელჩართული ბრძოლა ჯვრისთვის. მერე ღამეს ათევენ.

თეიზმი (ბერძ. თეოს — ღმერთი) — მოძღვრება განპიროვნებულ ღმერთზე, რ-მაც შექმნა სამყარო, ადამიანი, განაგებს ყოველივეს თავისი უსასრულო ტრანსცენდენტალური გონებით, ნებისყოფით, რ-საც ყოველი არსი ემორჩი-

ლება. უპირისპირდება დეიზმს, რ-ის მოძღვრებითაც ღმერთი არ ერევა სამყაროს საქმეებში. თ. ყველაფერს ღმერთის განგებას მიაწერს. უფრო მეეთრია წინააღმდეგობა თეიზმისა და ათეიზმისა. თ.-ი საყუძელად უდეეს ყველა თანამედ. რელიგიას: ქრისტ-ობას, იუდაიზმს, ისლამს...

თელეთობა — დღეობა თბილისის სამხ.-აღ., თელეთის მთაზე, ს. თელეთში, ამაღლების დღეს, წმ. გიორგის ეკლ-ში, ძვ. სტ. 23 აპრ. ამ ქრისტ. დღესასწ-ზე თავს იყრიდნენ კახელი და მახლობელი სოფლების მორწმუნენი და გართობის მოყვარულნი, ურიცხვი გლახაკი, მკითხავი და ა. შ., იმართებოდა ლოცვა, ნადიმი, რასაც ხშირად აყალმაყალი მოსდევდა. ქართ. ენაში უწესო ღრეობის გაგებაც მიიღო. იმართებოდა სპორტ. დღესასწაულიც. ცნობილია გ. გაბაშვილის ტილო „თ."

თემი რელიგიური — საერთო რწმენით შეკრული რელიგ. გაერთიანება, რ-ის მიხანია კულტის ჩატარება, სარწმ-ებრივი ატმოსფეროს შექმნა. უძვ. ფორმაა რელიგ. გაერთიანებათა, გარკვეულ კონტროლს დაქვემდებარებული.

თეოდიკეა, — დიცეა (ბერძ. თეოს — ღმერთი, დიკე — სამართლიანობა) — რელიგ.-ფილოს. მოძღვრება, რ-ის მიხედვითაც ქვეყნად ბოროტების არსებობა არ უარყოფს ღმერთის, როგორც აბსოლუტური სიკეთის სუბსტანციას. პირველად ცნება იხმარა გერმ. ფილოს.-იდეალისტმა გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა, დიდმა მოღვაწემ და მათემატიკოსმა (დიფერენც. აღრიცხვის შემქმნელთაგანი), რ-იც სამყაროს უნაკლო სრულყოფილებად აცხადებდა. მისი თვალსაზრისით, ბოროტებაც საყოველთაო სიკეთის განუყოფელი და სასარგებლო ნაწილია, ვითარცა გამოცდა ადამიანთა, შუდამ სიფხიზლისაკენ მოქმედებელი, რწმენის გამოსაცდელად ღმერთის მოვლინებული. „უფლის გამართლების" ეს პრინციპი, რასაც რუსეთში იზიარებდა ვ. სოლოვიოვი, არსებითად ამკვიდრებს ბოროტებას, ჩაგვრას, სიცრუეს — ტირანთა ნიღაბს ყოველ დროსა და მხარეში.

თეოკრატია (უფლისმეუფება: ბერძ. თეოს ღმერთი, კრატოს — ძალა, უფლება) — ისეთი სახელმწ. წყობილება, სადაც პირველობა სასულიეროთა, ეკლესიის ხელშია (პაპის ოლქში, ვატიკანში, ზოგჯერ — შუა საუკ-ებში, პაპთა ძალიერების ჟამს). მისი მოქმედები არიან იეზოვისტები. სულიერი მონობა.

თეოლოგია — ნ. ღვთისმეტყველება.

თეოლოგია იმედისა — მოდერნისტული ქრისტ. სოციალიზმის პრინციპი: ქრისტ-ბა ცხადდება კაცობრიობის უდიდეს იმედად, კაცთმოყვარეობის ბურჯად, ხსნად, განახლების ერთადერთ სწორ გზად. ლამობს სოც-ტური და ქრისტ. საწყისების შერიგებას, როცა რწმენის სიწმინდე უზრუნველჰყოფს უფლის სასუფევლის დამკვიდრებას. უტოპიური და განუხორციელებელია.

თეოლოგია მკვდარი ღმერთისა — თანამედ. მიმდინ., რ-ის მტკიცებითაც ძვ. ღმერთი, როგორც ასეთი, მოკვდა, ადამიანთა უმეტესობა უმისოდ ცხოვრობს, მსოფლიო გახდა „სრულწლოვანი", საჭიროა რაღაც ახ. მეთოდი, ნაზარეველ ქრისტეს მაგალითით სულ სიკეთის თესვა, ზრუნვა („ათეისტური ქრისტიანობა").

თეოსოფია (თეოს — ღმერთი, სოფია — სიბრძნე, ცოდნა: უფლისცოდ-

ნა) — ღმერთის უშუალოდ წვდომა ინტუიციითა და გამოცხადებით, რაც რჩეულთა ხვედრია. მათი მისტიკ. ცდა ბევრად არ განირჩევა მისტიციზმისაგან. მოძღვრების თეორ. დასაბუთებაა ღმერთი, როგორც სამყაროს ყოვლისმოძცველი არსება, უნივერსუმი. პრაქტიკულად კი ვლინდება მისტ. ზეშთაგონებითა და მაგიით (კავშირი სპირიტიზმთან, მოგვაგონებს ზოგ ბიბლიურ ჩვენებას. დაახ. ასეთივე მოტივები აქვთ ბრაჰმანიზმს, ბუდიზმს, ისლამს. მსგავსი სულისკ. პქონდათ ნეოპლატონიკოსებს, გნოსტიკოსებს, ალქიმიკოსებს. დიდ მეცნიერს პარაცელსს, ვ. სოლოვიოვს. ცნობენ ყოველგვარ რიტუალს, რ-შიაც თითქოს ვლინდება ერთიანი ღვთაებრ. არსება. ცნობენ ადამიანის „ზეგრძნობიერებას" და ხშირად ეს უტოპ. ქადაგება თაღლითურ მისტიფიკაციაში გადადის.

თვითგვემა (სამბიჩევანიე) — ფანატიკოსთა თვითშთაგონებით ნაკარნახევი ჩვევა, რომ ტანჯონ საკუთარი სხეული და ამით ეზიარონ ციურ წყალობას (ჯაჭვით, ბორკილით, შოლტით, ლურსმნებით...) ხშირად ეს „ზნეობრივი და სარწმუნოებრივი გმირობა" სახიჩრობამდე და სიგიჟემდე მიდიოდა. ამ სიგიჟეში წარმოთქვამდნენ დაუნაწევრებელ ბგერებს, რასაც წინასწარმეტყველებად თვლიდნენ, ან თავს ისაჭურისებდნენ (საჭურისების სექტა ხლისტების სექტაში, „ძველი ისრაელების" მოქმედება იმავე სექტაში...).

თვითმგვემელნი — ფანატიკოსი მორწმუნენი, რ-ნიც საკუთარი თავის გაწამებით, გაშოლტვით, მტკივნეული მანჭვა-გრეხით და სხვა პათოლოგიური „თვითგვემით" ლამობენ ღმერთის მომადლიერებას (ხლისტები და სხვ.).

თომიზმი — შუა საუკ-ების კათოლიკე ღვთისმეტყველის, დომინიკანელი ბერის, ალბერტ დიდის მოწაფის თომა აქვინელის (1225—74) მოძღვრება. ეს იყო დიდი საკულ. ავტორიტეტი, არისტოტელეს შემდეგ ყველაზე უფრო გავლენიანი პირი, რ-მაც არისტოტელეს მოძღვრება ეკლესიას მიუსადაგა და ჩამოაცილა მას მატერიალისტური შინაარსის, შემცველი დებულებები. იქადაგა რწმენისა და გონების პარმონია, ღმერთის არსებობის დამტკიცება გონებით, ზეგონიერ ჭეშმ-თა წვდომის უარყოფა. აშკარაა ნეოპლატონიზმის ზეგავლენა, მაგრამ როგორც მოაზროვნე, იდეალისტი თომა (სოფ. აქვინოდან, ნეაპოლთან) დიდი მოაზროვნეა. 1323 წ. წმინდანად შერაცხეს, 1879 კი ლეო XIII-მ მის ფილოს-ს ენციკლიკაში „ერთადერთი ჭეშმარიტი ფილოს". უწოდა (კათოლიციზმისა).

თორა (ებრ. სეფერ — თორა, კანონის, მოძღვრების წიგნი) — ძე. აღთქმის (დაბადების) პირველი 5 წიგნი, ხუთწიგნეული, რ-ის ავტორობა მოსეს მიეწერება (შექმნათა, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯულისა). მოთხრობილია მითები და ისტორიული მოვლენების ბიბლიური ვერსიები, სამყაროს შექმნის, წარღვნის, სოდომ-გომორის დაქცევის, იაკვეს გამოცხადებისა და მოსესათვის სჯულის წიგნის გადაცემის ამბავი და ა. შ. პირველი წიგნის წყაროები ძვ. წ. X—IX ს-ებში პოულობს დასაბამს, დანარჩენები VIII—V ს-ებში იღებენ ჩამოყალიბებულ სახეს. იხ. ბიბლია.

თორმეტი წმ. მოციქული — ნ. მოციქულები.

იაშმაკი — შუსლინის (აბრეშუმის) თეთრი რიდე (ან ჩადრის კიდე). რ-თაც „კეთილსახიერი" მუსულმ. ქალები იფარავენ სახის ქვედა ნაწილს (ცხვირ-პირი, ნიკაპი) და ასე „იცავენ" ადამიანებს ცავიანთი ამონასუნთქის „უწმინ-დურობისაგან". ჩვენში წარსულს ჩაბარდა (ჩადრის ქვეშ).

იახსარი — ძვ. წარმართული ქართ ღვთაება, ღვთისშვილი, კოპალას და ბაადურის მომმე, 63 ღვთისშვილში გამორჩეული (რიცხვი 63 ზოგ უმეცარს შემთხვევითი ეგონია, ეს რიცხვი ცნობილია 363 წმ. გიორგის სახითაც). ი-ის ძლიერი ხატი თუშეთში ჯიხვის რქებითაა შემკული (დართლოში). ძლიერე-ბით დგას მარიამწმინდას, სამების, წმ. გიორგის გვერდით. დღეობაზე მასთან ხდება დამწყალობება: „ღმერთო, იახსარო, მთის წმინდანებო, უშველეთ ჩვენს რჯულ-საქრისტიანოს!"

იაკვე, იაღვე, იეღოვა (ებრ. იეჰოუა, ალბათ ძვ. იაია, იავა — „ყოფნა", „არსებობა", „მოქმედება") — ისრაელთა და იუდეველთა უსენაესი ბიბლიური ღმერთი, რ-საც შუა საუკ-ებში უმართებულოდ მიუსადაგეს ფორმა იეჰოვა, ადონაის („უფლის" მოფერებითი) სახელი. წარმოშობა მაინც გაურკვეველია. პირველად იუდას ტომის მფარველი, ლოკალური, მერე მიწათმოქმედების ღვთაება. დაბადებაში (ძვ. აღთქმაში) გვხვდება 7000-ჯერ, არა მარტო ამ სახით, უშუალო ხსენება იკრძალებოდა, აღნიშნავდნენ (ი)ელოჰიმის სახი-თაც. ძვ. წ. XI ს-დან უკვე ძვ. ისრაელთა უზენაესი მფარველია, ერთად-ერთი, ვისი სახელის ხსენებაც იკრძალებოდა, ამიტომ დაივიწყეს კიდეც. წარმოითქმოდა ადონაი, აიშემ, ელოჰიმ. შემდეგ შემოიღეს იაბე-იაკვე. პირ-ველად უფლის სახით მოევლინა მოსეს, როგორც კანონმდებელი: „ჰრქუა უფალმან მოსეს: მე ვარ უფალი, რომელი ვეჩვენე აბრაჰამს, ისაკს და იაკობს, რომელთა ღმერთი მე ვარ და სახელი ჩემი უფალ არა ეაუწყო მათ" (გამოსლვ., 6.1-3). იაკვეს და იელოჰიმს შორის მაინც განსხვავებაა: პირველია ხალხის უფალი, განგება, მეორე — კოსმოსური, ყოვლის მომცველი. სოლომონმა დი-დებული ტაძარი აუშენა. დიდი, საყოველთაო ღმერთი მაინც უფრო მოგვია-ნებით გახდა, როგორც ეპოშუა (მაგიური მნიშვნელობით). მის შემოკლებულ ფორმას იპჰ გამოთქვამდნენ, როგორც ადონაის (უფალი ჩემი). ებრ-თა და ქრისტ-თა მტკიცებით, თავიდანვე იყო ერთადერთი ღმერთი (მონოთეიზმი), სინამდვილეში ასეთი სახე მიიღო გვიან, მეუობის ეპოქაში. საერთოდ კი, მაინც იუდაიზმის ღმერთი იყო და უნივერსალურ, ერთადერთ, ყველა სხვის გამომრიცხავ ღმერთად ქრისტ-ობაში იქცა.

იბაკო — ციხერის ლოცვის ნაწილი (XIX კანონის — „ნეტარ არიან" შემდეგ საკითხავი).

იდეალიზმი (ბერძ. იდეა — ცნება, სახე) — ფილოს. მიმდინარეობა, რ-ის მიხედვითაც პირველადია სული (გრძნობა, შეგნება, ღმერთი, მსოფ. გონება), ხოლო მეორადი მატერია. იდეალისტ. მსოფლგაგება დიამეტრულად უპი-რისპირდება მატერიალიზმს, აქედან — რელიგიასაც, რ-ის მოძღვრებითაც მატერია და არსი ყოველი შექმნა სულიერმა, ზებუნებრივმა არსებამ — ღმერთ-

მა. მიუხედავად მეცნ-ულის პრეტენზიისა, ი. მუდამ იყო რელიგიის გამართლ. არსებობს 2 მთავარი სახით: სუბიექტური და ობიექტური ი.: პირველის მიხედვით პიროვნული განცდა, აზროვნება, წარმოსახვა ქმნის სამყაროს, „განცდათა კომბინაციას"; მეორის თანახმად, არსებობს რაღაც გარე საწყისი, სული, ჩვენგან დამოუკიდებლად რომ ქმნის სამყაროს, ბუნებას. ყველაზე დიდი წარმომადგ. სუბ. ი-ისა იყო პლატონი (428—348 ძ. წ., სოკრატეს მოწაფე და მეგობარი) ქრისტ. მოძღვრებას რომ ამუშავებდნენ, ეკლ. მამებმა მისი იდეალიზმი გამოიყენეს და საფუძვლად დაუდეს ღვთისმეტყველებას. გვიანდელი იდეალისტებიდან ცნობ. არიან იუმი, კანტი, ფიხტე... განსაკუთრ. სრულყ. სახე მიიღო ობ. იდ-ამ „ახალი დროის პლატონის" — პეგელის ფილოს-ში (პლატონის „იდეების სამყარო" — პეგელის „აბსოლუტური იდეა"). ი-ის ნაირნაირი ფორმები აშკარად უკავშირდებიან ანტიკომუნიზმს.

იდეოლოგია რელიგიური — ჩამოყალიბებული, სისტემატიზებული სახე, დონე რელიგიისა, შეხედულება გარემომცველ ბუნებაზე და საზოგადოებაზე. ჩამოყალიბდა კლას. საზ-ობის ბურჟ. ფორმის სრულყოფასთან ერთად. საერთოდ მეცნ. და კომუნისტურ თვალსაზრისთა საპირისპიროა, დღეს ხდება მისი მოდერნიზებაც ახალ ვითარებასთან შეგუების ტენდენციით. დაკარგა უწინდელი ნიადაგი. ბრძოლა მაინც გრძელდება.

იეზუიტები (ლათ. სოციეტას იესუ — იესოს საზოგადოება) — კათოლიკე ბერთა მკაცრი ორდენი, დაარსებული ესპანელი ბერის, ფანატიკოს იგნატი ლოიოლას (1491—1556) მიერ 1534 წ., დამტკიცებული პაპეს III მიერ 1540 წ. საგანგებო ბულით. პირველი გენერალი იყო ლოიოლა. თავიდანვე იქცა კონტრრეფორმაციის ბასრ იარაღად, მონაწ-ობდა ინკვიზიციის მუშაობაში, ცეცხლითა და მახვილით თრგუნავდა პაპის მტრებს, კოცონზე იწვოდა ურიცხვი უდანაშაულო ადამიანი. თვით ლოიოლა რკინის ნებისყოფის კაცი იყო, ორივე ფეხი ფრანგებთან ბრძოლაში დაუსახიჩრდა, ოპერაციის შემდეგ ძვალი გადაამტვრევინა, მაინც დაკოჭლდა, ჩამომაელობით ბასკი ყველაფერში პირველობდა და ქვეშევრდომებისგანაც რკინის ნებისყოფას ითხოვდა. ი-ები იბრძოდნენ მეცნიერთა წინ-გ, XVII ს-ში პარაგვაიში დააფუძნეს მონათმფლობელური სახელმწიფო, ერეოდნენ პოლიტ. ცხოვ-ში და აღშფოთებულმა მონარქებმაც კი ვერ მოუთმინეს, განდევნეს ესპ-დან და საფრ-დან. 1773 კლიმენტ XIV-მ ორდენი დაშალა, რესტავრაციის დროს პიუს VII-მ აღადგინა, 1965 კი პაპეს VI-მ დაავალა ათეიზმთან ბრძოლა. იქცნენ ფაშისტების მოკავშირეებად სოციალიზმთან ბრძოლაში. ადრევე გახსნეს უამრავი სკოლა. დღესაც კათოლ. სარწ. კადრებს ამზადებენ. პყავთ გენერალი, „შავი პაპი", რ-საც უსაზღვრო ძალაუფლება ენიჭება აღსასრულამდე. არაა სავალდებულო ბერის სამოსის ტარება, ბევრი ი. ფარავს თავის წყვრობას. კადრულობს ჯაშუშობას, დასმენას და ა. შ. სიტყვა სასასტიკის სიმბოლოდ იქცა.

იერარქი (ბერძ. ჰიეროს — წმინდა, არქე — ძალაუფლება) — ქრისტ. სამღვდელოების უმაღლესი რანგი (პატრიარქი, მიტროპოლიტი, არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, არქიელი).

იერარქია საეკლესიო (ბერძ. სასულიერო ძალაუფლება) — ეკლესიის

მსახურთა ხარისხობრივი კიბე. ქვემოდან მაღლა, „შექმნილი ფეოდალური საერო იერარქიის მსგავსად" (ენგელსი). პროტესტანტებთან საგრძნობლად გამარტივებულია.

ქართული საეკლესიო იერარქიაც რთულია. როგორც ყოველი ეკლესიისა. უწინარეს ყოვლისა, არჩევენ „თეთრ" და „შავ" სამღვდელოებას. თეთრად ითვლება სასულიერო, რომელსაც აქვს ოჯახი (ან პქონია, მაგრამ ან დაეღუპა, ან გაეყარა. მარტოხელაა. რაც აძლევს უფლებას გახდეს „შავი"): შავს ეძახიან ბერს. მისი იერარქიული კიბე იწყება ბერობიდან. ორივეს საწყისი საფეხურია დიაკვნობა, შემდეგია მღვდლობა (თეთრისთვის) და მღვდელმონაზონობა (შავისთვის): შემდეგ მოდის დეკანოზი და იღუმენი. უფრო მაღალი საეფეხურის სახელია პროტოპრესვიტერი და იღუმენთა შორის უმაღლესი, წოდება — არქიმანდრიტობა (თეთრი პროტოპრესვიტერი უფრო მაღლა დგას, ვიდრე შავი არქიმანდრიტი). პროტოპრესვიტერი დიდი საპატიო წოდებაა (იგ. პროტოიერეი, ბერძ. „პირველი მღვდელი", რუს. პროტოპოპ). ესაა საკრებულო ეკლესიის (დედა-ეკლესიის) ნინამძღვარი. არსებობს სხვა წოდებანიც: მედაეონუ, მნათე, მგალობელი, მღვდელმსახური (სათანადო ცოდნით აღჭურვილი მსახური ეკლესიისა), პროტოდიაკონი. ატრიბუტებია: უბრალო, ვერცხლისფერი და ოქროს ჯვარი, მოვარაყებული ჯვარი, ენქერი (როშბის ძოწეანილობის ჩამოსაკიდი ემბლემა), მიტრა...

ქართ. მართლმადიდ. ეკლესიის სათავეში დგას კათოლიკოს-პატრიარქი, რომელსაც წმინდა სინოდი ირჩევს (მღვდელმთავართა კრებული). მღვდელმთავრები განაგებენ ეპარქიებს (ბათუმ-შემოქმედის, მანგლისთან ერთად, ცხუმ-აფხაზეთის, ალავერდის, ბოდბის, ქუთაის-გაენათის, აგარაკ-წალკის, ნიკორწმინდის, ახალციხის და სამცხე-ჯავახეთის, მარგვეთის, წილკნის, ჭყონდიდის ეპარქიები, რომელთაც განაგებენ ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები). უმაღლესი ორგანოა საეკლესიო კრება, რასაც განსაკუთრებულ შემთხვევებში იწვევენ. პატრიარქის მოადგილე ქორეპისკოპოსი განაგებს მშენებლობას, არის საგარეო საქმეთა განყოფილება და სხვ.

ეიროდიაკონი — უფროსი დიაკონი (ნ. ეს).

იერუსალიმის ეკლესია — ქ. იერუსალიმში, ავტოკეფალური (დამოუკიდ.) ეკლესია (როგორც ქართული ეკლ.). პატრიარქის მეთ-ობით. ჰყავს 70 000 მორწმუნე (ბერძნები, არაბები და სხვ.).

იერუსალიმის ქართულ მონასტერს დიდი ისტორია აქვს.

ცნობილ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებთან ერთად საყურადღებო ძეგლია ფრანგი საეკლესიო მოღვაწის რ. ჟანენის წიგნი.

რ. ჟანენი ერთ-ერთი იმ კეთილ და მცოდნე უცხოელთაგანია, რ-მაც ქართველთა ბედი გულთან მიიტანა და ძირითადად მართებულად მოუთხრო მეოთხეკლთა ფართო წრეებს. ხსენებულ წიგნში ის წერს: „ქრისტიანები ეოკლესიის მიილტვოდნენ პალესტინისაკენ, რადგან რწმენა ამ წმინდა ადგილებისა, სადაც ქრისტე ცხოვრობდა და ჯვარს ეცვა, დიდ ზეგავლენას ახდენდა. ისინი სარწმუნოებრივი გულისწადილის დასაკმაყოფილებლად არ ჯერდებოდნენ საფარელი სამლოცველოების მხოლოდ მიმოხილვას და ბევრად მეტადდებოდნენ იქ. ამ სახით ეს ქვეყანა მრავალგზის საკვირველად აღორ-

ძინდა ძვირფასი საკანელებითა და ეკლესიებით. დღეს მლოცველიც და მოგზაურიც წუხს და დრტვინავს იმ უწესობის გამო, რ-იც წმ. ქალაქში სუფევს... საოცარია ის დავა და ქიშპობა, რ-იც თავს ინენს ქრისტიანთა შორის მათი წინაპრების მიერ დატოვებული მემკვიდრეობის დასაცავად... უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც ზოგიერთი იმ ხალხთაგანი იერუსალიმში სრულიად გაქრა, მაგ. სერბიელები, ქართველები და ფრანგები... იმ ხალხთა შორის, რ-თაც განსაკუთრებული უპირატესობანი და დიდი გავლენა აქონდათ წმ. ქალაქში, ქართველებს უდავოდ ერთი პირველთაგანი ადგილი ეჭირათ. მათი გაქრისტიანების შემდეგ 50 წელი ძლივს იყო გასული, როდესაც ერთი მათგანი, ეკაგრი, თავისი საღვთისმეტყველო ბჭობა-კამათით წმ. იერონიმესთან ერთად უკვე მთელს აღმოსავლეთში ქუხდა. ერთი საუკუნის შემდეგ ამას მოკვა ქალაქ მაიუმის ეპისკოპოსი, პეტრე იბერიელი, რ-ს ტყუილად თუ მართლად, ევთიხის (მონოფიზიტური) მწვალებლობის მომხრეობას აბრალებდნენ. ამანაც ამცნო პალესტინაში ქართველი ერის სახელი... დასავლეთის ყველა მწერალი ერთხმად ამტკიცებს ქართველთა იშვიათ რაინდობას, რომლის გამო მათ დიდი სამსახური გაუწიეს ქრისტიანობას" (რ. ჟანენი, „ქართველები იერუსალიმში". სტამბოლი, 1921).

იერუსალიმის სავანე ჟანენის აზრითაც ააშენა დიდმა ქართველმა ფილოსოფოსმა, მწერალმა და საეკლესიო მოღვაწემ პეტრე ივერიელმა (იბერმა), ერისკაცობაში მარვანმა, რ-იც დაახ. 491 წ. გარდაიცვალა. ეს მოხდა ვახტანგ მეფის დროს, დავითის ოშკის მახლობლად, იაფას ჭიშკართან. მაძლევდა სულთანმა გოლგოთა ქართველებს დაუმტკიცა. შემდეგ სავანეს მრავალი ძნელბედობა გადახდა, ვიდრე უფრო მდიდარმა მოძალადეებმა არ წაართვეს, ისე რომ 1841 წ. რუსეთის მისიის მოთხოვნაც უშედეგოდ დარჩა.

იერუსალიმს შესვლა უფლისა — ნ. ბზობა.

იეღოვისტები, იეღოვას (იაღვეს) მოწმეები — უაღრესად რეაქციული რელ. მიმდინარეობა, სექტა, რ-საც საფუძვ. ჩაეყარა აშშ-ში (შტატ-ცენტრია ნიუ-იორკის გარეუბანში, ბრუკლინში), 1872 წ., როცა ეს სექტა ვაჭარმა ჩარლზ რასელმა გამოყო „მეორედ მოსვლის" მქადაგებელ ადვენტისტების სექტისაგან. 1931 წ. ეწოდათ „იეღოვას მოწმეთა" სექტა. მისი პრეზიდენტი ითვლება იეღოვას მოადგილედ დედამიწაზე, აქვს განუსაზღვ. ძალაუფლება, აქვს 95 ფილიალი, ხელმძღვანელობს მსოფლიოში განლაგებულ ფილიალებს, ფლობს თითქმის უფასო პრესას, რადიოს, ორგანოებს („საგუშაგო კოშკი", „ინფორმატორი"), ამყარებს მკაცრ წესრიგს. მგავს ადვენტისტებს. განირჩევა ზოგი რამით: სწამთ სამების ნაცვლად მხოლოდ იეღოვა, რომლის ნების ამსრულებელიც არის ქრისტე (ის არაა ღმერთი), საყაროში ერთმანეთს ებრძვის ორი საწყისი: იეღოვა და სატანა (ლუციფერი). საბოლოო ბრძოლაში (გედონი) დაიღუპება ლუციფერი და მისი არმია. არ სწამთ სულის უკვდავეობა, არც სამოთხე. 144 000 იეღოვისტი ნეტართა რანგში აყვა, სხვას დაღუპავ ელის. სსრ კავშირში ნაწილი ფარულ მოქმედებას ეწევა სოციალიზმის წინ-გ, უარყოფენ თვით მშვიდობისათვის ბრძოლას. პირველად ნახევარ მილიონამდე წევრი ჰყოფდათ, ამჟამად — 2 მილიონამდე. პირველად იეღოვისტები იყენენ მოსეს ხუთწიგნეულის მკვლევარნი. შემდეგ იქცა მკაცრ სექტად, რ-ის რწმე-

ნითაც 1914 წ. უკვე მოეკლინა ქვეყანას სატანა, მოვიდა ქრისტეც, ასე რომ მეორედ მოსვლა უკვე იყო და უნდა ველოდეთ საყოველთაო დაღუპვას, ცეცხლს, წარღვნას.

ივანობა, ივანეს სახელობის დღე (ივანოვ დენ, ი-ვა ნოს) — კუპალო, ძირითადად რუსული რელიგიური დღესასწაული, ივან-კუპალას სახელთან დაკავშირებით. „კუპალო ქალადაც და ჭაჟადაც ჰყავდათ წარმოდგენილი" (ივ. ჯავახ.). არსებითად ესაა ნათლისმცემლობა, იოანე ნათლისმცემლის (წინამორბედის, მორბედის) დღესასწაული, რაც 24 ივნისს აღინიშნება, იოანეს დაბადების დღეს (ძვ. სტ.). ამ ძალზე პოპულარული წმინდანის დღესასწაულს, რაც დაკავშირებულია ჯადოსნური ღონისძიებებით მოსავლის სიუხვისა და საქონლის დაცვის გამოწვევასთან, განსაკუთრებით ფართოდ რუსეთში აღნიშნავდნენ. წინა დღ ხვე იწყებოდა სამზადისი, ტყეში სიარული, კოცონის ადგილის შერჩევა, ბალახების მოგროვება და სამკურნალოდ მომზადება-დახარისხება. დღესასწაულზე იმართებოდა ლოცვა, ცეკვა-სიმღერა, საერთო ბანაობა, გამვლელების წყალში გადაგდება, მასხრული თამაშობანი. თაყვანს სცემდნენ იოანეს მოკვეთილ თავს (ასეთი თაეი ერავალი იყო ცნობილი).

იკოსი — კონდაკთან ერთად საკითხავი გრძელი მუხლი (VI ლოცვა); დაუჯდომლის (ზეზეულად საკითხავ) გრძელ მუხლებსაც ი-სს უწოდებენ.

ილია II (ერისკაცობაში ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი) — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1977 წლიდან). დაიბ. ქ. ორჯონიკიძეში 1933 წ. 4 დეკემბერს. იყო ზაგორსკის მონასტრის იეროდიაკონი, მერე იღუმენი, ეპისკოპოსი, ქორეპისკოპოსი, 1967 წლიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი, მერე მიტროპოლიტი, მცხეთის სემინარიის რექტორი. დისერტაცია დაიცვა თემაზე „ათონის ივერთა მონასტერი". 1979 წელს აირჩიეს მსოფლიო საეკლ. საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად. თვალსაჩინო მუშაობას ეწევა მშვიდობის, სიკეთის, ხალხთა ძმობის, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ბრძოლის საქმეში, ქადაგებს ზნეობრივ სისპეტაკეს, ერის მატებას, გამრავლებას, თავშდაბლობას. მოიპოვა დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი. პატივით მიიღო რომის პაპმა იოანე პავლე II-მ, დაკისრა კათოლიკური ეკლესიის აღმოსავლეთის ინსტიტუტის რექტორობა, გამოუგზავნა მისალმება. უცხოეთის პატრიარქები ქებით იხსენიებენ მის „ფრესკის სახეს", სასიკეთო მუშაობას. ამყარებს კავშირს ძვ. ქართულ სავანეებთან, იღვწის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნებისათვის, ქართული ხელნაწერების აღმოჩენისათვის და ა. შ.

მისი მოწოდებაა „გადავარჩინოთ სიცოცხლის ნობათი".

იმიასლავცევი (რუს. სახელის მადიდებელნი)—რუს. მართლმადიდ. ეკლესიის ათონელ მოღვაწეთა სექტა, ძმობა გაიყო 1910—1912 წლებში, დავა იყო ერთ წვრილმანზე: მარტო სახელს ვადიდებთ, თუ თვითონ უფალსაც. სექტის წევრთა მტკიცებით, ცოდვილ ადამიანს არა აქვს ნება ადიდოს უფალი, ახსენებს მხოლოდ მის სახელს. გამოცხადდა ერესად. სექტის წევრები რუსეთში ჩამოასახლეს, დაბინავდნენ ძირითადად ჩრდ. კავკასიაში, სადაც გამართეს ბრძოლა „უმადლო" პატრიარქობასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან. დაიშალა.

ინგლისური ეკლესია — ნ. ანგლიკანური ეკლესია.

ინდუიზმი-ბრაჰმანიზმის გადამუშავებული სახე, ამჟამად ინდ-ში ყველაზე ძლიერ გავრც. რელიგია. ჩაისახა ძვ. წ. VI — IV ს-ებში (ბუდიზმთან და ჯაინიზმთან ბრძოლაში). მაგრამ გაფორმდა კასტებად დაყოფასთან ერთად. მონათმფლ. წყობილების ნაცვლად ფეოდალური შექმნის ხანაში. არაა ერთგვაროვანი, არა აქვს ეკლესია, არც ვინმე დამაარსებელს ასახელებენ. შეინარჩუნა, ვედიზმისა და ბრაჰმანიზმის ელემენტების გარდა, ბევრი რამ პრეეელყოფილურიც. ცხოველთა თაყვანისცემა, წინაპართა კულტი. ბუნების მოვლენების გაღმერთება... შეიცავს რელიგ. და ფილ-ის რთულ კომპლექსს. როგორც საერთოდ ინდ. რელიგია, თვით თანამედროვე ინდ. ფილოს., რომლის მთავარი პრობლემაა „უნივერსალ რელიგია", ანუ „სულის რელიგია", რ-საც სულიერი ცხოვრება მიაჩნია არა პრობლემად, არამედ რეალობად, რ-იც უნდა განხორციელდეს (რადხაკრიშნანი, ნ. ა. ლიტმანი, „თანამედრ. ინდ. ფილ.". მოსკ., 1985, 271). პრინციპია ტრიმურტის (სამებისა): სამყარო ბრაჰმამ შექმნა, თუმცა მისი როლი ქრება, ინდუსები (ე. ი. ვინც ისლამი არ მიიღო) თაყვანს სცემენ 2 დანარჩენს: ვიშნუს და შივას. შივაიზმში ძლიერია სექტა ლინგაიატებისა, რ-ნიც თაყვანსა ცემენ და უფლის რანგში აპყავთ ლინგა — ფალოსი და ფალოსის სახით სცემენ თაყვანს სამების ერთ მთავარ წევრს — შივას. ასევეა შაქტი, ღმერთების ნაყოფიერების ძალა, ქალის სახით (ზოგ დილეტანტს კი ასეთი რამეები კურიოზებად ეჩვენება!). სხვათა შორის, ფალოსი საქართველოშიც ერთ-ერთი უძველესი კულტის საგანია და ეტიმოლოგიურადაც ქართული ჩანს (კავშირი უძვ. ბერძ. და ქართ. შორის). იხ. რ. გორდეზიანი, წინაბერძ. და ქართველური, 39)— თითქმის ყველა დიდ ძველ რელიგიაში არის ასეთი მოტივები, რამეთუ ნაყოფიერებაა პირველი პირობა არსთა არსებობისა და სიცოცხლის გაგრძელებისა დედამიწასე. ამ მხრივ ი-იც მნიშვნელოვანი კლასიკური რელიგიაა. ვიშნუიზმის მთავარი პრინციპი კი არის მესიანიზმი — ვიშნუს გამოცხადება სხვადასხვა სახით (ლომის, გმირის, თევზის და სხვ.), რასაც ავატარა ეწოდება (ავატარაა ხორცშესხმული ვიშნუც, ეთქვათ, ლომის სახით მოვლენილი ღმერთი). ავატარაა ბუდაც. ამ პანთეონის მეათე წევრი (იხ. ათ. ლექსიკ., მ., 1983, 189). ი. ცნობს სამყაროს ციკლურ განვითარებას: ნგრევა და კვლავ განახლება, ამასთან სულის მოგზაურობა, გადასახლება ნაირნაირ არსებებში (სანსარა, იწერება საძსარა). საზ-ბა იყოფა კასტებად. ადამიანს ქ მიზანი აქვს: დხარმა (სასოგ. და ოჯახ. მოვალეობანი), არტხა (საქმე, ნივთების შეძენა და სარგებლობა), კამა (გრძნობების, კერძოდ სიყვარულის გრძნობის დაკმაყოფილება), მოქშა (გარდასახვებისაგან განთავისუფლება — შორეული მიზანი). ამჟამად ინდოეთში ხალხის 83 პროცენტს ი. სწამს.

ინდულგენციები (ლათ. „წყალობა") — პაპის სიგელი, ცოდვების მისატევებელი ქაღალდი, რასაც სასულიერონი ყიდდნენ მთელს კათოლ. სამყაროში და ყოველად უსინდისო უაზრობის, გამდიდრების წყაროდ იქცა, განსაკუთ. XII—XIII ს-ებში. პაპის საგანგებო წიგნებში აღნიშნული იყო, თუ რომელი ცოდვა რამდენი ჯღებოდა, აგრეთვე ჯერ ჩაუდენელი ცოდვებისთვისაც რა ფასად შეეძინათ ეს სიგელები. გაჩაღდა პროტესტები, ერთი მთავარი ში-

ზეზი ვახდა რეფორმაციისა. აისახა მხატვრობაში, ლიტერატურაში.

ინვესტიტურა (ლათ. ინვესტიო — ვმოსავ; ეესტის — საოსი) — შუა საუკ-ებში: კათოლ. ეკლ. მღვდელმთავართა და აბატთა შემოსვა და კურთხეკის ცერემონიალი. აძლევდნენ კვერთხს, სკიპტრას (ნიშნად საეროებზე მეუფეებისა). XI—XII ს-ებში მეფეები და პაპები ამ „შემოსვის" უფლებისთვის იბრძოდნენ.

ინიციაციები (ლათ. ინიციარე — დაწყება, განდობა, საკულტო საიდუმლოებისადმი ზიარება) — სრულასაკოვანი, სქესობრივად მომწიფებული ქალვაჟის განდობის, ხელდასხმის, გვარის ან თემის სრულუფლებიან გამოცხადების ცერემონიალი პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებაში. ამით ხდებოდა თაობის გამგრძელებელთა სათანადო უფლებით აღჭურვა, რაც დიდ მორალურ და ხშირად მძიმე ფიზიკურ დატვირთვას ითხოვდა (ვარჯიში რაიმეს ტყორცნაში, ჭიდაობა, სირბილი, ტატუირება, წინადაცვეთა...). მაშინ ჯერ არ იყო რელიგია, ან ძალზე მცირე როლს თამაშობდა, შემდეგ კი ამან რელიგიურ-მისტიკური შინაარსიც მიიღო. (მისი გადმონაშთია წინადაცვეთა ებრაელებსა და მაჰმადიანებში, ნათლობა ქრისტიანობაში). ნ. კონფირმაცია.

ინკვიზიცია (ლათ. ინკვიზიციო — ძიება) — კათოლ. ეკლ. სასტიკი ტრიბუნალი, საგამომძიებლო-სამოსამართლო დაწესებულება, სამსჯავრო, დაწესებული XIII ს-ში ერესთან საბრძოლველად, კერძოდ ალბიგოელთა (კათართა) მოძრაობის დასათრგუნავად. საშინელი ძალით მოქმედებდა თითქმის ყველა კათოლ. ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში. თვით ცივი ქრონიკა უძლურია ასახოს ყველა საშინელება, ტანჯვა, სასჯელი, რაც ი-ის ტრიბუნალის გადაწყვეტილებით აღსრულებულა განსაკუთრებით იტალიაში, ესპანეთში და სხვ. ი-ის ნიშნებია: საიდუმლო გამოძიება, ჯაშუშური დასმენების მიხედვით მოქმედება, დაკითხვა, წამება, დაწვა, ქონების კონფისკაცია, დამნაშავედ ცნობილთა პასუხისმგებლობა მესამე თაობამდე. იგივე მეთოდები იყო გამოყენებული განურჩევლად სქესისა, ქალზე, ბავშვზე, მოხუცზე. მსჯავრდებულს მოსავდნენ დამამცირებელი სამოსით (სანბენიტო), ახურავდნენ ჭრელ ჩაჩს, უნდა გაევლო აუტოდაფეს მტანჯველი პროცედურა. დამნაშავეს უნდა უარეყო თავისი აზრი, ეცნო თავი დამნაშავედ, გადაეხადა ჯარიმა, ან დილეგში გდებულიყო, თუ არ შემოაკვდებოდათ წამების დროს ან არ დაწვავდნენ საჯაროდ. ეს იყო ჯოჯოხეთური მანქანა, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა ქრისტიანობის კაცთმოყვარულ მორალს და იესოს პიროვნებას. ყოფენ რამდენიმე პერიოდად. ჯერ 1184 წ. პაპ ლუციუს III ინიციატივით და ფრიდრიხ I მხარდაჭერით ეპისკოპოსებმა მიიღეს უფლება ეწარმოებინათ კომისიები ერეტიკოსთა დასაჭერად და საწამებლად. ხალხს ფატრავდნენ, ჭრიდნენ, ხარშავდნენ, ჭამდნენ, ყრიდნენ უფსკრულში, წვავდნენ კოცონზე... სულ ქრისტეს სახელით! უბადლო ჯალათი იყო უბალდო-ლუციუს III. მან განახორციელა გრიგოლ I-ის „იდეა", ერეტიკოსთა დაწვა. რეფორმაციის შემოტევამ, ჰუმანიზმის წარმატებამ აიძულა პავლე III, რომ 1542 წ. შეექმნა „რომისა და მსოფლიო ინკვიზიციის წმინდა კონგრეგაცია, მისი წმინდა სამსჯავრო". რამდენი უწმინდური საქმე მოახდინა ამ წმ. სამსჯავრომ, ეს მოთხრობილია ა. არნუს, ლ. გალუას, პენრი-ჩარლზ ლის, ვ. როჟიცინის, ი. გრიგუ-

ლეონის და სხვათა კაპიტალურ შრომებში. პაპის პირველი ინკვიზიტორები იყვნენ 1198 წ. ინოკენტი III მიერ დანიშნული სამოციქულო ლეგატები. ლატერანის IV საეკლ. ყრილობამ სამსჯავრო საქმე დააკისრა ეპისკოპოსებს (1215). XIII ს-ში ი. უკვე მძვინვარებდა იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. დაძრწოდა ჯაშუშთა ქსელი, დასმენა დაღუპვას უდრიდა. მოწმეებს არ აცნობდნენ, დამცველი არ იყო, წამებით საჭირო პასუხს გამოიტანჯდნენ მსჯავრდებულს, ზერე ან ცილეგში აძრობდნენ სულს, ან ცოცხლად წვავდნენ, მისი ქონებით კი ჯალათები და მსტოვრები ჯიბეს ისქელებდნენ. ქრისტეს მსახურნი ქრისტეს შეაძრწუნებდნენ სისასტიკით. ესპანელმა ინკვიზიტორმა, დომინიკანელმა თომა ტორკვემადამ (ნ.) 1480 წ. შექმნა ე. წ. ახალი ი., მასობრივად აწამა და დაწვა ათი ათასზე მეტი კაცი და ქალი. დევნიდნენ მონათლულ ებრაელებს (მარანებს), გაქრისტიანებულ მუსულმანებს (მორისკებს), ბრალს სდებდნენ ფარულ ლალატში. აწამეს და დაწვეს დიდი მეცნიერი და პოეტი ჯორდანო ბრუნო, ექიმი სერვეტი, ნიჭიერი-მეცნიერი ლუჩილიო ვანინი, აწამეს დიდი მოაზროვნე ტომაზო კამპანელა, რ-მაც 27 წელი ციხეგებსა და წამებაში გაატარა, დაწვეს მამხილებელი ბერი სავონაროლა... ესპანეთმა და პორტუგალიამ ი. ახალ ქვეყანაში გადაიტანეს, აწამეს მთელი ხალხები. საფრ. რევოლ-ის მოღვაწეები წინ აღუდგნენ, 1789 წ. ი. გაუქმდა, პროტესტ. ქვეყნებში საერთოდ უარყვეს. ამერიკაში მოისპო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს (1810—26). პაპის ოლქში დიდხანს გაძლო, მხოლოდ 1870 პაპის საერო ძალაუფლების გაუქმებასთან ერთად „შერბილდა", განაჩენი გამოიხატებოდა მხოლოდ წყეულით, განკვეთით, აკრძალულ წიგნთა სიით... წმ. კონგრეგაციის სახელწოდებით განაგრძობდა კომუნიზმის წინ-გ ბრძოლას, 1965 წლიდან კი სხვა მეთოდებით მუშაობს.

ინტერდიქტი (ლათ — ქტუმ) — „აკრძალვა": კათოლ. ეკლ-ის პრაქტიკაში X ს-იდან პაპის მიერ შემოღებული სასჯელი, რაც გამოიხატებოდა ცალკეული პირის ან მთელი მრევლის, ტერიტორიის ფარგლებში გარკვეული დროით რელიგ. ღვთისმსახურების აკრძალვაში (განკვეთის გარეშე). იყო დაშინების მეთოდი.

ინტრონიზაცია — მღვდელმთავრის საზეიმო აყვანა ტახტზე (პაპის, პატრიარქის).

იოანე ზედაზნელი — ათცამეტ ასურელ მამათაგანი, დიდი საეკლ. მოღვაწე, მშენებელი და მოამაგე. ზედაზნის განთქმული მონასტრის ამშენებელი (მცხეთასთან, არაგვის გაღმა, მაღლობზე). ჩამოსულა საქ-ში VI ს-ში ანტიოქიიდან. ადრინდელი „ცხოვრება" დაკარგულია, X ს-ში კათოლიკოს არსენ II-ს დაუწერია ახალი შრომა, რაც გამოცემულია (ილ. აბულაძის მიერ).

იოანე ნათლისმცემელი — დიდი ქრისტიანული წმინდანი, წინამორბედად წოდებული: იწინასწარმეტყველა ქრისტეს მოვლინება, შემდეგ სხვა მრავალ ებრაელთან ერთად მონათლა ის იორდანეს წყალში, ეწეოდა უმწიკვლო მეუდაბნოის ცხოვრებას, ქადაგებდა სისპეტაკეს, სამართლიანობას. პეროდე I პირველ ხანებში ერიდებოდა წინასწარმეტყველის განაწყენებას, მაგრამ სიბილწისათვის მხილებული საყვარლის პეროდიადეს ზეგავლენით საპყრო-

ბიბლეში ჩაკეტდა და შემდეგ თავი მოიკვეთა (ეერაგმა ქალაქ ცეკვის საღამო გაშართა, თავისი ასულის სალომეას ცეკვით მოხიბლულმა პეროდეს ქალიშვილს აუსრულა სურვილი: სანუკვრად იოანეს მოკვეთილი თავი მინდაო, — ასე დაარიგა პეროდიადეს, — და წმინდანის თავი მართლაც სინით მიართვეს). ეს საზარელი სცენა ასახულია მრავალი დიდოსტატის სურათებში. ი. იყო „კაცი მართალი" და პირში მთქმელი. პეროდეს ამბელდა, ძმის ცოლი საკვარლად დაგისვამსო; შენი სასახლე გარყვნილების ბუდეაო, ხალხი რომ მარტო პოლიტიკით კვეთო, ცხვარიკით გაგიწყდებაო და ა შ.; ი-ს ხსოვნის დღე — ივანობა (ნ).

იოანე პავლე II (ტახტზე არჩევამდე კარლ ვოიტილა, დაიბ. 1920 წ.) — რომის პაპი, სათვალავით 264-ე (უფრო სრული სიით, დაახლ. მე-300), პირველი პოლონელი პაპის ტახტზე. აქვს შრომები მორალზე, ეპისტოლეები. ტიარას ატარებს 1978 წლიდან. ქადაგებს მშვიდობიან თანაარსებობას.

იოანე ოქროპირი — დიდი საკულ. მოღვაწე, შესანს. ორატორი, ნიჭიერი მქადაგებელი, თავად სპეტაკი ზნეობისა, 398 წ-დან კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ამხელდა უსამართლობას, უზნეობას, რაც იმპერატორთა კარსე სუფევდა, რისოვისაც სამეფო კარმა და მღვდელმთავრებმა მოახერხეს მისი გადაყენება (404) და გადასახლება. გარდ. ბიჭვინთის გზაზე. დარჩა უარ. ნაშრომი, ქადაგება, წერილი, რ-თაც ძვ. ქართ. ლიტ. კარგად იცნობდა.

იოანიტები — რეაქციული მონარქიული მიმდინარეობა რუსეთ მართლმადიდ. რელიგიაში, ჩამოყალიბა გასული საუკუნის 90-იან წლებში იოანე კრონშტადტელმა (სერგეევმა), რ-საც ფანატიკოსები მკურნალად, სასწაულთმოქმედად, თავიანთ ღმერთად რაცხდნენ (1829—1908). უარყეეს ეკლესია, სამღვდელოება, შინ შექმნეს საკუთარი „ეკლესიები", ავრცელებდნენ რომანოვების პორტრეტებს (ოქტ. რევ-ის შემდეგ), ებრძოდნენ საბჭ. ხელ-ს. სექტა დაიშალა.

იომ-კიპური, აკრძალვის დღე — იუდეველთა მკაცრი დღესასწ., ახ. წლის მე-10 დღეს. რაბინთა მოძღვრებით, ამ 10 დღის განმ-ში მორწმუნემ უნდა დაიცვას მარხვა, ლოცვა, ყველა წესი, რადგან იაპეე ამ დღეებში განსჯის ყოველი ადამიანის ბედს, ცოდვა-მადლის სასწორზე დადებს ყველაფერს. თავისი მნიშვნ-ისა და მკაცრი რეჟიმის გამო „საშინელ დღეებს" ეძახიან.

იორდანი (მდ. იორდანის სახელიდან, სადაც მოინათლა ქრისტე) — წყალკურთხევის (ნათლისღების) დროს ყინულში გაკეთებული ხვრელი (ნარღვევი) წყალში ჯვრის სამგზის ჩაყოფით, ნათლობის ზეიმზე...

ისლამი (არაბ. მორჩილება, უფლის მონობა) — მაჰმადიანობა, მსოფ. ერთ-ერთი უდიდესი რელიგია სამიდან (ქრისტიანთა რიცხვია დაახ. 998 მილ., (თითქმის მილიარდი); 590 მილ. ისლამს აღიარებს, 480 მილ. — ინდუიზმს, 260 მილ. — ბუდიზმს, 15 მილ. — იუდაიზმს). ჩაისახა VII ს-ში დას. არაბეთში, როცა პატრიარქ.-თემური წყობა შეიცვალა კლას. სახელმწ. შექმნით. სარწმუნოება თითქოს გაანდო ალაჰის ნებით მთავარანგელოზმა ჯაბრაილმა (გაბრიელმა) წინასწარმეტყველ მაჰმადს, ნახევრად ისტ. პიროვნებას (შად. იაპვეს მიერ სინას მთაზე მოსესათვის სჯულის წიგნის განდობა, რაც ბიბლიაში აისახა). ი-ის მთელი მოძღვრება გადმოცემულია ყურანში და შეი-

ცავს 7 დოგმას: რწმენა ერთიანი ღმერთისა და ანგელოზებისა, ყველა საღვთო წიგნისა, ალაპის ყველა წარმოგზავნილისა, ქვეყნის აღსასრულისა, განგებისა და მკვდრეთით აღდგომისა. ყველაფერი, რაც მოხდა და მოხდება, ალაპის ნებაა (სამყაროს დაღუპვამდე და მეორედ მოსვლამდე). მთელი ი. ეერდნობა ხუთ მცნებას, „რწმენის სვეტს": წარმოთქვას ფორმულა: „არა არს ღმერთი ალაპის კიდეგან, ხოლო მაჰმადი წინასწარმეტყველია მისი"; ყოველდღე ხუთგზის ლოცვა; ურაზა: რამაზანის თვეს მარხვის დაცვა; აუცილებელი ქველმოქმედება (საქიათი), მექაში მოლოცვა (ჰაჯი). ამას დიდი მნიშვნ. ენიჭება რწმენის სიმტკიცისათვის. ი-ის დღესასწაულებია ყურბან-ბაირამი, ურაზა-ბაირამი, მავლუდი და სხვ. რელიგიის განვითარება აღნიშნულია სუნაში. ამ ცელილების შედეგად ი. დაიყო 2 მიმდინარეობად. სუნიზმი და შიიზმი (სუნიტები და შიიტები). დღეისათვის ი. ბევრ რაშეში ცდილობს შეეგუოს ახ. ვითარ-ს, მეცნ. მიღწევებს. მისი მიმდევრები არიან ძირითადად შუა აზიაში, ამიერკავკასიაში (აზერბ., საქართ., სომხ.), აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

ისლამი ყოველთვის გამოირჩეოდა ფანატიკური შეუპოვრობითა და სიმტკიცით, მაგრამ განსაკუთრებით მძლავრად შლის ფრთებს XX ს-ში, მეტადრე ავღანეთში და ირანში, სადაც ჰომეინი აცხადებს, რომ არ შეწყვეტს ომს, ვიდრე ისლამი მთელს. მსოფლიოში არ გაიმარჯვებს. ასეთი ფანატიკური მოწოდების შემდეგ მუსულმანურ სამყაროს შეკვრა ერთ დამსჯელ მუშტად შეიძლება ურჩხულის გამოლვიძებას შევადაროთ და მას საერთო არაფერი აქვს ქრისტიანულ რჯულშემწყნარებლობასთან, რომლის ნიმუშია დავით აღმაშენებლის პოლიტიკა, ათასი წლის წინ რომ სარწმუნოებათა შეგობრულ თანაარსებობას ქადაგებდა და მფარველად მოევლინა ყველა მორწმუნეს.

ისლამური ზნეობა — ზეობის უკომპრომისო ქადაგებაა და ის შეურიგებლობით, მძლავრობით ლამობს დამოუკიდებელი ზეგავლენის გაძლიერებას.

ISMAILITEBI (შიიტების მეექვსე იმამის ჯაფარ სადიყის უფროსი შვილის — „მეშვიდე იმამის" ისმაილის სახელიდან) — მუსულმ. შიიტური სექტის მიმდევრები, რ-ნიც უკვე VIII ს-დან არაბთა ხალიფატში ქმნიან ძლიერ ოპოზიციას ისლამის შიგნით, სწამთ „სულთა გადასახლება". მათი რწმენით, ადამიანი უძლურია მისწვდეს ალაპის ნებას, ამიტომ უნდა ილოცონ „მსოფლიო გონების" წინაშე. სული შეიძლება გადასახლდეს მრავალთა სხეულში, ოღონდ „ღვთაებრივ ჭეშმარიტებას" ის ეზიარება მხოლოდ მრავალი სხეულის მოვლის შედეგად. მაშინ ის, როგორც „მსოფლიო სულის" ნაწილი, ეზიარება სიბრძნეს და გახდება იმამი, რ-საც ყველა მორწმუნე ბრმად უნდა ემორჩილებოდეს, უხდიდეს გადასახადს, მიართმევდეს საჩუქარს, რადგან იმამის სხეულში იქნება მუჰამედის და მისი საყვარელი სიძის — ალის სული. ამრიგად, ესეც სრული მორჩილების და ბატონობის იარაღია. არიან ტაჯიკეთში, პამირზე და სხვ., ოღონდ ჩვენში მათი რიცხვი მცირეა.

IUBILE, საიუბილეო წლები (ლათ. იუბილეუმ, ებრაულიდან: იობელ — გერძის რქის ფორმის ბუკი, რ-საც დღეს ეიმებზე უკრავდნენ) — კათოლ. ეკლ. ზეიმი, შემოსავლის წყარო, საქრისტ. უდიდესი მასშტაბური ზეიმი, რაც პაპებმა მოიგონეს ეკლ-ის ავტორიტეტის ასამაღლებლად და დაკარიზმებული

ხაზინის შესავსებად. რომს ამ წლებში ურიცხვი მიმლოცველი აწყდებოდა, ხაზინა ოქროს ვერ იტევდა, მერე ორგიებში იხარჯებოდა. პირველად საიუბ. წლად ბონიფაციუს VIII-მ 1300 წელი გამოაცხადა, დაკანონა მისი გამეორება ყოველ ას წელში. რომს 2 მილ. მლოცველი ესტუმრა. მაგრამ ასე გრძელი შუალედი პაპებს ხელს ~ არ აძლევდა, ამიტომ შეამცირეს. კლიმენტი VI-მ საიუბილეოდ გამოაცხადა 1350 წელიც. 1389 წ. კი ურბან VI აწესებს ყოველ 33 წელიწადში (ამდენი იცოცხლა ქრისტემ). 1470 წ პავლე II ამასაც ამცირებს და აწესებს იუბილეს ყოველ 25 წელიწადში, რაც დღემდე გრძელდება, 1974 წ. იოანე პაველ VI აგრეთვე წმ. წლად აცხადებს.

იუდაიზმი (იუდას ტომის რელიგია) — ებრაული ხალხის რელიგია, რ-ის მთავარი პრინციპებია ერთიანი ღმერთის იაჰვეს (იეჰოვას) რწმენა, შესიის (ციური მხსნელის) მოლოდინი, ძვ. აღთქმისა და თალმუდის აღიარება წმ. წიგნებად. წარმოიქმნა ძვ. წ. II ათასწლედში პოლითეისტური კულტებიდან, არაბეთში მომთაბარე ტომებს შორის (მრავალღმერთიანობის კვალი ბიბლიაშიც დარჩა: ღმერთები, ნაცვლად ღმერთისა) XIII ს-დან (ძვ. წ.) დაპყრობილ პალესტინაში თანდათან შეიერა იაჰვეს კულტი, რამაც საერთო სახელმ. რელიგიის სახე მიიღო (ძვ წ. X ს-დან). ძვ. წ. 621 წ. მოხდა რეფორმა, მონოთეისტ. ი-ის უფრო სრულყოფილად ჩამოყალიბება. ბაალები, რვალის გველი, ოქროს ხბო, ზეთისხილის ჭალის და სხვ. წარმართული რწმენები სასტიკად იდევნება. დოგმები სულის უკვდავებაზე, საიქიო ცხოვრებაზე, მკვდრეთით აღდგომისა, ანგელოზებისა და დემონოლოგიის რწმენა — ყველაფერი ეს მტკიცედ დაკანონდა და თალმუდის სახით შემორჩა დღემდე (613 საწესო დარიგება და სხვ.). მას შემდეგ, რაც იუდეა დაიპყრო ჯერ ალექსანდრე მაკედონელმა (ძვ. წ. IV ს), მერე რომმა (ძვ. წ. I ს.), ი. საგრძნობლად შეეგუა ახ. ვითარებებს, მაგრამ მტკიცე რწმენა და წესები უცვლელად დარჩა. ებრ. სინაგოგა ამტკიცებს ებრ. ხალხის რჩეულ მისიას, კრძალავს შერეულ ქორწინებას და ა. შ. ჩვენში ი-ის საფუძვლები შერყეულია.

ილუმენი — მართლმადიდ. მონასტრის წინამძღვარი, ბერთა წოდება.

კ

კაბალა (ძვ. ებრ. „გადმოცემა", კაბბ) — იუდეველთა შორის გავრც. ზეპირი გადმოცემები, თავმოყრილი წიგნში „ზოგარი" (ელვარება), XIII ს-ში. მათი არსია „ენსოფი", სამყაროს საწყისი, აქტიური ძალა, რომლის გამოსხივებაცაა ყველა საგანი. ამავე დროს ესაა უსასრულო ღვთაება. აღიარებულია სულთა გადასახლება. კაბალისტ. მისტიკა XVI ს-დან იქცა ჯადოქრობის, მაგიის იარაღად.

„კათოლიკური მოქმედება" — საერო კათოლ. ორგანიზაციების (პროფკავშ., ქალთა, სპორტ. ორგ-ები) გაერთიანება. მიზანი — კათოლიციზმის ზეგავლენის გაძლიერება მასებში, მუშათა მოძრ. ჩახშობა, კომუნიზმთან ბრძოლა.

კათაკმეველი (ბერძ.) — მოუნათლავი, ქრისტიანული წესით მოსანათლავად გამზადებული (კლასიკურ ბერძნულშიც კათაირო განწმენდის მნიშვნელობით იხმარებოდა. აქედ. კათარზისი — განწმენდა). გარკვეულ დროს იტყოდნენ: „კათაკმეველნო, განვედით ეკლესიიდან". რამაც ზოგადი მნიშვნელობა მიიღო. „ესეა ერთი ასული, კათაკუმეველი, გარნა ქრისტიანე" (მაშათა ცხოვრ.). კათაკმეველობაში დარჩენილი — მოუნათლავად დარჩენილი. რუს. ოგლაშენნი.

კათალიკოსი (ბერძ. კათალიკოს — საყოველთაო, სრულიად) — პატრიარქი, უმაღლესი მღვდელმთავარი საქ-ში (მიმართვა: უწმიდესი და უნეტარესი). კ-ობა, „ზედამდგომლობა ყოველთაი" (მრავალთავი).

კათარები (ბერძ. „წმინდანი") — ერეტ. სექტა (XI — XIV ს.). ნ. ალბიგოელები.

კათოლიკური ფილოსოფია — სხვადასხვა სკოლების გამაერთიანებელი რელ.-ფილ. მიმდინარეობა, რ-ის მიზანია კათოლ. სარწ. გაპტკიცება. ათეიზმთან ბრძოლა, მატერიალიზმის უარყოფა. შუა საუკ-ებში ავგუსტინესეული პლატონიზმიდან გადავიდა ქრისტ. არისტოტელიზმზე, არისტოტელეს უნივერსალური ავტორიტეტის მოშველიებით შეეცადა შეექმნა სრულყოფილი ქრისტ. იდეოლოგია (ალბერტ დიდი, თომა აქვინელი და სხვ., ნ. თომიზმი). აღორძინ. ეპოქაში შიგნით შეიქმნა მიმდინარეობანი (ნეოთომიზმი, ავგუსტინიზმი, სპირიტუალიზმი და სხვ.), ცხადია, ყველა იდეალისტური.

კათოლიციზმი (ბერძ. კათოლიკოს — მსოფლიო, საყოველთაო, ლათ. — ციზმუს) — ქრისტ. ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი მიმდინარეობა, შტო, რ-იც საგრძნობი განსხვავებით უპირისპირდება მართლმადიდებლურ და პროტესტანტულ ეკლესიებს, თავიდანვე აცხადებს თავს მსოფლიო მასშტაბით საქრისტიანოს მეთაურად (რამდენადაც ქრისტეს სამოციქულო ტახტი მის ცენტრში — რომშია და სხვ.). ჯერ კიდევ IV ს-ში დაიწყო დიდი გათიშვა დას. კათოლ. და აღ. მართლმადიდ. ეკლესიებს შორის, მრავალმხრივი წინააღმდეგობა გაღრმავდა და ბოლოს მოხდა სრული გაყოფა (1054). მათი წესების, დოგმების, შეხედულებათა განსხვავება განსაზღვრა დას-ის და აღ-ის იმპერიებს შორის არსებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა განსხვავებებმა, პირველობისაკენ მისწრაფებამ. კათ. ეკლ-მ „ღვთაებრიობის შარავანდედით შემოსა ფეოდ. წყობილება" (ენგელსი). ფუფუნებით, იერარქიით, მბრძანებლური სიმკაცრით ისევე აიგო, როგორც ფეოდ. სისტემა, თუმცა ეს სულაც არ ეწყობა ქრისტეს სათნო პიროვნებასა და კაცთმოყვარულ ცნებებს. კათ. ეკლ-ის საყრდენია ბიბლიის ლათ. თარგმანი და „წმ. გადმოცემა", რელიგ. ტრადიცია, რაც დიდი ლავირების საშ-ს აძლევს ახალ ეითარებასთან შეგუებაში. მთავარი განსხვავება, პირველი ერის გამოსახვისა და ზოგი სხვა ფორმალური განსხვავების გარდა, ისაა, რომ კათ-იზმის გაგებით, სამების დოგმაში სულიწმინდის მოფენა (გამოსვლა) ხდება მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთისაგან, მართლმადიდებელნი კი ამტკიცებენ, რომ ის მხოლოდ მამისაგან მოდის. კ. დიდად ზრუნავს საეკლ. დისციპლინისათვის, ქადაგებს ხსნას მხოლოდ ღვთისმსახურთა შეწყეობით (ამაზეა აგებული საიუბილეო წლების დაწესება, ინდულგენციებით ვაჭრობა, ინკვიზიციის სისასტიკე,

სულის სახსნელად რომ სხეულს აწამებს). პიუს IX-მ ვატიკანის ყრილობაზე დააშტკიცა პაპის უცოდველობის ახ. დოგმა (1870), რაც ძველთაგანვე მოდიოდა. აქვს ცენტრალიზ. იერარქიული ორგანიზაცია, დისციპლინა, დიდი ზეგავლენა, დიდი თანხები, უზენაესი ორგანოები, კლირისა და მასობრივი ორგანიზაციების (პროფკავშ., ქალთა, სასპორტო და სხვ.), ბერთა ორდენების შტაიცე კავშირი, ყოველნაირად ამართლებს ბურჟ. წყობილებას, ებრძვის კომუნისტურ იდეებს, მტრულად შეხვდა ოქტომბრის რევ-ს და სხვ. მაგრამ ბოლო ხანებში შეგუების გზას დაადგა, გონიერულად ქადაგებს მშვიდობას, გამანადგურებ. იარაღის აკრძალვას, შეთანხმებას, ლოიალურია. ეორწმუნეთა რიცხვი — 580 000 000.

კათოლ. ეკლ წიაღში შეიქმნა ქრისტ. ეკლ-ის მესამე ძირითადი მიმართ. — პროტესტანტიზმი, ყველა განშტოებით (ლუთერანობა, კალვინიზმი, პუგენოტები, ანგლიკანები...). ჩვენში კათოლიკენი არიან ბალტიისპირეთში, დას. უკრაინაში, ბელორუსიაში და სხვ. საქ-ში ერთგვარი გავრცელება ჰქონდა პოლიტ. მოსაზრებით, რომ კათოლ. ევროპა მოგვშველებოდა, მუსულმ. სამყაროს შემოსევებისაგან ვეხსენით, მაგრამ ამას წარმატება არ მოპყოლია (სულხან საბას დიდი მისია ლუდოვიკოს კარზე და სხვ.).

კალენდრები რელიგიური — დროის, რელიგ. დღესასწაულების მაჩვენებელი კალენდრები, სათანადო დღის, კულტის, წესების, წმინდანთა ცხოვრების აღწერილობით, ჰქონდათ ძვ. ბერძნებსა და რომაელებს. 448 წ. შედგა წარმართულიდან ქრისტ-საკენ გარდამავალი კ-ები, მარტიროლოგები, სვინაქსარები და ა. შ., დაწერილებითი ცნობებით, ლოცვებით, ღვთისმეტყველური ტექსტებით.

კალვინიზმი — პროტესტანტიზმის ერთი მთავარი მიმდინარ., ერთი სამთაგანი (ლუთერანობა, ანგლიკანობა), რ-ის დამაარსებელია „ჟენევის პაპი" ჟან კალვინი (კოლვენი, 1509—64). ჩამომავლობით ფრანგმა, სასტიკმა და უკომპრომისო პროტესტანტმა შვეიცარიაში გაშალა თავისი სამოქმედო ასპარეზი და ყველაზე უფრო თანმიმდევრულად გამოხატა ახალგ. ბურჟუაზიის ინტერესები (საქმეებში წარმატება, ენერგიულობა ჩათვალა ხსნის წინამძღვრად). კალვინისტები უარყოფდნენ ეპისკოპოსებს, ჯვარს, ხატს, საკურთხეველს, სამლოდველოების სამოსელს, ყველა ცერემონიალი იცვლებოდა ფსალმუნთა საერთო გალობით. ადამიანის ბედი განსაზღვრულია განგებით და ვერავითარი, „კეთილი საქმე" ვერ იხსნის; უნდა დამყარდეს „უფლის ძალაუფლება" დედამიწაზე; საჭიროა მომჭირნეობა, ჯაფა, „საერო ასკეტიზმი". 7 საიდუმლოდან შენარჩუნებულია მხოლოდ ორი სიმბოლური წესი — ნათლობა და ზიარება. წესები გამარტივებულია. პასტორებს მორწმუნენი ირჩევენ. წესრიგი უკომპრომისოა. თავისუფ. აზრი იდევნება. კოცონზე წვავენ დიდ ექიმს სერვეტს, რ-იც უარყოფდა ქრისტ. დოგმებს. XVI ს-დან იწყება კ-იზმის გავრცელება საფრანგეთში (პუგენოტები), ინგლისში (პურიტანები), გერმანიაში, პოლონეთში, უნგრეთში... ამჟამად — რეფორმატულ ეკლესიაში, პრესვიტერიანებში და კონგრეგაციონისტებს შორის. ჰყავთ სინოდი.

კანელი — ტაძრის ნაწილი, ნ. ტაძარი.

კანონი (ბერძ. „ჯოხი"; მითითება, წესი) — 1. წესი, დოგმატი (რელიგ.

ორგანიზაციისა); 2. რელიგ. წიგნები, ღვთაებრ. შთაგონებით. ზეგარდმო კარნახით დაწერილები, როგორც ასწავლის ეკლ. მორწმუნეებს (დაბადება, სახარება); 3. ქრისტ. ღვთისმსახურებაში. საზეიმო გალობის ციანრი. ნაწილი. 9 გალობის ერთობლიობა, ყოველი შეიცავს 5 მუხლს, ეძღვნება ამა თუ იმ წმინდანს ან დღესასწაულს, დასს, მთავარანგელოზს, მოციქულებს, ნინოს...

კანონი საღვთო, საღმრთო სჯული — 1. ფართო გაგებით. ყოველგვარი რელიგ. მოძღვრება, რ-იც მორწმუნეებს აცნობს რელიგ. დოგმებს, კანონიზებულ წიგნებს, მორალის ნორმებს და ა. შ.; 2. მეფის რუსეთში: სასწავლო საგანი, ისწავლებოდა სკოლებში და იყო სავალდ. დისციპლინა, შეიცავდა ღვთისმეტყველების ელემენტარულ ნორმებს, დოგმატიკას, მცნებებს, ღვთისმსახურების წესებს, მართლმადიდებლობის თეორიას და პრაქტიკას, ისტორიას, ლოცვებს, კატეხიზისს. მასწავლებლებად დაიშვებოდნენ მხოლოდ სასულ. პირნი და გამონაკლისის სახით — სასულ. სემინარიადამთავრებულნი. სკოლებში ოქტ. რევ-ის შემდეგ გაუქმდა.

კანონიზაცია (ბერძ. კანონიძო — ვაკანონებ) — სარწმ-სათვის თავდადებულთა, მოწამეთა, ეკლესიის მოღვაწეთა წმინდანად შერაცხვა. პრაქტიკაში შევიდა X ს-დან, თუმცა წმინდანთა კულტი პირველსავე საუკ-ებში არსებობდა. ჩვენში მოხდა მორალურად სპეტაკ, ერისთვის თავდადებულ მამულიშვილთა — თამარის, ქეთევან წამებულის და სხვათა კ. (კათოლიკ. რომში ალექსანდრე III და ინოკენტი III დროიდან მტკიცე იურ. ხასიათი პქონდა).

კანონმდებლობა რელიგიურ კულტებზე — საკანონმდებლო აქტების კრებ., რ-იც არკვევს რელიგიისა და ეკლესიის ურთიერთობას. უმნიშვნელოვანესია რუსეთის ფედერაციის სახკომსაბჭოს დეკრეტი კულტების შესახებ (1918,123-1). 1929 წ. 8 აპრილის დადგენილება „რელიგ. გაერთიანებებზე"... დაცულია მორწმუნეთა გარანტიები და ინტერესები. პირვ. დეკრეტი ეხება სახელმწიფოსაგან ეკლესიის, ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფას. იკრძალება სახელმწ. საწინააღმდ. მოქმედება რელ-ისა.

რელ. მსახურთ უფასოდ ეძლევათ შენობები საკულტო სამსახურისათვის, შეუძლიათ იჯარით აღება. მატერ. და ფინანს. დამოუკიდებლობა ყველა რელიგ. კულტისა დაცულია კანონით. არსებობენ შეწირულებებით. იკრძალება ეკლესიის და სხვა ნაგებობის გამოყენება პოლიტ საწინ-გო კრებებისა და სხვა სახის მოქმედებისათვის, ძალადობით ფულის აკრეფა.

კაპელანი (შუა ზემო — ლათ., იტ. კაპელლან) — კაპელის (ეკვდერის, საკამნოს, პირადი საძლოცველოს და საგაჩურის) მსახური მღვდელი ან მისი მოწვეული თანაშემწე.

კაპუცინები (შუა ლათ. კაპე, კაპუშონ — ბერის სამოსი; გერ. კაპუცინერ; იტ. კ-ცინო, წვეტიანი თავსარქმელი) — მოგლახაკე ბერთა ორდენის წევრი, კათოლ. ორდენი, გამოეყო ფრანცისკანელებს (XVIს.). ებრძოდა რეფორმაციას და იცავდა კათოლ. ეკლ. ავტორიტეტს, არ ერიდებოდა არავით. ლონისძიებას. დღემდე ეღობებიან პაპის საწინააღმდ. იდეებს, ებრძვიან ერესს. პყავთ დაახ. 13 000 წევრი. ეწეევიან პროპაგანდ. საქმიანობას. დაარსდა 1525, დაამტკიცა კლიმენტი მეშვიდემ 1529, დამოუკიდ. ორდენია 1619-დან. თაესარქმელია კაპიშონი; კ. ერთგვარ მაიმუნსაც ეწოდება.

კარიბჭე — სტოვა, პორტიკი, ეკლესიის (შენობის) მინაშენი, სადგომი.

კარმა (სანსკრ. საქმე, ვალი, მოქმედება) — ინდური რელიგიების უმრავლესობის მთავარი ცნება, რაღაც მისტიკ. ძალა, „ნაცვალგების კანონი", სამაგიერო ყოველი მოქმედებისათვის სულთა გადასახლების დროს, როცა სული გარდაისახება, ერთი არსებიდან მეორეში გადავა (თვით ეს გარდასახვის პროცესიც კ-ის არსია). ჩვენი მოქმედება თავისთავად განაპირობებს ჩვენს ბედს მომავალ გარდაქმნაში (ბრაჰმანიზმში, ინდუიზმში, ბუდიზმში დაახ. ერთნაირადაა ხსნის გზა განსახღვრული). კასტის (ვარნის) მითითებათა შესრულება თუ შეუსრულებლობაა კ., როგორც ფუნქცია. მორალური მოვალეობაა არ გაეწიოს წინააღმდ. ბოროტებას ძალადობით.

კატაპასია, უფრო სწორია კატაბასია (ბერძ. კ-ბასიონ, მისვლა) — კანონის დასამთავრებელი, ბოლო მუხლი (ლექსი), რ-იც თავშიც იმეორება და ბოლოშიც („დასაფარებელი") მისი აღსრულების დროს (მართლმადიდ. ეკლ-ში) ორივე მგალობელი გუნდი ერთიმეორეს უახლოვდება და დგება ამბიონთან გამოყენ-ია სძლისპირები (იმავე ან სხვა კანონისა).

კატეხიზისი (ბერძ. „ზეპირი დარიგება", განცხადება) — ღვთისმეტყველების საწყისი, სასწავლოდ გამიზნული წიგნი, ქრისტ მოძღვრების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით (კათოლ., მართლმადიდ., პროტესტ-ული კ.). შეფის რუსეთში პატრიარქ ფილარეტის (დროზდოვის) კ. აღიარებ. სახელმძღვ. იყო.

კეთილი და ბოროტი — სიკეთე და ბოროტება, ნ. მავნე და კეთილი.

კერპი (ბერძ. იდოლონ — პატარა გამოსახულება) — ღმერთის ან ღვთაებრ. ძალის დიდი ან მცირე პლასტიკური გამოსახულება, რ-საც „წარმართნი" და პოლითეისტ. რელიგიის მსახურნი თაყვანს სცემენ, როგორც ღმერთს ან სულს (ხისა, ქვისა, თიხისა და სხვ.); გადატ. მნიშვ. — ეინმეს სალოცავი, სათაყვანო, ბრმა მოწიწების საგანი. კერპთთაყვანისმცემლობა — თეოლოგ. ტერმინი: კერპთა თაყვანისცემა მრავალღმერთიან რელიგიებში. ადარებენ ხატის თაყვ-ს.

კვაკერები (ინგლ. კვაკე — კანკალი, რყევა) — ხელოსან (ხარაზ) ჯონ ფოქსის მიერ 1650 წ. დაარს. პროტესტანტ. სექტა ინგლ-ში (XVII ს.). კ-ების მტკიცებით, ჭეშმარიტება ელინდება არა საეკლ. მოძღვრებით, არამედ ყოველი მორწმუნის „შინაგანი შუქით", „სულიწმინდის მოფენით" მის შინაგ. არსებაში, და ესაა ქრისტეს არსებობა ყოველ ჩვენგანში. ამ პირადი შუქმოსილობით, გამოსხივების აქტით იცვლება გარეგნული ღვთისმსახურება, არც მღვდელია საჭირო და არც რამე მორთულობა სამლოცველოში. მათი მორალ. ქადაგება, ზნეობრ. სიწმინდისა, მოვალეობისა და ცოლქმრული ერთგულების მოთხოვნა ასკეტიზმამდე მიდის. ითხოვენ თანასწორობას, კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტას. სარწმ-ების ერთადერთ წყაროდ საღმრთო წიგნი მიაჩნიათ და „მარად. ჭეშმარიტებათა" წიგნად — სახარება. ჰყავთ 200 000 წევრი (ინგლ., კანადა, აღ. აფრიკა, აშშ). თვითონ თავიანთ თავს უწოდებენ „მეგობართა საზ-ბას", „შუქის მქადაგებელს", უფლის ხალხს, სახელწ. მიიღეს იქიდან, რომ რწმენას გამოხატავენ „სულიწმინდის გამოვლენით", განცდით, ცახცახით.

კვართი (პერანგი) უფლისა — ნ. სვეტიცხოველი, სვეტიცხოვლობა.

კვართი საერთოდ პერანგია, უფრო ქრისტესი, ღვთისმშობლის ხელით მოქსოვილი. ჯვარცმის შემდეგ ზოგი ვერსიით ის „გენიჯვეს", ე. ი. დაინაწილეს, სხვა გადმოცემით კი ჩამოიტანეს მცხეთაში და აქედან მოეფინა ნათელი მთელს საქ-ს. აქ აიგო მრავალი ტაძარი, რ-თა მეტი ნაწილი გადამთიელთა ურდოებმა დააქციეს ან შებილწეს.

კვერექსი — მოკლე ლოცვების წყება, კითხულობს დიაკონი, გუნდი კი პასუხობს: „მოგვმადლე, უფალო", „შეგვიწყალე". სახეები: მცირე, დიდი თხოვნითი, მრჩობლი, მიცვალებულის მოსახსენებელი.

კვირაცხოვლობა (კვირა ცხოველი) — ახალკვირა, თომის კვირა (რუს. ფომინო ვოსკრესენიე), ნათელი კვირის ბოლო დღე (ნ. აღდგომა).

კვირიაკე — კვირადღე; კვირიკობის თვე — ივლისი.

კვირიკობა — კვირიკეს და ივლიტეს დღე, საქრისტიანოს სალოცავი წმ-ებისა, 15 ივლისს (ძვ. სტ.). ყრმა კვირიკე და დედამისი IX—X ს-ებიდან პატივით იხსენებიან, ხატავენ, გამოსახულებებია ფრესკებზე (სვანეთში, კალაში), ხატებზე. დღესასწ. ეწყობა სვანეთში (ს. კალაში, სადაც კვირიკეს ეკლ-სთან დღეობა იმართება), რაჭაში (ზემო კრიხი), ლეჩხუმში (ლაცორია). დუშეთთან, თრიალეთში, გურიაში (კვირიკეთი), ქობულეთში, ვანში... განსაკ. ძლიერ მაინც ეს წმინდანები სვანეთში უწამებიათ. ადგილის სახელიც აქედანაა: ლა-გვირკა, საკვირიკე (როგორც ლა-ჯგურაგ). კეთილმორწმუნე ივლიტა და მისი 3 წლის ყრმა კვირიკე ურჯული იმპერატ. დიოკლეტიანეს დროს ცხოვრობდნენ (284—305). ეს იმპერატორი ქრისტიანებს დევნიდა. ივლიტა ქ. იკონიაში ცხოვრობდა, კაპადოკიის ახლოს (ამ ადგილოანაა დაკაშ. ნინოც, გიორგიც). დიდგვაროვანი ოჯახი ყოფილა. ქალი 303 წ. ყრმითურთ გაქცეულა, მაგრამ სელევკიაშიც ვერ დამალულა, კილიკიის მბრძანებელს შეუპყრია და ორივეს გადაბირება მოუწადინებია. ძალადობის ჟამს ყრმა შეუპოვრად იმეორებდა დედის სიტყვებს „ქრისტიანი ვარ მე!" მერე მიიჭრა, მოძალადე მთავარს შემოეხვია და უკბინა. ჯალათმა ყრმა ქვაზე დაანარცხა, დედამისს კი თავი მოკვეთა. ეს მომენტია ასახული ლაგვირკას ფრესკაზე. ქვრივ ქალს მშვიდი სახე აქვს. დედა-შვილი ისევე შეუთვისებიათ, როგორც სხვა ქართველი მოწამეები (შუშანიკი, ქეთევანი). მათი ცხოვრება აუწერია X ს-ში იკონიის ეპისკ. თეოდორეს, მალე ქართულადაც უთარგმნიათ (ტექსტი XV ს-სა). ნახსენებია „იერუსალიმის განჩინებაში", სინურ იადგარში, იოანეზოსიმეს კალენდარში.

კლერიკალიზმი (ლათ. კლერიკალის — საეკლესიო) — საზოგ.-პოლიტ. მიმდინარ., რ-ის მიზანია ეკლესიის როლის, გავლენის გაძლიერება სახელმწიფოს ცხოვრებაში, სასულ. და საერო ცხოვრებაში საერთოდ. კლერიკალი სასულიერო პირია, რ-საც სურს ასეთი ვითარების შექმნა, ან ეკლესიის გავლენიანი წარმომადგენელი საერთოდ. ყოველ დროში დამახასიათ. ასეთი მიმდინ. რეაქც. ხასიათისაა. კლერიკალთა გაერთ-ნი ფლობენ დიდ თანხებს, ზეგავლენის სფეროებს, პარტიებს, ქალთა ორგ-ზაციებს, თიშავენ მუშათა ორგანიზაციებს. აქვთ დიდი ზეგავლ. ფედერ. გერმ-ში, იტ-ში, ესპ-ში, პორტ-ში. მჭიდრო კავშ. აქვთ ანტიკომუნიზმთან. ცდილობენ ძირი გამოუთ-

ხარონ კომუნისტ. იღებს. აქვთ ცენტრები (აშერიკაში, ევროპაში: „იტალიქვეშეთის ევანგელიზაცია“. მსოფ. ისლამური ლიგა, სლავთა მისია...).

კლერმონის საეკლესიო ურილობა — ნ. საეკლესიო ურილობები.

კლირი (ბერძ. კლეროს — წილი: ქრისტ. სამღვდელოებას წილისყრით, კენჭით ირჩევდნენ) — მღვდელმსახურთა, ეკლესიის მსახურთა, სასულიერო-თა. მრევლის საერთო სახელი. პირველთა წოდების უპირატესობაა მღვდლობის მადლი, რაც თითქოს ქრისტემ დააწესა და საშოიქელო მემკვიდრეობის ძალით გადადის თაობიდან თაობაში ხელდასხმით. მღვდელმსახურთ აქვთ შინაგანი იერარქია: დიაკონატი — პრესვიტერიატი (მღვდლები), ეპისკოპატი. კათოლ. ეკლ.-ს ამის დამატებით აქვს პრიმატი, რომის პაპის წოდება (პონტიფიკი). ამ დაყოფას აქვს შინაგანი საფუძვლები: დიაკონატში შედის (მართლმადიდ. ეკლეს.) დიაკონი, პროტოდიაკონი, არქიდიაკონი, იეროდიაკონი, პრესვიტერატი შედგება პრესვიტერის, პროტოპრესვიტერისაგან, ეპისკოპატი — ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსის, მიტროპოლიტის, პატრიარქის წოდებებისაგან. მღვდელმსახურთა ფუნქციებია: საიდუმლოებათა და ღვთისმსახურებათა აღსრულება, სარწმუნოების ქადაგება (მოძღვრობა), საეროთა რელიგ.-მორალ. ცხოვრების ხელმძღვანელობა ეკლესიის მსახურნი სასულიერო წოდებებს არ იღებენ. ესენია მეფსალმუნეები, მნეები, მისამსახურეები, რ-ნიც უნდა დაეხმარონ მღვდელმსახურთ რიტუალის შესრულების დროსვე. მოუთხოვებათ მონური მორჩილება. ძალაუფლება კი იზრდება წოდებებთან ერთად.

კონგრეგაცია (ლათ. კ-ციო, კავშირი, გაერთ.) — 1. კარდინალთა მუდმივი კომისია. ვატიკანის მმართველთა გაერთიანება, განაგებს კათოლ. სამყაროს მნიშვნელ. საქმეებს. სათავეში დგას პაპი ან მისი დანიშნული პრეფექტი. ესაა პაპის კურია, რ-იც პავლე VI-ის რეფორმის შემდეგ (1967) ასეთ კ-ებად ნაწილდება: რწმენის დოქტრინისა, ეპისკოპოსთა (კურია), აღ. ეკლ.-ისა, დისციპლინისა,,სამღვდელოების, ბერთა ორდენების და საერთო ინსტიტუტებისა, ხალხთა ევანგელიზაციისა, ღვთაებრივ (საღმრთო) კულტების და წმინდანთა კურია; 2 რელიგ. გაერთიანებანი, რ-თა წევრები (სასულ. და საერონი) იძღვევიან უბრალო აღთქმას. ცნობილია XVI ს-დან. XIX ს-ში უფრო ცნობილია იეზუიტების დაარს. მარიანისტების კ., ქალწულ მარიამის უბიწობის პროპაგანდისა; 3. კათოლ. მონასტერთა გაერთიანებანი, რ-თაც საერთო მმართველობა აქვთ. გენერალური კ-ები ეწოდებათ იეზუიტთა კ-ებს.

კონგრეგაციონალისტები (ლათ. კ-ცია, გაერთ., თემობა) — კალვინიზმის განშტოება, მიმდინარ., ჩაისახა ინგლ-ში XVI ს-ში, დამაარსებელია რ. ბრაუნი. ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი ეკლესია უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი საეკლ. ორგანიზაციებისა და სახელმწიფოსაგან (1581). განიცადა დევნა, მიმდევრები გადასახლდნენ ჰოლანდიაში, ჩრდ. ამერიკაში, ზოგი დამკვიდრდა ლეიდენში და ამსტერდამში, სადაც საფუძვ. ჩაუყარეს ბაპტიზმს. შეადგენდნენ კრომველის არმიის ბირთვს. 1689 ჰიიღეს დამოუკ. ლეგალური არსებობის უფლება. გავრცელდა უელსში. შოტლანდიაში, ირლანდიაში, კანადაში, ავსტრალიაში. ამჟამად ჰყავთ რამდენიმე მილ. წევრი. ესაა კალვინიზმის რადიკალ. სახეობა. რ-იც უშუალოდ ქრისტეს თვლის მოთა-

ეედ და უარყოფს საეკლ. იერარქიას. საქლეგდელოების წოდებას. ფანატიკურად ებრძვიან სხვაგვარ მოაზროვნეებს (თვით ბაპტისტებს, კვაკერებს), თავს ეძახიან თავისუფალთ, მხარს უჭერენ ეკუმენისტურ მოძრაობას.

კონდაკი (რუს. სლუჟებნიკ, კონდაკ, სიტყვა ბერძნულია) — იბაკო; წირვის წიგნი; ხაადაპო წიგნი (დ. ჩუბ.); მოსახსენებელი წიგნი; პიმნები, ტროპართან ერთად ძირითადი ლოცვა (წმინდანის მოსაგონებელი, ან სადღესასწ.. იკითხება ჟამნის შემდეგ ან საერთვის მასში (კანონში).

კონკლავი (ლათ. კონ-კლავ, კლიტის ქვეშ) — კარდინალთა საიდუმლო კრება პაპის არჩევნებში, იკრიბებიან დაკეტილში, ცხრაკლიტულში. წყვეტენ კავშირს გარე სამყაროსთან (სიქსტინის კაპელაში — სიქსტინაში). ასე დაადგინეს შუა საუკ-ებში, რათა დაეჩქარებინათ არჩევა. კ. ქვია ოთახსაც და კრებასაც. მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 80 წელს, რიცხვი — 120 კარდინალს. შეკრება იწყება პაპის გარდაცვ-დან 18 დღის შემდეგ. შემოიღო გრიგოლ X-ემ (1271—1276). საკმარისია ხმათა ორი მესამედი+1.

კონკორდატი (ლათ. კ-დატუმ, შეთანხმება) — უმაღლეს დონეზე შეკრული შეთანხმება პაპის წმ. ტახტსა და რომელიმე სახელმწიფოს შორის ამ სახელმწიფოში პაპის უფლებების თაობაზე (დიპლ. კავშ. ვატიკანთან, ეპისკოპოსთა დანიშვნა, გადასახადებისაგან განთავისუფლება, ოჯახისა და ქორწინების საკითხები). გამოხატავდა ხელმწიფეთა მისწრაფებას პაპის უფლებების შესაზღვისაკენ. პირველი კ. შეიკრა 1122 პაპ კალიქსტ II და გერმ. იმპერატორ ჰაინრიხ IV შორის (ვორმსის კ.). საქმე ეხებოდა ინვესტიტურას (ეპისკოპოსის, აბატის დანიშვნას). 1800 შეიკრა ნაპოლეონ I და პიუს VII შორის, 1929 — მუსოლინის და პაპს შორის, 1933 — ჰიტლერთან (პიუს IX-სთან), 1953 — ფრანკოსთან. ბოლო დროის კ-ები დარღვეულია.

კონსტანციის საეკლესიო კრება — ნ. საეკლესიო ყრილობები.

კონტრრეფორმაცია — რეაქც. მოძრაობა რეფორმაციის წინ-გ, ხელმძღვანელობდა პაპი (XVI—XVII ს.). მიზანი: რეფორმაციის მონაპოვართა დათრგუნვა, პაპის და კათოლიც. ძალაუფლ. გაძლიერება, ფეოდალიზმის ხსნა. საამისოდ მიიღეს საგანგებო ზომები: მოხდა იეზუიტთა ორდენის გაძლიერება, ინკვიზიციის გარდაქმნა (გამკაცრება), ბერთა ორდენებისა და რომის კურიის ჩაყენება კ-ის სამსახურში, ტრიდენტის საეკლ. ყრილობის მოწვევა (1545—1563), სადაც მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა: შემოიღეს მკაცრი საეკლ. ცენზურა, გამოსცეს „აკრძალულ წიგნთა ინდექსი", მიიღეს რწმენის საკითხებში პაპის შეუფალი ავტორიტეტის დოგმა. ამას უძღოდა იეზუიტთა ორდენის დაარსება (1540). ყოველგვარი გადახვევა ერესად ითვლებოდა და ისჯებოდა მთელი სისასტიკით. ბრძოლა გამოეცხადა პროტესტანტიზმს (ნ. ბართლომეს ღამე). ბრესტის უნიამ (1596) გააძლიერა კათოლიც.-ის გავრცელება დას. უკრაინაში და სხვ. ყოველივე ამან კათოლიციზმი გააძლიერა.

კონფირმაცია (ლათ. კ-მაციო, გაძლიერება, გამაგრება) — 1. კათ. ეკლ.-ში: ეპისკოპოსის მიერ 7—12 წლის ყმაწვილთა მირონცხების საიდუმლოს ჩატარება; ეს ხდება საზეიმო ვითარებაში და ასე მოგვიანებით, მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, სადაც მირონცხება ხდება ადრე, ნათლობასთან კავშირში; 2. პროტესტანტები არ ცნობენ მირონცხების საიდუმლოს.

ძათოვის ესაა სიმბოლური მიჯნა სრულწლოვანობისა და ქრისტეს სარწმუნოებასთან ზიარებისა ამ ასაკში (14—16 წლისას იღებენ რელიგ. თემობაში), რათა ჭაბუკმა შეგნებულად გაიაზროს ცერემონიალის მნიშვნელობა, „წმ. ზიდუმლო".

კონფუციანობა — ძვ. ჩინეთის სახელგანთქმული ბრძენის კონფუციუსის (კუნ-ცზის) ფილოს-ეთიკ. მოძღვრება (551—479), მთავარი იდეური მიმდინ. ძვ. ჩინეთში. ეს მოძღვრება ჩამოყალიბეს მისმა მიმდევრებმა წიგნში „ლუნ-იუი" („საუბრები და განსჯანი"), არსებ. გაბატ. კლასის ერთგვარ ფილოს. კრედოში. ადამიანის ბედს წინასწარ განსაზღვრავს ცა („ენ", ციური ნება), ის უნდა იყოს მორჩილი არსებული წესებისა და არ ეცადოს შეარყიოს მეუფება ამა ქვეყნის ძლიერთა, რ-თაც უპირისპირდება მდაბიოთა წოდება. კაცმა უნდა შეასრულოს სახ-ებრივი ქცევის ნორმები — „ლი", წესები, პატივი სცეს წინაპრებს, დაემორჩილოს უფროსებს, „ხელმწიფე იყოს ხელმწიფე, ქვეშევრდომი — ქვეშევრდომი, ძამა—ძამა, შვილი—შვილი". არაფერი არ უნდა შეიცვალოს ამ წესში., ყოობა მარადიულია. ემორჩილება ციურ ნებას. ეს დოქტრინები იღებენ ფილოს. დასაბუთებას XI—XII ს-ებში ნეოკონფუციანობაში. სიგნებში ორი საწყისია: — „ლი" გონიერი, სასარგებლო, შემოქმედებითი და ცი — პასიური მატერია, რაც -ძაცდურია. კონფუციუსი გააღმერთეს, ყველა დროში ითვლებოდა ისევე პირველ ბრძენკაცად, როგორც საბერძნეთში სოკრატე (რ-იც გაბატონებულ ოლიგარქებს და პლუტოკრატებს ებრძოდა).

კოსმოგონია (ბერძ. კოსმოს — სამყარო, გონია — დაბადება) — სამყაროში განლაგებულ ციურ სხეულთა და სისტემების წარმოშობისა და განვითარების შემსწავლელი მეცნ-ება. მისი თემაა პლანეტები, მზე, ვარსკვლავეთი, გალაქტიკები, ნისლეული, კომეტები... პირველი მეცნ. ვარაუდები გამოთქვეს ანტიკის მოაზროვნეებმა: ანაქსაგორემ, ლევკიპემ, პიპარქემ, დემოკრიტემ, ლუკრეციუსმა... . შუა საუკ-ებში მთლიანდ რელიგ. თვალსაზრისი ბატონობდა სამყაროს ღვთაებრივი წარმოშობისა, თუმცა ბრუნომ, გალილეომ და სხვა სწავლულებმა ბევრი რამ მეცნიერულად ახსნეს. რ. დეკარტემ უარყო სამყაროს წარმოშობა ღმერთის მიერ. ნიუტონმა ყურადღება შეაჩერა მნათობთა კანონზომიერ მოძრაობაზე, კანტმა კი გამოთქვა მოსაზრება კოსმიურ სხეულთა მექანიკური მიზიდულობითა და განზიდვით შექმნაზე (1755). კანტ-ლაპლასის თეორიას მოპყვა სხვა თვალსაზრისები, ჩატარდა უზარმაზარი სამუშაოები.

კოსმოლოგია (ბერძ. კოსმოს — სამყარო, მსოფლიო, ლოგოს — მოძღვრება) — მეცნიერება სამყაროზე. როგორც ერთიან, მთლიან სისტემაზე. სათავეს იღებს ბრუნოს და კოპერნიკის აღმოჩენიდან, რომ სამყარო უსაზღვრო და განუზომელია, ჩვენი დედამიწა კი ამ სამყაროებში ერთი ნამცეცია. ნიუტონმა მექანიკის კანონთა აღმოჩენით საბოლოოდ დაადგინა, რომ სამყაროებში გაბნეულ უსასრულო მატერიის მასებს მიზიდულობის კანონი აკავშირებს. ნიუტონის კლასიკ. კ-მ უარყო რელიგიური მითები სამყაროს წარმოშობასა და მოძრაობაზე. შემდეგ ამ საქმეში მთელი ეპოქა შექმნა ფარდობითობის თეორიის გამოყენებამ (აინშტაინის მოდელები, ფრიდმანის სქემა). სამყაროს განვით-ის ყოველ ეტაპს თავისი კანონზომიერება აქვს. სამყარო

ერთიანია ოიკეი‌ი მატერიალური არსით, შედგენილობით, კანონებით. კლეჯა გრძელდება, ასტრონომთა წარმატებები დიდია; კ-ს უწოდებენ აგრეთვე ძვ. ხალხთა წარმოდგენას სიმყარიზე (ეგვიპტელთა, ბერძენთა, ინდიელთა კ.).

კრეაციონიზმი (ლათ. კრეაციო — ქმნილება; შექმნათა) – ბიბლიური წარმოდგენა სამყაროს შექმნაზე, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნების შესახებ, რაც მოთხრობილია ძვ. აღთქმის წიგნში „შესაქმე". ეს გაგება მიიღო ქრისტ.-ობამაც. ავგუსტინემ ყურადღება გაამახვილა არარაობისაგან სამყაროს შექმნის იდეაზე და ამით დაასაბუთა ადამიანის წარმავლობა, რაც ამუხრუჭებდა მეცნ. აზრის განვითარებას. თვით დიდმა ლინეემ, კიუვიემ, დ'ორბინიმ მიიღეს სახეთა უცვლელობის დოგმა. მხოლოდ დარვინმა მეცნ. მონაცემებით დაამტკიცა ევოლუციის თეორია, რასაც ფიდეიზმი დღესაც უარყოფს.

კრებული — მართლმადიდ. ეკლ -ის მსახურთა ჯგუფი (მღვდელი, დიაკონი, მეფსალმუნე (მედავითნე.) რუს. პრიჩტ. შეიძლება იყოს 2-3 მღვდელიც.

კუ-კლუქს-კლანი (აღებათ ბერძ. კუკ-ლუქს, „წრე", ინგლ. კლან, „გვარი"). რასისტთა საიდუმ ტერორისტ. ორგანიზაცია აშშ-ში, შექმნა მონათმფლობელური საშხრეთის დამარცხების შემდეგ სამხრეთელ ოფიცერთა ჯგუფმა 1866, ტენესის შტატში. 1869 ფორმალურად გაუქმდა, 1915 ჯორჯიის შტატში აღადგინეს. მათი მიზანი იყო თავიდანვე თეთრკანიანთა ბატონობის შენარჩუნება ზანგებზე და მათს მფარველებთან ფარული თუ აშკარა ბრძოლა. სათავეში უდგას „საიმპერიო მოგვი", რ-იც განაგებს „უჩინარ იმპერიას". პყავს 100 000 წევრი, დაყოფილი არიან უჯრედებად, კლავერნებად, რ-თაც წინამძღოლობენ „უზენაესი კიკლოპები", და პროვინციებად, „დიდი დრაკონების" მეთაურობით. აკრძალვების მიუხედავად მთელს აშშ-ში გაურცელდა და ზანგების გარდა მთელს დემოკრ. ბანაკს ებრძვიან. იყენებენ ელექტრონიკას („ანთებული ჯვარი", ფარული აფეთქებები). მეთოდები სასტიკია. 5 წელიწადში ათასამდე დანაშაულია აღრიცხული.

კულტი რელიგიური (ლათ. კულტის — მოვლა, პატივისცემა) — ღვთისმსახურება, რელიგ. მოქმედება, რ-ის მიზანია უსენაესთან დაკავშირება. აგებულია წარმოდგენებზე ღვთაებრივისა და ადამიანურის ურთიერთობაზე. ილუზიურ-პრაქტიკ. დანიშნ-ისა იყო დასაბამიდან, ორგვარი ხასიათისა: მაგიური და საშემწყალებლო. პირველი უფრო ზებუნებრივი ძალების გამოწვევის, მათზე ზემოქმედების სიმბოლური სახეა (ჯადოქრობა, შაშანობა, მისნობა). მეორე კი გულისხმობს სულის ან ღმერთის წყალობის, სიბრალულის, მადლის მოპოვების ჯგუფურ ან პიროვნულ ცდას და ხდება მარტივი ან რთული სახით. მარტივია პირჯვრის წერა, შუხლის მოყრა, თავის დაკრა, სანთლის ანთება, ხელების გულზე დაწყობა... რთულია მსხვერპლის შეწირვის ცერემონიალი, ქადაგება, წესების სისტემა. წირვა, ღვთისმსახურება, ლიტანია, წარმართული საკულტო ცერემონიები (ძვ. საბერძნეთში, რომში და სხვ.).

კულტი წმინდანთა — ნ. წმინდანთა კულტი.

კულტურკამფი (გერმ. კულტურისათვის ბრძოლა) — საკ. ბისმარკის მიერ 1872—80 წლებში კათოლიციზმის წინ-გ გატარებ. ღონისძიებები. კა-

თოლ. ცენტრი ხელს უშლიდა გერმანიის გაერთიანებას, ეხმარებოდა სამთავროებს, პრუსიის საწინ-გი მოძრაობას. ბისმარკმა გადაჭრით გაილაშქრა, განდევნა ქვეყნიდან იეზუიტები, აკრძალა პოლიტ. აგიტაცია სამღვდელოებისა, მათი ზედამხედველობა სკოლებზე, უფლებები ჩამოართვა და საეროებს გადასცა, შეზღუდა ვატიკანის ზეგავლენა. შემოიღო საქოქ. ქორწინება. სამღვდელოებამ სასტიკი წინ-ობა გაუწია, რეპრესიებმა შედეგი ვერ გამოიღო და მოხდა შერიგება (ბისმარკმა არ შეცვალა მხოლოდ კანონები იეზუიტების წინ-გ და საქოქ. ქორწინება). ყველაფ. ტარდებოდა კულტ. ბრძოლის ნიშნით, როგორც უმართებულოდ განსაზღვრა ვირხოვმა. ბისმარკის პრუსიულ გეზს წინ აღუდგა ანტიპრუსიული დაჯგუფებაც და რეაქ. კათოლ. ძალებთან ბრძოლაც უშედეგოდ დასრულდა. ლენინის განსაზღვრით, ბისმარკმა „მხოლოდ ზიანი მიაყენა ნაშდვილ კულტურას, რადგან წინა პლანზე დააყენა რელიგ. დაყოფა პოლიტიკურის ნაცვლად", მოადუნა რევ. ბრძოლა. კლერიკალიზმის წინ-გ მიმართულ ამ თავისებურ ომში ბისმარკმა 1872 წ. პიუს IX-ის მისამართით თქვა: „ჩვენ კანოსაში არ წავალთ!" (გაიხსენა თავს დატეხილი წუეველის მოხსნის მიზნით იმპერატორ პაინრიხ IV-ის დამამცირებელი ჩასვლა კანოსაში, გრიგოლ VII-ის წყალობის სათხოვნელად).

** კუმრანის ხელნაწერები** — პირობითი სახელწოდება ბიბლიური ხელნაწერებისა, რ-ებიც აღმოაჩინეს მკვდარი ზღვის სანაპიროზე, ვადი-კუმრანის და სხვა მღვიმეებში (1947 წლიდან), სულ აღმოჩენილია 40 ათასამდე მცირე და დიდი ხელნაწერი ძვ. ებრ. და არამ. ენებზე. 600 წიგნიდან შემორჩა 11. ნაწილობრივ გამოცემული ეს ტექსტები იძლევიან ძვირფას მასალებს ბიბლიის წიგნთა ვერსიების, იუდაიზმისა და ქრისტ-ის ურთიერთობის, ძალადობასთან ხალხის ბრძოლისა და ვინმე „მართლმორწმუნე მასწავლებლის" წინააღმდეგ ულირსი ქურუმის ბრძოლის შესახებ, რაც მესიის მოელინების წინარე ვერსიას ქმნის და ა. შ. გარჩეული აქვს ზ. კოსიდოვსკის „ბიბლიურ თქმულებებში".

კურთხევა, ხელდასხმა (ბერძ ქიროტონია, „ხელის ძალით მოქმედება")— მღვდლის, ეპისკოპოსის ან დიაკვნის ამაღლება საღვდელო ხარისხში ხელის დასხმით (დადებით): ცერემონიალის დროს არქიელი ხელს დაადებს თავზე მას, ვინც უნდა აკურთხოს, ამით გადასცემს უფლის მადლს. სახარებისმიერი ბაპტისტები აკურთხებენ პრესვიტერად ხელდასხმის დროს.

კურთხევანი — ნ. ღვთისმსახურების წიგნები.

კეთილი და მაკნე — ნ. მაკნე და კეთილი.

ლ

ლავრა (ბერძ.) — ბერთა დიდი მონასტერი. მართლმადიდ. ეკლ-ს რუსეთში ჰქონდა მამათა 4 ლ.: კიევ-პეჩორის (1688), ტროიც-სერგიევის (1744), ალექსანდრე ნეველის (1797), პოჩაევ-უსპენსკის (1833 წ-დან). ტროიც-სერგიევის ლ-ში არის სრ. რუს. პატრიარქის რეზიდენცია, მოსკ. სასულ. აკადემია. საქ-ში იყო დავით-გარეჯის ლ., დაარსებული დავით გარეჯელის მიერ VI ს-ში.

ლალჩა (სვ.) — მარჩხა ლილნე—მარჩხულობა.

ლამა (ტიბეტ. უსენაესი, ციური) — მონღოლთა, ტიბეტელთა, ბურიატების, ტუვის ბუდისტი ბერი, ბუდას წარმომადგენელი დედამიწაზე, განუხრელი უფლებით აღჭურვილი, გაბატ. კლასის დამცველი. ახლა ლ-ების რიცხვი მცირეა.

ლამაიზმი (ტიბეტურიდან) — ბუდიზმის ერთ-ერთი ძირითა მიმართ., არსებობს VII—XIV ს-ებიდან, შამანობისა და ტანტრიზმის ნაერთი, იყოფა სექტებად, ჰყავს მიმდევრები მონღოლეთში, ბურიატეთში. იღებს ბუდიზმის ყველა დოგმას, ემატება მხოლოდ მოძღვრება ლამაზე, ეროვნულიოდაც ხსნას (ნირვანას) მორწმუნე ვერ ეღირსება მათი მოძღვრების წიგნი 108 ტომს შეადგენს. ლამას უდრტკინველად უნდა დ ემორჩილოს ყველა. ასევე — საერო მბრძანებელს. რუსეთის მეფეებიც ბურიატები თვლიდნენ ქალღმერთის ავატარად (განსახიერებად). 10 ეაპ ოდენად თელიან მკელელობას, ქურდობას, „ეუღმართ კაეშირს", სიცრუეს, ცილისწამებას, აეეიოობას, ლაყბობას, სიხარბეს, დეპრესიანობას, „ცრუ წარმოდგენას". მაგრამ მეუეს მკელელობა ოდენად ორ ეთელება და ა. შ. ამჟამად ბურიატებშიც არის ლ-იზმის ცენტრი. ასრულებს რეაქც. როლს.

ლამპრობა (სვ.) — რელიგ. ცერემონიალი „ადგომ ღღეს", ზამთარში. მთელი სოფელი გამოდის მოგზაგზე ეინეღილებით, რ-თაც წინასწარ თავს უჩენ-ქვავენ და სხეენსე ახმობენ. გარკვეულ ადგილას, მაღლობზე თოელში დაასობენ, და იმართება ლოცვა, მცირე პურობა, ჭიდაობა, ხუმრობა, შეძახილი „ამ ლამპრებივით დაიწვას სოფლის ქურდი, ავისმქნელი! კარგი კაცი ძაღლა იყოს!" ამას მოსდევს ღამისთევა, პურობა მორიგე ოჯახში. უდიდესია ჯგირაგის ლამპარი. უფროსი კაცი, მახვში საჩჯერ შეშოეულის ამ ლამპრით ჯგირაგის ტაძარს, ცეცხლს, მერე ეეკეხლში ისვრიან და წეველიან მავნეს. ცერემონიალს აქვს წარმართული ელემენტები.

ლამპრობას (სვ. ლილუმპარი) ჰქონდა სხეა დანიშნულებაც: ეს იყო თაეისებური სიგნალი: როცა სვანეთის სოფლები დროებით ქაშგებმა დაიძირნილეს, ლაბსყალდეში რელიგიური დღესასწაულის საბაბით აანთეს კანაფის ლამპრები, ამით უხმეს მეზობელ სოფლებს და მოძალადეები განდევნეს. ლაბსყალდის („ლაბას ყანის") ლამპრების შუქი ჩანს ბეჩოს, ფარის, ეცრის, ლახამულის, თავრალის ეკლესიებიდან. ქაშგის ჯარის წყეტა დაიწყო ლაბსყალდის მთავარანგელოზის ეკლესიასთან. მტერი გაიქცა („ლიჩეღერალ" გაქცეეა).

ლატერანი (ამ ადგილის ძვ. მფლობელის გვარიდან) — რომის პაპების ტ. რეზიდენცია XIV ს-მდე. აშენდა ნერონის დროს, მერე კონსტანტინე დიდის მეუღლემ ფაუსტამ აჩუქა პაპს (იმ დროისა მხოლოდ ბაპტისტერიუმი შემორჩა) და 1308 წლამდე პაპის სასახლე იყო. მისი ბაზილიკა სან ჯიოვანი ინ ლატერანი (იოანეს ტაძარი) მთელს საქრისტიანოში უმაღლესი რანგის საკლე

ნაში, საგანგებო დაეალებით, ვატიკანის წარმომადგენელი.

ლევიტი — ძვ. იუდეველთა ტაძრის მსახური, დაბალი რანგისა, ლევის გვარის შთამომავალი. ძვ. აღთქმაში მთელი განყოფილებაა „ლევიტელთა".

ლიმოდური — ხსნილის აღება, სვანური სახელწოდება რელიგ. დღესასწ-ისა, ნ. ლიხდუში.

ლიტურგია (ბერძ. ღვთისმსახურება) — რელიგ. კულტის შემადგენელი ნაწილი, ქრისტ. რელ-ის მთავარი საკულტო ცერემონიალი, რ-ის მიზანია მორწმუნეებში უფლისადმი უშუალო სიახლოვის განცდის აღძვრა, ზებუნებრ. ძალასთან კავშირის ილუზიის შექმნა, რწმენის გაღვივება (ლოცვა, გალობა, ქუდის მოხდა, ნაკურთხი წყლის მოსხურება, სანთლის მიძღვნა, წმ. საგნების კოცნა, საზეიმო მსვლელობა ტაძრის ან საკურთხევლის გარშემო, წმ. წერილის კითხვა...). ამ წესების შესრ. დროს ემოციური ზემოქ. გზით წარმოჩინდება რელიგიის ესა თუ ის ასპექტი, ხდება ზიარების მიღება, ქადაგება. გადმოცემით, პირველი ლ. თვით იესომ შეასრულა საიდუმლო სერობაზე, მერე მისმა მოციქულებმა იაკობმა და მარკოზმა დააწესეს. ტაძრებში ლ. თითქოს მასებს აახლოებს ღმერთთან. უკავშირდება ეროვნულ ხასიათს, რითაც უფრო მტკიცდება რელიგ. და ეროვნულის იგივეობა: ჟამისწირვა.

ლიტურგია (ბერძ. „საერთო მსახურება") — პურის ტეხვა, ევქარისტია, ზიარების წმ. საიდუმლო, რ-იც შეიწირება მთელი ერისათვის, ცოცხალთა და მიცვალებულთა სახელებზე. სამნაწილიანია: კვეთა (მასალის მზადება), კათაკმეველთა (ნ.) და მართალთა ლ. (საქმე მოციქულთა III, 25; „ნათესავისა შენისა მიმართ იკურთხეოდიან ყოველნი ტომნი ქუეყანისანი").

ლიტურგიკა (ბერძ. ლეიტოს — საზოგადოებრივი, ერგონ — საქმე; სულ სხვაა ლითურგია, „ქების დამუშავება") — ღვთისმეტყველების დარგი, ისწავლება სასულ. სასწავლებლებში, როგორც ღვთისმსახურების პრაქტიკული დისციპლინა. შეისწავლის ღვთისმსახურებას ზოგადად და მისი ჩატარების წესებს, მის აუცილებლობას, როგორც ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის მთავარ საშუალებას (კათოლ. და მართლმად. ეკლ-ებში), აგრეთვე მის თეორიას, ჩასახვა-განვითარებას (7 საიდუმლო, გალობა, ლოცვა-კურთხევა...).

ლიფანალი (სვ.) — მიცვალებულის კულტთან დაკავშ. წესი, მისტიკური ცერემონიები, განსაკ. ძველი ფორმით დაცულია სვანეთში (ნაწილობრივ წარმართული ხასიათისა). იწყება ჩვეულებრივ 5 იანვარს („ადგომს"), დგამენ „ტაბაგს", ახვავებენ საჭმელს, რაც გააჩნიათ, ანთებენ სანთლებს, დგებიან ან დაიჩოქებენ ძირს, მეტ-ნაკლები ხნით დუმილია, მერე იწყებენ ლოცვას, წაქცევას, სიუხვისა და სიმრავლის, „კეთილი ფეხის დატოვების" თხოვნას და ა. შ. ეს გრძელდებოდა დღეობით, ჩვეულებრივ, ღამით. დარჩენილია მატერ. ძეგლები ამ ცერემონიისა, რაც შორ. წარსულის გადმონაშთია, გამოსახულებების სახით (შესაწირავი ხარის გამოსახულება და სხვ.).

ლიხდუში (სვ.) — აღაბის მომდევნო კვირა სვანეთში, დღისით შესასრ. რელ. წვეულება, ცეკვა-თამაში, სიმღერა, ლოცვა, „ლეღვიშ აღაბ" (ხორცის აღაპი, ხსნილი), ასეთი თანმიმდევრობით: უღვლაშობა, ლალჩა (მარხვა), აღაბი, უკანა აღაბი (ღეშგმე აღაბ), გესმანდობი, სპირიტული რიტუალი ხორცით (ლიფანე), ერთი კვირით ყველის ჭამა შეიძლება, შემდეგ იწყება 40-დღია-

ნი მარხეა. ძველეენო ცერემონიალები: აღსარება, ლოცვა, ზიარება, ხსნილის მიღება, ლითოდური... ნახევრად წარმართ. წესებით, სმით.

ლოგოსი (ბერძ. სიტყვა; აზრი; გონება; კანონი) — სამყაროს საწყისი, საყოველთაო კანონი, დასაბამი: ანტ. ფილოს-ის ტერმინი, განსჯის და დაეის საგანი შუა საუკ-ებში. პერაკლიტე ეფესოელს მიაჩნდა სამყაროს გონიერ საწყისად (შეად. „ფაუსტი": პირველად იყო სიტყვა; საქმე; გონება...). არისტოტელეს აზრით — „ცნება", შინაგანი და გამოთქმული (აზრი). სტოიკოსების გაგებით, ლ. ყოველ საგანშია და ხელს უწყობს მათ განვითარებას; ფილოსოფოს-გნოსტიკოსთა განმარტებით ესაა „უფლის სიბრძნე", „ძე ღმერთი", „უფლის ხმა და სიბრძნე", მოვლენილი „ხილულ ქვეყანაზე", რათა აუხსნას ადამიანებს სამყაროს წყობა და ასწავლოს ცხოვრება (ყველაზე ნათლად ეს ასახულია იოანეს სახარებაში). „ეკლესიის მამათა" შრომებში ეს გაგებაა გავრცობილი, სქოლასტიკოსებმა კი სცადეს მათი პატრისტიკული შრომებისა და არისტოტელეს გაგების შეთანხმება. ქრისტ-ობამ მაინც უფრო მიიღო ფილონ ალექსანდრიელის გაგება: რომ სიტყვა, ლოგოსი, ესაა შემოქმედი ციური ძალა, ღმერთისა და ადამიანის შუამავალი. გაგება იდეალისტ-ა.

ლოიოლა, იგნატი (1491—1556) — ბასკი, ესპ. დიდებული, მშობელთა მეცამეტე შვილი, „პრინცის სისხლისა", შეუპოვარი ფანატიკოსი, იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი. ორივე ფეხი ბრძოლაში მოიტეხა, დაკოჭლდა, ფარხმალი ღვთისმშობლის სურათის ქვეშ დაკიდა, იერუსალიმი მოიარა, პაპის ერთგულმა შეკრა იეზუიტთა მრისხანე ორდენი, ყურმოჭრილ ყმათა მთელი არმია, რ-ის რიცხვი დღესაც კი 40 ათასამდეა. წმინდანად შერაცხეს 1622 წ.

ლოლარდები (პოლ. ლოლლენ — ტიტინი, ინგ. ლოლლარდ — მოდუდუნე) — „ღატაკი მღვდელები", ანტიკათოლ. ერეტიკოსთა სექტა ინგლ-ში XIV—XV ს-ებში, ჯ. უიკლიფის მეთაურობით. ებრძოდნენ კათოლ. ეკლესიას, მეშამულეებს, სიმდიდრეს. „როცა ადამი ხნავდა, ევა კი რთავდა, მაშინ ვინღა იყო ბატონი?" — ასე აღვივებდნენ გლეხთა მოძრაობის ნაპერწკალს. უოტ ტაილერის თანამებრძოლი ლოლარდი ჯონ ბოლი სიკვდილით დასაჯეს.

ლოცვა — „უბნობა კაცისა ღმერთთან", მორწმუნეთა ვედრება უფლისადმი, ან მღვდელმსახურისა ზებუნებრ. ძალისადმი, რომ მოიღოს მოწყალება, აარიდოს ბოროტი და ა. შ. ესაა იგ. ჯადოქრობა, მაგია სიტყვისა, რ-საც თითქოს მისტ. ძალა ჰქონდეს, და რაც მორეული წინაპრებს სწამდათ. შინაარსი: სადიდებელი, საევედრებელი, სამადლობელი, პირადი და საზოგადო. პირადი: დილის, საღამოს (მწუხრის), საქმის დაწყების, გზად გასელის წინ. ყოველი რელიგიის განუყოფ. ნაწილია.

ლოცვა-სიშმაგე, სექტანტებისა — ზოგი სექტის (ხლისტების და სხვ.) ისეთი ლოცვა-ვედრება, როცა მორწმუნე დარბის, ივრიხება, ბრუნაეს, „სულიერი როკვით" სიგიჟემდე მიდის, ხდება ნერვული სისტემის მოშლა და თავის ტვინის ზოგი ცენტრის გადაქანცვა, რის გამოც „მლოცველი" კარგავს წონასწორობას, სინაზდვილის გრძნობას, იწყებს „უცხოდმეტყველებას", რასაც მორწმუნენი „უფალთან მეტყველებად" თვლიან. დამღუპველია ფსიქიკისათვის. ამ ფანატიკურ მოქმედებას, თვითგვემას რუსულად „რადენიეს" უწოდებენ.

ლუთერანობა — პროტესტანტიზმის ერთი მთავარი მიმდინარეობა, ჩასახული და გაერცელ. გერმანიაში რეფორმაციის ჟამს (გავრცელდა სკანდინავიაში, ჩრდ. ამერიკაში, ბალტიისპირეთში). მამამთავარია ვიტენბერგელი ბერი, ღრმად განსწავლული ღვთისმეტყველი, მგზნებარე მქადაგებელი და ორატორი, მწერალი (გერმ. პროზის შემქმნელთაგანი), ბიბლიის მთარგმნელი და დიდი რეფორმატორი მარტინ ლუთერი (1483—1546). 1517 წ. მან გამოაქვეყნა 95 თეზისი — კათოლ. ეკლესიისა, ინდულგენციებით ვაჭრობისა, პაპის წინააღმდეგ. პაპის ბულა განკვეთისა საჯაროდ ისროლა ცეცხლში და ბრძოლა გამოუცხადა რომის ბატონობას საქრისტიანოში. მხარს უჭერდნენ გერმანელი მთავრები, მფარველობდნენ და თავშესაფარს აძლევდნენ პაპის მომხრეთაგან დევნის დროს. ძან წამოაყენა თეზისი „რწმენით გამართლებისა", ეკლესიის გარეშე, პირადი სიწმინდით და არა „კეთილი საქმეებით". ჭეშმარიტების წყაროდ თვლიდა მხოლოდ საღმრთო წერილს, ბიბლიას, აგრეთვე „აუგსბურგის სარწმუნოებას" და „აპოლოგიას" („თანხმობის წიგნს"), რ-იც დაწერა მისმა თანამებრძოლმა მელანქთონმა, „დიდ და მცირე კატეხიზისს"... უარყო კათოლ. ეკლ-ის ფუფუნება, ღვთისმსახურება გაამარტივა; 7 საიდუმლოდან დატოვა მხოლოდ ნათლობა და ზიარება, ოღონდ პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სხეულად კი არ ჩათვალა, ზიარების დროს ქრისტეს სისხლი და ხორცი იდუმალ ჩნდებაო საზიარებელ სითხეში. ქორწინება საიდუმლოდ აღარ ითვლება, ამიტომ შეიძლება განქორწინება და მეორე ქალის შერთვა. პასტორს თემობა ნიშნავს, მაგრამ ვერ მოხსნის. თემობა ემორჩილება ეპისკოპოსს და სასულ. საბჭოს, რ-საც ირჩევენ სასულიერონი და საერონი. სარწ-ების წყაროდ ითვლება მხოლოდ ბიბლია, სახარება (ლუთერ. სახარებისეული სარწმ.). ადამიანი ცოდვილია და მხოლოდ ღმერთზეა დამოკიდ. მისი არსება, მაგრამ განიწმინდება პირადი მოქმედებით და არა ციური მადლით. ლ-ული ეკლესია ითვლის 75 000 მორწმუნეს.

ლურდი — პატარა ქალაქი საფრანგეთში, კათოლიკეთა მიმლოცველობის დიდი ცენტრი, შემოსავლის წყარო: მტკიცე ტრადიციით, აქ 1858 წ. 14 წლის ბერნარდინას გამოეცხადა ღვთისმშობელი, ამიტომ ითვლება წმ. ადგილად და შეთხზულია მრავალი ლეგენდა, მათ შორის პრაქტ. თვალსაზრისით ძლიერ შედეგიანი გამოდგა თქმულება ღვთისმშობლის მადლით ერთ-ერთ კლდეში სამკურნალო წყაროს გაჩენის შესახებ. ყოველი მხრიდან აწყდებიან სნეულნი და ხვიბარნი ამ წყაროს და დიდ შემოსავალს ეძატება დიდი პროპაგანდა რელ. ხასიათისა.

„ლურჯი ჯვარი" — პროტესტ. სას-ბა, შეიქმნა ბაპტისტური მსგავსად შვეიც-ში 1977, გავრცელდა გერმ-ში და რუსეთში, სადაც დიდი სამამულო ომის შემდეგ შეუერთდა სახარებისეულ ქრისტ. ბაპტისტებს. ქადაგებენ „ნამდვილ ქრისტიანობას", ალკოჰოლთან ბრძოლას, ცეკვა-სიმღერას და სხვ.

ლუციფერი (ლათ. ლუციფერ: ლუქს, ლუციის — შუქი, ფერრე — ტარება: სხივოსანი) — სატანა, ეშმაკი (ბაბილონის მეფე შედარებულია ცისკრის ვარსკვლავთან, ლ-თან, რაც თარგმანია ბერძ. სიტყვისა ფოსფოროს). ის. 14,12. ნ. დანტეს ჯოჯოხეთი.

„მა“ — ტანტრიზმის სათაყვანო 5 რამ (ინდუისტ. რელ.): ღვინო (მადია), ხორცი (მანსა), თევზი (მატსა), ხორბალი (მუდრა), სქესობრივი კავშირი (მაიტხუნა).

მაგები — მოგვები (ძვ. სპ. მაგუს), ძვ. ირანის (ზოროასტრიზმის) ქურუმები (ძვ. წ. VI—IV ს-ებში, მთელი ტომი), რ-ნიც ქალდეველთა მსგავსად ეწეოდნენ მკითხაობას, წინასწარმეტყველებას, ვარსკვლავთმრიცხველობას, ამიტომ შემდეგ სიტყვა განზოგადდა, ყველა ბრძენსა და ასტროლოგს მოგვი ეწოდა.

მაგია — ჯადოქრობა, მიღმაქვეყნიურ არსებებთან კავშირის დაჭერა ზემოქმედების, გამოყენების მიზნით, ან ძალის გამოყენება ცხოველთა თუ ადამიანთა მიმართ. პრაქტ. ცხოვრებაში ასეთ სახეებად ყოფენ: სამკურნალო მაგია (ხალხ. მედიც.), მავნე (საქონლის ან მოსაელის წახდენა), სამონადირო (ნადირთა მოჯადოება-მონადირება), სქესობრივი (ქალის დამორჩილების მ-ური საშუალება) და სხვ. მაგები, მოგვები, ეს ჩვეულებრივი მკითხავ-ექიმ-ბაშები, „წვიმის მომყვანნი“, კუდიანები და სხვ. „სპეციალისტები“, უფრო დახვეწილ საზოგადოებაში იცვლებოდნენ ქურუმებად, რ-ნიც მ-ურ ცერემონიებს, წესებს ასრულებდნენ. ყველა სახეობა დაკავშ-ა ცრუმორწმ-თან.

მადლი — (ბერძ. ხარისმა, ლათ. გრაცია, რუს ბლაგოდატ) — რაღაც ზებუნებრ. წყალობა, კეთილი ძალა, რასაც თითქოს ღმერთი უგზავნის ადამიანს, რათა მისი ცოდვილი ბუნება განწმინდოს და ხსნის გზა უჩვენოს, უბოძოს სიკეთე, რითაც ადამიანი ასიამოვნებს და იხსნის მოყვასს (მადლი ქნი და მარილიც მოაყარეო). დას.ეკლესია მადლს თვლის სულის ხსნის ერთადერთ გზად, მართლმადიდ. ეკლ. კი დიდ მნიშვნელობას აძლევს ნებისყოფის თავისუფ-საც. პროტესტანტები შესაძლებლად თვლიან მ-ის უშუალოდ მიღებას. ცნება დაამუშავა V ს-ში ნეტარმა ავგუსტინემ და ეკლესიამ ის მიიღო, ადამიანის ნებისყოფის გარკვეული როლის აღიარებით. კლავს ინიციატივას.

ქრისტ. გაგებით, „მადლი ღვთისა აღარ ტოვებს ადამიანს. ის იმისათვის ეძლევა ადამიანს, რომ მთელს სიცოცხლეში ეწეოდეს სიკეთის გზაზე — მაშინაც კი, როცა სცოდავს, მადლი სულიწმიდისა მასში შეუჯარვით აკრძალებს არსებობას... თუ შესცოდა, მაშინაც არსებობს სინანული, მეორედ დაბადება კაცისა სინანულის ცრემლით. ამიტომ უწოდებენ სინანულს წმიდა მამანი მეორე ნათლისღებას“ (ზოსიმე შიოშვილი).

მადლი ხშირად პირადული სარგებლობის სურვილითაა ნაკარნახევი. ერთი ქალი ტრედებს პურს უფშვნიდა. როცა ეკითხეთ, რისთვის აკეთებდა ამას, დაუფიქრებლად გვიპასუხა: იქნებ მადლი მოისხას, ბედი გაეხსნასო.

მავნე (სული) და **ქმედილი** (ძალა) — ეთიკური ცნებები, რ-ნიც გამოხატავენ ცალკე პირის ან ჯგუფის, საზოგადოების დადებით ან უარყოფით მოქმედებას, მოვლენების შეფასების ჩვენეულ კრიტერიუმს. ყოველი რელიგია სიკეთის განსახიერებად რაცხს კეთილ, მოწყალე ღმერთს, ბოროტისად — ეშმაკს, სატანას. მორალური საქციელის კეთილსა თუ ბოროტ გაგებას, სხვადა-

სხვა ეპოქაში და საზ-ბაში სხვადასხვა სარწმუნო და ახსნა აქვს. პირველყოფ. საზ-ში კეთილი იყო ის, რაც ტომს ხელს უწყობდა საკვების მოპოვებაში, ბოროტი — რაც ეღობებოდა. ორივე ცნება ზოგადია. შეიძლება ეროვნისთვის კეთილი მეორისთვის ბოროტი იყოს. მაგ., ჩვენთვის სიკეთეა საზ-სათვის სასარგებლო მოქმედება, შრომა, სამართლიანი საზ-სათვის ბრძოლა, ხალხისათვის ზრუნვა, ბოროტებაა ომი, ძალადობა, ეროვნული ჩაგვრა, ტაცება, მომხვეჭელობა, მეკრთამეობა, ქურდობა, მკვლელობა. რელიგია ცდილობს ახსნას ბოროტების სათავე, ცოდვის მემკვიდრეობით გადასვლის საკითხი, რაც საბოლოოდ გარკვეულ პასუხს ვერ პოულობს. ადამი იყო კეთილი, უფლის ქმნილება, მაგრამ მის დაცემას მოაყვა ცოდვილ ადამიანთა მოსვლა, სისხლისღვრა, ბოროტება, სიკეთისა და სიავის ჭიდილი.

ბოროტებაზე, მის წარმოშობაზე არსებ. რელიგ. წარმოდგენას საერთო არაფერი აქვს მეცნ-თან: ჩვენი თვალსაზრისით, ბოროტება მდგომარეობს არა ნებისყოფის სრულ თავისუფლებაში და მის დამახინჯებულ გამოვლინებაში, არამედ საზ. ცხოვრების სახეობაში, კლასთა და ჯგუფთა მოქმედებაში, ჩაგვრის რეჟიმში, რაც შობს ბოროტებას. ცხადია, ესაა ზოგადი სოციალური ხასიათის დავა, პოლიტ. სარწმუნოების ძიება. ჩვეულებრივ მეტაფიზიკაში და ლიტ-ში ძირითადად საქმე გვაქვს ბოროტებისა და სიკეთის ცალკეულ გამოვლინებებთან, მოქმედების ფენომენთან, რაც მუდამ კონკრეტულია და არა.აბსტრაქტული. სიკეთისა და ბოროტების მარად. პრინციპი ყოველ დროში თავისებურია და მაინც აქვს საერთო. ქველმოქმედება, სხვისთვის თავდადება, სამშობლოს დაცვა, დედის სიყვარული, თავისუფლებისათვის ბრძოლა სიკეთეა ყოველ დროში (ცხადია, არა დამპყრობელთა და მოძალადეთა თავისუფლებისათვის ბრძოლა!), ხოლო ძალადობა, ღალატი, უმადურობა — ბოროტება.

მარქსიზმი არ ლაპარაკობს ზოგადად, მეტაფიზიკურად, თუ რაა სიკეთე და რა ბოროტება, არამედ ასე: „სიკეთე — ვისთვის?" „ბოროტება — ვისთვის?" იტყვიან: კაპიტალიზმი გუშინ სიკეთე იყო (შედარებით ფეოდალიზმთან), დღეს კი იქცა ბოროტებად (ასე — მისი მომდევნო სისტემაც). პოლიტ. ვითარების გარეშე კი — სიკეთეა ადამიანურობა, ბოროტება — არაკაცობა. პარადიულია რუსთაველისეული გაგება: ბოროტსა სძლია კეთილმან — არსება მისი გრძელია! იხ. მანიქეველობა.

მანე სული — იხ. ეშმაკი (იგ ავსული, კუდიანი, ჯადოქარი, უწმინდური).

მათეობა — ზამთრის რელ. დღესასწ. თუშეთში (5 იანვ.). გვარებად მიდიან ნათესავთან, აძწყალობებენ, ლხინობენ, აწყობენ გამოხდომას, მტერთან ბრძოლის, სროლის, „ტყვეობის" ინსცენირებას. მათე — ერთ-ერთი სახარების ავტორი, გადმოცემით მოციქულ პავლეს მიწაფე.

„მაიმუნის პროცესი" — ამერიკაში სკოლის მასწავლებლის ჯ. სკოპსის წინ-გ აღძრული სასამართლო დევნის (დაჯარიმების) ფაქტი, რაც შემდეგაც განმეორდა: სკოპსი ასწავლიდა დარვინიზმს, რაც ზოგ შტატში აკრძალება — მაიმუნისაგან ადამიანის გაჩენის იდეისათვის. პროცესზე დასვეს მაიმუნიც და ამან გამოიწვია სენსაციური გამოხმაურება.

მალაკნები (რუს. მოლოკანე) — სულიერ ქრისტიანთა სექტა (მეორეა დუხობორების სექტა), შეიქმნა XVIII ს-ში სემიონ უალეინის მეთაურობით და ერთ დროს მილიონამდე წევრს ითვლიდა. ეს იყო პროტესტი მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, აქედან კულტის გამარტივება (სასულიერო სიმღერების გალობა უბრალო სამღოცველოებში; მართლმადიდებლობის წესების, სამღვდელოების, ხატ-ჯვრის, მარხვის, წმ. ნაწილთა, ღმერთის ანთროპომორფული სახის, წყლით კურთხევის უარყოფა; ქრისტეს აღდგომის გაგება სიმბოლურად — როგორც მისი მოძღვრების აღდგომა, და სხვ.). ძირითადად ეს იყო ღარიბი გლეხობა და წვრილი მოვაჭრეები. სექტის სახელწოდებაზე აზრთა ერთიანობა არაა: უკავშირებენ მდინარე მოლოჩნაიას, სადაც მათი უმეტესობა სახლობდა, მარხვის დროს რძის სმის წესს, სიმცირეს, სექტის მოძღვრებას — „სულიერ რძეს". ნათლობას თვლიან მოძღვრების აღქმად, ზიარებას — „უფლის სიტყვის" შთაგონებად, მორწმუნეთა მიზნად — სულიერ აღორძინებას, მორწმუნეთა სულს — უფლის სავანედ. მორწმუნეს შეუძლია უშუალოდ მიმართოს ღმერთს, ამიტომ მღვდელი და ბერი ზედმეტია. თემს წინამძღოლობს არჩეული მოხუცი პრესვიტერი. მორწმუნეს შეუძლია განავითაროს კეთილი ძალა, რაც ადამიანში არის, ამიტომ უარყოფენ გარყვნილებას, თამბაქოს წევას, ლოთობას, ბილწსიტყვაობას. „კეთილი საქმის" ეთიკა ხელს უწყობდა ხელოსანთა აქტიურობას, საქმიანობას. ღმერთი ამას ისედაც ხედავს, ამიტომ ზედმეტია შუამავალი (მღვდელი, ბერ-მონაზონი) ღმერთსა და ადამიანს შორის (ასევე ქადაგებენ დუხობორები — მომმე სექტანტები). რწმენის ერთადერთი წყაროა ბიბლია. ბევრი რამით პგვანან პროტესტანტებს. მეფის რეჟიმი დევნიდა, ამიტომ დასახლდნენ ციმბირში, ყირიმის მიდამოებში, კავკასიაში (არიან საქ-ში). რიცხვი მცირდება.

მამონა (არამ. „საუნჯე") — ძვ. სირიელთა სიმდიდრის ღმერთი, ერთ დროს ებრაელებიც სცემდნენ თაყვანს, შემდეგ ეს მავნე ერესად ჩაითვალა. ქრისტ-ბამაც სისტიკი ბრძოლა გამოუცხადა, როგორც მაცდურს, სიმდიდრისა და მომხვეჭელობის მფარველს (სახარებაში); ანგარების სინონიმია.

მანიქეველობა (ლეგენდ. დამფუძნებლის — მანის (216—276), მანექის სახელიდან) — ზოროასტრიზმისა და ქრისტიანობის ერთიანობის ნიადაგზე შექმნილი რელიგია (III ს.), რ-იც ფართოდ გავრცელდა, სპარსეთიდან ჩინეთამდე. მანი — მქადაგებელი ზეცის მოელენილად ითვლებოდა, მანვე გადმოიღო ქრისტ. მესიანიზმის იდეა, საფუძ. კი გახდა ზოროასტრიზმის დუალიზმი: სამყაროს ორი საწყისი აქვს, სიკეთე და ბოროტება, სინათლე და წყვდიადი, პირველის მეუფეა ღმერთი, მეორის — სატანა, ეშმაკი. მათი ბრძოლა დასრულდება პირველი კატასტროფით: ბოროტება (მატერია) დაიღუპება, სიკეთე (სული) განთავისუფლდება. ეს იქადაგა მანექმა შაპურ I-ის გამეფებისას, ზოროასტრის ქურუმები მტრულად შეხვდნენ, ხოლო ახალმა შაპმა ბაჰრამ I-მა მანი დილეგში ჩაგდო, 277 (თუ 276) კი სიკვდილით დასჯა. წყვდიადის ძალად ცხადდებოდა მსაგვრელთა კლასი, ამდენად ეს იყო მებრძოლი, თუმცა მქადაგებლური, პასიური სარწმუნოება, რაც ქრისტ-ბამ ერესად გამოაცხადა. ბრძოლა გაგრძელდა V ს. შუახანებამდე, შემდეგ ღარჩა დევნილი ერესების სახით. ადამიანი ეხმარება კეთილს, თუმცა გაორებულია.

მანონიტები — არაა სწორი, ნ. მენონიტები

მართლმადიდებელთა დღესასწაულები — საერთო ქრისტიანულიდან განსაკუთრებული საზეიმო — საკულტო ხასიათით გამოყოფილი დღესასწაულები, მათგან მთავარია ათორმეტი დღესასწ. (ნ.), დაკავშ. ძირითადად წინაქრისტ. (წარმართულ ან იუდეველთა) დღესასწაულებთან, რ-თაც სიმბოლური მნიშვნელობა პქონდათ (ნათლობა — წყლით განბანვის მაგიური წესიდან, ბზობა — ძვ. ებრაული წესიდან, რომ სამლოცველოში მოპქონდათ ნაყოფიერების სიმბოლო—პალმის რტოები, რაც ჩრდ-ში ბზამ შეცვალა და სხვ.). (იხ. შობა, სამება, ნათლობა, მირქმა, ხარება, ბზობა, ამაღლება, ფერიცვალება, მიძინება, შობა ღვთისმშობლისა, ტაძრად მიყვანება, გიორგობა, ილიაობა, პეტრეპავლობა, იოანე ნათლისმცემლის თავის წარკვეთა და სხვ.).

მართლმადიდებელთა სექტები — ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა სექტა და მართლმადიდებელთა ეკლესია, არსებითად ერთნაირი და მსგავსი საერთო პრინციპით, რომ ყველაფერი, რაც ჩვენს დიდ ქვეყანაში 1917 წლის შემდეგ ხდება, სატანის საქმეა და ბოროტებას წარმოადგენს, ამიტომ არავინ არ უნდა ემსახუროს ამ საქმეს, არ იმუშაონ კოლექტიუში, არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, არ იმსახურონ არმიაში, არ ისწავლონ საბჭოურ სკოლებში, არ იქორწინონ, რამეთუ ამ დროში შობილი ბავშვი ეშმაკეულია. ესაა პატრიარქ ტიხონის (1865-1925) შეურიგებელი ანტისაბჭოთა კურსის, ტიხონოვშჩინას პრინციპების გაგრძელება. ბევრი სექტანტი სამამულო ომის წლებში მტრის მხარეზე გადავიდა. შემდეგ სექტა დასუსტდა, შეთხელდა, მცირე ადგილობრივ ჯგუფებად დაქუცმაცდა. ბევრი მათგანი ეწეა გარყვნილ ცხოვრებას, ასკეტურ თვითგვემას, პურსა და წყალზე გადადიან.

მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიები — ბიზანტიურ პრინციპზე აგებული დამოუკიდებელი ეკლესიები, თავდაპირველად იყო ოთხი: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა, 1889-დან კი მოსკოვის პატრიარქიც ავტოკეფალური გახდა. ამას დაემატა კიპროსის, საქართველოს, სერბიის, რუმინეთის, ბულგარეთის ეკლესიები, რომელთაც პატრიარქები განაგებენ (ქართულ ეკლესიას, ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ეკლესიას სათავეში უდგას კათოლიკოს-პატრიარქი; არაერთხელ სცადეს მისი ავტოკეფალიის ხელყოფა, მაგრამ მტკიცე საძირკველზე დამყარებული ეს დამოუკიდებლობა საბოლოოდ აღიარებული და ხელუხლებელია). ელადის ეკლესია ავტოკეფალურია 1850 წლიდან. ალბანეთის — 1922-დან, პოლონეთის — 1948 წლიდან, ჩეხოსლოვაკიისა — 1951-დან, ამერიკისა — 1970 წლიდან. მათ სათავეში უდგათ არქიეპისკოპოსები და მიტროპოლიტები. სულ 15 მართლ. ავტოკეფ. ეკლესიაა, ძირითადად ერთნაირი პრინციპით რომ ხელმძღვანელობენ ღვთისმსახურების, საკულტო სამსახურის, გარეგნული იერის, სამოსის, საეკლესიო წესრიგის საკითხებში, მაგრამ განირჩევიან პოლიტიკური ორიენტაციით. იცავენ 7 პირველი მსოფლიო საეკლ. კრების პრინციპებს, ძირითადად საერთოა სიმბოლო სარწმუნოებისა. ღვთისმსახურება ტარდება ეროვნულ ენებზე. ალბანეთის გარდა ყველა წევრია მსოფლიო საეკლ. საბჭოსი. ქართ. ეკლ-ის ავტოკეფალია საბოლოოდ 1990 წ. მარტში დამტკიცდა.

მართლმადიდებელი ავტონომიური ეკლესიები — მსოფლიო საეკლ. საბჭოს წევრი 3 შედარებით დამოუკიდებელი ეკლესია. სინაის, ფინეთის და იაპონიისა, სამივე ამა თუ იმ ავტოკეფალური ეკლესიის მეურვეობაშია და შესაბამის იურისდიქციას ექვემდებარება. სინაის ძვ. ეკლესია, რ-საც არქიეპისკოპოსი განაგებს, იერუსალიმის პატრიარქის ხელდასხმით ირჩევა, აქვს ერთი მონასტერი სინას მთაზე და 14 მრევლი (კვიპროსზე, საბერძნეთში და სხვ.), ფინეთის ეკლესიამ ავტონომია მიიღო 1921 წ., ექვემდებარება კონსტანტინოპოლის პატრიარქს, აქვს 2 ეპარქია, 32 ტაძარი, 54 საძლოცველო; იაპონიის ეკლესიას დამოუკიდებლობა მისცა მოსკოვის პატრიარქიამ (1970), აქვს 3 ეპარქია, სასულიერო აკადემია, სკოლები.

მართლმადიდებლობა — ქრისტ. რელიგიის ერთ-ერთი მთავარი მიმდინარეობა, აღ-ეთის განშტოება (ორი დანარჩენი — კათოლიკ. და პროტესტ. რელ-ები). გამოყოფა დაიწყო 395 წლიდან, მაგრამ საბოლოოდ გამოეთიშა კათოლიკობას 1054 წ. და აცხადებს კათოლიკურივით ერთადერთი ჭეშმარიტი რელ-ის პრეტენზიას, თუმცა თანამედრ. ვითარებასთან შეგუების მიზნით შექმნილი ეკუმენური მოძრაობის ზეგავლენით ცდილობს კათოლიციზმთან შერიგებას და წინააღმდეგობათა დაძლევას (განსაკუთრ. სამების საკითხში: კათოლიც. ამტკიცებს, რომ მამა ღმერთი და ძე ღმერთი ერთნაირი უფლებით მოფენენ სულიწმინდას, მართლმადიდებელთა რწმენით კი სულიწმინდის მოფენა მხოლოდ მამაღმერთს შეუძლია). მ-ის მოძღვრების საფუძველია ბიბლია და „წმ. გადმოცემა" (ეკლესიის მამათა თხზულებანი, ყრილობის დადგენილებანი). სიმბოლო სარწმუნოებისა — სამება: მამაღმერთი, ძეღმერთი და სულიწმინდა, რ-იც მამაღმერთისაგან გამოდის. ცნობს მარადიულ სასუფეველს, ცოდვის გამოსყიდვას, რისთვისაც ქრისტე ეწამა.

მ-მადიდებელთა ღმერთი მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის, მორწმუნეთა ვალია რწმენის გავრცელება, ტაძართა გაფორმება, ლოცვა-კურთხევა, ეკლესიაში სიარული, პატარა ჯვრის ტარება, 7 საიდუმლოს შესრულება (როგორც კათ-ციზმშია). ცხოვრების გაუმჯობესება შესაძ-ა მხოლოდ კაპიტ. სისტემის „ქრისტიანიზაციით", შეგუებით ახ. ვითარებასთან. ეს შეგუება მრავალ ასპექტს შეიცავს: 1. ქრისტიანობის და კომუნიზმის არსებითი პრინციპები ერთნაირია, ამიტომ ქრისტ. სარწმ-ების არსებობა კომუნიზმის დროს შესაძლებელია; 2. ქრისტ. ტანჯვის დოგმა, თვითგვემა ახ. დროში უნდა იქცეს ქრისტეს მცნებათა საქმიანი განხორციელების საშუალებად; 3. ქრისტ. ასკეტიზმი უნდა გამოელინდეს არა განდეგილობად, ქვაბში დაყუდებად, უდაბნოში გაქცევად, როგორც უწინ ხდებოდა, არამედ აქტიურ მოქმედებაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში და ა. შ.; 4. ქრისტიანობის გათიშვაში და დაშლაში დამნაშავედ უნდა გამოცხადდეს ყველა და არა რომელიმე რელიგია ან სექტა; ყველა ქრისტიანს პმართებს კლავ შეკავშირება; 5. აღარ შეიძლება ცხოვრების მიწიერი ნაწილის უარყოფა, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაც თავდადების, ზნეობრივი სიწმინდის, აქტიური მოქმედების მაგალითად უნდა იქცეს; 6. მორწმუნემ უნდა იზრუნოს არა მარტო საკუთარ თავზე, საკუთარი სულის ხსნაზე, არამედ ყველასათვის ერთნაირად; 7. უნდა მოხდეს საყოველთაო დიალოგი, შეთანხმება, სიკეთისა და მშვიდობისათვის ბრძო-

ლაში ქრისტეს მაგალითის მიბაძვა; 8. უნდა გამოცხადდეს ცალკეულ სარწმუნოებათა განსხვავებული დოგმა მის თეოლოგიურ საქმეში, საერთო საკითხებში კი მოხდეს ისევ თანხმობა (მაგ., კათოლიკეთა აზრი სამებაზე, აგრეთვე მადონას ხორციელ ამაღლებაზე, რასაც მართლმად-ნი უარყოფენ, და სხვ.). ეს შეთანხმებისაკენ მისწრაფება, ისევე როგორც ლოიალობა საბჭოთა კავშირთან, დროის მოთხოვნაა. რიცხვი — 74 მილ.

მ-ს აქვს 15 ავტოკეფალური (დამოუკიდ.) ეკლესია: ალბანეთის (არქიეპისკ.), ალექსანდრიის (პატრიარქი — პაპი), ანტიოქიის (ეპარქიები), ბულგარეთის, კონსტანტინოპოლის, რუმინეთის, სერბიის (პატრიარქები), ქართული (კათალიკოს-პატრიარქი), კვიპროსის (არქიეპისკ.), პოლონეთის (მიტროპოლიტი), რუსეთის (პატრ., სინოდი), ჩეხოსლ. (მიტროპ.), ელადის (არქიეპისკოპოსი) ეკლესიები, ამერიკის ეკლესია (მიტროპოლიტი, 1970).

მიუხედავად სამშვიდობო, გაერთიანებელი, კოლონიური ჩაგვრის საწინააღმდეგო და სხვა მოწოდებებისა, მ., ცხადია, არ თმობს თავის ძირითად პოზიციას.

მარიამობა — მარიამ ღვთისმშობლის დიდი დღესასწაული (იხ. მიძინების დღესასწაული), რ-საც საქ-ში განსაკუთრებული მნიშვნელობა და ეროვნული სახე მიეცა, რადგან ესაა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა. ესაა მოდე-მოძმეთა საკრალური დღესასწაული, რასაც მკვლევართა აზრით საფუძვლად უდევს დედობის, შვილიერობის მფარველი ქალღმერთის უძველესი სახე, მაგრამ ქრისტიანობამ მიანიჭა უფრო სრულყოფილი და ამაღლებული ფორმა. განსაკუთრებით გულმოდგინედ სრულდებოდა დას. საქ-ში, სამეურნეო წლის დასასრულს, ფერიცვალებასთან დაკავშირებით, უფრო სოფლად. ზეიმობდნენ 15 (26) აგვისტოს, ხილის კრეფის ჟამს, შინ თუ მინდვრად, სადაც ღამისთევები და ცეკვა-სიმღერა იმართებოდა. ტრადიციულად შემორჩა უფრო ილორში, სადაც ხალხის რწმენით წმ. გიორგის ეკლესიაში მობრძანებული დედაღვთისა ამ ძველ ქართულ ტაძარს პატრონობდა; აგრეთვე მესხეთში, ვარძიასა და საფარაში, აწყურში, და ეს გასაგებიცაა: გადმოცემით, რაც „ქართლის ცხოვრებაშიც“ აისახა, მარიამმა პირი დაიბანა, მოითხოვა წმინდა ფიცარი, დაადო სახე და შეიქმნა „ხატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა, ბრწყინვიდა, ვითარცა მზე დიდებითა და პატივითა“. ამ ხატს აუგეს აწყურის ღვთისმშობლის ტაძარი. აქ იმართებოდა ორდღიანი ზეიმი, რასაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან „სახედ თვისად“ გამოგზავნილი ხატი და მისი რწმენა იცავდა მამულს ათას საფრთხეში. ვარძიობა და საფარობა ჩვენს დროში კვლავ დიდ კულტურულ ზეიმად იქცა. საბერძნეთში ანალოგიური იყო არტემიდე-დიანას საკულტო ზეიმი. ჩვენში მ. დიდი ეროვნული დღესასწაულია და ძველი ტრადიცია — ლიტანიობა, ლოცვა, სანთლების ნთება, ხალხმრავლობა ერის კონსოლიდაციას ემსახურება.

მარხვა — რელიგ. აკრძალვა ან შეზღუდვა საჭმელ-სასმელის მიღებისა, ძლიერი საშ-ბა რელიგ. რეგლამენტაციისა, მორწმუნეებზე ემოციური და სარწმუნოებრივი ზემოქმედებისა. სათავეს იღებს შორეულ წარსულში, როცა საკვების სიმცირე მისი დაზოგვის ღონისძიებებს ითხოვდა. შემდეგ მიეცა რელიგ. სანქცია, როგორც „ადამიანის სულის განწმენდისა და განახლების“

საუკეთესო საშუალებას. კათოლიკ. სარწმ. მრავალდღიან მ-ს არ ითხოვს, მარხულობენ მხოლოდ დიდმარხვის პირველი კვირის ოთხშაბათს, მიძინებისა და შობის კვირაძალზე, ვნების კვირის პარასკევს. პროტესტანტებს არა აქვთ მ-ის დღეები (ანგლიკანურის გარდა). განსაკ. ძლიერია მ-ის წესები მართლმადიდებელთა შორის. სულ 4 მრავალდღიანი მარხვაა: დიდმარხვა (7 კვირა), წმ. პეტრეს მ. (1—5 კვირა), ღვთისმშობლის მიძინების (2 კვირა), საშობაო (6 კვირა), გარდა ამისა — ჯვართამაღლების დღის მ., ოთხშაბათისა და პარასკევისა თითოდღიანი — დანიშნულების მიხედვით, სანათლისღებო (საწყალკურთხევო, ნათლისღების წინადღის), მშობლების გარდაცვალების აღსანიშნავი, დათქმული და სხვ. — სულ დაახ. ორასი დღე წელიწადში. მ-ის დღეებში იკრძალება სამხიარულო დღეობებში მონაწილეობა, ქორწინების საიდუმლო, ქალთან ურთიერთობა. კათოლიციზმს ასეთი მკაცრი წესები არა აქვს, ნებადართულია რძის მიღება, აგრეთვე შემსუბუქება მორწმუნეთათვის, რ-თაც შიშშილობა ექიმისაგან ეკრძალებათ.

იუდაიზმში საერთო მ-ის დღეების გარდა (სამსჯავროს დღეები, ღირსსახსოვარი დღეები) მიღებულია მშობელთა მოსახსენებელი მ. და სხვ., ხოლო ისლამის მკაცრი მ., ურაზა (რამადანის თვეში) მორწმუნეს უკრძალავს ლუმის აღებას მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე. ეს მომქანცველი წესი იწვევს სულიერად მონანიების სურვილს და თვითგვემას, ხორციელად — ორგანიზმის გამოფიტვას, სარწმუნოებრივად — რწმენის ერთგულებას.

ბასილ კესარიელი წერდა: „მარხვამ დაშრიტა ძალი ცეცხლისაი, დაუკვნა პირნი ლომთანი, მარხვაი ლოცვასა ცად აღამაღლებს... წინამძღუარი არს განსვენებისაი, დედაი არს სიმრთელისაი, მასწავლებელი ჭაბუკთა, სამკაული მოხუცებულთა, კეთილი თანმავალი მოგზაურთაი" (თარგ. ეფვთიმე ათონელისა).

მ-ის დაცვა მორწმუნეთა „რწმენის სიმტკიცისა" და ნებისყოფის გამოცდაც იყო. ძვ. სვანეთში, მაგ., ბევრი იცავდა, უმთავრესად დედები — შვილთა სარგოდ, მათი ბედნიერების სახელით, რაც მათ უმსუბუქებდა შვიდკვირიანი შიშშილობის სიმძიმეს. პირველ და ბოლო კვირას ჩვეულებრივ მ-ს („უშრავას" — უცხიმოს ჭამას) ემატებოდა დღის უმეტესი ნაწილის სრული აკრძალვა ყოველგვარი საკვებისა („ლიტმე" — უჭშელობა, საპირისპირო სიტყვისა „ლილჩე" — უბრალო მარხვა). ესაა „სულის გამარჯვება ხორცსე".

მარხვაანი — დიდმარხვის დღეებში საკითხავი ლოცვების კრებული, ბერძ. ტექსტი (კონსტანტინოპოლისა, მიეწერება თეოდორე სტუდიტეს, XI ს.) ქართულად თარგმნეს მთაწმინდელებმა (XVIII ს-ში შესწორდა). ეძატებოდა იოანე დამასკელის, კოსმა მგალობლის და სხვათა საგალობლები.

მასონობა, ფრანკმასონობა (ფრ. ფრან-მასონ „თავისუფ. ქვისმთლელი"). რელიგ.-ფილოს. მიმდინარეობა, რ-ის არსი და მიზანი დიდხანს ეერავინ გაიგო. შეიქმნა არისტ.-ბურჟ წრეებისაგან ინგლისში XVIII ს-ის დასაწყისში, საიდუმლო სას-ბების (მ-თა ლოჟების) სახით, „ძმური სიყვარულის საწყისებზე", შუა საუ-ების ქვისმთლელთა მაგალითზე, გადმოიღეს მათი წესები, შეკრეს თავისუფლად მოაზროვნე ლოჟები (სას-ბანი), გამოხატავდნენ ოპოზიციას ოფიც. ეკლესიისადმი, შემდეგ კი იძალა მისტიციზმმა და

აშკარად იწყეს ბრძოლა მატერიალიზმისა და ათეიზმის წინ-გ. ეკლ-მ კონ-კურუნტად ჩათვალა და ბრძოლა გამოუცხადა. მხარს უჭერდნენ ფრიდრიხ II და ნაპოლეონ I, ნაპოლ. III. 1762 წ-ს მოსკოვშიც გავრცელდა, 1822 წ. აკრძალეს, მაგრამ ოქტ. რევ-მდე არსებობდა. ევრ-სა და ამერ-ში დღესაც თავგამოდებით. იბრძვიან ბურჟ. წყობილების შენარჩუნებისათვის. ასრულებს რეაქც. როლს.

მატერ ეტ მაგისტრა (ლათ. „დედა და დამრიგებელი") — იოანე XXIII-ის ენციკლიკა (საწყისი სიტყვები), რ-იც 1961 წ. გამოვიდა ლეო XIII-ის ენციკლიკის („რერუმ ნოვარუმ") 70 წლისთავზე, კომუნიზმისა და პროგრესის წინ-გ რომ იყო მიმართული. ამ ახალ საპროგრამო დოკუმენტში პაპი ყარაულობს ახალ ვითარებასთან შეგუებას და მაგალითად ასახელებს საფრ. ბურჟ. რევ-ს, რ-ის „შეგუებას" ეკლესიამ ასი წელი მოანდომა.

მატერიალიზმი (ლათ. მატერიალის — საგნობრივი, ნივთიერი) — ფილოს-ის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, რ-იც ამტკიცებს, რომ პირველადია მატერია, რეალური სამყარო, მეორადი კი — გონი, შეშეცნება. ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობაში დიამეტრულად საწინააღმდეგო ბრისაა იდეალიზმი, რ-იც სულის (შემეცნების, გონების) პირველადობას ქადაგებს. მ. ამტკიცებს, რომ სამყარო არავის არ შეუქმნია, არსებობდა მარად და ყველგან, დროსა და სივრცეში ამით მ. უპირისპირდება რელიგიას, რ-ის მოძღვრებითაც ყოველი არსი ღმერთმა შექმნა. მ-მმა საუ-ების განმავლობაში გაიარა განვითარების მრავ. საფეხური (პერაკლიტე, თალესი, ანაქსიმენე, ანაქსაგორე, დემოკრიტე, ეპიკურე, ლუკრეციუსი — ანტ. ფილოს.; ფრ. ბეკონი, ჰობსი, ტოლანდი, სპინოზა, დიდრო, ჰოლბახი, ჰელვეციუსი, ფოიერბახი; რუსი რევ. დემოკრატები და სხვ. — გვიანდ. და ახ. დრო).

მეათედი — მორწმუნეთა სავალდებულო შესატანი ეკლესიის სასარგებლოდ, მოსავლის მეათედი, ძირითადად — ბლეხობისა. დამყარებ-ა ბიბლიურ ცნობაზე, რომ ძვ. იუდეაში მეათედი ტაძრისნებისა იყო. მუდამ იყო ეკლ. შემოსავლის მთავარი წყარო ჩვენში მხოლოდ ადვენტისტების პრაქტიკაშია, სხვაგან მორწმუნეებს შეძლებისამებრ შეაქვთ შესატანი.

მეათორმეტე (მეთორმეტე) დღესასწაული — ნ. ათორმეტთაგანი.

მედრესე — მუსულმანთა სასულ. სასწავლ., ამზადებს კულტის მსახურებს.

მეთოდისტები — ინგლისელი პროტესტანტების ერთი მიმდინარეობის მიმდევრები, ანგლიკანური სექტა, დაარსებ. ძმათა უესლების მიერ ოქსფორდის უნ-ტში 1729. მიზანი — ბიბლიის შესწავლა მეთოდურად, წესების დაუფლება. შემდეგ ჯონ უესლი გამოვიდა ანგლიკ. ეკლესიის განახლების, რწმენის განწმენდის ქადაგებით, რეფორმის მოთხოვნით. ეკლესიამ მხარი არ დაუჭირა, მაგრამ ღია ცის ქვეშ დაიწყეს ქადაგება, მორწმუნეებს აშინებდნენ ჯოჯოხეთის სატანჯველით, მოიპოვეს ავტორიტეტი და დღეს ამერიკაში, ბალტიმორში, საეპისკოპოსო კათედრაც აქვთ (1787 წლიდან), 87 ქვეყანაში 26 მილიონამდე მიმდევარი ჰყავთ. მეთოდისტების მსოფლიო საბჭო აერთებს 55 ეროვ. ეკლესიას, 10 წელში ერთხელ კონფერენციას იწვევენ. ესტონეთის მ-ისტების რიცხვი ორი ათასს აღემატება.

მენონიტები (დამაარსებლის, პოლანდ. მღვდლის მენნო სიმონსის სახელიდან, 1492—1559) — „მომნათელლნი", ანაბაპტისტების მშვიდობიანი სექტა, გამოეყო ამ პროტესტანტულ მიმდინარეობას გლეხთა ომის შემდეგ (1524—25), დეკლარაცია გამოაქვეყნეს 1652, უარყოფენ ბავშვობის ასაკში ნათლობას, თემობას, რასაც ცვლის მმართველობა, და საეკლ. იერარქიას. საერთაშ. ორგანო — კონფერენცია (შეერთ. შტატებში). აქეთ ორგანიზაციები ამსტერდამში და სხვ., რუს. იმპერიაში ჯერ კიდევ XVIII ს-ში გამოჩნდნენ (ტავრის გუბერნ.), უკავშირდებიან ანაბაპტისტებს, მათი ნაწილი — ექსტრემისტებია, უარყოფენ მოქალაქეთა მოვალეობის შესრულებას, მტრულად შეხვდნენ ოქტ. რევ-ს, 1927—28 წლებში წავიდნენ, მერე ნაწილი დაბრუნდა ჩვენს ქვეყანაში. იყვნენ საქ-შიც. სექტა დაიყო. თემში თანასწორობა აქვთ, იციან ქრისტესავით მდაბიოთა ფეხის განბანვის რიტუალი, სწამთ მეორედ მოსვლა და იესოს ათასწლოვანი მეუფება. ბოროტებაზე ძალით პასუხის გაცემას უარყოფენ, სიკეთესა და მორალ. სრულყოფას ქადაგებენ.

მეორედ მოსვლა — 1. მით. პიროვნების, ღმერთის ან კატასტროფული მოვლენის მეორედ მოსვლა, რამაც ქვეყნიერება უნდა შეძრას, დაღუპოს, განაახლოს და ა. შ. — ამ აზრით წარმართული შინაარსი აქვს, რამაც ქრისტ. რელიგიაში მტკიცედ ჩამოყალიბებული ცნების, ქრისტეს მეორედ გამოცხადების გაგება მიიღო (სიმბოლო სარწმუნოებისა); 2. ქრისტეს მეორედ მოსვლა, განკითხვის დღე, საშინელი სამსჯავრო. ძვ. ცნება დაუკავშირეს სახარების განმარტებას, მაგრამ სახარებაში (მათე 24, 34) ნათქვამია, რომ ეს მოხდება ერთი თაობის მოსწრებაში, სინამდვილეში კი გადის 2000 წელი და განკითხვის დღე არ გათენებულა. ღვთისმეტყველნი დარწმუნდნენ, რომ უშედეგოა ბიბლიის სათანადო ადგილების სიმბოლიკაზე რაიმეს აგება, აგრეთვე ადვენტისტების (ნ.) ცდა, სადმე ბიბლიაში ნახონ მ. მ-ის ვადები, ამიტომ აცხადებენ, რომ დრო არავინ იცის.

ქრისტე სულაც არაა პირველი პიროვნება, რ-ის მეორედ მოსვლასაც ხალხები ელოდნენ. ებრაელთა წინასწარმეტყველნი უხსოვარ წარსულშივე ქადაგებდნენ მესიის, მხსნელის, ემანუელის („ჩვენთან არს ღმერთი") მეორედ მოსვლას (გამოჩენას). ეს ფიქსირებულია ძვ. წ. 700 წელსაც ებრ-თა რწმენის ესაია წინასწარმეტყველის არაკანონიკური წიგნით (მსგავსად ორმუზდის, აპურამაზდას, აგრეთვე ავატარას სახით ვიშნუს კელაე გამოცხადების სახით). ესაა მოლოდინი მხსნელისა, რ-იც ქვეყნიერებას შეძრავს, განიკითხავს, მოაწესრიგებს. ქრისტეს მესიანობა მხოლოდ ახ. ტიპია იმავე მოვლენისა, რაც საყოველთაო კატასტროფასთან, წარღვნასთან, ცისა და ქვეყნის დაქცევასთან ან ხანძართან (რაგნაროკი ჩრდ. მით-ში) იყო დაკავშირებული. მსგავსი რწმენა ცნობილია ძვ. ეტრუსკებში, რომაელებში, სტოიკოსებთან, შუა საუკუნეებში (ასტროლოგებში), ე. ი. ქრისტემდეც და მის შემდეგაც, ოღონდ ტერმინი ქრისტ. გაგებით უფრო დამკვიდრდა, მაგრამ დარჩა ხალხში, ენაში, როგორც საყოველთაო კატასტროფის ან წარღვნის, „ქვეყნის დაქცევის" სინონიმი. აქ მთავარ როლს თამაშობს ბიბლიური თავსხმა, წყალდიდობა (რაც ერთხელ უკვე მოხდა პატრიარქების ჟამს), „კაცობრიობის დაღუპვა წარღვნის ან ცეცხლისაგან" (მსოფ. ხალხთა მითები, ენციკლ., II, 324). ქრისტიანობამ

ბევრი რამ გადმოიღო ძვ. აღთქმიდან. შეუძლ-ა ანგარიში არ გაეწიოს ერთი მხრივ ამას, მეორე მხრივ ხალხის სამეტყველო ენას, რაც კლასიკ. მწერლობაშიც ასახულა. „ამ დღესა შინა გამოეცნეს წყარონი უფსკრულისანი და საქანელნი ცისანი განეხენეს" (I მოსე., 7, 11). ეს ხსოვნა დარჩა ხალხს და დაუკავშირა ყოველ კატასტროფას. აღ. ხალხთა მეტყველებაში ხშირად გვხედება ეს ფრაზა: „მეორედ მოსვლისას ცა ჩამოიქცევა და დედამიწა გადატრიალდება" (მოლა სასრედინი და სხვ.). „წაწყმედა" ერთი მხრივ წარღვნის, მეორედ მოსვლის სინონიმია, მეორე მხრივ დაღუპვის, მოსპობისა (ნ. ჩუბინ. ლექსიკ., 447). ლოკალური რელიგ. ტერმ. იძენს ფართო შინაარსს. წარღვნას და წაწყმედას უკავშირებს ი. ჭავჭავაძე „განდეგილში" საშინელ თავსხმას. იმავე გაგების კლასიკ. ნიმუშია ვაჟას პოეზია: „უეცრად შუაღამისას ცას ჯანღი დაეფინება, შავი ზღვის შავი ვეშაპი პირღია დაგვეღრინება. ჩვენ, მოსვენებით მძინარეთ საჭმელად დაგვეპირება. მოჰსქდება ქარი და ღვარი... მთელი მთა-ბარი იქცევა, მეორ-მოსვლაა სწორედა! მოკაწრავს ღვარი ტყე-ღრეებს... ბუნება მბრძანებელია..." („დამე მთაში"). მთელი აღწერილობა — წყალღიდობა, გველეშაპი და სხვ. — ტიპიური წარღვნის სურათია, თანაც მბრძანებელი ბუნება და არა რაიმე ციური ძალა. ასევეა მეორე ლექსში „ადამიანი": „ზღვა ბობოქრობდა, ტალღები, ვით მთები, მთებზე სხდებოდა, ფაფარსა სცემდა ცის სივრცეს, ძირს დედამიწა სქდებოდა. იტყოდი: მეორ-მოსვლაა, ტალღა რომ ტალღას ხედებოდა..." აქაც და საერთოდ ქართულ ენაშიც, „საქართველოს ნებისმიერ კუთხეში", როგორც ერთი მკვლევარი წერდა, წარღვნა მეორედ მოსვლის სინონიმია. ქრისტეს მეორედ მოსვლა აპოკალიფსის მიხედვითაც დაკავშირებულია კოსმიურ კატასტროფასთან, ფანტასტ. ჩვენებებთან, შვიდთავიანი წით. დრაკონის გამოჩენასთან, სატანასთან, რ-იც კუდით ვარსკვლავებს ხვეტავს... მთელი ეს ბიბლიური ჩვენება ხალხმა დაუკავშირა ქრისტეს მეორედ მოსვლის მოვლენათა ციკლს. ამდენად მხოლოდ უვიცობით შეიძლება აიხსნას მკაცრად რელიგ. დოგმატიკის ჩარჩოებში ჩაკეტვით „წარღვნისა" და „მეორედ მოსვლის" ცნებათა ნათესაობის უარყოფა. შესაძლოა, რელიგ. გადატრიალებაც ეგვიპტეში (ძვ. წ. XV ს.) გამოწვ. იყო კატასტროფით (სანტორიანის ამოფრქვევა. „ეგვიპტ. წუდიადი").

მ. მ. ყოველთვის იყო და არის მორწმუნეთა რელიგ. რწმენის გაძლიერების, დაშინების მძლავრი იარაღი. მრავალგზის აისახა დიდ ხელოვნებაში. უნიერსალური ფრესკა შექმნა მიქელანჯელომ („განკითხვის დღე", ვატიკანი).

მერსანაბ (სვ.) — უღლაშობის მომდევნო შაბათი, როცა შეიძლებოდა სამსხვერპლო ტახის ხორცის ჭამა. დილით მამაკაცი აღ. სარკმელთან ღმერთს ღვიძლს, სამ სეფისკვერს და ღვინის ზედაშეს უძღვნიდა, დაილოცებოდა, წვენსაც წაუცევდა და ვიდრე ამ ცერემონიალს შეასრულებდა, უკან მოხედვა ეკრძალებოდა. მომდევნო დღეს იყო აღაბი. დღესასწ-ში არის „წარმართული" კვალი.

მესა (ფრ. მესსე, იტ. მესსა, ლათ. „გაშვება") — კათოლიკ. ღვთისმსახურება, ლიტურგია, წირვა ეკლ-ში. ორღანოს ხმაზე ხდებოდა საგალობელთა გალობა და ლოცვა-კურთხევა, ბოლოს — ზიარება. 1962-65 წ. ვატიკანის

II მსოფ. ჟრილობაზე შეიტანეს ცვლილებანი („წირვაზე"): ნებადართულია ლოცვები ეროვნ. ენებზე, საეროთა ზიარება (პაპის ნებართვით), ეროვნ. მუსიკის დაკვრა. დიდ როლს ასრ-და შუა საუკ-ში.

მესიანიზმი (ძვ. ებრ. „მაშიახ" — კურთხეული, ცხებული) — რელიგ. მოძღვრ. უფლის რწმენებულზე, კაცობრიობის მხსნელზე, მესიაზე, რ-იც ქვეყნად წესრიგს დაამყარებს, იხსნის ცოდვისტვეთისაგან (ადამის და ევას პირველი ცოდვაა ნავარაუდევი). პირველად იუდეველნი მესიას ეძახდნენ მეფეს, რ-იც ზეთის ცხების შემდეგ კურთხეულად, უსენაეს მიწიერ მბრძანებლად იქცეოდა. შემდეგ, რაკი ერის ტანჯვას არაფერი ეშველა, თანდათან შეიქმნა მითი ციურ მხსნელზე, რ-იც თავის რჩეულ ხალხთან დადებულ უფლის (იაჰვეს) შეთანხმებას აღასრულებდა. მოგვიანებით უკეთეს დროზე-შეოცნებე ხალხმა უფრო ფართო მასშტაბით გაიაზრა, შექმნა მითი „უფლის სამეფოს" შემქმნელ, საყოველთაო მხსნელ მესიაზე და ეს შისია დაეკისრა ძე ღმერთს იესო ქრისტეს, რ-მაც პირველი ჯოსელის დროს (მკვდრეთით აღდგომის დროს) მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა მოვალეობა (ნ. მეორედ მოსვლა, რაც ძირითადად ქრისტეზე იქნა — რელიგიის ენაზე — გადატანილი). საბოლოო სახით რომის იმპერიაში ჩამოყალიბდა. მის მთავარ უარყ. მხარედ ითვლება ადამიანთა აქტივობის მოდუნება, პასიური ლოდინი ციური მხსნელისა და მისი სამართლიანობისა.

მეტამუსიკოზი (უფრო სწორად: მეტემუსიკოზი, ბერძ. მეტემპსიხოზის, სულთა გადასახლება) — რელიგ.-მისტ. შეხედულება სულის გადასახლებაზე მიცვალებულის სხეულიდან ახლადშობილის ან მეორე არსების სხეულში, სულის რეინკარნაცია. რწმენა უძვ. დროისაა, დადასტურებულია აზიაში, ჩრდ. ამერიკის ინდიელთა შორის და სხვ., მაგრამ მთელი სისრულით დამუშავდა ინდოეთში. წინაპრის სული მ-ის კანონის ძალით შესახლდება მემკვიდრეში, თანაც ეს წინაპარი ხშირად ტოტემური, ცხოველისეულია. ადამიანი მოვალეა იყოს მართლმორწმუნე, ესწრაფოს სრულყოფას, რის შედეგადაც მისი სული შესახლდება უფრო მაღალ, სრულყოფილ სხეულში, ან თუ მიაღწია კარმას, მოქმედების სრულყოფას, თაეისი „მიმავლისათვის ზრუნვას", მაშინ შეიძლება სულაც შეწყდეს სანსარა — გარდაქმნა და სულის გადასახლება, შეწყდება ნირვანა და ადამიანი ქრება, როგორც ჭრაქი, რ-შიაც ზეთი ილევა. ის თავისუფლდება ყოველგვარი გარდაქმნისა და მიწიერი ენებისაგან. ბუდისტები სულის უკვდავებას და გადასახლებას უარყოფენ, მაგრამ ადამიანის სულიერი, ფსიქიური და ფიზიკური ძალების კომპლექსი გარდაცვალების შემდეგ კვლავ შეიყრებიან და ახალი ჰიროვნება წარმოიქმნება. თუ ადამიანი ცოდვილია და ულირსი, ინდუიზმის მიხედვით მისი სული გადასახლდება უფრო დაბალ არსებაში, ან ცხოველში და მწერში, ასპიტშიც კი. ამისი შიში მრავალ მორწმუნეს აიძულებს, თავის ნირვანას შეეწიროს.

მეტანია (ბერძ. მეტა-ნოია „სინანული") — „თაყვანისცემა ან სინანულით შევრდომა" (დ. ჩუბინ.). ორგვარი წესი საკლ. ტიბიკონში: მცირე — პირველ-ვრის გამოსახვა; დიდი — მუხლის მოყრა, მკერდით (შუბლით) ძიწის შეხება. მ. მოვიყარე — სინანულის ნიშნად მუხლი მოვიყარე.

მეუღაბნოე — უდაბნოში (ქვაბში, სენაკში, უდაბურ მხარეს) დაუუდებული

ბერი, მლოცველი, განდეგილი. უწინ ხალხმრავალ მონასტერსაც უდაბნოს ეძახდნენ, სოფლის სიამეთა საპირისპიროდ. მრავალი მ. (დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი და სხვ.) დიდი მოღვაწეც იყო.

მეჩეთი, მიზგითი (არაბ. მასჯიდ — ლოცვის, მუხლის მოყრის ადგილი; საჯადა — ლოცვა) — მუსულმანთა საკულტო სახლი, სალოცავი და საქადაგებელი. სასოფლო, საუბნო, ტაძრული, გუმბათიანი ან თაღებიანი, სვეტებზე ნაგები. გარედან, კუთხეში, კოშკებია — მინარეთები (ან ზედ სახურავზე, საიდანაც მუეძინი ჩხავილით უქადაგებს უანატიკოსებს, მოუწოდებს ალაპის სამსახურში). ნიში უჩვენებს მექის გზას, იქვე ინახება ყურანი (ყორანი) და სხვა ტექსტები. იქით, მიპრაბისაკენ უნდა იყოს მლოცველის სახე მიმართული, ე. ი. მექისაკენ. მარჯვნივ — კათედრაა, საიდანაც ყურანს კითხულობენ, კედლებზე ორნამენტია ან ადგილები ყურანიდან. იქვეა განსაწმენდელი, გაბინძურებული წყალი. ბნელი უანატიზმის საკულტო სავანეა, ისლამისა.

მეცნიერება და რელიგია — ერთიმეორის გამომრიცხველი, შეუთავსებელი ცნებებია. კულტურის მთელი ისტორია არსებითად მათი ბრძოლის ისტორიაა. ცხადია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ძველ ეგვიპტეში, შუმერში, ქალდეაში და სხვ. ცივილიზაციების აკვანში კულტის მსახურნი — ქურუმები, არხების ოსტატები და სხვ. ქვეყნის პრაქტ. საჭიროებებთან (ზღვაოსნობა, მიწათმოქმედება, რწყვა, სალაშქრო საქმეები) დაკავშირებით მეცნ. მუშაობასაც ეწეოდნენ (ცის თაღის, ნნათობთა მოძრაობის კანონების შესწავლა, გაზომვები და სხვ.). მაგრამ პრინციპულ საკითხებში, კერძოდ ღმერთის არსებობის სადავო საქმეში რელიგია და გაბატონ. წრეები ხშირად უშლიდნენ, ებრძოდნენ, აფერხებდნენ მეცნიერული აზრის განვითარებას. ანაქსაგორე უარყოფდა ღმერთებს და სასჯელს გაქცევით დააღწია თავი, მისი შრომები ათენში ცეცხლს მისცეს. უღმერთობა დასწაძეს ფილოსოფიის მამას — სოკრატეს და შხამით სიკვდილი მიუსაჯეს. დევნიდნენ სხვა მეცნიერებსაც, განსაკ. შუა საუკ-ებში: აწამეს და დაწვეს ბრუნო, ვანინი, სერვეტი... დევნიდნენ გალილეის, კეპლერს, სპინოზას... თეოლოგები ამტკიცებენ, რომ მეცნიერება არ გამორიცხავს რელიგიას, აქვთ თანხმობა და ა. შ., საამისოდ ასახელებენ გამოჩენილ მეცნიერებს, რ-თაც ღმერთი სწამდათ. მაგრამ ჯერ ერთი, ეს ვერ იქნებოდა საკმარისი არგუმენტი, მერე და იშვიათად თუ ჰქონია ადგილი ასეთ ფაქტს. მაგალითად, აინშტაინი ირონიულად უყურებდა ღმერთსა და ეშმაკს: ერთი პლიუსია, მეორე მინუსია, ხუმრობდა, ბავშვებისათვის ღვთისმეტყველების სწავლება ზედმეტად ჩათვალა, მისი ფარდობითობის თეორია კი გამორიცხავს ციურ ძალთა რწმენას; არც ჩ. დარვინის ღვთისნიერობა მტკიცდება. მართლია, კემბრიჯში ღვთისმეტყველებას სწავლობდა, ბიბლია სწამდა (როგორც გენიალური ქმნილება, ჩვენც გვწამს), მაგრამ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის, დაგროვილი მეცნ. მასალის ანალიზის შედეგად დარწმუნდა, რომ ბიბლ. ვერსია მცდარია, ადამ. ძაიმუნისაგანაა გაჩენილი, და მსოფლიოს მრავალ სკოლაში დარვინიზმი საერთოდ იკრძალება. მორწმუნე მეცნ-თაგან ასახელებენ კეპლერს, ნიუტონს, ლომონოსოვს, ლინეის, პლანკს, ჰეგელს... ჰეგელს კავშირი ჰქონდა სარწმუნოებასთან... მაგრამ ყოველივე ეს პირობითი, შედარებითია. მეცნ-ების მონაპოვარი უარყოფს

რელიგიას — მაშინაც, როცა მეცნიერს ღმერთი სწამს. თვით ჰეგელზე ლენინი წერდა, რომ მისი ფილოს. თავისი არსით მატერიალისტურია. მთავარი განსხვავება კი მაინც ისაა, რომ რელიგიის საფუძველია დოგმა („მწამს, რადგან აბსურდია" — წერდა ტერტულიანე), მეცნიერებისა — ძიება, კვლევა, არგუმენტები. ამ საკითხებზე უწერიათ ს. ფრანკს („რელიგია და მეცნ-ბა", 1953), გ. მუშალეკს („თანამედ. ბუნებისმეტყველთაგან ღმერთის აღიარება", 1954) და სხვ.

მეცნიერებათა აკადემია პაპისა — არსებობს 1603 წლიდან, ახლანდელი სახით კი 1936 წლიდან (განიცადა არაერთი რეორგანიზაცია). აკავს 70 ნამდვ. წევრი. ამას გარდა პაპის მიერ კრების თხოვნის (წარდგენის) საფუძველზე დანიშნ. საპატიო წევრი, ნებისმიერი ქვეყნიდან (საბუნებისმეტყველო და ტექნ. მეცნიერების ღვაწლმოსილი ავტორიტეტები).

მზებუდობა — ქართ. წარმართ. დღესასწ. (თუშეთში), 9 დეკ., ზამთრის მზის მობრუნების დღეს, როცა „მზის ანგელოზს მაჭკატს უცხობენ... ხაიწით, არყით და ერმოთი ხონჩაზე აწყობენ, ოჯახის უფროსი მამაკაცი ან დედაკაცი სანთელს აანთებს, ერბოს ცეცხლს უკიდებს და დაილოცება: „მზეო, მზის მყოლო ანგელოზო, ნუ მოგვცემ ზიან-რიალსა" (ს. მაკალათია, თუშეთი).

მზისდგომა — ზამთრის მზის დგომის მოპენტი, 25 დეკემბერი — დღე, როცა ხანგრძლივი კლების და სიცივის შემდეგ მზე (დედამიწის ბრუნვის შედეგად) ისევ იწყებს მატებას. ეს დღე ძველმა ხალხებმაც შენიშნეს და მას დაუკავშირეს მხსნელი მესიის, ქრისტეს დაბადება, რაც სხვა წყაროთი გაურკვეველია (დიდ სასულიერო ენციკ-ში წერია, რომ შობის დღისა კი არა, წლის დადგენაც შეუძლებელია და უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ახ. წელთაღრიცხვა დაწესდა). მესაქონლეთა და მიწათმოქმედთა უდიდესი დღე იყო მზის მატების საწყისი, მესიის დაბადებაც მას დაუკავშირდა, ისაა „მზე სიმართლისა", მზის შარავანდედი ადგას. მზე ჩომ წარმართთა ღვთაებაც იყო! დღესასწ. სამეურნეო სამუშაოებთანაა უშუალო კავშირში.

მთავარანგელოზი (ბერძ. არქანგელოს) — უფრ. ანგელოზი ქრისტ-ული ციური იერარქიით. ტრადიცია 3 მთავარანგელოზს ასახელებს: მიხეილს ანუ მიქელს („ციური სარდალი"), გაბრიელს (ციურ დესპანს, რ-მაც უფლის ნებით ქარიამს ძის ჩასახვა ახარა), და რაფაილს — მეურნალ ანგელოზს. აქედ. მიქელი ქრისტ-თა მფარველი ანგ-ია, გაბრიელი — „უფლის ცაცი". თუ ბიბლიაში ანგელოზი მრავალგვარი მნიშვნელობითაა ღასახელებული (იესოს, წინასწარმეტყველთა, მღვდელთა, ეპისკოპოსთა, უსულო საგანთა, ღვთის რისხვის მაუწყებელი მოვლენების მიმართ), მათ ბევრი რამე აქვთ საერთო და ზოგადი: უხორცონი, სულიერნი არიან, სწრაფნი, მაგრამ არა ყველგანა მყოფნი, სრულყოფილნი და თავისუფალნი, მაგრამ არა ყოელის შემძლენი და შეიძლება ბოროტ სულებადაც იქცნენ... სრულყოფილობის და ძლიერების მიხედვით თეოლოგია არჩევს ბიბლიურ ანგელოზთა სამ იერარქიას, სამ-სამი სახით: უმაღლესნი (სერაფიმები, ქერუბიმები, ტახტისანი), საშუალონი (მეუფების, ძალის, ძალაუფლებისანი), დაბალი იერარქიისანი (საწყისის, არქანგელოზები, ანგელოზები). ეს იერარქია დაადგინა დიონისე არეოპაგელმა „ციურ იერარქიაში". ბიბლიით ცნობილია მიხაილი (როგორც ღმერ-

თი), გაბრიელი (უფლის კაცი), რაფაილი (უფლის დამხმარე, მკურნალი), ურიელი (ცეცხლი და შუქი ღმერთისა), სალათიილი (ლოცვა უფლისადმი), იერემიილ (ღვთის სიმაღლე). შეიდეულის შესაბამად ასახელებენ იეჰუდიილს (უფლის დიდება) და ეარახიილს (უფლის კურთხევა). სამეტყველო ენაში — კეთილი ძალა. ცნობილია 7 მადლის ქიმეენი 7 მთავარანგელოზი.

მეიის ქადაგება (ქადაგება მთასა ზედა) — ეპიზოდი ქრისტეს ცხოვრებიდან, როცა მთაში ხალხს ახალი მოძღვრება უქადაგა, ნათლად ჩამოაყალიბა მორწმუნეთა სამოქმედო მრწამსი ამა ქვეყნად და აღთქმა სასუფეველისა. „და ვითარცა იხილა იესო ერი იგი, აღვიდა მთასა და დასჯდა იგი მუნ... და აღაღო პირი თვისი, ასწავებდა მათ და ეტყოდა: ნეტარ არიან გლახაკნი, სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა... ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ... თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი... ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაეხსნად სჯულისა... არა მოვედ დაეხსნად, არამედ აღსრულებად... არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა... უკეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან... უკეთუ მარჯუენე ხელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი... მე გეტყვი თქუენ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმაც გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ შენ ერთ კერძოცა... თქმულ არს: შეიყუარო მოყვასი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვი თქუენ: გიყვარდეს მტერნი თქუენნი... და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა... და რაკამსა ილოცვიდე, ნუ მრავალსა იტყვით..." (მათე, თ. 5—6; ნ. ლუკა, 6).

ამრიგად, ძვ. აღთქმის მოსესეული სასტიკი პრინციპი „კბილი კბილისა წილ, თვალი თვალისა წილ" შეცვლილია ჰუმანური, უფრო მოწინავე პრინციპით: მარჯვენა ლოყაზე რომ დაგარტყან, მარცხენაც მიუშვირეო, ძალადობას ძალადობით ნუ უპასუხებო და ა. შ., რაც ჩვენი თვალსაზრისით, ცხადია, ჰუმან. ხასიათისაა და პასიურობით აკანონებს ჩაგვრას, რამეთუ ამ ქადაგების იდეით ყოველ ძალადობას მოსდევს ახალი ძალადობა. მთის ქადაგების უიდურესი მცნებანი: ნუ იზრუნებთ ხვალისათვის, ხვალემ იზრუნოს თავისა თვისისათვის; ნუ ზრუნავთ, რა ვჭამოთ და რა ვსვათ, ამაზე წარმართნი ზრუნავენო, „ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა" — მიწიერ ზრუნვას, გარჯას, ბრძოლას თავისუფლებისათვის ცვლის ზრუნვა სულისათვის, საიქიოსათვის, რაც პრაქტიკულად მიუღებელია.

მიზერერე! (ლათ. მიზერერი — შეწყალება, მ-რე! — შემიწყალე) — 1. შემიწყალენ! ფსალმუნთა წიგნიდან: მიხერერე მეი, დომინე! („შემიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, აღხოცე უსჯულოებაი ჩემი!" (50,1); 2. პაინეს ლექსის სათაური.

მითოლოგემა — მითის ძირით. იდეა, უძვ. წარმოდგენა მეფე-ჯადოქარზე, რომელიც ოკეანეებულია და კვლავ გაცოცხლებული, მოსაველიანობისა და ტომის კეთილდღეობის მფარველი (ინგლის. ეთნოგრაფის ჯემს ფრეზერის 12-ტომიან შრომაში „ოქროს რტო" უამრავ ძვირფას ფაქტთან და აღმოჩენასთან ერთად მიგნებულია ჯადოქარი მეფის სიკვდილისა და აღდგომის ფაქტიც). რელიგიათმცოდნეობის ტერმინია, ხშირად ეხვდებით ეთნოგრ. გამოკვლევებში, ლიტ-ში.

მითოლოგია (მითების შემსწავლელი დარგი. ბერძ. მითოს — სიტყვა; ამბავი, გადმოცემა) — 1. მთელი მდიდარი არსენალი მითებისა, ე. ი. ხალხთა უძველესი თქმულება-გადმოცემებისა ღმერთებსა და გმირებზე. ბუნების მოვლენებზე, სამყაროს და ციურ სხეულთა წარმოშობაზე (კოსმოგონია), ცოცხალი ბუნების შექმნაზე, ადამიანის წარმოშობაზე (ანთროპოგენეზი), წარღვნაზე, მეორედ მოსვლაზე, ზესკნელ-ქვესკნელისა და გარესკნელის ზღაპრულ არსებებზე. მითი უძველესი, მიამიტი და მაინც მოაზროვნე ადამიანის პრიმიტიული და ფანტაზიით მდიდარი შემოქმედებითი გენიის ნაყოფია, სახეებში აზროვნების ნიმუში, რ-იც ასახავს ბუნების მოვლენების წინაშე უძლურობას, მათი ახსნის ცდას. ინგ. ეთნოგრაფის ჯემს ფრეზერის აზრით, ადამიანის გონებრივ განვითარებას აქვს ლოგიკური, თანმიმდევრული სტადიები. სულ 3 ძირით. სტადია განელო: მაგია, რელიგია და მეცნიერება. პირველ სტადიაზე მას სწამდა არა სულები და ღმერთები (ანიმალისტურ ხანამდე), არამედ საკუთ. მაგია, იწვევდა წვიმას, ცეცხი ი ზიდავდა ნადირს, შორით აზიანებდა მტერს (ისრის გაყრით გამოსახულებაზე) და სხვ. შემდეგ საკუთარი ძალის რწმენა დაკარგა და სებუნებრივი ძალები მიაწერა ღმერთებს, სულებს, ფერიებს... ბოლოს მეცნიერებამ დაარღვია მთელი მითიურ-ზღაპრულ-რელიგიური გოდოლი და გონებით ახსნა მოვლენები. I და III სტადიას ფრეზერი ამსგავსებს.

მითი განუყოფ. ნაწილია ყოველი რელიგიისა, აქვთ შეხვედრები. ორივეს დამახასიათა-ა რწმენა ზებუნებრივი ძალებისა. გონების მიღწევა ყოველ მითსა და ცრურწმენას საფუძველს აცლის. „ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და გარდაქმნის ბუნების ძალებს თავის წარმოსახვაში და წარმოსახვის ძალით; მაშასადამე, ის ქრება ბუნების ამ ძალებზე ნამდვილი ბატონობის დადგომასთან ერთად" (მარქსი); 2. მეცნიერება მითებზე, მათს წარმოშობაზე, ხასიათზე, კლასიფიკაციაზე, ახსნა-განმარტებაზე, მთელს მრავალფეროვან ფენომენზე, რამაც საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოვა ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, ენობრივი ქსოვილი, ასაზრდოებს დღესაც.

მითოლოგიური აზროვნება — შინაარსით პრიმიტიული, მაგრამ სახეებით უხვი და მდიდარი აზროვნება, არქაული სტადია იდეოლოგიისა, როცა სამყაროს შემეცნება ჩასასახოვან ფორმაში იყო, დიდად არ განირჩეოდა ადამიანი და გარემომცველი ბუნება, სუბიექტი და ობიექტი, მატერიალური და იდეალური, დრო და სივრცე, გრძნობიერი მხარე სჭარბობდა შემეცნებითს. არსებობდა და თავისებურად არსებობს ახლაც მეცნიერულ აზროვნებასთან ერთად, უპირისპირდება მის ლოგიკას თავისი ემოციური ხასიათით. დიდი როლი შეასრ. ფილოს., რელიგ., ლიტ., ფოლკლორის შექმნაში და ინარჩუნებს ზემოქმ. ძალას არა მარტო შედარ. ჩამორჩენილ ხალხებში, არამედ განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგომ ხალხთა შორისაც.

მითოლოგიური სკოლა — იდეალისტ. ხასიათის მიმართ. აღრეულ ქრისტ-ზე, მთავარი მტკიცებით, რომ ქრისტე — მითია, ისე რომ არ ეხებიან რელიგიის წარმოშობის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტ. მიზეზებს. I პერიოდში დიუპიუიმ, ვოლნეიმ (ფრანგმა მეცნი-ებმა) შექმნეს თეორია, რ-ის მიხედვითაც მითი საერთოდ ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ასახვაა, ქრის-

ტე კი არის ასტრალური ღვთაება, მზის განსახიერება; II პერიოდში გერმანელმა მლადოპეგელიანელმა ბრუნო ბაუერმა და პოლანდიელმა მეცნიერებმა (პისონი, ბოლანდი და სხვ.) სახარებაში წინააღმდეგობათა ძიებით სცადეს მისი ფიქტიურობის დამტკიცება; III პერიოდში ჯ. რობერტსონმა, ა. დრევსმა (XX ს.) და სხვებმა წამოაყენეს ვერსია ძვ. წარმართული იესოს (იეშუას) კულტის აღდგენისა და რელიგიის გამომდინარეობისა გნოსტიციზმისაგან. ეს იყო თავისებ. კრიტიკა, რ-საც დიდი კვალი არ დაუტოვებია. იდეურ საფუძველად გამოიყენეს ფ. შელინგის, ფ. კროიცერის, ა. კუნის, ე. შვარცის შეხედ-ნი. ამ გაგებით მ. სკ. ლიტ. ისტ-ში ცნობილია, როგორც რომანტიკოსთა იდეალისტ. თეორია, რ-ის მიხედვითაც ფოლკლორის წყაროა მითი, რელიგ. წარმოდგენები, ახსნას ეძებდნენ ენაში, „ინდოევროპულ პრარელიგიაში", ახასიათებდათ მისტიციზმი, გააკრიტიკეს დობროლიუბოვმა, ჩერნიშევსკიმ და სხვ., თუმცა უდავოა მათი დიდი ღვაწლი (ძმ. გრიმების ზღაპრები, ბუსლაევის ანდაზები, აფანასიევის რუს. ზღაპრები...). ცნობ-ა მეტეორ. და სოლარ. მიმდ.

მინეის კრებული (ბერძ. მენაია — ყოველთვიური) — საეკლ. წიგნი, რ-შიაც აღწერ-ა წმინდანთა ცხოვრება (დღესასწაულთა, ხსოვნის დღეთა მიხედვით). თან ერთვის ლოცვანი, კანონები, სიმღერები, წელიწდეულის სახით (საეკლ. — სლავ. ენაზე). საუკეთესოდ ითვლება დიმ. როსტოვსკისა (1700) და მიტროპოლიტ მაკარის კრებული (XVI ს.).

მირონცხება (ბერძ. ქრიზმა ტო მირონ, ლათ. ფირმაციო, გერმ. ზალბუნგ, რუს. მიროპომაზანიე) — ქრისტ. სარწმ.-ის ერთი 7 საიდუმლოთაგანი, მიმდევრობით მეორე, ნათლობის შემდეგ, თითქმის მისი შემადგ. ნაწილი, მაგრამ ეკლესია ამტკიცებს, რომ ეს ცალკე საიდუმლოებაა, უფლის მადლის გადმოსვლის ნიშანი მოსანათლავზე, რ-იც ამით ეკლ.-ის წიაღში გადადის და სულიერი ცხოვრება ქრისტიანი კაცისა იწყება. რიტუალი სრულდებოდა ეპისკოპოსის მიერ ხელის დადებით, მერე მორწმუნეთა გამრავლების გამო გამარტივდა მირონის—სურნელოვანი ნახარში ზეთის წაცხებით შუბლზე, ყურებზე, ნესტოებზე, თვალებზე, ხელ-ფეხზე. ხელის დადება კი მღვდლობის წესად დაკანონდა (II და VI საკლ. ყრილობები ხელის დადებას აღარც ახსენებენ). საქმე მოციქულთა უკვე იძლევა ამ წესის გასაღებს, რაც თითქოს თვით იესომ შემოიღო („ბანილ იყვნეს სახელითა უფლისა იესოსითა. მაშინ დაასხმიდეს ხელთა მათ ზედა, და მიაქუნდა სული წმიდა", 8,16-17). ხელის დადება, მერე მირონცხება ახ. აღთქმაში სხვაგანაც ნახსენებია. აქედ. ხელდასხმაც.

მირქმა (მიგებება, გულზე მიკონება) — იესო ქრისტესი, საქრისტიანოს დღესასწ., 2(15) თებერვალს. ბიბლიის თანახმად, დაბადებიდან მე-40 დღეს ღვთისმშობელმა და იოსებმა ყრმა იესო, არსებული წესისამებრ, მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში „წარდგინებად წინაშე უფლისა", თან შესწირეს უფალს ორი მტრედი. იქ დახვდათ ღრმად მოხუცი სიმონი (სვიმეონი, „სული წმიდა იყო მის ზედა") და 84 წლის ანა წინასწარმეტყველი. სიმონს არ სწამდა ქალწულისაგან მესიის შობა, ამიტომ ზეცით ეუწყა, რომ არ მოკვდებოდა, ვიდრე მესიას არ იხილავდა. ნახა ყრმა, შეიცნო და თქვა: „აწ განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, „რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა

მაცხოვარებაი შენი" (ლუკა 2,29). ტრადიცია ამ სიმონს თვლის ბიბლიის ბერძნულად მთარგმნელთა ჯგუფის წევრად (70, ნ. სეპტუაგინტა). ანამ ქრისტეს მობრძანება გამოაცხადა. ეს დღესასწ., ერთ-ერთი ათორმეტთაგანი, ძლივს დაინერგა რომის იმპერიაში გაბატ. განწმენდის დღესასწაულის ადგილზე (უფრო VI ს-დან). ხალხი ხალისით ჰვდებოდა, როგორც გაზაფხულის დადგომას, ზამთრის დასასრულს. რუს. სრეტენიე.

მისიონერობა (ლათ. მისსიო — დავალება, გაგზავნა) — საეკლ. ორგანიზ-ის მოღვაწეობა ქრისტ. სარწმუნოების გავრც. მიზნით, თავის ქვეყანაში ან უცხო ქვეყნებში (საშინაო და საგარეო მისია). დამახასიათ. ყველა რელიგ-ურ-ვის, მაგრამ განსაკ. ფართო ხასიათი მისცა ქრისტ.-მა რელიგიამ. კათოლიკური კონგრეგაციები აგზავნიან მეტწილად ბერთა ორდენებიდან, მართლმადიდებელნი — მის-თა მსოფლიო საჭოს დავალებით (დაარსდა 1910). კათ. მისიონერებს ხელმძღვანელობდა სარწმ. პროპაგანდის კონგრეგაცია (დაარსდა 1622). ფართოდ გაიშალა მუშაობა დიდი აღმოჩენების ეპოქაში, კოლონიურ ქვეყნებში (ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია). იეზავნებოდა უთვალავი მისიონერი, რ-თა ვალი წარმართთა მოქცევა იყო, მაგრამ ძირითადი მისია გახდა კოლონ. ძალაუფლების განმტკიცება, იმპერიების გაძლიერება. იეზუიტები, დომინიკანელნი, ფრანცისკანელები, ბენიდიქტინელები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ინდიელთა, აცტეკების, ინკების, ზანგთა ტომების მოქცევის, ურჩთა წამების და კოცონზე დაწვის საქმეში. როცა ტომთა ბელადები ეუბნებოდნენ, რისთვის ვიწამო ღმერთი, რ-იც კვდება, როცა ჩემი ღმერთი უკვდავიაო, მ-ები მას უწყალოდ აწამებდნენ და არსებითად აძულებდნენ მესიის სახელს. შიგნით ქვეყანაში კი ძირითადად ერესებს ებრძოდნენ. 1868 ხსენებული კონგრეგაცია გადააკეთეს ხალხთა ევანგელიზაციის კ-ციად. პიუს XII, იოანე XXIII, პავლე VI ზედიზედ სცემენ ენციკლიკებს, რ-ებშიაც აძლიერებენ მ-ობას. ეატიკანის II მსოფ. ყრილობამ კიდევ გააძლიერა მათი მისია (1962-65), ემსახურონ ნეოკოლონიალიზმს. დაგწინაურეს აზიისა და აფრიკის მღვდელმთავრები. აქვთ უამრავი მისია — მისიონერთა რეზიდენცია, სადაც განლაგებულია ეკლესიები, საერთო საცხოვ-ები, სკოლები. ზოგი მისიონერი პატიოსან მეცნ. მუშაობასაც ეწევა შორ. ქვეყნებში.

მისიონერული საზოგადოებები — პროტესტანტების (ანაბაპტისტ., ადვენტისტ.) ორგანიზაციები, სადაც ეწევიან შესაბამისი სარწმ.-ების პროპაგანდას, ყოველი მორწმუნისაგან ითხოვენ მისიონერულ მოღვაწეობას. 1795 ლონდონში შეიქმნა ერთ-ერთი პირვ. მის. ორგ., მალე მოპყვა ანგლიკან. და ნიდერლ. ეკლ-ების მის. საზ.-ბანი. 1910 ედინბურგში მოწვ.-ძა პროტესტ. მისიონერთა საერთაშ. კონგრესმა მიიღო კოორდინაციის და საერთ. მის.-თა საბჭოს სტატუსი. 1815 შეიქმნა ბაზელის მის. საზ.-ბა, რ-იც მოქმედებდა ინდოეთში, ჩინეთში, ირანში. 1824 შეემატა ბერლინისა.

მისნები — ნ. მოგვები.

მისნობა — ნ. გრძნეულება.

მისტიციზმი, მისტიკა (ბერძ. მიეინ, „პირის მოკუმვა", „თვალების დახუჭვა"; მისტიკოს — იდუმალი) — 1. იდუმალი, ზებუნებრივი, აპოუხსნელი, ზეგონიერი და ზეგრძნობიერი კავშირის რწმენა ადამიანისა ღმერთთან. ამ

უშუალო კავშირის დროს ზებუნებრივ ძალებთან თითქოს ხდება შეცნობა ღმერთისა, მისი ძალის გამოყენება რაიმე განსაკუთრ. საჭიროებისათვის. ღრმა განცდით, იდუმალი გარემოთი, გონების დაბურეითა თუ ექსტაზით ხდება „განდობილთა" ეს წარმოსახვითი აქტი, მოკვდავისა უკვდავთან — კაბალა იუდეველთა სარწმ.-ებაში, სუფიზმი ისლამში, ბპაქტის მისტიკა ინდუიზმში, ასევე დაუისმში, ბუდისმში და ბევრ სხვა რელიგიაში. ამ რელიგ.-იდეალისტ. ძიძღვრებას საფუძვ. ჩაეყარა ძვ. აღ.-ისა და განსაკუთრ. ბერძ. წარმართულ რელიგიებში. ბერძნები მაგიური მისტერიებით ლამობდნენ ზებუნებ. ძალებთან დაახლოებას, განდობილთა ეს მისტერიული ცერემონიები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და მათი დაცინვა ან გაცემა სიკვდილს იმსახურებდა. პლატონის ფილ-ში მოელენა გასულიერებულია. ნეოპლატონიზმის მისტ. მოძღვრება განაკითარა ავგუსტინემ და საფუძველად დაუდო ქრისტ. რელ-ს (საეკლ.-ორთოდოქსალ. რწმენა სეგარდმო შუქის მოფენისა). საეკლ. მ.—ესაა ადამიანის პასიურობის, ღმერთისადმი სრული მორჩილების და უმწეობის გამოხატულება. საეკლ. მ-ს ქადაგებდნენ ბერნარ კლერვონელი (კლერვოსი), პაპთა იდეოლოგი და თავისუფალი ანრის რისხვა (გარდ. 1153), ბონავენტურა — გამოჩენილი იტალიელი თეოლოგი, ფრანცისკანელი გენერალი, რ-იც სქოლასტიკისა და მისტიკის შერიგებას ქადაგებდა, ალბანოს ეპისკოპოსი იყო და სიქსტუს მეხუთემ ეკლესიის მასწავლებელთა ხუთეულში შერაცხა (გარდ. 1274). მისტიკურ აგზნებას ის თვლიდა შემეცნების უმაღლეს საშუალებად. არსებობდა პროგრესული მ., ავეროისიზმი, ერეტიკული მ., რაც ენგელსის განსაზღვრით იყო რევ. ოპოზიცია ფეოდალიზმის წინ-გ (პიროვნების მ-ური „შერწყმა" ღმერთთან მათ ათანასწორებდა). დღეს ბურჟ.-ულ ქვეყნებში ბასრი იარაღია ათეიზმის წინ.-გ, ებრძვის მატერიალიზმს. მ-ის წინ-გ იბრძოდა ჯერ კიდევ დიდი არაბი მეცნიერი იბნ როშდი (ლათ. ავეროესი, გარდ. 1198), რ-იც არ ცნობდა ღმერთს სამყაროს შემოქმედად, არც მკვდრეთით აღდგომას, აღიარებდა მეცნ. აზრის ძალას. ლუთერზე და მიუნცერზე დემოკრ. მ-მა ზეგავლენა მოახდინა, იგნატი ლოიოლა და სხვა იეზუიტები კი კონტრრეფორმაციის ჟამს მ-ის რეაქციულ მხარეს აძლიერებდნენ, 2. რელიგ.-ფილოს., იდეალისტ. მიმდინარეობანი: თეოსოფია („უფლისმცოდნეობა"), ანთროპოსოფია („ადამიანთმცოდნეობა") და სხვ.; 3 რწმენა საიდუმლო ძალებისა, რ-თა წყალობასაც მიეწერება ცალკეული აღმოჩენები ბუნებისმეტყველებაში; 4. აღ-ური რელიგიები და კულტები: ბუდიზმი, ბრაჰმანიზმი (ინდ.), სუფიზმი (ირანი), კაბალა, ჰასიდიზმი (იუდაიზმი), ძენი (იაპ.) და სხვ.; 5. პირველყოფ. რწმენა სულებისა, ჯადოქრული „მკურნალობისა" და მისთ.; 6. მაგიის ყოველნაირი ფორმა ცხოვრებაში, და საერთოდ ყოველი რელიგია მისტიკურია, ანტიმეცნიერული თავისი არსით. ყოველდღიურ მეტყველებაშიც მიღშაქვეუნურზე, ფუჭ ფანტაზიაზე იტყვიან: „რა მისტიკას ქადაგებო!"

მისტიკის ზეგავლენა მუდამ დიდი იყო და დღესაც თავსატეხად რჩება. „მისტიკის ჭიშარის გაღება არც ისე ძნელია, როგორც ბევრს პგონია. ცუდი ისაა, რომ მისი დახურვა არც ისე იოლია" (აკუტაგავა).

მიტეეება ცოდვისა — ნ. აღსარება.

მიტრა (ბერძ. თავსაკრავი) — მღვდელმთავართა თავსარქმელი ღვთისმსახურების ჟამს (კათოლ. და ძართლმად. ეკლ.).

მიტრა, მითრა (ავესტას „მითრა", „პირობა", ხელშეკრულება, და შუა ვედ. მიტრა)—ინდოევროპ. ღვთაება, უწინარეს ყოვლისა მზის ღმერთი, კეთილი ძალა (ხარის მკელელი მითრა, ჩირაღდნოსანი, ლომისთავიანი და სხვ.). კულტი ადრევე არსებობდა, მაგრამ უზენაესი კეთილი ღმერთის რანგში ავიდა და რომის იმპერიაში გავრცელდა მითრაიზმის სახით ახ. წ. ახლო ხანებში, ბევრი რამით პგავს ქრისტ.-ობას, არა მარტო სესხების თვალსაზრისით, არამედ სოციალ-ეკონ. ვითარების და ადამიანთა აზროვნების მსგავსებითაც. მასთან მეტოქეობაში დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა ქრისტ. სარწ-ებას (დაწერილ. იხ. მით. ლექსიკ. 322,327).

მიტროპოლიტი (ბერძ. მეტროპოლიტეს, „კაცი დედაქალაქიდან") — მეტროპოლიის, სამღვდელმთავრო მრევლის გამგებელი (მართლმად. ეკლ.); რომის პაპი; კენტერბერიის არქიეპისკოპოსი.

მიურიდიზმი (თათრ.) — ისლამის რელ.-მისტ. მიმდინარეობა, რ-ის მიზანი „გიაურთა", „ურწმუნოთა", ე. ი. არამაჰმადიანთა გაწყვეტა იყო. ეს რეაქც.-ყაჩაღური მიმდინ. შეიქმნა რელიგ. ფანატიკოსთაგან XIX ს-ში ჩრდ. კავკასიაში (დაღესტანი). უფრო ფართო მასშტაბით, მ. ებრძოდა მეფის რუსეთის დამპყრობელ ჯარებს შამილის მეთაურობით. მისი მიზანი იყო თეოკრატიული იმამატის მუსულმ. სახელმწ. შექმნა, ქადაგებდა ჰაზავათს („საღმრთო ომს."), სუფიზმს, შარიათის დაცვას. ფანატიკოსთა დიდი ლაშქრით ააოხრა ალ. ჭავჭავაძის მამული, წაასხა ტყვეები, ითხოვდა გამოსასყიდს.

მიცვალებულის გაპატიოსნება — ხალხთა წესი უძვ. დროიდან. ძირითადად ეს ხდება დაკრძალვით, რ-ის მიზეზიც მრავალია: გვამის მხეცებისაგან დაცვა, ზეზე გაჩერებით აყროლება, მშობელი მიწისათვის მიბარება, რომ სული არ დატანჯულიყო, ცოცხლები არ დაეზიანებინა და ა. შ. სამარეში ჩააყოლებდნენ ძვირფას ნივთებს, სანოვაგეს, ფარ-ხმალს, ზოგჯერ მეუღლესაც მასთან კლავდნენ ან თვითონ იკლავდა თავს და ა. შ. დაკრძალვა ქრისტ. წესით არც ერთ დღეს არაა აკრძალული, მაგრამ ეკლესიამ ანგარიში გაუწია ზოგ გარემოებას, წარმართულ წესს, გადმოცემებს, ამიტომ დაწესდა დაკრძალვა სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს.

მიძინება ღვთისმშობლისა (ყოვლადწმიდა მარიამისა) — იესო ქრისტეს მშობლის, ხალხის მფარველ-მეოხის მარიამის მიწიერი ცხოვრების დასასრ., მართლმადიდ. ეკლესიის ათორმეტ დიდ დღესასწაულთაგანი, აღინიშნება 15 (28) აგვისტოს. ამის მიხედვით ძვ. ქართ. კალენდრებში აგვისტოს მარიამობისთვე ეწოდება და საერთოდ საქ. ღვთისმშობლის წილხვდომილად ითვლება, მრავალი ტაძარიც აუგიათ მის სახელზე. მარიამის გარდაცვალების ამბავი IV ს. ბოლომდე ბინდით მოცული იყო. ეპიფანე კვიპროსელი წერდა: მარიამის სიკვდილზე ცნობები არ არის: გარდაიცვალა თუ არ გარდაცვლილა, დაკრძალეს თუ არ დაუკრძალავთო. ტრადიცია გვეუბნება, რომ იესოს ჯვარცმის შემდეგ დედა ღვთისა იოანე მოციქულის სახლში ცხოვრობდა. შვილის ჯვარცმიდან მესამედმეტე წელს უდრტვინველად აღესრულა, თან სხვა მოციქულთაგან განსხვავებით შვილისაკენ ისწრაფვოდა, თაყვანსა სცემდა, და გადმოცემით, ძეც სულის წასაყვანად ჩამოვიდა, რის გამოც სამყოფელი გაცისკ-

როვნებული იყო (ასე ხატავენ დიდოსტატებიც). დაკრძალეს დავითის საგვარეულო სამარხში. სამი დღე ისმოდა გალობა, მესამე დღეს შორიდან დაბრუნებული თომა მისულა და საფლავი ცარიელი დახვედრია. ამას ხსნიან იოანეს გამოცხადების სიტყვებით: „და სასწაული დიდი გამოჩნდა ცათა შინა: დედოფალი, რომელსა ემოსა მზე". მიძინებისა და ცადამაღლების სახსოვრად დადგენილია დღესასწ., გარდამოხსნის შემოტარება ეკლესიის გარშემო გალობით, ზოგან მისი დაკრძალვა. ამ სახარებისეულ მოვლენებს მკელეევარები უკავშირებენ მიწათმოქმედების, ნაყოფიერების, მოსავლის წარმართულ ღვთაებებს, მაგ. იშტარს, რ-საც „ბაბილონელთა დედოფალს" ეძახდნენ, მის მოგზაურობას ქვესკნელში, დატირებას მის კუბოსთან და ა. შ. ქრისტ. დღეს. ჩამოყალიბდა V—VI ს-ების მიჯნაზე, როცა მარიამის კულტი ამაღლდა. სხვა ვერსიით მარიამი მიიჩნიეს ქალღმერთ კიბელას ორეულად, დედობისა და ხალხის მფარველობის მსგავსების ნიადაგზე, თუმცა ასეთი ანალოგიები უსასრულოდ შეიძლება სხვა რელიგიების ქალ-ღვთაებებთანაც. რეასთან გაიგივებული კიბელა ღმერთების დედაა, მაგრამ მრისხანე, ლომზე ამხედრებული, ბევრი საერთო არაფერი აქვს სათნო მარიამთან და არც კედება მასავით, როგორც უმართებულოდ წერენ ზოგან. მიძინებას ამ სახით ძაინც არ მოეძებნება ანალოგია, და საერთოდ ამ სახეს პოეტურმა ფანტაზიამ, ხალხის რწმენასთან გადაჯაჭვულმა, ბევრი ორიგინალ. შტრიხი მისცა. რუსეთში მისი დღესასწ. დაკავშ. იყო მოსავლის აღებასთან, ხსნილობასთან. ეკლ. ამ დღესასწ-ს იყენებს რელიგ. მოწიწების გასაძლიერებლად.

მოგვი (ძვ. სპარს. მაგუს, ბერძ. მაგოს, მრ. მაგოი, ლათ. მაგუს, მაგი) — 1. მაგი, ვარსკვლავთმრიცხველი, მისანი, მჩხიბავი, სიზმრის ამხსნელი ან ცრუ ბრძენი. ქართ. სახელწოდება მოდის უფრო ძვ. სპარს. სიტყვიდან მოგჰ — ქურუმი, ბრძენკაცი; საკ. მაგები იყვნენ ერთ-ერთი ექვსი მთავარ ტომთაგანი, მიდიელები, ქურუმები, რ-თაც დიდი ზეგავლენა მოიპოვეს აქემენიდების სამეფო კარზე (ძვ. წ. VI—IV ს-ებში). 522 წ. მოგვმა გაუმტაამ თავი მოკლულ მეფისწულად გამოაცხადა, ტომი აჯანყდა, მაგრამ დამარცხდა და თითქმის მთლიანად გაწყვიტეს (აქედ. მაგოფონია, მოგვთა გაწყვეტა). ქსერქსეს დროს ისევ აღზევდნენ, ხოლო ბაბილონელთა ანუ ქალდეველთა სამეფოში საერთოდ ვარსკვლავთმრიცხველთა, ქურუმთა ზოგად სახელად იქცა. ესაა იგ. ძვ. რუს. ვოლხვ, ბულგ. ვლოხვა, ფინ. ველპო, ქრისტ. სამყაროში სამი აღ-ელი მოგვი— ხელმწიფე ოქროს ვარსკვლავს მოპყვა და ბეთლემის ქვაბში ინახულა ყრმა იესო. ამას მოგვითხრობს მხოლოდ მათე (2,1-12): „აჰა მოგვნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალიმად და იტყოდეს: სადა არს, რომელი იგი იშვა მეფე ჰურიათა?" იროდი მეფე მათი დახმარებით იმედოვნებდა ყრმის პოვნას და მოკვდინებას, მაგრამ მათ თაყვანი სცეს ახალშობილს, საჩუქრები დაუტოვეს და სხვა გზით გაბრუნდნენ. სახარებაში არც მათი სახელებია, არც რიცხვი და არც სადაურობა. აშკარაა, სადღაც შორეული აღ-დან ჩამოსულან, ყოველ შემთხვევაში პალესტინის აღ-დან. II—III ს-ში ორიგენმა მართებულად იმსჯელა: რაკი საჩუქარი სამია (ოქრო, გუნდრუკი და მური), სამი მეფე ყოფილაო, სამების სიმბოლოც ესაა და კაცთა მოდგმის სამ ნაწილად დაყოფის ნიშანიც. სამშობლოდ ასახელებენ სპარსეთ-მესოპოტამიის მხარეს, სადაც მოგვი დასაბამი-

დან ქურუმს ნიშნავდა, მაგრამ უფრო სარწმუნოდაა მიჩნეული ბედნიერი არა-ბეთი, საიდანაც საჩუქრებით სოლომონსაც ეახლა საბაის დედოფალი. სვმი მეუე სამი მოდგმის სიმბოლოა, ე. ი. ყრმას თაყვანი სცა აღ-ური წესით მთელ-მა წარმართულმა მსოფლიომ (ევროპა, აზია, აფრიკა — ერთს ზანგად ხატავენ). სახელების სხვადასხვა ვერსიები არსებობს, უფრო მიღებულია კასპარი, ბალ-თაზარი, მელქიორი. შეიქმნა მითები: თითქოს თომამ მოაქცია, მერე აწამეს, წმ. ნაწილებს თაყვანსა სცემდნენ კელნის ტაძარში. საჩუქრებიც სიმბოლურია: გუნდრუკს ღმერთს უკმევენ, ოქროთი გადასახადს იხდიან, მურით კი ჯვარცმულ ქრისტეს სცემენ პატივს. ხელოვნებაში მრავალგზის ასახულა (ჯოტო, ბაუსტი, დიურერი, პოლბაინი, კორეჯო, ალტდორფერი...); 2. ზოგადად-წინასწარმეტყველნი, რ-თაც თითქოს შეუძლიათ უშუალო კავშირი დაიჭირონ სულებთან, ღმერთებთან, ვარსკვლავებზე ამოიკითხონ სახელმწიფოთა, ქალაქთა, ცალკეულ პირთა სვე-ბედი, მოახდინონ გრძნეულება („ოოლხეოვანიე"), დაატეხონ ხალხს ჭირი, დაამზადონ თილისმები და ა. შ. ეკლესია ებრძოდა მოგვობას, ეშმაკეულთა კავშირს სწამებდნენ, ზოგიც 7 საიდუმლოს უპირისპირებდა, თუმცა მასაც საფუძვლად ცრუ რწმენა უდევს. ძვ. აღ-ში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ, და თვით ქრისტ.-მაც მიიღო სამი აღმოსაველელი მოგვის თქმულება.

რუსეთში ჯადოქრის, კუდიანის სინონიმად იქცა, და ბერძნებიც ცრუ მისამ მოგვს ეახდნენ. რაც შეეხება მოგვობას, მაგიას (ბერძ. მაგეია, მაგია), ესაა ცრუ რწმენა მაგიური მოქმედებით გარემოზე ზეკაველენის მოხდენისა, ყველა რელიგიის შემადგ. ნაწილია და გადმონაშთის სახით ხედავენ ზიარების, ლოცვის, მორნცხების საიდუმლოებებში. სირთულის მიხედვით არჩევენ ასეთ დარგობრივ მაგიებს: ინდივიდუალური, ჯგუფური წესი; კოლექ. მაგ. მოქმედებანი: შავი მაგია (ზიანის მომტანი გრძნებანი, ბავშვის წახდენა და სხვ.); სამხედრო მაგია (იარაღის მოჯადოება); სასიყვარულო (შეყვარება ან შეძულება); სამკურნალო (შელოცვები, ექიმბაშური წამლები); სარეწაო (მონადირეთა მახეების მოჯადოება, თოფის შეკვრა და სხვ.); მეტეოროლოგიური (წვიმის მოყვანა); სიტყვის მაგია (მოჩხიბვა, შელოცვა). ხალხის ცნობიერებიდან ძნელად ამოსაძირკვავი მოვლენაა, რასაც ცოდნა და შეგნება უნდა დაუპირისპირდეს.

მოდერნიზმი რელიგიური — რელიგ. დოგმების, წარმოდგენების, რიტუალების, იდეოლოგიის შეგუება თანამედრ. ვითარებასთან, დროის მოთხოვნასთან, სოც.-ეკონ. პირობებთან, მორწმუნეთა ფსიქოლოგიასთან. არსი მაინც რჩება. იხ. რელიგია და თანამედროვეობა.

მოლა (არაბ. მაულა — ბატონი, მეუფე) — ისლამის კულტის მსახური. უწინ დაწყებით სკოლაში ასწავლიდა, კულტს ასრულებდა, მოსამართლის, ყადის და ნოტარიუსის ვალსაც იხდიდა. დღეს ჩვენში მხოლოდ კულტის მსახურია. აღ-ში მას მიაწერენ ხალხ. ნაკვეთებს, რითაც ძლიერ პოპულარულია.

მონანიება (ისკუპლენიე) — ნ. აღსარება.

მონოთეიზმი (ბერძ. მონოს — ერთი, ერთადერთი; თეოს — ღმერთი) — ერთღმერთიანობა, ამა თუ იმ რელიგიაში ერთადერთი ღმერთის არსებობა, უპირისპირდება პოლითეიზმს, მრავალღმერთიანობას. ფორმალურად მ-ურად

ითვლება იუდაიზმი (იაჰვე), ქრისტიანობა (მამაღმერთი), ისლამი (ალაჰი), მაგრამ სინამდვილეში ეს არც ერთ რელიგიაში არ ხორციელდება. თვით იუდაიზმი უძვ. წარსულში მრავალღმერთიანი ყოფილა (უძვ. ბიბლ. ღმერთი „ელოჰიმ" — „ღმერთები", ტექსტში შემორჩა). ქრისტ. სამება სამსახოვანია. ისლამშიც — მოჰამედი და სხვ. იუდეველთა და ისლამის სარწმ-ებას შემორჩათ ტომთა ღმერთების რწმენაც. ზიგმუნდ ფროიდმა თავის ანტირელიგ. პამფლეტში „მოსე და მონოთ." (1950) ასეთი იდეა წამოაყენა: მოსე ფარაონის მსახური იყო. ფარაონმა ექნატონმა სცადა ეგვიპტეში ერთი ღმერთის — ატონის კულტის შემოღება. მის რეფორმას წინ აღუდგა ქურუმობა და როგორც კი ფარაონი მოკვდა, მზის ღმერთ ატონის საქმეც დასრულდა. მოსემ სცადა ეს იდეა ებრაელებში განეხორციელებინა, მაგრამ ხალხმა ის მოკლა, თუმცა შემდეგ ინანა, მოსე მაინც გააღმერთეს. ეს საინტერესო იდეა მხოლოდ ვარაუდებს ეყრდნობა, ფროიდი გრძნობს ამას და მიუთითებს: დასაბუთება ჩემს შრომაში „ტოტემი და ტაბუ" უკვე მოვახდინეო. იგულისხმება მისი „ოიდიპოსის კომპლექსი", შვილების მიერ მამის მოკვლა, მერე სინანული, მამის გაღმერთება და მის სახელზე ცხოველის ტოტემად გამოცხადება. ფსიქოანალიზის ასეთი გზით (რასაც საფუძვლად სქესობრ. მიდრეკილება უდევს — ეჭვიანობა მამისადმი და ა. შ.), ცხადია, მ. ვერ აიხსნება. ისტ-ად სარწმუნო განმარტებას იძლევა ენგელსი: „ერთიანი ღმერთი ვერასოდეს ვერ გამოცხადდებოდა ერთიანი მეფის გარეშე. ერთიანობა ღმერთისა, რ-იც კონტროლს უწევს ბუნების მრავალრიცხოვან მოვლენებს, არის ანარეკლი ერთიანი აღმოსავლელი დესპოტისა".

მონოფიზიტები (ბერძ. მონოს — ერთი, ფიზის — ბუნება) — დოგმატიკური თვალსაზრისი, რ-ის მიხედვითაც ქრისტეს აქვს ერთი, ღვთაებრივი ბუნება და უარყოფილია მეორე — ადამიანური, რასაც აღიარებენ დიოფიზიტები. ამ ღვთისმეტყველური თვალსაზრისის მამამთავარია კონსტანტინოპოლის არქიმანდრიტი ევტიქი (ევტიქელები). V ს-ში ბიზანტიაში ჩასახული მონოფიზიტობა, რაც ორთოდოქსიას უპირისპირდება, ქალკედონის საეკლესიო ყრილობაზე (451) დაგმეს, მის მიმდევრებს დევნა დაუწყეს, როგორც ერეტიკოსებს. დავა დასრულდა სირიის, პალესტინის (იერუსალიმის), ანტიოქიის ქრისტიანთა ამბოხებით და განდგომით (457—468 წლებში).

მორალი რელიგიური — ამა თუ იმ რელიგიის მორალი — პრინციპი, ნორმა, აღთქმა, რ-იც ზებუნებრივის რწმენას ეყრდნობა და ყოველ რელ.-ში სიწმინდის, სიკეთის, კაცთმოყვარეობის, თანასწორობის მიმსიდველ ცნებებს ემყარება, მაგრამ ყოველი მოძალადე, რა სახის და ფერისაც არ უნდა იყოს, იოლად ახერხებს სათნოების ნიღბის ქვეშ იმოქმედოს, როგორც მგელმა ცხვრის ქურქში. რელ. მორალში შედის ისეთი ცნებებიც, რ-თაც სამოქალაქო სამართალი ამ სახით არ იცნობს (ცოდვა, მადლი, ანათემა...). სიკეთეს, ბოროტებას, სათნოებას, ბედსა და უბედობას — ყველაფერს აქ რელ. შინაარსი ეძლევა. უმაღლეს მორალ. ღირებულებას ფლობს ზებუნებრივი ძალა — ღმერთი, ანგელოზები, მოკვდავი მათზე დაბლა დგას და როლი მისი კნინდება უზენაესის წინაშე. უმაღლესი სანქციაც უზენაესს ენიჭება. ადამიანი უწინარეს ყოვლისა მოვალეა მის წინაშე, მერე — ხალხის წინაშე (მორალური გაო-

რება). სათნოების საზომია ღმერთის რწმენა, მისი შიში, საიქიოს რწმენა, იმედი სასუფევლისა, რაც ამცირებს ამქვეყნიურისათვის ზრუნვის, აქტივობის ფენომენს. თუ პირველი პრიმიტიული ადამიანი აკრძალვას ტაბუს სახით ახდენდა, დღეს რ. მ. კლასობ. ჩასიათისაა, თუმცა ზოგადკაცობრიულის დევიზით გამოდის. მორალი მისი იარაღია, ვინც ბატონობს. თუ გამართლებულია რელიგ. ომები, ბართლომეს ღამე, ერესთან ბრძოლა, ბრუნოს დაწვა კოცონზე, შვილისგან მამის ცალატი და მისთ., ეს უკვე გაბატონ. მოძალადეთა მორალია და არ შეიძლება ერთგვაროვანი, საყოველთაოდ მისაღები იყოს. ის ატარებს ფარისეველობის იერს, მორალი ვერ სპობს მექრთამეობას, ცალატს, გამოძალვას, მომხვეჭელობას, გახრწნ-ს და სხვა მარადიულ ნეგატიურ მოვლენებს, თუმცა ასეთი პრეტენზია აქვს. რაც ფსევდოჰუმანურია, ყალბია და სიცრუეზე აგებული, ის წარმავალია, რა მაღალფარდოვანი მორალური სიტყვებითაც არ უნდა შეინიღბოს და არ დაგმოს მოპირდაპირე რელიგიები, იდეები, მოვლენები. დღეს რ. მ-ის მოდერნიზაცია ხდება, მაგრამ არსი მისი უცვლელია, კომ. მორალთან შეუთავსებელი. ეს უკანასკ: კი ყალბია.

მორმონები (ბიბლ. მორმონიდან, ინგლ. მორმონს — „უკანასკნელი დღის წმინდანები") — იესო ქრისტეს ეკლესიის წევრები, „უკანასკ. დღის წმინდანებად" ცნობილი მორწმუნეები, რ-თა სექტაც დააარსა ჯონ სმიტმა (1805—44) 1830 წელს ამერიკაში. ჯონ (ჯოზეფ) სმიტი იყო გაუნათლებელი, თაღლითი, „განძთა აღმომჩენი", გაკოტრებული ბანკირი და ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატიც კი. მან მიითვისა ვინმე სოლომონ სპოლდინგის გამოუქვეყნებელი რომანი „აღმოჩენილი ხელნაწერი", მოახდინა მისი სპეკულაცია, ვითომ ნიუ-იორკის შტატის ერთ კლდეში მიეგნოს უძველეს ებრაელთა ნაქონი ბიბლიისათვის, რ-ის ავტორია „უკანასკნელი წინასწარმეტყველი მორმონი" (აქედ. სექტის სახელი). სმიტმა ეს „ოქროს წიგნი" ჩამწერს უკარნახა, შემდეგ ის თითქოს გაქრა, ანგელოზებმა მოიპარეს. პლაგიატი საკვეყნოდ გახმაურდა (თუმცა რომანის ხელნაწერი გარდაცვლილი ავტორის ნათესავებს მოპპარეს). მაგრამ ამან მ-ები ვერ შეაშინა. ფანატიკოსთა ბრბო ადიდებდა სმიტს, ახ. წინასწარმეტყველს, რ-საც ამერიკაში უნდა შეექმნა ახ. ისრაელი, ათასწლოვანი სამეფო. მან განაცხადა, რომ ეჩვენა იოანე ნათლისმცემელი, უბრძანა შეექმნა აარონის ბირთვი, რ-საც შემდეგ დაეკვალა მეათედის (მ-თა მთავარი შემოსავლის) შეკრება. სმიტმა ძვ. პატრიარქთა მიბაძვით შემოიღო მრავალცოლიანობა, რ-საც კონგრესი უშედეგოდ ებრძოდა (ორჯერ აკრძალა, 1890 წ. კანონით). ამ ნიადაგზე მოხდა შეტაკება მილიციასთან, სმიტი და მისი ძმა, „პატრიარქი" ჰიერმი შეიპყრეს, ხალხმა ორივე დახვრიტა. სექტამ ქ. ნოვუში ააგო სიონი; თუმცა გაცლა ებრძანათ. სექტას სათავეში ჩაუდგა იონგი, რ-იც 33 წელი წარმატებით განაგებდა მას (გარდ. 1877), გამოეყო ჯოზეფიტების სექტა (მოკლულ ჯოზეფ სმიტის შვილის მეთაურობით). დას-ში განდევნილმა მ-ებმა სამოსახლო შექმნეს მლაშე ტბის მხარეში (სოლტ ლეი სიტი, იუტის შტატი, რ-იც კონგრესმა მათ მიაკუთვნა და სექტის პრეზიდენტი იმავე დროს გახდა შტატის გუბერნატორი). ჩინებულად დაამუშავეს მიწა, ააშენეს „ახალი იერუსალიმი", დაამკვიდრეს მრავალცოლიანობა, დააწესეს საკუთარი მმართველობა და ღერბი „სპილენძის ფუტკარი". ათი ათასობით

ინგლისელი მიაწყდა იუტს სადაც შექმნეს ავტონომიური თეოკრატიული მოაკერობა: განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს პრეზიდენტს. „ახალ წარმართთა" წინასწარმეტყველსა და იმავე დროს „ნათელმჭვრეტელს". რ-საც პყავს ორი თანაშემწე. 70 „მოწაფე". მათი მოძღვრებით, არსებობს მრავალი ღმერთი, უზენაესია ანდროგენი, რ-იც ცხოვრობს ცთომილ კოლობზე. თვითონ თაყვანს სცემენ დედამიწის ღმერთს, რ-საც ვენერასთან შეუღლებით ეყოლა ბოროტი სული ლუციფერი, ქრისტეს რომ შეება და მიქელანგელოზმა (კაცთა ტომის მამამთავარმა) დაამარცხა. სამებას ცნობენ. ოღონდ მამასა და ძეს, ხოლო სულიწმინდა მათი ენერგიის გამოვლინებაა. ქრისტიანები, სულიწმინდის თაყვანისმცემელნი, ათეისტები კერპთთაყვანისმცემელნი არიან. მეორე მხრივ, არსებობს მხოლოდ მატერია. სხვა ყოველივე — ატომთა გროვაა. ცოდვაა არა უფლის წინაშე ურჩობა, არამედ სექტის პრეზიდენტისადმი ურჩობა, დანაშაული კი — ეჭვი. ქალს ნება ეძლევა კავშირი იქონიოს ქმართან და სულთან, ე. ი. პრეზიდენტთან და მის თანაშემწეებთან ამით მრავალცოლიანობას დაემატა მრავალქმრიანობა სწამთ ეშმაკის განდევნა, მკურნალობა ხელდასხმით, აქვთ წარმართ. და ქრისტ. წესები, ბრალი ედებათ ადამიანის მსხვერპლად შეწირვაში, ცნობილი არიან ბარბაროსული სისასტიკით (1857 წ. იონგის ბრძანებით მაიორმა ლიმ უწყალოდ დახვრიტა დას-ში მიმავალი უიარაღო ხალხი, ქალი და კაცი, ორასამდე ადამიანი, ხოლო როცა ორი წლის შემდეგ გენერალმა კარლტონმა მათი ჩონჩხების სამარხზე ძეგლი ააგო სათანადო წარწერით, იონგმა ის დაანგრია და დაუსჯელი დარჩა). ხალხი იუტის შტატში ცახცახებს ფარული მკელელობის შიშით. „შურისმგებელი ანგელოზები" მსხვერპლს დაეძებენ.

მ-ები თავს თვლიან რჩეულ ხალხად, ადამიანთა გაბედნიერების მისიას ითვისებენ, და ხოცავენ ყველას, ვინც ამ „პროგრესის გზაზე" გადაუდგებათ. 7 საიდუმლოდან ცნობენ. ნათლობას და სინანულს. ჰყავთ პროკურორი — ეპისკოპოსი, საბჭო, მისიონერები... მარტო აშშ-ში ჰყავთ 3 მილიონამდე წევრი. გავრცელებულია კანადაში, მექსიკაში, ფედერ. გერმ-ში, სკანდინავიაში, ინგლისში, ავსტრიაში, ავსტრალიაში, ახ. ზელანდიაში...

მ-თა სექტა, რ-ის ბიბლია ყალბი და ნასხვაურია, კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ყოველ განდგომილს, ავანტურისტს, მეოცნებეს შეუძლია შექმნას ახალი სექტა, მიმდინარეობა, რელიგია, ღმერთი, თუ ფანტაზია და გაქნილობა ამის საშუალებას მისცემს. მთელი მისი არსი რეაქციულია.

მოსავლის დღესასწაული — ცნობილია ყველა მიწათმოქმედი ხალხის კულტ. ისტ-ში, მით-ში, დაკავშირებულია მიწათმოქმედების მფარველ ღვთაებათა სახელებთან, იმართებოდა სხვადასხვა დროს (ოსირისი, კიბელე, დემეტრეს და პერსეფონეს დღესასწ. — ელევსინიები; თორი, პერუნი, მარიამი...). ახ. დროში ასე უწოდებენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დღესასწაულს ზოგ ქიმდინარ-ში (ბაპტიზმი, ევანგელისტები, ადვენტისტები), აღინიშნება უფრო სექტ-ში. როგორც მოსავლიანობის დღესასწ., უსსოვარი დროიდანვე ცნობილია, მაგრამ რელიგია მუდამ თავის დღეობებს უკავშირებდა და მეტი მოსავლის მიღების, გამდიდრების წყაროდ იყენებდა, როგორც ყოველი გაბატ. კასტა ყოველ დროში. აქაც ასეა, მოსავლის აღებაში „უფლის მოსავალიც"

იგულისხმება (როგორც „სამწყსოში" — მრევლი). კერძოდ — მისიონერების საქმიანობა. მთავარია მადლობა უფლისადმი მიღმაქვეყნ. ცხონებისათვის, რასაც ამქვეყნ. ცხოვრება და სიმშვიდე ეწირება. მოსავალს ღმერთი იძლევა ადამიანის სიბეჯითით. მორწმუნეთა მოზიდვაც მოსავლად ითვლება.

მოღვაწე — ნ. ასკეტი.

მოყვასის სიყვარული — „გიყვარდეს მოყვასი შენი" — ქრისტ. აღთქმა, ერთ-ერთი ძირით. რელიგ.-მორალ. მცნება, ფიქსირებულია ძვ. აღთქმაშიც (ლევიტელთა 19,18) და ახ. აღთქმაშიც („ხოლო იესო პრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი... ესე არს დიდი და პირველი მცნება, და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი", მათ. 22,37—39). მისი კრიტიკის არსი ისაა, რომ სახარება ამას ქადაგებს არა უშუალოდ კაცთმოყვარეობის, არამედ უფლისადმი ერთგულების და საკუთარი ხსნის (რწმენის) მოსაზრებით: ღმერთი საკუთარ თავზე მეტად უნდა გიყვარდეს, ხოლო ამ სიყვარულის კლასიკ. მაგალითია აბრაამის მიერ ღმერთისათვის ღვიძლი შვილის შეწირვის თანხმობა. შვილისაგან მამის, ხოლო მამისაგან შვილის გაწირვა კი, რა იდეისა და მორალისთვისაც არ უნდა იყოს, რეაქციულად ჟღერს... „გიყვარდეთ მტერნი თქვენი, და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა". (მათ. 5,44). ეს აქრობს მტერთან, მსაგვრელთან ბრძოლის სულისკვეთებას. მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე ბრალდება ისაა, რომ თვით კლირი არ ასრულებდა ამ მცნებას, თესავდა სიძულვილს ერეტიკოსთა, მთელი ხალხების წინააღმდეგაც კი, კათოლ. ეკლ. სახელით ეწყობოდა რელიგ. ომები, ჯვაროსნ. ლაშქრობანი, ათასობით ადამიანის წამება. ეს ქრისტ. სიყვარული არაა!

მოციქულები (ბერძ. აპოსტოლოს დესპანი, ელჩი, შუამავალი) — ქრისტეს რჩეული მოწაფეები, უახლოესი თანამგზავრები, მისი „კოლეგიის" 12 წევრი, პირველი ქრისტ. თემობის ბირთვი: „პირველად სვიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრია, ძმა მისი, იაკობ ზებედესი და იოანე, ძმა მისი; ფილიპე და ბართლომე, თომა და მატთეოს მეზვერე, იაკობ ალფესი და ლიბეოს, რომელსა ეწოდა თადეოს; სვიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა გასცა იგი. ესე ათ-ორ-მეტნი წარავლინნა იესო" (მათე 10, 2-4). მიმდევრობაში არის მცირე განსხვავება. ლეონარდოს „საიდუმლო სერობაში" მ-ები მარცხნიდან მარჯვნივ ასე განლაგებულან: ბართლომე, იაკობი (II), ანდრია, იუდა (ზის, შავი და უნდო, ხელში ქისა უჭირავს), პეტრე (წამომდგარია), იოანე (თავდახრილი უსმენს პეტრეს), ქრისტე („ერთი თქვენგანი გამცემს"), თომა, იაკობ I, ფილიპე (დგას გაოცებული), მათე, თადეოზ, სიმონ. რიცხვი 12 საკრალურია, გამოძახილი იაკობის 12 შვილისა, რ-თაც დასაბამი მისცეს უფლის რჩეული ხალხის 12 ტომს (რუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, ისახარი, ზაბულონი, დანი, ნეფთალიმი, გადი (გაადი), ასერი (ასირი), იოსები, ბენიამინი (ლიას, რაქელის და მათი მხევლებისაგან). ქრისტეს მ-ები ახალი რჩეულნი არიან და ევალებათ სნეულთა მკურნალობა, ეშმაკთა განსხმა, ეკეროვანთა განწმენდა, მკვდართა აღდგინება. შემდეგ ქრისტემ აარჩია კიდევ 70 სხვა მოწაფე (ეს რიცხვიც სიმბოლურია, დაკავშირებული კაცთა მოდგმის ბიბლიურ სისრულესთან, ეკლესიასთან, როგორც ესქატოლოგიურ (მეორედ მოსვლის) „ციურ იერუსალიმთან". 12 მრავალგზის გაანგარიშებული ოდენობაა: იერუ-

სალიშის 12 ჭიშკარი, 12 კედელი. 12 საძირკველი (თითო საძირკველზე დაფუძნებული 12 სამოციქულო ტაძარი), იოანეს გამოცხადების 12 ძვირფასი ქვა, 12 ნიშანი ზოდიაქოსი; წარმართულ-ბარბაროსული გაანგარიშებანი: 12 ღმერთი საბერძნეთისა და რომისა, 12 ზოდიაქო; 12 მცირე წინასწარმეტყველი, 12 რაინდი ართურის „მრგვალი მაგიდისა", 12 თვე, 12-12 სათ. დღე-ღამისა და ა. შ.

ატრიბუტებად მ-ებს აქვთ ძირითადად იარაღები, რ-ებითაც აწამეს: პეტრეს, ფილიპეს, სიმონს, თადეოზს — ჯვრები (ჯვარცმა); პავლეს, იაკობ მცირეს, მათეს — მახვილები; იაკობ უფროსს — კომბალი, თომას — შუბი; იოანე ღვთისმეტყველს — ფიალა, საიდანაც ამოდის გველი (ლოცვით გააუნებლა შხამი); ან წიგნი (კ. პატმოსზე და სხვ., ასევე დიურერის დიპტიქზე); პავლეს — იქსის ფორმის ჯვარი, იუდას — ქისა. ასეა ძირით. კათოლ. იკონოგრაფიაში. პირადი გამოსარჩევი ნიშნებიდან: წვერი (თადეოზს, სიმონს, ანდრიას, ბართლომეს, იაკობს, მათეს). ხელოვნებაში მ-ები მრავალგზის ასახულან (ფრესკები, ხატები, ჯვრები, ტილოები, მოზაიკები, კარტონები). ცნობილია სოფიის ტაძრის მოზაიკა კიევში (დაახ. 1108); ბიზანტიელ ოსტატთა ხატი (XIV ს., მოსკ.); დიურერის მ-ები (მიუნხენი, ძვ. პინაკოთეკა, 1526), რაფაელის კარტონები („თევზის ჭერა", 1517—19, ვატიკანი), ლეონარდოს „საიდუმლო სერობა"...

IV ს-დან უკვე ასახულია ყოველნაირად (სარკოფაგებზე, დაახ. 400 წ.), ნიშნებიდან: პეტრე — წვეროსანი, ჯანიერი, ზოგჯერ პაპის სამოსით, ერთი ან ორი გასაღები, კვერთხი ან ჯვრიანი არგანი; პავლე — მელოტი, გრძელი მუქი წვერი, უჭირავს წიგნი — ნიშანი მისი განსწავლულობისა, და XIII ს-დან მახვილი, რითაც მოკლეს, ანდრია („მ-თა მეფის" პეტრეს ძმა) მოხუცი, გრძელი წვერით, „ანდრიას ჯვარცმით"; იაკობ უფროსი, მავრებისაგან ესპანელთა მფარველი, დაკრძალული სანტ იაგო დე კომპოსტელაში, ყარიბი, კვერთხით, მოგზაურის ქუდით, მახვილით, რ-ითაც თავი მოკვეთეს; იოანე, ქრისტეს საყვარელი მოწაფე, ახალგაზრდა, უწვერულვაშო, ვერ იმოქმედა შხამმა, ვერც მდუღარე ზეთმა, რ-შიაც ხარშავდა დომიციანე — წიგნი, ფიალა; ფილიპე — ჯვარცმით; თომა — შუბით ან კუთხის საზომით, რადგან ინდოეთში სასახლეს აშენებდა (ხუროთმოძღვართა მფარველი); მათე მახარობელი — მახვილით ან შუბნაჯახით, რითაც ეთიოპიაში აწამეს; იაკობ უმცროსი — კომბლით (სცემეს, ჩაქოლეს); სიმონ კანანელი ანუ ზელოტი — ხერხი (გადახერხეს); თადეოზი — იშვიათად ხატავენ, კომბალი უჭირავს; მატთეასი — იშვიათად ნაჩვენები, გვიან მოწოდებული, ნაჯახით; იუდა — ქისით.

ეს მქადაგებლები, სოფლიდან სოფელში რომ დადიოდნენ, ავრცელებდნენ ახალ მოძღვრებას, მიმართავდნენ ეპისტოლეებით ქალაქებსა და პიროვნებებს ახალი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე (ასე გაჩნდა შემდეგ დახვეწილი ეპისტოლეები პეტრესი, პავლესი და სხვათა—რომაელთა, კოლაელთა, ეფესოელთა მიმართ და სხვ.). შემდეგ მქადაგებელთა რიცხვი შემცირდა, დადგინდა 12 მოციქული ქრისტეს მიერ არჩეული მოწაფეებისა („თქვენ შეგობარნი ჩემნი ხართ... ყოველი, რავდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქვენ", იოანე 15,12-15). ჯერ ცხოვრების შუაგულში ატარებდა, უხსნიდა,

მერე დაიწყო საქადაგებლად გაგზავნა. სახლში რომ შევიდოდნენ, უნდა ეთქვათ „მშვიდობა სახლსა ამას!"

ეკლესიამ 12 მოციქულს შეუფარდა 12 ზოდიაქო: ეერძი — პეტრეს, კურო — ლუკას, ტყუები — თომა მარჩბიეს, კირჩხიბი — სიმონს, ლომი — მარკოზს, ქალწული — იოანეს, სასწორი — მათეს, ღრიანკალი — იაკობს, მშვილდოსანი — ბართლომეს, თხის რქა — პავლეს, თევზი — ანდრიას. მოციქულებს ხატავდნენ ჯოტო, ლეონარდო, ტინტორეტო და სხვა კორიფეები.

ზოგი მარტივად უიქრობს, რომ მ-ები სუფთა მითიური პიროვნებებია. ეს შეხედულება გადასინჯულია. ბევრი მათგანი რეალური პიროვნება, მოხეტიალე მქადაგებელი იყო, მსგავსად ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, და მათი მითიზაცია იწყება იქ, სადაც წმინდა სასწაულებზე გადადიან.

მოხსენება — ნ. აღაპი.

მრეელი — უდაბლესი საეკლ.-ადმინისტრ. ერთეული, რ-საც ჰყავს კრებული (მღვდელი, დიაკონი, მეუსალმუნე, მნე), აგრეთვე მორწმუნეთა თემობა, რ-ის ხარჯზეც ის ცხოვრობს. ცენტრია ეკლესია, სათავეში დგას საბჭო. საზღვრებს ადგენენ ტერიტ. მიხედვით. სამრევლო სკოლა — დაწყებითი სასულ. სასწავ.

მრწამსი — ქრისტ. რწმენის არსის გამომხატე. ლოცვა (საწყისი სიტყვებით: „მრწამს ერთი ღმერთი .. და ერთი უფალი იესო... და ჯვარს ეცვა ჩვენთვის .. და აღსდგა მესამესა დღესა... და ამაღლდა ზეცად...")

მსგეფსი (ძვ. ქართ.) — „შვიდეული დღეთა, სწორით სწორი" (საბა), დღეის სწორს; დროის მონაკვეთი, სწორეთ სწორამდე (კვირა, წელი): „წელიწადსა ერთსა მსგეფსსა აქავ ქვაბსა მომნახავიდე" (შოთა); შურის კვირა, ხსნილის კვირა, როცა მარხვა აღარაა (სედმიცა; სტრასტნაია ნედელია). იგ. მზეფსი.

მსოფლიო საეკლესიო საბჭო (მსს) — ეკუმენ(ისტ)ური მოძრაობის (ნ.) უმაღლესი ორგანო. შეიქმნა 1948 ამსტერდამში I ასამბლეაზე. მისი მამოძრავებელი ძალები იყო 3 პროტესტ. მიმდინ. („რწმენა და წესრიგი," „ცხოვრება და მოღვაწეობა", მისიონერობა). იდეა ამაღლებულია. ყოველი ქრისტ. მიმდინარეობის შესწავლისა და შეძლებისამებრ შეთანხმების შედეგად შეიქმნა პრაქტიკულად ერთიანი მსოფლიო სულისკვეთება, ერთი რწმენა და მმართველობის საერთო ორგანო. 1975, ასამბლეის IV სხდომაზე უფასალაში წამოჭრილი იდეა „ეკლესიის განახლებისა" გაშომახილს პოულობს V ასამბლეაზეც (ნაირობი), მერე მასაჩუსეტში („რწმენა, მეცნ. და ძმეავალი", აშშ, 1979) კონფერენცია შეეხო ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორიცაა გაბინარადება, ეკოლოგია. სამეცნიერო პროგრესი. ეს ახალი ძლიერი ორგანო აერთიანებს 360 მილიონ მორწმუნეს 100 ქვეყნიდან, 300 რელიგ. გაერთიანებას (1980 წ. მონაცემებით). ჩვენი ქვეყნიდან მსს-ში შედის 6 რელიგ. ორგანიზაცია: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლ., საქართველოს მართლმადიდ. ეკლესია, სომხეთის ეკლესია, ლატვიისა და ესტონეთის ლუთერან. ეკლ., ევანგელისტთა ქრისტ.-ბაპტისტ. კავშირი. უდაეოა მრავალი წარმომადგენლის გულწრფელი ბრძოლა მშვიდობისათვის, ახ. ვითარებასთან შეგუება. მთავარი პრინციპი კი, რომ ეკუმენ(ისტ)ური მოძრაობა „ამაღლდეს სოციალიზმზეც კაპიტალიზმზეც".

მსხვერპლშეწირეა — ყველა რელიგიისათვის ანიმიზმის ეპოქიდან განვითარ. და დამახასიათებ. წესი რაიმე მსხვერპლის შეწირვისა ღმერთების, სულების მოსამადლიერებლად, მიცვალებულთა მოსახსენებლად, ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევებთან დაკავშირებით (პირუტყვის დაკვლა, საკმეველის კმევა. ზედაშეს წაქცევა, სანთლების დანთება, ფულის ან ოქრო-ვერცხლის შეწირვა). ღმერთის, სულის, დემონის მოსამადლიერებელი ან სამადლობელი მსხვერპლი ადამიანის უმწეობის გამოხატულება იყო ბუნების ძალთა, სიკვდილის, სენის წინაშე. უძვ. დროიდან იყო სისხლიანი ან უსისხლო (ვარდის შეწირვაც კი). ზოგჯერ ღმერთს მოხერხებულად ატყუებდნენ ხოლმე: რომაელები აღუთქვამდნენ, სამ სულს შეგწირავთო, და სამ ვარდს შესწირავდნენ. საშინელი წესი არსებობდა ზოგ ძვ. ხალხში (ასირია, ეგვიპტე, აცტეკები): ადამიანის შეწირვა (ტყვეთა, ამორჩეულთა, ზოგჯერ მეფისწულთაც კი, მისნის რჩევით). ადამიანი ეწირებოდა ბაალს, ბელონას, ლიკეის ზეუსს, ლეევკასის აპოლონს, იუპიტერს, ლარების დედას, მოლოქს, ინკების სულებს... რომში ხდებოდა დიდი მსხვერპლშეწირვა, ჰეკატომბა (100 ხარის დაკვლა); იერუსალიმის ტაძრის კურთხევაზე დაიკლა 22000 ხარი და 120000 ცხვარი. ქრისტ. ღვთისმსახ-ში შემოღებულია მ. ცეცხლით (ცელაპტრები, საკმეველი). დღესაც დიდძალი ხალხი სწირავს მსხვერპლს შინ და ეკლესიებში (ალავერდი, წმ. გიორგის ეკლ-ში, ილორში, ლომისაში, ლაგვირკაში, თელეთობაზე...). მსხვერპლს სწირავენ მადლობის ნიშნად (უმაღლესში მოწყობისათვის, ავარიაში მოხვედრილთა გადარჩენისათვის, სნეულის მორჩენისათვის და ა. შ.). შამანობამ, სამისნოებმა, ტაძრების სისტემამ უფრო გაართულა და გაამრავალფეროვნა მ., შამანები და ქურუმები მსხვერპლის რჩეულ ნაწილს ითვისებდნენ (საკლავს თუ ფულს). დიდი იყო ფანტაზიის როლი. ციურ ღმერთებს თეთრ საქონელს სწირავდნენ, ქვესკნელის ღმერთებს — შავს. თვით განათლებული ერები იმეორებდნენ ძვ. ბარბაროსულ წესს. ბიბლიაში არის საამისო საბუთები, თუმცა ებრაელები საერთოდ უარყოფენ ადამიანის მსხვერპლს (აბრაამი გაემზადა ისაკის დასაკლავად; გალადელი მსაჯული იეფთაი მსხვერპლად სწირავს, თუნდაც სიმბოლურად, საკუთარ ასულს). ქრისტ-მ ადამიანის შეწირვა შეცვალა, მაგრამ როგორც ფოიერბახი შენიშნავს, განდეგილობა, მარხვა, სიამოვნებაზე უარის თქმა და მისთ. იგივე მსხვერპლია; თვით ქრისტეს ჯვარცმაც მსხვერპლშეწირვაა. ძველ ქანაანელთა ბაალზე რომ არაფერი ეთქვათ, ინდოეთში თითქმის გასულ საუკუნემდე შემორჩა ეს ბარბაროსული და უსარგებლო წესი ადამიანის მსხვერპლად შეწირვისა, თუმცა ძვ. ბაბილონელ ბრაენთაც კი უკვე სისულელედ მიაჩნდათ საერთოდ მსხვერპლის შეწირვა. მტკიცედ გამჯდარი ტრადიცია მაინც გრძელდება.

მტკიცებანი (საბუთები) **უფლის ყოფიერებისა** — იდეალისტ., ღვთისმეტყველური საბუთები, რ-თა მიზანია ღმერთის არსებობის დამტკიცება. თეორიულ-ფილოსოფ. საბუთებია, ძირითადად ასეთი: 1. ონტოლოგიური საბუთი (ბერძ. ონტო — არსებობა, ლეგო — ვამბობ) — ღმერთის, როგორც აბსოლუტური არსების მტკიცება. წამოაყენეს ავგუსტინემ და ანსელმმა, ოდნავ განავითარეს რენე დეკარტემ და ლაიბნიცმა. ღმერთი განსახიერებაა ყოველი სრულყოფილებისა; არსებობაც სრულყოფილებაა, მაშ ღმერთი არსებობს;

2. კოსმოლოგიური საბუთი. ყოველგვარ მოძრაობას აქვს რაღაც მიზეზი, აღმძრავი, „მტუნავი წერტილი“, და რაკი საგნებში მისი პოვნა შეუძლებელია. მაშ არსებობს ღმერთი და განაპირობებს ყველა მოძრაობას; მაგრამ მოძრაობა შეიცავს მთლიანისა და მოპირდაპირეთა წინააღმდეგობისა, რისთვისაც ღმერთი არაა აუცილებელი, ამბობს მატერიალიზმი; 3. ტელეოლოგიური (ბერძ. ტელეოს — ბოლო, ლოგოს — სიტყვა, მოძღვრება საბოლოო მიზანზე): ყველაფერი ბუნებაში ლოგიკური, კანონზომიერია და მიზანშეწონილი, რაც შეიძლება მხოლოდ ღმერთის არსებობით აიხსნას. დარვინმა ახსნა, რომ სახეები არსებობისათვის პრძოლაში ვითარდებიან, მცენარეთა სამყაროც მუდმივ ევოლუციას განიცდის და მათ ღმერთი არ აწესრიგებს; 4. მორალური საბუთი, რაც კანტმა აბსტრაქტულ-იდეალისტური პოზიციიდან წამოაყენა. მორალური წესრიგის შემოქმედი და მოთავეა ღმერთი, სხვა ძალა გამორიცხულიაო. მაგრამ მორალი ხომ დროის პროდუქტია, მიწიერი და არა ციური ფენომენი! 5. ეოლუნტარისტული (ლათ. ეოლუნტარიუს — ნებისყოფისმიერი) — შეხედულება, რომლის მიხედვითაც ყოველივე არსებულის, განვითარების საფუძველია არა გონება, არამედ ნებისყოფა; რელიგიაში ამ აზრით განავითარეს: ადამიანი შეიცნობს ბუნებას, მაგრამ ყოვლისშემძლე არაა, მაშასადამე, არსებობს რაღაც ყოვლისშემძლე, ღმერთი, რომელიც ნებისყოფით სრულჰყოფს ყოველ არსს; ამაზე მატერიალისტები პასუხობენ: თუ ადამიანი ყოვლისშემძლე არაა, კაცობრიობას უსასრულოდ ბევრი შეუძლია და არა აქვს საზღვარი მის განვითარებას; 6. ემოციურ-ფსიქოლოგიური საბუთი: მორწმუნეს აქვს განცდა ღმერთისა, მაშ ის არსებობს. დიახ, მორწმუნე განიცდის, მისი განცდა არსებობს, მაგრამ არა ობიექტი, ესაა განცდა გადმოცე"ითი, შთაგონებითი; 7. დაბოლოს, რაკი ამ მტკიცებებს პასუხი მოეძებნებათ, რელიგია ქადაგებს უნივერსალურ არგუმენტს: ღმერთი ეცხადება ადამიანს, მაშ ის არსებობს, ეს გამოცხადებაა მისი შეცნობის წყარო (იოანეს გამოცხადება, ბიბლიური).

მუზეუმი (ბერძ. მუსეიონ, მუზების სახლი, ლათ. მუზეუმ — ისტორიული ნივთების, ძეგლების, მასალების საცავი, საჩვენებელი (ისტორიული, ეთნოგრაფიული, ხელოვნებისა, მაგ. განთქმული ვატიკანის მუზეუმი, პრადო, ერმიტაჟი...); რელიგიის და ათეიზმის ისტორიის მუზეუმი — მეცნიერული ათეიზმის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი ჩვენს ქვეყანაში, დაარსდა 1932 წ. ლენინგრადში, ყოფ. ყაზანის ტაძრის შენობაში, სადაც თავს იყრის უამრავი მასალა და გამოდის საშეც. შრომები. არის ლვოვშიც.

მუფთი (არაბ. მუფტი) — უმაღლესი სასულიერო პირი მუსულმ. რელ-ში, ყურანის განმმარტებელი, იურიდ. უფლებებით აღჭურვილი გავლენიანი პირი.

მუჯტაჰიდი (არაბ. ჯახადა—ცდა, სწავლა) — ისლამის განსწავლული ღვთისმეტყველი.

მუჯაჰიდი (დაახ. 570—630) — მაჰმადი, მოჰამედი, მუსულმანთა უდიდესი წინასწარმეტყველი და ნათელმჭვრეტელი, ალაჰის გამოგზავნილი დედამიწაზე ახ. დიდი რელიგიის საქადაგებლად. მკვლევართათვის ესაა ისლამის დამფუძნებელი და ყურანის ავტორი, თუმცა ამ წმ. წიგნში, როგორც მაჰმადიანები ეძახიან, კვალიც არა ჩანს მისი სარწმუნო ბიოგრაფიისა. იყო ნახევრად მით.

პიროუნება, უწინ წარმართული სარწმუნოების მიმდევარი, ღარიბი, ხაშიმის ტომისა. ადრე დაობლებული, მწყემსი, ქარავნის გამყოლი (აქლემთა გამრეკავი), მერე მდიდარი ქვრივი შეირთო და გახდა ვაჭარი, თან უარყო ჰანიფი-ზმი და დაახ. 610 დაიწყო ახ. რელიგიის ქადაგება. მექაში დაბადებულმა იქ რელიგ. განხეთქილების გამო ვერ გაიმარჯვა და გადავიდა მედინაში, სადაც მრავალი მიმდევარი შეიძინა. ჰიჯრამ, „გადასახლებამ" მექადან მედინაში უსეეულო წარმატება მოუტანა, ის გახდა იბრაჰიმის „ჭეშმარიტი სარწმუ-ნოების" დამამკვიდრებელი, „მაუწყებელი ალაჰის ნებისა", რაც თითქოს ზეცით უკარნახა უსენაესმა ღმერთმა ალაჰმა (როგორც ბიბლია — იაღვემ). მუსულმანები ჰიჯრას უყურებენ, როგორც გაქცევას (როგორც დაეითის და მოსეს გაქცევას — ისრაელები). მ. გახდა ახ. სახელმწ. წყობილების დამაარ-სებელი და სარდალი, რ-მაც დაამარცხა მოწინააღმდეგეები და ზეიმით შე-ვიდა მექაში; იბრაჰიმის ამენებულ ქაბას აღმადგენელია, წარმართებს რომ ცრუ წარმართი ღმერთების სადიდებლად ექციათ (როგორც მეკერძეებს იე-რუსალიმი — სავაჭრო სახლად). ეს მოხდა 630, ჰიჯრადან 8 წლის შემდეგ. მით. ელემენტები. შეიცავენ მეტ სასწაულს, სინამდვილე გაზღაპრებულია მ-ის ბიოგრაფიაში, რაც ხალიფის ბრძანებით დაწერა ერთმა მედინელმა იბნ ისჰაკმა VIII ს-ში. არსებობს ლეგენდა მ-ის იერუსალიმს შესვლაზე და სხვ., გარდ. მედინაში. მუსულმანები ზეიმობენ მის აღდგომას. თვით ყურანი მას სასწაულთმოქმედად არ თვლის. სასწაულია თვით ყურანი.

მღვდელი — ქრისტ. სარწმ. კულტის მსახურის წოდება, ოფიც. პრესვი-ტერი (ბერძ. პრესბიტერი), იერეი (ბერძ. ჰიეროს, წმ.), მრევლის თავი, უფლე-ბამოსილი, რომ ჩაატაროს ყველა საიდუმლო წესი, მღვდლობის გარდა.

მღვდლობა — ქრისტ. სარწმ-ის 7 მთავარ საიდუმლოთაგანი, რ-ის საშ-ითაც ადამიანს ენიჭება საპატიო წოდება — მღვდლისა, პრესვიტერისა, ეპის-კოპოსისა. საიდუმლო ცერემონიალის აზრი ისაა, რომ ვისაც მღვდელმთა-ვარი ხელს დაადებს სათანადო კურთხევით, იმის თავზე გადმოდის უსენაე-სის მადლი ციური და ხდება შუამავლად ღმერთსა და კაცთა შორის. აქვს სამი საფეხური: დიაკვნის, პრესვიტერის და ეპისკოპოსისა. პირველს მადლი გადაეცემა ნაკლები ძალისა, მეორეს მეტი და უმაღლესი — ეპისკოპოსს. მღვდლობის საიდუმლოს ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ ეპისკოპოსს, ხოლო ეპისკოპოსის მიმართ — ეპისკოპოსთა კრებას. მღვდლად კურთხეულს აქვს უფლება ექვსივე საიდუმლოს მოხდენისა და მრევლის ცხოვრების მო-რალ.-რელიგ. გაძღოლისა.

მღვდლობის ნაცვლად და იმავე მნიშვნელობით ზოგჯერ ხმარობენ „ქუ-რუმობას", რადგან ქურუმი (იერეი, ბერძ. ჰიეროს) საერთოდ მღვდლის სი-ნონიმია როგორც მართლმადიდებელთა, ასევე რომის კათოლ. ეკლესიაში, სადაც პაპს უსენაეს ქურუმსაც უწოდებენ. ქურუმი უფრო ძველი, აწ უმალ პოეტური სიტყვაა.

მცნებანი — ნ. ათი მცნება.

მცხეთობა — ახ. ტრადიც. დღესასწაული საქ-ს უძვ. ქ. მცხეთაში, იმარ-თება ყოველწლ. 13 ოქტ.-ს, 1979 წლიდან. თავს იყრის დიდძალი ხალხი, მო-დიან ბარაქით დატვირთული ურმები, იმართება ღღეობა, ღირსშესანიშნა-

ვი ზეიმები პირადი ცხოვრებისა, თეატრონი, სანახაობანი, ცეკვა-თამაში, სპორტული ასპარეზობა, კინოფილმების ჩვენება, მცხეთის საპატიო მოქალაქეთა არჩევა.

„მწამს, რადგან აბსურდია" (ლათ. კრედო, ქვია აბსურდუმ ესტ) — ცნობილი ხატოვანი თქმა დიდი საეკლ. მწერლის ტერტულიანისა (დაახ. 160—220). ძირით. აზრია: ადამიანი უძლურია ჩასწვდეს საეკლ. სიბრძნეს, უნდა იწამოს უკრიტიკოდ და უპირობოდ. შეიცავს ირონიას.

მწვალებელი (ძვ. ქართ. განწვალება — ერესი, განდგომა) — ერეტიკოსი; ეინც არსებულ სარწმუნოებას არ ცნობს, აყენებს „მწვალებლურ" თვალსაზრისს.

მწვანე დღესასწაულები — ძვ. სლავთა წარმართული „სემიკური" დღესასწაულები: გაზაფხულის სიმწვანე შეუფარდეს სამების შაბათს, აღდგომის შემდგომი, მეშვიდე კვირის ხუთშაბათს, იმართებოდა სმა და ღრეობა, იყო შემოსავლის წყარო, რასაც ყოველი დროის გაბატ. კასტა უკავშირებს მშრომელთა გამოძალვასა და ამა ქვეყნის ძლიერთა გამდიდრებას, რაღაც ამქვეყნ. თუ მიღმაქვეყნ. ბედნიერების ამაო აღთქმით.

მწუხრი — მწუხრის ლოცვა, დიდი და მცირე, შებინდებისას, კვირადღეების წინა საღამოს. სადაგ დღეებში — მცირე, დიდ დღესასწაულზე კი — დიდი.

მხეცობა რელიგიური — ნ. ურჯუკობა.

ნ

ნათელი კვირა (7 დღე) — აღდგომის დღეები (კვირაცხოვლობამდე).

ნათლისღება, ნათლიღება, ნათლობა უფლისა — 1. საკ. ქრისტეს ნათლობა წმ. მდ. იორდანეში იოანე ნათლისმცემლისაგან (წინამორბედი), როცა თავზე წყლის დასხმით იოანემ ძე უფლისა აკურთხა; 30 წლისა იესო წყლიდან გადმოვიდა, სულიწმიდა მტრედის სახით დაადგა თავზე და ციდან გაისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი, რომელ მე სათნო ვიყავ". ქრისტეს ღვთაებრიობის ამ დასტურით და მტრედის მოვლინებით პირველად მოხდა სამების (სამერთარსების) გამოცხადება; 2. ამ დიდ ქრისტ. მოვლენასთან დაკავშირებული დღესასწაული, სხვაგვარად უფლის გამოცხადება (სვან. განცხდაბ), წყალკურთხევა, საქრისტ. ერთი უდიდესი საიდუმლოება, შეიდთაგანი, ტარდება 6 (19) იანვარს, გამოცხადება ეწოდა ზეცით უფლის ხმის და მტრედის მოვლინების გამო (აქედ. სანათლისღებო, საწყალკურთხევო. სანათლისღებო მარხვა) ამ დღეს, როცა იოანე წინამორბედმა ნათელი სცა იესოს „იორდანესა შინა" (მათე, 3, 1...), და იქვე დაგმო სადუკეველნი და ფარისეველნი, „ნაშობნი იქედნეთანი". ამ საიდუმლოს თეოლოგ. აზრი ისაა, რომ ადამიანი სულიერად იბადება და შეწყნარებული იქნება წმ. ეკლ.-ის წიაღში. საღმრთო საიდუმლოს — მირონცხების სახით ადამიანს ამ დღეს ენიჭება საღმრთო მადლი და განმტკიცდება მისი შემდგომი ცხოვრება. ეკლესიებში ხდება იორდანეს წყლის კურთხევა (მოსხურება, იორდანობაც აქედანაა). ეკლ. ამ დღესასწაულს რელიგ. რწმენის განსამტკიცებლად იყენებს. ამ მოვლენებთან

კავშირშია ნათელ-მირონობა, სვინაობა, ბავშვის შშობელსა და ნათლიას შორის დამყარ. ნათეს. კავშირი, რასაც ეკლ. დიდ მნიშვნ-ს ანიჭებს (რუს. კუმოვსტვო).

ნათლისცემა, ნათლისმცემლობა (რუს. ივან-კუპალა, ცერემონიალის დროს გამვლელ-გამომველელთა წყლით დასველების ან წყალში გადაგდების, „განბანვის" საფუძველზე) — იოანე ნათლისმცემლის (წინამორბედის) დღე, განსაკ. საპატიო დღესასწ., დაკავშირ. ქრისტეს მომნათელელის სახელთან, თავისი ძირებით კი უაღრესად ძვ. მაგიური ზეიმი მოსავლისა (პურის სიმწიფესთან დაკავშ.), რაც ყველა ევროპელ ხალხს თავისებურად ჰქონდა უხსოვარი დროიდან: 23-24 ივნისს ღამით ცრუ რწმენის თანახმად თავს იყრიდნენ კუდიანები, ბოროტი სულები. ყვავილობდა გვიმრა, რომლის ფესვიც აღჭურვილია უნარით განკურნოს სნეული და აპოვნინოს მფლობელს მიწაში ჩამარხული განძი (ალბათ ზოგ შემთხვევასთან დაკავშირებით, როცა მდიდრის ან მტრიან მთავართა მიერ მიწაში ჩამარხული და შემთხვევით ნაპოვნი დაკარგული განძი უპოვნიათ). სინამდვილეში გვიმრა საერთოდ არ ყვავილობს, შესაძლოა ფუტუროს ან ციცინათელას ფოსფორულ შუქს თვლიდნენ გვიმრის ყვავილად. ნ-ის დღეს უამრავ ბალახს აგროვებდნენ, ახმობდნენ. ქუჩაში გამვლელს წყალს მიაღვრიდნენ, ან ეინმე ქალს მდინარეში, ტლაპოში გადააგდებდნენ და ამაზე იცინოდნენ (წვიმის გამოწვევის მიზნით), ან ცეცხლის სამკურნალო-განმწმენდელ ძალაში დარწმუნებულნი კოცონებს აჩაღებდნენ და ზედ ხტებოდნენ, თითქოს ამით „მელოტ მთაზე" თავმოყრილ კუდიანებს აფრთხობდნენ. ზაფხულის უმოკლეს ღამეს, მზის დგომის დღეს გამართულ ამ ცერემონიებს მერე დაუკავშირეს იოანეს დღესასწ., მაგრამ ეკლესიამ წარმართული წესების მოსპობა ვერაფერ ვერ შეძლო. ნათლისმცემლის ნეშტი ივლიანე განდგომილის ბრძანებით საქონლის ძვლებს შეურიეს და დაწვეს, მაგრამ ხალხმა იწამა მისი რელიქიები, მრავალ ეკლესიაში რომ ჰქონიათ საჩვენებლად ფერფლის, ექვსიოდე თავის, 23 თითის სახით და ა. შ., მისი დღესასწ. დიდ პატივშია, როგორც მთავარი წმინდანის საქმეებთან დაკავშირებით. გადმოცემით, იყო მღვდელ ზაქარიას შვილი, ქრისტეს წინამორბედი, ადრევე უდაბნოში გავიდა, იქცა დიდ მქადაგებლად, ილია წინასწარმეტყველის მსგავს წმინდანად, კალიებით და გარეული ფუტკრის თაფლით იკვებებოდა, ქრისტეს მოსვლა იწინასწარმეტყველა, თვითონვე გამოიგონა წყლით ნათლისცემა, მალე იუდეის ტირანმა ჰეროდემ შეიპყრო, ციხეში ჩააგდო და ბოლოს მზაკვარ ჰეროდიადეს ინტრიგის მსხვერპლი გახდა, თავი მოჰკვეთეს. ქრისტემ თითქოს ასე იქადაგა: „არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათა უფროს იოანე ნათლისმცემლისა" (მათე, 11,11). ნათლისმცემლობა რუსეთში წარმართულ კუპალას დაუკავშირეს, ჩვენში ის დამოუკიდ. დღესასწ-ია. სვანეთში დღესასწაულობენ ძირითადად განცხდაბს, ნათლისღებას (6 იანვარს).

ნათლობა — ნათლისღება, ქრისტ. საიდუმლო, რითაც მორწმუნე პირველად ეზიარება ქრისტ-ობას, განიწმინდება პირველი ცოდვისაგან, განერიდება ეშმაკი და ავი სული. რიტუალს ასრულებს მღვდელი და ეხმარება დიაკონი. მოძღვარი სამჯერ შეუბერავს სახეში მოსანათლავს, დალოცავს და სამჯერ

ჩაყოფს წყალში. შეაჭრის თმის კულულს, წაიცხებს მირონს სახეზე, ხელ-ფეხზე (მირონცხების საიდუმლო). უწოდებს სახელს და დაპკიდებს ჯვარს. ეკლ-ის ტრადიციით ოთანე ნათლისმცემელმა შემოიღო, მაგრამ წყალში ჩაყოფის რიტუალი უძველესია (ეგვიპტეში, რომში, ჩინეთში, ისრაელში, ბიბლ. ეზეკიელის წიგნში). ქრისტ-ობამ გაადრმავა და ახ. შინაარსით შემოსა (IV ს.).

სულიერი ცხოვრება ქრისტიანისა იწყება ნათლობით, ესაა „წყლით განბანვა და ხელახლა დაბადება". პირველი აღთქმა, რასაც წმ. ემბაზის წინ წარმოთქვამენ, არის ბოროტისაგან ადამიანის განშორება: „განვეშორები ეშმაკისაგან და ყოველთა საქმეთა მისთაგან, და ყოველთა მსახურთაგან მისთაგან". საეკლ. მოძღვრებით, ნათ. ხდება სულიწმიდის მადლით, რ-ის მოფენაც მხოლოდ მამა-ღმერთს შეუძლია და მისი ძალით ხდება „განახლება ცოდვილი ადამიანისა", რ-იც წმ. ემბაზიდან გამოდის პირველჩენილი შეცოდებისაგან სუფთად განწმენდილ-გამართლებული. საფუძველად უდევს მაცხოვრის სიტყვები: „უკეთუ ვინმე არა იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა" (იოანე 3,5).

ნამაზი (სპარს. ლოცვა) — მუსულმანთა რთული ხუთგზისი ლოცვის წესი, ღმერთთან ყოველდღიური ურთიერთობის სიმბოლ. ნიშანი, რაც ფანატიკ. გულმოდგინებით სრულდება (მიწაზე განრთხმა, თავის დაკვრა, ხელების აღმართვა, ყურანის გარკვეული ადგილების კითხვა, აღაპის დიდება).

ნანტის ედიქტი — ისტ. აქტი, რ-იც 1598 დაამტკიცა ანრი IV-მ. ამით დასრულდა რელიგ. ომები საფრანგეთში (1562—94). მთავარ სარწმ-ებად კათოლიკობა ცხადდებოდა, მაგრამ შეეიწროებულ პუგენოტებსაც მიეცათ თავისუფ. ღვთისმსახურების უფლება ყველგან, პარიზის გარდა, დაუბრუნდათ პოლიტ. უფლებებიც (ქალაქთა მართვის), დაუტოვეს ზოგი სიმაგრე. ლუი XIII ხშირად არღვევდა, ლუი XIV-მ სულაც გააუქმა (1685).

ნართექსი (ბერძ. „მალამოს კოლოფი", ჭურჭელი) — სტოა, ტაძრის ღია ან დახურული შესასვლელი დას. მხრიდან, სადგომი იმ მლოცველთათვის, რომელთაც მთავარ ნაწილში ყოფნის უფლება არა აქვთ.

ნეკრომანტია (ბერძ. ნეკროს — მკვდარი, მანტია — მკითხაობა) — მკითხაობა, რ-ის მიზანია მიცვალებულთა სულების გამოწვევა, რჩევის კითხვა და სხვ.

ნეოთომიზმი — ახ. თომიზმი, კათოლიციზმის ფილოს. დოქტრინა, თომა აქვინელის მოძღვრების შეგუების ცდა ახ. ვითარებასთან. მეცნიერების დაქვემდებარება თეოლოგიისათვის, რასაც თომიზმი ქადაგებდა, XVII—XVIII ს-ების მეცნ. აღმოჩენების შემდეგ შეუძლებელი გახდა, ამიტომ ვატიკანშა განახორციელა მისი განახლების საგანგებო ცდები: 1879 ლეო XIII-ის ენციკლიკით აღდგა თომიზმი, „თეოლოგიის მსახურად" გამოცხადებულ „მარადიულ ფილოსოფიას" 1914 ახ. დასაბუთება მისცა პიუს X-მ, რ-მაც ბელგიაში დააარსა ფილოსოფიის უმაღ. ინსტ., მსგავსი ვატიკანის „პაპის მეცნ. აკადემიისა". 1916 ბენედიქტე XV-მ დაადასტურა მისი 24 თეზისი. ახ. თომიზმი, ანტიკომუნისტ., რელიგ. ფილოს. არსთა პირველ მიზეზად ისევ ღმერთს აცხადებს. მთელი მატერ. სამყარო მეორადია და მეცნ-ბაც მხოლოდ მის „მეორად", გარეგნულ მიზეზებს ხსნის. ესაა იდეალიზმის იდეალური ფორმა, „წმინდა ყოფიერების" მქადაგებელი.

ნეოკესარიის საეკლესიო ჯრილობა — აღგილობრივი ყრილობა, მოწვეული 315 ნეოკესარიაში (ნიკსარში). მიიღო 15 წესი, ძირით. სასულიერეთა ზნეობაზე.

ნეტარება — ნ. ცხონება.

ნეტართა კუნძულები (ბერძ. მაკარონ ნესიი, ლათ. ფორტუნატე ინსულე) — გმირთა სულების სამყოფელი, სადაც არ იყო ტანჯვა და წუხილი. შემდეგ ასე ეწოდა კანარის კუნძულებს (კანის — ძაღლი: ძაღლების სიმრავლის გამო).

ნიკეის საეკლესიო კრება — ნ. საეკლესიო ყრილობები.

ნინოობა (27 იანვარს ახ. სტ.; სამშაბათობით და სხვ.) — მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს დღეობა. ეს ქალი კაპადოკიიდან იყო (როგორც წმ. გიორგი, ივლიტა და კვირიკე). იქ ქართველებიც სახლობდნენ. ქართ. სულისკვეთება სუფევდა და შესაძლოა ნინოც ქართველი ყოფილიყო, რაც მისი საქ-ში ლტოლვითაც მართლდებოდა. ნათესავი, მთავარმოწამე გიორგი გზას უნათებდა. მისი აღზრდა იერუსალიმის პატრიარქმა კეთილსახურ სარა ბეთლემელს მიანდო. ისწავლა საღვთო სჯული, კვართის ამბავი, მის კვალს დაადგა, მცხეთისაკენ გამოეშურა. გზად მისი მხლებელი რიფსიმე სომეხთა მეფემ აწამა, ნინო კი სასწაულებრივ გადაურჩა განსაცდელს, მცხეთას ჩამოვიდა, კერპები დაამსხვრია, ქრისტიანობა გაავრცელა, მოაქცია მეფე-დედოფალი. „ნინოს ცხოვრებაში" (მოქცევაი ქართლისაი) გარკვევითაა ნათქვამი: „არიან ქართველთა მეფის ძე ფარნაოზი მოვიდა მცხეთას", მოიყვანა 18 კომლი (ქართველთა წინაპრები), მოიტანა კერპები გაცი და გაიმი, დაჯდა მეუფედ და იყო პირველი მეფე ქართველთა. „მოკვდა და დაჯდა ფარნაოზი". ეს აზო, ნინოს ცხოვრებისეული, უპირისპირდება ლეონტი მროველის აზოს, მაკედონელის სარდალს, რომელმაც ქართლი აოხრა. ზოგ ავტორს ეს ორი ცნობა ერთიმეორეში ერევა, აზოს მეფობას გაუგებრობად თვლის, მაგრამ შტბერდის კრებული ამას ადასტურებს. ოლონდ ფარნაოზი აზოს ძეკი არ იყო, არაშედ მისი მემკვიდრე ტახტზე (ნინოს ცხოვრების მიხედვით, რაც მროველმა ალბათ არ მიიღო). ნინო დარჩა ქართლის განმანათლებლად, რიგორც „ღვთისაგან მოვლინებული, ეაზის ჯვარის მიმღებელი, ვინც შეკრიბა, ვითარცა აწყვესმან კეთილმან ქართველნი და მიჰგეარა ფმერთსა მართალსა".

ნირვანა (სანსკრ. „ქრობა", „დამშვიდება", სრული მოსვენება) — ყოველგვარი მიწიერი ვნების, სურვილის გაქრობა, სანსარას ბორკილებისაგან სრული განთავისუფლება. როცა დაძლეულია მიწიერი ვნებათაღელვა და სული ეძლევა სრულ სიმშვიდეს. ბუდიზმისა და ჯაინიზმის მთავარი ცნებაა, ორივე რელიგიის მიზანი. რაც ბრაჰმანიზმისა და ინდუიზმის გაგებით არის შეერთება ბრაჰმასთან, ვალმოხდილი ადამიანის შერწყმა ღვთაებასთან. ტერმინის მნიშვნელობაზე და რაობაზე მაინც გრძელდება დავა ბუდიზმის მკვლევართა შორის, ძალზე ბუნდოვანი და ძნელად მისაწვდომია. ადრეულ ბუდიზმში ეს იყო სრულიად საპირისპირო რამ სანსარისა, ტანჯვათა გრძნობიერ საყარეოისა, სადაც კარმას კანონის თანახმად ყოველი სიკეთილი ახ. აღორძინების დასაწყისია. ნ. ძნელი მისაწვდომია, მაგრამ ვინც მას მისწვდება, ის ეშსგავება ბაზმას, რ-ლშიაც ზეთი ილევა და შუქი ქრება: ეს პიროვნება თავისუფლდება ყოველი მიწიერი ზრუნვისაგან, მისი დხარმა (მიწიერი ვნება-

სურვილი) ცხრება, იწყება ნ. —„უხენაესი ნეტარება"; სრული სიმშვიდე, ბედნიერება, რასაც ყოველი ბუდისტის უმაღლეს მიზნად თვლიან, თუმცა სამოთხის ცნებამ ბოლო დროს შეაღწიოვა. არსებითად ესაა ციური სასუფეველი.

ნიცშეანობა — ცნობ. გერმ. მოაზროვნის ფრიდრიხ ნიცშეს (1844—1900) ფილოსოფიის ზეგავლენით XIX—XX ს-ების შუალედში განვითარ. მიმდინარ., რომლის არსი მდგომარეობს რეაქც. პოლიტ. განდგომაში კლასიკ. ფილოსოფიიდან, უკიდურ. ინდივიდუალიზმში, ზეკაცის იდეის ქადაგებაში და არიული რასის მსოფლიო ბატონობის გარდუვალობაში. თუმცა ქრისტიანობას უდიდეს მანკიერებად თვლის და საიქიოს უარყოფს, მაგრამ ეს არაა ათეიზმი. ძლიერი პიროვნების დაყენება კულტის დონეზე ქმნიდა ნიადაგს მასებთან ბრძოლისათვის.

ნუგეშინი — რელიგიის ერთ-ერთი ფუნქცია, ამქვეყნიური ტანჯვის, სიდარიბის, უსამართლობის მოთმინებით გადატანის ქადაგება მიღმაქვეყნიური ნეტარების აღთქმით, გადატანილ ჭირთათვის კომპენსაციის იმედით, რაც მორწმუნეს მოთმინების, პასიურობისაკენ მოუწოდებს და განაწყობს ისე, რომ ამ წუთისოფლის კეთილდღეობა დათმოს მარადიული მიღმაქვეყნიური ცხონებისათვის. ნუგეშისცემა იხსნება ადამიანის „ცოდვილი" ბუნებით, ცოდვებით, რომელთა ტანჯვით გამოსყიდვა დამსახურებაა უფლის წინაშე და რაც მიწაზე დაიკლდა, იმას ცაში მიიღებს. ეს მორჩილების ქადაგებაა „აქ ბრძოლას, უფლის ჩამოგდებას ცვლის უდრტვინველი მოთმინება („მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო"), ამდენად ის მავნეა. მაგრამ ათეიზმი ყოველგვარ ნუგეშისცემას კი არ უარყოფს. ნუგეშისცემა უნდა მეგობარს, რომელსაც მახლობელი ადამიანი დაეკარგა, ოღონდ ეს უნდა იყოს აქტიური ნუგეშისცემა: რომ ის ეჯაჯაცურად შეხედეს მძიმე განსაცდელს, წინ იყურებოდეს, სიმტკიცით სცეს პატივი განსვენებულს და ა. შ. ამაში გამოიხატება მორალური მცნება: კაცი კაცითა, კაცი კაცისათვის ძმა და მეგობარია.

ო

ობნოვლენცები — რუს. მართლმადიდ. ეკლესიის განმაახლებელნი, რ-თა მიზანი იყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ეკლესიის შეგუება, საბჭოთა ხელისუფლების ცნობა, მასთან ლოიალობა, ლიტურგიული წესების რეფორმა (რასაც ვერ მიაღწიეს) და სხვ. 1922 შეიქმნა „ცოცხალი ეკლესია", მერე — რამდენიმე სხვა მიმდინარეობა (საეკლ. აღორძინება და სხვ.). 1923 მათ დაამხეს პატრიარქი ტიხონი, საბჭ. ხელის-ის შეურიგებ. მტერი, რ-მაც შემდეგაც განაგრძო მუშაობა. ეკლესიის მოდერნიზაცია, მართლმადიდ-ის ევოლუცია გრძელდება.

ოდიკი (ბერძ. ანტიმინს) — ტრაპეზის გარდამოხსნა, სელის ან აბრეშუმის ოთხკუთხა ქსოვილი წმ. ნაწილების და ზიარების საიდუმლოს გამოსახულებით, იესოს საფლავში ჩასვენების დეტალებით. კურთხევის შემდეგ ტრაპეზზე დებენ და იწყება ზიარების საიდუმლო.

ოკულტიზმი (ლათ. ოკკულტუს — საიდუმლო) — ანტიმეცნ. მოძღვრება, რ-იც მოითხოვს მისტიკის, მაგიის, ზებუნებრივი მოვლენებისა და ძალების შესწავლას, თითქოს მათი დახმარებით შეეცნობათ სხვა გზით მიუწვდომელ სინამდვილეს. ეს მისტიკ. მოძღვრება ასაბუთებს ცრუმორწმუნეობას და თავისი ძირებით მიდის პირველყოფილ შეხედულებამდე, როცა სწამდათ, რომ არსებობს გაუპიროვნებელი ზებუნებრივი ძალა. შუა საუკ-ებში ძლიერ განვითარდა. ძლიერი ნიადაგი აქვს დღესაც ბურჟ. ინტელიგენციაში (აშშ, ფედერ. გერმ., ინგლ., საფრ., იტალ., ესპ., ბრაზ., არგენ.). ჰყავთ მრავალმილიონიანი კლიენტურა; რ-საც სჯერა მაგების, მჩიბავთა, ფანტასმაგორების, „ნათელმხილველთა". მაგიისა და ფალსიფიკაციის ნარევი საღდება მეცნიერებად. აქვთ თავიანთი ორგანოები, საზ-ბანი.

ომი რელიგიური (რ. ომები) — შეიარაღება. შეტაკება, ლაშქრობა, ომი, რ-იც შინაარსით, არსით და მიზეზით რელიგ. ხასიათისაა: „ძველი რწმენის" დაცვა, „ახ. ჭეშმარიტებათა დანერგვა", „წარმართთა" და განდგომილთა მოქცევა, რელიგ. ინსტიტუტების დაცვა ან დაქცევა, სარწმუნოების „სიწმინდის" დაცვა" და ა. შ. ასეთი სისხლიანი შეტაკებები ხდებოდა სახელმწიფოებს, ტომებსა და ერებს შორის. ყოველი ომი იღებდა რელიგ. სანქციას, ცხადდებოდა წმინდა ომად, ჯვაროსნ. ლაშქრობად და ა. შ. რელიგია აქ მხოლოდ საბაბი იყო, ომების ნამდვილი მიზეზი ხდებოდა პოლიტ. ძერები, ეკონ. შემოსავლის საკითხი, მოგების ანგარიში. ჰქონდა მძარცველური ხასიათი (ძირით. მონათმფლობ. ეპოქაში და შუა საუკ-ებში).

ორდენები (ბერთა) — კათოლ. ბერთა გაერთიანებანი (ლათ. ორდო — წოდება; რაზმი; რიგი, ჯგუფი), აქვთ საკუთ. მკაცრი განაწესი, მთავარი მიზანია ერესებთან ბრძოლა, პაპის ავტორიტ. დაცვა, ეკლ. ძლიერების შენარჩუნება. ჰყავთ გენერალი, გენერ. მაგისტრი, რ-საც ემორჩილება პროვინც. პრიორი, მაგისტრები, ამათ კიდევ — აბატები, დაქვემდ. პრიორები, მრევლის მსახურნი. ყველას კონტროლს უწევს გენერალური კაპიტული (მოთავე), კრება, რ-საც იწვევენ რამდენიმე წელში ერთხელ. უძველესად ითვლება ბენედიქტინელთა ო., რ-იც ბენედიქტე ნურსელმა (480—529) დააარსა VI ს-ში იტალიაში და განსაკ. გაძლიერდა X—XI ს-ებში. დღესაც ევროპ. და ამერ-ში აქვთ სკოლები, უნივერსიტეტები, გამოცემები, პრესა. 1098 წ. საფრ-ში შეიქმნა ახ. ორდენი, ცისტერციანელთა (ადგილის — სიტოს მიხედვით), რ-ის მთავარი მესვეური იყო ბერნარ კლერვონელი (აქედ. მეორე სახელი — ბერნარდინელთა ო.). იტალიაში 980 დაარს. კამალდულების ო. კრძალავდა ხორცის ჭამას, ფეხსაცმლის ტარებას, ითხოვდა უქორწინობას, განდეგილობას, თვითგვემას. მათთან ახლო იდგნენ მოგლახაკეთა ძლიერი ო-ები: ფრანციისკანელები, დომინიკანელები, კარმელიტები, ავგუსტინელთა ო-ები. ფრანციისკანელთა ო. დაარსა იტალიელმა ფრანც ასიზიელმა (1184—1226), დომინიკანელთა კი ესპანელმა დომინიკემ (1170—1221). ამ ორდენთა განმასხვავებელი ის იყო, რომ მამულებზე უარი თქვეს წევრებმაც და თვით ორდენმაც, რ-საც ნებაყოფლობითი შემოწირულებებით უნდა ეარსება. საერთოდ, ო-ები ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი იყვნენ და პაპს ექვემდებარებოდნენ, ამასთან რაინდთა ორდენებს ჰყავდათ გენერალ-კაპიტანი და სამისდღემშიოდ

არჩეული გენერალმინისტრი ან გენ. მაგისტრი, ჰქონდათ მტკიცე ცენტრალიზ. წესრიგი. პაპისაგან ფრანციზკანელებმა დიდი პრივილეგიები მიიღეს: უნივერსიტეტებში თავისუფლად სწავლების, საიდუმლოებათა და ქადაგების უფლება. ფრანციზკელთა და განსაკუთრებით დომინიკანელთა („უფლის ქოფაკთა") ხელში აღმოჩნდა პაპის წმ. კონგრეგაციის საშინელი სამსჯავრო — ინკვიზიცია. მათ აწამეს და დაწვეს ბრუნო და მრავალი სხვა. დომინიკანელთა ანუ „მქადაგებელ ძმათა" ორდენი 1215 წ. დაარსდა. პაპის ფანატ. დაცვამ, ევროპის უნივ.-ებში თეოლოგიის კათედრების ხელთ ჩაგდებამ, ალბიგოელთა და სხვა ერეტიკოსთა ქონებით ეკლესიის გამდიდრებამ ამ ორდენს XIII ს-ში ერთ-ერთი უდიდესი და ყოვლისშემძლე ორგანიზაციის სახელი მოუპოვა.

1534 წ. დაარსდა იეზუიტების ორდ. („იესოს საზ-ბა"), ფანატიკოსი ბერის იგნატი ლოიოლას მიერ (1491—1556). მისი მიზანი იყო რეფორმაციასთან ბრძოლა, ერესების ამოძირკვა, თავისუფლად მოაზროვნეთა დევნა, პაპის ძალაუფლების განმტკიცება, აკრძალულ წიგნთა სიის შედგენა. იეზუიტების გეერდით ებრძოდნენ რეფორმაციას თეატინელთა (1524), სომასკერთა, ბარნაბიტების (1533), გულმოწყალე ძმათა (1540), თითქმის იეზუიტების ტოლი კაპუცინების (1528) და სხვ. ო-ები. კაპუცინების უბრ ხალხთან კავშირი საანდაზოდ იქცა. იყო ბერთა სხვა მრავალი ო-იც: ლაზარისტების (1624), ქრისტ. მოძღვრების მამათა (1592), ინგლისელ ქალწულთა (1609), უფრო ადრინდელი — კათარების და სხვ. ძლიერი იყო გერმანული ო., ესპანეთში ცნობილია ალკანტარა და სანტიაგო დი კომპოსტელა.

შუა საკ-ებში პაპებმა შექმნეს საგანგებოდ გაწვრთნილი საერო ო-ები, რაინდებისა, რ-თაც აღთქმა ჰქონდათ დადებული ეკლ-სათვის ბრძოლისა. მათგან ძლიერი იყვნენ კარმელიტების, ავგუსტინელთა, ტევტონთა...

ო-ები ერეოდნენ ქვეყნების საშინაო და საგარეო საქმეებში, ცნობილი იყვნენ სიმდიდრით, ძლიერებით, გარყვნილებით, დასმენით, სიზარმაცით და მუქთახორობით, რამაც ძლიერ გაუტეხა სახელი ბერებს და ო-ების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, მონასტრები დახურეს. ამის მიუხედ., საერთო კრიზისი ქმნის მათი შენარჩ-ის აუცილებლობას. კათოლიციზმის მეომარ არმიას შეადგენს მილიონნახევარზე მეტი წევრი ო-ებისა. კერძოდ იეზუიტების ჯერაც მძლავრი ო. საერთოდ ამჟამად ო-ების რიცხვია დაახ. 180.

ორთოდოქსია (მართალი აზრი, მართლრწმენა, ბერძ.) — მტკიცე რწმენა, მყარი თანმიმდევრობა, თავისუფალი ყოველგვ. გადახვევებისაგან,უჯალატო სარწმუნოება, უპირისპირდება ჰეტეროდოქსიას — ნაირგვაროვან, ცვალებად რწმენას, ერესებს, რ-თა წინააღმ. ბრძოლის დროსაც შეიქმნა ტერმინი (ძვ. წ. II ს.). ქრისტ. შიგნით მოდავე მხარეები, როგორც საერთოდ პოლიტიკაშიც ხდება, ერთიმეორეს განდგომას სწამებენ, თავს კი ყველა ორთოდოქსად, მართლმორწმუნედ აცხადებს.

ორმაგი გეშმარიტება — მოძღვრება ორ საპირისპირო და ერთიმეორესთან თანხმობით არსებ. ჭეშმარიტებათა არსებობაზე. მათგან ერთია საღვთისმეტყველო, მეორე მეცნ., ორივე სხვადასხვა გზით მოპოვებულია და თითქოს ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგება. მოძღვრების სათავეა არისტოტელეს კომენტატორის, არაბ ფილოსოფოს იბნ როშდის (რუშდის, 1126—98) თვალ-

საზრისი, რამაც რელ-სთან ბრძოლის ისტ-ში დიდი როლი ითამაშა. როშდის აზრით, არსებობს ერთიანი მარადიული სამყაროს სუბსტანცია, ცალკე სული არ შეიძლება იყოს უკვდავი, მაგრამ მთელი კაცობრიობა ერთად უკვდავია, რელიგ. დოგმა კი შეიძლ. ფილოს-სათვის მიუღებ. იყოს. როშდის (ლათ. ავეროისის) მიზანი იყო მეცნ-ის და ფილოს-ის განთავის. რელიგიის ულლისაგან, თუმცა ორივე მათგანის საბოლოო გზა ღმერთთან მიდის. ამ მოძღვრებამ დასრულ. სახე მიიღო ევროპ. ავეროისტებთან (სიგერ ბრაბანტელი, დუნს სკოტი და სხვ.), რ-ნიც ასაბუთებდნენ ფილოს. და რელიგ. დებულებების დაპირისპირებას. ფილ-ის დამოუკიდ-ს რელიგიისაგან, მეცნ-ის სფეროს გადიდებას. ეკლ. ებრძოდა ავეროისტებს, უპირისპირებდა მათ თომა აქვინელის მოძღვრებას, რ-ის მიხედვითაც სამყაროს ერთიან ჰარმონიაში ღვთისმეტყვ-ბასა და თეოლოგიას შორის წინააღმდეგობა არ არის, რწმენა და გონება ერთიანია. ო. ჭ. არსებობდა ბეკონის დროსაც, ხოლო როცა მეცნ. განთავისუფლდა რელიგ. მეურვეობისაგან, იგივე მოძღვრება მოიშველია რელიგიამ მეცნიერების შემოტევისაგან თავდასაცავად. თვით კანტთან აშკარაა ცოდნის ჩარჩოების შევიწროების ცდა რელიგიის სასარგებლოდ. მიმდინ. დღესაც არსებობს, სახეშეცვლილია, განიხილავენ თომიზმის სულისკვეთებით: რელ. და ფილოს. მხარდამხარ მიდიან ჰარმონ-ად, ოღონდ რელიგია უფრო მაღლა დგასო.

ორმოცდაათიანელნი — „სახარებისეული ქრისტიანები", რ-ნიც ამტკიცებენ, რომ ქრისტეს ცადამაღლების შემდეგ გავიდა 50 დღე და მოციქულებზე სულიწმიდის მოფენის წყალობით მათ მიიღეს წინასწარმეტყველური ქადაგების უფლება სხვადასხვა ენებზე. სექტანტურ-პროტესტ. მიმდინ. ჩამოყალიბდა XX ს-ის დასაწყისში (აშშ-ში). დიდი როლი ენიჭება მეორედ მოსვლის, წარღვნის, სამყაროს აღსასრულისა და განკითხვის დღის მოტივებს, მისტ. კავშირს ღმერთთან, რისი მიღწევაც თითქოს შეუძლია უფლისაგან ამორჩეულ განდობილ მორწმუნეს, მძიმე მარხვითა და მომქანცველი ლოცვა-ვედრებით რომ „სულიწმიდის იარაღად" იქცევა, სინამდვილეში კი ბოდვის მდგომარეობაში აღმოჩნდება და სიშმაგემდე, ურჯულობამდე მიდის, ეგზალტირებულია და ბოდვით წარმოთქვამს ბუნდოვან სიტყვებს (გლოსოლალიები).

ოსანა (ძვ. ებრ. „მიხსენი") — იუდეველთა მიმართვა მაღალი სასულიერო პირისადმი; მიმართვა უფლისადმი: „გვიხსენი" (ებრ. და ქრისტ. სარწმ-ში).

ოხითა — ნ. ტროპარი.

პ

პაგოდა (სპ. ბუტკედე: ბუტ — კერპი, კედე — სახლი) — ბუდისტ. ტაძარი, რ-შიც ბუდას და მისი პანთეონის ღვთაებების ქანდაკებებია (ბევრგან—ბუმბერაზები) და ტარდება ღვთისმსახურება (ინდ. და სხვ.); ოქროს მონეტა; ინდ. ნაგებობა, რ-შიაც ჩატანებულია წმ. ნაწილები.

პალესტინა (ძვ. ებრ. „ფილიშთიმ" — ფილისტიმელების ტომიდან, რ-ც წინა აზიის ამ დას. ნაწილში დასახლდნენ ძვ. წ. XII ს-ში და ებრაელთა დაუ-

ძინებელ მტრებად ითვლებიან) — ისტ. ოლქი, მტკიცედ დაკავშირ. ბიბლიაში მოთხრ. ამბებთან. ძვ. წ. XI ს-ში აქ შეიქმნა მოსეს ხალხის, ისრაელ-იუდ. სამეფო, ცალებადი წარმატებით შებრძოლი მეზობელ ხალხებთან და რელიგიებთან. დაახ. 928 წ. გაიყო ისრაელთა და იუდეველთა სამეფოებად, რ-თა შორისაც ხანგრძ. წინააღმდეგობები იყო. დაიმორჩილეს აქემენიდებმა, მაკედონელებმა, პტოლემეებმა, სელევკიდებმა, რომაელებმა (ძვ. წ. 63), ბიზანტიელებმა, არაბებმა, ჯვაროსნებმა, სულთნებმა, მამლუქებმა (XIII ს.). ისტ. ძეგლებშიც ჩანს მრავალტანჯული ხალხის სამოქმედო არეალში შემოჭრილ ხალხთა კულტურის ძეგლთა ნაირფეროვნება. მათ შორისაა ტაძრები, მეჩეთები, სასახლეები, სინაგოგები... ქართული სულიც ტრიალებს ამ ბიბლ. ქვეყნის მიწა-წყალზე. ქართველთა სავანეებსაც დაუტოვებიათ ძეგლები, ღირსი ქვეყნიერების პატივისცემისა. პ-ის ქართ. წარწერა აღმოაჩინა იტალ. არქეოლოგმა ვირჯალიო კორბომ იუდას უდაბნოში 1952, ესაა უძვ. ქართ. წარწერები, რ-თაგანაც პირველი ბოლნისის წარწერაზე 50-ოდე წლით ძველია (V ს.), რელიგ. შინაარსისა, ფრაგმენტული, მაგრამ სრულყოფ. პალეოგრაფიულად, რაც მეტყველებს ანბანის (ასომთავრული) დიდ სიძველეზე. ნ. სავანე.

პანაგია, პანპაგია (ბერძ. პან — ყველა, საყოველთაო, ჰაგია — წმინდანი) — მცირე ოვალური ხატი, გამოსახულება იესოს ან ღვთისმშობლისა, გულსაკიდი ეპისკოპოსთა; ტაძრებში: ღვთისმშობლის სადიდებელი სეფისკერი.

პანაშვიდი (ბერძ. პანნიხის, პანნიხიდოს: პან — ყველა, ყოველი, ნიქს — ღამე) — წირვა, გალობა; მართლმადიდებელთა სულის მოსახსენებელი წესჩვეულება. პირველი ქრისტიანები დევნის გამო ღამით იხდიდნენ, ამიტომ ეწოდა „ყველაღამისა". წესი სრულდება გარდაცვალებიდან 3, 9, 20 ან 40 დღის შემდეგ (დაკრძალვის მერეც), ასევე დაბადებისა და გარდაცვალების დღეებში. ანდერძის აგება კი ხდება მხოლოდ მიცვალებულის თავზე. ეკლესიებში ტარდება საერთო, მსოფლიო პ-ებიც. მიზანი — განსვენებულის სულის განთავისუფლება ტანჯვისაგან.

პანთეიზმი (ბერძ. პან — ყველა, საყოველთაო, თეოს — ღმერთი) — ღმერთისა და ბუნების შერწყმის, ერთი მთლიანობის რწმენა, რ-იც უარყოფს ცოცხალი, განპიროვნებული, სულიერი ან ფიზიკური ღმერთის არსებობას, მაგრამ თვლის მას სამყაროში, ყოველ საგანში გადამდნარ, შერწყმულ საწყისად. ცნებას საფუძვლად დაედო ძვ. სტოიკებისა და ნეოპლატონიკების მოძღვრება, მაგრამ ტერმინი შემოიღო ტოლანდმა 1705. თავდაპირველად ჰქონდა მატერიალისტ. სარჩული და თვალსაჩინო როლი შეასრ. რელიგიასთან ბრძოლაში (ჯ. ბრუნოს და განსაკ. ბ. სპინოზას პ.). სპინოზა აიგივებდა „ბუნებას" და „ღმერთს". ეკლ. სასტიკად ებრძოდა. დღეს პ-მა ამოწურა თავისი როლი და იდეალისტები (პერსონალისტები და სხვ.) იყენებენ, როგორც იდეას ღმერთში ბუნების არსებობის შესახებ, მორწმუნეთა შორის კი მატულობს პ-სტური განწყობილება.

პანფსიქიზმი (ბერძ.' პან — ყოველი, საყოველთაო; ფსიქე — სული) — იდეალისტ. (მეტაფიზიკ.) მოძღვრება, რაც ბუნებას მიაწერს საყოველთაო ზეშთაგონებას და ამით უარყოფს მის რთულ თვითგანვითარებას. თუ პილოიზმი ცნობს მთელი ბუნების სიცოცხლის ძალას, პ. (რომელიც ხშირად ემთ-

ხევა მას) ცნობს სულის, „ფსიქეს“ ცალკე არსებობის უნარსაც. მის ანტიმეცნ. არსს აბათილებს ფსიქოლოგია, რ-იც ამტკიცებს, რომ ფსიქიკა ახასიათებს მხოლოდ გონებას, ტვინს, რ-შიაც მატერიამ თავის უმაღლეს განვითარებას მიაღწია. უშუალოდ გამომდინარეობს ანიმიზმის, რელიგ. განპიროვნების რწმენიდან, მისგან კი გამოდის ფიდეიზმი, ე. ი. ფიზიკურს ამაღლებს ღვთაებრივამდე.

პაპთა ავინიონის ტყვეობა — შავი მონაკვეთი პაპთა დამცირებისა, მათი ტყვეობისა საფრანგეთის პატარა ქალაქ ავინიონში, სადაც ფრანგთა მეფეების ნება-სურვილს ემორჩილებოდნენ მთელი 70 წლის განმავლობაში (1309—77). აქ სუფევდნენ კანონიერი თუ უკანონო პაპები. ჯერ კიდევ 1303 ფილიპე IV ლამაზის კანცლერმა, ყაჩაღმა ნოგარემ 86 წლის ბონიფაციუს VIII-ს სილა გაარტყა და რომში ჩასული პაპი, რ-იც „მელასავით დაძვრებოდა, ლომივით მეფობდა, ძაღლივით მოკვდა“, შეურაცხყოფას გადაპყვა ერთი თვის შემდეგ. ხოლო 1309 იმავე ფილიპეს ნებით კლიმენტი V ავინიონში გადაბარგდა და გახდა „ფრანგთა პაპი“. შემდეგ პაპის ტახტზე ისხდნენ იოანე XXII, ნიკოლოზ V, ბენედიქტე XII, კლიმენტი VI, ინოკენტი VI, ურბან V. ბოლოს გრიგოლ XI-მ, ფრანგმა პაპმა, იტალ. სამფლობელოების დაკარგვის შიშით ტახტი ისევ რომში გადაიტანა (1378) და ეწოდა „ეროვნული პაპი“, თუმცა ისევ ავინიონში ერჩია. ტყვეობის დროს ავინიონი იქცა „ყოველგვარი ბიწიერების ბუნაგად“ (პეტრარკა). ამას მოჰყვა დიდი საეკლ. განხეთქილება, როცა რომში ერთ პაპს ირჩევდნენ, ავინიონში მეორეს (1378—1417). განხეთქილებას ბოლო მოეღო იმით, რომ ორივე პაპი გადააყენეს და აირჩიეს მარტინ V. პაპთა სასახლე ყაზარმად აქციეს. ებრაელთა ბაბილონის ტყვეობის ანალოგიით (586—538 ძვ. წ.) პაპთა ავ. ტყვეობას „ბაბილონის ტყვეობასაც“ უწოდებენ.

პაპობა (ბერძ. პაპას, ლათ. პაპა—მამა, მოძღვარი) — კათოლ. რელიგიის უზენაესი ინსტიტუტი, რ-ის მეთაურია განუსაზღვრ. ძალაუფლებით აღჭურვილი პაპი, კათოლ. სამყაროს ქურუმთქურუმი, პიერეი (პონტიფექს მაქსიმუს), ვატიკანის სახელმწიფოს მბრძანებელი, ქრისტეს მოადგილე (ვიკარიუსი), „მოციქულთა მთავრის“ პეტრეს მემკვიდრე, „კლდეზე დაფუძნებული“ პეტრეს ტაძრის გამგებელი, მსოფლიო ეკლესიის უზენაესი მღვდელი, აღ-ის პატრიარქი, რომის პროვინციის არქიეპისკ. და მიტროპოლიტი, იტალიის პრიმასი, უცოდველი მღვდელმთავარი სარწმ. საქმეებში. ირჩევს კარდინალთა კრება—კონკლავი დახურულ-ჩაგმანულ სამყოფელებში, არჩევას გარე სამყარო გებულობს ვატიკ. თავზე ბოლის ამოსვლით და ესაა საქრისტიანოს დიდი დღეობიმი. პაპს ეძახიან ალექსანდრიის პატრიარქსაც, მაგრამ მთავარია რომის პაპი. პაპობა შეიქმნა ქრისტ-ის პირველ საუკუნეებში, როცა საჭირო გახდა ეკლესიის ცენტრალიზაცია, დასრულება პირველობისათვის ბრძოლისა, რ-შიაც მონაწილეობდნენ სხვა ეპისკოპოსებიც (მაშინ იმათაც პაპები ერქვათ). სიმდიდრემ, პოლიტ. და ეკონ. ძლიერებამ რომს საშ-ბა. მისცა დაეჭირა პირვ. ადგილი „პეტრეს ტახტზე“, დიდი როლი შეასრულა ტრადიციამ, რომ თითქოს პეტრემ თავის მემკვიდრეებად რომის ეპისკოპოსები დატოვა. პირველ პაპად ითვლება პეტრე მოციქული, მეორედ—ეპისკ. ლინი (67—76), მესამე—ანაკ-

ლეტ I (აწამეს 88). შემდეგ ტახტზე მჯდარა დაახ. 300 პაპი (კანონიერი და უკანონო, პაპი და ანტიპაპი). ესაა მსოფლიოს უძლიერესი რელიგიის უძლიერესი ინსტიტუტი, რ-საც მრავალი მარცხის მიუხედავად შეურყეველი და უხარმაზ. ფინანს. შეძლებით განაღდებული აქვს უზომო ავტორიტეტი და ეგზომ ხანგრძლ. ბატონობა — თითქმის 2000 წელი.

რომის იმპერიის სატახტოს გადატანა კონსტანტინოპოლში 330, გაყოფა აღ. და დას. იმპერიებად ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა პ-სათვის. სტეფან III დაეხმარა პიპინ მოკლეს, რ-მაც 757 პაპს აჩუქა ლანგობარდების მიწაწყალი. შეიქმნა პაპის ოლქი, და პაპმა ისე დაიწყო მოქმედება, როგორც „საერო თავადმა" (მარქსის და ენგელსის არქივი). VIII ს-ში შეთხზეს „კონსტანტინეს საჩუქარი" და სხვა საბუთები, რ-თაც განამტკიცეს პ-ის ძალაუფლება და იდეა პაპთა ძალაუფლების დაყენებისა იმპერატორთა ძალაუფლებაზე მაღლა. პაპთა თეოკრატიის პროგრამა შექმნა გრიგოლ VII-მ („პაპის დიქტატი", 1075). პ. მტკიცედ ატარებდა თავისუფალი აზრის ჩახშობისა და ერესებთან ბრძოლის კურსს. ამ მიზნით შეიქმნა ინკვიზიცია, ორდენები, პატიმრობა, წამება, კოცონზე დაწვა... პაპთა სანქციით ბევრი უბედურება დატრიალებულა. ვრცელია პაპთა და საერო მეფეთა ბრძოლის ისტორიაც. რაც დრო გადიოდა, უფრო მწვავედ იბრძოდა პ. კომუნიზ. წინ-გ, არაერთხელ დაწყეველეს საბჭ. ხელის. და სხვ., მაგრამ 1958-დან იწყება შემობრუნების, რეალ. ეითარებასთან შეგუების კურსი, მშვიდობის ქადაგება, იარაღის აკრძალვის მოთხოვნა. ეს დადებითი ტენდენციები დაკავშირებულია იოანე XXIII (1958 — 1963) და პავლე VI (1963 — 78), განსაკ. იოანე პავლეს სახელებთან.

პარაკლისი (ბერძ. პარაკლეტონ, მანუგეშებელი) — საეკლ. ღვთისმსახურ. სახეობა, ლოცვა ცოცხალთათვის, წმინდანთათვის, რაიმე დირსშესანშ. მოვლენასთან დაკავშ. (გამარჯვება, ზავი, სტიქ. უბედურებასთან ბრძოლის აზრით და სხვ.). იხდიან შუამდგომლობის მიზნით წმინდანთან, რათა მადლი მოგვივლინოს. ლოცვა ერთ პირსაც შეუძლია, პ. კოლექტ. ხასიათისაა. მოლეგბენ.

პარაკლიტონი — ნ. ღვთისმსახურების წიგნი.

პარსიზმი — ნ. ზოროასტრიზმი.

პასექი (ძვ. ებრ. პასექ „გამოსვლა", „გვერდის აელა") — ებრ. ხალხის დღესასწაული, დაკავშ. ეგვიპტიდან გამოსვლასთან, როცა ღმერთმა ეგვიპტეს ანგელოზი მოუვლინა მძიმე დავალებით—მოკლას პირველი პირშშო კაცთა და ცხოველთა. გადარჩნენ მხოლოდ ებრაელები, რ-თა კარებზეც სამსხვერპლო კრავის სისხლით ნიშანი იყო გამოხატული და მათ სასჯელი არ შეხებიათ. ამის აღსანიშნავად დაიწყეს „პასექი", რაც სინამდვილეში იყო მესაქონლეთა, შემდეგ მიწათმოქმედთა, „ხმელი ხმიადის" დღესასწაული (ხმიადს ჭამდნენ მწარე ბალახთან ერთად, აღწერილია პიბლიაში). შემდეგ ქრისტიანებმა ეს დღესასწ. გადმოიღეს, გადაასხვაფერეს და ქრისტეს აღდგომას დაუკავშირეს (აღნიშნავდნენ გაქრისტ-ებული ებრაელებიც). აღდგომა, პასექი საქრისტიანოს უდიდეს დღესასწაულად იქცა, ამ სახით ებრ-ებს არა აქვთ.

პასქა, იგ. პასექი, „დღესასწაული ურიათა", „უტომოებისაი", იგ. ხატიკ, ვნება (ლუკა 22, 1; იოანე 6, 4 პარასკევს), ძვ. ებრ. სიტყვაა, მაგრამ ბერძ-

ნულ „პასქას“ შეუყარდეს და ქართულად თარგმნეს, როგორც (ქრისტეს) ვნება; აქვს სამსხვერპლო კრავის ან სხეა სადღესასწაულო საჭმელის მნიშვნელობაც: „სადა პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო“ (მარკ. 14, 14); „შეჭამონ პასექ იგი“. „შევიდეს ტაძრად“ (იოანე 18, 28).

პასქალია (ბერძ., ებრ.) — პასქის, აღდგომის დღეთა ცხრილი (წლები).

პატრიარქი (ბერძ. პ-რქეს, მამამთავარი) — ეპარქიის მმართველი, ზოგ ქრისტ. ეკლ. იერარქიის უმაღლ. საფეხური, საპატიო წოდება (პ. ეწოდება მართლმადიდ-თა მღვდელმთავარსაც და კათოლ. ეპარქიის მეთაურსაც. რუსში ეს წოდება შემოიღეს 1589, ხოლო 1721 გაუქმდა, შეიცვალა სინოდით. ადგილობ. ყრილობამ აღადგინა 1917 — 18 და აირჩია ტიხონი, მაგრამ ანტისაბჭოთა აშკარა კურსით (ტიხონოეშჩინა) დაკარგა აუტორიტეტი და საბრძანებელიც. ის გადააყენეს, აირჩიეს სერგი, მერე პიმენი (იზვეკოვი, 1910—1990, ეპისკ. — 1957, პ. — 1971); ბიბლ. პ-ები, ებრ. ხალხის მამამთავრები, უფრო სახელგანთქმ-ნი: ნოე (3846 — 2895, იცოცხლა 951 წელი); აბრაამი (2040 — 1865, იცოცხლა 175 წ.); ისააკ აბრამის ძე (დაახ. 2080 — 1900, იცოცხლა 180 წ.); იაკობი, ისაკის ძე (2020 — 1873, იცოცხლა 147 წ.); იოსებ იაკობის ძე (იცოცხლა 110 წ.). თარიღები, ცხადია, დაახლოებითია (აბრაამი ზოგი ცნობის მიხედვით, მაგ. ფ. ტოლის ენციკლ. მიხედვით 2180 — 1800 წლებში ცხოვრობდა); იქცა ხანდაზმულობის, სიდინჯისა და სიბრძნის სინონიმად.

პატრისტიკა — ნ. ეკლესიის მამები.

პატრონიკე (ბერძ-ლათ პატერ—მამა: პატერ ზევს—მამა ზევსი) — ეკლესიის II სართულზე მოწყობილი ვიწრო ბაქანი.

პაციფიზმი რელიგიური (ლათ. პაციფიკუს—მშვიდობიანი) — ბურჟ.-ლიბერ. მიმდინარეობის რელიგ. სახეობა: ყოველგვარი ომის პასიური უარყოფა. გამოდის ბიბლ. მცნებიდან: „არა კაც კლა“, უარყოფს სამართლ. თუ უსამართლო ომს, არმიაში გაწვევას, ხსნის სისხლისღვრას ადამიანის სულის სიწამხდრედ და ამდენად, ცხადია, გმობს სისხლისღვრას, ხოცვა-ჟლეტას, რ-ის შედეგი მაინც ახ. უსამართლობა და ძალადობაა, ამდენად უარყოფს რევ. შეტაკებებსაც, აქტ. მოქმ. ნაცვლად ლოცვას და მშვიდობის ქადაგებას ითხოვს, მაგრამ ჩვენ მის აბსტრაქტულ მოწოდებასაც სასარგებლოდ ვთვლით, სადაც კი ომსა და ხალხთა შორის შუღლის გაღვივებას წინ აღუდგებიან.

პეტრეპავლობა (პეტრეს და პავლეს დღე, 29 ივნ.) — მოციქულთა მოწამეობრივი სიკვდილის სამახსოვრო დღესასწ. (ახ. სტ. 12 ივნ.), დაკავშირ. 2 მთავარ მოციქულთან, რ-თაც პირველად დაიწყეს ქრისტ-ის ქადაგება. განსაკ. გულმოდგინედ აღინიშნებოდა სოფლებში, მით უფრო, რომ პეტრე ითვლებოდა მეთევზეთა მფარველად: იესომ გალილეის მახლობლად ნახა 2 მებადური (მესათხევლე) და უთხრა: გამომყევით, „და გყუნე მე მესათხეველად კაცთა“ (მათე, 4, 20), ასე წაიყვანა პეტრე და ანდრია (პირველწოდებული), რ-საც ქრისტემ თითქოს პირველს უხმო (აქედ. პროტოკლეტოს—პირველწოდებული). პეტრე თან ახლავს იესოს კაპერნაუმში და სხვაგან, თვით იქადაგა, დანიშნა ეპისკოპოსები, ააშენა ეკლესიები; კურნავდა სნეულებს, შეიპყრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, ანგელოზმა გაათავისუფლა (რაფა-

ელის სურათი); ბოლოს რომში ჯვარს აცვეს. ამ მოციქულის სახელსე თითქოს აიგო პეტრეს ტაძარი (პეტრე—ბერძ. ქვა, კლდე: „შენ (ხარ) პეტრე და ამ ქვაზე მე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას", —უთხრა იესომ). მართალია, ასახელებენ ანალოგიებს ძვ. აღთქმიდან: რომ ილიამ ელისე აიყვანა მოწაფედ. ისუ ნავესაც 12 მოწაფე ჰყავდა და სხვ., მაგრამ სიუჟეტები მტკიცედაა დამუშავებული, ლიტ. და ხელოვ-ში ასახული, რწმენა კი მყარია პეტრესი (ანალოგია — მითი სპარსთა. ღმერთკაცის მითრას შესახებ, კლდეში რომ დაიბადა და პეტროინედ იწოდა). დიდი დავა ჰქონდა სიმონ-პეტრეს მოგვთან, სიმონთან, რ-იც ღმერთობას ინიშებდა.

მეორე, ნახევრად ლეგენდ. მოციქულია პავლე, რ-საც მიეწერება 14 ეპისტოლე. თუ პეტრე ქრისტეს მოძღვრებას მხოლოდ ებრაელთა შორის ავრცელებდა, პავლე „უყრიდა მარგალიტებს წინაშე ღირთა" და წარმართთაც აზიარებდა მას. ის ებრაელი იყო, მომხრე წინადა, კეთილა. ამ ორ სხვადასხვა იდეას ქადაგებდა ორი ინდივიდუალიზებული გმირი-მოციქული. ორივე ქადაგებდა ძლიერთა წინაშე მორჩილებას, უფლის რწმენას, ქრისტეს განდიდებას. თუ პეტრეს სახელზე საქრისტიანოს უდიდ. ტაძარი აშენდა და პაპები ძის მოადგილეებად გამოცხადდნენ, პავლე დიდი მწიგნობარია და მჭევრმეტყველი. ისიც აწამეს. დღესასწაულად გამოცხადდა მათი წამების დღე, დაკავშირ. მიწათმოქმ. დღესასწაულთან, მკის დასასრულთან. ენაშიც დარჩა თქმები: „ანნაურთა სისხლი პეტრეპავლობასაც კი ცივია", „პეტრემ და პაელემ სიცხე უმატეს", „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო"... რუსეთში პავლეს ამინდისა და ჭექა-ქუხილის ღმერთის პერუნის თეისებებიც მიაწერეს. პეტრე-პავლეს ხსნილობას მემარხულენი სასოებით ელოდნენ. მათი სხეულის ნაწილები რომის სამ ეკლ-ში ინახებოდა, იყო სხვაგანაც. ბერძენმა ანდრონიკემ პეტრეს ნეშტის ნაწილისათვის ბეწვეული მიიღო რუსეთში... რომში უჩვენებენ პეტრეს საპყრობილეს, მის კუბოს (112 სანთელი უნთია).

პიზის საეკლესიო ჯრილობა — ნ. საეკლ. ყრილობები.

პირჯვარი — ღმერთის სახელის სიმბოლიკა, ლოცვის გარეგნ. გამოხატულება. პ. გამოისახება სამი თითის—ცერის, საჩვენებლის და შუათითის მჭიდროდ მიდებით (არათითი და ნეკი უკან იკეცება). ორი — ქრისტეს ორბუნებოვანებისა, სამი — სამებისაა. თითებს იდებენ შუბლთან, მკერდ'ხე, მარჯვენა და მარცხენა მხართან (გონების, გულის და ძალის სიმბოლიკა).

პოლითეიზმი (ბერძ. პოლი — ბრავალი, თეოს — ღმერთი) — ბრავალღმერთიანობა, მრავალი ღმერთის აღიარება სხვადასხვა რელიგიაში, უპირისპირდება მონოთეიზმს. სინამდვილეში ერთღმერთიანი რელ. თითქმის არ არსებობს, ყველა სარწმ. მეტნაკლებად პოლითეისტურია. თეით ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი, ქედმაღლურად რომ უყურებენ „წარმართულ" რელიგიებს, სინამდვ-ში ერთ მთავარ ღმერთთან ერთად ცნობენ ეშმაკს, ანგელოზს (...

პონტიფიკატი (ლათ. პონტიფექს, რომ. ქურუში; პ. მაქსიმუს —ქურუთქურუში) — პაპის ძალაუფლება; პაპის მეუფების დრო, ხანი, ეპოქა. პონტიფიკი — პაპი.

პრათეიზმი (პრა—წინა, აღრეული, თეოს — ღმერთი) — „წინარეღმერთიანობა", რელიგიათმცოდნეობის ტერმინი (პატერ შმიდტისა, XX ს.). პრათე-

ისტები ამტკიცებენ, რომ რელიგია იწყება არა რომელიმე ღმერთის რწმენიდან, არამედ თვით ადამიანის არსშია იმთავითვე ჩამჯდარი ღმერთის, ღვთაებრ., მიუწვდომელის რწმენა და ესაა მისი ფსიქიკის უღრმესი თვისება, არსი.

პრამონოთეიზმი (პრა — პირველი, უძვ.; მონო — ერთი; თეოს — ღმერთი) — პირველყოფილი ერთღმერთიანობა, ერთღმერთიანობის სიძველის დასაბუთება, ცრუმეცნ. აზრი რელიგიის ღვთივშთაგონებულობის შესახებ, წამოყენ. რუსეთში ვ. სოლოვიოვის, ინგლისში ე. ლენგის მიერ; ეთნოგრაფიული მონაცემებით ლამობდნენ იმის დამტკიცებას, რომ დღესაც ჩანს ცალკეულ ტომებში ერთი ღმერთის თაყვანისცემის პრაქტიკა და მაშ ბიბლიური ღმერთიც უძვ. რწმენაში პოულობსო გამართლებას. მეცნ-მ დაამტკიცა ამ თეორიის სიყალბე.

პრესვიტერიანული ეკლესია (ბერძ. პრესბიტეროს — მღვდელი, მოძღვარი) — ინგლისელი და შოტლანდიელი კალვინისტები (XVI ს.), ითხოვდნენ ქრისტ. ეკლ-ის თავდაპირველი უბრალოებისაკენ დაბრუნებას, არ ცნობდნენ ეპისკოპოსებს, ანგლიკ. ეკლესიას. საკმარისად თვლიდნენ საეროთაგან არჩეულ პრესვიტერს, თემობის მეთაურს. პასტორები და პრესვიტერები შეადგენენ პრესვიტერიას (აქედ. სახელწ.), შექმნეს სინოდი. კულტი უბრალოა. ეკლ-ში არც ხატია, არც ჯვარი, სანთელი და საკურთხეველი. ქადაგება და ლოცვა ხდება ესტრადიდან, ერთიანი გალობის სახით. დღესაც არიან ინგლში, შოტლ-ში, აშშ-ში, ავსტრალიაში და სხვ.

პროზელიტი (ბერძ. — იტოს) — ახლად მოქცეული, მიმდევარი რ-მე რელისა.

პროზელიტიზმი — სხვა რელიგიის მიმდევართა მოქცევის ცდა.

პროსფორა — პოსტია, პატარა კვერი, სეფისკვერი.

პროტესტანტიზმი (ლათ. პროტესტანს — ვინც დავობს, პროტესტს აცხადებს) — მესამე მთავარი მიმდინარეობა ქრისტ. რელიგიისა, კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობის შემდეგ, მრავალი სექტისა და განშტოების მქონე, რაც თავისთავად არ მეტყველებს რელიგიის სასარგებლოდ. ეს იყო დიდი საყოველთაო მოძრ. კათოლიკ. ეკლ-ის წინ-გ, ამ ანტიკათოლ. მოძრაობას რეფორმაცია ეწოდა. უშუალო მიზეზი იყო ეკლ. მსახურთა თვითნებობა, ფუფუნება, სიყალბე, რასაც ეკლ. მოღვაწეები ამხელდნენ და ითხოვდნენ კულტის გაუბრალოებას, „რწმენით გამართლებას", ადრეული ქრისტ-ობის უბრალოებისაკენ დაბრუნებას. წმ. ნაწილთა და ხატ-ჯვართა, წმინდანთა და ანგელოზთა თაყვანისცემას. ამასთან ეკლ. არ მიაჩნდათ შუამავლად ღმერთსა და ადამიანებს შორის.

ტერმინი შეიქმნა პრ-ის კლასიკ. ქვეყანაში — გერმანიაში, სადაც მოღვაწეობდა დიდი რეფორმატორი, სწავლული ღვთისმეტყველი და მწერალი, ბიბლიის უსაფო მთარგმნელი მარტინ ლუთერი (1483 — 1531). 1526 წ. შპაიერის რაიხსტაგმა დაამტკიცა გერმ. მთავართა უფლება, ამოერჩია რელიგია. ეს უარყო შპაიერის II რაიხსტაგმა სამი წლის შემდეგ, რამაც გამოიწვია 5 მთავრის პროტესტი, აქედ. „პროტესტანტიზმი". პროტესტი ითვალისწინებდა ქრისტ-ის არა გაუქმებას, არამედ გადახალისებას, ახ. დროსთან შეგუებას, გაუბრალოებას. ბურჟუაზია ომს უცხადებდა ფეოდალიზმის მადიდებელ კათოლიციზმს, უარყოფდა მღვდლობას, სალხინებელს, ფუფუნებას, შვ. ცოდვის გამო-

სყიდვას პირადი რწმენით, კეთილი საქმით და არა განდეგილობით, სიქველით. ᲐᲨᲐ წამოაყენა 3 ახ. პრინციპი: პირადი რწმენით ხსნა, ყოველი მორწმუნის (მონათლულის) სიწმინდე (მღვდლობა) და ბიბლიის შეუფალი ავტორიტეტი, რასაც შეიძლება ყველა ეზიაროს. სწორედ ბიბლიის თარგმანში გააძლიერა ლუთერმა პავლე მოციქულის სიტყვები: „განმართლება კაცისა სარწმუნოებითა თვინიერ საქმეთა სჯულისათა" (რომაელთა მიმართ, 3, 28), ე. ი. კანონთა მიუხედავად მორწმუნეს რწმენა ამართლებს. ლუთერმა მოკლედ ჩამოაყალიბა: „ადამიანს ამართლებს მხოლოდ რწმენა". უარყოფილია საეკლ. იერარქია, მღვდელი საეროს უტოლდება, დრომოჭმული დოგმები უქმდება ან კატეგორიულად იცვლება (რეფორმაცია-გარდაქმნაა), შვიდი საიდუმლოდან უარყოფილია 5 (მირონცხება, სინანული, მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა), რჩება 2: ნათლობა და ზიარება. ინდულგენციებით ვაჭრობას, ფუფუნებას, გარყვნილობას ცვლიდა საქმიანი, მარტივი სტილი. აღმავალი ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი ვითარება, მოდერნიზება, მოქნილი და დახვეწილი ღვთისმსახურება.

1517 წ. ლუთერმა თავისი 95 თეზისი ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე გააკრა (31 ოქტ.). 1520 წ. ეკლესიის სულიერი დიქტატურის შემშუსრავ ამ აქტს პაპმა ლეო X (ჯიოვანი მედიჩიმ) უპასუხა საგანგებო ბულით, განკვეთა თეოლოგიის მასწავლებელი, ბერი ლუთერი, რომლის თეზისების მნიშვნელობა წესიერად ვერც კი გაიგო. ლუთერმა პაპის ბულა სტუდენტებისა და მოქალაქეების თვალწინ ცეცხლში ისროლა. ეს იყო გამოწვევა. ლუთერი დაიბარეს იმპერატორ კარლოს V კარზე. უარყოფაზე სასტიკი უარი განაცხადა. მას ელოდა იან ჰუსის ბედი (ჩეხი რეფორმატორი და მისი დიდი მიმდევარი იერონიმ პრაღელი კონსტანცის 1415 საეკლ. ყრილობის დადგენილებით კოცონზე დაწვეს, პირველი 1415 წ. 6 ივლ., მეორე 1416 წ. 30 მაისს). მაგრამ ლუთერს მხარს უჭერდნენ გერმანიის ძლიერი მთავრები, რ-თაც კათოლ. ეკლ-ის სამფლობელოები უნდა მიეღოთ, ლუთერი გადამალეს და გადაარჩინეს. მისი მოძღვრება ნიადაგს პოულობდა ყველგან, სადაც „იაფი ეკლესია" უნდოდათ. დიდი რეფორმატორები გახდნენ კალვინი, ცვინგლი და სხვ. რ. გავრცელდა გერმ-ში, შვეციაში, შვეიც-ში, დანიაში, ინგლ-ში, შეიჭრა საფრ.-ში, ჩეხეთში, რ-ის დიდ მებრძოლთა (ჰუსის, იან ჟიჟკას და სხვ.) გამოსვლებიდან ლუთერმაც ზოგი რამ გადაიღო. შემდეგ პ. დაიყო ორად. ეკლესიად და მიმდინარეობად (ნ. ანგლიკან. ეკლ., ლუთერანობა, კალვინიზმი, ცვინგლიანობა, მეთოდისტები, პრესვიტერიანობა, კონგრეგაციონალიზმი, ბაპტიზმი. ადვენტიზმი, ორმოცდაათიანელები). ყველა ბურჟ. მიმდ-ბაა.

ამჟამად მსოფლიოში 200 მილიონამდე პროტესტანტი ითვლება.

ᲞᲣᲠᲘᲢᲐᲜᲔᲑᲘ (ლათ. პურუს — წმინდა, სუფთა) — საეკლ. რეფორმის ყველაზე უფრო მტკიცე, თანმიმდევარი მომხრეები ინგლისსა და შოტლანდიაში (XVI — XVII ს-ები). ითხოვდნენ ანგლიკან. ეკლ-ის განწმენდას პროტესტანტული ნაშთებისაგან, რ-ებიც კათოლიკუბმიდან შეპორჩენოდა: ეპისკოპატის გაუქმებას, ეკლესიის გაიაფებას, საეკლ. მიწების ჩამორთმევას, მარხვისა და ზოგი წმინდანის უარყოფას, ებრძოდნენ ფეოდ. ფუფუნებას და ყოველივე

ამით გამოხატავდნენ პრიტესტს აბსოლუტ. სამეფო ძალაუფლ. წინ-გ, აღმავალი ბურჟ-ის ინტერესებს. ქადაგებდნენ დაგროვებას, შრომისმოყვარეობას, სიწმინდეს. მთავრობა სასტიკად დევნიდა. დაიყო 2 მიმდ-ად: პრესკიტერიანებად და კონგრეგაციონალისტებად.

პურანა (სანსკრ. „ვარდასული ჟამთა მოთხრობა") — ძვ. ინდურ ტექსტთა ორი დიდი კრებული, „დიდი პ." (18) და „მცირე პ.", რომლებშიაც მოთხრობილია მით. გმირთა და მეფეთა, ღმერთთა (დევთა), განსაკუთრებით კი ვიშნუს ორი დიდი გამოცხადების — რამას და კრიშნას ამბავი. ტექსტების დიდი ლიტერატურული გადამუშავება ახ. წ. საწყისს ემთხვევა. მთლიანად პ. დიდი კანონიკური წიგნია ვიშნ-უიზმის, ინდუიზმის და შივაიზმისა, თავისებური კოსმოგონიის შემცველი. დგას რამაიანას და მაჰაბჰარატას გვერდით.

პურობა, პური გატეხეა — ადვენტისტების, მენონიტების, ორმოცდაათიანელთა, სახარებისეული ქრისტ-ების და ბაპტისტების ერთ-ერთი წესი: ზიარების წმ. საიდუმლოს აღსრულებისას პურსა ჭამენ და ღვინოს სმენ, მაგრამ სწამთ, რომ არავითარი ქრისტეს ხორცი და სისხლი ეს არაა, მხოლოდ სიმბოლურად მოგვაგონებენ ქრისტეს სისხლსა და სხეულს. ხაზგასმულია, რომ მორწმუნენი ამით იზიარებენ გოლგოთაზე იესოს ტანჯვას. შთაგონებით გალობენ და ქადაგებენ, რითაც ახდენენ ზემოქმედებას მსმენელებზე. ზოგი სექტა ყოველი თვის პირველ კვირას ასრულებს ამ საიდუმლოს, ზოგი (ადვენტისტებისა) — წელიწადში ოთხჯერ. ზოგიერთი მას ფერხთა განბანვის წესით იწყებს.

უ

უამის წირვა (ჟამსა ვწირავ: ჟამი — დრო) — მწუხრის (გვიანი) წირვა.

უამნი, უამნკანონი (რუს. ჩასოსლოვ) — ჟამნთა (ცხრა ლოცვის) წიგნი: ცისკრისა, მწუხრისა, სერობისა და სხვ., ღვთისმსახურების სახე. ნ. ჟამნობა.

უამნობა ჟამნება (ჟამნს კითხულობს, ჟამნობს) — ჟამნკანონის კითხვა, ჟამნის თქმა (ვაჟამნებ). იკითხება მწუხრის, ცისკრის, დიდი და მცირე, სადილის, შუაღამისა, სერობა, სამეუფო ჟამნები, — ხალვთისმსახურო წიგნის (ჟამნის — ფსალმუნთა, გალობათა, ლოცვათა) წიგნის კითხვის სადღეღამისო ციკლი, კითხულობენ მგალობელნი და მეფსალმუნენი (გარდა კონდაკში, სასამსახურო ლიტურგიული, ე. ი. წირვის ტექსტებისა, რ-ებიც ცალკეა).

რ

რამაზანი (რამადანი, არაბ.: მიდა — მგზნებარება, მხურვალება; ფრ. — ზან) — მუსულმანთა მთვარის კალენდრის მეცხრე თვე, რ-ის განმავლობაშიც მორწმუნეს ევალება მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე მარხულობა.

რელიგია (ლათ.-რელიგიო—სიწმინდე; ღვთისნიერობა; მოწიწება; წმინდანობა; კეთილსინდისიერება, სისწორე; გრძნეული ნიშანი; რწმენა) — ღვთისმსახურება. ახალი გაგებით: საზ-ბრივი ცნობიერების განსაკუთრ. ფორმა, სინამდვილის ასახვა, განცდა, ხილვა ფანტასტიკურ-ილუზორული წარმოდგენით, ცნებებით, სახეებით, „ასახვა, როცა მიწიერი ძალები იღებენ არამიწიერ ფორმას" (მარქსი, ენგელსი). ამრიგად, ყოველი რელიგია არის ადამიანთა თავებში „იმ გარეშე ძალების ფანტასტიკური ასახვა, რომელნიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მათზე ბატონობენ". ესაა სტიქიური ძალები, რომელთა წინაშეც ადამიანი მოქმედებით უძლურია, მაგრამ სურს ახსნას, იცოდეს, გადაურჩეს ან გამოიყენოს იმ საშუალებებით, რ-თაც თვითონვე ქმნის თავისი ფანტაზიით (ლოცვა, შელოცვა, მაგიური მოქმედება, მსხვერპლშეწირვა. გამოსახულებებით გულის მოგების ცდა...). ენგელსის განმარტებით, ეს ასახვა მთელი თავისი სიჭრელითა და ნაირსახეობით შეგვიძლია შედარებითი მითოლოგიის შემწეობით წარმოვიდგინოთ, — ყოველ შემთხვევაში, ინდოევროპულ ხალხებში, — თუ როგორ ხდებოდა, რა სახეს იღებდა სხვადასხვა ხალხის წარმოდგენაში. ასე, ძვ. ჩრდილოელთა ომის ღმერთია ტირი, ციუ. ციო, ბერძ. ზევსი, ლათ. მარსი. ღმერთის რწმენასთან ერთად რ-ის უეჭველ, აუცილებელ ნაწილს შეადგენს საწესჩვეულებო რიტუალები, კულტების სამსახური; კულტი ითვლება ღმერთთან ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საშად. საამისოდ დამუშავებ-ია თეატრალიზებული სანახაობების დახვეწილი კომპლექსი, რ-ის მიზანია რწმენის განმტკიცება, ადამიანის გულსა და გონებაზე გრძნობისა და ემოციის ზემოქმედებით გაელენის მოხდენა ან მისი გაძლიერება. საამისოდ ყოველ რელიგიას აქვს უფლის სახლები, ტაძრები, ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი, დაცანი, მღვიმეები, სალოცავები, საკურთხეველები, სახლები, სადაც ტარდება ღვთისმსახურება, არის მსახურთა შტატი, გროვდებიან მლოცველნი, ისმენენ ლოცვას, ქადაგებას, კურთხევას, ტარდება საკულტო სამსახური.

რ. მუდამ მრისხანე ძალა იყო. როცა სოკრატე ამხელდა უსამართლო პლუტოკრატებს, მისი გასამართლება მაინც გაუჭირდათ, ვიდრე ბრალდება რ-ის სფეროში არ გადაიტანეს და უღმერთობა არ დასწამეს.

რ. — კაცობრიობის უძველესი და უდიდესი პრობლემაა, იდეოლოგიის განსაკუთრებული ფორმაა, რ-ის შეცვლა რაიმეთი ან სრული უკუგდება არც ერთ ეპოქაში არ მომხდარა და არც ამიერიდან მოხერხდება. ამიტომ საერო ხელისუფალნი დაადგნენ უფრო გონივრულ გზას, რომ მეცნიერული განსჯისა და დავის პარალელურად ის გამოიყენონ სიკეთისათვის ბრძოლაში, მშვიდობისა და მორალური სიწმინდის ქადაგებაში, ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეში და ა. შ. — თვით ისეთ ქვეყნებში. სადაც ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილია. ძალადობისა და რეპრესიების ნაცვლად მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკა საერთოდ ჩვენი ეპოქის მონაპოვარია, პროგრესის ნიშანია, და გამონაკლისი არც რელიგიის, კერძოდ ქრისტიანობის ინსტიტუტია.

რელიგიის რიცხობრივი მაჩვენებელი (1981 წ.): ქრისტიანი — 998 000 000; ისლამი — 592 000 000; ინდუისტი — 481 000 000; ბუდისტი — 256 000 000; კონფუციანელი — 154 000 000; დაოსიზმის მიმდევარი — 30 000 000; იუდაიზმისა — 15 000 000; ზოროასტრიზმის — 276 000; 2 მილიარდამდე — სხვა რელიგიების მიმდევარი ან სულაც ურელიგიო; ქრისტიანობიდან ყველაზე რიცხვმრავალია კათოლიკები (580 000 000), მართლმადიდებლები (74 000 000) პროტესტანტებიდან — ბაპტისტები (75 000 000), ანგლიკანები (67 000 000), პრესვიტერები და სხვ.

რელიგია — ესაა ძალა, რამაც განანათლა ქვეყნები, თაობები, ააგებინა ხალხებს კულტურის კერები, პართენონი, პეტრეს ტაძარი; აღდგომის ციცქნა კუნძულზე მარტოხელა პატარა ტომს კლდიდან გამოაკვეთინა მონოლითური ბუმბერაზები; შეაძლებინა ბიბლიის შექმნა და ასობით ენაზე თარგმნა; გაყო და კომპაქტურად შეკრა ხალხთა დიდი ოჯახები, განაგო ომისა და მშვიდობის საქმეები, დაიმორჩილა ხელმწიფეები, ანუგეშა დაღდასმულნი...

რელიგია — ესაა კულტურა, ზნეობრივი, ეთიკური, მსოფლმხედველობითი, ფილოსოფიური კულტურა; ესაა თავისთავადი ფენომენი, რომელმაც ზრუნვით შექმნა ხელოვნების უნიკალური საგანძურები... რელიგიისადმი ცალმხრივი, მტრული, უაზრო დამოკიდებულების შედეგად დაინგრა და გაიძარცვა ხელოვნების უამრავი საგანძური. თვით ერმიტაჟიდან გაყიდეს მრავალი შედევრი, მათ შორის ტიციანის „ვენერა სარკესთან", შეძენილი 525 000 ფრანკად. გაიყიდა ბოტიჩელი, რემბრანდტი...

რელიგია კრავს და აწესრიგებს ერს. მან დადო საძირკველი, რასაც სხვა უკეთ ვერ დადებდა. ქართველი ხალხი ქრისტიანულმა რელიგიამ იხსნა დაღუპვისაგან. აქ რელიგია რეალური, მაორგანიზებელი ძალაა, დროშაა ერისა. ცალკე მსჯელობის საგანია რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის, რელიგიისა და მითოლოგიის, რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართებანი.

ურელიგიო ერი უზნეო ერია. უცხოელი მისიონერები და მოგზაურები ურელიგიოდ რაცხდნენ ჩვენს ზოგიერთ მეზობელ ტომს, რომელმაც მოქმედებით დაამტკიცა თავისი უმადურობა, შური და უზნეობა, მივიდა კურიოზამდე: ქრისტიანულ ერს შეეცილა ტაძრებს, რომელნიც მათ არ უშენებიათ, რაც არ უქნია თურქს, ბერძ. სამყაროში შეჭრილს. ეს მათ ხელს არ უშლიდა შეერყვნათ ეს ტაძრები, გადაეფხიკათ ძველი ქართული ფრესკები და წარწერები. ვისაც ღმერთის არ ეშინია, იმას არც კაცის რიდი აქვს. იკადრებს შურს, ცილისწამებას, ყოველგვარ ვერაგობას. უღმერთობა უკაცურობაში გადადის. ამ გაგებით რელიგია შეიძლება იდგეს ჰუმანურობის ან ბოროტების სამსახურში, იმის მიხედვით, რა შინაარსისაა ესა თუ ის რელიგია. ამ მხრივ სადავო არავისთვის არაა, რომ ქრისტიანობა ყველაზე უფრო ჰუმანური, კაცთმოყვარული რელიგიაა. მისი დამარცხების იმედი, რასაც ფანატიკოსები არ ფარავენ, ამაოა, რადგან ქვეყნად საბოლოოდ სიკეთემ უნდა გაიმარჯვოს.

რელიგიის ისტორია გადახლართულია მსოფლიო ისტორიასთან, ერების სულთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მთელ შინაარსთან (ბიბლია, ღვთა-

ებრივი კომედია, დაკარგული სამოთხე, აღორძინების ხელოვნება...). ვინც რელიგიის ისტორია არ იცის, არ შეიძლება კულტურულ ადამიანად ჩაითვალოს. ამიტომ ეს საგანი უეჭველად უნდა ისწავლებოდეს სკოლებში.

მსოფლიოში ორასზე მეტი რელიგიაა ცნობილი, მათ შორის მრავალი რამ საერთოცაა და მრავალი რამ პრინციპულად განსხვავებულიც. მეორე საკითხია ამ რელიგიების დონე, ფილოსოფიური სიღრმე, შინაარსი, სიძველე, ტრადიციები. უდიდესი, დახვეწილი რელიგიების — ქრისტიანობის, იუდაიზმის, ბუდიზმის, ინდუიზმის, მუსულმანობის გვერდით არსებობენ ჩამორჩენილ ტომთა პრიმიტიული რელ-ური წარმოდგენები, კერპთა თაყვანისცემა, უმარტივესი რიტუალები (თუ კერპი ან ფეტიში აფრიკელს ან პოლინეზიელს სურვილს არ უსრულებს, მას სცემს, წყალში აგდებს, ფეხით თელავს ხოლმე).

რელიგიამდელი ეპოქა — პერიოდი ადამიანის გაჩენიდან პირველი რელიგ. წარმოდგენების შექმნამდე. მაიმუნის მსგავსი ადამიანებისაგან რამდენადმე ჩამოყალიბ. ადამიანის გამოჩენას მეცნ-ება ვარაუდობს 2,5 მილ. წლის წინ (ნ. ანთროპოგენეზი). პირვ. რელიგ. წარმოდგენები, ცხადია, პრიმიტ. სახით, საგულვებელია 35 — 40 ათ. წლის წინ. ამ დროიდან რომ პირვ. ფით. და რელიგ. წარმოდგენები ისახება, დამტკიცებულია არქეოლოგ., ეთნოგრ., ისტ. ენათმეც-ების მონაცემებით. ეს აღიარ-ა უცხოეთის გამოჩენილ მეცნიერთა, სოციოლოგთა მიერ, ოღონდ ბევრი მათგანი ამტკიცებს, რომ ეს იყო რაღაც უდროო დრო, როცა არ არსებობდა არავით. საზ. შეგნება, კულტურა, გაერთიანება. რელიგია თითქოს უეცრად შეიქმნა და იყო გიგანტური ნაბიჯი ადამ. საზ-ბის ისტორიაში. რელიგიას ლენინი უწოდებდა ფუჭ ყვავილს, რ-იც აღმოცენდა ადამ-ის ყოვლისმომცველი, ობიექტ., აბსოლუტ. გონების, შემეცნების ხეზე. ნეანდერთალელის სამარხის და სხვ. ამონათხარი მასალის ანალიზით მტკიცდება, რომ ადამ-მა ფორმირების ხანგრძლივ პროცესში, ბუნების ძალებთან ბრძოლაში, ცეცხლის გაჩენის, მოვლის, შენახვის და სხვა მონაპოვრის შედეგად შექმნა თავისი სახე, საზოგ. ცხოვრების ნორმები, ზნეობრივი კანონ-წესები, და ამავე პროცესში ხდებოდა რელ-ის ჩამოყალიბება.

რელიგიის წარმოშობა — ფილოს. და ისტ. ერთ-ერთი ძირეული საკითხი, დაკავშირ. მრავალ პრობლემასთან, სადავო საკითხთან. პრიმიტ. სახით ამაზე მსჯელობდნენ უკვე ანტიკის მოაზროვნეები — ეპიკურე (დაახ. 341 — 270 ძვ. წ.), ლუკრეციუსი (დაახ. 99 — 55). ცალკეული მოსაზრებები გამოუთქვამთ ანაქსაგორეს, სოკრატეს, პლატონს, ყველა დროის იდეალისტებსა და მატერიალისტებს. უწინარეს ყოვლისა, ესაა რწმენა ზებუნებრ. ძალებისა და თავისი ძირებით მომდინარეობს ადამიანის უძლურობიდან ბუნების ძალების, გარემომცველი ბუნების წინაშე, რომელთა კონტროლის ძალი არ შესწევს, ამიტომ ხსნის მიუწვდომელი ზებუნებრ. ძალების ჩარევით, ახვევს მათ პოეტურ სახეებში, ქმნის წარმოდგენებს სულებზე, დემონებზე, ღმერთებზე, როგორც ბავშვი იგონებს რაღაც უხილავ სახეებს და მათ ესაუბრება თამაშის დროს. რელ. წარმოშობას წინ უსწრებდა რელიგიამდელი ხანგრძ. პროცესი განვით-ისა, ქვის ხანის ეპოქიდან. წარმოშობის პერიოდს ვარა-

უდობენ (და ფაქტებით ადასტურებენ) ზემო პალეოლითიდან (20 — 40 ათ. წლის წინ). უძვ. ფორმა რ-ისა იყო მაგია — ჯადოქრული გზით ბუნებაზე ზემოქმედების რწმენა, რასაც პირველყოფ. ადამ. საკულტო ცერემონიებიო თუ შელოცვით გამოხატავდა, მისთვის სასურვ. მიზნის მისაღწევად. ამასთან რელ-ის ძირები საძებნელია იმავე გარემოში და სტიქიურ მოვლენებში, არა ადამიანის შემეცნებაში. პირველი ჩანასახი რელ-ისა გამოიხატებოდა რეალურად არსებული საგანთა განდიდებაში, თითქოს მათ პქონდათ ზებუნებრ. ძალა: ქვას, ნიჟარას, თმას... ეს იყო ფეტიშის რწმენა. შემდეგ მთავარია მაგიის, ტოტემის რწმენა. ტომი გააღმერთებდა რომელიმე მისთვის მნიშვნ. ცხოველს, რომლის ხელყოფა არ შეიძლებოდა. მესამე ობიექტი თაყვანისცემისა იყო სული. წინაპართა სულების რწმენა, ქალის სულის უპირატესობით მატრიარქატის დროს და მამაკაცისა — პატრიარქატზე გადასვლის შემდეგ. ბოლოს. უკვე კლასობ. საზ-ის შექმნის შემდეგ, თანდათან შეიქმნა რწმენა ღმერთებისა, მთელი თეოგონია, მითების საოცარი სამყარო, რ-შიაც ადამ-თა საზ-სთან ერთად მოქმედებენ ღმერთები, ქალღმერთები, დემონები, ქაჯები, ჭინკები, ფერიები და ა. შ. ამრიგად, უმარტივესი წარმოდგენები მკვდარ საგნებზე იქცევა სრულყოფილ კოსმოგონიურ იერარქიად, მოელი სამლოცველოებისა და საკულტო ცერემონიების თანხლებით.

რელიგიური ომები — ნ. ომები რელიგიური. რელ. საბაბით ატეხილი სისხლისმღვრელი ომების, შეტაკებათა ისტ-ში უფრო ცნობილია: 1. პაზავათი, არაბთა დაპყრობელი სარდლების ბარბაროსული ლაშქრობები წინა აზიაში, აფრიკაში და ევროპაში VII — X ს-ებში, ისლამის გავრცელებისა და სავაჭრო გზების ხელში ჩაგდების მიზნით. ისლამის ერთ-ერთი მძლავრი მღვრიე ფანატიკური ტალღა წამოვიდა საქართველოშიც, სადაც ყველა დროის ერთ-ერთმა უდიდესმა მძარცველმა და ურჯუკმა მურვან ყრუმ ქრისტიანი მშენებელი ქვეყანა სისხლში ჩაახრჩო; 2. ჯვაროსნული ლაშქრობები, რ-თა მიზანი იყო თითქოს ქრისტეს საფლავის დახსნა ურჯულოებისაგან, სინამდვილეში კი ამით ეუფლებოდნენ სავაჭრო გზებს, ადგილ-მამულს შოულობდნენ გადარიბებული ფეოდალები, ძარცვავდნენ მდიდარ ქვეყნებს; 3. ჰუსიტური ომები ჩეხეთში, სამართლ. ნაციონალური ომები მოძალადეთა წინ-გ (XV ს.); 4. კათოლიკ. რომის ლოცვა-კურთხევით მოწყობილი საშინელი დამსჯელი ლაშქრობა სამხ. საფრ-ში და ჩრდ. იტალიაში, ალბიგოელთა და ფარიბი გლეხობის დასათრგუნავად — ერესების წინ-გ ბრძოლის საშინელი გამოვლინება (XIV ს.); 5. ფეოდ. — კათოლ. რეაქციის ომები რეფორმაციის წინ-გ (ჰუგენოტების გაელეტა საფრ-ში, სხვა შეტაკებანი მზარდი ბურჟ-ის პროგრესული ძალებისა კათოლ. რეაქციასთან); 6. ბერძენთა და თურქთა შეტაკებანი 1964 — 65 წ; ინდო-მუსულმანთა ომი 1947 და სხვ.

რ-რი ომები სინონიმიცაა ჰუგენოტებთან გიმართ. ომებისა. რ. ომს თან სდევს განსაკ. დიდი სისასტიკე, ფანატიკ. შეუწყნარებლობა, როცა კათოლიკე ქრისტიანი პროტესტანტ ქრისტიანს, ფრანგი ფრანგს ისევე სასტიკად უსწორდებოდა, როგორც მუსულმანი ფანატიკოსი „გიაურებს". ზოგჯერ გლეხობაც რ-რი ომის საბაბით ებრძოდა მჩაგვრელ ფეოდალებს.

რელიგიური სექტა (ლათ. სექტა — მოძღვრება, მიმართულება, ასრი) — მთელი რიგი ნიშნებით გამორჩეული რელიგ. მიმდინარეობა, რაც მთავარ სარწმ-ბას გამოეყოფა ხოლმე და თავისი საკუთ. პრინციპებით ხელმძღვანელობს, ხშირად ესაა პოლიტ. მოსაზრებით გამოყოფ. ორგანიზაცია, უმაყოფ. სოც. ჯგუფის სახით რომ აცხადებს პროტესტს გაბატ. წრეებისადმი, აცხადებს განსაკ. პრეტენზიებს, თავისი დოქტრინების, საკულტო წესების ჭეშმარიტებას, იდეური პრინციპების უპირატესობას ამტკიცებს. იზოლაციის მკაცრი ტენდენცია სექტებში ჩვეულებრივ გამოიხატება საკუთ. კოდექსის ერთგულების, „სულიერი გარდასახვის“ და პირველობის მტკიცებაში, რაც ხშირად უკიდ. ფანატიზმსა და ექსტრემიზმში გადადის. უარყოფენ მღვდლობას. სამღვდელოებად და საეროებად დაყოფას, რასაც ცვლიან ნებაყოფილობით გაერთიანებებით, ამარტივებენ ღვთისმსახურების წესებს. სახელწოდებათა და პრინციპთა სხვადასხვაობის მიუხედავად ბევრი რამ საერთო აქვთ და თავიანთი განდგომით არსებითად არყევენ რელიგიის საფუძვლებს, ეკლესიის ერთიანობას, მოძღვრებათა ღვთიშთაგონებულობის იდეას. დროთა მანძილზე ხდება მათი გარდაქმნა, გაძლიერება ან გაქრობა. სექტანტობა—ესაა დაშლა, დაქუცმაცება, დავა, ქიშპი, რასაც ეკლ. ებრძვის. მთავარი სექტებია ბაპტიზმი, ორმოცდაათიანელობა, შემდეგ მენონიტების, ადვენტისტების, ადვენტისტ-რეფორმისტების (ანტისაბჭოური), იეღოველების, საჭურისების (სკოპცების), სულიერი ქრისტიანების (დუხობორების), მალაკნების, ხლისტების („ღვთისადამიანების“), სუბოტნიკების (მეშაბათეების), სტაროობრიადცების...

ადრექრისტ. სექტები იყო ნიკოლაიტებისა, იუდეველ-ქრისტიანების, „ებრაელების“, „ნაზარეველების“, ქრისტ.-გნოსტიკოსების. მონტანისტების, დონატისტების (ეპის. დონატისა), აგნისტიკების, არიანელთა...

მართლმადიდებელ ქრისტიანთა და ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა ეკლესია მონარქისტ. ტენდენციით განსხვავდება ქრისტ. ოფიც. სარწმ-საგან. ამ სექტების მტკიცებით, 1917 წლიდან ქვეყნად სატანა ბატონობს და მას მოჰყვება ყოველნაირი უბედურება, ადამიანთა შემმუსვრელი. ამ საბაბით უარყოფენ ყველაფერს, რაც სოც. წყობილებასთანაა დაკავშირ. (სამხედრო სამს., სამოქ. მოვალეობანი, არჩევნები, კოლმეურნეობა, ოჯახიც კი უარყოფილია, ქმშაკის ნაშიერთა გაჩენის შიშით). ასკეტურ ცხოვრებას ეწევიან, თუმცა არც გარყვნილებაზე ამბობენ უარს. ხელს უშლიან ეკლ-ის ტენდენციას ლოიალურ დამოკიდ-ზე გადასვლისაკენ.

სექტანტობა ამტკიცებს, რომ ქრისტ. რელიგია ერთიანი არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა. თვით სიტყვა „ს“. იქცა განდგომის, უარყოფის სინონიმად. მათი ძირი საძიებელია ანტაგონ. საზ-ბის შინაგან წინააღმდეგობაში. ესაა პროტესტი უსამართ. წინ-გ. შუა საუკ-ებში ეს იყო გლეხთა და ხელოსანთა „განდგომა“ მთავარი ხაზიდან. ფეოდალიზმის წიაღში იქმნებოდა დემოკრ. ხასიათის პროტესტანტ. სექტები (ბაპტისტები, მენონიტები და სხვ.). მრავალი სექტა რელიგ. საფარველით ებრძოდა მჩაგვრელებს, გამოხატავდა პოლიტ. პროტესტს და ეს დამახასიათებელია ყველა ხალხისათვის, განვითარების გარკვეულ საფეხურზე (ლენინის განმარტებიდან). ასე ებრძეიან საბჭ. ხელის-ს დღესაც ის სექტები, რ-ნიც მტრულად შეხვდნენ ოქტ. რევ-ს, ასრულებენ

რა ჩვენში თუ უცხოეთში პატრიარქ ნიკონის ანდერძს.

რელიქვიები (ლათ. რელიქვიე—ნაშთები, წმ. ნაწილები) — მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმინდანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირ. საგნები, ნივთები ან სხეულის ნაწილები, რ-ნიც რელიგ. თაყვანისცემის საგნად ქცეულან: ჯვარი, რ-ზედაც თითქოს იესო გააკრეს, მისი სამოსის ნაწილები, რ-ნიც ჯვარცმის შემდეგ „განიყვეს", ასევე იოანე ნათლისმცემლის თავი, თითები, თმა, გარდამოხსნა, „ქრისტეს ოფლი" და ა. შ. — განსაკ. კათოლიკ. ეკლ-ში, სადაც უთვალავ მიმლოცველს იზიდავენ.

რეფორმატორული (რეფორმისტული) ეკლესია — ევროპის კონტინენტური ეკლესია (ეკლესიები), კალვინისტებისა, მათივე იმ ეკლესიებისაგან გამოსარჩევად, რ-ნიც განლაგებულან ინგლისში, შოტლანდიაში, აშშ-ში, სადაც მათ პრესვიტერული და კონგრეგაციული ეკლ-ები ეწოდებათ. სათაევში დგანან არჩეული პრესვიტერები და პასტორები. ბევრად არაფრით განირჩევიან პრესვიტერული ეკლ-საგან. 1875 დაარსდა „რეფორმისტული ეკლესიების მსოფლიო ალიანსი", რ-მაც გააერთიანა პრესვიტერები და რეფორმატები. რ. ეკლესიებია შვეიცარიაში, ფედერ. გერმ-ში, საფრ-ში, უნგრ-ში, აშშ-ში, ჩეხოსლ-ში, დას. უკრაინაში.

რეფორმაცია (ლათ. „გარდაქმნა", „შესწორება") — ფართო მასშტაბის ანტიკათოლიკ. მოძრაობა ევროპის ქვეყნებში XVI — XVII ს-ებში, რამაც დასაბამი მისცა მესამე დიდ ქრისტ. სარწმ-ბას, პროტესტანტიზმს (ლუთერანობა, ანგლიკან. ეკლ., ჰუგენოტები საფრ-ში და სხვ.). რაკი სარჩულად რელიგ. ბრძოლა ედო, ზოგი გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ეს იყო წმინდა რელიგ. მოძრაობა. სინამდვ-ში კი ეს იყო ახალგ. ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალიზმის წინ-გ, რაც პირველ რიგში გამოიხატა „ფეოდალიზმის პირვ. წოდების" — მდიდარი სამღვდელოების წინააღმდეგ ატეხილი ომით. პაპის კურია და მთელი კათოლ. კლირი, ზედა ფენა, სამართლიანად მიაჩნდათ საერო ფეოდალთა თანაბარ დიდკაცობად, ამიტომ ებრძოდა ეკლ. „მთავრებს" გლეხკაცობაც. ითხოვდნენ ქონებრივ თანასწორობას, ძვირი და მდიდრული კულტის შეცვლას, ღვთისმსახურების გამარტივებას, 7 საიდუმლოს უმრავლესობის გაუქმებას, პირადი რწმენის ამაღლებას. რ. დიდხანს მსადდებრდა (ჰუსიტების გამოსვლები, მოწინავე მოღვაწეთა ნაამრეკი), მაგრამ ხორცი შეისხა ლუთერის გამოსვლით პაპის წინ-გ, ძირითადად ინდულგენციებით ვაჭრობასთან დაკავშ-ით. შვეიც-ში რ. დაიწყო ულრიხ ცვინგლის გამოსვლით (1484 — 1531), გაიშალა მთელს ევროპაში. იყო 3 მთავარი მიმდინ.: კონსერვატ.-კათოლიკ., ბიურგერულ-ზომიერი და პლებეურ-რევოლუც.

რ-ს მალე მოპყვა კონტრრეფორმაცია, რამაც გამოიწვია რელიგ. ომი და უამრავი მსხვერპლი (ნ. ბართლომეს ღამე, ალბიგოელები, ლუთერანობა).

როშ-ჰაშანა (ებრ. ახ. წელი) — იუდეველთა საახალწლო დღესასწ. სექტემბრის დამდეგს. სრულდებოდა მთვარის სულის სადიდებლად, მოსავლის მოწევასთან დაკავშ-ით. შემდეგ რაბინებმა დაუკავშირეს ცრუ რწმენას, თითქოს ამ ლოცვას შეუძლია ადამიანისათვის ბედნიერების მოტანა მთელი წლით, იაპვე ამოწმებს კაცის საქმეებს. რწმენის გაძლიერების მიზნით 10 სალოცავ დღეს ეწოდა იომ-კიპური, „საშინელი დღეები", როცა მარხულობენ,

ლოცულობენ, უკრავენ ვერძის რქის საყვირს (შოფარა) და სხვ.

რუსიკუმ (ლათ.) — რუსეთში კათოლ. სარწმ. გავრცელების მიზნით იეზუიტების მიერ დაარსებული და პიუს XI-ის მიერ კურთხეული სკოლა, ამზადებდა მისიონერებს, რ-თაც ევალებოდათ რუსეთის „მოქცევა" კათოლ. სარწმ-ზე. ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას. ემორჩილება აღ. ეკლესიების კონგრეგაციას.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესია — უდიდესი ავტოკეფალური ეკლესია 15-დან. შეიქმნა რუსეთში ქრისტ-ობის შემოღებასთან ერთად (988). დიდხანს იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქის მფარველობის ქვეშ. XV ს-ში გახდა დამოუკიდ., 1589 — 1721 წწ. არსებობდა საპატრიარქო, რაც მერე სინოდმა შეცვალა და სათავეში ჩაუდგა ობერ-პროკურორი. იყო იმპერიის ოფიც. რელიგია და მუდამ იცავდა თვითმპყრობელობას, ებრძოდა რევ.-მოძრაობას, 1917 წ. კი აღდგა პატრიარქობა. პატრიარქად აირჩიეს მიტროპოლიტი ტიხონი, საბჭ. ხელის-ის დაუძინებელი მტერი (ბელავინი), შემოიკრიბა რეაქც. ძალები, ანათემა გამოუცხადა საბჭ. რუსეთს. შემდეგ ის გადააყენეს. ამჟამად რ. მ. ეკ-ს განაგებს კვლავ პატრიარქი, მასთან სინოდი. მის გამგებლობაშია 76 ეპარქია, 4 ეგზარქატი, საზღვარგარეთ კი არის 3 ეგზარქატი და 2 მამამთავარი (აშშ, კანადა და სხვ.). აქვს 2 აკად., 3 სასულ. სემინარია. საბჭოთა წყობილებასთან ლოიალურ კურსს ატარებს.

რწმენა — მრწამსი — მტკიცე შეხედულება, აღიარება რაიმესი ან ვინმესი; 1. სარწმუნოება, მოძღვრება, რასაც იზიარებს გარკვეული ჯგუფი, წოდება ან ცალკე ადამიანი (რელიგ. სისტემისა, მაგ. ქრისტიანობის, იუდაიზმის, ისლამის, ბუდას რწმენა); 2. მტკიცე დამოკიდებულება მოვლენის ან საგნებისადმი, როცა ვინმეს ისინი სწამს და მიაჩნია ნამდვილად, სწორად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ასეთი შეხედულება მეცნიერულად დამტკიცებული, პრაქტიკით შემოწმებული, მაგ. რელიგ. ობიექტი: ღმერთი, ეშმაკი, ანგელოზები („მწამს, რადგან აბსურდია" — ტერტულიანეს პარადოქსი. გულისხმობს ბრმა რწმენას); 3. დასაბუთებული, მტკიცე აზრი, დაჯერებულობა (იდეის, თავისუფლების გამარჯვებისა; ბელადის და ა. შ.).

რწმენა და გონება (გონი) — თითქმის ყოველი რელიგიისათვის დამახასიათებელი დაპირისპირება ადამიანის გონებასა და სარწმუნოებას შორის, განსაკუთრ. დახვეწილია ქრისტ. სარწმ-ებაში. რელ. მოძღვრებით, ჩვენი გონება მხოლოდ უბრალო ლოგიკურ ოპერაციებს აწარმოებს, მისთვის მიუწვდომელია არა მარტო ღმერთი, არამედ ბუნების, ყოფიერების შეცნობაც ღვთაების რწმენის გარეშე. ღვთისმეტყველთა განმარტებით, არსებობს აბსოლუტური ღვთაებრივი გონება (და გონივრულად შექმნილი სამყარო), რაც სინამდვილეში იგივე ადამიანის გონებაა, ოღონდ ღვთაებრივ რანგში.

რწმენა, იმედი, სიყვარული — ნ. სიყვარული, რწმენა, იმედი.

რწმენა რელიგიური — ზებუნებრივი არსებების, თვისებების, მოვლენების ბრმა რწმენა, რ-იც არ ემყარება ცდას, მეცნიერებას, ლოგიკას. თეოლოგიის განსაზღვრით, ესაა ან ციური მადლი, ან ადამიანის სულის უმაღლესი ღირსება, განუყოფელი ნაწილი. სინამდვილეში ესაა ადამიანის სოციალური ბუნებით განპირობებული, მისი ფსიქიკის შენაძენი, რაც შეიცავს

ინტელექტ. და ემოციურ ელემენტებს: რაც ცდით არ დასტურდება, ემოციურად უნდა შთააგონონ.

ზოგადად, რწმენა. საღი და ლოგიკური, ყოველ საქმეში გამარჯვების საწინდარია. ამას აღნიშნავდნენ ძვ. და ახ. აღთქმის ავტორებიც. იობის წიგნში ლაპარაკია მთების დაძვრაზე (9,5). იესოც ეუბნება მოციქულებს: „უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაი, ვითარცა მარცვალი მდოგვისაი, პრქვათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარა შეუძლებელ იყოს თქვენ მიერ" (მათე, 17, 20); იმის წინ: „ჰოი ნათესავი ურწმუნო და გულარძნილი! ვიდრემდის ვიყო თქვენ-თანა?" მისი განმარტებით, ტიბერიადის ტბაზე რომ ფეხით გაიარა და ზღვა დააწყნარა, პეტრე კი იძირებოდა, მაგრამ იხსნა, მოციქულთა მარცხი რწმენის ნაკლებობამ გამოიწვია.

რჯულთშემწყნარებლობა (ახ. ლათ. ტოლერანცია, რუს. ვეროტერპიმოსტ) — კეთილი, შემწყნარებლური დამოკიდებ. რომელიმე სხვა სარწმუნოებისადმი, როცა სახელმწიფოში ოფიც. რელიგია სხვაა, ან ხელისუფლება სხვა რელიგიას მფარველობს. ფეოდალიზმის ეპოქაში პროგრ. ხასიათისა იყო, და არის საერთოდ, როცა ზღუდავს რეაქც. წოდების, რელიგიის ძალადობას (კათოლიც. და სხვ.). რუსეთშიც იყო „მთავარი და გაბატ. რელიგია" (მართლმადიდ.) და „შეწყნარებული", აღიარებული სხვა სარწმუნოებანი. ბურჟ. ქვეყნებში არსებითად განამტკიცებს რელიგიას, კათოლიც. და ეკლესიების მსოფლიო საბჭო დიდ ყურადღებას უთმობენ. მეტადრე იმ ქვეყნებში, სადაც კათოლ. და პროტესტ. მორწმუნეთა რიცხვი მცირეა.

რ-ის კლასიკ. ქვეყანაა საქართველო (დავითის, თამარის რ. და ასევე — დღემდე).

ს

საბბატო (არამ. აბო — „მამა", აქედ. ლათ. აბბას — აბბატი) — კათოლ. მონასტერი, რ-ის სათავეშიც დგას აბბატი (დედათა მონასტერში — აბბატისა). შუა საუკ-ებში ჰქონდათ თვალსაჩინო პოლიტ. და ეკონ. ზეგავლენა, ფლობდნენ მიწებს. რეფორმაციამ ბევრი ს. გააუქმა, ბევრიც ბურჟ. რევ-ბმა დახურეს. დღესაც განაგრძობენ რელ. ფანატიზმის გავრცელებას.

საბაოთი (ებრ. ცება — მხედრობა, ჯარი, ცებაოთ — „ლაშქრის ღმერთი") — ძვ. ებრ. პანთეონის უზენაესი ღმერთი, თავდაპირველად იაჰვეს (იეღოვას) სინონიმი და ორეული, გვხვდება მასთან ერთად, იყო იუდას (იეჰუდას) ტომის ღმერთი, ხოლო ტომთა გაერთიანების შემდეგ გახდა მთელი ერის უზენაესი ღმერთი—საბაოთი. იუდეველთა ღმერთი იაჰვე საბაოთის (ცებაოთის) სახით იღებს შემდგომ განვითარებას და იქცევა ქრისტ-თა უზენაეს მამა-ღმერთად. არსებითად ეს ერთი და იგივე დიდი ღვთაებაა.

საბუთები ღმერთის არსებობისა — ნ. მტკიცებანი.

საგალობელთა წიგნები — ბერძ. პარაკლიტონი (რვა. ხმათა წიგნი), თთვენი, მარხვანი და ზადიკი (ზატიკი), სადღესასწ. საგალობლები.

საეკლესიო ქორწინება — ნ. ქორწინება.

საეკლესიო ყრილობები (კრებები) — უმაღლესი ქრისტ. სამღვდელოების საკრებულოები, რ-ებზედაც წყდება უმნიშვნელოვანესი საეკლ. საკითხები, აწესებენ სარწმუნოებისა და კულტის ნორმებს, ასწორებენ ან ადგენენ ახ. წესებს, აფასებენ ან უარყოფენ სხვადასხვა კონცეფციებს, განსაზღვრავენ ერესებთან ბრძოლის მეთოდებს, ამტკიცებენ დოგმებს და იღებენ ეკლ-ის გაძლიერების ღონისძიებებს. პირველ ხანებში იწვევდნენ ბიზანტ. იმპერატორის ინიციატივით, თავმჯდომარეობდა კიდეც ყრილობას და იღებდა იმპერიისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს, რ-ც სტატუსს.

მართლმადიდ. ეკლ. ცნობს განხეთქილებამდე მოწვეულ 7 ს. ყ-ს: 1. ნიკეის (325), მოიწვიეს ნიკეაში (მც. აზია), „წამმართი" იმპერატორის კონსტანტინე დიდის მეთაურობით. მიიღო „სიმბოლო სარწმუნოებისა", დაგმო არიანელობა, რ-ც „უღმერთო ერესი", შეიმუშავა 20 კანონი (ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის მიტროპოლიტების უპირატესობის და სხვ.); 2. II ს. ყ., კონსტანტინოპოლისა (381), იგ. კონსტანტინოპოლის I საეკლ. ყრილ., მოიწვიეს წინა ყრილობაზე მიღებ. სარწმუნოების სიმბოლოს დაზუსტ. მიზნით და ერესების (არიანელთა, ევნომიანელთა, მარკელიანელთა და სხვ.) წინ-გ ბრძოლის გასაძლიერებლად. დაადგინეს სიმბოლო სარწმ-ისა, ღმერთის სამეობის ფორმულა, რომის პატრიარქთან ერთად კონსტანტინოპოლის პატრიარქსაც მიენიჭა უმაღლ. ძალაუფლება სხვა ეპისკოპოსთა წინაშე. მის მოთაეედ დაინიშნა გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი, დაახ. 330 — 394), პატრისტიკის დიდი წარმომადგენელი; 3. ეფესოს (431) ს. ყ., მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლის ვითარებაში ეკლესიების პირველობისათვის. დაგმო ნესტორიანობა, დაამტკიცა, რომ ქალწული მარიამი ღვთისმშობელია; 4. მალე (449) მოწვეულ იქნა მომდევნო, ეფესოს II ყრ., რ-იც გამოცხადდა „ავაზაკთა ყრ-დ", დაგმო წინა ყრ-ის გადაწყვეტილებანი, და ამიტომაც ამ ს. ყრ-ს „ყაჩაღთა" ეწოდა. ალექსანდრიის პატრიარქმა დიოსკორემ ყრ. აიძულა მიეღო მონოფიზიტობის აღიარება. იმპერატორმა თეოდოსიუს II-ძ მისი გადაწყვეტილებანი დაამტკიცა. მაგრამ მორიგმა, ქალკედონის ს. ყ-მ (451) დაგმო მისი გადაწყვეტილებანი, უწოდა მას „ავაზაკთა საკრებულო" და ამიტომ IV ს. ყ-დ ითვლება არა ის, არამედ ქალკედონის ყრილობა. ამის შემდეგ მოხდა ქრისტიანთა გაყოფა მონოფიზიტებად და ქალკედონიტებად; 5. მეორე კონსტანტინოპოლისა (553), მოიწვია იმპერატორმა იუსტინიანე I-ძა, რ-იც ეკლესიის ერთიანობას ესწრაფვოდა, ამიტომ ანგარიში არ გაუწია რომის პაპს ვიგილიუსს და თავისი ბრძანებულებით გაამტკუნა „სამი თავი" — სამი საეკლ. მწერალი, რ-თაც მონოფიზიტები ნესტორიანობას აბრალებდნენ (ნესტორი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, არიანელთა საპირისპიროდ ამტკიცებდა, რომ ქრისტე ღმერთმა შვა. ვითარცა დაუსაბამო, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა ეკლესიას, რ-იც იესოს ღმერთკაცად თვლიდა: მესია გახდაო სულიწმიდის წყალობით). ეკლ. დიდხანს არ ცნობდა ამ გადაწყვეტილებებს; 6. მეექვსე ყრ-დ ითვლება კონსტანტინოპოლის III ყრ. (680 — 681). იღადგინა სამშვიდობო ურთიერთობა პაპთან, რაც დაირღვა VII ს. შუა ხანებში იმპერატორის შიერ პაპ მარტინის დაპატიმრებით და გადასახლებით; 7. ტრულის (ასე ეწოდებოდა სასახლის სამყოფელებს. სადაც ყრ. სხდომები მოხდა).

სხვაგვარად „შეხუთექვსე“ ყრ. (რადგან შეაკვსო V და VI ყრ-ბის კანონები. ეს ყრ-ც კონსტანტინოპოლში მოხდა (692); ცალკე სათვალავში ეს ყრილობა არ შედის; 8. VII საეკლ. ყრ. შედგა 786 ისევ კონსტანტინოპოლში, ხატთ-მებრძოლობის განკითხვის მიზნით. შემდეგი სხდომები ნიკეაში გადაიტანეს, რისთვისაც ნიკეის II ყრ. ეწოდა. გადასვლა მოხდა 787, რადგან დედაქალაქში მყოფი ჯარები მტრულად იყვნენ განწყობილი და ხატების თაყვანისცემის გადაწყვეტილება იქ ვერ მიიღეს. ხატების კულტი აღდგა ნიკეაში; 9. დიდი შუალედის შემდეგ 869 — 870 წლებში მუშაობდა „კონსტანტინოპოლის IV საე. ყრილ.“, რასაც მერე მოჰყვა „კონსტანტინოპოლის V ს. ყრ“. (879 — 880). პირველსავე მათგანზე აღმოჩნდა დიდი წინააღმდეგობანი დას. და აღ. ეკლესიებს შორის, რის გამოც ეკლესია ორად გაიყო (რომის და ბიზანტიისა). წინას გადაწყვეტილებანი, პატრიარქ ფოტიოსის წინ-გ მიმართული, მომდევნომ უარყო. პირველი კათოლიციზმი და მეორე—მართლმადიდებელი ეკლ-ები სხვადასხვაგვარად ახასიათებენ ამ ორ ყრილობას. კათ. მსოფლიო IV საკრებულოს VIII ს. ყრ-დ ცნობს, მართლმად. — არა.

შემდგომ ყრ-ებს უკვე პაპები იწვევდნენ, თუმცა მართლმადიდებელნი არ ცნობდნენ მის საშინაო საკრებულოებს მსოფლიო ყრილობებად.

ამრიგად, საყოველთაოდ აღიარებულია 7 საეკლ. ყრილ.: ნიკეის I (325), კონსტანტინოპოლის I (381), ეფესოს (431), ქალკედონის (451), კონსტანტინოპოლის II (553), კონსტანტინოპოლის III (680 — 681), ნიკეის II (783 — 87).

ეკლ. გაყოფა დიდი მარცხი იყო რელიგიისა და მორიგი ნიშანიც იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით ერთი რწმენის, იდეის, ბატონობის გატანადამკვიდრების ყველა ცდა ფუჭი და უსარგებლოა. ორ ეკლ-ს შორის მწვავე ბრძოლა გაგრძელდა, გაჩნდა უამრავი სექტა, დოგმა, მოსაზრება, ანათემა...

1095 კლერმონში (სამხ. საფრ.) ურბან II-მ ჯვაროსნ. ლაშქრ. გამოაცხადა. ხალხს ტაძარი ვერ იტევდა, ყრ. გაშლილ ველზე ჩატარდა. მიიღო 32 დადგენილება. ამას მოჰყვა ლატერანის I, II, III ყრ-ები (1123, 1139, 1179). ყრ. ჩატარდა ლატერანის ბაზილიკაში (რომის სასახლე-ტაძარი). მთავარი საკითხები იყო ერესებთან ბრძოლა, საეროებთან ურთიერთობა, კათოლიც. შინაგ. წყობა. XIII ს-ში კიდევ სამი ყრ. მოიწვიეს: IV ლატერანისა, რაც 1215 ისევ ინოკენტი III-მ მოიწვია და ერთ-ერთი უდიდესი იყო, რ-საც მხოლოდ კონსტანციისა თუ შეედრება (მიიღო 70 დადგენილება, გამოუცხადა ერეტიკოსებს სასტიკი დევნა); I ლიონისა (1245), II ლიონისა (1274). ამიერიდან ყრ-ის მუშაობაში მონაწილეობდნენ საერო ხელმწიფეებიც, მაგრამ გადაწყვეტილებანი ფორმდებოდა პაპის სახელით და „ყრილობის მოწონებით“, ამან პაპობის ავტორიტეტი კიდევ აამაღლა.

XV ს. ყრ. მოიწვია ავინიონის პირველმა პაპმა კლიმენტ V-მ საფრ. ქ. ვიენაში და ცნობილია მკაცრი კანონებით ერეტიკოსთა (ვალდენსების, სპირიტუალების და სხვ.). წინ-გ.

1414 წ. მოიწვიეს დიდი საეკლ. ყრ. კონსტანცაში (ახლანდ. შვეიცარიის ტერიტორიაზე), რ-მაც იმპერატორ სიგიზმუნდის მხარდაჭერით დაამხო უთვალავ მძიმე დანაშაულში ბრალდებული ბალთაზარ კოსა (იოანე XXIII), შემ-

დეგ (1417) მეორე პაპიც (მაშინდელი საში პაპიდან), აირჩიეს მარტინ V. ამიერიდან ს. ყრ. იქცა მუდმივ მოქმედ ინსტიტუტად, რ-იც კონტროლს უწევდა პაპის მოქმედებას და იდვა მასზე მაღლა. ყრ-მ მიიღო 5 დეკრეტი, კოცონზე დაწვა იან ჰუსი, რ-საც იმპერატორმა უმუხთლა (ვერ შეუსრულა ხელუხლებლობის დაპირება). კოცონზე დაწვეს ჰუსის მოწაფე და თანამებრძოლი იერონიმე პრაღელიც. ეს იყო XVI ს. ყრ., ცნობილი უფრო კოსას დამხობით და ჰუსის დაწვით, აგრეთვე ეკლესიის რეფორმით.

1432 — 49 წლებში, მთელი 18 წლის განმაელობაში სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობდა XVII, ბაზელ-ფლორენციის ს. ყრ. (1437 წ-მდე ბაზელში, 1439 წ-მდე ფერარაში, 1442 წ-მდე ფლორენციაში), შემდეგ რომსა და ლოზანაში). მან დაასრულა ჰუსიტების განადგურება ჩეხეთში, დაამტკიცა კათოლ. და მართლმადიდებელთა ფლორენციის უნია, რაც მართლმად. ეკლ-ამ უარყო.

1512 — 1517 წწ. შედგა V ლატერანის ს. ყრ., რიგით XVIII. ეს მოახერხა იულიუს II-მ, მას შემდეგ ტაძროსნებმა და ლეო XII-მ ამაოდ სცადეს ყრილობის მოწვევა პიზასა და მილანში. არც ამ ყრ-ს ჰქონია წარმატება.

1545 — 1563 წწ. მიმდინარეობდა ტრიდენტის XIX ს. ყრ., რ-მაც აღასრულა მთავარი მიზანი, პაპის ძალაუფლების ამაღლება (ყრილობაზე უფრო ძლიერი უფლებით, რაც კონსტანცაში დაკარგა), რეფორმაციასთან ბრძოლის გაძლიერება. შეაჩვენეს პროტესტანტიზმის დებულებები, დაამტკიცეს „ტრიდენტის სარწმუნოების აღსარება" (ფიცის საკითხი და სხვ.), ამაღლდა ეპისკოპოსთა ძალაუფლება. იეზუიტებმა გააძლიერეს ბრძოლა რეფორმაციასთან, რასაც მოჰყვა კონტრრეფორმაციის გაძლიერება, ახ. რელიგ. ომები.

ამის შემდეგ სამ საუკუნეზე მეტი ხნით აღარავის მოუწვევია ს. ყრ., მხოლოდ 1869 — 1870 წწ. პიუს IX-მ მოიწვია I ვატიკანის ყრ., რ.-მაც დაგმო კომუნიზმი თავისი „სილაბუსით", გამოაცხადა პაპის უცოდველობის დოგმატი, მაგრამ 2 თვის შემდეგ დაემხო პაპის საერო ძალაუფლება, კიდევ ერთი თვის შემდეგ კი პაპმა გამოაცხადა ს. ყრ-ის დახურვა.

90 წლის შემდეგ იოანე XXIII (ახ. სათვალავით: იოანე XXIII, იგ. ბალთაზარ კოსა, თვით ეკლესიამ არ ცნო) გახსნა XXI ს. ყრ. (1962 — 1965). -ეს იყო II ვატიკანის ყრ., რ-მაც 4 სესიის შემდეგ, 1965 წ. 8. XII (პაველ VI დროს) დაასრულა მუშაობა. მიღებულ 16 „სქემა", მათ შორის 4 „კონსტიტუცია", 9 დეკრეტი (ღვთისმსახურებაზე, ეპისკოპოსთა მოვალეობაზე და სხვ., რომის კურიაზე, მისიონერობაზე, ეკუმენურ მოძრაობაზე და სხვ.), განსაკ. მნიშვნელოვანი იყო ახ. მოძღვრება ლიტურგიაზე, რაც უფრო გასაგები უნდა გამხდარიყო მასებისათვის, და ახ. ვითარებასთან შეგუების შესახებ, მშვიდობისათვის ბრძოლის წამოჭრა. ყრ. მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლის ვითარებაში ტრადიციონალისტებსა და „პროგრესისტებს" შორის. ეკლ. კრიზისის დასაძლევად გამომუშავდა ახ. პოზიციები და მეთოდები.

საეპისკოპოსო ეკლესია — იგ. ეპისკოპალური ეკლესია, ნ. ანგლიკანური ე.

საერონი, სამწყსო, მრევლის ხალხი — მორწმუნეთა ძირით. მასა, ეკლ. წევრები, რ-თაც არა აქვთ საეკლ. ხარისხი, კლირისაგან განსხვავებით.

სავანე — სადგური; უდაბნო. სამყოფელი; მონასტერი; ბერთა სადგომი, სალოცავი და თავშესაფარი. „მოძღვარი იტყვის: სადა არს სავანე, სადა იგი პასექი მიწაფეთა ჩემთა თანა ვსჭამო?“ (მარკ. 14, 14). ჩვეულებრივ მიყრუებულ მხარეში, სადაც ბერები განდეგილურ ცხოვრებას ეწევიან.

საქ-ში არსებული უმრავი სავანის გარდა ცნობ. იყო მოღვაწე ბერთა მრავ. სავანე უცხოეთში, განსაკ. პალესტინაში, რ-იც მორწმუნეებს ძლიერ იზიდავდა, რადგან იქ ცხოვრობდა და ეწამა მაცხოვარი. იმ სავანეებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მრავ. გამოჩენილი მოღვაწე ქართ. კულტურისა. უფრო ცნობ. იყო შემდეგი ს-ები: I. პალესტინაში: წმ. ჯვრის, სადაც შოთა რუსთაველი უნდა ყოფილიყო სიბერის ჟამს; წმ. მოციქულთა (გააშენა გიორგი I-მა); წმ. გიორგისა (დადიანისა); წმ. თეკლესი, ვასილისა, დიმიტრისა (შალვა ქსნის ერისთავისა), სამოელ წინასწარმეტყველისა, წმ. საბასი, ქრისტეს აღდგომისა გოლგოთაზე, ქალთა სავანე (ამირბარ ციციშვილის და მაჩაბლისა, XVII ს.), მირქმისა, იოანე ნათლისმცემლისა და სხვ.; II. სირიაში: სვიმონ მესვეტისა, წმ. ღვთისმშობლისა ალეპოსთან, კვიპროსისა, შავი მთისა, სინაის მთისა; III. საბერძნეთში: ტრაპიზონისა, ათონის ივერიის ღვთისმშობლისა (1870), ღვთისმშობლისა ოლიმპოზე; IV. მაკედონიაში: წმ. ნინოსი (ფილიპოპოლის ახლოს); V. კონსტანტინოპოლში: ღვთისმშობლისა (დააარსა პეტრე ხარისჭირაშვილმა 1861), დედათა სავანე და სხვ. მრავალი ს. გააშენა მაიუმის ეპისკოპოსმა. და დიდმა მოაზროვნემ პეტრე იევრეელმა. ბერძ. მემატიანის პროკოპის ცნობით (IV ს.) იუსტინიანემ განაახლებინა წმ. ქალაქში ივერიელთა და ჭანების ს. იერუსალიმის უდაბნოში. პეტრემ კი ს. გააშენა ვახტანგ მეფის ჟამს, შიგ ქალაქში, დავითის კოშკთან. ჭანთა ს. რგ. ჯვრის ს-დ იყო ცნობილი. 808 წ. ზეთისხილის მთის ს-ში ქართველთა 4 ს. იყო, გეთსამანიაში კი ერთი. საუკ-ების განმ-ში ჩვენი კულტურის ეს კერები მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურდა მუსულმან დამპყრობელთა თუ მოქიშპე ბერთა მიერ. ეგვიპტელ მამელუკებთან ს-ებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და ამანაც გააძლიერა პალესტინაში მათი მოღვაწეობა. მამელუქთა სულთნის ნებით და იმპერატორ ანდრონიკე II დახმარებით 1308 გოლგოთის ს. ქართველებსვე დაუმტკიცეს. ჩვენს მოღვაწეებს სახელიც უმწიკვლო ჰქონდათ. მაგ., ბერხარდ სიონისმთელი 1238 წერდა: „ნესტორიანები, ქართველები და სხვა აღმოსავლელნი არიან კეთილნი და მარტივნი, იცავენ უბიწობასა და მარხვას და ისეთ სამაგალითო ცხოვრებას ატარებენ, რომ რომის ეკლესიის ბერთა შორის მსგავსი არსად მინახავსო“ (მისი ნაწერების კრებ. ლათ. ენაზე, მაგდებურგი, 1578). შემდეგ ჟამთა სიავემ ყველაფერი იმსხვერპლა. ქართ. ს-ეთა ცხოვრების ამბავი კეთილსინდისიერად აქვს აღწერილი ფრანგ მოღვაწეს რ. ჟანენს, რომლის წიგნი „ქართველები იერუსალიმში“ 1921 გამოვიდა სტამბოლში, შალვა ვარდიძის თარგმანი (ივ. ჯაფარიშვილის არქივიდან). გამოიკვლია ლ. მენაბდე. იხ. კ. კეკელიძის შრომები.

რ. ჟანენი ერთ-ერთი იმ კეთილ და მცოდნე უცხოელთაგანია, რ-მაც ქართველთა ბედი გულთან მიიტანა და ძირითადად მართებულად მოუთხრო მკითხველთა ფართო წრეებს. ხსენებულ წიგნში ის წერს: „ქრისტიანები ყოველთვის მიილტვოდნენ პალესტინისაკენ, რადგან რწმენა ამ წმინდა ად-

ვილებისა.სადაც ქრისტე ცხოვრობდა და ჯვარს ეცვა. დიდ ხეგავლენის ახდენდა. ისინი სარწმუნოებრივი გულისწადილის დასაკმაყოფილებლად არ ჯერდებოდნენ საყვარელი სამლოცველოების მხოლოდ მიმოხილვას და ხშირად მკვიდრდებოდნენ იქ. ამ სახით ეს ქვეყანა მრავალგზის საკერველად აღორძინდა ძვირფასი საკანეებითა და ეკლესიებით. დღეს მლოცველიც და მოგზაურიც წუხს და დრტვინავს იმ უწესობის გამო, რ-იც წმ. ქალაქში სუფევს... საოცარია ის დავა და ქიშპობა, რ-იც თავს იჩენს ქრისტიანთა-შორის მათი წინაპრების მიერ დატოვებული მემკვიდრეობის დასაცავად... უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც ზოგიერთი იმ ხალხთაგანი იერუსალიმში სრულიად გაქრა, მაგ. სერბიელები, ქართველები და ფრანგები... იმ ხალხთა შორის, რ-თაც განსაკუთრებული უპირატესობანი და დიდი გავლენა ჰქონდათ წმ. ქალაქში, ქართველებს უდავოდ ერთი პირველთაგანი ადგილი ეჭირათ. მათი გაქრისტიანების შემდეგ 50 წელი ძლივს იყო გასული, როდესაც ერთი მათგანი, ევაგრი, თავისი საღვთისმეტყველო ბჭობა-კამათით წმ. იერონიმეს-თან ერთად უკვე მთელს აღმოსავლეთში ქუხდა. ერთი საუკუნის შემდეგ ამას მოპყვა ქალაქ მაიუმის ეპისკოპოსი, პეტრე ივერიელი, რ-საც ტყუილად თუ მართლად, ევთიხის (მონოფიზიტური) მწვალებლობის მომხრეობას აბრალებდნენ. ამანაც ამცნო პალესტინაში ქართველთა ერის სახელი... დასავ-ლეთის ყველა მწერალი ერთხმად ამტკიცებს ქართველთა იშვიათ რაინდობას, რომლის გამო მათ დიდი სამსახური გაუწიეს ქრისტიანობას" (რ. ჟანენი, „ქართველები იერუსალიმში". სტამბოლი, 1921).

იერუსალიმის სავანე ჟანენის აზრითაც აშენა დიდმა ქართველმა ფილო-სოფოსმა, მწერალმა და საეკლესიო მოღვაწემ პეტრე ივერიელმა (იბერმა, ერის-კაცობაში მურვანმა, რ-იც დაახ. 491 წ. გარდაიცვალა). ეს მოხდა ვახტანგ მეფის დროს, დავითის კოშკის მახლობლად, იაფას ჭიშკართან. მაძღუქმა სულთანმა გოლგოთა ქართველებს დაუმტკიცა. შემდეგ სავანეს მრავალი ძნელბედობა გადახდა, ვიდრე უფრო მდიდარმა მოძალადეებმა არ წართვეს, ისე რომ 1841 წ. რუსეთის მისიის მოთხოვნაც უშედეგოდ დარჩა.

საიდუმლოებანი (ლათ. საკრამენტუმ, რუს. ტაინსტვო)—მრ. საკრამენტა. ღვთის დადგენილად მინნეული უპირველესი ქრისტ. საკულტო წესები, რ-თა ხილული მოქმედებით ადამიანებზე უხილავი ზეგარდმო მადლი ვადმოდის. მათი მნიშვნ. დოგმატურ-სიმბოლურია. ამ გზით გადმოცემული ღვთის მადლი მორწმუნეს ეხმარება სიძნელეების დაძლევაში, ქრისტ. სიწმინდის დაცვაში. საკრალურ-მისტიკ. ხასიათის 7 საიდუმლოს ცნობს კათოლ. და მართლმად. ეკლ.: ნათლობა (ნათლისღება), მირონცხება, ზიარება, სინანული (აღსარება), მცვდლობა, ქორწინება და ზეთის კურთხევა. მთავარია ნათლობა, ქრისტიანად ქცევის სიმბოლური ცერემონიალი, რითაც ბავშვი (ან მოზრდილი) სარწმ-ს ეზიარება. ნათლობა და ზიარება ბაპტისტებსა და ადვენტისტებს შორის უბრალო საეკლ. წესებია, არა მისტიკ. მნიშვნელობისა. ამ ორის გარდა სხვა საიდ-ებებს ისინი არ ცნობენ. უძვ. წყარო ამ წესებისა უნდა იყოს პირველყოფ. ადამიანის მაგიური მოქმედება. რითაც ის თითქოს უჩუნაკს ეზიარებოდა. აკრეთვე ძვ. ბერძენთა მისტერიები. მიიერას ცერემონიები... ნათლობა ადამიანს ათავისუფლებს ეშმაკის ცდუნებისაგან. პირველქმნილი

ცოდვის სიმძიმისაგან. რიტუალს აწარმოებს მღვდელი: სამჯერ შეუბერავს ურმას, სამგზის ჩაყოფს წყალში (ეშბასში), შეულოცავს, მირონს წაცხებს და შერჩეულ სახელს დაანათლებს, თან ჯვარს დაპკიდებს, რაც ბავშვისათვის მთელი სიხარულია, სიმბოლურად კი გაქრისტიანების სიმბოლო. მღვდელს ნათლიები ეხმარებიან. იწყება I ს-ში, სავალდებულოა IV ს-დან. დასაბამად ითვლება იოანე ნათლისმცემლის მიერ ქრისტეს მონათვლა იორდანეს მდინარეში, მაგრამ მსგავსი ცერემონიალი უკვე ჰქონდათ. უძვ. ტომებს, ეგვიპტელებს, ჩინელებს, რომაელებს (წყლის განმწმენდელი თვისების რწმენა). მეორე საიდუმლოა მირონცხება (ნ.). მირონცხება ამაგრებს მონათლულს, ამაღლებს მას. შემდეგი მთავარი საიდუმლოა ზიარება (ევქარისტია). თუ მოუნათლავი ადამიანი ცოდვილად, არასრულყოფილად ითვლება, ზიარების გარეშე დარჩენილი-ვერ ეზიარება იმ მარადიულ ცხოვრებას, რაც ეკლესიის რწმენით ქრისტემ მოგვიპოვა. პური და ღვინო სიმბოლურად იქცევა ქრისტეს ხორცად და სისხლად, რაც ადამიანში გადადის და აძლიერებს. ეს 2 წესი თითქოს იესომ დააწესა, მაგრამ ანალოგ. მოქმედება, დამახასიათებელი იყო ტოტემური წმ, ცხოველის კულტთან, მერე დიონისეს, კიბელეს, მითრას კულტებთან. ქრისტ-მ ისინი დახვეწა და აამაღლა. სინანული ანუ აღსარება დამატებითი ღონისძიებაა მარადიული ცოდვის გამოსყიდვისა, რაც გარკვეული გაგებით გრძელდება, თუმცა ქრისტემ თავისი წამებით ის გამოისყიდა. ადამიანს ევალება მღვდელს გაანდოს თავისი შეცოდებანი, რათა ძიეტევოს. სინანულით ცოდვილი იბრუნებს დაკარგულ მადლს. ამით ქრისტ-მ ახლებური სახე მიანიჭა ძვ. წარმართულ მაგიურ რწმენას. მონანიებული — შეწუალებულია. ერავ. მღვდელი არღვევდა აღსარების წმ. საიდუმლოს და აგენტებს ანდობდა მას, რის შედეგადაც მრავალი მებრძოლი დასჯილა. ახ. აღთქმის მორიგი საიდუმლოა მღვდლობა (კლასიკ. გაგებით — ქურუმობა), რაც დასაბამს იღებს ძვ. აღთქმაში, — იაჰვემ აარონსა და მის შვილებს მღვდლობა დააკისრა. ქრისტ-ბა მას ასრულებს ეპისკოპოსის მიერ ხელის დადებით, დალოცვით. დიდად მნიშვნელოვ. საიდუმლოა ქორწინება, რაც მღვდლის კურთხევის შემდეგ იქცევა სულიერ კავშირად, ერთ სულ და ერთ ხორც არსებების შეუღლებად. ჯვრისწერა საკლ. კურთხევის გარეშე დიდ ცოდვად ითვლება, განსაკ. მართლმადიდ. ეკლ-ში. რიტუალი ინარჩუნებს ადამ-თა საზ-ბის უძვ. მაგიურ წესებსაც (ლოცვა, კმევა, მავნის განდევნა). ბოლოს, ხის (მცენარეული) ზეთის კურთხევით ადამიანი განიწმინდება სულიერი და ხორციელი სნეულებისაგან. მიღებულია დაუსწრებლად წესის აგება და ბევრი რამ სხვა გამარტივებული ან გართულებულია, მაგრამ 7 საიდ. მტკიცედ სრულდება. ესაა რელიგ. პროპაგანდის მძლავრი საშ-ბა.

საკანონო — 6. წყევა.

საკრალიზაცია (საკერ, ლათ. მაგიური; დაწყეველილი, განწირული; მიძღვნილი; წმინდა; საკრიკოლა — ქურუმი, მსხვერპლის შემწირავი) — ადამიანთა და დაწესებულებათა რელიგ. სფეროში მიხიდვა, მათი მოქმედების გასაიდუმლოება, რელიგ. ფუნქციების გაძლიერება მასობრივად, იქ, სადაც ძლიერია რელიგ. ძირები; საკრალურ რანგში ნივთების, მოქმედების, გამოთქმების, გმირების ამაღლება რაიმე საკრალური მოქმედებით, საგანგებოდ შემუშავ. პროცე-

დურებით. ხდება სტიქიურად, ტრადიციულად, საიდუმლო რიტუალებით. შეიძლება მოხდეს საგანთა და სნებათა დესაკრალიზაციაც, ე. ი. საკრალური. წმინდა, მაგიური მნიშვნელობის წართმევა (ასე მოახდინეს პროტესტანტებმა წმ. გადმოცემათა, წმინდანთა, ხატების, წმ. ნაწილთა, საიდუმლოებათა დეს.).

საკრალური (ლათ. საკერ — წმინდა) — 1. ზებუნებრივი თვისებებით აღჭურვილი მით. არსებები. გმირები, გამოგონილი არსებები წმინდა არსებათა რანგში; 2. რწმენა, საიდუმლოება, ეკლესია, წმ. რამ; 3. საეროს საპირისპ., რელიგ. სფეროში წარმოსახული საგნები, ტექსტები, მოქმედებანი, ეკლესია, ფორმულები, საკულტო შენობა და ა. შ.

საკრისტია, საქრისტია (შუა ლათ., ლათ. საკერ—წმინდა) — ეკლესიის სალარო კათოლ. ტაძარში, სადაც ინახება საკულტო სამოსელი, ჭურჭელი.

საკურთხეველი (ლათ. ალტარე, რუს. ალტარ. ჟერტვენნიკ) — 1. კანკელით გამოყოფილი ნაწილი ეკლ-ში, სადაც ტახტი დგას. აქედან მღვდელმსახური ქადაგებს მლოცველთა წინაშე; 2. მსხვერპლის შესაწირავი ადგილი, საიდანაც ხდება კურთხევა. „ვახტანგ გორგასალმა ცეცხლის საგზებელის ადგილას ეკლესია ააშენა" (ივ. ჯავახ.); „და აღიღო ანგელოსმან მან სასაკმეელე იგი, აღავსო ცეცხლისა მისგან საკურთხეველსა" (იოანეს გამოცხ. 8,5).

სალოსი — ღვთის გლახა, მთხოვარა (რელიგ. გაგებით), რუს. იუროდივი: ფიზიკურად დაავრდომილი, ფსიქიურად ნაკლული, რ-იც ეკლესიის გაგებით ნებაყოფლობით თმობს გონებას, მაგრამ აქვს წინასწარმეტყველების უნარი. მეფის მასხარებივით ქადაგებენ სიმართლეს, ამხელენ ხელმწიფეებს და სხვ., რუსეთის ისტორიიდან ასახელებენ პროკოფი უსტიუჟელს (XIV ს.), ვასილი ნეტარს (XV — XVI ს.) და სხვ., ზოგს წმინდანად აცხადებდნენ.

სალხინებელი (ლათ. პურგატორიუმ, გერმ. ფეგეფეიერ, რუს. ჩისტილიშჩე) — განსაწმენდელი, რომ. კათოლ. ეკლ-ის მოძღვრებით: შუალედი ადგილი ჯოჯოხეთსა და სამოთხეს შორის, სადაც დედამიწაზე ცოდვებისაგან განუწმენდელნი გარკვეული (დიდი) დროის განმავლობაში იხდიან სასჯელს, განსაწმენდელ ცეცხლში იტანჯებიან, რათა მერე ციურ სასუფეველში ამაღლდნენ. მონანიების ვადას ამოკლებს ჭირისუფალთა სათნო ცხოვრება, ლოცვა-ვედრება, მსხვერპლის შეწირვა მესაზე... ვისაც მომაკვდინებელი ცოდვა არ ჩაუდენია, ის ხვდება ს-ში. ღვთისმეტყველნი დავობენ, ეს სიმბოლური ცეცხლია თუ ნამდვილი, სინდისის ქენჯნა თუ მართლა სახმილი. წარმოდგენა I ს-ში შეიქმნა, მერე თომა აქვინელმა დაამუშავა, ფლორენციის ყრილობამ მიიღო 1439 წ. და დაამტკიცა ტრიდენტის ყრილობამ 1562 წ. მართლმადიდ. და პროტესტ. ეკლ. ს-ს უარყოფენ. დანტემ გენიალურად აღწერა თავის პოემაში .

სამართალი კანონიკური, კანონიკა (ბერძ. კანონ — წესი, დანიშნულება) — საეკლ. სამართლის ნორმები, წესები, დადგენილებანი, რ-ლნიც აწესრიგებენ ეკლესიის შინაგან ცხოვრებას. ყრილობების დადგენილებებზე აგებული ეს კანონები საეკლ. სამართლის ნაწილს წარმოადგენენ.

სამართალი საეკლესიო — სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რაც აწესრიგებს ეკლესიის შინაგან წყობას, მოქმედებას, დამოკიდებულებას

სახელმწიფოსა და ცალკეულ პირებთან. მისი მთავარი ნაწილია კანონიკა, რაც ღვთისმეტყველთა მტკიცებით ღვთაებრივ კანონს ემყარება, რამდენადაც ქრისტემ დაადგინა და მოციქულებს უანდერძა (კათოლ. აზრით — პეტრეს, რ-საც ჩაბარა ეკლესიის გასაღები). მოციქულებმაც ეპისკოპოსებს გადასცეს. ძლიერი იყო შუა ს-ებში, როცა ფართოდ იყენებდნენ ერეტიკოსებთან და ათეიზმთან ბრძოლაში. ეს იყო თავისებ. სინთეზი იურიდ. და რელიგ. ნორმებისა. მას განეკუთვნება ძვ. აღთქმის სამართ., თალმუდის, ძვ. ინდური, მუსულმ. კანონიკ. და საეკლ. სამართალი.

სამება — 1. ქრისტ. სარწმ-ების მთავარი დოგმატი, სამერთარსება, რომლის მიხედვითაც ერთიანი ღმერთი არსებობს სამი სახით: მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმინდა. გონებისათვის მიუწვდომელი ეს წარმოდგენა მიღებულია როგორც დოგმა, რ-ის რწმენა აუცილებელია, ყოველი ქრისტიანისათვის საკალდებულია. წარმოდგენა ერთბაშად არ შექმნილა, უფრო II ს-დან ვითარდება. საერთოდ, ღვთაებრივი ოჯახი მრავალ დიდ ძვ. რელიგიას სწამს (ძვ. ეგვიპტელთა ოსირისი-ისიდა -ჰოროსი, ბაბილონელთა ანუ-ეა-ბელოსი. ინდოელთა ტრიმურტი: ბრაჰმა-ვიშნუ-შივა). სწავლულთა ვარაუდით შეიქმნა მრავალღმერთიანობიდან ერთღმერთიანობაზე გადასელასთან ერთად, როცა საჭირო გახდა ერთის გამოყოფა და მასში სხვა ცნებების ჩართვა. დოგმატი დაამტკიცა II კონსტანტინოპოლის ყრილობამ 381 წ. და საუკუნეების განმავ-ში იყო მძლავრი იარაღი გონებით მიუწვდომელი ღმერთის ძლიერების დასამტკიცებლად.

სამება, ტრიადა, ტრიმურტი, სამერთარსება, სამი ერთიანობა (ბერძ. ტრიას, ლათ. ტრინიტას, ძვ. ინდ. „ტრიმურტი", „სამსახოვანი", გერმ. დრაიაინიგკაიტ, რუს. ტროიცა) — ციფრთა მაგიური ძალისა და საკრალური მნიშვნელობის რწმენაზე დაფუძნებული სამი სხვადასხვა პირის, სახის, პრინციპის ერთიანობა, რასაც განსაკუთრებული ძალა და დახვეწილობა ქრისტ. სარწმუნოებაში მიეცა, მაგრამ მრავალ ხალხში და მითოლ. კომპოზიციებშია ცნობილი უძვ. დროიდან დღემდე. ესაა ძირითადად ღმერთებისა და მათი იპოსტასების (პირველსახეთა, ორეულების, წინამორბედების), ან კიდევ მნათობთა, დემიურგთა, შემოქმედთა მტკიცედ დადგენილი სამეული, რომელიც ერთიანია, მაგრამ აქვს სამი სხვადასხვა სახე. ძირითადად გარდამავალი საფეხური მრავალღმერთიანობიდან ერთღმერთიანობაზე (პოლითეიზმი-სამება-მონოთეიზმი).

ინდუისტურ მით-ში და ბრაჰმანიზმში „ტრიმურტის" მთავარი წევრებია ბრაჰმანის უსახო სამეული: ბრაჰმა-ვიშნუ-შივა. აქედ. ბრაჰმა უზენაესი უსახო პრინციპია შემოქმედისა, ვიშნუ — შემნახავი, შივა — მნგრეველი. მათი რელიგ.-ფილოს. მთლიანობა ასახავს სამყაროს წყობის, ქმნადობისა და ცვალებადობის პრინციპს. არის სხვა ტრიმურტებიც: აგნი-ინდრა (ან ვაიუ) სურია, ან კიდევ აგნის აქვს სამი ფუნქცია, სამი სტიქია: ცეცხლი-ელვა-მზე, რაც შეიცავს აგრეთვე ქმნილების, შენახვის და ნგრევის ფუნქციებს.

ამავე „სამების" პრინციპითაა ნაკარნახევი სხვა ძვ. რელიგიების საშზე აგებული შემადგენლობანი: 3×3 — 9, ან 12: ძვ. ეგვიპტელთა 12 მთავარი ღმერთი (ჰელიოპოლისის პანთეონი), ტრიადები; ბერძენთა 3 მთავარი ღმერ-

თი (ზევსი — ზესკნელის მეუფე; პოსეიდონი — ზღვათა, ჰადესი — ქვესკნელის), აგრეთვე 12 ოლიმპიელი (ზევსის წრე). 3 მოირა, 9 მუზა, სამსახოვანი ჰეკატე; რომაელთა „ოჯახური სამება“: იუპიტერი-იუნონა-მინერვა ან ცერერა-ლიბერა-ლიბერი; შუმერული სამება: ანუ-ენლილი-ეა (აქად. ანუ-ენლილი-ენქი); ურარტუს ტრიადა: სახელმწიფო ღმერთი ჰალდი-ამინდის ღმერთი ტეშუბა (ტეშუბა)-მზის ღვთაება შივინი და სხვ.

ს-ის არსი მტკიცედ ჩამოყალიბდა და ღვთისმეტყველთა მთელი თაობების მიერ განმარტა ქრისტ. მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმიდა.

პირველი გამოხატავს ყოვლის შემოქმედს, მეორე მის ენერგიას აქტიურ მოქმედებაში, მესამე კი მისგანვე მიღებულ სასიცოცხლო სრულყოფას, გამიზნულობას. წარმართული ტრიადებისაგან, სადაც სამების წევრები სტიქიების სახით გადადიან ერთიმეორეში, ქრისტ. სამება სრული თანხმობის, გაგების, სათნოების, დიალოგის სამ განსხვავებულ სახედ ჩამოყალიბებული ერთიანობის პრინციპს გულისხმობს, რაც მოკვდავისათვის მიუწვდომელია (ამით იხსნება მისი ზეგარდმო ძალით გამოვლინება). მამა ღმერთი გაგებულია, როგორც დაუსაბამო პირველსაწყისი, ძე—როგორც ლოგოსი, სიტყვა (დასაბამით იყო სიტყვა), სული—როგორც სიცოცხლის მომნიჭებელი საწყისი. ქრისტე განსახიერებაა სიტყვის, აზრის, ლოგოსისა.

ხელოვნებაში ს. დიდხანს არ აისახებოდა, ან მხოლოდ ხორცშესხმული ქრისტეს სახით აისახებოდა, შემდეგ ძვ. აღთქმის (აბრაამის და სხვ.) მაგალითზე დაიწყო მამა-ღმერთის, ძე-ღმერთის და მტრედის სახის სულიწმიდის ასახვა (ანდრეა დელ კასტანიო, დაახ. 1455; ახ. აღთქმის სამება ნოვგოროდის ხატზე, XV ს., უფრო ადრე — დიდი რენესანსის ოსტატთა, მეტადრე რაფაელის, დიურერის და სხვათა ქმნილებებში, ტრადიციულ ხატებში, საეკლ. მხატვრობაში, იკონოგრაფიაში...)

ქრისტ. დოგმატი სამებისა გააფორმა კონსტანტინოპოლის საეკლესიო ყრილობამ 381 წ. და გამოაცხადა ის „მიუწვდომლად კაცის გონებისათვის“. მისი სახელობის დიდი დღესასწაული, ათორმეტთაგანი, აღინიშნება აღდგომიდან 50 დღის („ერგასის დღის“) შემდეგ და ეწოდება სულთმოფენობა, ქრისტეს აღდგომიდან 50 დღის შემდეგ მოციქულთა თავზე სულიწმიდის გადმოსვლის აღსანიშნავად, როცა მათ იწყეს ქადაგება იმ ენებზე, რომლებიც აქამდე არ იცოდნენ, რათა ყველა ხალხში ექადაგათ სათნოების რელიგია. სხვადასხვა ქვეყნებში დაუკავშირდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ციკლს და მიეცა ქრისტ. შინაარსი. დაწესდა IV ს-იდან. ს-ის სახელიდან მომდინარეობს მოგლახაკე ბერთა, ტრინიტარიების ორდენის სახელწოდება, სხვა სარწმუნოებისადმი შეურიგებელი ამ ორდენის მოვალეობა იყო მუსულმანთა მიერ ნაყიდ-გატაცებულ ბავშვთა დაბრუნება; ტრიტიქი ეწოდებოდა სამკარედიან ხატს, ახლა კი ყოველ სამნაწილიან სურათს უწოდებენ; ბუდისტური ტრიპიტაკა შეიცავს სამნაწილიან (სამპიტაკიან) რჩევა-დარიგებებს, მოძღვრებას, ანდაზებს და ა. შ. სამების მთავარი საიდუმლო, ფილოსოფიური არსი გამოხატა ფილოსოფოსმა მღვდელმა პ. ფლორენსკიმ (1882 — 1943): „მთავარი სარწმუნო საბუთია: არსებობს რუბლიოვის ხატი სამება — მაშ არსებობს ღმერთი“. ახალი საბუთი: ყველა ქრისტიან ერს მოეპოვება.

2. **სამებობა.** სულთმოფენობა, სულიწმიდის მოფენა, საქრისტიანოს ერთ-ერთი უდიდესი დღესასწ., აღინიშნება აღდგომის 50-ე დღეს, რადგან იმ დღეს ქრისტეს მომავლინებელმა მამა ღმერთმა შვილის თხოვნით გამოგზავნა სულიწმიდა, რაც მოციქულებს მოეფინა მაცხოვრის ცადამაღლების 50-ე დღეს. სახარებებში ამაზე არაფერი წერია, მაგრამ საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი წიგნში „საქმე მოციქულთა". იმ დღეს („დღისა მის მეერგასისასა") მოციქულები ყველანი ერთად იყვნენ, „და იყო მეყვსეულად ზეცით ოხრა, ვითარცა მოწევნა ქარისა სასტიკისა, და აღავსო ყოველი იგი სახლი... და ეჩვენნეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი, და დაადგრა თითოეულად კაცად კაცადსა მათსა ზედა, და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა, და იწყეს სიტყვად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყვად" (2,1 — 4). ეს უცხო ჩვენება ებრ. მწერალ ფილონსაც აქვს აღწერილი (თითქოს ღმერთი გამოეცხადა მოსეს, მისცა 10 მცნება, ამასთან ზეცით ჩამოსული ცეცხლის ენაში, უფლის ამონასუნთქში, მკაფიოდ გაისმოდა სიტყვები); გადმოცემა ანალოგიურ ამბავს მოგვითხრობს წინასწარმეტყველ იოველზე, რომლის წიგნშიც იაჰვე თავის ხალხს ეუბნება: „მე უფალი თქვენი გეტყვით, გადმოვა სული ჩემი ყოველ ხორციელზე და დაიწყებენ წინასწარმეტყველებას ძენი თქვენნი და ასულნი თქვენნი" (3,1). ესეც არსებითად სულიწმიდის მოფენაა. ძლიერ პოპულარული ეპიზოდი ოსტატურადაა გადმოღებული. ეს მოხდა ებრაელთა 50-იანის დღესასწაულზე, რასაც ქრისტიანულად მეერგასე დღე (მარტვილია) ეწოდება. შორეულ წარსულში მიწათმოქმედებასთან დაკავშირ. „50-იანი" იქცა ებრაულ, მერე ქრისტიანულ დღესასწაულად. მოციქულებმა ყველა ენაზე ლაპარაკი იმ მიზნით დაიწყეს, რომ ყველა ხალხში ექადაგათ ახ. მოძღვრება. სამება დღეს ქუჩებს, გზებს, ეკლესიებს მწვანით ფარავენ, სალოცავად მიდიან თაიგულებით, იჩოქებენ, იატაკიდან იღებენ ბალახს და გვირგვინებად წნავენ, ჩამოიცეამენ. ესეც წარმართულის გადმონაშთია: ხვნა-თესვის ჟამს გლეხები ტყეში და ველებზე მწვანით იმოსებოდნენ, მას ავსულთა განდევნის ძალაც ენიჭებოდა, მაგიური მნიშვნელობით. სულიწმიდის მოფენას ლოგიკური კავშირი არა აქვს სამებასთან, გარდა იმისა, რომ იმ დღეს მამა ღმერთმა (I) ძე ღმერთის (II) თხოვნით სულიწმიდა (III) გამოგზავნა დედამიწაზე „საიდუმლოს ვერ ჩავწვდებით, მაგრამ გვწამს", — ასეთია დევიზი. უკავშირდება ძვ. სლავთა „სემიკის" დღეობას.

სამების მნიშვნელოვანი დოგმატი შემუშავდა და დამტკიცდა ნიკეის (325) და კონსტანტინოპოლის (381) საეკლ. ყრილობებზე. სახარებაში ეს ტერმინი არაა, მოძღვრება დაამუშავა ორიგენემ (III ს.).

სამებისა — „კანონის" ყოველი გალობის (ლოცვის, საგალობლის) ბოლოს წინა მუხლი, რ-შიაც უგალობენ მამას, ძეს ან სულიწმიდას. მუხლის წინ ითქმის: „დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა".

სამების ეკლესია — სამების სახელზე აგებული ეკლესიები მრავლად რეა საქართველოშიც. მათგან ცნობილია „გმირთასაკვეთი" ეკლ. თეთრწყაროს რ-ნში, ციკლოპური ლოდებით ნაგები, აგრეთვე კუმისის სამების ეკლ. სოფ. კუმისთან, XVII ს. ძეგლი, ორბელიანთა ძველთშესალაგი (გრ. ორბელიანის

ნათესავები—ყაფლანი, მანანა და სხვ.). ეს ძეგლი უცნობმა არამზადებმა ყიზილბაშური წესით გაავერანეს და ცეცხლს მისცეს 1968, დამნაშავე მიუკვლეველი დარჩა. აღდგენის შემდეგ დაწესდა „მანანაობა“. ბევრი სხვა სოფელი, ეკლ. და მთა ატარებს სამების სახელს.

სამებობა — სულიწმიდის მოფენა, ნ. სამება, 2.

სამი სათნოება — სარწმუნოება, სასოება, სიყვარული (ქრისტ. ეკლ.).

სამოთხე—ედემი; პარადიზი, ნეტართა მარადიული სასუფეველი სიკეთილის შემდეგ, ნიშნად წყალობისა ყველასათვის, ვინც სიცოცხლეში ერთგულად და უმწიკლოდ ემსახურა ღმერთს. წარმოიშვა უძველეს საზ-ში, როგორც ჩაგრულთა ოცნების ნაყოფი მიწამაქვეყნიურ ბედნიერებაზე, იმ ჭირთათვის, რომელთაც სიცოცხლეში ითმენდნენ. წარმართთა რწმენითაც იყო ანრდილთა სამეფოში, ელიზიუმში, ნეტართა კუნძულებზე და ა. შ. განაპირობებდა მორჩილებას და ფიქრს ხსნაზე, ცხონებაზე, და მიუხედავად პოეტთა ოცნებისა, „სამოთხე გვინდა დედამიწაზე“,; ის რჩება ოცნებად ზესკნელ-ქვესკნელში.

სამოსელი სამღვდელო — მღვდელმსახურთა შემოსილობა ღვთისმსახურების დროს და სხვა დროსაც, ჩვეულებრივ გრძელი, ფართო, შავი ან თეთრი, წითელი ზედა შემოსილობით (კარდინალის). განირჩევა ფორმები საეკლ., სამღვდელმთავრო, რიგითი მღვდლისა და დიაკვნისა, ეპისკოპოსთა, კარდინალთა, პაპისა... განსხვავებულია ორდენის წევრთა შემოსილობა (იეზუიტების, ფრანცისკანელთა, დომინიკანელთა და სხვ.—ყველას თავისი მკაცრი ფორმები აქვს).

მთავარი შემოსილობა: სტიქარი—კაბა მღვდლისა და დიაკვნისა, გრძელი, ფართოსახელოებიანი, უსარტყელო კაბით, მარცხენა მხარეს ჰკიდია ორარი (გინგილა); ოლარი—ყელზე ჩამოსაკიდებელი, გრძელი და ვიწრო ნაქარგი ქსოვილი („ღვთისმადლის“ სიმბოლო, ლამაზი, სხივისებრი) — აუცილებელი ატრიბუტი ღვთისმსახურებისა; ფილონი—ზედა, უსახელოებო; მიტრა (ქრისტ. ეკლ. გვირგვინი), მღვდელმთავრისა; სარტყელი — უღლის ძალა; სამაჯურები; ენქერი; ბისონი (ზედა სამოსი) — სტიქარზე მოკლე; კეერთხი—ლიტონის ან ხის შემკული ჯოხი, სიმბოლო ძალაუფლებისა; ტიარა—პაპის ძვირფასი გვირგვინი, საშმაგი, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, და სხვ.; ნ. სამღვდელოება.

სამოძღვრებო წიგნები — ექვსი ბიბლიური წიგნი, მოსეს და დავითის დროისა, მიღებული ქრისტიანობის მიერ, როგორც კანონიკური: იობის, იგავთა, ეკლესიასტე, ქება ქებათა, იერემიას გოდება, ფსალმუნი (დავითნი). ექვსივე კლასიკური ნიმუშია პოეზიისა და რელიგიის პარმონიული შერწყმისა, ხალხისა და ცალკეულ პირთა განწყობილების ვამომხატველი. შეიცავენ რთულ პოეტურ ხერხებს. ბაბილონის ტყვეობის დროს ეს ნაკადი თითქმის დაშრა.

სამსხვერპლო (ლათ. აღტარე, რუს. ჟერტვენნიკ) — დაბირი, სასორავი, ბომონი, საზვარაკე, ამაღლ. ადგილი, სადაც ძვ. წარმართ. კულტის მსახურნი (ქურუმნი) მსხვერპლს სწირავდნენ (დაკლა, ცეცხლზე ხორცის ნაწილების დაწყობა, ზეთის წაქცევა, ლოცვა); ლიტურგიული (საწირავი) მაგიდა საკურთხეველში, სადაც ზიარება სრულდება; ბომონთა, საკერპო ადგილი; იგ. საცხ-

ხლური, ეკლესიისათვის განკუთვნილი ჭურჭელი, სასაკმეველე. „ოლარ-ჩამოკიდებული მოძღვარი საცეცხლურის კმეევით მობრძანდა“ (ნ. ლორთქ.).

სამღვდელოება (დუხოვენსტვო, ნ. კლირი) — რელიგ. კულტის მსახურთა განსაკუთრებ. ჯგუფი, შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის. იცავს სარწმუნოებას, განმარტავს დოგმებს, ქადაგებს სათნოებას, მშვიდობას, მოყვასის სიყვარულს და ა. შ., ასრულებს საიდუმლოებათა მაგიურ (საკრალურ) სამსახურს (ნათლობას, ქორწინებას, ზიარებას და ა. შ.). მართლმადიდ. ეკლ. არჩევს შავ და თეთრ ს-ს. შავი ს.-ბერები ამიერ სოფლით განდგომილან, სავანეებში დაკუდებულან და სავსებით მიუძღვნიათ თავი ღმერთისათვის. თეთრი ს. ასე არ ამძიმებს თავის თავს, ჩვეულებრივ აქვს ქორწინების, ოჯახის მოკიდების, ნადიმობის, ნადირობის უფლება და ა. შ. დადგენილია მკაცრი იერარქიული კიბე, რ-ის ზემო თუ ქვემო საფეხურებზე დგანან განათლებისა და დამსახურების მიხედვით. ზოგ რელიგიაში უზენ. საეკლ. იერარქი უფლის მოადგილედ ითვლება (კათოლიციზმში — პაპი, ლამაიზმში — დალაი-ლამა, რ-საც ღვთაებრივ პატივს აგებენ). ყოველი რანგის მღვდელმსახურს მოსავს დადგენილი ფორმა: სტიქარი, ანაფორა, სუტანა, ბარტყულა (ვარშამანგი) და სხვ. გამოსარჩევი ნიშნებია: ენკერი (სამღვდელმთავრო ოთხკუთხი დასაკიდი), სუტანა (იტ. ანაფორა), ბარტყული. ., იარაღჩინი (სკუფია, თავსარქმელი), კამილავკა, ჯვარი, კვერთხი (არგანი) განირჩევიან სამღვდელონი და ყოვლად სამღვდელონი...

სანთელი — საკულტო, საეკლესიო დანიშნულების საგანი, რწმენის სიმბოლო, შუქის წყარო და სიმბოლო მრავალ (ქრისტ., იუდაისტ., ბუდისტურ) რელიგიაში, განსაკუთრებით ქრისტ. ეკლესიაში, სადაც ის ღვთისშობლის სიმბოლოცაა და უძველესი მაგიური მნიშვნელობის მატარებელიც, ღმერთთან კავშირისა და ციურ სინათლესთან წილნაყარობისა, ცეცხლის ძლიერებისა და მლოცველთა ნუგეშისა, რომ სანთლის შუქით უზენაესს ვეზიარებით, შეუძლია ავსულთა განრიდება; უკავშირებენ მამაკაცურ საწყისსაც, მაგრამ უძველესად თვლიან მატრიარქალურ საწყისს, სიცოცხლის ხესთან კავშირს; იერს აძლევს დღესასწაულს; საერთოდ, სანთელში ღრმა მისტიკური საიდუმლო იგულისხმება, ამიტომ გახდა მედიცინის, საეკლესიო სიწმინდის, მიკრო-და მაკროკოსმოსის კავშირის სიმბოლო: XVII ს-ის ანატომი ვან-ტულპი წერდა: „სხვას ვემსახურები — თვით დავიწვები“.

სანსარა (იწერება სამსარა, სანსკრ. „ხეტიალი“) — ტრანსმიგრაცია, მეტემფსიქოზი, ყოველი ცოცხალი არსების მარადიული მოგზაურობა, წრებრუნვა, მიმოსვლა, ერთი სხეულის გარსიდან მეორეში გადასვლა (სულთა გადასახლება). სულს შეუძლია ნებისმიერ მცენარეში და ცხოველში გადასახლდეს და ეს ხდება კარმას (საზღაურის, მისაგებელის) კანონთა შესაბამისად, მისი მიზანია მოქშა — უზენაესი მდგომარეობა, როცა წყდება გადასახლება და სული ადის ღვთაების რანგში, აგრეთვე ნირვანა (ქრობა, გაქრობა, განთავისუფლება სანსარისაგან). ეს ამაღლება ხდება დხარმას, ე. ი. კაცური მოვალეობის აღსრულების გზით. ინდუიზმისა და ბუდიზმის ეს კარდინალური ცნება სოციალ. უსამართლობისა და ბოროტებისათვის პასუხისმგებლობას

ადამიანს აკისრებს, ამართლებს ჩაგერას, მაგრამ სრულყოფისაკენ მისწრაფება და მოვალეობის მოხდა მისი ღირსებებია.

საშამნე — ჟამნი, ლოცვანი (ჩასოსლოვ); საჟამნო — ეკვდერი.

სარწმუნოება (კონფესია, რელიგია, რჯული, ვეროისპოვედანიე) — იგ. რელიგია, რომელიმე რჯული ან მისი მიკუთვნება რომელიმე ეკლესიისადმი; რელიგ. გაერთ. ერთიანი კულტით, ორგანიზაციით. ითქმის მაგ. იუდაიზმზე, ისლამზე, ქრისტ-ზე, პროტესტანტიზმზე, ლუთერანობაზე და ა. შ.

სასაკმეელე — ნ. სამსხვერპლო, 3.

სასულიერო აკადემია (ლათ. სემინარიუმ — „სანერგე") — უმაღლ. სასულ. სასწ., ამზადებს მღვდელმსახურთ და ღვთისმეტყველთ. საბჭ. კავშირში 4 აკადემიაა: მოსკოვის, თბილისის და ლენინგრადის. სწავლების ვადა — 4 წ., ეჩმიაძინში არის სომხეთის ს. ა. (3-წლიანი). ასწავლიან კლასიკ. ენებს, ებრაულს, გერმ., ფრანგ., ინგლ-ს, სსრკ ისტორიას, კონსტიტუციას...

სასულიერო სემინარია — ეკლესიის საშ. სასწ., ამზადებს მღვდლებს.

სასულიერონი ბუდისტებისა — ძირითადად ბიქხუ, „ლატაკნი". ბერები, ბუდას მსახურნი. ბუდიზმი მრავალ სკოლად დანაწილდა, სხვა რელიგიებიდან ბევრი რამ ისესხა და ამიტომ სასულიეროთა შორისაც განსხვავებებია. მათი ბიქხუ (სანსკრ.) უადრესად განდიდებული და პატივდებული წოდებაა, მათ „ცოცხალ ღმერთებს" უწოდებენ (პუბილგანები). მონასტერთა წინამძღოლებს ეძახიან ბაქშებს (კალმიკ.), სორეუს და სხვ.; ტაილანდში, ლაოსში და კამბოჯაში მეფეები ითვლებიან ეკლ. მეთაურებად. ცეილონზე ს

ნე"), რ-საც სინამდვილეში ყველა ცნობს, რაიმე საქმით მოხვეჭილი აქვს სახელი. მასზე დაბლა დგანან მოლები, ახუნები (სწავლული მწიგნობარნი). სუფიზმი უდაბლეს სასულ. მსახურებად რაცხს თემობის რიგით წევრებს— მორჩილებს. თემობის სახელია სუფი. დერვიშების (სუფიების) უფროსია იშანი, რ-საც წმინდანთა თანაბარი პატივით ეოსავენ.

სასულიერონი ქრისტიანული — როგორც საეკლ. ორგანიზაცია, პირველად ყალიბდება რომის იმპერიაში ქრისტ-ის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ. პირველ თემობას სასულიერონი არ ჰყავდა. საეკლ. იერარქია საამ მთავარ საფეხურს ცნობს: დიაკვნები, პრესვიტერები (მღვდლები, ძვ. ქურუმნი) და ეპისკოპატი. ამ იერარქიაზე დამატებით კათოლიკისმა უზენაეს მღვდელმთავრად გამოაცხადა რომის პაპი, შემდეგ გამოიყო ტიტული კარდინალისა, რ-იც პაპის შემდეგ პირველია იერარქიულ კიბეზე. მართლმად. ეკლესიამ აამაღლა ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურად პატრიარქი (კათალიკოს-პატრიარქი) და გამოყო მიტროპოლიტის ხარისხი. ეს ეკლ. არჩევს შავსა და თეთრ სამღვდელოებას. პირველნი—ბერებია, მეორენი — მრევლთა გამგებელნი, შედარებით უფრო თავისუფალნი მკაცრი აღთქმებისაგან. ქრისტ. სასულიეროთა უპირატესობაა ციური მადლი, რ-იც კუროხევის ჟამს გადმოეცემათ ხელდასხმით, მღვდლად აღსვევებისას. ისინი განსაკუთრ. როლს ასრულებენ ეკლ-ში, ახდენენ საკულტო სამსახურს, ქადაგებენ, ასწავლიან მრევლს და ზელმძღვანელობენ ყოველგვარ სარწმუნ. რიტუალს. დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ სამღვდელონი ფეოდალიზმის ეპოქაში, შუა საუკუნეებში, ფლობდნენ მამულებს. რეფორმაციამ, პროტესტანტიზმმა ვითარება შეცვალა, გამოცხადდა „საყოველთაო მღვდლობა", პასტორი და პრესვიტერი აღარ ითვლებიან „წმინდად", კულტი გამარტივდა. სასულიერონი საერთოდ გაბატ. წოდების ემსახურებოდნენ. ლოცავდნენ არსებულ ძალაუფლებას.

„სასულიერო რეგლამენტი" — პეტრე I-ის მთავარი საკანონმდებლო აქტი, რ-ის ძალითაც გაუქმდა პატრიარქის ერთპიროვნული ძალაუფლება და ეკლ. მესეფურობა გადაეცა სინოდს. ის შეადგინა პეტრე დიდის დავალებით არქიეპისკოპოსმა პროკოპოვიჩმა, დამტკიცა სენატმა და გამოქვეყნდა 1721, როგორც „სასულიერო კოლეგიის რეგლამენტი ანუ წესდება". ამით ეკლ. ემორჩილებოდა მეფეს, წესდებოდა კონტროლი. „რეგლამენტში" ზოგადად იყო განმარტებული კოლეგიალური მმართველობის უპირატესობა, სინოდის უფლებები. სასულიეროთა მოვალეობანი. შემდეგ მას დაემატა დაწვრილებითი დებულებები და გამოქვეყნდა „დამატება".

სასუფველი — ნ. ციური სასუფველი.

სასწაული — საერთოდ, საოცრება, უჩვეულო რამ მოვლენა ანუ ნაგებობა, ნახელავი, ნიჭი და ა. შ. (მსოფლიოს 7 საოცრება და სხვ.); რელიგ. გაგებით — საოცარი მოვლენა, რაც ზეციური ნებით ხდება და არა ობიექტური კანონზომიერებით. ს-ებს ახდენდა ქრისტე (ბრმისთვის თვალების ახელა, სნეულთა განკურნება, წყლის ღვინოდ ქცევა, ზღვაზე და უფსკრულზე ფეხით გავლა). საერთოდ, ბიბლია აღსავსეა ნაირნაირი ს-ებით. შემდეგ რელიგ. ორგანიზაციები აწარმოებდნენ ს-ების „ფაბრიკაციას" (წმინდანთა მოქმედებანი, განკურნება და ა. შ.). ნიმუში: როცა რომაელებმა სპირნის ეპისკოპოსს

პოლიკარპეს უბრძანეს, ქრისტე შეაჩვენეო, მოხუცმა განაცხადა: „86 წელია ერთგულად ვემსახურები ჩემს მაცხოვარს და ერთხელაც არ მახსოვს მისგან წყენა. ამ სიბერეში რისთვის ვუღალატო და დავწყევლო?" „ცეცხლი!" — იხუ-ლა ჯარმა. კოცონზე აყვანილი პოლიკარპე ცეცხლმა არ დაწვა, იალქანივით შემოეკვლო გარშემო, და ის ჯალათმა ხანჯლით განგმირა. მეცნ-ბა გადაჭრით უარყოფს ამნაირ სასწაულებს და არ ცნობს იმას, რაც ადამიანთა პრაქტ. ცხოვრებაში არ ხდება. ს-ის რწმენა თანდათან ქრება.

სატანა — ნ. ეშმაკი.

საფარველი ღვთისმშობლისა — მართლმადიდებლობის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული (არ შედის ათორმეტ დღესასწაულთა რიგში, მაგრამ მაინც დიდს უწოდებენ). აგებულია გადმოცემაზე, რ-ის თანახმადაც 910 კონ-სტანტინოპოლში სარკინოზებთან (არაბებთან) ბრძოლის დროს ბერძნებს გაუჭირდათ, დარაჯად მდგარ წმ. ანდრია სალოსსა და მის მოწაფეს ეპიფანეს მწუხრში მოეჩვენათ პაერში ნარნარით მომავალი ღვთისმშობელი, რ-მაც ლოცვა-კურთხევით გადაიფარა ქრისტიანებს წმ. საფარველი, თან ძლევა და მშვიდობა უსურვა. გამხნევებულმა ბერძნებმა ბერძნებმა მტერი უკუაქციეს. ამ სასწ-ით გამოხატეს სასოება და რწმენა, რომ ღვთისმშობელი მფარველია ადამიანთა. საფარველი (ომოფორი) იქცა ამ მფარველობის სიმბოლოდ. დღესასწ. იმარ-თება 1 (14) ოქტომბერს. რუსეთში ის („პოკროვ") დაუკავშირეს შემოდ-გომის სამუშაოების დამთავრებას და ხალხში პოპულარული იყო. თან სდევს განსაკუთრ. სადიდებელი ლოცვა, ყველა მორწმუნის მონაწილეობით, ზეზეუ-ლად (აკათისტო).

საფარობა — ახ. სახ. დღესასწ. (28 აგვ.), ტარდება ახალციხეში 1980 წლიდან, საფარის ტაძართან ძვ. ქართ. მონასტრებს შორის ესაა ერთ-ერთი უძვ. და უმშვენიერესთაგანი (X ს.), 12 ნაგებობით, ტყეში, მოფარებულ ადგილზე. მშრომელები აგვისტოს ბოლო კვირას აქ ზეიმით ატარებენ.

საღვთო სჯული — 1. ფართო გაგებით—ყოველი რელიგ. მოძღვრება, რ-იც თავის მიმდევრებს ცხოვრების მართალ წესს უქადაგებს; 2. ვიწრო გაგებით სასწავლო საგანი დაწყ. და საშ. სკოლებში (მეფის რუსეთში, საქ-ში), ასწავლის ღვთისმეტყვ. ანბანს, საეკლ. წესებს, კულტებს, რელ. დოგმებს, უფლის სიყვარულს. სწავლების უფლება აქონდათ მხოლოდ მღვდლებს, დიაკვ-ნებს, გამონაკლის შემთხვევაში—სასულ. სემინარიის კურსდამთავრებულთ.

საჯოველთაო ლოცვანი — რასაც მორწმუნე ასრულებს საქმის დაწყები-სას (გამგზავრების, მშენებლობის, დილით, ძილის წინ, სადილის წინ).

საშინელი სამსჯავრო (დას იუნგსტე გერიხტ, სტრაშნი სუდ)—ნ. გან-კითხვის დღე, მეორედ მოსვლა.

საცეცხლური—ნ. სამსხვერპლო, 4.

საბურისთა (ხოჯათა) სექტა — ურჯუული რელიგ. სექტა, გამოეყო ხლისტებს რუსეთში XVIII ს-ში, გლეხთა ომის სისხლში ჩახრჩობის შემ-დეგ, გამოხატა უკიდურ. სასოწარკვეთილება, უიმედობა. არსებითად ლოგიკ. გაგრძ. და სიმახინჯემდე მიყვანილი შედეგი იყო ქრისტ. მოძღვრებისა, რომ ბოროტების, ცოდვის წყაროა ხორციელი სიამე, რ-იც ასკეტური ცხოვ-რებით უნდა დაითრგუნოს. თეორ. დასაბუთებად „სკოპცებმა" აიღეს ბიბლ.

სიტყვები: „რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი დედისა თვისისათ საჭურისნი იშვნეს. და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისა თვის ცათასა" (ქრისტე ეუბნება ფარისეველთ, მათე 19, 12). ამიტომ ისაჭურისებდნენ თავს სექტის წევრები, ლიდიელთა წარმართი ჭაბუკი ღმერთის — ატისის მსგავსად, და ამტკიცებდნენ, ანგელოზის მსგავსნი ვართო, განკითხვის დღის შემდეგ 144 000 ციურ მეომარს შორის იესო ჩვენ დაგვტოვებსო. სექტის დამაარსებელი კონდრატი სელივანოვი თვითონვე ასაჭურისებდა თანამზრახველებს თავისი „გემებისათვის", როგორც ეძახდა თემობას. სათაგეში მდიდარი ვაჭრები ჩაუდგნენ, ატყუებდნენ. ამჟამად დაშლილი და პრაქტიკულად გაუქმებულია. სასტიკად დევნიდნენ მეფის რუსეთში.

სახარება (ბერძ. ევანგელიე, „ევანგელიონ", ხარება, სასიკეთო ცნობა) — ადრექრისტ. ძეგლი, ბიბლიის ნაწილი, ახ. აღთქმა, ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ამსახველი. 30 სახარებიდან მხოლოდ ოთხია ზეგარდმო შთაგონებული, კანონიკური, აღიარებული (მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანესი). დანარჩენებს ეკლ. არ ცნობს, ცრუ და აპოკრიფულია, რადგან ქრისტეს სახე განსხვავებულადაა წარმოჩენილი. წინააღმდეგობანი, განსხვავებანი ამ ოთხთა შორისაც ცნობილია. შედარებით ახლოა მათეს, ლუკას, მარკოზის ს-ები, იოანესი კი (იესოს უსაყვარლესი მოციქულისა) საგრძნობლად დაშორებულია სტილითაც და შინაარსითაც. იწერებოდა სხვადასხვა დროს (უფრო II ს. პირველ ნახევარში). საუკ-ების განმავლობაში იყო მძლავრი იარაღი მორჩილების, უდრტვინველობის, სათნოების, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის, სარწმ-ებისადმი ერთგულების საქადაგებლად. როგორც მხატვრ. ნაწარმ., სხარტი და დახვეწილი სტილით, მოქმედებით, რაც დაუშრეტელ მასალას აძლევდა მხატვრებსა და მწერლებს, მთელს ბიბლიასთან ერთად ადამიანის გენიის ძეგლად რჩება. ქართ. კლასიკ. თარგმანი ენის ძეგლია. ოთხთავის უძვ. თარგმ. შესრულდა ქართლის მოქცევისთანავე, იაკობ ხუცესი უკვე იცნობს „ევანგელეს" თარგმანს, რაც შემდეგ სრულპყვეს ექვთ. და გიორგი მთაწმინდელებმა, იოანე ჭიმჭიმელმა. გიორგის თარგ. გამოსცა ვახტანგ VI-მ (1709). ცნობილია ჰადიშის ოთხთავი (897), ურბნისის (908), პარხლის (978) და სხვ.

მათეს ს. დაიწერა ებრ. ენაზე და მას „ებრაული" ქვია, რადგან ძვ. აღთქმის გაგრძელებადაა მიჩნეული; მარკოზისას „რომაულს" უწოდებენ (კოსმოსური იმპულსით); ლუკას ს-ს, ქრისტ. ასპექტის წამოწევით, ეწოდა „გულითადობისა"; იოანეს ს. უახლესი ეგონათ, მაგრამ ეგვიპტის პაპირუსზე ნაწერი ტექსტი მოწმობს, რომ II ს. დასაწყისში დაწერილა. მას „სულიერს" უწოდებენ, რადგან ხაზგასმულია სულიერი საწყისის, სიტყვის, ლოგოსის განსხვეულება. ამრიგად, ოთხივე კანონიკური სახარება (თავთავიანთი ვარიანტებით) ასახავენ ქრისტ. კონცეფციას სხვადასხვა ასპექტში და ხსენებ. წინააღმდეგობანიც უმთავრესწილად მოჩვენებითია (მაგ. მარკოზის — პეტრეს თანამგზავრის მიხედვით ქრისტე 1 წელი ქადაგებდა, იოანეს მიხედვით — 4 წლამდე; ჩამომავლობაც განსხვავებულია).

სახარებისეული ქრისტიანები — ნ. ევანგელისტები.

სახმ — ნ. პიპოსტასი.

სეკულარიზაცია (ლათ. სეკულარის საერო, სამრევლო) — რელიგიის ზეგავლენისაგან საზ-ბის, ჯგუფის, პიროვნების განთავისუფლება, მორწმუნის ცნობიერებიდან მისი ამოშლა. ესაა მთელი კომპლექსი ღონისძიებებისა: სახელმწიფოსაგან ეკლ. ჩამოშორება, სწავლების შენყვეტა, რელ. თემების ამოღება ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებიდან, რელ. უუნქციების დავიწყება. სახელმწ.-უფლებრივი სანქციები... კაპიტ. ქვეყნებში აქ ორმაგი მდინარეობაა: კომუნ. ორგანიზაციები რელ. წინ-გ მოქმედებენ, გაბატ. წრეები კი პირიქით. ახდენენ ხალხის საკრალიზაციას, რელ. ზემოქმედების გაძლიერებას. სოც. საზ-ში, პირიქით, ყოველნაირად უქმდება რელ-ის საყრდენი, ეცლება ნიადაგი, ტარდება აგიტაცია, ახსნა-განმარტება. მეცნ. თვალსაზრისის დაპირისპირება; საეკლ. ქონებისა და მამულების ჩამორთმევა, გადასვლა სახელმწ. ხელში, რაც ნაწილობრივ განხორციელდა საშ. საუკ-ებში (მიუხედავად კათოლიციზმის სასტიკი წინააღმდეგობისა). აღორძინებისა და რეფორმაციის ეპოქაში, განსაკ. საფრ. ბურჟ. რევ. დროს, როცა ნაწილობრივ სკოლაც ჩამოაშორეს ეკლესიას. რუსეთშიც ჰოხდა ანალოგ. მოვლენები. პეტრე I-მა საეკლ. მიწების დიდი ნაწ. გადასცა სახელმწ-ს, მერე ეკატერინე II-მ მონასტრებს ჩამოართვა მიწები, ყმები, 881 მონასტრიდან დატოვა 385. გასულ საუკ-ში ეკლესიამ უკანვე მიიღო მიწების ნაწილი. 1918 მოხდა მიწების ნაციონალიზაცია.

სეკულარული თეოლოგია — მიმდინარ., რ-ელიც პროტესტ. პოზიციებიდან აცხადებს, რომ თანამედრ. ადამიანის წარმოდგენას ღმერთზე აღარ შეესაბამება ღმერთის ძვ. სახე, ამიტომ ღმერთი ან უნდა მოკვდეს, ან სრულიად სხვა სახე უნდა მიიღოს, „მკვდარი ღმერთი" უნდა შეცვალოს ბიბლიურმა „ცოცხალმა ღმერთმა". რადიკალ ფრთა ითხოვს თეიზმის სიკვდილს, „ქრისტიანული ათეიზმის" დამკვიდრებას, საეკლ. ტრადიციის ძირიანად შეცვლას. მისი წარმომადგენლები სხვადასხვა მისტ. სკოლებს ეკუთვნიან.

სემინარია სასულიერო — ნ. სასულიერო სემინარია; ასევე — აკადემია.

სეპტუაგინტა (ლათ. „სამოცდაათი") — ძვ. აღთქმის (დაბადების, ბიბლიის) თარგმანი, რაც იერუსალიმიდან მეფე პტოლემეოსის მიწვევით ალექსანდრიაში ჩასულმა 70 განმმარტებელმა შეასრულა თითქოს 70 (ან 72) დღეში — ძვ. ებრაულიდან ბერძნულზე, იმ ებრაელთათვის, რ-ნიც მაშინ ეგვიპტეში ცხოვრობდნენ ან პალესტინის გარეთ იყვნენ გაფანტული და აღარ იცოდნენ ებრაული. მერე იმ დედნების ნაწილი დაიკარგა და ებრაელები მათ თარგმანებს თელიან არაკანონიკურად, თუმცა არა ნაყალბევად. ბერძნულად თარგმნილი 10 წიგნი ერთ-ერთი დიდი ისტ. ძეგლია და დასაყრდენი. რაც შეეხება 72 დღეს, თავისთავად ლეგენდაა, რადგან ბიბლია საუკუნეების განმ-ში ითარგმნებოდა სხვადასხვა პირთა მიერ. ლათ. ენაზე თარგმანი ცნობ. იყო II ს-შიც, ხოლო დაახ. 400 წ. ლათინურად თარგმნა წმ. იერონიმემ. ეს თარგმ. ფართოდ გავრცელდა „ვულგატას" სახელწოდებით. რუს. ენაზე თარგმნა დაიწყეს კირილემ და მეთოდემ. თანამედრ. რუს. ბიბლია ეყრდნობა ელისაბედისეულ გამოცემას (1751 — 1756). არსებობს შესანიშნავი თარგმ. ახალ რუსულ ენაზეც (გამოც. 1958, 1979 და სხვ.). თარგმანი ქართ.

ენაზე ერთ-ერთი უძველესია და უბრწყინვალესი მხატვრული და ენობრივი თვალსაზრისით. თარგმანთა ისტ-ში სეპტუაგინტა უაღრესად მნიშვნელოვანია.

სეფისკვერი (ლათ. ჰოსტია, „ზვარაკი", სამსხვერპლო ცხვარი ან სხვა საქონელი, რუს. მრ. ჰოსტიები, დას. ეკლესიაში XII ს-დან) — ხორბლის სუფთა ფქვილისაგან გამომცხვარი „სეფის" (მეუფის) კვერი, ქრისტ-ლი ღვთისმსახურების დროს „ეკლესიასა შინა შესაწირავი პური, რომელსა ზედა აღესრულების სამღვთო ლიტურგია" (დავ. ჩუბინ.) — უფრო აღ-ის ეკლესიაში. სვანეთში ს-ს აძლევენ მრგვალსა და სამკუთხოვანი ჯვრის ფორმას, პატარა ხაჭაპურის სახით, აღ-ის სარკმელთან სანთელს დაკმევენ, ს-ს ასწევენ და ილოცებიან (ყოველ დღესასწაულზე); ზიარების-კვერი. რუს. პროსფორა (ბერძ. ტა პროსფორა, სიტყვიდან „მიძღვნა"), ანტიდორ (ბერძ. „შხამსაწინააღმდეგო").

სექტა რელიგიური — ნ. რელიგიური სექტა; სექტანტობა — ჯგუფურობა, გამოყოფა, დაქუცმაცება იდეისა, სარწმუნოებისა (სექტანტი — კარჩაკეტილი ადამიანიცაა). საერთოდ უთანხმოების, შფოთის, პოტესტის ნიშანია და ასუსტებს იმ იდეას, მოძღვრებას, რასაც გამოეყო.

საქ-ში მეფის დროსაც მრავალი რელ-ური სექტა იყო (გადმოსახლებულნი თუ მოხეტიალენი) და არის ამჟამადაც: მალაკნები, დუხობორები, სტაროვერები, ორმოცდაათიანელნი, ქრისტიან-ბაპტისტები, იეღოველნი, სტაროობრიადცები... ზოგი მათგანი ქმნის განკერძოებულ ეთნიკურ ერთეულს, აქვს უცვლელი პრინციპები, მორწმუნენი ერიდებიან „გარეშეებთან" ურთიერთობას, თუმცა ბოლო დროს ასეთი მიჯნა ირღვევა და ახალგაზრდობა ქვეყნის ყოველდღ. ცხოვ-ში მონაწ-ს. ზოგი სექტა აერთიანებს რუსებს, ქართველებს, სომხებს, ოსებს. ერთი ბაპტისტური თემი მთლიანად ქართველებისაგან შედგება (გურჯაანში). ზოგ რუსულ და უცხოურ სექტას შორის საერთო მხოლოდ სახელწოდებაა, პრინციპები საკმაოდ განსხვავდება. ჩვეულებრივ სექტები ჯგუფ-ჯგუფად, თემებად ცხოვრობენ.

სვეტიცხოვლობა — მცხეთობა, ახ. დღესასწ., რაც იმართება საქ. ძვ. დედაქალაქში 13 ოქტ-ს (1979-დან). ისტ. და თანამედრ-ბას შორის კავშირს ცხადყოფს 12 ძეგლის გარშემო მოწყობილი ზეიმი, სეირნობა, სპორტ. ვარჯიში, ფილმების ჩვენება ღია ცის ქვეშ და სხვ.

ცალკე სვეტიცხოვლობა დაკავშ-ია ქრისტეს კვართის (პერანგის) ჩამოტანასთან მცხეთას ელიოზ მღვდლისა და ლონგინოზ კარსნელის მიერ, რ-თაც ეს შეასრულეს. ლეგენდის თანახმად, ისინი წარავლინეს იერუსალიმს, თან დას სიდონიას დაუყალებია, ავ საქმეში ნუ გაერევითო. სამსჯავროს არ დასწრებიან, ხოლო როცა აღსრულდა ქრისტეს ჯვარცმა და მისი სიტყვები „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი" (მათე 27, 35), ეს კვართი მცხეთელებს ერგოთ. როცა სიდონიამ ხელთუქმნელი კვართი გულში ჩაიკრა, იქვე მოკვდა, ვერ ააგლიჯეს და კვართიანად დაკრძალეს. იქ ამოვიდა ლიბანის ნაძვი (კეპაროსი). როცა მირიან მეფემ იკითხა, სად ავაგოთო ტაძარი, მოციქულთასწორ მანდილოსანს ეს ადგილი აურჩევია. ნაძვი მოჭრეს, სვეტად განამზადეს, მაგრამ ვერ აღმართეს.

ერი დაიშალა, ნინო და მხლებელი ორი ქალი იქვე დარჩა. სიზმრად ნინოს ჭაბუკი გამოეცხადა. ქალწული ძირს დაემხო. ნათელმოსილი ჭაბუკი სივრცეში ამაღლდა, სვეტით ხელში. მალე სვეტი ცეცხლის სახით ჩამოვიდა და ზეზე დადგა. თან სურნელს აფრქვევდა. მეფემ და ერმა იხილეს და აქ აშენდა სვეტიცხოველი, სადაც საუფლო კვართიც განისვენებს. ამ ლეგენდასთანაა დაკავშირ. ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ძეგლი. საგალობელიც სვეტიცხოველისა („გიხაროდენ შენ... სვეტო სიმტკიცეო ჩვენო!...") მიზნად ისახავს რწმენის განმტკიცებას და კიდეც ასრულებდა ასეთ როლს გადამთიელ მომხდურებთან ბრძოლებში.

სვინაქსარი (ბერძ. სინაქსარიონ: სინაქსის — კრებული) — წმინდანთა ცხოვრების ან ქრისტ. დღესასწაულთა მოკლე აღწერილობა, მარტვილთა ცხოერება, რ-საც იყენებენ ღვთისმსახურების დროს და ამდენად უფრო პრაქტიკული დანიშნულება აქვს. ს-ები უმეტესად XI ს-დან იწერება ან დგება ამონაკრების სახით. მხატვრულად ჰაგიოგრაფიის დიდ ძეგლებს ჩამორჩებიან, მაგრამ აქვთ ისტ-ული მნიშვნელობა (გ. ათონელის „დიდი ს.")

სიზმრები ჯადოსნური (ბერძნული) — ისეთი სიზმრები, რ-თა შემწეობითაც თითქოს შესაძლებელია მომავლის წინასწარმეტყველება. რელიგია მათ ზეგარდმო მოვლენილად აცხადებს და მხარს უჭერს. ძალზე ხშირია ისეთი დამთხვევა, რაც ძალაუნებურად გვაფიქრებინებს სიზმრის მისნურ ხასიათს. მაგრამ ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი უმეტესობა გარემოების მიხედვითაა გაპირობებული. ასე. მეციხოვნეებს ესიზმრათ, რომ ღამით მტრის ლაშქარი დაესხათ თავს და სიმაგრე ცეცხლს მისცეს. ღამით დგებიან. გაერიდებიან. და მართლაც განთიადისას მტრის დიდმა ლაშქარმა ციხე მიწასთან გაასწორა მცირე რაზმი და დედოფალი გადარჩნენ. ცხადია, ვისაც ესიზმრა, ანალოგიური შთაბეჭდილებით დაიძინა და სიზმარიც „ახდა"; ქუჩაში მიმავალ კაცს ელანდება დიდი ხნის უნახავი მეგობარი, ესიზმრება და მეორე დღეს მართლა შეხვდება მას. ესეც მეხსიერების, გონების მუშაობის შედეგია. ძილში თავის ტვინის დიდი ნახევარსფერო მეტ-ნაკლებად დამუხრუჭებულია, მაგრამ რიცა ძილი ღრმა არაა. მისი ზოგი ცენტრი მუშაობას განაგრძობს და წარმოიქმნებიან ჩვენებანი. შთაბეჭდილებათა და ასოთა გამოძახილი თუ ანარეკლი სურათები, სახეები. ცენტრებს შორის უკრავდების კავშირი ხშირად წყდება. ამიტომ ძილი ქაოტური და ფანტასტიკური ხდება. სიზმრებს იწვევს ხმაური, შუქი, ტემპერატურის ცვლა. მეცნ. ამას სწავლობს და უარყოფს სიზმრის ყოველგვარ წინასწარმეტყველურ-მაგიურ ახსნას.

სიკეთე და ბოროტება — ნ. მაგნე და კეთილი.

სიკხე, სიქხი, სიკხიზმი (სანსკრ. სიქხ--ძიწვაკ) — მინოთეისტური ისლეური რელ., რ-იც ძირითადად პენჯაბის წვრილ მოკაჭრეთა და ხელოსანთა შორის გავრცელდა. კასტური წყობის წინ-გ მებრძოლია თეიმბას მეთაურობდა ნანაკი (1469 — 1538). XVII ს-დან გლეხობაც მასთან ერთად ომიწყდა ამ მეცარ სექტას, რ-იც განირისკა სიმკაცრითა და დისციპლინით. ფეოდ. წყობის წინ-გ მებრძოლმა სიკხებმა დიდი მოგოლის იმპერიის შერყევაც შესძლეს, შექმნეს საკუთარი ფეოდ. სახელმწიფო, რ-მაც 1849 წლამდე არსება (ინგლისის ვასალობამდე). „სიკხი—ერთა", აცხადებენ, ითვლიან ავტონომიის. ხოცავენ ძო-

ქიშპეებს. უარყვეს ინდეუიზმი, აღიარეს ერთადერთი განუპიროვნებელი ღმერთი, რ-ის ძღიერების გამოვლინებაა ყოველი მოვლენა. მათი მოძღვრება გადმოცემულია „უუალ წიგნში" („გრანტხ სახიბ"). ესაა მასწავლებლის — გურუს ცხოვრება. დღეს სექტაში ირიცხება 12-14 მილ. წევრი. ოლად იცნობიან წვერით, იერით, ივუუტური დისციპლინითა და სიმკაცრით. მიმართავენ ტერორს. 1984 წ. 31-X ტყვეით მოკლეს ინდირა განდი („ოქროს ტაძრის" იერიშისა და ურჩთა გაწყვეტის საპასუხოდ).

სიყვარული, რწმენა და იმედი—მართლმადიდ. ეკლ-ის ერთ-ერთი დღესასწაული, ამ სახელებით ცნობილი სამი ქალწულისა და მათი დედის სოფის მოსაგონებლად, რ-ნიც ლეგენდის თანახმად საშინლად აწამეს იმპ. ადრიანეს დროს, რადგან ქრისტიანობაზე უარის თქმა არ ისურვეს. დღესასწ სიმბოლური ხასიათისაა და მიზნად აქვს ჩაგონება, რომ მთავარი ქრისტ. სათნოებაა ღმერთის **რწმენა**, მასზე **იმედის** დამყარება და მისი **სიყვარული**.

სილაბუსი (ლათ. სილლაბუს — სია) — „ჩვენი დროის დაბნეულობათა სია", რაც შეიძლება „აკრძალულ წიგნთა სიის" გვერდით დავაყენოთ, როგორც სასტიკი დოკუმენტი, რ-იც პაპის ენციკლიკის დამატებით გამოუშვა პიუს IX-მ 1864 წ. 8 დეკ., შეიცავს „ახ. სიოს ქროლის" დაუძინებელი მტრის, გრაფ ფერეტის (პიუს IX) მიერ მავნედ ცნობილ 80 ცნების უარეოფას, მათ შორისაა პანთეიზმი, ნატურალიზმი, რაციონალიზმი, ლიბერალიზმი, პროტესტანტიზმი, მეცნიერების თავისუფლება, პაპის უარყოფა, კომუნიზმი... 1907 წ. გამოიცა ახ. სილაბუსი—მოდერნიზმის უარყოფა კათოლიციზმში.

სიმბოლო სარწმუნოებისა (ლათ. სიმბოლონ—ნიშანი, კრედო—მწამს)—ქრისტ. რელიგ. დოგმატების მოკლე გადმოცემა. აღიარებს სამებას: მამა ღმერთს—სამყაროს შემქმნელს, ძე ღმერთს — კაცთათვის ჯვარცმულს და სული წმიდას—მამისა და ძისაგან (მართლმადიდ. ეკლესიის რწმენით—მხოლოდ მამისაგან) მოვლენილს. დაჯგუფებათა ბრძოლის შემდეგ მიიღეს ნიკეის ყრილობაზე (325 წ.). შეიცვა კონსტანტინოპოლის II ყრილობაზე (381 წ.). შეადგინეს ეკლ. მამებმა. მისი ბოლო ნაწილები იხილავენ ეკლესიის, ნათლობისა და მარადიული ცხონების დოგმატებს. იკითხება ღვთისმსახურების დროს ან შინ, ასრულებს ქორო ტაძარში. ცნობილია აგრეთვე წმ. ათანასეს ს. ს., უფრო დაწვრილებითი ცნობების კრებული სამებაზე, აგრეთვე ტრიდენტის ს. ს. (კათოლიციზმის სიმბ. სარწ.); ინგლისური ს ს. შეიცავს 39 თავს. მისი განმარტებები მოცემულია კატეხიზისებში.

სიმონ მოგვი (ებრ. შიმონ, „ღმერთმა ისმინა", აქედ. ბერძ.-ლათ. სიმონ.) — სამარიელი ჯადოქარი, პეტრეს მოწინააღმდეგე (ბერძ. მაგოს), ტერტულიანეს და სხვა საეკლ. მწერალთა მოწმობით, გნოსტიკოსთა და ყველა ერესის მამათაკაცი (სიმონიანის ან ელენიანის სექტის დამაარსებელი). ნახსენებია წიგნში „საქმე მოციქულთა": „კაცი ვინმე იყო, რომელსა სახელი ერქვა სიმონ, პგრძნებდა და განაკვირვებდა ნათესავსა მას სამარიტელთასა... იტყოდეს, ვითარმედ ესე არს ძალა ღმრთისა დიდი". არქიდიაკონმა ფილიპემ მონათლა, თავს დიდად თვლიდა და როცა იერუსალიმიდან იოანე და პეტრე ჩავიდნენ და მათზე სულიწმიდა გადმოვიდა, სვიმონმა მათ ვერცხლი შეაძლია,

სულიწმიდის მადლი მოითხოვა. პეტრემ უარყო მისი მკრეხელობა, „რამეთუ ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად“ (აქედ. „სიმონია“ — სამღვდელმთავრო თანამდებობის ფულით ყიდვა, რაც ერთ დროს ფართოდ იყო გავრცელებული). იმ დღიდან სიმონ მოგვი სიმონ-პეტრეს მოქიშპეა, ხოლო უფრო ღრმა ახრით — ქრისტესიც, რადგან მასავით ცად ამაღლება გაითამაშა, ძირს დავარდნისას დემონებს უნდა აეყვანათ, მაგრამ პეტრემ მათ განდგომა უბრძანა და ცრუ იესო ქვებზე დაენარცხა („პეტრე“ — ქვა, სიმბოლიკა); მეორედ თავი დაიმარხა—აღდგებიო, რითაც თავი გამოიჩინა, როგორც ანტიქრისტეს წინამორბედმა. ერთი თქმულებით, კართან შავი ძაღლი დააბა: ვინც ქრისტედ არ მიწამებს, ძაღლი დაგლეჯსო. პეტრემ ძაღლი მიაბრუნა და პატრონი დაანგლეჯინა. ამრიგად, ს. მითსა და რელიგიას თავისებურად აკავშირებს. ის ითვლება გნოსტიციზმის მამამთავრად.

სიმფონია — ბიბლიის (და შემდეგ—სხვა წიგნების) ანბანური საძიებელი, რითაც შესაძლებელია სასურველი სიტყვისა და გამოთქმის პოვნა ტექსტში.

სინაგოგა (ბერძ. სინაგოგე—კრება) — ებრ. რელიგ. თემობა, ან სალოცავად თავშეყრის ადგილი (სინ—ერთად, აგო—ვატარებ), ალბათ ძვ. წ. IV-III ს-დან, როცა დაიწყეს თორას კითხვა და ლოცვა. მას შემდეგ, რაც იერუსალიმი დაანგრიეს, ძვ. წ. I ს-ში ჰეროდე დიდმა (მეფობდა ძვ. წ. 40 — 4 წ.) დაამშვენა, 63 წ. რომაელებმა აიღეს, ხოლო ახ. წ. 70 წ. შემოდგომაზე ტიტუსმა აიღო და მთლიანად დაანგრია, გაიზარდა დიასპორა (განსახლება, ე. ი. პალესტინის გარეთ გაფანტულ ებრაელთა რაოდენობა). ს. იქცა ებრ-თა საკულტო ცენტრად, ორგანიზაციად, სადაც რელ-ის გარდა იურიდიული სანქციებიც წყდებოდა. რაბინები ჩაუდგნენ სათავეში და ატარებდნენ (ატარებენ დღესაც აშშ-ში და სხვ.) რელიგ. ღონისძიებებს. ს. მკაცრი და შეურიგებ. იყო რჯულიდან განდგომილთა მიმართ. საკულტო შესაკრებელში, სადაც ხდება მსჯელობა ბიბლიაზე, სარწმუნ. საკითხებზე, და არა საკულტო სამსახური, მცირეოდენი გადახვევისათვის თემობის წევრს ელოდა სასტიკი წყველა და განკვეთა. ასე შეაჩვენეს ურიელ აკოსტა (დაახ. 1590 — 1617) და ბარუხ სპინოზა (1632 — 77). ს-ს შენობას აქვს აღ-საკენ მიქცეული ნიში, კათედრა, ქოროები. ძველად მოზაიკებით ამკობდნენ. უძვ. ს-ებია ვორმსის (XII ს.), ტოლედოსი (XII — XIII), პრაღისა (XIII). შენობები გოტიკური ან მაურიტანული სტილისაა. ჩვენში კულტ. დანიშნ-საა.

სინანული — „სამოთხეში შეღებული კარი“, ნ. აღსარება.

სინკლიტი (ბერძ. სიგკლეტეს, სინკალეო—ვიწვევ) — უმაღლეს საერო დიდებულთა კრება; „მთელი საკრებულო“, საეროთა და სასულიეროთა ნარევი.

სინკრეტიზმი (ბერძ. „შენარევი“) — ნარევი, უწესრიგო შენაერთი სხვადასხვა რელიგ. მოძღვრებისა და საკულტო წესებისა (იაპ. სინტოიზმი).

სინოდი (ბერძ. სინოდოს—კრება) — უმაღლეს საეკლ. წოდების წარმომადგენელთა სათათბირო კათოლ. და ზოგ მართლმადიდ. ეკლესიაში. რუსეთში პეტრე I-მა შექმნა, როგორც უმაღლესი სახელმწ. ორგანო (1721). სათავეში ედგა ობერ-პროკურორი, რ-იც არსებითად ოავის ნებაზე განაგებდა ეკლ-ს. პეტრემ ის აქცია სახელმწ. ერთგულ მსახურად, პოლიტიკის მძლავრ იარაღად. 1917 წ.-იდან ისევ პატრიარქის მეუფება დაკანონდა, ს. მხოლოდ სათათბიროა

საპატრიარქოში. შედგება 8 არქიეელისაგან. თავმჯდომარეა მთელი რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქი. აქვთ სასწავლ., გამომც., გარეშე საქმეთა განყ.; ს. დაარსდა II ვატიკანის საეკლ. ყრილობის რჩევით რომის პაპთანაც (იოანე პავლე VI), იკრიბება 3 წელში ერთხელ პაპის ნებით. გადაწყვეტილებებს პაპი ამტკიცებს.

სინტოიზმი (ჩინ.-იაპ. ღმერთების გზა—სინტო) — ტრადიც სახელწოდება იაპ. რელიგიისა, რ-იც არაა ერთგვაროვანი, არც მტკიცე სისტემა გააჩნია. ის შეიქმნა ძალზე გვიან, VI — VII ს-ებში, ადგილობრივ ანიმისტურ, შამანურ, გვაროვნულ წარმომადგენლებთან ბუდიზმის შეხვედრის ნიადაგზე. შეიქმნა რობუ-სინტო, თანაცხოვრების მოდუსი, ადგილობრივი ღვთაებებისა და გარედან შემოჭრილი ბუდიზმის შერწყმისა. სინტოს ღმერთები აღიარეს ბუდიზმის პერსონაჟების ავატარად, გარდასახულ ღვთაებებად (ზოგ დილეტანტს ავატარა მხოლოდ გარდასახვის პროცესი ეგონია, სინამდვილეში კი ეს არის გარდასახული ღმერთი ან გმირიც—ვიშნუ, რამა, კრიშნა და ა. შ.). დღეს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ორივე რელიგიას აღიარებს: სინტოს ტაძრებში ქორწინებასა და ნაალობას იხდიან, ბუდისტურში—მიცვალებულთა მოსაგონებელს. სინტოს მიხედვით უძვ. და უზენ. ქალღმერთია ამატერასუ — ყველა იმპერატორის დედა. შემდეგ არსებობს უამრავი ღმერთი და სული — სინი და კამი, რ-თაც ნებისმიერ საგნად შეუძლიათ გადაქცევა (სინტაი — ღმერთის სხეული). სინტოს რიტუალი სრულდება მდიდრული ზარ-ზეიმებით, ლოცვით. ადამიანის მოვალეობად ითვლება წინაპართა იდეალის მიბაძვა, საიქიო ნაკლებ როლს თამაშობს, ღმერთთან შეერთება ხდება ლოცვითა და წესების დაცვით. დიდი მნიშვნ. ეძლევა იმპერატორთა კულტს, წმ. ომის ქადაგებას, სიმტკიცეს.

სიონიზმი (სიონი—მთაა იერუსალიმის გარეუბანში) — ანტიკომუნისტ. და ანტისაბჭ. იდეოლოგია ებრ. მდიდარი წრეებისა. ეს ეროვნ. მიმდინარ. შეიქმნა XIX ს. ბოლოს, სახელად იწოდა იმ გორაკის სახელი, რ-ზედაც უნდა ყოფილიყო სოლომონის დიდი ტაძარი. მიზანი—უსამშობლოოდ მოფანტული ებრ-სათვის სამშობლოს გაჩენა—დაბრუნება იმ მიწაზე, რ-იც ბიბლიის შემქმნელ ხალხს ოდესღაც ეკავა. აცხადებს ებრაელთა ძმობას, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა, „უფლის რჩეული ხალხის" პრეტენზიას, მომავალ განახლებულ ცხოვრებას, რ-ის საფუძველიც უნდა გახდეს ებრაელი ერის სიმტკიცის შენახავი იუდაიზმი. ესაა ისრაელის სახელმწ. რელიგია, მისი დოგმატები მტკიცედ ინარჩუნებენ ბიბლიისა და თალმუდის პრინციპებს; იცავს და ქადაგებს თალმუდის სიბრძნეს, ცდილობს ჩამოაშოროს მასების ყურადღება მშრომელთა თავისუფლების იდეას, დაუკავშიროს აშშ-ს და სხვ.

სიქსტინის კაპელა (სისტინა, სიქსტინა, გერმ. სიქსტინიშე კაპელლე, რუს. სიქსტინსკაია კაპელლა. უმართებულოდ დამკვიდრდა „სიქსტეს კაპელა", რაც გამოხატავს მხოლოდ დამაარსებელი პაპის სახელს, არა მის ნამდვილ მნიშვნელობას. თვით იტალიელები სისტინას ეძახიან). — პაპთა პირადი საძლოცველო, რაც სიქსტ IV-ის ბრძანებით ააშენა ვატიკანში ჯიოვანი დე დოლჩიმ 1473 — 81 წლებში. დამშვენებულია მსოფლიო ხელოვნების შედევრებით, აღორძინების ტიტანთა ქმნილებებით (მიქელანჯელოს, ბოტიჩელის,

გირლანდაიოს, პერუჯინოს ფრესკები, მიქელანჯელოს „განკითხვის დღე", 1534 წ.). რაფაელის ქმნილება—სიქსტინის მადონა, მეორე პაპის — სიქსტ (სიქსტუს) II-ის სახელს ატარებს და პიაჩენცას მონასტრის ბერების შეკვეთით დაიხატა, ამჟამად დრეზდენის გალერეის მთავარი განძეულია.

სკოპცები — 6. საჯურისთა სექტა.

სპუშია (ებრ.) — იარაღჩინი, მართლმადიდ. მღვდლის თავსახურავი.

სოდომი და გომორი (ებრ. სედომ, ამორაპ, ბერძ. სოდომა, გომორრა) — ქანაანის ორი ქალაქი, რ-თა მცხოვრებნი უკეთურებისათვის ღმერთმა გოგირდის წვიმით დასაჯა, მოსრა და დღეს, როგორც ვარაუდობენ, იქ მეწამული ზღვა დგას. ამბავი მოთხრობილია „დაბადების" XIII — XVIII თავებში.

სომხურ-გრიგორიანული ეკლესია — სამოციქულო ეკლ. ერთ-ერთი უძვ. ქრისტ. ეკლ., ქართულთან ერთად (გადმოცემით. ქრისტ. გასავრცელებლად მომავალი რიფსიმე სომეხთა მეფემ თრდატმა შეიპყრო და აწამა. ნინო კი დაიმალა, ქართლში გადმოვიდა და ქრისტ. გაავრცელა). სომხ-ში ქრისტ-ბა შევიდა თადეოს და ბართლომე მოციქულების ქადაგებით (აქედ. გახდა სამოციქულო ეკლ.), უფრო კი მოგვიანებით, გრიგორ განმანათლებლის მეცადინეობით, რ-იც გახდა პირველი ეპისკოპოსი კაპადოკიელი ეპისკოპოსის ლეონტიოსის ხელდასხმით (აქედ. ეწოდა გრიგორიანული). ხსენება დაახ. 274 წ. იწყება, მაგრამ ოფიც. რელიგიად გამოცხადდა IV ს. დასაწყისში (301 — 315). IV ს-დან ორად გაყოფილ სომხეთს არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობა, საერო ერთიანობა, ამიტომაც ეკლ. გახდა მისი სულიერი მეთაური და ეს გაგრძელდა შემდგომ საუკ-ებშიც. წარმომადგენლები ესწრებოდნენ 3 პირველ მსოფ. ყრილობას, გადაიხარა და მთლიანად იწამა მონოფიზიტობა, ვერ დაესწრო ქალკედონის IV ყრ-ს. მონოფიზიტობა-ივლიანიტობა ცნო ოფიც. სარწმ-დ 551 — 554 წლების ადგილობრივ კრებაზე. 303 წ. აშენდა ეჩმიაძინი, თუმცა იძულებ. ხდებოდა ცენტრი გამოეცვალა ხოლმე. 506 წ. გამოეყო ბიზანტიას და გახდა ავტოკეფალური. სათავეშია კათოლიკოს-პატრიარქი. აქონდა 3 საკათოლიკოსო (ეჩმიაძინი, ახთამარი, სისი), 2 საპატრიარქო (იერუსალიმის და კონსტანტინოპოლის). 1915 წ. გაუქმდა ახთამარი, 1965 წ. სისის საპატრიარქო ლიბანში გადავიდა. სსრკ-ში პატრიარქს სომეხთა გარდა არც ერთი მორწმუნე არ ემორჩილება. ოქტ. რევ-ს მტრულად შეხვდა. ამჟამად ლოიალურია. უცხოეთის სომხები შეადგენენ რამდენიმე სამწყსოს: ლიბანის, სირიისა და კვიპროსის — 125 000, იერუსალიმის — 6400, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოები (60 000), ბულგარეთისა — 25 000. კათოლიკოსს ემორჩილებიან კილიკიელი სომხები, ევროპის ეპარქიები, ამერიკელი სომხები და სხვ. ს. ეკლ.-ც აიდეალებს თავის როლსა და წარსულს, განსაკ. დამსახურებას განმათავისუფლ. ბრძოლაში, სადაც უფრო ქმედითი და ისტ-ად ცნობილია მოძმე ქართველთა დახმარება, რ-მაც არაერთხელ იხსნა მტრის ურდოებისაგან. სცემს ყურ. „ეჩმიაძინს".

სოციოლოგია რელიგიისა — ათეიზმის დისციპლინა, რ-იც იკვლევს რელ-ის წარმოშობის, მოქმედებისა და კვდომის სოციალურ ძირებს იმა თუ იმ სისტემაში, აგრეთვე სისტემის ზეგავლენას რელ-ზე. ნაწილობრივ უკვე დაამუშავეს ოგ. კონტმა (1798 — 1857), პერბერტ სპენსერმა (1820 — 1903) და სხვებ-

მა. მაგრამ ათვისტ. საფუძველზე მისი პრინციპები დამუშავებულია მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებში.

სპირიტუალიზმი (ლათ. სპირიტუალის—სულიერი) — სულის პირველადობა, ყოველი ხილული არსის დასაბამად სულის, როგორც დამოუკიდებელი სუბსტანციის აღიარება. ობიექტურ-იდეალისტ. და ანტიმეცნ. თვალსაზრისი. ფსიქიური უპირისპირდება მატერიალურს და არსებითად ყოველი იდეალისტ. ფილოს-ის უფროველი შემადგენელი ელემენტია, რადგან ობიექტურ იდეალიზმში საერთოდ აბსოლუტური სული მატერიისაგან, ადამიანისაგან გამოყოფილია. მსოფლიო სული თავისთავად არსებობს დასაბამიდან. ადამიანის ცნობიერება აბსოლუტიზებულია, არსებული სამყარო მისგან წარმოებულია. ქრისტ. ს. ამტკიცებს, რომ უკვდავი სული, ღვთაებრივი ფენომენის სახით, ცალკე არსებობს, როგორც ინდივიდუალური მაცოცხლებელი საწყისი, და ღვთაებრივი სულია ის „ღმერთის სახე ადამიანში", რ-თანაც ადამიანის სული მუდმივ კავშირშია. აქასთანაა დაკავშირ. ცოდეილთა სასღაური, სასჯელი საიქიოში (ჯოჯოხეთში). ამავე სახით — ნეტართა სულების განცხრომა მარადიულ სასუფეველში. რაკი მთავარია უკვდავი სული, ადამიანმა უნდა შეწყვიტოს ზრუნვა ხრწნადი სხეულისათვის, ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და იფიქროს ცხონებაზე.

სტაროობრიადცები („ძველმოწესენი") — მართლმადიდ. სექტა, სხვადასხვა რელიგ. ჯგუფები და ეკლესიები, რ-ნიც არ დაემორჩილნენ პატრიარქ ნიკონის რეფორმებს. ნიკონი (1605 — 1681) ალექსი მიხეილის ძის მეგობარი იყო და მისი შეძწეობით. ნოვგოროდის მიტროპოლიტი მოსელი რუსეთის პატრიარქი გახდა (1652 წ.). მართლმადიდ. ეკლ-ის ამაღლების მიზნით გაატარა რეფორმები. რ-თაც არსებითი ცვლილებები არ შეუტანიათ ეკლ ცხოვრებაში (მცირე შესწორებანი საწესო წიგნებსა და ხატებში—ბიზანტ. სტილზე; პირჯვრის გამოსახვა ორის ნაცვლად სამი თითით; რეგულარ. საეკლ. ქადაგებები; ალილუიას სამჯერ თქმა; თაყვანისცემის დროს წელამდე თავის დახრა და არა მიწამდე...). რეფორმა მიზნად ისახავდა მონარქიის გაძლიერებასაც და ამ ნიადაგზე დაჯგუფებაში მოხვდა სხვადასხვა სოციალ. ფენების წარმომადგენელთა ჭრელი ჯგუფი (ვაჭრები, გლეხები, ბოიარები),.

სტიგმა, სტიგმატები (ბერძ. სტიგმა(ტოს) — ნაჩხვლეტი, დაღი, ნიშანი) — ნაწიბური, წყლული, წამოწითლება, შეშუპება და მისთ. ანომალია იმ ადგილებზე, სადაც სახარების მიხედვით იესოს ენება განუცდია — ეკლის გვირგვინით ან ლურსმნებით. მორწმუნეებს ფანატიკური დაძაბულობისა და თვითშთაგონებისაგან მართლა უჩნდებათ ასეთი დაღი, რაც შედეგია ფსიქოლ. ღატვირთვით ტვინის უჯრედებზე შესაბამისი რეფლექსისა და რეაქციისა.

სტიხოლოგია (ბერძ. „ლექსის სიტყვა", კითხვა) — დავითნის რომელიმე კანონის კითხვა.

სტიხომანტია (ბერძ. ლექსით მკითხაობა) — მკითხაობის ერთ-ერთი სახე, როცა პირველად თვალში მოხვედრილი ლექსის მიხედვით მარჩიელობენ.

სუშუა (ინდ.) — ხამარის ტიპის ინდური (ბუდისტური) ნაგებობა, დოლმენური ტაძარი; გუმბათიანი მრგვალი შენობა დიდი ქვის გალავნით, დაშ-

ვენებული უამრავი რელიეფით, ქანდაკებით, სცენებით ბუდას ცხოვრებიდან. თავზე სამეფო გვირგვინის მსგავსი გუმბათი ადგას. მოციმციმე ოქროს ბალთებით მოჭედილი. უძვ. ნიმუშია სანჯი (ძვ. წ. II-I სს); სამყაროს სიდიადის ან სამეფოს ძლიერების სიმბოლო, „მსოფლიო მთა" (მთის მით-ური სიმბოლიკა). 1975 წ. რანგუნის შუაგულში მუხრუნური წვიმებით ჩარეცხილ ნაპრალში აღმოჩნდა იარაღის საწყობი. მთას კი აგვირგვინებს მსოფლიოს უდიდესი ტაძარი, 110 მ სიმაღლისა, შვედაგონი, რ-საც ერთმა მბრძანებელმა შესწირა თავისი და თავისი მეუღლის წონაზე მძიმე ოქროს ზოდი. ტაძრის ზედა ნაწილს ფარავს 13 000-ზე მეტი ოქროს ფურცელი (ტონაზე მეტი). ბირმის სატახტო ქალაქში ჩასული მლოცველნი აქ უფასო სავანეს იღებენ. ისინი თავიანთ წილ ოქროს აკრავენ სტუპის კედლებს. ტაძარში დუმილს მხოლოდ ტკაცუნების ხმა არღვევს. ქურუმები სალოცავად მოუხმობენ ხალხს.

სუბოტნიკები (რუს. სუბბოტნიკი — „მეშაბათეები") — ე. წ. სულიერ ქრისტიანთა სექტა, ჩამოყალიბდა XVII ს-ში რუსეთში, რ-ც ნიშანი სოციალური პროტესტისა გლეხთა ჩაგვრის წინააღმდეგ. მოძრაობაში ჩება ღარიბი გლეხობა, შემდეგ ვაჭრები და მეშჩანები. თავიანთი მოძღვრების საფუძვლად გაიხადეს ბიბლია. ცნობენ ერთიან ღმერთს, უარყოფენ სამებას. ქრისტეს აცხადებენ უბრალო წინასწარმეტყველად (არა ღმერთად), იცავენ ნინადაცვეთის ძვ. ებრაულ წესს, შაბათის დღესასწაულს (აქედ. სახელწოდება), უარყოფენ ქრისტ. მოძღვრებას, ხატთა თაყვანისცემას, კვირადღის წესებს. ბავშვებს არქმევენ ებრაულ სახელებს და საერთოდ იმდენად „ებრაელობენ", რომ მრავალი მათგანი ითხოვს ისრაელში წასვლას. აქვთ საკუთარი რთული რიტუალები, ეწევიან კარჩაკეტილ ცხოვრებას. ამჟამად არიან უმთავრესად ვორონეჟის მხარეში, სომხეთში, აზერბაიჯანში. ნაკლებად — საქართველოში; ზოგი ასე უწოდებს მეშვიდე დღის ადვენტისტებსაც, რამდენადაც საზეიმო დღედ შაბათს თვლიან.

სულთმოფენობა — დღესასწაული, ნ სამება.

სული (ბერძ. ფსიქე, ლათ. ანიმუს, გერ. გაისტ, ზველე, რუს. დუშა) — იდეალისტ. წარმოდგენით, აქტიური შამოძრავებელი ძალა ადამიანში. ცნება არარსებულზე, რ-მაც არსებულის თანაბარი ფენომენის ძალა დაიმკვიდრა ყოველდღიურ მეტყველებაში, ფილოსოფიაში. რელიგიაში, მწერლობაში და ა. შ. რელიგიაში ესაა ადამიანის ფსიქიური მოქმედების განსახიერება. წარმოდგენა სულებზე შეიქმნა უხსოვარ წარსულში, როცა ჯერაც უმჭეო ადამიანს წარმოდგენა არ ჰქონდა სიცოცხლის კანონებზე, სიზმრებზე, ცეცხლის საიდუმლოებაზე და ა. შ., ამიტომ მიამიტურად მიეიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე ამას განაგებს რაღაც ზებუნებრივი უხილავი ძალა (კაცის სული, ცეცხლის სული, წინაპართა სულები). ასე შეიქმნა ანიმიზმი, პირველი პრიმიტიული რელიგია, ასევე მითები ტყის, ჭაობის, ეელების. მთისა და ბარის ს-ებზე, წარმოდგენა საიქიოზე, სადაც სული ან ნებივრობს, ან იტანჯება. შეუძლია ადამიანებს მოელინოს, ზეგავლენა მოახდინოს მათს ბედზე. შემდგომ წარმოდგენა ს-ზე იხვეწება, იძენს ნაირნაირ მოდიფიკაციას და ისე მტკიცედ ჯდება ადამიანის ფსიქიკაში, რომ დღესაც კი, განათლების საუ-

კუნეში, ბევრს სჯერა სულთა არსებობა. წარმოდგენა სულზე ყოველი რელიგიის განუყოფელი ნაწილია. ქრისტ. დოგმათა შორის ს-ის უკვდავება ერთ-ერთი მთავარია, ამაზე აიგო იდეალიზმი. ადამიანში თითქოს დამოუკიდებლად ცხოვრობს სული, ჩვენთვის მიუწვდომელია და ღვთაებრივი თვისებების მატარებელი. ამაზე დამყარდა საიქიოს ცნება. იგ. არარსებ. ფენომენი უდევს საფუძვლად სპირიტუალიზმს, მისტიციზმს, თეოსოფიას, ოკულტიზმს და ა. შ. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, თუ უმწეო პირველყოფილ ველურს უკვირდა ცეცხლის მძვინვარება, ძილი და სიზმარი, ვერ აეხსნა თავისი მოქმედება იმ დროს, როცა წევს და ისვენებს. მაშინ სულის ცნება ალბათ არც არსებობდა, მაგრამ პირველი ადამიანი უთუოდ ფიქრობდა, რომ ის მარტო არ არის, თან ახლავს აჩრდილი, რომელიც შორდება და ისევ უბრუნდება. ამასთან შედარებით სულის არსი უფრო მაღალი რანგისაა, რადგან დასაბამი ეძლევა ერთ არსებაში ორი ფენომენის თანაცხოვრების იდეას: სული და სხეული. გაორებული წარმოდგენა სხეულზე პირველი საფეხურია გაორებული წარმოდგენისა სამყაროზე. თუ პირველყოფილ ადამიანს ს. ესახებოდა თავისებურ სხეულიან სუბსტანციად (თოჯინისებური, ჰაერში მქროლავი ფრინველისებური და სხვ.), შემდგომ წარმოდგენა რთულდება, უხორცო აჩრდილს ემსგავსება (ჰომეროსის ეპოსში გმირთა ლანდები დაეხეტებიან, ოდისევსს ელაპარაკებიან, აქილევსის აჩრდილი მედეას ირთავს). არ იცოდნენ, სხეულის რომელ ნაწილში ბინადრობს ს., ამიტომ ზოგი სისხლში ამბობდა (მრავალ ხალხში სული და სისხლი ერთი ცნებით აღინიშნება), ზოგი — გულში, ზოგი (ალბათ უმრავლესობა) სუნთქვაში ეძებდა. ს. მჭიდრო კავშირში იყო სხეულთან, თუმცა შეეძლო დაშორებოდა სიკვდილის შემდეგ, თუნდაც შინ დარჩენილიყო (ან ძილში გაპარულიყო). დღემდე შემორჩა შიში მძინარის გაღვიძებისა: ვაი თუ სული სხვაგანაა წასული და ვეღარ დაუბრუნდესო, რაც სიკვდილს უდრიდა. რელიგ. წარმოდგენით ცოცხალი ადამიანის სული სუსტია, მიცვალებულისა — ძლიერი.

სულნი მიცვალებულთა ცხოვრობენ სულეთში, რაც სხვადასხვა ხალხებს სხვადასხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი: მშვენიერ სამოთხის მხარედ, ნეტართა კუნძულებად, ელისეის მინდვრებად, საშინელ ჯოჯოხეთად, სადაც კუპრში და ცეცხლში ცოდვილთა სულებს ეშმაკები აწამებენ. აღ-დან მოსულ ტომებს პგონიათ, რომ მათი სულები აღ-ში არიან, ასევე დასავლელებს... კუნძულელები ფიქრობენ, რომ მათ სხეულშიც მეორე პატარა სხეულია და სიკვდილის შემდეგ ის მიდის „იქით, ზღვისკენ". ყოველივე ეს, ძვ. თუ ახ. წარმოდგენა სულებზე, პრინციპულად როდი განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ქრისტ. მოძღვრების თანახმად, ს. იბადება ღვთაებრივ საწყისად, რ-იც ადამიანს ღმერთთან ანათესავებს, გამოვლინდება გონიერებაში, თავისუფლებასა და უკვდავებაში.

სულიერი ქრისტიანები — ნ. დუხობორები.

სულის დაბრუნება (სვ. ქვინი ლიტხე) — სვანთა წარმართული წეს-ჩვეულება. თუ ვინმე შორეულ მხარეს მოკვდებოდა და შინ მოასვენებდნენ, მერე საგანგებოდ მოშზადებულნი გაგზავნიდნენ ორ-სამ პირს ჭირისუფლის თანხლებით — სულის დასაბრუნებლად. მივიდოდნენ იქ, სადაც მოკვდა ან

დაიხრჩო, იწყებდნენ გალობას, ჭუნირის (ჩანგის) დაკვრას, მამალსაც იღლიაში ამოიჩრიდნენ და ნელა გამოსწევდნენ შინ ფეხით, რომ სული არ დაეფრთხოს ან არ დაღლილიყო. ასე მოასვენებდნენ შინ განსვენებულის სულს და სწამდათ, რომ უამისოდ სული დაიტანჯებოდა. ეს წესი დღესაც სრულდება.

სულიწმიდა (ებრ. რუაჰ ელოჰიმ, ლათ. სპირიტუს სანკტუს, ბერძ. ეპით. პარაკლეტ, „მანუგეშებელი") — საერთოდ, ღვთაებრივი შთაგონების მოქმედი ძალა, მით. არსება, დაკავშირებული ადამიანთან ან ბუნებასთან (ზოგადად სული, ფსიქე, რელიგ. შინაარსით დატვირთული); სამების მესამე წევრი (მამა, ძე და ს.), ქრისტ. რელიგიის არსებითი ნაწილი. ცნება, გამოშდინარე ძვ. აღთქმის სიტყვიდან „რუაჰ", „ქარი", „სულთქმა". როცა მოციქულებს ან 70 მართლმორწმუნეს ს. ეცხადება, ეს დაკავშირებულია ძლიერი ქარის მოვარდნასთან მისი სიმბოლოა მტრედი, რ-იც იორდანეზეც გამოცხადდა იესოს ნათლობის დროს (მათე 3,16), დედა-ფრინველი ნახსენებია „მოსეს გალობაშიც", ოღონდ არა მტრედი, არამედ ორბი: „ვითარცა ორბმან რაი დაიფარნა ბუდენი თვისნი და მართვეთა თვისთა სუროდა..." (II სჯ. 32, 11). არაბთაც პაეედათ ჯადოსნური ფრინველი რუხი; ამავე ტიპისაა სფინქსი. ამრიგად, იქმნება რაღაც დიდი მსოფლიო ფრთოსანი, რ-იც ათბობს მსოფლიო კვერცხს და ჩეკს ძალას. ამ თვალსაზრისით მსოფლიო ხის ანალოგიურია. ქრისტ. სულიწმინდა სპეტაკი ძალაა, რ-ის შუამავლობითაც იშვა ქრისტე. ხელოვნებაში — სამებასთან ერთიანობაშია (დიურერი და სხვ.).

სხვა რელიგ ასპექტში გადადის ცნება ადამიანის სულისა, რ-საც თითქოს ცალკე არსებობის უნარი აქვს და სხეულთან გაყოფის შემდეგ მოხედება ან ჯოჯოხეთში, ან სამოთხეში, ან სალხინებელში. ხდება მისი სრული დემატერიალიზაცია (ხორცისაგან განწმენდა), მაგრამ არის ანთროპომორფული, ნაწილობრივ „შემოსილი" სულიც, სხვადასხვა ხალხთა მით-ში მათი სახე და უნარი სხვადასხვაგვარია. ნ. მეტამფსიქოზი (სულთა გადასახლება).

სულიწმიდის მოფენა (სულთმოფენობა), სამება. მარტვილია, მეერგასე დღე (14 ივნ.) — ნ. სამება.

სუნა (არაბ. სუნნაჰ—გადმოცემა, წინაპართა ქცევა, წესი; სანნა—მოწყობა) — ყურანის განმარტება, შედგენილი სამი ხალიფის მიერ (აბუ-ბეკრი, ომარი და ოსმანი); თავდაპირველად — ძვ. არაბთა თემობის ადათ-წესები და ქცევა. ისლამის დამკვიდრების შემდეგ ასე ეწოდა მოთხრობებს (ხადისებს), რ-ნიც ასახავენ მუჰამედის მოქმედებას და მოძღვრებას (გამონათქვამები და სხვ.). ჯერ ზეპირად გადმოეცემოდა, მერე იმდენი მოგროვდა, რომ საჭირო გახდა ჩაწერა, სისტემაში მოყვანა. ეს კრებული გახდა ღვთისმეტყველთა და იურისტთა კვლევის საგანი, რადგან შეიცავენ იმას, რაც ყურანში არაა. ამ სახით მისი 6 კრებული იქცა მეორე იურიდიულ კანონად. ლეგენდებისა და ისტ. მოვლენების ეს კანონიკური კრებული ძირითადად შეადგინეს მუჰამედ იბნ ისმაილ აბუ-ბეკრმა (ალ-ბუხარიმ, 810 — 870) და მუსლიმმა (ოსმანი, 817-875).

სუნიზმი — ისლამის „მართლმორწმუნე" (ორთოდოქსალ.) მიმართულება, ცნობს ყურანსა და მუჰამედის წიგნს (ხადისებს, წინასწარმეტყველის მოქმედებისა და გამონათქვამების კრებულს). ხალიფატის ეს ოფიც. სარწმ.

მერე გავრცელდა შუა აზიაში, ეგვიპტეში, ჩრდ. აფრიკაში, ციმბირში, ვოლგისპირეთში, ამიერკავკასიაში. ჩვენში მუსულმ-თა უმეტეს. სუნიტები არიან.

სუტანა (იტ. სოტტანან, ფრ. სუტანე) — კათოლ. ღვთისმსახურთა ზედა სამოსელი (საგარეო, არა ღვთისმსახურების დროს ჩასაცმელი).

სუფიზმი (არაბ. სუფ—მატყლი, შალის უხეში სამოსი) — მისტიკურ-ასკეტური მიმდინარეობა ისლამისა. ჩაისახა დაახ. 800 წ., როცა შალის ხალი ქსოვილით მოსილი სუფიები ქადაგებდნენ თანასწორობას, კიცხავდნენ გამდიდრებულ სასულიეროთა და დიდკაცობის უსამართლობას, ითხოვდნენ მართალ ცხოვრებას, განდეგილობას (დიდი ზეგავლ. მოახდინა ქრისტ-მა ასკეტიზმმა), შემწყნარებლობას ყველა რელიგიისას და ბევრ რამეს დადებითს, მაგრამ უსამართლობის წინ-გ აქტიურ ბრძოლას კი არ ქადაგებდნენ, არამედ მორჩილებას, განდგომას, პასიური პროტესტით კმაყოფილდებოდნენ, ზომიერ ცხოვრებას ურჩევდნენ მდიდრებს, რითაც „სულის ხსნას" მოიპოვებდნენ. ორთოდოქსალ. ისლამი სუფიებს დევნიდა, მაგრამ მათი ზოგი ნააზრევი რელიგიის განსამტკიცებლად გამოიყენა. ძირითადად 4 საფეხურად ყოფენ: 1. შარიათი—კულტის უდრტვინველი შესრულება; 2. ტარიკათი — შეიხის მოწაფეობა მიურიდისა, ლოცვა და სურვილთა ჩაკვლა; 3. მარიფათი — სამყაროს (ღმერთის გამოსხივების) შეცნობა გულით და არა გონებით; 4. ჰაკიხათი (ჭეშმარიტება) — სრული შემეცნებით ღვთაებასთან წილნაყარობა. დიდი ზეგავლენა მოახდინა აღ-ელ მუსულმანებზე (ლიტ., ხელოვნ. და სხვ.). სუფიების მოძღვრებაში მთავარი მაინც „მარიფათი" ჩანს. ესაა სამყაროს პანთეისტური გაგება, რასაც საფუძვლად ძვ. ირანული რწმენა და ნეოპლატონიზმი დაედო. ძლიერია ინდუიზმის და ქრისტ-ული ზეგავლენის კვალიც. სამყარო ერთიანი აბსოლუტია, იგივე ღმერთი, და ადამიანიც სინამდვილეში მისი ემანაცია, განსახიერებაა. ამას რომ ჩასწვდეს, ადამიანმა ყოველ მიწიერ სიამეზე უარი უნდა თქვას, სატრფოდ გაიხადოს ღმერთი, ეზიაროს მასთან გათანაბრებას, რაც ხდება სულიერი აღტკინების, ექსტაზის ჟამს ამიტომ სუფი პოეტები უმღერიან ღვინოს, რადგან ექსტაზს ის იწვევს. სრულყოფის საფეხურებია თრობა, ჯაბეს ფსკერის ხილვები, „ფანა" (სრულყოფილობა) და „ბაყა" (მარადისობა). ასეთი სრულყოფა და სრული სიმშვიდეა არსებითად ინდოელთა ნირვანას აზრიც. მთავარი სუფი პოეტია აბუ საიდი.

სქემოსანი—ბერი, რ-მაც თავის მოძმეებზე უფრო მძიმე ასკეტური აღთქმა დადო (მარხვა, განდეგილობა და სხვ.).

სქიზმა (ბერძ. ს., სიტყვიდან სქიზო—ვყოფ) — განხეთქილება. ს-ტიკოსებს ეძახდნენ კათოლიკები მართლმადიდებლებს.

სქოლასტიკა (ბერძ. სქოლა — სკოლა) — შუა საუკ-ების ქრისტ. ფილოს., რ-იც მიზნად ისახავდა რელიგ. დოგმების, ქრისტ. მსოფლმხედველობის დასაბუთებას (XI — XIV. ს.). ამას აღწევდნენ დებულებათა „რაციონალური" ტტკიცების, დოგმების ლოგიკური მეთოდის მისადაგებით, ამასთან წინა პლანზე წევდნენ „საღმრთო წერილს" და ეკლესიის მამათა ნაწერებს, თავიანთი ფილოს. მიაჩნდათ ღვთისმეტყველების მოახლედ. იდეურ წყაროებად ჰქონდათ არისტოტელეს, პლატონის, ნეოპლატონიკების, პატრისტიკების

(მამათა) შრომები. შეიმუშავეს საკუთ. ფილოს. სისტემა, პყავდათ თვალსაჩინო ავტორიტეტები. ყოფენ სამ პერიოდად: ადრეული (VIII – XII), მომწიფებული (XIII), დაცემის ხანა (XIV – XV). საუკ-ების განმ-ში მუშავდებოდა ს-თა თვალსაზრისი, მიდგომა, შეხედულებანი, უმთავრესად ცოდნის დამოკიდ-ზე სარწმუნოებასთან, რასაც ღვთისმეტყვ-ების პოზიციებიდან წყვეტდნენ: რელიგიას აყენებდნენ ცოდნაზე მაღლა. სამების დოგმატზე დავაში წამოიჭრა პრობლემა უნივერსალიებზე (სოგად ცნებებზე), საუკ-ების მინძილზე რომ ეყოთ დავის საგნად და ბოლოს ს. გაიყო რეალისტებად და ნომინალისტებად. უდიდესი რეალისტი იყო ერიუგენი, რ-ის აზრითაც რეალურია მხოლოდ ნივთებზე ადრე არსებული ზოგადი ცნებები, ერთეულ საგანთა სამყარო კი არაა რეალურიო. ნომინალისტები კი (აბელარი, როსცელინი) უარყოფდნენ რეალისტების თვალსაზრისს ზოგად ცნებათა ღვთაებრივ გონებაში არსებობაზე და საბოლოოდ ბუნების მოვლენების შესწავლაზე იღებდნენ ორიენტაციას, უარყოფდნენ ქრისტ. სამების ერთიან სუბსტანციას. სინამდვილეს რეალისტებზე უფრო მიუახლოვდნენ: საგანთა სახელები საგანთა ანარეკლებია და მათზე ადრე არ არსებობენო. რაკი ნივთების, საგნების სახელზე ადრე არსებობას აღიარებდნენ, ნომინალისტები იმ დროისათვის პროგრესულ თვალსაზრისსე იდგნენ და ეს მარქსის თქმით პირველი გამოხატულება იყო მატერიალიზმისა შუა საუკ-ებში. უდიდესმა სქოლასტიკოსმა თომა აქვინელმა არისტოტელეს ფილ. გადაამუშავა ღვთისმეტყველების ყაიდაზე, წამოაყენა გონებისა და სარწმუნოების პარმონიის თვალსაზრისი, რაც თანამედრ. თეოლოგიის დასაყრდენიცაა. XIII ს-ში ს-ის წინ-ვ გაილაშქრა სიგერ ბრაბანტელმა, წამოაყენა ორი ჭეშმარიტების, ორმაგი ჭეშმარიტების (ნ.) იდეა: საღვთისმეტყველო და მეცნიერულის თანაარსებობისა, რამაც გარკვეული როლი ითამაშა ფილოსოფიის განთავისუფლებაში თეოლოგიისაგან. დღეს კათოლ. ღვთისმეტყვ-მ ახლებურად ააღორძინა ს. (ნეოთომიზმი, ნეოავგუსტინიზმი). საერთოდ, სქ. იქცა ფუჭი პეიტრობის, უსარგებლო ნაკითხობის, მოძველებულ შეხედ-თა სინონიმად. ამ გაგებით იყენებდა მას ილ. ჭავჭავაძეც: „განა სქოლასტიკური უარმყოფელობა არ იყო გონების თავისუფალი მსჯელობის უარყოფა?.. ღოღიკამ გზა შეიშალა... ეს განურჩეველობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა... მაგალითებრ, კაცი მოგითხრობთ, რომ საქართველოს სამი ათასი წელიწადი უცხოვრია და ამ სამი ათას წელიწადში არც ხელი გაუნძრევია, არც ჭკუა და გონება უმოქმედნია... ერთი სიტყვით, ისტორია არ პქონიაო... ჩვენში იმისთანები არიან, რომ სახელად მიაჩნიათ გამოვიდნენ და იყვირონ დღისით მზე არ არის და ღამით—ღამეო, თითქოს მხოლოდ იმისათვის, რომ ბალღებს თავი მოაწონონ და ტაშისცემით ათქმევინონ: აი უარმყოფელი და მაშასადამე ბრძენი და მცოდნეცო!

სქოლასტიკოსი მეგობარს შეხვდა და უთხრა: „შენზე მითხრეს, მოკვდაო“. „აი, ხომ ხედავ, ტყუილი უთქვამთ: მე ცოცხალი ვარ“. „არა, ვინც ეს მითხრა, შენზე უფრო საიმედო კაცი იყო“. ე. ი. სქოლასტიკოსი ანგარიშს არ უწევს სიახლეს, ფაქტებს, მოვლენებს, სწამს ის, რითაც შთაგონებულია. ამ უარმყოფელს საგიჟეთში ამოაყოფინებს თავს“ (ი. ჭ., ოხზ., 1928, IX, 100).

სძლისპირი — საეკლ. კანონის თითოეული გალობის I მუხლი (II და III

მუხლები—ტროპარებია). სამებისა, ღვთისმშობლისა. სრულდ. დღესასწ-ზეც, მწუხრის ლოცვაზეც, ზარების რეკვის შემდეგ, სხვა საგალობლებსაც იმ ხმაზე მიაყოლებდნენ; სოფლად საერონიც გალობდნენ (სიმღერა, იგ. სძლისპირი).

ტ

ტაბუ (პოლინეზ. „აკრძალულია"; ხელუხლებელია; წმინდაა) — რაიმე საგნის ან მოვლენის ხელშეუხებლობა, აკრძალვა (შეხების, მიახლოების ან რაიმე მოქმედებისა) პირველყოფ. საზ-ში. მაგ., ტომის წევრებს სიკეთილის მუქარით ეკრძალებოდათ რომელიმე მთაზე ან ქოხში შესვლა, ბელადის ნაქონი ტოტემგაეკის შეხება და ა. შ., ეს შეიძლებოდა შეხებოდა სიტყვას, ადამიანს, ცხოველს. ერთგვარი წინა საუეხურია ყოველი რელიგიისა, რასაც სწავლულნი ტ-ს უკავშირებენ. შემდეგ ძოხდა მისი მონაცემების გადასვლა რელიგიაში (საგ. რელიგ. სანქციები, წარმოდგენები ცოდვაზე, მიტევებაზე). უფრო განვითარ. იყო პოლინეზიაში, ახ. ზელანდიაში.

ტამპლიერები, ტამპლიერები, ტაძრისნები (ფრანგ. ტრამპლერს, ტემპლე—ტაძარი) — სამხედრო ხასიათის ტაძრისან ბერთა ორდენი, დაარს. 1119 წ. იერუსალემში, თითქოს იმ გორასთან, სადაც სოლომონის ტაძარი იდგა და 73 წ. რომაელებმა დააქციეს. შექმნეს ჯვაროსნებმა დაპყრობილ მიწების, ტაძრების და მისლოცველთა დაცვის მიზნით. თანდათან ვაჭრობის, მეცახშეობისა და შემოწირულობათა წყალობით იქცა ევროპის ერთ-ერთ უმდიდრეს ორდენად ევროპასა და ახლო აღ-ში. XIII ს-ში რაინდთა რიცხვი 15 000 გახდა. ჯვაროსნ. ლაშქრობათა სრული მარცხის შემდეგ ევროპაში გადაინაცვლა, ბგრამ ორდენის ძლიერებამ თვით ფილიპე IV ლამაზი დააშინა, მიაღწია იმას, რომ მანიქეველობაში ცილწამებული რაინდები და მათი მაგისტრი 1310 კოცონზე დაწვეს, ორდენის ქონება ფილიპეს ხაზინაში გადავიდა, ორდენი კი 1312 წ. კლიმენტი V-მ გაუქმა.

ტანტრიზმი (სანსკრ. ტანტრა—საიდუმლო ტექსტი, მაგია) — ინდუიზმის და ბუდიზმის სხვადასხვა სკოლებისა და მიმდინარეობათა ერთობლიობა (შაქტიზმი, შივაიზმი, ვიშნუს სარწმ.). აღმოცენდა ბრაჰმანიზმის საპირისპ. სვლტის სახით. მოქმედებენ ტანტრას შაქტისტური ტექსტის მიხედვით. ადამიანს თვლიან მიკროკოსმოსად, რ-იც აგებულია კოსმოსის პრინციპით და იძაუე მასალით. მისი დაფარული ენერგია გამოვლინდება იოგური ვარჯიშით და აქცენტის გადაანით სქესობრივ ლტოლვაზე, რაც შაქტიზმის მთავარი პრინციპია (არეული კავშირი თავიანთ ტაძარში, მიდრეკილება ქალის და ნაწილობრივ კაცის სქეს. სამყაროსადმი). ეძებს პოტენციურ ძალას.

ტარაქსიპოსი (ბერძ. „ცხენთა დამფრთხობელი") —გლადიატორის (ნ. მიი. ლექსიკ., 3) ზედწოდება. ოლიმპიის იპოდრომის შუაში იდგა ტაძარი, რ-ის სიახლოვესაც დაწინაურებული ეტლის ცხენები ფრთხებოდნენ და მეეტლეს ღუპავდნენ. ხალხის რწმენით, აქ ძმენგარეზდა დემონი ტ., რ-საც თითქოს პოსეიდონი ან აპოლონი უშველებდნენ (ევრიპიდე, ჰიპოლიტე, 1173 წ.).

მას უკავშირებდნენ გმირებს: ოინომაოსს, მირტილეს, ოლენიოსს; ასევე—ისთ-მოსზე—გლავკოსს, სიზიფეს ძეს, რ-იც ცხენებმა დაღუპეს; ნაუოფია ცრუ რწმენისა: ცხოველები ხედავენ იმას, რასაც კაცი ვერ ხედავს (ოდისეა 16, 162—ძაღლებზე; ასევე—ბალაამის ვირი ბიბლიაში, მოსე, 4, 22). იწვევს პანიკურ შიშს (ლარნაკწერაზე: ცხენის კუდზე ზის ᲯᲣᲯᲐ დემონი, უხარ-მაზ. სარცხვინელით ხელში). თვით პოსეიდონი თავს უწოდებს ტ-ს, ნ. დემონები.

ᲢᲐᲫᲐᲠᲘ—ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი დიდი თუ მცირე შენო-ბა, რ-ის ყოველ ნაწილს თავისი სიმბოლური დანიშნ. აქვს. დიდი ყურადღ. ექცევა მის ფორმას, გაფორმებას, ფუფუნებას, შემკულობას, მოხატვას (წმ. პეტრეს ტ. რომში, კელნის, მილანის გრანდ. ტაძრები და სხვ., საქ-ში — ᲯᲕᲠᲘᲡ, სვეტიცხოვლის, ალაევერდის, გელათის, საფარის და სხვ. მრ.). აქ იკრიბება მორწმუნე ერი, სრულდება საკულტო წესები, 7 საიდუმლო და სხვ. ერთი სიტყვით, ესაა უფლის სახლი, საყდარი, სადაც სუფევს ღმერთი და ლოცულობს მორწმუნე, მოიმდე ციური მადლისა (კათოლიკური კოსტელსაც ეძახიან, მართლმადიდებელნი — ეკლესიას, მუსულმანები —.მეჩეთს, მიზგითს, ებრაელები—სინაგოგას). თუ ქალაქში რამდენიმე ტაძარია, ერთია მთავარი და საკათედრო ეწოდება, აქ იკრიბება სხვა ტაძართა საძღვდელოება. ტ-ის ნაწილები: კარიბჭე, სატრაპეზო (შუა ნაწილი), საკურთხეველი. კარიბჭეში (შესავალში) უწინ იდგნენ კათაკმეველნი (ვინც ნათლობისთვის ემზადე-ბოდა), ან მონანიე ქრისტიანები, შუა ნაწილში—მლოცველნი (ეს ადგილი გამოიყოფა საკურთხეველიდან კანკელით—კედლით, რ-ზეც ხატებია, ზემო კან-კელზე კი ᲯᲕᲐᲠᲘᲐ. კანკელის შუაშია აღსავლის კარები (გადის საკურ-თხეველში). აღსავლის კარებზე გამოსახულია ხარება და წმ. მახარებლები, შემდეგ სხვადასხვა წმინდანთა ხატებია. კანკელის წინ შემაღლებულ ადგილზე ამბიონია, საიდანაც ისმენენ ქადაგებას ან კითხულობენ სახარებას. მცირე უსაკურთხეველო ტ-ს ეკედერს, ეგვედერს ეძახიან. საერთო ფორმა ქრისტ. ტაძრისა პირველ საუკუნეებში იყო ბაზილიკა (სამ ან ხუთნავიანი), ოთხკუთ-ხი, ხომალდივით დაგრძელებული, ორ ან მეტანძიანი (სიმბოლურია: თითქოს ხომალდია და მიდის ზღვად წარმოდგენილ ქვეყანაში სარწმუნოების გზით); გუმბათიანი (ანთებული სანთლის ფორმისა), ოთხკუთხედი; ᲯᲕᲠᲘᲡ ფორმისა (ეკლ. დაფუძნ-ა ᲯᲕᲐᲠᲖᲔ); ვარსკვლავისებური (სიმბოლო ბეთლემის ვარსკვლა-ვისა, რ-საც მიჰყვებოდნენ აღ-ელი მოგვები ბეთლემის ქვაბისაკენ და უნათებს გზას მორწმუნეებს სასუფევლის გზაზე); სფეროს ფორმისა: სფერო უსასრუ-ლოა, როგორც ეკლესია; მრგვალი გუმბათი ცარგვალს მოგვაგონებს, თავზე ᲯᲕᲐᲠᲘ—ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲐ. გუმბათთა რიცხვი: 1 (იესო), 3 (სამება), 5 (ქრისტე და 4 მახარებელი), 7 (7 საიდუმლო და 7 საეკლ. ყრილობა). ასე სიმბოლურია სარწმუნოება, რ-იც „თვინიერ საქმეთა მკედარ არს". ტაძრის დანიშნულებაა მორწმუნეთა მიზიდვა. ტ-ები პქონდათ ძვ. ხალხებსაც. განსაკ. დიდებ. იყო ᲐᲗᲬ. საბერძ. და რომის ტ-ები (ოლიმპიელი ზევსის, ათენას, აპოლონის, პო-სეიდონის; მარსის, ისიდას, ვენერას და რომას, მინერვას, იანუსის და სხვ.).

ᲢᲐᲫᲠᲐᲓ ᲛᲘᲯᲕᲐᲜᲐᲗᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐ — ერთ-ერთი ათორმეტ დღესას-წაულთაგანი, ზეიმობენ 21 ნოემბერს (4 დეკ.). მართლმად. ეკლ. ამ დღეს

აღნიშნავს მნიშვნელოვან მოვლენას, როცა მშობლებმა მარიამი (მომავალი ღვთისმშობელი) ტაძარში მიიყვანეს აღსაზრდელად (სამი წლისა). ეკლ. ამით ყველა მშობელს აძლევს მაგალითს, თუ როგორ უნდა აღზარდოს პირმშო ადრეე ღვთისმოშიშად. ასეთი შინაარსისაა სადღესასწ. ქადაგებაც.

ტახტი — მდიდრული საკარძელი საკათედრო ტაძარში მღვდელმთავრისათვის (ასევე—სამეფო ტახტი, ძალაუფლ. სიმბ.).

ტბელობა (14 სექტემბერი) — XIII ს. დიდი ქართე. მოღვაწის, მოაზროვნის, ასტრონომის ტბელ აბუსერიძის (1190 — 1240) ხსოვნის დღე ხულოში (ს ხიხაძირი). ზეიმი 1979 წ დაწესდა და საღამომდე გრძელდება.

ტიარა (ბერძ., სპარს. სიტყვიდან) — რომის პაპის გვირგვინი, ქრისტეს ეკლის გვირგვინის მდიდრული სიმბოლო, სამმაგი თავსამკაული, ნიშნად პაპის სამმაგი ძალაუფლებისა (ქრისტეს მოადგილე, ეკლესიის მეთაური და მეუფეთა მბრძანებელი). შემკულია ძვირფასი თვლებით, თავზე ჯვარია.

ტიკიკონი — ნ. ღვთისმსახურების წიგნები.

ტიხონოვშჩინა — რელიგ.-პოლიტ. მოქმედება მართლმადიდ. რუს. სამღვდელოებისა ოქტ. რევ-ის შემდეგ. მოთავემ, პატრიარქმა ტიხონმა (ეროში ვას. ბელავინმა) ანათემა გამოუცხადა საბჭ. ხელისუფ-ს. მხარს უჭერდნენ კულაკობას, თეთრგვარდიელებს, ეწეოდნენ საბოტაჟს; ტიხონი გადაჭრით აღუდგა სახელმწიფოსაგან ეკლ-ის ჩამოშორებას, გამოაცხადა „სიწმინდეთა დაცვა", არ სურდა დამშეული ვოლგისპირეთისათვის ეკლ-ის ქონების ჩამოწერა (1922). მალე დარწმუნდა, რომ ფანდები არ გაუვიდოდა და ბრძანა ლოიალური დამოკიდებულება, მაგრამ დიდი ნაწილი არ დაემორჩილა, გადავიდა იატაკქვეშეთში, შემდეგ შეუერთდა ჭეშმარიტ-მართლმადიდებელთა ეკლესიას.

ტიხონის მოღვაწეობის შეფასება, როგორც მხოლოდ რეაქციულისა, მოძველებული და ცალმხრივი ოფიციალური თვალსაზრისია. მღვდელმთავარი გადაჭრით აღუდგა ეკლესიების ძვირფასეულობის ჩამოწერის აქტს, ძალადობა და მკრეხელობა უწოდა მას და კიდევაც ითვლება ასეთად არა მარტო საეკლესიო ყრილობების დადგენილებით, არამედ საყოველთაო აზრითაც. 1922 წ. 10.X ლენინმა საიდუმლოდ მისწერა პოლიტბიუროს: „ჩავატაროთ საეკლესიო ფასეულობათა ამოღება ყველაზე გადამჭრელი და ყველაზე სწრაფი გზით... ზოგი მონასტერი და ლავრა გიგანტურ ქონებას ფლობს. ამ ფონდის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე სახელმწიფოებრივი საქმე... ჩვენი პოზიციის დაცვა გენუაში ... სამღვდელოების წარმომადგენელთა რამდენადაც მეტ რაოდენობას დავხვრეტთ, მით უკეთესი იქნება. ახლა ამ პუბლიკას ჭკუა უნდა ვასწავლოთ, რომ რამდენიმე ათეული წლით ხმა ვეღარ ამოიღონ". საქმის ხელმძღვანელობა დაავალა ტროცკის, კალინინს, ძერჟინსკის, უნშლიხტს, თვით ტიხონზე რეპრესია კი იმ დროისათვის არ ჩათვალა საჭიროდ. ნ. სტრუვემ ამ დოკუმენტს შემაძრწუნებელი უწოდა (თავისი სისასტიკით, უღმერთობით და სხვ.). ცხადია, ტიხონი იბრძოდა ეკლესიის ხელშეუხებლობისათვის, ვიდრე შეეძლო.

ტოლსტოველობა — რელიგ.-უტოპ. მიმდინარეობა რუსეთში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მიზნად ისახავდა ლევ ტოლსტოის იდეალების გატარებას,

ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფის გზით საზოგ. ურთიერთობის გამოსწორებას. გამოხატავდა იმ გლეხობის განწყობილებას, რ-იც ითხოვდა სახაზინო ეკლესიისა და მემამულეთა მიწასთან გასწორებას, მაგრამ არ ითხოვდა უსამართლობის დამხობას რევ-ური გადატრიალებით. ტოლსტოი ღრმად აკრიტიკებდა არსებულ სინამდვილეს, მაგრამ ითხოვდა მხოლოდ ზნეობრივ ზემოქმედებას, ახ. რელიგ. შექმნას, გაურბოდა სისხლისღვრას. ამაზე ლენინი წერდა, რომ ის „უეჭველად უტოპიურია და თავისი შინაარსით რეაქციული, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ზუსტი და ღრმა მნიშვნელობით". ტოლსტოის ამ ქადაგების საფუძველზე ტ-ელები ქადაგებდნენ, რომ ღმერთია „მსოფლიო სული", დამკვიდრებული ადამიანში, გამოხატავს მის „მეობას", საჭიროა მისი გამოღვიძება და არა ბოროტებისადმი ძალადობით წინააღმდეგობის გაწევა. ითხოვდნენ ცხოვრების გაუბრალოებას, უარყოფდნენ ცივილიზაციის ბევრ მხარეს, რაც ხრწნის და ღუპავს მორალურად ადამიანს. მიმდინარეობა გლეხობაში და ინტელიგენციაში ფართოდ გავრცელდა, დაარსებულ იქნა საზ-ბანი ტოლსტოის ცხოვრებასთან დაკავშ. ადგილებში, ასწავლიდნენ მის მოძღვრებას. მთავრობა 1905 — 07 წლებშივე დევნიდა მას, ბევრი ტოლსტოველი გადაასახლეს. ტ-ები უცხოეთში დღესაც განაგრძობენ კლასობრივი ზავის ქადაგებას.

ტონზურა (ლათ. პარსვა, კრეჭა) — კათოლიკ. ღვთისმსახურთა გაპარსული კეფა, ნიშნად სასულ. წოდებისადმი კუთვნილებისა. მიიღეს ტოლედოს ყრ-ზე (633 წ.).

ტორკემადა, თომა (1420 — 98) — კასტილიისა და არაგონიის დიდი ინკვიზიტორი, კაცთა მოდგმის ერთ-ერთი უდიდესი და უსასტრკესი ჯალათი, რ-ის უშუალო ბრძანებითაც 10.220 ადამიანი დაწვეს, კიდევ მეტი აწამეს ან განდევნეს (ლიორეტის ცნობით). ახალგაზრდობაში მოსწონდა ერთი ქალიშვილი, რ-მაც მავრი ამჯობინა, ამის შემდეგ შეიძულა კაცობრიობა და განსაკუთრ. მავრები. ებრაელებს უბრძანა, პირჯვარი გამოესახათ ან ესპანეთიდან წასულიყვნენ. ქუჩაში მცველთა თანხლებით დადიოდა, თან დაატარებდა მარტორქის რქას, რაც ლეგენდის თანახმად საწამლაეს აზოზიერებს. მას შემდეგ, რაც მისებრ ულმობელი ინკვიზიტორი პეტრე არბუესი მოკლეს, კიდევ უფრო გამძვინვარდა. თვით სიქსტ IV და ალექსანდრე VI შეაშფოთა მისმა სისასტიკემ, მეთვალყურედ ინკვიზიტორები მიუჩინეს. სადაეო არაა, რომ თვით ქრისტ. ეკლ-ს ასეთმა მსახურებმა დიდი ზიანი მიაყენეს.

ტრადიციონალიზმი — ახ. მიმდინარეობა ღვთისმეტყველებაში. ტრ-ისტები წინააღმდეგნი არიან ყოველგვარი ცვლილებებისა რელიგ. დოგმებში, კანონიკურ წესებში, ზნეობრივ და სოციალურ დოქტრინებში, რასაც ითხოვს ისტ. ვითარება ან რელიგ. შეგნება. ასე, II ვატიკანის ყრ-ზე ისინი სასტიკად აღუდგნენ წინ „ეკლ-ის განახლების", „დემოკრატიზაციის" წინადადებებს, რაც „ასუსტებს ეკლ-ს და სარწმუნოებას". გმობენ მოდერნიზმის მოთხოვნებსაც.

ტრაპეზი (ბერძ. ტ-ზა, „მაგიდა") — სუფრა, მაგიდა; საქმელი; ოთახი, სადაც ბერები სადილობენ; ოთხკუთხი მაგიდა, ტახტი კათოლ. და მართლმად. ტაძრის შუა საკურთხეველში, „რომელზედაც აღესრულების ჟამის წირვა; მონასტერთა შინა საკრებულო სახლი, სადაც დაეგების ძმათა თვის ტაბლა

ან მიიღებენ საზრდელსა; სადილი, ვახშამი" (დავ. ჩუბინ.). მაგიდაზე ძევს ოდიკი (გარდამოხსნა), ჯვარი და სახარება, აკურთხებენ ზიარებისათვის განკუთვნილ პურსა და ღვინოს. ბიზანტიურისაგან განსხვავებით ქართ. ტ. ქვისა იყო და კედელთან მიდგმული, ან მის სიახლოვეს; „ბერძნულია, ტაბლას პქვიან" (საბა).

ტროპარი — წმინდანთა სახელობის ლოცვა (კონდაკთან ერთად) ამა თუ იმ წმინდანის მეოხების თხოვნით. ბერძ. სიტყვაა, ლექსს ეწოდება, ქართ-ად ოგ. „ოხითა" (წიგნში „უაშნი"); კანონის ზოგი მუხლი, სტრიქონი.

ტურინის სუდარა — იტალიის ქ. ტურინში აღმოჩენილი სუდარა, რ-შიც ჯვარცმული ქრისტე უნდა ყოფილიყო. გახვეული და რამაც მსოფლიოს პრესა აალაპარაკა, მრავალი საღვთისმეტყველო თუ სამეცნიერო განსჯა, თათბირი, კვლევა-ძიება გამოიწვია. სუდარის სიგრძე ოთხ მეტრზე მეტია, ქსოვილის სიგანე — ერთ მეტრზე მეტი. მარცხენა მხარეს პირადმა დაწოლილი ადამიანის გამოსახულებაა, ბოლოს — ზურგისა, და ზუსტად ემთხვევა ჯვარცმის ფაქტს; ქსოვილიც იმჟამინდელია და საიდუმლოებით მოცული გამოსახულებაც ქრისტეს ემსგავსება. ამ სუდარაში გაახვია თითქოს იოსებ არიმათიელმა გარდამოხსნილი გვამი, აღდგომის შემდეგ კი საფლავში ეს სუდარა ნახეს. ანალიზიც ამტკიცებს, რომ საქმე სისხლთან გვაქვს. ღვთისმეტყველთა აზრით, ესაა ნამდვილად სასწაულებრივ გადარჩენილი მაცხოვრის სუდარა; მეორე ვარაუდით, რეალური ადამიანის ჯვარცმის საბუთია; მესამეთა აზრით, უცნობი მხატვრის ნამუშევარია, მაგრამ ვისი და რა დროისა, სადავოა. ანალოგიური ამბავი ისტორიამ ბევრი იცის (წმინდანთა სხეულის და სამოსის ნაწილების პოვნა, თამარის სამარის საიდუმლო და სხვ.).

უ

უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულები — ნ. ქრისტიანული დღესასწაულები.

უკვდავება სულისა — რწმენა სულის მარადიულობისა (ღვთაებრივი საწყისისა, რ-იც თითქოს ადამიანში ბინადრობს და სხეულს ტოვებს ან ძილის დროს, ან გარდაცვალების წუთიდან, როცა საიქიოში მიდის). ემყარება სულის, როგორც დამოუკიდებლად არსებული ფენომენის რწმენას, რაც მოდის უხსოვარი წარსულიდან, როდესაც უმწეო ადამიანს არ ესმოდა სხეულის აღნაგობა, გულის ფეთქვა, სისხლის მიმოქცევა, და გამოიგონა ცალკე ფსიქიური ფენომენი უკვდავი სულის სახით, რ-იც სხვადასხვაგვარი მოდიფიკაციით ყოველ რელიგიას სწამს. ეს რწმენა მეცნიერების უწვეულო განვითარების შედეგად ძალზე შერყეულია და სულის ცალკე არსებობა უარყოფილია, მაგრამ მაინც ძლიერია მისი რწმენა, რასაც ემყარება მოძღვრება საიქიო ცხოვრებაზე

ულტრამონტანები (ახ. ლათ. ულტრა—იქით, მიღმა, უკიდურესი; მონტანმონს — მთა, ე. ი. მთების მიღმა, ალპების იქით, რომში) — უკიდურ.

რეაქც. მიმდინარ., რ-იც პაპის განუსაზღვრელ ძალაუფლებას მოითხოვს არა მარტო სარწმ-ის საქმეში, არამედ საერო მეფეთა მიმართ, სახელმწიფოთა ცხოვრებაშიც. თავიდან მისი მიზანი იყო ავინიონის ტყვეობით დაცემული პაპობის ავტორიტეტის ამაღლება, მაგრამ აშკარად პირველად კონსტანცის საეკლესიო ყრილობაზე აღიმაღლეს ხმა (1414 – 18). XVI ს-დან სათავეში ჩაუდგნენ იეზუიტები და კიდეც მიაღწიეს პაპის უცოდველობის დოგმის დამტკიცებას (1870 წ.), თუმცა ეს მოხდა არა პაპობის ზენიტზე, არამედ მისი დასუსტების, საერო ძალაუფლების დაკარგვის ჟამს. დიდი მხარდაჭერა პაპ-ყეს XIX ს. პირველ ნახევარში, როცა ევროპაში რევ. მოძრ. გაძლიერდა. მხარდაჭერა აქვთ დღესაც ყველა რეაქც. ხელისუფალთა შორის.

უმღვდელონი (ბესპოპოეცები) — ძველმოწესეთა, სტაროობრიადების ერთ-ერთი ფრთა, მიმდინარ., რ-იც უარყოფს საეკლ-მართლმადიდ. იერარქიას, კერძოდ მღვდლობას (7 საიდუმლოთაგანს). ამტკიცებდა, რომ XVII ს-იდან ტიხონის შემდეგ მართლმადიდებლობამ გადაუხვია ჭეშმარიტ სარწმუნოებას და ამიტომ „კანონიერი მოძღვარნი" აღარ არიან, ყოველი ქრისტიანი თვითონ ითვლება მღვდლად („შეად. ლუთერანობა). 7 საიდუმლოდან მხოლოდ ნათლობას და აღსარებას ცნობენ. საერთოდ ატარებდა პასიური პროტესტის სახეს. მერე დაიშალა მცირე განშტოებებად, საერთო განწყობილებამ კი—უიმედობამ, ჩიხში მოქცევამ მიიყვანა ისეთ უიდ'ურესობებამდე, რ-იცაა ქვეყნის აღსარული, ფანატიზმი, თავის დაწვაც კი. ოქტ. რევ. შემდეგ განშტოებანი კი გაერთიანდნენ, მაგრამ საერთოდ დაიშალა, მხოლოდ ნაშთებია უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, რუსეთის სხვა რაიონებში.

უნიატები (ლათ. უნია—კავშირი) – ცალკეული ქრისტ. გაერთიანებანია და მათი წევრები, რ-თაც კავშირი (უნია) შეკრეს რომის კათოლ. ეკლ-თან, დაემორჩილნენ პაპს იმ უფლებით, რომ აწარმოონ საკუთარი ღვთისმსახურული და საწესო პრაქტიკა: ბერძენთა, სომეხთა, მარონიტების (სირია, ლიბანი და სხვ.), ქალდეველთა, კოპტური მიმდინარეობანი, რ-თაც აღიარეს პაპის ღოგმატები და აბასთან შეინარჩუნეს თავიანთი მართლმადიდებლური ან სხვა ქრისტ. წესები, საკულტო ტრადიციები. სომხ. ეკლ-ღან უნიატები გახდნენ კილიკიელი და ციერქეაში მცხოვრები გრიგორიანები. ამით გამოიხატა კათოლ. სარწმ-ის გავრცელება სხვა ქვეყნებში. ნ. ბრესტის. ფლორენციის უ

უნიტარიები (ლათ. უნიტას–ერთიანობა) — ღმერთის სამერთიანობის დოგმატის უარმყოფელ ქრისტიანთა კავშირი, ჩამოყალიბდა ქრისტიანობის მთავარი დოგმატის — სამების ჩამოყალიბებასთან ერთად (II – IV ს.). ცნობენ ეროთიან და არა სამპირიოვან ღმერთს. პირველად უწოდებდნენ ანტიტრინიტარიებს (ტრინიტას — სამება, ანტი—წინააღმდეგი). ძე-ღმერთი და ს.-ულიწმიდა მიანნდათ არა ღმერთებად, არამედ ღმერთის გამოვლინებად. აიტაცეს პროტესტანტებმა იტალიასა და პოლონეთში. სადაც მათ სოციანიანები ეწოდათ, მერე ამერიკაში და ჩრ. დეკნიღლენ კათოლიკებიც და ავრეთვე პროტესტანტებიც. ამჟამად ცოტანი არიან (აშშ-ში 100.000, ინგლ-ში 25 ათასამდე). მათი წარმოდგენით ღმერთია მხოლოდ გონება, თითქმის ბუნებასთან გაიგივებული (ამით უახლოვდებიან დეიზმსა და პანთეიზმს). დიდი ექიმი სერვეტი ნელ ცეცხლზე დაწვეს უ-ების მხარდაჭერისათვის (დიქტატორის,

„ქენეის პაპის“ კალვინის ბრძანებით). ინგლ. მეცნ. ჯონ პრისტლი იძულ. გახდა ამერიკაში გადასახლებულიყო. რჯულშემწყნარებლობის კანონი ინგლისში უ-ებს შეეხო მხოლოდ 1813 წ.

ურაზა (თურქ. „მარხვა“) — მუსულმანთა მკაცრი მარხვა რამაზანის თვეში, როცა გათენებიდან დაღამებამდე მორწმუნეს ეკრძალება ჭამა, სმა, გართობა, მოწევა, ყოველი სიამოვნება. ღამით ეს შეიძლება, ამიტომ მდიდრებს დღისით სძინავთ, ღამე ფხიზლობენ და განცხრომას ეძლევიან. წესი ჩაისახა უხსოვარ წარსულში, — მოუსავლიანობის, გვალვის, საქონლის ჭირის დროს, რჩება დღემდე, როგორც მთავარი საშუალება ცოდვებისაგან თავის დაღწევისა. მარხვისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ ფეხმძიმენი, სნეულნი, შეძუძურნი. ჯარისკაცები, მოგზაურები ომისა და გზად ყოფნის დროს თავისუფლდებიან მარხვისაგან და ნება ეძლევათ იმარხულონ სხვა დროს. ხსნილობას მოსდევს ურაზა-ბაირამი, ისლამის ერთ-ერთი მთავარი დღესასწ. მეორე დიდი დღესასწია მსხვერპლშეწირვისა, ყურბან-ბაირამი. უძილობა, სისუსტე, დროის გაცდენა — აი, რა მოსდევს ამ ხანგრძლივ მარხვას.

ურელიგიო ქრისტიანობა — ევანგელისტი პასტორის, ლუთერანელ დიტრიხ ბონჰოფერის თვალსაზრისი (დ. 1906 წ. ბრესლავში, მოკლეს 1945 წ. ფაშისტებმა). გადასინჯა ბიბლია არა ღმერთის ძღვნეამოსილებისა და ტრანსცენდენტალობის, არამედ მოყვასისადმი სიყვარულის თვალსაზრისით და იქადაგა, რომ ღმერთი უნდა იყოს ადამიანის სიყვარულის განსახიერება, ქრისტ. ზნეობის მაგალითისამებრ. მისმა ცდამ, რომ შეეთანხმებინა ქრისტ. ორთოდოქსია და თანამედროვეობა, მარცხი განიცადა. მისი სიტყვებია: „იყო ქრისტიანი, არ ნიშნავს იყო რელიგიური, ეს ნიშნავს იყო ადამიანი“. ამ კუთხით მან იქადაგა რელიგიის კვდომა XX ს-ში, ადამიანობა თვით ადამიანთა შორის (რელიგ. განხილვა ისტ-ული თვალსაზრისით).

ურვადი, ურვათი—ყალიმი, ქებინი, მიზდი, მეჰრა: ქმრის ან მისიანების მიერ ცოლისათვის გადახდილი თანხა ან ქონება (მშობლებისათვის), დადგენილია შარიათის კანონით და გავრცელებულია მაპმად. სამყაროში იმ დროიდან, როცა ქალმა დაკარგა გვარ-ტოშში ძალა და გახდა მამაკაცის საკუთრება, აღებ-მიცემობის საგანი. თუ კაცი ცოლს გააგდებდა, ასევე იხდიდა გასამრჯელოს. დღეს ჩვენში კანონსაწინააღმდეგო მოქმ-დ ითვლება.

ურიელი (ებრ. „უფლის შუქი“, „ღმერთის შუქი“; „უფლის ცეცხლი“) — უხორცო ანგელოზი, ზეცით მიუგზავნა ღმერთმა ეზრას რჩევა-დარიგებებისთვის და უფლის ნების განსამარტავად.

ურჯუკობა რელიგიური — სიმახინჯემდე მისული ფანატიკური სასტიკე რელიგ. წესების შესრ. დროს: თავისი თავის ან სხვა პირის დასაჭურისება, თვითგვემა, თავის დაწყა და მისთ. (ორმოცდაათიანელებთან, ინოკენტიელებთან, ხლისტებთან, საჭურისებთან და სხვ.). იკრძალება კანონით.

უსამღვდელონი (ბესპოპოვცები) — ნ. უმღვდელონი.

უსხი (სვ. ვისხვ) — საუფლო ხარი, საგანგებოდ ასუქებდნენ სვანები უფლიშურობაზე (სკარობაზე) დასაკლავად. სოფელი შეიყრებოდა, იმართებოდა ლოცვა, ასპარეზობა, ცეკვა-სიმღერა, წინასწარ უსხების ჭიდილი, შემდეგ დაკვლა, პურობა. სანიმუშოდ ითვლებოდა ბეთრი უ. (შეად. ეგვიპტელთა

აპისი, შუმერთა ოქროსრქიანი ხარი). შემორჩენილია ძვ. ქართულში: „უსხები ჩემი დაკლულ არიან“ (მათე 22,4); „დაკლა ხარი იგი უსხი“ (ბიბლ.); „უსხი შენი დაკლულ იყოს შენ წინაშე“ (II შჯული 28, 31).

უფალი — ღმერთი, უზენაესი, არსთა გამრიგე: პატრონი; მფლობელი; ქრისტე. „იყოს ... მონაი იგი ვითარცა უფალ“ (I -ეს 24,2).

უფლის შესელა იერუსალიმში — ნ. ბზობა.

უფლიშერობა (უფლიშ) — უფლის დღეები, ზეიმი, რაც სვანეთში ორ კვირამდე გრძელდებოდა. სკარობაზე შეყრილი ხალხი (სოფელი, გვარი, თემობა) კლავდა საუფლო უსხს, რ-საც მორიგეობით ასუქებდნენ ოჯახები. პურობას ცვლიდა ჭიდაობა, ცეკვა-თამაში. ანტირელიგ. აგიტაციების შედეგად თითქმის აღიკვეთა.

უღელაშობ (ჯგირაგ უღელაშობ, წმ. გიორგის დღეობა) — ნახევრად წარმართ. დღესასწ. სვანეთში (შუა ზამთარში, ნ. ლამპრობა). ამ დღეს დაკლულ ტახს ღმერთს უძღვნიდნენ ტკივილის დასაყუჩებლად და მომდევნო კვირამდე (მერსანაბ) მისი ხორცის ჭამა იკრძალებოდა.

უცოდველობა — უბიწობა მარიამისა, სულიწმიდის მოვლინებით რომ შვა იესო ქალწულმა, იოსების სარძლომ; დოგმა, რ-ის მიხედვითაც პაპი უცოდველია და „ყოველი მისი სიტყვა, „ამბიონიდან თქმული“, ჭეშმარიტებად ცხადდება, რ-ც ღვთაების ნება. საუ-ების განმავ-ში ცდილობდნენ ამ დოგმის გატანას, მაგრამ მეტად მძიმეა მრავალი პაპის შეცოდებანი, რომ მისი დამტკიცება იოლად მოეხერხებინათ. დოგმა დამტკიცდა მხოლოდ 1870 წ. ვატიკანის საეკლ. ყრ-ზე (პიუს IX დროს). ვატიკანის II ყრ-მ დაადასტურა.

უცომო (რუს. ოპრესნოკ) — ხმიადი, უფოველი, ბლარჯი, სარიტუალო ნამცხვარი ძვ. და ახ. აღთქმაში. „ხოლო იყო პასქა იგი, რომელ არს ენება და უცომოება“ (მარკ. 14,1; მათე 26,17; ნეშტთა 5,8).

ფ

ფანატიზმი რელიგიური (ლათ. ფანატიკუს—შმაგი, შეშლილი) — ტერმინს თავისთავად რელიგ. სარჩული აქვს: ფანუმ—ტაძარია. აქედ. ფ.—ბრმა რწმენა, თავგამოდებული ერთგულება ამა თუ იმ რწმენისა და სარწმუნოებისა, სხვა აზრისა და რწმენის შეუწყნარებლობა, რელიგ. ურჯულობა. ფანატიკოსში გრძნობა სჭარბობს გონებას, მას უკონტროლოდ სწამს რელიგ. დოგმები და მსადაა მათთვის თავი გასწიროს, თუნდაც ბორბალს ჩაუყარდეს ან თავი დაიწვას, რასაც აკეთებენ კიდეც ზოგი რელიგიის მიმდევრები. ფ. ძრავალნაირი ფორმით გამოვლინდება: ან განუხრელი დაცვით, მარხვისა და თეითგვემის აღთქმებით, ნორმების ერთგულებით (ბერობა, ასკეტები), „ასკეტური გმირობით“, გარეშეთა იძულებით, რომ მიიღონ მისი სარწმუნოება და ა. შ. უიდურესი ფორმაა ურჯულოობა (ნ.). ფ-ბა მოქმედებას იყენებენ შუღლის გასაღვივებლად, ომის გასაჩაღებლად და ა. შ.

ფარისეველი (ძვ. ებრ. პერუშიმ—გამოყოფილი, კენტი) — ძვ. ებრაელთა პოლიტ.-რელიგ. სექტის წევრი. ეს სექტა არსებობდა სადუკეველთა გვერდით ძვ. წ. II ს-დან ახ. წ. II ს-მდე. ქადაგებდა წესების მკაცრად შესრულებას, საიქიო ცხოვრებისათვის ზრუნვას, ებრძოდა ელინისტურ კულტურას. აცხადებდა საკუთარ შეხედულებებს ჭეშმარიტებად, დევნიდნენ და ყოველნაირად ექიშპებოდნენ, კრიჭაში უდგნენ ქრისტეს, რ-იც მათ ამხელდა („ვაი თქვენდა, ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ შეშჭამთ სახლებსა ქვრივთასა!" — მათე 23,13). როცა ქრისტე ჯვარს აცვეს, გოლგოთის ძირას ნადიმი გამართეს. თავიანთი ცრუ სათნოებითა და მოსვენებითი სამართლიანობით თავი მლიქვნელთა, პირმოთნეთა სინონიმად აქციეს.

შატალიზმი (ლათ. ფატალის — საბედისწერო, წინასწარ დადგენილი)— ერთ-ერთი იდეალისტ. მოძღვრების განუყოფელი ნაწილი, ანტიმეცნ. თვალსაზრისი, რ-ის მიხედვითაც ბუნებაში, საზოგადოებაში თუ პირად ცხოვრებაში ბედი და წერა წინასწარ განსაზღვრული და უსაშველოა. ადამიანი პასიური და უმოქმედოა იქ, სადაც ყველაფერი ციურ ძალას მიეწერება და მოსავალი გარდუვალია. ასეთი სულისკვეთებაა გამეფებული ისლამში, იყო კალვინიზმში. ზოგი რელ. მიმდინ. ცდილობს წინ წამოსწიოს ადამიანის „თავისუფალი ნებისყოფაც", მაგრამ ვარდება წინააღმდეგობაში, რადგან უფლის დადგენილ ბედს ცალკე კაცი წინ ვერ აღუდგება. შეუთავსებელია მეცნ. თვალსაზრისთან. ადამიანი ვერ შეცვლის კანონს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის პასიურობას და უიმედო თავგანწირვას. ფან.—ესაა მონური მორჩილება, იდეის ან დესპოტური სინამდვილის ბრმა რწმენა და მისთვის თავგანწირვა ომისა თუ შეშვიდობის დროს.

„ფატიმის სასწაული" — ღვთისმშობლის გამოცხადება, რაც თითქოს 1917 წ. მოხდა ლისაბონის ახლოს, სოფ. ფატიმასთან. ძას შემდეგ ეს სოფელი იქცა მასობრ. მომლოცველობის ადგილად, რაც დიდ შემოსავალს აძლევს კულტსიას.

შერიცვალება (ფერისცვალება, ბერ. ფერკლერუნგ ხრისტი, პრეობრაჟენიე) — ქრისტ. ეკლ-ის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწ., ათორმეტთაგანი, 6 (19) აგვისტოს, როცა სამი სინოპტიკური სახარების მიხედვით (მათე, 17, 1 — 13; მარკ. 9, 1 — 9; ლუკა 9,28 — 36) ქრისტემ თავისი მოწაფეების წინაშე ფერი იცვალა, განსპეტაკდა. ეს მოხდა ძე-ღმერთის მიწიერი ცხოვრების ბოლო წელს. როცა უკვე დაამტკიცა ქადაგებითა და სასწაულებით თავისი ღვთაებრივობა, მეექვსე დღეს მას შემდეგ, რაც პეტრემ განუცხადა, უფალმა წამებისაგან უნდა დაგიხსნასო („შენდობა იყავნ შენდა, უფალო", მათე 16,22), მაცხოვარმა დატუქსა ბოციქული და განიზრახა ერთხელ კიდევ განემტკიცებინა მოციქულთა რწმენა. ამ მიზნით წაიყვანა მოწაფეები, მათგან სამი (პეტრე, იაკობი, იოანე) აიყვანა მაღალ მთასა (ეკლ. ტრადიციით ეს იყო თაბორის მთა, მაგრამ ეარაუდობენ, რომ ლაპარაკია ჩრდ-ით აღმართულ უფრო მაღალ ერმონზე), „და იცვალა სხვად ხატად წინაშე მათსა, და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ... და ეჩვენა მათ მოსე ილიას თანა" (მარკ 9, 2 — 4). პეტრემ მიმართა ყველა მიწიერზე უფრო განსპეტაკებულ მასწავლებელს, ამ მთაზე სამი ტალავარი აეაშენოთო: „შენი-

ვის, მოსესთვის და ილიასთვის. სცენა სიმბოლურია: როგორც ძვ. აღთქმაში ღმერთმა მოსეს თავისი წინასწარმეტყველი უწოდა, აქაც ახალი სარწმუნოების მამას მამა ღმერთმა ღრუბლების შიღმიდან ასეთი დახასიათება მისცა „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, ამისა ისმინეთ". გაოგნებული მოწაფეების თვალწინ მოსე და ილია ქრებიან, რჩება ფერშეცვლილი იესო, და მათ შიშით „დაიდუმნეს." თაბორის მთაზე იმ დღის აღსანიშნავად კონსტანტინე დიდის ასულმა წმ. ელენემ ტაძარი ააშენა, რაც სალადინის ურდომ დააქცია (XIII ს.). დღესასწ. დაწესებულია IV ს-დან, ან ცოტა უფრო უადრეს. VIII ს-ში იოანე დამასკელმა და პეტრე მაიუმელმა შეთხზეს ამ დღის სადიდებ. ჰიმნი. ქრისტ. ეკლ-ის 12 დღესასწაულთა შორის ფ-მ დიდად მნიშვნელ. ადგილი დაიჭირა.

მეორე ძირითადი ნიმუში ფ-ისა იყო მოსეს ფერისცვალება ძვ. აღთქმაში: როცა ის ერის თვალწინ კარავში შევიდა, „გარდამოხდის სვეტი იგი ღრუბლისა, და დადგის კართა თანა მის კარვისათა... და ჰხედვიდა ყოველი ერი იგი სვეტსა მას ღრუბლისასა", მერე ღმერთი უბრძანებს მოსეს, „გამოიქმნას" ორი ფიცარი ქვისა, სინას მთაზე ავიდეს, იქ კლდეზე დააყენა... მთიდან რომ ჩამობრუნდა, „დიდებულ იყო ფერი პირისა მისისა... და იხილეს არონ და ყოველთა ძეთა ისრაელისათა მოსე და იყო დიდებულ მათ წინაშე ფერი პირისა მისისა, და შეეშინათ მიახლებად მისა" (გამოსლ. 34, 30). ფ-ზე (სვან. ფერცლაბ) ხილი უკვე მწიფედ ითვლებოდა. მიღებული იყო ხილეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ვენახის კურთხევა, საგანგებო ლოცვაც არსებობდა: „აკურთხე, უფალო, ხილი ესე, ვენახი, ახალი". ვინც მანამდე ეაშლს შეჭამდა, თითქოს საიქიოში ვაშლი აღარ მიეცემოდა და ა. შ., რადგან ეს ცოდვად ითვლებოდა. ქრისტ. ეკლ-მ ფართოდ გამოიყენა ფ. რწმენის განსამტკიცებლად.

ფეტვა (არაბ. ფატა—სწავლება, დამოძღვრება) — მუსულმანთა უზენაესი სასულიერო მოძღვრის — მუფთის წერილობითი განმარტება რწმენის სადავო საკითხებზე.

ფეტიშიზმი (ფრ. ფეტიშ—კერპი) — ბუნებრივ ან ხელით ნაკეთებ საგანთა ბრმა თაყვანისცემა. ამ საგნებს მიეწერებათ ზებუნებრივი, მისტიკური თვისებები, მფლობელთა სასარგებლო მოქმედების უნარი. ფეტიში შეიძლება იყოს ქვა, ჯოხი, თმა, ნიჟარა, ფრჩხილი და ა. შ. თაყვანისცემის სახე მრავალგვარია: ვედრება; მსხვერპლის შეწირვა, ნემსით ან შუბით ჩხვლეტა იმ მიზნით, რომ სული შეაწუხონ და აიძულონ სურვილი შეასრულოს მფლობელს. ფ. ყოველი რელიგიის უძვ. შემადგენ. ნაწილია, შემორჩენილი დღემდე: შავი ქვის თაყვანისცემა მექაში (ისლამი), მსოფლიოს სიმბოლური ნაგებობის — სტუპას თაყვანისცემა (ბუდიზმი), წმ. ნაწილთა თაყვანისცემა (ქრისტიანული სარწმ.). არსებითად იმავე დანიშნულებისაა ჯვარი, ხატი და სხვ.

ფეხის დაბანის ცერემონიალი — ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდი, როცა მან 12 მოციქულს დაბანა ფეხი, ნიშნად თავმდაბლობისა და სათნოებისა: „და ეიღო წყალი და შეიაესხა საბანელსა მას და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა, და წარეჰოცდა არდაგითა ეით, რომელი მიერტყა" (იოანე 13, 15). ამ ცერემონიალს იმეორებდა პაპი ნიკოლოს II.

ფიდეიზმი (ლათ. ფიდეს — რწმენა) — რეაქც. ფილოს. თვალსაზრისი, რ-ის მიხედვითაც პირველადი და მთავარია რწმენა, როგორც ჭეშმარიტების წყარო (რწმენის პრიმატი გონების წინაშე). „თანამედროვე ფ. სულაც არ უარყოფს მეცნიერებას: უარყოფს მხოლოდ მეცნიერების „მეტისმეტ პრეტენზიებს", სახელდობრ პრეტენზიას ობიექტურ ჭეშმარიტებაზე" (ლენინი). ლენინის განმარტებით, ფილოსოფ. იდეალიზმი მხოლოდ ერთ-ერთი, დახვეწილი ფორმაა ფ-ისა, ხუცობის ქადაგება.

ფილოსოფია რელიგიური — იდეალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობანი, რ-თა მისანია რელიგიის აუცილებლობის მტკიცება ადამიანისათვის საერთოდ. ითვლება ღვთისმეტყველებისა და რელიგიის მსახურად, რელიგ. რწმენის აპოლოგეტად. კათოლ. სარწმ-ის ყველაზე უფრო აღიარებულ მოძღვრებად ითვლება ნეოთომიზმი (თომა აქვინელის ფილოს.-რელიგ. მოძღვრება), ისაა მინნეული ერთადერთ ჭეშმარიტ ფილოსოფიად, რ-საც შეუძლია იხსნას რელიგია კომუნისტური იდეოლოგიისაგან („მუშათა პაპის" ლეო XIII ენციკლიკა, 1879 წ.).

ფილოსოფია ყოველად ერთიანობისა (მეტაფიზიკა ერთიანობისა) — თანამედ. რელიგიური ფილოსოფიის ნაწილი, მიმდინარეობა, რ-იც წარმოიქმნა XIX — XX ს-ების მიჯნაზე რუსეთში (ვლ. სოლოვიოვი), ძაგრამ შორეული ძირები აქვს ანტიკაში. ნეოპლატონიზმში (პლოტინი, პროკლე), შემდეგ გერმ. მისტიკოსის ფრ. ბაადერისა და ფრ. შელინგის შრომებში (ტერმინი ყოვლადერთიანობა XVII ს-ისაა) მოძღვრება ეხება რაღაც უნივერსალურ, ერთიან სამყაროს, ღმერთისა და სამყაროს (ღმერთისა და ადამიანის) ერთიანობას, აბსოლუტურ სულიერ საწყისს, „ღმერთკაცობის" იდეას.

ფლორენციის საეკლესიო უნია — კათოლიკ. და მართლმად. ეკლესიების გაერთიანების ცდა ფლორენციის ყრილობაზე (1439 წ.). მართლმად. ეკლესიამ მიიღო დოგმები სალხინებელზე, პაპის უზენაეს მეუფებაზე და ფილიოკვეზე (ლათ. „ძისგანაც": ე. ი. ტოლედოს საეკლ. ყრილობის მიერ 589 წ. მიღებული დამატება I და II ყრილობებზე მიღებულ სარწმუნოების სიმბოლოზე. სულიწმიდა გამოდის არა მარტო მამა-ღმერთისაგან, არამედ ძე-ღმერთისგანაცო). სამაგიეროდ მართლმადიდებლებმა მიიღეს უფლება, რომ ‘ხიარება მიეღოთ „ორივე სახით" (პურით და ღვინით), სასულიეროებმა იქორწინონ, ეწარმოებინათ ღვთისმსახურება ბერძნულად. ეს იყო დიდი შრომშვნელობის აქტი, რაც მარცხით დასრულდა. ბიზანტ. სამღვდელოებამ და იმპერატ. იოანე პალეოლოგმა მიიღეს, ძაგრამ რუსთა მთავარმა ვასილ ბნელმა და სამღვდელოებამ უარყო (მიიღეს მხოლოდ ლიტვის მთავრის ქვეშევრდომებმა), მიტროპოლიტი ისიდორე (ბერძენი) გადააყენეს, რითაც რუს. სახელმწ. გაძლიერდა. მერე ბიზანტიამაც უარყო: 1443 წ. იერუსალ. ყრილობამ უნია შეაჩვენა.

ფრანციისკანელები — კათოლიკე ბერთა მოგლახაკე ორდენის წევრები. დაარსდა ეს ორდენი 1207 — 1209 წლებში იტალიაში, ფრანციხკ ასიზელის მიერ („უმცროს ძმათა — მინორიტების ორდენი" უწოდა). გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. დაამტკიცა პაპმა პონორიუს III, 1223 წ. მონასტრებში კი არ ცხოვრობდნენ, არამედ დაეხეტებოდნენ ხალხში, ქადაგებდნენ, განდეგილობას, ღარი-

ბულ ცხოვრებას, მორჩილებას, მკურნალობდნენ და ეხმარებოდნენ სნეულებს, დარიბებს. ამან განუთქვა ორდენს სახელი. მაგრამ მერე იქცნენ ეაპობის ერთგულ დამცველად, მონაწილეობდნენ ინკვიზიციის მუშაობაში. ეწეოდნენ მისიონერობას. ასწავლიდნენ უმაღლეს სკოლებში, უნ-ტეტებში. ზოგი ქვეყნიდან განდევნეს დღესაც არსებობს.

ფროიდიზმი — მიმდინარ. ბურჟ. ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიასა და კულტ. ფილოს-ში. ფუძემდებელია ავსტრიელი ექიმი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ზიგმუნდ ფროიდი (1856 — 1939). ნევროზებით სნეულთ რომ მკურნალობდა, მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ავადმყოფებს სნეულების ისტორია და მიზეზები არ ახსოვდათ, მაგრამ კითხვა-კითხვით იგონებდნენ დავიწყებულ მიზეზებს. შემდეგ შეეცადა თავისი მონაპოვრის გამოყენებას რელიგიის, ეთნოგრაფიის, კულტურის ისტ-ის ასახსნელად. როგორც სწავლული და პროგრ-ულად მოაზროვნე, რელ-ს პროგრესის მტრად თელიდა, მაგრამ თავის ფსიქოანალიზში მიაჩნდა ფსიქიკის ნამდვილ გამოელინებად, დაუკმაყოფილებელი სურვილის ნაყოფად. არჩევდა სიამოვნების პრინციპსა და „რეალიბის პრინციპს", რაც ადამიანს ხელს უშლის აისრულოს სურვილი. საბოლოოდ რელ-ს თელიდა „საყოველთაო საკაცობრიო ნევროზად" და არ იყო თანმიმდევარი, ჩქმალაკდა სოციალურ ძირებს. მთელი მისი ფსიქოანალიზ. თეორია დაფუძნებულია თვალსაზრისზე, რომ ადამიანის ყოველი მოქმედება განპირობებულია შეცნობილი თუ შეუცნობელი ქვენა გრძნობებით, სექსუალური მიდრეკილებით. ბავშვის განცდა ემოხვევა იმ პირველყოფილი ველურის განცდას, რ-მაც დედისადმი ეჭვიანობის ნიადაგზე მამა მოკლა და შეჭამა, შემდეგ ინანა, ძმებთან ერთად დადო აღთქმა, რომ მამას აღარასოდეს მოკლავდა, ასე შექმნა მამის კულტი, გადაიტანა ტოტემურ ცხოველზე, რომლის მოკვლაც აკრძალულია (ირემი, კუ და ა. შ.), ე. ი. ტაბუ დაადო, შემდეგ კი მამა გაადმერთა კიდეც. დროთა მანძილზე აიკრძალა შერეული ქორწინება სისხლით ნათესავთან, დაწესდა ეგზოგამია (ქორწ. უცხოსთან) მეორე მხრივ, პირველყოფ. ადამიანი ფსიქიკურად პგავდა ახლანდელ ნეროტიკს. ყოველივე ამას საუძვლად დაედო ბავშვის შეუცნობელი მიდრეკილება ეროტიკული ენინ, ლიბიდოსაკენ, დედის ან მამისადმი. რითაც ახსნა ფროიდმა ოიდიპოსის ტრაგედია. დედასთან ცხოვრება. „ოიდიპოსის კომპლექსი" ფსიქოანალიზ-ში ღრმად დამკიდრდა და მრავალი მეცნ., რელიგ. თუ ლიტერატურული დავის საგნად იქცა. ფროიდი ამით ხსნიდა ტოტემიზმის და რელიგიის არსს, რაც მისი მთავარი სუსტი ადგილია: „ობიექტისადმი სიყვარულის" გამოცხადება რელიგიის ასახსნელად სრულიად უკარგისი ჰიპოთეზაა. „მამის მოკვლის" წარმოსახვითი იდეა დარჩა ფროიდიზმის ქვაკუთხედად, ამაზეა აგებული ფროიდის შრომები: „სიზმრების ახსნა" (1900), „ტოტემი და ტაბუ", „მოსე და მონოთეისტური რელიგია", „ფსიქოანალიზ'ზე" (რუს. თარგ. 1911), „სექსუალური თეორიის შესავლიდან" (რუს. თარგ. 1911) და სხვ. ფროიდის უარყო ისტ. და სოციალ. ბაზა, მთელი თეორია ააგო სქეს. მიდრეკილებაზე, ნევროზებზე, სიზმრებზე, ეჭვიანობაზე, და ეს მონაცემები აქცია დიდი სოც. მოვლენის—რელიგიის ქვაკუთხედად. ამით ეთნოგრაფეებში ბევრი მოწინააღმდ. გაიჩინა. იუნგმა უფრო გააძლიერა იდეალისტ. მხარე. ეკლ-მ ჯერ მტრულად

შეხედა ფ-ს, შემდეგ გამოიყენა პირველი შეცოდების მეცნ. დასაბუთებად.

აკად. ალ. ლოსევის განმარტებით, „ფრ. დიდი მოვლენაა, ძალიან დიდი მოვლენა ფილოსოფიის ისტორიაში და მეცნიერების ისტორიაშიც. ვფიქრობ, აქ პირველად აიხსნა ქვეცნობიერი სფეროს მართლაც უდიდესი როლი. ჩვენ ზედმეტად ვექვემდებარებოდით განსჯას, ეაზვიადებდით გონების ქმედებას და ყურადღებას არ ვაქცევდით გულში ღრმად ჩამარხულ ფარულ და იდუმალ სწრაფვებს, ინტიმურ ზრახვებს. ამ მხრივ ფრ-მა დიდი როლი შეასრულა, მაგრამ მე არ მომწონდა და ზიზღსა მგვრიდა, რომ ფროიდს ქვეცნობიერი მხარე მთლიანად სექსუალურ სფეროში გადაპყავდა. ეს ველურობაა“.

ფსალმუნები (ებრძ. ფსალმოს—სიმღერა; ფსალტერიონ—ფსალმუნთა წიგნი) — ბიბლიის ნაწილი, 150 საგალობელი, რაც დავით მეფეს მიეწერება („ფსალმუნი დავითისა“), შესულია ქრისტ. ღვთისმსახურებაში, იკითხება სხვა ლოცვებთან ერთად. ძველთაგანვე იყოფოდა ხუთ წიგნად, რ-თა სტილი და ეანრი განსხვავებულია. ლაპარაკია პირველ პირში, თავისთავად ძალზე პოეტურ და ხატოვან გალობებში მოცემულია ერთიანი ღაღადი ღმერთის ყოვლისშემძლე ძალაზე, სამართლიანობაზე, სიდიადეზე, მორჩილებაზე, ამდენად ითვლება სულის სახსნელ საგალობელთა კრებულად.

ფსიქოლოგია რელიგიისა — რელიგიის ფსიქოლოგიური არსის—აღნაგობის, შინაარსისა და ფუნქციის შემსწავლელი დისციპლინა, ე. ი. საკულტო ძნიშვნელობის წარმოდგენათა, განცდებისა და ტრადიციების ერთობლიობა. თითქმის ერთდროულად შეიქმნა XIX ს. ბოლოს ევროპასა და ამერიკაში.

ფუნდამენტალიზმი — ფართო გაგებით: რელიგ. დოგმატიკის სრული უცვლელობა, რელიგ. წიგნებში გადმოცემული ყოველი მოვლენის ბრძად რწმენა, ყოველგვარი სიმბოლიკისა და ალეგორიული განმარტებების გარეშე, რელიგიის ყოველი მითითების მორჩილება. ამ აზრით იხმარება ცალკეული რელიგ. მიმდინარეობების მიმართ. ვიწრო გაგებით ესაა ორთოდოქსალური მიმდინარეობის აღმნიშვნელი ტერმინი თანამედროვე პროტესტანტიზმში, რ-იც უარყოფს მოდერნისტულ სულისკვეთებასა და ლიბერალიზმს ქრისტ-ში. წარმოიქმნა ამერიკაში I მსოფ. ომის წინ. სახელი ეწოდა 1909 წ. შემდეგ და გადაჭრით უარყოფს რაიმე სიახლეს დოგმებში, აღიარებს ბიბლიის სრულ უცოდველობას, კრძალავს მის კრიტიკასა და განმარტებებს. ფართოდ გავრცელდა და 1919 ფილადელფიაში დაარსდა ფუნდამენტალისტთა მსოფ. ასოციაცია (პრეზიდენტი ვ. რაილე). 1955 წ. შესუსტდა, 60-იან წლებში ისევ გაძლიერდა კრიზისთან დაკავშ-ით.

ფუძის ანგელოზი (სახლის ა.) — სახლის, კერიის, დედაბოძის, სავანის მფარველი კეთილი არსება, ანგელოზი ან მისი მსგავსი, სალოცავად მიღებული და სიკეთის მომტანი („ფ. ა. შეგეწიოს“), განსაკუთრებით საქონლის დაცვის, სიჯანსაღის, მეუდროების თვალსაზრისით; უახლოვდება სლავთა „დომოვოის“, რ-ის კერპებიც ოჯახებში XIII ს-დანაა ცნობილი. თუმცა „დომოვოის“ „სახლის ჭინკადაც“ თარგმნიან (დ. ჩუბინ.), მაგრამ ჭინკის სიკეთე ნაკლებად მოსალოდნელია, დომოვოი კი სახლის კუთხეში მოკალათებულა, იცავს საქონელს, ჰგავს სახლის უფროსს, ან პატარა მოხუცია, კობოლდის ტიპისა, მცირე საჭმელიც ესაჭიროება. ოდესღაც ღვთაება ყოფილა.

ქააბა (არაბ. კუბი, კაააბ) — მუსულმანთა წმ. ტაძარი მექაში, სადაც ყოველი ქვეყნის მორწმენე თავს მოვალედ თვლის მოსალოცავად ჩავიდეს, რადგან ითვლება ისლამის ხუთი სვეტის ერთ-ერთ უცილობელ აღთქმად. იქ არის წმ. შავი ქვა, რ-იც თითქოს ზეცით მოძღვნილია და მისი ამბორი მართლმორწმუნე მუსულმანს უდიდეს მადლად ეთვლება.

ქადაგება — რელიგ. გაგებით ესაა სარწმუნოებრივ-დოგმატიკური ან მორალ. შინაარსის სიტყვა, რითაც სასულიერო პირი ამბიონიდან მიმართავს ხალხს ჩვეულებრივ კვირაში ერთხელ, წირვის შემდეგ, ან საერთოდ რაიმე სადღესასწაულო მოვლენასთან დაკავშირებით, ხალხის დამოძღვრების მიზნით, რაიმე რწმენის, სიკეთის, კაცთმოყვარეობის, მშვიდობის, ერის მატებისა და კეთილ გზაზე სვლის ნაირფეროვანი შინაარსით.

ქადაგი — მოძღვარი, ხატის მსახური (ძირითადად ხევსურულ მითოლოგიასა და რელიგიურ რეგიონში); მისანი, წინასწარმეტყველი, მჭვერმეტყველი, რ-იც ექსტაზის წუთებში წარმოთქვამდა მომავლის მაუწყებელ ფორმულებს, როგორც ბერძენთა ორაკულები და ბიბლიური წინასწარმეტყველნი, ოღონდ უმთავრესად ადგილობრივი ბედის განჩინებას (ოჯახის, გვარის, ხეკის ამბავს), რაც ჩვეულებრივ მსხვერპლის განსაზღვრასაც შეიცავდა. შეად. სალოსი, შამანი.

ქალთგორობა — თუშთა საგაზაფხულო დღესასწ., დაკავშ. მოსავლიანობასთან. ხუცესი ამწყალობებდა ხალხს, „კარგი პურის მოყვანას" შესთხოვდა ღმერთს. მერე ახალგაზრდა ქალი კოტორს დაიტაცებდა, გაიქცეოდა, დაეწეოდნენ, ერთმანეთს თხუპნიდნენ, წყალზე წავიდოდნენ, განიბანებოდნენ (შდ. კუპალა).

ქალკედონელები — ნ. მონოფიზიტები.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია — ავტოკეფალური (დამოუკიდებელი) ეკლ., ერთ-ერთი 15-თაგანი, საერთოდ ერთ-ერთი უძველესი ქრისტ. ეკლესია, რ-საც აქვს ზოგიერთი საკუთ. წესი, ლიტურგიული სპეციფიკა, საკუთარი დღესასწაულები, დიდი ტრადიციები. ქრისტიანობის გავრცელება ჩვენში წმ. ნინოს, მოციქულთა ტოლი კაპადოკიელი ქალის სახელთანაა დაკავშირებული. ახ. სარწმუნოება ქართლში სახელმწ. რელიგიად გამოცხადდა. ეს მოხდა IV ს. დასაწყისში. პირველ ხანებში ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა, სათავეში ედგა არქიეპისკოპოსი, ხოლო 487 წლიდან ავტოკეფალური გახდა და სათავეში ჩაუდგა კათოლიკოსი, რ-იც XI ს-დან შეცვალა კათოლიკოს-პატრიარქმა (ასე ეწოდება დღემდე). რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართ. მართლ. ეკლ. შევიდა რუსეთის „უწმინდესი სინოდის" შემადგენლობაში (1811), როგორც საეგზარქოსო. რეაქციულმა მღვდელმთავრებმა ბევრი წყენა და დამცირება აგემეს ქართ. ეკლესიას. გაპარტახებულმა მოღვაწეებმა მოითხოვეს ძვ. ქართ. ეკლესიის კანონიერი ავტოკეფალია, 1917 წ. თებერვლის რევ-ის შემდეგ ქართ-მა ეკლ-მ უარყო სინოდის სედამხედველობა და აირჩია თავისი კათოლიკოს-პატრიარქი. განხეთქილება რუს. ეკლესიასთან გაგრძელდა 1943 წლამდე, როცა სინოდმა აღიარა ქართ. ეკლესიის ავტო-

კეუალია. ამეამად ქართ. მართლმად. ეკლ-ს აქვს 15 ეპარქია საქ-ში, ლოიალური პოზიცია აქვს საბჭ. ხელის-სთან, იბრძვის მშვიდობისათვის, შეაქვს მატერ. დახმარებანი. 1986 წ. ჩერნობილის ატომური სადგურის ავარიასთან დაკავშირებით საქ-ს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ამ დახმარების ფონდში 50 000 მანეთი ჩარიცხა. 1962 წლიდან მსოფ. საეკლ. საბჭოს წევრია. სასულიეროთა მომზადება ხდება მცხეთის სასულ. სემინარიაში. თბილისში გაიხსნა აკადემია. ავტოკეფალიის დასაწყისიდან (468 წ.) გავიდა 1522 წელი.

ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა იყო ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის. მისი მოგება დიდგორისა და ასპინძის ბრძოლების მოგებას ედრებოდა. რუსეთის ცარიზმისა და საერთოდ ტლანქი რეჟიმის მეუფებას საქ-ში, რასაც მრავალი რეპრესია, სისხლისღვრა, ძალადობა, ძარცვა და დაჩაგრება მოჰყოლია, გმობდნენ თვით რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის წარმომადგენლები. ქართველებს მშობლიურ ენაზე წირვაც კი აუკრძალესო, წერდა გამოჩენილი მოღვაწე ილიაროზოვი. ქართ. ეკლესიის მძიმე მდგომარეობას ეხებოდა ემიგრაციაში მყოფი ბერდიაევიც.

ქართ. ეკლესიის იერარქია, დიდი როლი სწავლა-აღზრდის საქმეში, ბრძოლა კულტურის წინსვლისა და სათნოების სიწმინდისათვის, ავტოკეფალიისათვის საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და იხვეწებოდა. ვინც ამ დამოუკიდებლობის ხელყოფას შეეცდებოდა, ყველა საკადრის პასუხს იღებდა.

ვერაგი დამპყრობლები, შაჰები, სულტნები თავიანთი ბატონობის სიმტკიცისათვის ძალით ამაპმადიანებდნენ ცალკეულ მეუფებს, ხოლო ურჩებს დევნიდნენ ან კლავდნენ (თეიმურაზი, ქეთევან წამებული, ლუარსაბ II). მაგრამ ცალკეული მბრძანებლების გამაპმადიანებისა და ღალატის მიუხედავად ქრისტიანობა ურყევ რწმენად და ეროვნული ხსნის დროშად რჩებოდა საუკუნეების განმავლობაში. შერყეული რწმენის აღდგენისა და გაძლიერების მიზნით ეკლესია იწვევდა კრებებს (რუის-ურბნისის, 1104; 1747, 1759, 1761—62...).

ქართ. ეკლესიის გამორჩეული პოზიცია, რაც ქართველი ერის თანდაყოლილი პუმანურობიდან გამომდინარეობს, ესაა რჯულშემწყნარებლობა, სხვა ხალხებისა და სარწმუნოებათა პატივისცემა და ხელუხლებლობა. საქ-ს დედაქალაქში ქრისტ-ული ეკლესიების გვერდით იდგა სომხური ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი. ეს ტრადიცია, რაც საუკუნეების განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, განსაკუთრებით დავითისა და თამარის დროს დაკანონდა. ასეთი სიკეთის უმაგალითო გამოძახილია ქართველ ებრაელთა კეთილი მოღვაწრბა იერუსალიმში (ქართ. გაზეთი „ხიდი", მომღერალთა გუნდი, ქართ. თეატრი, ილია მართლის სურათის შეტანა ტაძარში ებრაელთა მიერ და ა. შ.). პროფ. მორის დანიელოვის თქმით, „საქ. იყო და არის ჩვენს პლანეტაზე ერთადერთი კუთხე, სადაც ებრაელს არ განუცდია დევნა, რბევა, დამცირება".

ქრისტიანობის შემოღება საქართველოში და სომხეთში იყო არა შემთხვევითი, არამედ რთული სახელმწიფოებრივი, საორიენტაციო მოვლენაც. უდავოა, ეს ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოებია. თარიღშიც, რაც სადავოა, მცირე განსხვავებაა. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფ. ნ. გარსოიანს სომხეთის ნათლისღება III ს-ში კი არა, IV ს-შიც დამაჯერებლად არ მიაჩნია (გ. გოზალიშვილი. ქართლის მოქცევის პრობლემა და

ბაკური, განათლება, 1974, 22). თეოფანე ჟამთააღმწერლის სარწმუნო ცნობით, ჯერ იბერიელები მოქცეულან, მერე მოძმე სომხები (არმენიელები) ეპისკოპოს გრიგოლის მიერ.

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ჩვენს დროში შეთხზული ვერსია იმის შესახებ, თითქოს ქართველებში ქრისტიანობა გაავრცელა ხსენებულმა გრიგოლმა. ის დიდხანს იყო რომში, ემსახურებოდა მეფე ტირიდადს. რ-მაც ის ხაროში ჩაგდო და 13 წელი იქ გაატარა, დაახ. 331 წ. კი მემკვიდრედ შვილი დატოვა და თვითონ მალე გარდაიცვალა. მას სომხეთშიც უჭირდა ქადაგება, რადგან მამამისმა აპაკმა სომეხთა მეფე მოკლა და დევნიდნენ, ძისიანები გაწყვიტეს და თუ თვითონ საქ-ს შეაფარა თავი, ეს მოხდა არა ქრისტიანობის საქადაგებლად, არამედ თავის გადასარჩენად და ძმური შეწევნის იმედით, რისი დავიწყებაც უმადურობაა (ჩალოიანი და სხვ.).

რაც შეეხება რიფსიმეს და ნინოს, პირველი სომეხთა მეფემ თრდატმა აწამა სხვა ქალწულებთან ერთად, ნინო კი მშვიდობით ჩამოვიდა ქართლში, კეთილი მწყემსივით შემოიკრიბა ქართველები და ქრისტეს მცნებას აზიარა მოციქულთა სწორმა. ეს საკმაოდ დაწერილებითაა მოთხრობილი „ნინოს ცხოვრებაში", რაც გერმანულ ენაზეც თარგმნილია („მოქცევაი ქართლისაი", შატბერდის კრებული) — დოკუმენტში, რომლის უარყოფის არავითარი საფუძველი არ არსებობს. იქ ნათქვამია: „რიფსიმე დედოფალი და გაიანე, დედამძუძე, ორმეოცდაათი სული წარმოვემართენით და გამოვედით არეთა სომხითისასა, სამოთხესა მას თრდატ მეფისა, იგინი მოიკლენ მუნ... ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისასა, რამეთუ ვარდი და ნული ყვაოდა მას ეკალსა შინა". ამის შემდეგაც უარყოფა მატიანისა და მტკიცება იმისა, რომ საქ-ზე უადრეს ქრისტიანობა სადმე მეზობლად გავრცელდა, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია. საქ-ში იქადაგეს ანდრიამ, სიმონ კანანელმა და მატათამ.

ბიბლიის დიდი სპეციალისტი, პროფ. გუსტავ გეჩე თავის ახალ წიგნში „ბიბლიური ისტორიები" (ბუდაპეშტი, 1985; რუს. თარგ. მოსკოვი, პოლიტიზდატი, 1988, გვ. 22) წერს: „IV საუკუნეში სომხებმა მიიღეს ქრისტიანობა", ე. ი. გრიგოლზე ბევრად უფრო გვიან. საქ-ში ქრისტიანობის გავრცელებაზე კი ახ. გერმანულ ცნობებში, რაც ტელევიზიითაც გადაიცა, წერია, რომ ეს მოხდა 33 წელს. ასეთია აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენც პლატონი გვიყვარს, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ მეტად. ოფიციალური ცნობებით ჩვენში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 326 წ., ბევრად უფრო გვიან, ვიდრე ის ნინომ და სხვებმა იქადაგეს.

საგულისხმოა ალ. ანინსკის კვლევა („ძველი სომეხი ისტორიკოსები", ოდესა, 1899, 66): „სომხების მოქცევის თარიღად 304 წელია მიჩნეული, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სომეხთა მოქცევა ბევრად უფრო გვიან მოხდა: 396 წლის შემდეგ". ივ. ჯავახიშვილის კვლევით „ქრისტიანობის ისტორია ალ. საქ-ში III ს-ის დამდეგიდან, ან არა და შუა წლებიდან მაინც იწყება" (ქართ. ერის ისტ., I, 121). ქრისტიანობის შემოღებამ საქართველოში და სომხეთში უშუალო სტიმული მისცა ძველი და ახალი აღთქმის თარგმნას, სხვა საკულესიო წიგნების გადმოღებასა თუ შექმნას, ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული შედევრების შენებას, კულტურისა და სწავლა-განათლების გავრცე-

ლებას. ამდენად ქრისტ.-ის დამკვიდრებას ამ ქვეყნებშიც თავისი დადებითი შედეგები მოჰყვა, ამასთან უფრო დააკავშირა მეზობლები და ბედის მოზიარენი. ამ მეგობრობის ძეგლთა შორის დგას ჰუჯაბი, ახტალა, კობერის ტაძარიც, მრავალი სხვა ქართული ძეგლიც.

საქ-ში, ძირითადად მცხეთის მიწაზე, იგებოდა მრავალი ტაძარი, მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მწიგნობარნი, მემატიანენი. მტერმა წალეკა კულტურის მრავალი ძეგლი, ხელნაწერი, სავანე, მაგრამ რაც გადარჩა, ისიც საკმარისია ერის სადიდებლად და იმის საბუთად, რომ „ქართველ ხალხს არასოდეს გამოუმეღავნებია რელიგიური მოუთმენლობა და შუღლი სხვა სარწმუნოების მიმართ. ჩვენმა ისტორიამ არ იცის განსხვავებული მიმდინარეობის აღმსარებელი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის შემთხვევა. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ქართველი ხალხისათვის რელიგიური ეგოიზმიც ისევე უცხოა, როგორც ეროვნული“ (აკ. ბაქრაძე, „თბილისი“, 21.XII. 87).

საქ-ს ეკლესია-ტაძრებიც იზიარებდნენ ხალხის ბედსა და უბედობას, ქადაგებდნენ სათნოებას, სიკეთეს, სავანეთა თავისუფლებას სამოღვაწეოდ, გმობდნენ იულიანე განდგომილის მსგავს ურჯულკებს, რწმენის ჯალათებს. ერთი მათგანი ჯვარის მოგლეჯის ცდის დროს ღვთისმშობლის ეკლესიის სახურავიდან დაცურდა და სასიკვდილოდ დაშავდა. ასეთი მაგალითი ბევრია.

ქეთევან დედოფალი — ქეთევან წამებული, ქეთევან ქართველი, ქეთევანი — კახეთის დედოფალი, თეიმურაზ I-ის დედა, ყველა დროის ერთ-ერთი უწმინდესი და უშტკიცესი მანდილოსანი, რ-იც წმინდანადაა შერაცხული თავისი სისპეტაკის, თავდადებისა და მოწამეობისათვის. როცა მძვინვარე შაჰ აბასი კახეთის ასაოხრებლად გველეშაპივით წამოიგრაგნა ურიცხვი ურდოთი, ქეთევანი მეფისწულთა—ალექსანდრეს და ლევანის თანხლებით შეეგება, თითქოს მოალბო კიდეც ტირანის გული, მაგრამ ცბიერმა შაჰმა ტყვეები განჯას „დაადო“, თვითონ კახეთი ააოხრა, გრემი დაანგრია, გაბრუნდა, მრავალი წლის ტყვეობით გაწამებული დედოფალი (ის სხვადასხვა ქალაქებში ჰყავდათ) შირაზში ჩაიყვანეს და იმამყულიხანს მიჰგვარეს ვერაგული ბრძანებით: თუ არ გამაპმადიანდეს, აწამეო. ქეთევანი რაინდული სიმტკიცით შეხვდა განაჩენს და ასეთივე სიმტკიცით ცეცხლის ტახტს, რაც შაპის „სპარსეთის ტახტს“ ამჯობინა. ეს მოხდა 1624 წ. 12 სექტემბერს. სარწმუნოების შეცვლას აქ სამხედრო-პოლიტ. მნიშვნელობაც ჰქონდა, მას ერის დამონება და ფიზიკური მოსპობაც უნდა მოჰყოლოდა, ამიტომ შაპის ვერაგობა, არნახული სისასტიკე გასაგებია. ქეთევანის მოწამეობრივ სიკვდილს უდიდესი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა, რამაც გააოცა იმჟამად სპარსეთში მყოფი ავგუსტინელი ბერი ამბროსიო დუშ ანჟუში, პიეტრო დელა ვალე, სხვა უცხოელები. არსებობს მრავალი წყარო: ამბროსიოს და დელა ვალეს ჩანაწერები, ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია „ქეთევან ქართველი“, რობერტო გულბენკიანის მიერ გამოქვეყნებული ცნობები; ა. ბიბიჩაძის, ზ. ავალიშვილის, თ. ნატროშვილის, ილ. ტაბაღუას ნარკვევები, შ. რევიშვილის წინასიტყვაობა ქართ. გამოცემისათვის და სხვ. ქეთევანი საქართველოს ეროვნ. სიმტკიცის სიმბოლოა.

ქორწინება საეკლესიო — ქრისტ. ეკლ-ის ერთ-ერთი 7 საიდუმლო, რ-იც უზრუნველჰყოფს ციური მადლის ჩარევით მამაკაცისა და დედაკაცის მარადი-

ულ კავშირს, სიკვდილამდე სიმტკიცესა და ერთგულებას ცოლ-ქმარს შორის (ცხადია, იგულისხმება უღალატო ერთგულება, მემკვიდრეთა კანონიერება და ა. შ.). ღვთისმეტყველთა მტკიცებით, ესაა უცილობელი პირობა ზნეობრივი სიწმინდისა, ქალის აპაღლებისა და მამაკაცთან თანასწორობისა. სინამდვილეში, როგორც მუდამ და ყველგან, ეს პრინციპიც და ზნეობრივი ნორმებიც ხშირად ირღვევა, განქორწინებაც სოციალურ უბედურებად რჩება და ქალიც, მაგ. მეფის დროს, მორჩილ მონად ითვლებოდა ქმრის წინაშე. უქორწინოდ შობილი ბავშვი უკანონოდ ითვლებოდა. სხვადასხვა სარწმუნოების პირთა ქორწინება იკრძალებოდა. ეს კანონი ჩვენში აღარ მოქმედებს.

ქრისტე, იესო (ბერძ. ხრისტოს—ცხებული, მესია) — „დავითის ძე", „ძე კაცისა", „იაკვეს მონა", მაცხოვარი, მხსნელი, სამების (ებრ. „მაშიახ") მეორე წევრი, ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო რელიგიის — ქრისტიანობის დამფუძნებელი (ისლამის, ბუდიზმის, ინდუიზმის გვერდით). შვა მარიამმა, უბიწო ქალწულმა, რ-საც წინასწარ ანგელოზმა ახარა უფლის ნება, მოელინა სულიწმინდა მტრედის სახით და ბეთლემის ქვაბში შვა მესია. მაძობილმა იოსებმა ეგვიპტეში გაარიდა ღვთისმშობელთან ერთად ებრაელთა ტირანს პეროდეს, რ-მაც იმ ღამეს შობილი უთვალავი ყრმა გაჟლიტა, რათა ძე ღვთისა (ისრაელთა მეფე) მოესპო. ის კი გადარჩა, გაიზარდა, დაბრუნდა, იქადაგა პალესტინაში ახალი მოძღვრება, გაირინა მოწაფეები (12 მოციქული), განიცადა სინედრიონის სასტიკი დევნა, ბოლოს შეიპყრეს (იუდას ღალატით), აწამეს, ეკლის გვირგვინი დაადგეს, ჯვარი აზიდვინეს გოლგოთის გზაზე და იმ მთაზე (იერუსალიმთან, სადაც ახლახან ზეიმით შეეიდა) ჯვარს აცვეს ორ ავაზაკთან ერთად, სამი დღის შემდეგ კი საფლავი გაიხსნა, ცად ამაღლდა. მთელი ეს ამბები მოთხრობილია ოთხ კანონიკურ სახარებაში (მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანესი). ძე ღვთისა, მირონცხებული იესო მდინარე იორდანეში მონათლა იოანე ნათლისმცემელმა, ქადაგებდა სიკეთეს, სამართლიანობას, მოყვასის სიყვარულს, ახალ სარწმუნოებას. ჯვარცმის წინ, მთაზე ლოცვის დროს უფალს შეეკედრა, ამაცილე „სასუმელი ესეო", მაგრამ ანგელოზმა ფიალა ახლოს მიუტანა, და მან ფსკერამდე დაცალა, უდრტვინველად შეეგება სინედრიონის სასტიკ განაჩენს, „სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი", იტვირთა ცოდვილთა ტვირთი, რისთვისაც უწოდებენ მესიას, მხსნელს, მაცხოვარს. მუდამ იყო დავა იმის თაობაზე, ღმერთის საწყისი სჭარბობს იესოს პიროვნებაში თუ ადამიანისა (ნ. მონოფიზიტობა—ძხოლოდ ღვთაებრივი ბუნების მტკიცება, და დიოფიზიტობა—ორბუნებოვანება იესოსი). მკრეხელურია თალმუდის და ზოგი სხვა ტექსტის თვალსაზრისი. ზოგი მწერ. I საუკუნისა არ ახსენებს, ზოგი კი თვლის, რომ უბრალოდ წმინდანი კაცი იყო (იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა ძველენი"). იუდეველ-ქრისტიანები იოსების ძეად რაცხდნენ. ერთნი იესოს ისტორიულ პიროვნებად არ თვლიან, მეორენი რაც დრო გადის, უფრო დაბეჯითებით გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ იესო ნამდვილად არსებობდა, რომ ის თანდათან ვითარდებოდა ადამიანიდან ღვთაებამდე, სერიოზულად იკვლევენ საამისო საბუთებს (ქრისტეს ჯვარი, გარდამოხსნის აღმოჩენა და ა. შ.). ქრისტიანებს სწამთ იესოს

მეორედ მოსვლა, როცა გაიმართება საშინელი სამსჯავრო და მაცხოვარი განიკითხავს, თავთავის ადგილს მიუჩენს ცოდვილებსა თუ უცოდველთ, დაამყარებს წმინდანთა ათასწლოვან მეუფებას (ნ. პილიაზმი). ერთ-ერთი მთავარი საკითხია ქრისტეს პიროვნების, ვინაობის პრობლემა. ბიბლიის მეცნიერ-კომენტატორები ერთხმად ამტკიცებენ, რომ სასწაულები, რომლებიც ქრისტეს მიეწერება, აგრეთვე გარემოებანი, რომლებშიაც ისინი ხდებოდა, — დაბადება, მოღვაწეობა, ცდამაღლება, — ძველი და ახალი აღთქმის ურიცხვი ავტორის მონაგონია, ხოლო ქრისტეს პიროვნების საკითხში ორი მთავარი მოსაზრებაა: ისტორიული, რ-ის მიხედვითაც არსებობდა ნიჭიერი და გავლენიანი მქადაგებელი, რ-იც შემდეგ მოწიფეებმა გააღმერთეს; მეორე მოსაზრება — მითოლოგიური სკოლისა ამტკიცებს, რომ თავდაპირველი ღმერთი თანდათან ადამიანურობას დაუკავშირეს.

თავისთავად ქრისტიანობას ნიადაგი მოუმზადა ბიბლიურმა აღთქმამ, აბსოლუტურად სამართლიანი და ყოვლისშემძლე მესიის მოვლინების რწმენამ, რაც ხორცს ისხამს ქრისტეს შობით. ესაა „დავითის ძე", „უფლის ძე", რ-იც კაცთა მოდგმის შეცოდებას ემსხვერპლა. ეს სახე, ასე ღრმად და ყოვლისმომცველად დამუშავებული ლიტერატურასა და ხელოვნებაში („ქრისტიადა", „მესიადა", ღვთაებრივი კომედია, „დაკარგული სამოთხე" და სხვ., აღორძინების და შემდგომი ხელოვნება, მუსიკა...), ღვიძლი შვილია მითისა, ისტორიისა და სოციალური ძვრებისა, რ-თაც ის განაპირობეს.

ქრისტეს ტრაგედია — ქრისტიანული რელიგიის დამფუძნებლის იესო ქრისტეს მთავარი ტრაგედია იყო არა მისი ვნება, გვემა და ჯვარცმა, არამედ მისი მძიმე კონფლიქტი თავის მშობლიურ ებრაელ ხალხთან (იესოს დედა მარიამი იყო ებრაელი ქალი, თვითონ იესომაც მთელი ცხოვრება გაატარა ებრაელთა შორის, მათვე აიყვანეს გოლგოთაზე). მას არ აპატიეს, რომ თავს უფლის ძედ თვლიდა, სრულიად ახალ სარწმუნოებას ქადაგებდა, გააძარტივა ბევრი რამ ძველი რელიგიიდან და ა. შ. თანდათან შკვიდრდება აზრი, რომ იესო იყო ებრაელთა წრიდან გამოსული ენერგიული მქადაგებელი, რომელსაც თითქოს არც დაუსახავს მიზნად სრულიად ახალი რელიგიის შექმნა („ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად სჯულისა, გინა წინასწარმეტყველთა. არა მოვედ დახსნად; არამედ აღსრულებად... გინა რქა ერთი არა წარეჰხდეს სჯულისაგან და წინასწარმეტყველთა", მათე, 5, 17 — 18). მაგრამ იესოს დოგმატიკა და კულტი, მისი რეფორმა და სიახლე სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ებრაელ ღვთისმსახურთათვის, რომელთაც არაფრის შეცვლა არ სურდათ. განსაკუთრებით აშმაგებდა მისი კაცთმოყვარული და განახლებული სარწმუნოება სადუკეველთ, ფარისეველთ და მწიგნობართ, რომელთაც ის ცრუმოსახელე და შატყუარა ეგონათ. ქრისტე გრძნობდა ატმოსფეროს დაძაბულობას, აღიარებდა: ბაგე მათი მახლობელ არს, გული მათი კი განშორებულ არსო. წინააღმდეგობა თავს იჩენდა ყველა პუნქტში. ებრაელთათვის შაბათ დღეს ყოველგვარი შრომა დანაშაულად ითვლებოდა, ქრისტესათვის კი შაბათი კაცისათვის დაიბადა, არა კაცი შაბათისათვის. ებრაელებს მესიის იდეა დიდი ხანია ჰქონდათ, მაგრამ მათ სჭირდებოდათ მესია ყოვლისშემძლე, ღვთაებრივი, რომელიც მძიმე ცხოვრებას შეუმსუბუქებდა,

ქრისტე კი რა მესია იყო? „ღარიბი დურგლის შვილი, არაფრისმქონე, უარაღო და ძონძებში გამოხვეული, დასაძინებლად თავის მისადები ადგილიც რომ არსად მოეძევებოდა.. ასეთ მესიას როდი ელოდნენ ებრაელები" (თ. ფანჯიკიძე). ქრისტეს მოძღვრების სინატიფე და შორს გამჭრელობა მათ ვერ გაიგეს, სინედრიონმა გადაჭრით მოითხოვა „ებრაელთა მეფის" დასჯა, რაც პილატემ მათივე ზეგავლენით ფაქტიურად დაადასტურა. ისრაელთა ღვთისრჩულობის მოძღვრებას წინ აღუდგა ქრისტიანული „არა არს ჰურიაება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება... ყოველნი ერთ ხართ ქრისტეს იესოს მიერ" (პავლე გალატელთა მიმართ 3,28). აქედან ჩანს, რომ ქრისტე საყოველთაო მხსნელია ადამის ტომისა და ცალკე თავის პატარა ერს ვერ აამაღლებდა ყველა ხალხზე. ესეც აუტანელი იყო ისრაელთათვის. ამდენად ქრისტე საკუთარი ხალხის ინტერესებს შეეჯახა. მღვდელმთავრებმა არ მიიღეს ასეთი მესია და სცადეს მისი გზის გადაკეტვა, რასაც ქრისტეს ჯვარცმით ვერ მიაღწიეს, მხოლოდ საქმე გაირთულეს: არც ქრისტიანებმა აპატიეს თავიანთი მაცხოვრის ჯვარცმა და ქრისტეს ტრაგედია იქცა საყოველთაო ტრაგედიად. მღვდელმთავარ კარაფას ცნობილი სიტყვები: ჯობს ერთი კაცი მოკვდეს ერისათვის, ვიდრე ერი ერთი კაცისთვისო, თავისთავად ბრძნული იყო, მაგრამ მათი "შედეგი იყო ტრაგედია და არა სიბრძნე. ქრისტე წინ აღუდგა მოსეს კანონს, და ის დასაჯეს ისრაელთა მღვდელმთავრებმა, არა ტიბერიუსმა და პილატემ, არა აუცილებლობამ, რომ კაცობრიობა უნდა ეხსნა შეცოდებისაგან (ამ შემთხვევაში ებრაელები მხოლოდ შემსრულებლები გამოდიან უფლის ნებისა). ასეა თუ ისე, „იუდეველთა რელიგიამ კედელივით აისხლიტა ახალი მოძღვრება", მათში ეერასოდეს ვერ ჰპოვა გავრცელება ქრისტიანობამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მონათლულ ებრაელებს. ქრისტე არ მიიღო მისმა ძმობელმა ერმა. ეს იყო მისი ტრაგედია, რასაც გოლგოთაზე წამებამ მხოლოდ ბოლო წერტილი დაუსვა.

ქრისტეშობა—ნ. შობა უფლისა.

ქრისტიანობა — ქრისტეს მოძღვრება, ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო რელიგია, ჩაგრულთა და დაღდასმულთა მაიმედებელი, რომ საიქიო სასუფეველში ცხოვრებას მოიპოვებენ, თუ ამქვეყნად ღვთისმოსავნი, მორჩილნი და მომთმენნი იქნებიან, ილოცებენ და ადიდებენ უფალს. შეიქმნა I ს-ში რომის პროვინციებში, როგორც ჩაგრული ხალხთა სულისკვეთების შესატყვისი, ხანგრძლივი ბრძოლით მოიპოვა მსოფლიოში უდიდესი და რიცხვმრავალი რელიგიის ავტორიტეტი (1981 წ. მონაცემებით ქრისტიანთა რიცხვი 998 მილიონი (თითქმის 1 მილიარდი — დედამიწის ოთხნახევარი მილიარდი მცხ-დან), მუსულმანთა — 592 მილ., ინდუსები — 481 მილ., ბუდისტები — 256 მილ.). ქრისტიანობის დამუშავებელია ღმერთკაცი ქრისტე, მესია (ნ.). ებრაული და ლათინური ენების წყალობით რომის უზარმაზარ იმპერიაში იოლად ვრცელდებოდა ახ. მოძღვრება. გადმოცემით, თომა ქადაგებდა ინდოეთში და სპარსეთში, ანდრია კავკასიაში და ბალკანეთში, მარკოზი ეგვიპტეში.. პეტრე და პავლე 64 წ. აწამეს რომში. მოციქულთაგან უკანასკნელი გარდაიცვალა იოანე (ეფესოში — 100 წლისა).

მოციქულები შეცვალეს ეკლესიის მამებმა. მათაც დეკნიდნენ. იოანეს

მოწაფე ეგნატე 107 წ. რომში მხეცებს დააგლეჯინეს. იქვე აწამეს პოლიკარპე.

ეკლესიის გარშემო გაერთიანდნენ ოჯმობანი და ებრძოდნენ ერესებს. ქრისტ. თემთა ისტორია ცალკე კვლევის საგანია. პირველ ქრისტიანთა ტვირთი მძიმე იყო. დევნიდნენ, დასცინოდნენ, კაციჭამიობას სწამებდნენ, პოლიტ. ბრალდებებს უყენებდნენ. ტრაიანემ შეკრება აუკრძალა. ტაციტი სასტიკად ესხმის თავს. შემდეგ გამოჩნდნენ სერიოზული დამცველებიც (ტაციანი, ტერტულიანი, ავგუსტინე...). წმ. ავგუსტინემ მოძღვრებით სახელმწიფოზე საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს სახელმწიფოში. კონსტანტინემ ცნობილი სასწაულის შემდეგ იწამა და ნება დართო ღვთისმსახურებისა, ასე თანდათან იკელევდა გზას ახ. ძლიერი პუმანური მოძღვრება.

. ჩვენს ქვეყანაში, გარდაქმნისა და საჯაროობის პუმანურ ატმოსფეროში, ყოველ სარწმუნოებას თავისუფალი ღვთისმსახურების ნება ეძლევა. გამოდის უამრავი ქრისტ-ული ლიტერატურა, იბეჭდება ბიბლია, ქვეყნდება უთვალავი დოკუმენტი, ანგარიში, ინფორმაცია. ამ საქმეში დიდ მუშაობას ეწევა ქართ. ქრისტ-ული სარწმუნოების მესვეურთა, ეროვნულ მოღვაწეთა ჯგუფი კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით. გამოდიან პრესაში, ტელევიზიაში, რადიოში, და ეს თავისუფლებაც დროის მონაპოვარია.

ქართველებმა ყველა მეზობელ ხალხზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქრისტიანობის ისტორია საქართველოში III საუკუნის დამდეგიდან იწყება. ალ. ანინსკის გამოკვლევითაც, სომხების მოქცევა 396 წლის შემდეგ მომხდარა; თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობით — ჯერ იბერიელები მოქცეულან, მერე სხვა ხალხები; გერმანელ მეცნიერთა ახალი ცნობით, ქრისტიანობა საქართველოში ფეხს იკიდებს 31 წლიდან, ხოლო ოფიციალურ თარიღად ცნობილი 326 წელი სარწმუნოების ოფიციალურად გამოცხადებას ეხება, რაც ყველა ქვეყანაში უფრო გვიან ხდებოდა.

ყოველივე ამას უშუალო კავშირი აქვს სვეტიცხოველთან. ორივე მოვლენა ლეგენდებთანაა დაკავშირებული.

ქრისტიანობის შემოღება, ნათლისღება უბრალო რელიგიური აქტი როდი იყო. ამით ხალხები, ტომები და ქვეყნები არსებითად ებმებოდნენ დიდ მსოფლიო-ისტორიულ მოძრაობაში, ახ. საყოველთაო კულტურის ფერხულში, რაც დაკავშირებულია დიდ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებთან, თვისობრივად ახალ დახვეწილ და უძლიერეს სარწმუნოებასთან.

ნათლისღება, ახ. რელიგიის ოფიციალურად დამკვიდრება ერთბაშად არ მომხდარა, ის დაკავშირებული იყო მრავალ სიძნელესთან, სხვადასხვა ხასიათის ბრძოლასთან, ინტერესთა ჭიდილთან. მიუხედავად შედეგებისა, ეს იყო თავის დროსე პროგრესული და მნიშვნელოვანი მოვლენა ერების ცხოვრებაში და ამას ახ. დროში ახლებური გაშუქებაც ეძლევა.

რუსეთში ქრისტიანობის დამკვიდრების 1000 წლისთავი, რაც 1988 წ. მოსკოვში, კიევში და სხვა დიდ ქალაქებში ზეიმით აღინიშნა, ცოცხალი მაგალითია იმისა, რომ ქრისტეს მოძღვრების გავრცელებას გულგრილად არ შეხვედრია არც ერთი წყობა და რეგიონი. ამით საფუძველი ჩაეყარა ახ. კონტაქტებს, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას.

„შუშანიკის წამების“ ბერძ. გამოცემის წინასიტყვაობაში (1948 წ.) წერია, რომ ქართველებმა ქრისტიანობა IV ს-ის გარიჟრაჟზე მიიღეს; ლ. სანიკიძის დაკვირვებით (სტატია ნინო განმანათლებელზე და სხვ.), ეს მოხდა 330 წლის მახლობლად, ხოლო კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, თვით ი. ჯავახიშვილი თითქმის ერთნაირად ამტკიცებენ, რომ ოფიციალურად საქ-ში ქრისტიანობის შემოღება მოხდა 330, 335 ან „337 წლის მახლობლად“.

ამრიგად, საქ-ში ქრისტიანობის დამკვიდრებას 1600 წლის ისტორია აქვს და ამას გამორჩეული მნიშვნელობა ეძლევა იმითაც, რომ მუსულმანურ ოკეანეში პათმოსის კუნძულივით მარტოდ შთენილი პატარა ქვეყნისათვის ქრისტიანობა იქცა დროშად, რომლითაც თავის ფიზიკურ და ინტელექტუალურ არსებობას ინარჩუნებდა საუკუნეების განმავლობაში.

ქრისტიანული დღესასწაულები — ქრისტ. კულტისაგან განუყოფელი დღეები, რომელთაც უკავშირებენ რელიგიის ისტორიის, ღმერთისა და წმინდანთა ცხოვრების ღირსშესანიშნაე მოვლენებს. საერთოდ, რელიგიური დღესასწაულები უძველეს დროსაა წარმოშობილი—ტოტემიზმის, ანიმიზმის, მაგიის ფორმებთანაა დაკავშირებული, ქრისტ. დღესასწაულები კი ბევრი რამით ემსგავსებიან სხვა უძველეს საკულტო დღესასწაულებს, მაგრამ შედარებით ახალია და უშუალოდ ქრისტეს, ღვთისმშობელს, სულიწმინდას უკავშირდება. გამორჩეულია უდიდესი დღესასწაულები, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და საეკლესიო დღესასწაულები. საქრისტიანოს უდიდესი დღესასწაულის, აღდგომის გარდა აღინიშნება 12 უდიდესი დღესასწაული: მოძრავნი — 1. ბზობა ანუ დიდებით შესვლა იერუსალიმში იესო ქრისტესი (სხვადასხვა დროს: 1981 წ. 6(19) აპრილს); 2. ამაღლება იესო ქრისტესი (1981 წ. — 22 მაისს ძვ. სტ.); 3. სულთმოფენობა, სულიწმიდის გარდამოსვლა, სამება (1981 წ. — 1 ივნისს ძვ. სტ.); უძრავნი — 4. ნათლისღება ანუ განცხადება უფლისა — 6 (19) იანვარს; 5. მირქმა (მიგებება ყრმისა) — 2 (15) თებერვალს; 6. ხარება — 25 მარტს (7 აპრილს); 7. ფერიცვალება იესოსი —6 (19) აგვისტოს; 8. მიძინება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა — 15(28) აგვისტოს; 9. შობა ღვთისმშობლისა — 8 (21) სექტემბერს; 10. ჯვართამაღლება (მსოფლიო ამაღლება ჯვრისა) — 14 (27) სექტემბერს; 11. ტაძრად მიყვანება მარიამისა — 21 ნოემბერს (4 დეკემბერს); 12. ხორციელად შობა უფლისა იესოსი — 25 დეკემბერს (7 იანვარს). იხ. ეს სტატიები.

დიდი საეკლესიო დღესასწაულები: 1. წინადაცვეთა უფლისა — 1 (14) იანვარს; 2. იოანე ნათლისმცემლის შობა — 24 ივნისს (7 ივლისს); 3. პეტრე-პავლობა, მოციქულთა დღესასწაული — 29 ივნისს (12 ივლისს); 4. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა — 29 აგვისტოს (11 სექტემბერს); 5. მცხეთობა (სვეტიცხოვლობა), საფარველი ღვთისმშობლისა — 1 (14) ოქტომბერს.

საეკლესიო დღესასწაულები ქართულ ეკლესიაში: შიომღვიმისა, ლაზარეს აღდგინება, ივერიის ღვთისმშობლის ხატის განცხადება, თამარისა, ათონელთა, დავით გარეჯელისა, სამების და სხვ. (15).

„ქრისტიანული მეცნიერება“ — პროტესტანტული ორიენტაციის რელიგ. ორგანიზაცია, შეიქმნა შეერთებულ შტატებში XIX ს-ის 70-იან წლებში,

დამფუძნებელია ეინმე მერი ბეიკერ ედი (1821 — 1910), რ-იც ქადაგებდა, რომ ყოველგვარი სნეულებისაგან მორჩენა შესაძლებელია მხოლოდ ქრისტ. სარწმუნოების მეშვეობით. უარყოფს მედიცინის ყოველგვარ ჩარევას, რადგან ეს თითქოს სენისა და სიკვდილის არასწორ გაგებას ემყარება. ყველა უბედურების მიზეზად თვლის მატერიის არსებობის მცდარ წარმოდგენას. კაცმა ის უნდა უარყოს, ილოცოს და სწამდეს. მატერია ილუზიაა, ასევე ავადმყოფობა, ტანჯვა და სიკვდილიც კი, "შედეგები მისი რწმენისა. ერთადერთი რეალობა, ყოველი არსის ჭეშმარიტი საფუძველია გონება, აზრი, სული. ედი იმოწმებს სახარების იმ ადგილს, სადაც იესომ სნეული მოარჩინა, აშასთან დაეყრდნო სნეულის სულზე განსაკუთრებული ზეგავლენის ძალას. მერე ედის აზრები ჩამოყალიბებულია მის წიგნებში „მეცნიერება და ჯანმრთელობა" (1875 წ.), „დიდის ერთიანობა და სნეულების არარეალობა" (1887 წ.) და სხვ. 1879 წ. ბოსტონში დააარსა „ქრისტე-მასწავლებლის პირველი ეკლესია". მისმა მიმდევრებმა განაგრძეს მისი საქმიანობა, სწავლობენ მის აბსურდულ წიგნებს, კითხულობენ ჰიმნებს და ბიბლიას.

ქრისტიანული პარტიები — პოლიტ. ხასიათის პარტიები კლერიკალებისა, ემყარებიან ქრისტიანობის სოციალურ პრინციპებს. შეიქმნა XIX ს-ში და მიზნად ისახავდა დემოკრ. იდეების წინ-გ ბრძოლას. ბევრგან ჰგვანან ქრისტიანულ დემოკრატებს, იცავენ კერძო საკუთრებას, კლასთა ბრძოლას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბევრ ქვეყანაში წამყვანი როლი დაისაკუთრეს (საფრანგეთში, იტალიაში და სხვ.). 1945 წ. დას. გერმ-ში შეიქმნა ქრისტ.-დემოკრ. კავშირი, კათოლიკეთა და პროტესტანტთა თავისებური ლიგა. ეითომ ეს იყო „მესამე ძალა", კომუნიზმსა და კაპიტალიზმს შორის მდგარი. სინამდვილეში აიღეს ანტიკომუნისტ. კურსი, რადიკალ. ცვლილებების მოთხოვნით ხარკს უხდიდნენ მასების სულისკვეთებას, ცივი ომის, ნეოკოლონიალიზმის მქადაგებლებად იქცნენ. გდრ-ში დაადგნენ მუშათა და კომ. პარტიებთან თანამშრომლობის გზას.

ქრისტიანული საიდუმლოებანი — ნ. საიდუმლოებანი.

ქრისტიანული სოციალიზმი — რელიგ.-პოლიტ. მიმდინარეობა, რ-იც ცდილობს შეაკავშიროს ქრისტიანობა და სოციალიზმი, „გათქვიფოს" სოციალიზმი ქრისტიანობაში. ქადაგებენ, რომ ქრისტიანობაში, სახარებაში პირველად ჩაისახა სოციალიზმის იდეები, პირველად იქადაგეს ევანგელისტებმა სოციალური თანასწორობა: მხოლოდ ქრისტიანობას შეუძლია სოციალური უთანასწორობის მოსპობა.

ქრისტიანული წელთაღრიცხვა — ახალი წელთადრიცხვა, რაც დაკავშირებულია ქრისტეს დაბადებასთან. პირველი ხუთი საუკუნის განმავლობაში ეს თარიღი არ იყო ცნობილი და დადგენილი. ეს მსოფლიო მნიშვნელობის თარიღი თავისი პირობითი გამოანგარიშების შედეგად დაადგინა რომში მცხოვრებმა ბერმა დიონისიოს ექსიგუუსმა (დიონისე უმცროსმა, დაახ. 500 — 545), რომელიც საეკლესიო სამართლის ძეგლებზე მუშაობდა. 525 წ. შეადგინა აღდგომის დღესასწაულების კალენდარი და წინადადება შეიტანა გამოცხადებულიყო ქრისტეს დაბადების დღედ რომის დაარსებიდან გასული 754 წ. 25 დეკემბერი, რაც მალე საყოველთაოდ მიიღეს და გაავრცელეს. მიწათ-

მოქმედი ხალხები ძველთაგანვე დეკემბერს თვლიდნენ თავიანთი ღმერთების დაბადების დროდ, რასაც უკავშირებდნენ ბუნიობის დღეს, რადგან ვერ ხსნიდნენ წლის დროთა ცვალებადობას. რომის დაარსებიდან მიღებული წელთაღრიცხვა საქრისტიანოში შეცვალა ქრისტეს დაბადების წლით დაწყებულმა ეამთააღრიცხვამ, რაც ჯერ ხალხმა მიიღო.

ქტიტორი (ბერძ. დამფუძნებელი: ქტიტსო—ვაშენებ) — ტაძრის აშენებელი, დამფუძნებელი ან გამგებელი. ქართ. კედლის მხატვრობაში ქ-თა ასახვას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს (თამარის და ლაშას სახეები ბერთუბნის ეკლესიაში, დავითისა გელათში და სხვ.).

ქურუმი (ლათ. პონტიფექს, ბერძ. ჰიერევს, გერმ. პრისტერ, რუს. ერეც) — კულტის მსახური, უფრო პოლითეისტურ რელიგიებში. წინაანდასობ. სახეშივე ასრულებდა საკულტო წესებს და ჰქონდა [illegible]ინსაკუთრ. პრივილეგიები, პოლიტ. ძალაუფლება (ძვ. ეგვიპტელთა ფარაონე [illegible] და უზენაესი ქურუმნი, სახელმწიფოს მმართველნი ძვ. შუამდინარეთში, მექსიკაში). ამონს ჰყავდა ძლიერი ქურუმი, შუმერთა უზენაეს ქალღმერთ ნანას ქურუმი პირველი ქალი იყო ქვეყნისა. ეს არ იყო მარტო რელიგ. ტერმინი, მითოლოგიურ სიუჟეტებშიც დიდ როლს თამაშობდა. აპოლონის ქურუმი იყო ლაოკოონი; ქურუმები ჰყავდათ პოსეიდონს, არესს, ცერერას; ათენას და არტემიდეს ქურუმ ქალებს ქალწულობის აღთქმა უნდა დაედოთ; დიდად პატივდებულნი იყვნენ რომაელთა ვესტალები; ქურუმები იყვნენ იუგენია, კასანდრა. დიონისეს ქურუმი სიბრძნის სიმბოლოც იყო, აფროდიტესი — სიყვარულის ერთგული. ხშირად ქურუმთა გაერთიანება მძლავრ კორპორაციას ქმნიდა, მსხვერპლის შეწირვის გარდა მრავალ სხვა სახელმწიფოებრივ საქმეებსაც უძღვებოდა. თანამედრ. რელიგიებში მღვდელსა და ქურუმს შორის პრინციპული განსხვავება არაა და ეს ჩანს ტერმინებითაც: მართლმადიდებელთა მღვდელი—ეგივე ეკერეი, ქურუმი, იგ. რომის პაპის ერთ-ერთი ტიტული; ლათ. პონტიფექს მაქსიმუს (უზენაესი ქურუმი, პაპი).

ღ

ღვთივსულიერება — ღვთისშთაგონებული, მადლცხებული, ცეცხლი ძალით ნაკარნახევი რამ, ითქმის საღმრთო წიგნებზე, ძირითადად ძველ აღთქმაზე, რ-იც თითქოს უფლის შთაგონებით დაიწერა. ასეთად ითვლება ყურანიც. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა ტექსტი ფრიად ძიწიერი, მრავალი შეცდომისა და წინააღმდეგობის შემცველია, თუმცა, ცხადია, ადამიანის, შემოქმედებითი გენიის ნაწარმოებია.

ღვთისგლახა — ნ. სალოსი.

ღვთისმაძიებლობა — რელიგ.-ეთიკოს. მიმდინარეობა რუსეთში XX ს-ის დასაწყისში (ბოგოისკატელსტვო), განსაკუთრებით გაძლიერდა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. როგორც რეაქციული მოძრაობა, რომლის მიზანიც იყო „ძისტიკის აღდგენა", რელიგ. მსოფლმხედველობის აღდგენა

(ლენინი). მისი წარმომადგენლები იყვნენ უილოსოფოს-იდეალისტები ნ. ბერდიაევი, ს. ბულგაკოვი, დ. მერეჟკოვსკი, ზ. გიპიუსი, ნ. მინსკი. ქადაგებდნენ, რომ რუს ხალხს დასაბამიდან მოსდგამს რელიგიურობა, რწმენა, სიკეთის ძიება, რომ ეს განწყობილება უნდა გაძლიერდეს, გავიდეს მასებში.

ღვთისმეტყველება — თეოლოგია (ბერძ. თეოს—ღმერთი, ლოგოს — სიტყვა; მოძღვრება), მოძღვრება ღმერთზე და ღვთაებრივზე, კულტზე, ისტორიაზე და ა. შ. განიხილავს ღმერთის რაობას, თვისებებს, ნიშნებს, ხასიათს, ქმნის ჩამოყალიბებულ, სისტემატურ მოძღვრებას ღმერთზე; კომპლექსი დოგმატიკის ჭეშმარიტებაზე, მორწმუნეთა და სასულიერეთა ცხოვრების წესებისა და ნორმების, რელიგ. ზნეობის მთლიანობა, დადგენილი ამა თუ იმ რელიგიის მიერ (ქრისტ., იუდაიზმი, ისლამი და სხვ.).

ქრისტ. ღვთისმეტყველ ის საფუძვლები ყალიბდებოდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველსავე საუკუნეებში მრავალგვარ ერესებთან და წარმართულ სარწმუნოებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. პირველ საუკუნეებში ეს იყო ძირითადად აპოლოგეტური ხასიათისა. მიზნად ისახავდა ახალი სარწმუნოების უპირატესობის დამტკიცებას ყველა სხვა რელიგიის წინაშე. თვალსაჩინო აპოლოგეტები იყვნენ იუსტინი, ირინეი ლიონელი, ტერტულიანი, კლიმენტ ალექსანდრიელი, ორიგენი და სხვები. შემდეგ „ეკლესიის მამებმა" — ვასილ დიდმა, იოანე ოქროპირმა, გრიგოლ ნისელმა, იერონიმემ, ნეტარმა ავგუსტინემ და სხვებმა დაამუშავეს საეკლ. დოგმატიკა, დატოვეს „რელიგიის მეცნიერების", სარწმუნოების სისტემა. დროთა მანძილზე ღვთისმეტყველებაში გამოეყო დარგები: ისტორიული თეოლოგია (რელიგიის წარმოშობის და განვითარების შემსწავლელი), სისტემატური (დოგმატიკა), პრაქტიკული (საეკლ. ცხოვრებისა), ბიბლიისა (ძველი და ახალი აღთქმის შემსწავლელი დარგი).

შუა საუკ-ებში ღვთისმეტყველება იდეოლოგიის გაბატონებულ ფორმად იქცა, როგორც მძლავრი პოლიტ. ბიმართულება. „ეკლესიის დოგმატები იქცა იმავე დროს პოლიტიკურ აქსიომებად, ხოლო ბიბლიურმა ტექსტებმა ყოველ სასამართლოზე მიიღეს კანონის ძალა" (ენგელსი). პროგრესის, მეცნიერებისა და კულტურის გზაზე ეს იქცა მძლაერ ბარიერად. მტკიცედ, წამების მუქარით იცავდა დედამიწის უძრაობის დოგმას, თვლიდა ჩვენს ცთომილს სამყაროს ცენტრად, ასაბუთებდა არსებული წყობილების უცვლელობას და აკანონებდა ძალადობას, როგორც ყოველი მოძალადე სისტემა მარად და ყველგან, დევნიდა თავისუფალ აზრს.

ყოველ რელიგიას აქვს თავისი ღვთისმეტყველური სისტემა. ქრისტიანობაში არჩევენ კათოლიკურ, მართლმადიდებლურ, პროტესტანტულ ღ-ს. ყოველ მათგანს აქვს ისეთი დოგმატიკური წარმოდგენები, რომელთაც სხვა (იგ. ქრისტიანული) ღ-ნი არა მარტო არ ცნობენ, არამედ გმობენ კიდეც. ყოველი სახეობა ღ-ისა ანტიმეცნიერულია, მხოლოდ ზოგს შეიძლება ახასიათებდეს უფრო რაციონალური ხერხები და საშუალებანი, სარწმუნოების დასაბუთებისათვის მომარჯვებული, სხვას კი პირდაპირ მისტიკური მეთოდები; ერთნი უფრო ორთოდოქსალურ გეზს მისდევენ, მეორენი ანგარიშს უწევენ შექმნილ ვითარებას და ეგუებიან ლიბერალურ კურსს, ახლებურ გააზრებას. ყოველ ღ-ს აქვს სხვადასხვა საგანთა (დისციპლინების) ჯგუფი, ყოველი მათგანი

ხსნის რწმენისა და კულტის გარკვეულ სახეობებს. აქ შედის: ძირითადი (აპოლოგეტური), დოგმატიკური, ეკლესიოლოგიური, ეგზეგეტიკური, საეკლესიო არქეოლოგია და ა. შ. მჭიდროდ უკავშირდება თეოლოგია აგრეთვე რელიგ. ფილოსოფიას. ამჟამად ღ. სიძნელეს განიცდის, რისი ნიშანიცაა უამრავი სექტა, აზრთა სხვადასხვაობა, ნაირნაირი თეოლოგ. კონცეფციები, უარის თქმა ზოგიერთ ტრადიციულ წარმოდგენაზე და სხვ.

ღვთისმსახურების წიგნები — საკულტო, საეკლესიო წიგნები, რომელთა მიხედვითაც ხდება ღვთისმსახურება. მართლმადიდებელ ეკლესიაში მთავარი ასეთი წიგნებია „ტიპიკონი", „წესდება", „კონდაკი", „პარაკლიტონი" (რვა ხმა, ბერძ. „ოქტოეხო", რვახმიანი საგალობლები), „თთვენი" (სვინაქსარი), „ლოცვანი", „კურთხევანი" (წიგნი) და სხვ. ყველა ეს წიგნი რუსული ეკლესიისათვის დაბეჭდილია ძვ. სლავურ ენაზე. ტიპიკონი ღვთისმსახურების წესების კრებულია; კონდაკი („სლუჟებნიკ") დღის ლოცვათა წესების, წირვის, წმინდანთა სიებისა; თთვენი — სამსახურისა (ღვთისმსახურების) — თვეების მიხედვით; კურთხევანი („ტრებნიკ") შეიცავს წესებს ნათლობის, მირონცხების, აღსარების, ქორწინების, ზეთის კურთხევის, სნეულთა ზიარების (7 საიდუმლოს) შესახებ. მასშია მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი საგალობლების ტექსტები, წყალკურთხევის ლოცვანი, ასევე ნათესთა, სახლთა, სკების, ნახირის, ტაძართა, საკურთხეველთა და ა. შ. პირადი ყარგებლობისათვის ცალკეა „ლოცვანი". ყველა მათგანის დანიშნულებაა კულტის მკაცრი რეგლამენტაცია. ქართ. ღ-ის წ. უძველესთაგანია („დიდი სვინაქსარი", 1042—44 და სხვ.).

ღვთისმშობლობა — რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, ჩაისახა 1905 — 1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მიზნად ისახავდა ახალი რელიგიის შექმნას — „უდმერთოდ". გამოხატავდა წვრილი ბურჟუაზიისა და ბურჟ. ინტელიგენციის შიშს სტოლიპინის რეაქციის წლებში. მის რიგებში აღმოჩნდა ზოგი მერეკვეი სოციალ-დემოკრატი (ბოგდანოვი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი, იუშკევიჩი, ვალენტინოვი და სხვ.). ქადაგებდნენ, რომ მარქსიზმი თავისებური ახალი რელიგიაა, თანასწორობას და ძმობას ქადაგებს და ქმნის „სოციალისტურ რელიგიურ შეგნებას". რელიგია წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც ზნეობრივი და ესთეტიკური იდეალი, რომელსაც უნარი აქვს ერთი დროშის ქვეშ გააერთიანოს ყაცობრობა.

ღვთისმშობლისა — ყოველი გალობის ბოლო მუხლი (ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ გალობათა), რომელსაც წინ უძღვის ფრაზა: „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე".

ღვთისმშობლის მიძინება — დიდი დღესასწაული, ნ. მიძინება.

ღვთისმშობლის საფარველი — ნ. საფარველი.

ღვთისმშობლობა, შობა ღვთისმშობლისა — ერთი ათორმეტთაგანი, საქრისტიანოს დიდი დღესასწაული, ჩამოყალიბებული ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში და აგებული გადმოცემაზე. რომ ცხოვრობდნენ კეთილმსახური მოხუცები—მეფის შთამომავალი იოაკიმი და მღვდელმთავართა მოდგმის ანა, შვილი არ ჰყავდათ და ანგელოზმა აუწყა ცოლ-ქმარს: ეყოლებათ ასული და უწოდეთ მარიამიო. სიხარულით ლამის გაახალგაზრდავებული

ანას ქართლა ეყოლა ასული და უწოდეს მარიამი. საეკლესიო ენციკლოპედიურ კალენდარში წერია, რომ ეს დღესასწაული შემოიღეს არა უადრეს V ს-ისა. ყოველად წმინდა ღვთისმშობელ მარიამის შობის დღედ დაწესებულია 8 (21) სექტემბერი. სახელი მარიამი ანალოგიებს პოულობს სხვა ძველ ქალღმერთთა სახელებში: ინდუსთა აგნის დედას ერქვა მაია, მირა (მარიამ) — მოსეს დედას. დღესასწაული დაკავშირებულია მიწათმოქმედების წარმართულ დღეობებთან, რ-თაც ახალი გაგება მიიღეს. კულტი დაიხვეწა და მიიღო საყოველთაო ხასიათი. დღესასწაული ქადაგებს წყალობის ძალას, უშვილო ცოლ-ქმრის ვედრების დიდ მნიშვნელობას, რადგან იოაკიმსა და ანას ასული მიეცათ სწორედ აღთქმის, ვედრების წყალობით („მოგვმადლე შვილი, უფალო"). ამით მორწმუნეს მოუწოდებენ მორჩილებისა და რწმენისაკენ.

ღვთისმეცნიერება — ნ. ღვთისმეცნიერება.

ღმერთი (ბერძ. თეოს, ლათ. დეუს, სანსკრ. ბჰაგა (კეთილდღეობა), აქედ. სლავ. ბოგ, პოლ. ზბოჟე, გერმ. გოტტ, ძვ. ჩრდ. რაგნაროკ—ღმერთების ბედი, ღმერთების დაისი; ინდ. „ვისაც შესთხოვენ", ან „ისაც მსხვერპლს სწირავენ") — ზებუნებრივი არსება, უფალი, უზენაესი, ღვთაება, რომელიც თანამედროვე გაგებით ფლობს უმაღლეს გონებას, აბსოლუტურ სრულყოფილებას, სამყაროს შემქმნელი და მმართველია, ყოველისშემძლე, უბრძენესი, უმშვენიერესი და უზენაესი, უკვდავი ძალა, რომელიც ერევა ან არ ერევა მის მიერ შექმნილ სამყაროს ცხოვრებაში. ქრისტ. გაგებით ღმერთია ჭეშმარიტება, სიკეთე და სილამაზე.

სხვადასხვა რელიგიებში ღმერთები არიან უკვდავნი და მოკვდავნი, მკვდრეთით აღდგებიან ან ქვესკნელშივე რჩებიან სულთა გამგებლად. მოკვდავებს შეუძლიათ მათთან ბრძოლა და გამარჯვებაც კი (ჩრდილოეთის დეკგშრთა და ბუშბერაზთა ბრძოლა ღმერთებთან; არესის დაჭრა ბრძოლის ველზე; ჰერაკლეს მიერ თანატოსის შებოჭვა, ჰადესის დაჭრა, მდინარის ღმერთის დამარცხება; ბუდას სიკვდილი; ქრისტეს ჯვარცმა და სხვ. მრ.).

ღმერთების შექმნა, თვით იდეა ღმერთისა პირველყოფილ ადამიანთა შორის აიხსნება მათი უძლურობით ბუნების ძალების წინაშე, ამ ძალთა განსახიერებით. „განსახიერებისაკენ მიდრეკილებამ შექმნა ყველგან ღმერთები" (ენგელსი). ბუნების მრისხანე ძალების გარდა ადამიანებს ჩაგრავდა არანაკლებ მრისხანე სოციალური ძალა — მონათმფლობელები, ფეოდალები, დამპყრობელები და ა. შ. ამ ძალებსაც თავიანთი ასახვა ელოდათ. „ფანტასტიკური სახეები, რომელნიც თავდაპირველად ასახავდნენ მხოლოდ ბუნების საიდუმლოებით მოცულ ძალებს, შემდეგ იძენენ უკვე საზოგადოებრივ ატრიბუტებსაც და იქცევიან საზოგადოებრივი ძალების წარმომადგენლებად" (ენგელსი). ბუნებისა და სოციალური ელემენტები ღმერთების სახით თანდათანობით ითქვიფება ერთიმეორეში და იქცევა მთელი რეალური სამყაროს განსახიერებად. ასე, ბერძენთა ღმერთი პერძესი ითვლება ერთდროულად ეაჭრობის, მეზღვრეტყველების, ტანვარჯიშის, კეთილდღეობის, ქურდების მფარველად და იმავე დროს სულთა გამცილებელია საიქიოში, ჰადესის სამეფოში. საიქიოსაც თავისი ღმერთები ჰყავდა.

ღმერთის ფანტასტიკური იდეის წარმოშობაზე ფიქრი უკვე ანტიკურ საუკუნეში დაიწყო. ძვ. წ. V — VI ს-ებში საბერძნეთში ჩაისახა ეჭვი, შეხედულება, რ-მაც შემდგომ განვითარება მიიღო ნატურალისტურ თეორიაში: ღმერთს უკავშირებდნენ ადამიანის უძლურობას, რომ აეხსნა ბუნების სტიქიური ძალები; ანთროპოლოგიური თეორია, რომლის მიხედვითაც ესაა გაღმერთებული პეროსების, გამოჩენილი ადამიანების კულტი, და ბოლოს სიცრუის თეორია, ე. ი. ქურუმთა მონაგონი ღმერთების შიშით ადამიანის მორჩილების უკვდავყოფა. ამ თეორიებს იზიარებენ შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ცნობილი მოაზროვნეები.

ძველ საბერძნეთში ტრადიცია და ტირანები უკვე სასტიკად ებრძოდნენ უღმერთობას, მცირე ეჭვიც კი სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა ყველას. ვინც ღმერთის უარყოფას შეეცდებოდა. ბრძენ სოკრატეს, რომელსაც ხალხი ლამის აღმერთებდა და მთელი საბერძნეთი აღიარებდა, როგორც სწორუპოვარ ბრძენს, ათენის სასამართლომ უღმერთობის ბრალდებით ციკუტას შხამის დალევა მიუსაჯა; მის მასწავლებელს ანაქსაგორეს სიკვდილი ელოდა, რომ პერიკლეს არ ეხსნა გაქცევით. ანაქსაგორე უარყოფდა ღმერთებს, ამით „ართმევდა ადამიანს საყრდენს, რადგან ღმერთი საყრდენია". ოღონდ ვისი? გაბატონებული წოდების, ქურუმთა.

ფრანგი მოაზროვნეები — ვოლტერი და პასკალი მხოლოდ ერთ რამეში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: რომ ადამიანს ენიჭება რწმენა და ღმერთი. ოღონდ მორწმუნე პასკალის აზრით, ადამიანის ერთადერთი მოწოდებაა ემსახუროს ღმერთს, უყვარდეს მხოლოდ ღმერთი, სხვა არსებები კი არ არიან სიყვარულის ღირსი (არც ადამიანი). ვოლტერი, პირიქით. მოითხოვდა: ადამიანს უნდა უყვარდეს ადამიანი, ოჯახი, მეგობრები, და არა აბსტრაქცია.

მორწმუნენი ათეისტებს ასეთ ლოგიკას უპირისპირებენ: „თქვენ ებრძვით ღმერთს, მაშასადამე ის არსებობს, და თუ არ არსებობს. რას ებრძვით?" შემდეგ. „ყველა ქურდი, მკვლელი, ამკლები — ურწმუნოა. რომელი ღმერთი სწამს მკვლელს, რომელიც მოჯასს დანას ჩასცემს, ბავშვს ნაქურდალი მანჯანით გადაუვლის და გარბის?" ნამდვილი რწმენა მხოლოდ ამაღლებულ ადამიანშია და მხოლოდ ამაღლებულ საგნებს ეხება. ღმერთები კი მეტად მრავალნი არიან, რომ ბრძენკაცმა ისინი გულწრფელად იწამოს. აქ იწყება ეჭვი.

ღმერთზე არსებული წარმოდგენის ფსიქოლოგიური საფუძვლები ლუდვიგ ფოიერბახმა ახსნა. მან დაამტკიცა, რომ ღ-ის იდეის შინაარსი მდგომარეობს ადამიანის არსების აბსოლუტიზირებულ წარმოსახვაში. XIX ს-ში ბატონობენ მითოლოგიური, ანიმისტური და სოციოლოგიური სკოლები, რ-ნიც სხვადასხვაგვარად წყვეტენ ღ-ის წარმოშობისა და რაობის საკითხებს. მითოლოგიური სკოლა (გრიმები, მიულერი) ამას ხსნის, როგორც სხვადასხვა კოსმიური მოვლენის (მზის, მთვარის, ცთომილების, ვარსკვლავთა მოძრაობის) განსახიერებას; ანიმისტური სკოლის წარმომადგენლები (ტეილორი, სპენსერი) ვარაუდობენ, რომ ღმერთი სულთა რწმენის ევოლუციის შედეგია; სოციოლოგიური სკოლის (დურკჰაიმის) აზრით ესაა თვით საზოგადოების გაღმერთება.

მეცნიერების განვითარებამ ღმერთების რწმენას თითქოს ნიადაგი გამი-

აცალა. ასტრონომი ლალანდი ამბობდა: „მე გამოვიკვლიე მთელი ცა და ვერსად ვიპოვე ღმერთის კვალი". მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანთა ცნობიერებაშიც ღმერთმა ადგილი დაკარგა. მისი რწმენა მრავალგვარად ვლინდება. ზოგი ღმერთს მიაწერს მოკვდავთა თვისებებს: შურს, ეჭვს, წყალობას, შურისძიებას. მორწმუნე გვეკითხება: „ღმერთს ბატკანი აღვუთქვი, ვერ შევასრულე. რას მიზამსო?" არაფერს: „თუ ღმერთია, შურს არ იძიებს, თუ არაა, რა უნდა გიყოს?" ფეხბურთელმა მარადონამ მსოფლიო ჩემპიონატზე ბერთი ხელით გაახვია ბადეში, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ოსტატმა განაცხადა: „დიახ, მე ხელით გავიტანე, მაგრამ ეს იყო ღმერთის ხელი". აქ ღმერთი სიტყვის მასალაცაა და რადაც რწმენის გამოხატულებაც. დავა გრძელდება. რელიგ. კრიზისი, რასაც იწვევს ღ-ის ნამდვილ მორწმუნეთა სიმცირე. დღის წესრიგში აყენებს განახლების, სარწმუნოების მოდერნიზების საკითხს. ჩვენი დევიზია: „ღმერთი არს სიყვარული" (წმ. იოანე).

ღმერთის არსებობის საბუთები — 6. მტკიცებანი...

ყ

ყველიერობა (მასლენიცა, გერმ. ფასტნახტსვოხე) — ქრისტ. დღესასწ., დიდმარხვის წინა კვირა, აღდგომის წინა დღეები, ზამთრის გაცილების სიმბოლიკა (ზამთრის გამოსახულების დაწვა და სხვ.). გავრცელ. იყო ძვ. სლავებში და სხვ., ამჟამად მისი წესები მოძველდა, სხვადასხვა სახით შემორჩა მრავალ ხალხში.; „განცხრომით ცხოვრება". დასაწყისი 2 თებერვალს (გაზაფხულზე). „ყველიერის და მარხვის ბრძოლა" — პიტერ ბრეიგელის 200-ფიგურიანი სურათი.

ყრილობები საეკლესიო — 6. საეკლესიო ყრილობები.

ყურანი, ყორანი (არაბ. ყურან — კითხვა) — მუსულმანთა წმინდა წიგნი, მაჰმადიანური რწმენით ღვთივშთაგონებული, ალაჰის მიერ ნაკარნახევი და მაშასადამე სიბრძნის წყარო, ყველა მორწმუნისათვის სავალდებულო მარადიული ჭეშმარიტებების კრებული. მისი დედანი თითქოს ალაჰის ტახტის ზემოთ ინახება. სინამდვილეში, ცხადია, ყურანსაც მიწიერი სარჩული აქვს და ადამიანთა დაწერილია, როგორც ბიბლია, თანაც მრავალი ავტორისა, იწერებოდა დიდი ხნის განმავლობაში, რასაც მოწმობს მისი სტილისტური და ლექსიკური მონაცემები. დაწერილია არაბულ ენაზე და შეიცავს 114 თავს (სურას). მათში ასახულია მუსულმანთა წარმოდგენები სამყაროს წყობაზე, კაცობრიობის მომავალზე, მოცემულია მრავალი შეგონება, დარიგება, წინასწარმეტყველება, მოძღვრება მეორედ მოსვლაზე, განკითხვის დღეზე, მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგომაზე და ტანჯვისათვის სიკეთილის შემდეგდროინდელ ნეტარებაზე, ძველ მითებზე, მორწმუნეთა უფლება-მოვალეობაზე, მორჩილებაზე, მოთმინებაზე, რითაც მართლდება ჩაგვრა, სოციალური უსამართლობა. ყურანის ზნეობრივი ნორმები გამომდინარეობენ კერძო საკუთრებისა და ასკეტური ინდივიდუალიზმის პრინციპებიდან. ქალისა და ოჯახის საკითხში გატარებულია ფრიად დრომოჭმული კურსი: ქალი მამაკაცთან შედარებით და-

ბალი რანგის არსებად ათვლება. რომელიც მამაკაცს მონურად უნდა ემორჩილებოდეს. ბევრი რამ არის ნასესხები ბიბლიიდან, კერძოდ ქრისტ. წიგნებიდან, გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის სახეები. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყურანი იწერებოდა VII — VIII ს-ებში, როცა ქრისტ. სარწმუნოება სრულიად ჩამოყალიბებული იყო თავისი დოგმატიკით, კანონიკური წიგნებითა და რიტუალებით. დღესაც ყ. უაღრესად მკაცრ რეაქციულ როლს ასრულებს, მორწმუნე მუსულმანი იქიდან იღებს თავისი მოქმედების სახელმძღვანელო წესებს, თელის ღვთივჩაგონებულ წიგნად, „არაბთა სამართლის წიგნად" (სურები 13, 37), რომლიდანაც გამოდიან სუნა და შარიათი (X — XI ს-ებიდან ითარგმნა სხვა აღ-ურ ენებზეც). ყ-ში მოთხრობილია წინასწარმეტყველთა ამბავი ადამიდან მუჰამედამდე, პატრიარქთა ცხოვრება: ნუქის (ნოეს), იბრაჰიმის (აბრაამის) და სხვათა. რაც შეეხება ქრისტეს, ყ-ში ისაა „ისა იბნ მარიამ", მარიამის შვილი, ალაპის გამოგზავნილი, მუჰამედის უშუალო წინამორბედი, ოღონდ არა „სამერთარსების" წევრი, არამედ მუსულმანთა წინასწარმეტყველის წინამორბედი. ალაპი კი „ერთადერთი ღმერთია". როგორც მხატვრული ნაწარმოები და ძეგლი, ყ-იც ძალზე მნიშვნელოვანია.

შ

შაბათი (ძვ. ებრ. შაბბატ „დასვენება", ბერძ. საბბატონ, ლათ. საბბატუმ, გერმ. საბბატ-შაბბეს, „შაბაში", რუს. სუბბოტა) — სიმშვიდის, დასვენების, სრული უმოქმედობის დღე იუდაიზმში. და ზოგ ქრისტ. სექტაში (მეშვიდე დღის ადვენტისტები, სუბოტნიკები — მეშაბათეები). დღესასწაული დაწესებულია ბიბლიური თქმულებით: ღმერთმა სამყარო შექმნა 6 დღეში და მეშვიდე დღე გამოცხადდა დასვენების დღედ: „და სრულ იქმნეს ცა და ქუეყანა, და ყოველი სამკაული მათი, და განასრულნა უფალმან დღესა მეექუსესა საქმენი თჳისნი, რომელნი ქმნნა, და განისვენა დღესა მეშვიდესა... და აკურთხა ღმერთმან დღე მეშვიდე" (შექმნათა, 2, 1 — 3). სინამდვილეში შ-ის დღესასწ. დაკავშირებულია მთვარის აღ-ურ კულტთან, კერძოდ ბაბილონურ შაბათთან—„ბადრი მთვარის დღესასწაულთან", თვის გარკვეულ დღეებს თვლიდნენ უბედურად, კეთილად, და საქმეს არ აკეთებდნენ ხელს. ბაბილონელებმა თაეის მხრივ შუმერებისაგან გადაიღეს, მერე ქანაანელებთან გავრცელდა და ბოლოს ტყეობაში მყოფმა ებრაელებმა გადაიღეს. თვის 7, 14, 21, 28 დღეები მთვარის ოთხ ფაზას შეესიტყვება და წინასწარმეტყველთა, ქურუმთა ჩაგონებით ითვლებოდა უქმე დღეებად, იაღვეს დღეებად. თალმუდის მიხედვით ორ ტრაქტატში (შაბბატი და ერუბინი) ჩამოთვლილია 39 სახის სამუშაო, რ-თა შესრულება იკრძალებოდა და ამ აკრძალვას კანონის სახე მიეცა, რის გამოც ქრისტეს ფარისეველებმა არაერთხელ დაუპირეს გასამართლება, რადგანაც ასეთ დღეებში კურნავდა სნეულებს და შიმშილის მოსაკლავად თავთავები მოწყვიტა.

შამანობა, შამანები (ევენკური შამან, საქან--მისანი) — პირველყოფილ

ადამიანთა და ჩამორჩენილ ტომთა უძველესი რელიგიური ფორმა, კულტის განსაკუთრ. სახეობა: ანიმისტური რწმენის ფართო წრე: რელიგიური ექსტასის. ალტკინების გამოხატვის უნარით გამორჩეული „ჯადოქრების", მისნების საჯარო გამოსვლა, მანჭვა-გრეხითა და დაუნაწევრებელი მეტყველებით ხალხის დაშინება, მისტიკური განწყობილების აღძვრა: ამასთან სხეულის უჩვეულო გრეხვითა და წამოძახილებით მორწმუნეების დარწმუნება, რომ ყოველივე ამას აქვს ზებუნებრივი მნიშვნელობა. შამანს ჰქონდა (და აქვს ახლაც გარკვეულ რეგიონებში) ეღარუნები, ბობღანი, შემაძრწუნებელი ხმაურის ამტეხი საგნები, უჩვეულო თავსარქმელი და ასეთი პრიმიტიული ღონისძიებით მოჰყავს ხალხი მორჩილებაში, შეუძლია სასიკვდილოდ გასწიროს უდანაშაულო ადამიანი, რომელსაც მანჭვით მიუახლოვდება და ხელს დაადებს. ამით გამოხატავს სულთა სურვილს.

ვიწრო გაგებით შ-ები ციმბირის ზოგი ხალხის პრიმიტ. რელიგიის მსახურებია, დღესაც მოქმედებენ ბურიატებში, იაკუტებში, ხაკასებში, ხანტებში, მანსებში, ვენცებში და სხვ., გავრცელებულია ჩინეთში, აფრიკის ტომებში. შ-ობის ნიჭი მემკვიდრეობითად ითვლებოდა.

შარიათი (არაბ. კანონმდებლობა) — ყურანისა და სუნის საფუძველზე შედგენილი კანონთკრებული მუსულმ. ქვეყნებში. შეიცავს სახელმწიფოებრივ, საოჯახო, მემკვიდრეობით, სისხლის სამართლის, ქორწინების, ლოცვის, მარხვის რეგლამენტაციას. თანახმად ჰაჯის და ჰასავათის შეგონებათა, მკაცრადაა გათვალისწინებული ყოველი წესი და კანონი, რაც ზეგარდმო ნაკარნახევადაა გამოცხადებული, იცავს გაბატონებულ წოდებას. ჩვენში მას კანონის მნიშვნელობა აღარა აქვს.

შაპსეი-ეაპსეი. იგ. აშურა (მეათე) — მუსულმანი შიიტების ბარბაროსული თვითგვემა, ერთიმეორის ხანჯლებითა და დანებით ჩხვლეტა, გიჟური პროცესია მითიური „დიდმოწამის" ჰუსეინის (მუჰამედის შვილიშვილის) ხსოვნის აღსანიშნავად, უფრო ზუსტად — ამ დღესასწაულის კულმინაციური წერტილი, როცა მორწმუნენი ერთიმეორეს და საკუთარ თავს ასახიჩრებდნენ. აქედან მიეცა ხალხურ მეტყველებაში აშურს ასეთი სახელი: „შაპსეი-ეაპსეი", რაც დამახინჯებული სპარსული შეძახილია: „შაპ ჰუსეინ, ვაპ ჰუსეინ!" იყენებდნენ რელიგ. ფანატიზმის გასაღვივებლად. ჩვენს ქვეყანაში გვემის წესი კანონით აკრძალულია.

შეიხი (არაბ. მხცოვანი, მოხუცი) — მუსულმან სასულიერეოთა საპატიო წოდება (დერვიშთა ან ისლამის სხვა ორდენებში). ასევე უწოდებენ არაბულ ქვეყნებში ოჯახის, გვარის, ტომის უფროსს, მამასახლისს.

შესვლა უფლისა იერუსალიმში — ნ. უფლის შესვლა იერუსალიმში.

შვიდი — მარტივი რიცხვი, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ძვ. ეგვიპტელთა, შუმერთა, ბაბილონელთა, ქალდეველთა რელიგ. წარმოდგენებში. ამ შაგიურ რიცხვს უკავშირებდნენ ბუნებისა და სამყაროს მოვლენებს: 7 მნათობი, 7 დღე, შვიდწლიანი ციკლი, 7 ეშმაკი, ფარაონის 7 მჭლე და 7 მსუქანი ძროხა, ღვთისშობლის 7 სიხარული, გამოცხადების 7 ეკლესია, 7 ბრძენი, 7 ლამპარი, 7 მაისის წვიმა (საკრალური მნიშვნელობისა), 7 სული და სხვ. თავისებური ასახვა ჰპოვა ქრისტ. რელიგიაშიც: სულიწმიდის

7 ნიჭი (შიში ღვთისა, ღვთისმსახურება, ძლიერება, ზრახვა, მეცნიერება, გულისხმიერება, სიბრძნე); 7 მოწყალება, საქმე სულიერი (ცოდვილთა მოქცევა, სწავლა უმეცართა, განმართვა დაბრკოლებათა, ნუგეშისცემა მწუხარეთა, მოთმინება უსამართლობისა, მიტევება ცოდვილთა (თანამდებთა), ვედრება მოყვასთა სულისათვის; 7 საქმე ხორციელი სიბრალულისა (მშიერთა ჭმევა, მწყურვალთა სმევა, შიშველთა შემოსვა, უცხოთა შევრდომება, სნეულთა მოკითხვა, პატიმართა მიხედვა, მიცვალებულთა დაკრძალვა); 7 მომაკვდინებელი ცოდვა და 7 სათნოება (ამპარტავნობა-სიმდაბლე, ანგარება-მოწყალება, სიძვა-უმანკოება, სისასტიკე-სიმშვიდე, ნაყროვანება-მარხულობა, შური-სიყვარული, მიმოწვლილველობა (გამოძიება-სათნოება). ქართ. შვიდეულის დღეებიც ზნათობთა ძვ. კულტს უკავშირდება.

შვიდი საიდუმლო — ლათ. საკრამენტა, „უფლისაგან დაწესებული“ საკულტო მოქმედებანი ქრისტ. ეკლესიაში, იხ. ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, სინანული (აღსარება), მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა. იხ. აგრეთვე „საიდუმლოებანი“.

შთაგონება — სხვა პირის ან განსაკუთრებული გარემოების ზემოქმედებით ჩადენილი ემოციური ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე. ან თვითშთაგონება — საკუთარ თავზე მოხდენილი ასეთივე ზემოქმედება, სიტყვით ან მოქმედებით გარკვეული მიზნისაკენ წარმართვის მიზნით. გარკვეული ზომით ეს ყოველი ადამიანის დამახასიათებელი მოვლენაა. განსაკუთრებით მოქმედებს შთაგონება მოსარდებზე, ფსიქიურად მერყევ ადამიანებზე, ნაკლებად განვითარებულ და განათლებულ პირებზე, სუსტი ნერვული სისტემის მქონე ან დაბეჩავებულ ადამიანზე. უფრო წარმატებით ახდენენ ზემოქმედებას მორწმუნეებზე. შ-ის ძალა მეტია რელიგ. დღესასწაულებზე, ექსტაზის მომენტში, როცა „სულიწმინდასთან ზეშთაგონებითი შეყრის ჟამს“ ძლოცველს უფრო სწამს ციური ჩვენებანი. შთაგონებითა და თვითშთაგონებით ხდება „განკურნება“ მძიმე სნეულებებისაგან, რაც ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია: მეცნიერული ფიზიოლოგიის მონაცემებით, ფსიქიკაზე გარკვეული ზემოქმედების შედეგად შესაძლებელი ხდება ისეთი სნეულებებისაგან დროებით ან მთლიანად განკურნება, რომელთაც მხოლოდ ფუნქციონალური ხასიათი აქვთ და არაა დაზიანებული უჯრედები.

შიიზმი, შიიტები (არაბ. შია ალი, ალის მომხრეები) — სხვაგვარად ვეგაბიტების, დრუზების სახელითაც ცნობილი სექტა, რიცხვობრივად მეორე მიმართულება ისლამში, სუნიტების შემდეგ. თავდაპირველად ეს იყო მუჰამედის ახლო ნათესავის ალის მომხრეთა, თანამდგომთა ჯგუფი, რომელიც ცნობს ყურანს, როგორც უზენაეს წიგნს, მაგრამ სწამს მის შექმნაში ალის როლიც. მის პირდაპირ შთამომავლებად მიაჩნიათ 12 იმამი, რომელთაც შიიტები აღიარებენ. უკანასკნელი კანონიერი იმამი მათი რწმენით დაიბადა 873 წ. და მერე უეცრად გაქრა. მაშინ ჩაისახა მისი გამოცხადების, ახალი „მეორედ მოსვლის“ დოგმა, ამას უნდა მოპყვეს მთელს მსოფლიოში შიიზმის გავრცელება და საყოველთაო თანასწორობა — შარადიული ეპოქა ოცნება თითქოს ამით — იმამის გამოცხადებით იქნება უზრუნველყოფილი! დადგება ოქროს საუკუნე, რასაც ყოველი რელიგია და ყოველი მოძღვადე შარად

პპირდებოდა ხალხებს. შიიტები და სუნიტები ძირითადად ერთსა და იმავე დოგმებს აღიარებენ, მაგრამ მათ შორის საერძნობი განსხვავებაცაა. შიიტებს სწამთ სულთა გადასახლება, მათი დოგმის მიხედვით იმამების სულში განსახიერებულია მაჰმადის (მუჰამედის) წინასწარმეტყველური სული. აქვთ საკუთარი გადმოცემებიც (აპბარები). ორი ნაკადი ისლამში — მსგავსად სხვადასხვა მიმდინარეობათა ქრისტიანობაში — ქმნის ეროვნულ შუღლს და ხშირად ხდება სისხლისმღვრელ შეტაკებათა მიზეზი.

შიო მღვიმელი — დიდი საეკლესიო მოღვაწე და მშენებელი, ათორმეტ ასურელ მამათაგანი, საქ-ში ჩამოვიდა დაახ. 543 წ., იოანე ზედაზნელის ჯგუფში (ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი და სხვ.). დაემკვიდრა და ქადაგებდა მცხეთის მახლობლად, სადაც კლდის კედელთან ააშენა მისი სახელობის უნიკალური ტაძარი. იქვეა მისი სამარე.

შიოობა — ასურელი მამის შიო მღვიმელის ხსოვნის დღე (15 თებ.). შიო ცხოვრობდა VI ს-ის ბოლოს, სირიელი აზნაურის ოჯახიდან უნდა ყოფილიყო, სიყრმიდანვე შეისწავლა ყოველი წერილი და თარგმანება (კ. კეკელიძე), ბერად აღიკვეცა იოანე ზედაზნელთან, მერე სხვა 11 მოწაფესთან ერთად ქართლში გადავიდა. იყო ზედაზენს, შემდეგ მცხეთასთან, სარკინეთში დააარსა სავანე, თავი მოუყარა 2000 ბერს. მათი თხოვნით დაწერა განდეგილობის წესები 160 წიგნად. ადგილად აირჩია სარკინეთის მღვიმე, — „ადგილსა კაცთაგან უვალსა, კლდეთა და მაღნართა საშინელთა, მუნ ჰპოვა ქვაბი ერთი და დაადგრა მას შინა". იქ უძლებდა ყველა განსაცდელს. დიდ ასკეტს საზრდოს მტრედი უზიდავდაო, ასწავლიდა და ლოცულობდა, განდევნა მავნე და ქვეწარმავალი. დღესასწაული მისი სახელობისა აღინიშნებოდა ყველიერის ხუთშაბათს. „ამ დღეს ჩამოვალს ნათელი მისი და ყოველთა ერთა განანათლებს ქართლისასა". ათცამეტ (12) მამათაგან გამორჩეული შიო უკვდავყოფილია ქართული ხუროთმოძღვრული შედევრით, შიო მღვიმის მონასტრით, რომლის სიღრმეშიც მისი ნეშტი განისვენებს.

შიოობას თუშეთში და სხვაგანაც აცხობენ ნამცხვარს და ლოცვით მიმართავენ შიოს ანგელოზს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ერის კულტურულ ცხოვრებაში.

შობა უფლისა იესო ქრისტესი — საქრისტიანოს ერთ-ერთი მთავარი დღესასწაული, ერთი ათორმეტთაგანი (25 დეკ. — 7 იანვარს). რაკი მსოფლიოში მესამედზე მეტი ქრისტიანია და შობა მათი ღმერთის—მაცხოვრის შობის დღეა, ცხადია, მას სარწმ-ებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ძე ღვთისა იშვა ქალწულ მარიამისაგან სულიწმიდის მოვლინებით, უბრალო ადგილას, ბეთლემის ქვაბში, ბოსელში, სადაც ხარი და სახედარი იყვნენ ბაგაზე დაბმული; ყრმა და მარიამი იოსებმა გაარიდა ეგვიპტეში ისრაელთა მეფის ჰეროდეს რისხვას, რომელიც ინფორმირებული იყო, რომ უნდა შობილიყო მესია, ებრაელი ხალხის ახალი მეფე; რომ ახალშობილს მოევლინენ და თაყვანი სცეს მწყემსებმა, მოვიდა სამი აღმოსავლელი მოგვი, სამივე მოჰყვა ოქროს ვარსკვლავს, რომელიც ბეთლემის თავზე გაჩერდა; რომ ზეციდან ყრმის დაბადებას ანგელოზთა გუნდი გალობით შეხვდა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა,

კაცთა შორის სათნოება"; რომ იესო იშვა ადამის მოდგმის სახსნელად, რათა სიკვდილით დაეთრგუნა სიკვდილი, გამოესყიდა თავისი ტანჯვით კაცთა ცოდვა და ა. შ.

ქრისტიანობამ ეს საყოველთაო დღესასწაული გააძლიერა, გააღრმავა და დახვეწა. დიდი ღმერთების დაბადების თარიღად უმთავრესად 6 იანვარი იყო დადგენილი (ოსირისის, დიონისეს, ინდოევროპელთა მითრის და სხვ.). ეს შემთხვევით არ მომხდარა. 25 დეკემბერი მზის შემობრუნების დღეა, გაზაფხულისაკენ მოქცევის ნანატრი ჟამი, ბუნების განახლება კი მუდამ ღმერთების დაბადებას უკავშირდებოდა. ამასვე უკავშირებდნენ მოსავლიანობას. „ვინც შობის მარხვას არ იცავს, ქერიც არ მოუვაო"; „თუ შობას კერავენ, ბრმა დაიბადებაო". ამიტომ გულმოდგინედ მარხულობდნენ 40 დღე, „შობიდან ნათლისცემამდე ქალები არ ართავენ", და ეს ათასწლოვანი რწმენა, წესი, ტრადიცია მეორდებოდა საუკუნიდან საუკუნემდე. პირველ ხანებში სამი დღესასწაული ერთდროულად აღინიშნებოდა: ნათლობა, შობა და უფლის გამოცხადება. შემდეგ დიდი დღესასწაული მზისდგომას მტკიცედ შემორჩა. შობა თავიდანვე იქცა მშვიდობისა და სათნოების სიმბოლურ დღედ, რაც კლასობრივ ზავს გულისხმობდა, საიქიო ნეტარებისათვის სააქაოს ყველა სატანჯველის მოთმინებას ქადაგებდა („მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველი").

ჯერ კიდევ ესაიამ იწინასწარმეტყველა 600 წლით ადრე მესიის დაბადება და წამება: „... იგი იწყალა ცოდვათა ჩვენთათვის" (54,5). 1000 წლით უადრეს კი დავითი წინასწარმეტყველებდა: „აწ აღვდგე, იტყვის უფალი"...

ოქროს ვარსკვლავმა აუწყა კაცობრიობას მაცხოვრის შობა, როცა „ნათელი გამობრწყინდა წარმართთა ზედა". თვით იესო განმარტავს თაყის დიდ მისიას: „მე ვარ გზა, მე ვარ ჭეშმარიტება და სიცოცხლე".

შობა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ესაა სიკეთის, სათნოების, უფლის ძალაუფლების დამკვიდრება დედამიწაზე; ეს იყო ძველი სისასტიკის სამეფოში ახალი სინათლის შეჭრა, კაცთა შორის მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის მქადაგებელთა სიტყვის ზეიმი, და მართალია, მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ღვთისმშობლის წილხვდომილ საქართველოშიც ჯერ კიდევ ჭრის ამ სიკეთის გამარჯვება, მრავალი ურჯული „აჭირვებს'ერს", მძლავრობს შუღლი და სიავე, ძმად შემოხიზნულთა მძვინვარება, ძირძველ მკვიდრთა დევნა საკუთარი მიწა-წყლიდან, კაენის მოდგმა ისევ უპირისპირდება აბელის შთამომავლობას, სატანა — ქრისტიანობას, ბოროტება — სოფეს; ჯერ კიდევ დაძრწის წმინდა მიწაზე ბოროტი მკვლელი და ორგული, აკვანში მწოლარე თოთო ბავშვის ტყვიით დახერეტაზეც რომ მიდის; არ აფასებენ ქრისტესმიერი ერის სიკეთეს და ამაგს, წუნკალი მკვლელები და მათი წამქეზებელნი, ფარისეველნი და ორგულნი თელავენ ადამიანურ ღირსებებს იქ, სადაც გასდით, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ პროვოკატორთა ბანდებს საკადრის პასუხს გასცემს ღმერთი ჩვენი მაცხოვარი, ძე კაცისა დათრგუნავს აღვირახსნილ გულარძნილთა გამოხდომებს და საბოლოოდ გაიმარჯვებს სიკეთე, რასაც ბეთლემში შობილი იესო და მისი მოციქულები ქადაგებდნენ, რადგან ქვეყნად საბოლოოდ სიკეთემ უნდა გაიმარჯვოს. უჭირდა ხალხს 1990 წლის წინაც და უჭირს დღესაც,

მაგრამ თუ მაშინ ხალხი ესეიის ძოვლინების მოლოდინში იყო, დღეს მისი საბოლოო გამარჯვების იმედით ცოცხლობს და სიკეთეს უგალობს შობიდან შობამდე.

შობა ღვთისმშობლისა — მართლმადიდებელთა ათორმეტ დღესასწაულთაგანი, იესო ქრისტეს დედის ქალწულ მარიამის შობასთან დაკავშირებული. მამამისი იყო დავითის შთამომავალი იოაკიმი, დედა კი — აარონ მღვდელმთავრის შთამომავალი ანა. მათი ასულის შობა იყო „სიხარული ყოველსა სოფელსა", რამეოუ „ძოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო" (ტროპარიდან), ე. ი. შვა მაცხოვარი. დღესასწ. აღინიშნება 8 (21) სექტემბერს. მარიამის სახეც წარმართულიდანაა. დღესასწაულის მიზანია მორწმუნეთა მოწოდება სათნოებისა და მორჩილებისაკენ.

შტუნდიზმი (გერმ. შტუნდე — საათი, ლოცვის კითხვის საათი გერმ. კოლონისტებთან, დღიური მუშებისათვის) — ქრისტ. სექტები სამხ. რუსეთში, რუს და უკრაინელ გლეხთა შორის, დასავლელი პროტესტანტების ზეგავლენით, XIX ს-ის შუა ხანებში. ეს იყო ღარიბთა სექტები, რომელთა წევრებიც რელიგ. თემებში ეძებდნენ თავიანთი სოციალური ოცნებების ხორცშესხმას. ახლოა ბაპტიზმთან. ეყრდნობოდნენ ბიბლიას, უარყოფდნენ საიდუმლოებათა უმეტესობას, დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ „ღმერთის შინაგან თანაარსებას". როცა რუსეთში ბაპტიზმი გავრცელდა, შტუნდისტები მასში გაითქვიფნენ.

შუამთობა — ახალი სახალხო დღესასწაული (ხულოში ტარდება 1977 წლიდან, 4 აგვისტოს). ძველი ქართული დღეზეიმი, დაკავშირებული ბარად საშეურნეო სამუშაოების დასრულებასა და მცირე ხნით მთაში ასვლასთან, სადაც საქონელი ჰყავთ, ჩვენს დროში უფრო დაიხვეწა და სამეურნეო ანგარიშის დღესასწაულად იქცა. ჰქონდა თავიდანვე საერო ხასიათი.

ჩ

ჩადრი (სპარს. ჩადორ) — თხელი ქსოვილის მანდილ-სამოსელი, შავ ძაძასავით რომ უფარავს ქალს სხეულს თავით ფეხამდე, მხოლოდ თვალებისათვის რჩება მცირე ჭრილები. შარიათის წესით ყოველი მუსულმანი ქალი მოვალეა სახლიდან გასელისას ის ჩამოიფაროს და არავის აჩვენოს სახე. გამოხატავს ქალის დაჩაგრულ მდგომარეობას, რაც ჩვენში უკვე აღკვეთილია.

ჩეხური (მორავიული, ბოჰემური) ძმობა — პროტესტანტული სექტა ჩეხეთში XV ს-დან, თაბორიტების ჰუსიტური მემარცხენე ფრთის დამარცხების შემდეგ. შედგებოდა გლეხთა, ხელოსანთა, მოქალაქეთა წარმომადგენლებისაგან, მთავარი იდეოლოგი იყო პეტრე ხელჩიცკი. თავს ესხმოდა საერო და საეკლესიო მემამულეებს. მათი მტკიცებით, რომის პაპია „ანტიქრისტე ტახტზე", სასულიერონი — ბოროტების მსახურნი. ძმობა ქადაგებდა, რომ ყოველი დროის ყოველი სახელმწიფო ცოდვილი, შოძალადე და ბოროტია, თავს

იკატუნებს, ხალხის სახელით მეტყველებს და ხალხს სისხლსა სწოვს. ამიტომ თვით ძმობის წევრებს არ უნდა დაეკავებინათ არავითარი სახელმწიფოებრივი თანამდებობა, არც სასამართლოში და არმიაში უნდა ემსახურათ. არ ცნობდნენ წოდებრივ უთანასწორობას, უარყოფდნენ სიკვდილით დასჯას, ომსა და ყოველგვარ სისხლისღვრას, ძალადობისაგან ბრძოლით თავის დაღწევის შესაძლებლობას, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაწევას. აკრიტიკებდნენ კათოლიციზმსა და ბატონყმურ წყობილებას. მაგრამ რაკი ბრძოლას და სისხლისღვრას უარყოფდნენ, გლეხებს სიმშვიდისაკენ მოუწოდებდნენ და ასრულებდნენ რეაქციულ როლს! მას შემდეგ, რაც ჩეხეთმა თავისუფლება დაკარგა, ძმობამ არსებობა შეწყვიტა.

ჩეხური ძმობა კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციაც იყო, მისი წრიდან გამოვიდა ბევრი ღირსეული, გამოჩენილი ადამიანი: ლუკაშ პრაღელი (კრაღიცკის სტამბის დამაარსებელი), იან ამოს კომენსკი, იან ბლაგოსლავი. სექტის ნაშთებმა იარსებეს XX ს-ის დასაწყისამდე.

ც

ცელიბატი (ლათ. ცელებს — უცოლო) — უქორწინობა; კათოლიკე მღვდელთა აღთქმა, შემოღებული XI ს-დან. ეკლესიამ ამით დაიცვა თავისი მიწები მემკვიდრეების მიერ დაქუცმაცებისაგან, ამავე დროს იზრდებოდა სასულიეროთა ავტორიტეტი, უმწიკვლო ასკეტიზმის ნიღბით შემოსა სამღვდელონი, სინამდვილეში კი გზა მიეცა ფარულ გარყვნილებას. ბერმა ღვთისმსახურმა ამის გამო უარი თქვა სასულიერო წოდებაზე, არ ისურვა უცოლშვილოდ გადაგება. მაგრამ გრიგოლ VII-ის მიერ XI ს-ში შემოღებული ც.-ის შეურყეველობა 1967 წ-საც დაადასტურა პავლე VI-მ ენციკლიკით (მღვდელთა ცელიბატზე). მთელ რიგ ქვეყნებში მის შესაცვლელად ბრძოლა გრძელდება.

ციხკარი — ციხკრის ლოცვა. ძვ. სამონასტრო პრაქტიკის მიხედვით სრულდებოდა განთიადისას, მზის ამოსვლამდე. სამრეკლო ტაძრებში ეს მოუხერხებელი იყო და წინა საღამოსათვის გადაიტანეს (დიდი და მცირე ც.). დიდი ციხკრის ლოცვაზე სახარებასაც კითხულობენ.

ციური სასუფეველი — ღვთის საუფლო, სულთა ნეტართა განსასვენებელი, იდეალური საზოგადოებრივი წესრიგი, რ-იც რელიგ. მოძღვრებით დამყარდება განკითხვის დღის შემდეგ. ამაში პოულობს განსახიერებას ათასწლოვანი ოცნება მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა. რაკი ამა ქვეყნად ხსნა ვერ ნახეს, მზერა ცას მიაპყრეს, მესიის მოლოდინში მარხვითა და მოთმინებით იწყეს მზადება ციური სასუფევლისათვის. მეორედ მოსვლის ჟამს ქრისტე განიკითხავს ცოცხალსა და არაცოცხალს, მკვდრეთით აღდგება ყველა განსვენებული და ყველა მიიღებს თავისას, დამსახურებისამებრ: მართალნი ციურ სასუფეველში, სამოთხეში მოხვდებიან, ცოდვილნი კი ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაინთქმებიან, ან სულაც მოისპობიან. როგორც იუდეველთა სარწმუნოება ქადაგებს, ადვენტისტები და იეღოვისტებიც ამ აზრს იზიარებენ.

ცოდვა — რელიგიური ცნება, რაც დანაშაულად, ცოდვად, საზიანოდ თელის ყველა მოქმედებას, სიტყვას, აზრს, რაც კი სარწმუნოების დოგმებს ეწინააღმდეგება (ასეა ეს ყოველგვარი ჩაგვრის რეჟიმის დროს). რაკი საღვთო წერილის ყოველი ასო ღვთის ნაკარნახევად ითვლება, მისი დარღვევა ითვლება უფლის ნების წინააღმდეგობად და მძიმე შეცოდებად, იმსახურებს „ღვთის რისხვას", მძიმე სასჯელს. პირველქმნილი ცოდვა ჩაიდინეს ედემში ადამმა და ევამ, რომელთაც აკრძალული ხილი (ტრადიციის თანახმად ვაშლი) ჭამეს, მიუხედავად ღმერთის გაფრთხილებისა, და ამით კაცთა მოდგმას დაატეხეს უდიდესი ტრაგედია, რასაც დღემდე ბოლო არ ეჩანს, რამაც კაცობრიობა ბოროტ გზაზე დააყენა. საჭირო გახდა უდიდესი მსხვერპლი, ღმერთის სისხლი, რათა ამ ცოდვისათვის ადამის ტომს თავი დაეღწია. ძე ღვთისა, იესო ქრისტე ამ მიზნით ნებაყოფლობით ავიდა გოლგოთაზე, ჯვარს ეცვა და გამოისყიდა ადამიანთა ცოდვა. ეს არ ყოფილა ახალი ამბავი. ყველა რელიგიას ახასიათებდა გამოსასყიდი მსხვერპლის შეწირვა, ღმერთის საამებლად ცხოველთა თუ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა, და არც ღმერთი ყოფილა გამონაკლისი. ქრისტიანობამ ეს იდეა მხოლოდ გადაამუშავა, კლასიკურად დაამუშავა ქრისტეს ჯვარცმის სახით. მაგრამ ცოდვას, ბოროტებას, დანაშაულს საზღვარი არ დაედო, ის გრძელდება და უფრო მძიმდება კიდეც. უსამართლობას, ძალადობას, მთავარ ცოდვას, ძალაუფლების მპყრობელნი სჩადიან და ეს არაერთხელ აღნიშნეს ყველა დროის დიდმა მოაზროვნეებმა. ამით სადავოდ იქცა თვით სრულყოფის იდეა და გამოსყიდვის ლოგიკა. ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში ცოდვა დღესაც ნიშნავს დანაშაულს, არასწორ მოქმედებას უხვნაესი წმინდა ზნეობისა და წესიერების თვალსაზრისით.

შუა საუკუნეებში ყოველი დიდი საყოველთაო უბედურება (ჭირი, ომი, წყალდიდობა) — ცოდვის კითხვად ითვლებოდა. ასე სწამდათ ბერძნებს, ებრაელებს, ქრისტიანებს, მონღოლებს... „მე ღვთის რისხვა ვარ, — მიმართა დაპყრობილი ქალაქის მოსახლეობას ჩინგის-ხანმა, — თქვენი ცოდვების გამოსასყიდად გამომაგზავნა ზეციერმა", — და გაჟლიტა ხალხი, გადახნა ქალაქი.

ასეთი ცოდვის მორევში დგებოდნენ „ცოდვების გამომსყიდველნი", სისხლის ზღვაში ახრჩობდნენ ქვეყნებს, რ-თაც თითქოს „მხსნელად" ევლინებოდნენ, სულ კი ციური ან მიწიერი მეუფეების სახელით.

ცოცხალი ეკლესია — ნ. განმაახლებელნი.

ცრუმორწმუნეობა — ცრუ, ცარიელი რწმენა, დაკავშირებული ზებუნებრივი ძალების რწმენასთან. ამდენად მასთან ბრძოლა ძნელია და თანაც საჭირო, რადგან მასების გარკვეულ ნაწილში, სადაც განათლების ნაკლები დონეა, ძალზე ფეხგადგმულია. ცრუ რწმენებს ეკუთვნის ბედისწერის, გრძნეული სიზმრების, ჯადოქრობის, მისნობის, „დაცდილი ნიშნების", მკითხაობის, წმინდა ნაწილების, წმინდა ადგილების, ფეტიშის და მისთ. რწმენა. ყოველივე ესაა გადმონაშთი ჩვენი შორეული წინაპრების შეხედულებებისა, ბუნების მოვლენებზე მცდარი და შიშნეული წარმოდგენებისა. ამასთანაა დაკავშირებული მრავალგვარი აკრძალვები („წესია და ადათი, ასეა ათადან-ბაბადან და ჩვენ მას ვერ შეეცვლით").

ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლა აღზრდის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია.

ცხონება (სპასენიე, ბლაჟენსტვო...) — საკ. ცხოვრება, რელიგ. გაგებით საუკუნო ცხოვრება, ნეტარება: აღსდეგ, უფალო, მაცხოვნე მე (ფს. 3,7); „მივიპმადლებ, მივცემ საუკუნო ცხოვრებას".

ცხრა ნაყოფი სულიწმიდისა — სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სიკეთე, სარწმუნოება, მოთმინება, მყუდროება. პირველი 7 სიკეთის ქადაგებაა, ერთი — რწმენის ქადაგება, ბოლო ორი — მორჩილებისა.

ცხრა ნეტარება — ქრისტ. ეკლესიის მიხედვით: დალოცვა — ნეტარ იყვნენ: გლახაკნი სულითა, მგლოვიარენი გულითა; მშვიდნი; რომელთა შიოდეს და სწყურიოდეს სიმართლისათვის; მოწყალენი; წმინდანი გულითა; მშვიდობისმყოფელნი; დევნილნი სიმართლისათვის; ნეტარ იყვენით თქვენ, რაჟამს გდევნიდენ და გყვედრიდენ, და ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით თქვენთვის—გიხაროდენ და მხიარულ იყვენით — თუ სასყიდელი თქვენი წმინდა არს. როგორც მარად და ყველგან, ეს ლამაზი ჰუმანური სიტყვები სიტყვებად რჩებიან, მართალნი ისევ იჩაგრებიან და აღთქმული ცხრა ნეტარება მხოლოდ საიქიო სასუფევლის იმედად რჩება.

ძ

ძელი ჯვარისა — ნ. ჯვართამაღლება.

ძენი, ძენ-ბუდიზმი — ბუდიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა. იაპონ. შესატყვისი ჩინ. სიტყვისა „ჩან", სანსკრიტული „ძიანა", მჭვრეტელობის თავმოყრა. წარმოადგენს ჩინურ ჩან-ბუდიზმის ნაირსახეობას (VI ს-დან). არსებითად. იგივე ბუდიზმია, მაგრამ აქვს საკუთარი მოძღვრება ცისა და მიწის ურთიერთკავშირზე, რასაც არ ყოფენ. სულერს კი არ უდებენ, არამედ განუყოფელ მთლიანობაში განიხილავენ, როგორც ღვთაებრივისა და მიწიერის ერთიანობას. თუ ბუდიზმი ასწავლის, რომ ღვთაებრივ სრულყოფილობას ადამიანი მიაღწევს მხოლოდ თანდათანობითი და ხანგრძლივი გადასვლით გრძნობიერ სამყაროდან (სანსარა) არარსობის, უმყოფობის, სრული განწმენდილობის ციურ სამყაროში (ნირვანა), ძენ-ბუდიზმის თვალსაზრისით განწმენდა, სრულყოფა თვით ადამიანის საკუთარ სულში, მის ბუნებაშია და აქვე შეიძლება მისი მიღწევა. ცნობენ „სატორის", ანაზდეულ გასხივოსნების, შუქის მოფენის მომენტს უკიდურესი ემოციური აღტკინების ჟამს, როდესაც კაცის სულში ბუდა აღმოჩნდება. სარწმუნოებას ახასიათებს უკიდურესი ინდიეიდუალიზმი, გულგრილობა გარე სამყაროსადმი, რადგან მორწმუნის მიზანია მხოლოდ ღვთაებასთან შეერთება, აცდენს ხალხს სწორი გზიდან, თუმცა არ უყენებს რთულ სარიტუალო მოთხოვნებს, ასწავლის ბუდასთან დაკავშირების გზებს ან პირდაპირ „გულიდან გულში", ან პირდაპირი კავშირით ადამიანის არსებასთან (ბუდას ჭეშმარიტ სიბრძნესთან), ან ადამიანის სულიერი სამყაროს ჩაწვდომით ბუდასთან დაახლოებას.

ძველი აღთქმა (საკ. ბიბლია. დაბადება, საღმრთო წერილი) — 6. ბიბლია.

ძველი აღთქმის დღესასწაულები — „დაბადების“ მიხედვით სინაის მთის კანონმდებლობით დაწესებული ძვ. ებრაული დღესასწაულები, რ-თა მიზანი იყო სარწმუნოების განმტკიცება. ხდებოდა საკულტო ცერემონიალი, მსხვერპლის შეწირვა. დღიური ჯაფისაგან სრული განთავისუფლება: 1. შაბათი, წმ. დღე, მიღმაქვეყნიური სიწმიდის სიმბოლო, რ-იც მოსეს კანონით კრძალავდა ყოველგვარ მუშაობას (თავთავის დაფშვნას და შეჭმასაც დანაშაულად უთვლიან ქრისტეს, ბრმისთვის თვალის ახელასაც და ა. შ.): „და აკურთხა ღმერთმან დღე მეშვიდე და წმიდა ყო იგი...“ მორწმუნენი მიდიოდენ სჯულის კიდობანთან, შემდეგ ტაძრად და ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას; ქრისტიანობამ შაბათი კვირაზე გადაიტანა; 2. პასექი, „გამოსლვათა დღესასწაული“: ეგვიპტის ტყვეობიდან ებრაელი ხალხის გამოხსნის აღსანიშნავი; 3. ერგასისი, ორმოცდაათის დღესასწაული, 15 ნისანიდან 50 დღის გასვლის შემდეგ, მოსავლის დღესასწაული, სწირავდნენ 7 უბიწო ტარიგს, თხას, პურს (პირველი მოსავლიდან) აქედან განვითარდა ქრისტიანული სამება, სულთმოფენობა, აღდგომიდან 50 დღის შემდეგ (6. ათორმეტთაგანი); 4. საყვირთა დ. („სახსენებელი საყვირთა დაბერვისაი“, ლევიტ. XXIII, 24), გაზაფხულის, განახლების ზეიმი, რასაც უერთდებოდა თვის საწყისი, ახალი მთვარის დღესასწაული, ერგასის დღეთა მომდევნო. ვერცხლის წმ. საყვირები ხალხს სალოცავად მოუხმობდა კიდობანთან, იმ საზეიმო დღის მოსაგონებლად, როცა მოსეს კანონი ხალხს საყვირთა ქუხილით ეუწყა. ვინც იმ დღეს რაიმე საქმეს მოიმოქმედებდა, მსხვერპლის შეწირვის გარდა, რისხვა ელოდა („წაწყმდის იგი ერისაგან თვისისა“, „მოისპოს იგი ერისაგან თვისისა“); 5. დღე განწმენდისა; შემდეგ კარავთა დღესასწაული და სხვ.

ძველი სარწმუნოების მოსავნი — 6. სტაროობრიადცები.

ძმობანი — 1. ზოგიერთი კათოლიკ. ორდენის ზედწოდება (ფრანციისკანელთა და სხვ.); 2. საერთოდ, საეკლ. კავშირი, ორგანიზაცია, ტერიტორიულად და რწმენით გაერთიანებული ჯგუფი; 3. უკრაინელ და ბელორუს მართლმადიდებელთა რელიგ.-საეკლ. ორგანიზაცია XV — XVII ს-ებში, ებრძოდნენ, კათოლიციზმს ქადაგებითა თუ წიგნებით. განსაკუთრებით ძლიერი იყო კიევის და ლვოვის ძმობანი; 4. მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანებანი ეპარქიებში (1864 წლის წესდებით), ებრძოდნენ სტაროობრიადცებს, სექტანტებს.

ფ

ფამება—ფიზიკური ტკივილებით ადამიანის ქენჯნა, დატანჯვა რაიმე საიდუმლოს გაცემის, გამოტეხვის, აღიარების ან დანაშაულად მიჩნეული იდეის თუ მოქმედების უარყოფის მიზნით. ძველ რომში პირველ ხანებში მხოლოდ მონებს აწამებდნენ, შემდეგ შემოიღეს სახელმწიფო დამნაშავეებისათვის, საერო სასამართლოებში (თვით წამებას აწარმოებდა საგანგებო მოხელე,

მდივანი იწერება). XIV ს-დან ფართოდ შემოიღეს ერეტიკოსთა წინააღმდეგ-ჯერ საეროთა დახმარებით, შემდეგ კი, ურბან V დროიდან, მთელი წამება სასულიეროთა, ინკვიზიტორთა ხელში გადავიდა, რათა ეკლესიას თავისი საიდუმლო დაეცვა. საშინელი იყო ეს საიდუმლო. არ ერიდებოდნენ არაეითარ ღონისძიებას, ხერხსა და იარაღს, რომ არაადამიანური წამებით გაეტეხათ უდანაშაულო ადამიანთა სული და ხორცი. ამიერიდან ეს სიტყვა უფრო რელიგიურ შინაარსს იღებს. აწამებდნენ ცეცხლით, რკინით, ყულფით, გავარვარებული მარწუხებით, ბორბალზე გაკვრით, ძელზე გაკვრით, ჭოჭონაქებით (თმით, ფეხებით ან უკან გაკრული ხელებით პკიდებდნენ ჭერზე. უმატებდნენ გირაებს, აწევ-დაწევით უძლიერებდნენ ტანჯვას), ოთხ კედელზე მიჭედილ კაკებზე ხელ-ფეხის ბოლოებით პკიდებდნენ და მუცელზე სიმძიმეებს უწყობდნენ; კიბის საფეხურებზე გააკრავდნენ და ბაწრებით ჭიმავდნენ თოკდახვეული ბორბლის ტრიალით; ძელზე დაკრულს დაპკიდებდნენ და მათრახებით სცემდნენ; ნელ ცეცხლზე ხრუკავდნენ (ერთ მხარეს ხელებით ეჭირათ, მეორე მხარეს ფეხებით); ფრჩხილებში ნემსებს უკრიდნენ, კანზე თასმებს აჭრიდნენ, ღია პირში ძაბრით მდუღარეს ასხამდნენ და ა. შ. ინკვიზიცია და წამება თითქმის სინონიმებად იქცნენ. რუსეთში იოანე III დროიდან იხსენიება (1497). საქართველოში წამება, დასახიჩრება თამარმა აკრძალა, და საერთოდ ნაკლებად იყო მიღებული, თუ ცალკეულ მეფე-მოსავართა დილეგებში ცალკეულ ურჩთა და მეტოქეთა წამებას არ მივიღებთ მხედველობაში. რ. დიგიური წ. წესად არ ჰქონდათ.

ისტორიამ უთანავი ფაქტი იცის წ-ისა, რასაც მთელი ტომები ეძღვნა. 167 წ. რომაელებმა სმირნის ეპისკოპოსს პოლიკარპეს ქრისტეს შერცხვენა ქოსთხოვეს. ბერიკაცმა ამაოდ შესძახა: „86 წელია, რაც ჩემს მაცხოვარს ვემსახურები და არაფერი წყენა არ მახსოვს მისგან. როგორ შემიძლია ამ სიბერეში უარვყო ჩემი ხელმწიფე!" „ცეცხლი!", — იყვირა ჯარმა. როცა ცეცხლი არ გაუარა, ჯალათმა ხანჯალი ჩასცა, ამბობს ლეგენდა. ასევე სცადეს წმ. გიორგის წამება დიოკლეტიანეს დროს, მაგრამ როგორც კი სხეულს რკინა შეეხებოდა, იღუნებოდაო. სინამდვილეში აწამეს გალილეი, ბრუნო, კამპანელა, ვანინი, სერეტეტი; ერისა და სარწმუნოებისათვის ეწამა ქეთევან დედოფალი, მრავალი ქართველი მარტვილი. (3000 მოწამე და სხვ.).

წარდგომა — ორი მცირე მუხლი, რომელთაც მონაცვლეობით კითხულობენ დიაკონი და გუნდი ან მედავითნე და გუნდი. საეკლესიო რიტუალებზე ცნობილია წ-ები დღის, წმინდანის, სადღესასწაულო, საგანგებო.

წარმართი იმპერატორები — რომის იმპერიის მბრძანებელნი 293 — 306 წლებში, როცა გაძლიერებით დეკნიდნენ ქრისტიანებს: დიოკლეტიანე (285 — 305), მაქსიმილიანე (286 — 305), ვალერიუსი (293 — 311) და კონსტანტი I (293 — 306), მამა კონსტანტინე I დიდისა, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ბიზანტია აქცია კონსტანტინოპოლად — მილანის ედიქტით (313), შემდეგ მოიწვია ნიკეის საეკლესიო კრებაზე. წარმართ იმპერატორთა ერთდროულმა მეუღლეებმა მრავალი ბორწმუნე იმსხვერპლა. კონსტანტინე დიდმა ქრისტიანებს ნება დართო ღვთისმსახურებისა და ამით გააძლიერა სახელმწიფო.

წარმართობა (ლათ. ეთნიკალის — წარმართული, გერმ. ჰაიდენტუმ, გოტცენდიინსტ, რუს. იაზიჩესტვო) — კერპთთაყვანისმცემლობა, მრავალღმერთიანობა, პირველყოფილ და გვიანდელ ხალხთა სარწმუნოებანი, ვიდრე მონოთეიზმამდე. ტერმინი ღვთისმეტყველურია და არა აქვს მეცნიერული, ობიექტურად გამოხატული შინაარსი. თეოლოგები უგულვებელყოფენ მნიშვნელოვან გარემოებას: მაგია, ანიმიზმი, ანიმატიზმი, ფეტიშიზმი, ტოტემიზმი, პოლითეიზმი, ძვ. და ახ. „წარმართულ" ტომთა რელიგიები ერთგვარი „საშენი მასალაა" ახალი „უმაღლესი რანგის" რელიგიებისათვის (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ბუდიზმი, ისლამი), მრავალი გადმოცემა, ტრადიცია, სარიტუალო სისტემა გადმოღებულია წარმართულიდან, რასაც საღვთისმეტყველო ლიტერატურა წ-ს უწოდებს.

წელთაღრიცხვა — ჟამთა აღრიცხვა, დროის თანმიმდევრული გამოთვლა, რაც ჩვეულებრივ რაიმე დიდი ისტორიული მოვლენის ან გამოჩენილი პიროვნების დაბადების თარიღთან, დასაბამიდან იწყებოდა ხოლმე (მაგ., რომ. წელთაღრიცხვა რომის დაარსებიდან, ეგვიპტური, ბერძნული, მაჰმადიანური კალენდრები და სხვ.). ქრისტ. წელთაღრიცხვა, რაც სხვადასხვა დროს მთელმა მსოფლიომ მიიღო, დაკავშირებულია სახარების მთავარი პერსონაჟის, მესია იესო ქრისტე ნაზარეველის დაბადების თარიღთან, რაც დაახ. 525 წ. თავისი მიხედულობით იანგარიშა რომაელმა ბერმა, კათოლიკე დიონისე მცირემ და წინადადება შეიტანა ამით დაწყებულიყო შობის დღესასწაული, მასთან ახალი წელთაღრიცხვაც. ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ ეს თარიღი მიიღო მხოლოდ XVI ს-ში. რუსეთში შემოვიდა პეტრე I ბრძანებულებით 1699 წელს. ნიკეის ყრილობამ 325 წ. მიიღო და დააკანონა ე. წ. იულიანური კალენდარი (მისი ინიციატორისა და დამწესებლის იულიუს კეისრის სახელიდან), რომლის მიხედვითაც ყოველ მეოთხე წელს თებერვლის დასასრულს ემატება ერთი დღე (29 თებერვალი, ნაკიანი წელი, ტროპიკული დროის გამოსარჩევად რომაულ კალენდარში). 1582 წ. გრიგოლ XIII ახდენს ახალ რეფორმას, რაც არსებითად იგივე იულიანური დროა, ოღონდ აღდგომის გადაწყვასთან დაკავშირებით იმ დროისათვის დაგროვილ ზედმეტ 10 დღეს დაემატა სამი დღეც და ძვ. წელთაღრიცხვა—ძვ. სტილი გადაწყდა უკან. შეიქმნა ძვ. და ახ. სტილი, რაც დღესაც გრძელდება, ისტორიკოსები კი თარიღების გადასაყვანად იულიანური კალენდრითაც სარგებლობენ. გრიგოლის (გრეგორიანული კალენდრის) შესწორება ითვალისწინებს ნაკიანი წლების რაოდენობის შემცირებას სამით ყოველ 400 წელიწადში (განსხვავებას იძლევა დედამიწის ბრუნვა მზის გარშემო მცირე გადახრით). ახალი, გრეგორიანული კალენდარი მიღებულია ამერიკაში, ევროპაში, ჩვენს ქვეყანაში.

წელიწდა — ზამთრის მნიშვნელოვანი დღესასწაული თუშეთში, ოჯახის ბედთან დაკავშირებით. აცხობენ ფუძის ანგელოზის კვერს, თაგეს მიუგდებენ ჭერხრში.

წესები რელიგიური — გარკვეული მოქმედების, საკულტო საქმიანობის მთლიანობა, რასაც მორწმუნეთა წარმოდგენით შეუძლია ცვლილება შეიტანოს

საგანთა და მოვლენების მსელელობაში, მოახდინოს ზეგავლენა ზებუნებრივ ძალებზე, ცოცხალთა თუ მიცვალებულთა სასარგებლოდ, ცხადია. ყოველი რელიგიური კულტისათვის დამახასიათებელ რ. წესთა ჩასახვაში მთავარი როლი ეკუთვნის ძვ. მაგიასა და ჯადოქრობას. მათი შესრულება დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენასთან: შობა, ქორწინება, ნათლობა და სხვ. ამ ძლიერი ემოციური ზემოქმედების სახეობა სხვადასხვა რელიგიაში სხვადასხვაგვარია. ეკლესია საგანგებოდ ემზადება ყოველი წესისათვის — აღკაზმულობით, გალობით, ქოროების გამოსვლით, ლოცვა-კურთხევით, გათვალისწინებულია მორწმუნეთა ემოციური დატვირთვის მოთხოვნილებაც. მათი ესთეტიკური გემოვნებაც და რწმენაც. მათგან განსხვავებით საერო დღესასწაულები სხვაგვარ ელფერს ატარებენ. მათ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევათ, როგორც აღზრდის საშუალებას, ჯანსაღი ეროვნ. სულისკვეთების გაძლიერების ნაცად გზას.

წესის აბება — ანდერძის აღსრულება, ლოცვა. პანაშვიდი მიცვალებულის მოსახსენებლად, ქრისტიანის დაკრძალვის დღეს, მორწმუნეთა თხოვნით.

წითელი პარასკევი — ქრისტეს სახელთან დაკავშირებული დიდი პარასკევი. დიდ ხუთშაბათს იესომ შეყარა მოციქულები, გამაროა სერობა და განუცხადა მოწაფეებს: ერთი თქვენგანი გამცემსო. „ნუთუ მე?" — შესძახა ყველამ და მათ შორის იუდამაც. „სწორედ შენ". ამის შემდეგ მანვე დაწესა წმ. ზიარება და აანჩარა იუდა: აღასრულეო. საიდუმლო სერობაზე (პურობაზე) მოძღვარმა მოციქულებს თაყისი მოძღვრება გააცნო: „იყვარებდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ". ქრისტე გასცეს, შეიპყრეს და ჯვარს აცვეს. შაბათ დღეს დილითვე ებრაელებმა პილატესთან შეთანხმებით დარაჯები დააყენეს იესოს საფლავზე, რომ გვამი არ მოეპარათ. ხორცით საფლავს მდებარე იესო სულით ჯოჯოხეთს ჩავიდა (დიურერის გრავიურა: „ჯოჯოხეთს შთასვლა"), იქ შავეთი შეძრწუნდა. ქრისტემ მართალნი გამოიყვანა. შეიმუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი, გაისმა ცოცხალი ღაღადი.

სწორედ ვნების დღეებში იყო განსაცდელი. იესო მღვდელმთავრებმა პარასკევს წარუდგინეს ურიასტანის მმართველს პონტოელ პილატეს და მისი ჯვარცმა ითხოვეს. პილატემ ავაზაკი ბარაბა გამოიყვანა და იკითხა: რომელი გავათავისუფლოთო (პასექის დღესასწაულზე ერთი დასასჯელის შეწყალება შეიძლებოდა). ხალხმა ბარაბას განთავისუფლება ითხოვა. პილატე არ იყო დარწმუნებული ქრისტეს დანაშაულში („რაი ბოროტი უქმნიეს მაგას?"), მაგრამ ხალხის შფოთს მოერიდა, ტაშტი მოატანინა, ხელი დიბანა და თქვა: ამ საქმეში მე უბრალო ვარო (აქედან — „ხელის დაბანა"). ხალხმა იქუხა: „სისხლი მაგისი ჩვენ ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა".

წინადაცვეთა უფლისა (1 იანვ., ახ. სტ. 14 იანვ.) — ყრმა ქრისტეს წინა დაცვეთა შობიდან მერვე დღეს, ძვ. ებრ. წესის თანახმად, რაც მარიამმაც აღასრულა და უწოდეს იესო (მაცხოვარი).

წინასწარმეტყველება რელიგიური — მისნობა, მომავლის განჭვრეტა ზებუნებრივი ნიჭის, გამოცხადების, ზეშთაგონების, ნიშნის მეშვეობით. რელიგ. მოძღვრების თანახმად, საგანთა და მოვლენათა ბუნებრივი განვითარება საბოლოოდ უზენაესის ნებაზეა დამოკიდებული, ადამიანს კი არ შეუძლია

მისი ჩანაფიქრის განჭვრეტა. „განგებასა ვერვინ შეცვლის". მაგრამ ღმერთს შეუძლია აუწყოს მომავალი, ცალკეულ შემთხვევაში „შეიხედოს მომავალში", საამისოდ ქმნის ილუზიას, როდესაც ზოგადი ბუნდოვანი ფრაზებით ან უშუალო ქადაგებით ცდის წარმოგვიდგინოს მოვლენები, რ-ებიც სინამდვილეს ჰგავს. ასე, ნებისმიერი ომი გამოდგება „წინასწარმეტყველების" ობიექტად ბიბლიაში, თითქოს მრავალი მოვლენაა წინასწარ თქმული. მაგრამ წინასწარმეტყველთა ასეთი ყარაუდები დაწერილია პოსტ ფაქტუმ — მოვლენის შემდეგ. ასე. დანიელის წინასწარმეტყველებანი ბაბილონის დაცემაზე, სპარსეთის ამაღლებაზე, მაკედონიის გაძლიერებაზე — მოგვიანებით დაიწერა, როცა ყველაფერი ეს უკვე მოხდა. დიდი ადგილი უჭირავს „მეორედ მოსვლის", განკითხვის დღის, ქვეყნიერების აღსასრულის, წარღვნის, ხანძრის წინასწარმეტყველებას. იოანეს გამოცხადებაში ეს მოკლე ხანში უნდა მოხდესო, შემდეგ მრავალი ახალი ვარაუდი ითქვა. ელოდნენ 1000, 1198, 1524, 1819, 1832, 1843, 1846, 1932 წლებში. მაგრამ თვითმარქვია წინასწარმეტყველთა ყველა ვარაუდი ქარმა წაიღო. ბევრს წინასწარმეტყველებენ ადვენტისტები, იეღოვისტები. სხვა სექტები. მეცნიერება არ ცნობს წინასწარმეტყველების ასეთ უნარს, მისტიფიკაციას, მას სწამს, რომ მოვლენები თავიანთი ლოგიკით ვითარდებიან და არავის ძალუძს განჭვრიტოს, თუ რა მოხდება უახლოეს ან შორეულ მომავალში.

წინასწარმეტყველნი (რუს პროროკ, პრო-რუკე, „წინასწარ წარმოვთქვამ", ბერძ პროფეტეს, გერმ.-ფრანგ.-ინგ. კალკა „პროფეტ") — შორსმჭვრეტელი ბრძენკაცი, მესანი, რ-იც ხალხთა რწმენით მომავლის ამბავს ჭვრეტს და ქადაგებს. აფრთხილებს ხალხს მოსალოდნელ შედეგებზე. ქრისტეს ცხოვრების ზოგ ეპიზოდს უკავშირებენ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა მონაცემებს, რაც პირველმა ქრისტიანებმა თავისებურად გააცოცხლეს. ციტატების სახით შეიტანეს თავიანთ შრომებში, სახარებებში. ბიბლიაში (ძვ. აღთქმაში) ცნობილია დიდი და მცირე წინასწარმეტყველნი, სულ 16, ყოველი მათგანის ნათქვამ-ნაბაზრევი შეტანილია მათი სახელობის წიგნებში (ესაია, ერემია, ეზეკიელი, დანიელი, ისუ ნავე (უფროსნი), ოსია, იოველი, ამოსი, ავდია, იონა, მიქია, ნაუმი, აბაკუმი, სოფონია, აგეი, ზაქარია და მალაქია (უმცროსნი).

ეზეკიელის წიგნში (8, 14) ქალები დასტირიან ბაბილონელთა თამუზს, სიკეთისათვის წამებულ ღმერთს; ბერძენთა დიონისე ზევსის ძეა, ბუდა—მაიასი, რ-საც სიზმარში თეთრი სპილო მოეცინა; პლატონის მამად აპოლონს თვლიდნენ, მაკედონელის მამად — ამონს; ბიბლ. სიტყვა „ემანუელი" (ღმერთი ჩვენთანაა) ანალოგიას პოულობს ესაიას წიგნში (7, 14), სადაც ლაპარაკია ღმერთის უბიწოდ ჩასახვაზე: „აჰა ქალწულმან მუცლად-იღოს და შვას ძე და უწოდონ სახელი მისი ემანუელ" (არ ამბობს, ქალწულად დარჩებაო, ეს გვიანდელი დამუშავებაა, როგორც დოგმა). იონა რომ ვეშაპმა გადაყლაპა და სამი დღის შემდეგ ამოანთხია, აქაც სიმბოლური წინასწარმეტყველებაა— შეცოდება და გამოსყიდვა.

ბევრი წ. აწამეს, რადგან მათი ვარაუდები ხელს არ აძლევდა მოძალადეებს, მძლავრებს, სხვა სარწმუნოების მიმდევრებს.

მაპმადიანთა უდიდესი წინასწარმეტყველი იყო მაპმადი.

ზოგი სექტა (სუბოტნიკები და სხვ.) ქრისტესაც წინასწარმეტყველად ან მოციქულად თვლიდა.

ცნობილია წინასწარმეტყველი ქალებიც—ნ. სიბილები.

წ-თა ღვნა და წამება გასაგებია: ქვებს უშენდნენ იმ წ-მეტყველთ; რომელთა წინასწარმეტყველება აღსრულდა, ან ეშინოდათ, რომ აღსრულდება. აქაც საერო მოტივია რელიგიურ სფეროში გადასული: ბრძენთა განსჯას ხშირად რეგვენი მოძალადენი კისრულობენ.

წირვა — საკულტო ცერემონია, ლიტურგია (ბერძ. „მსახურება"). უწინ—ჟამის წირვა, ზუსტი გამოხატულება შინაარსისა. სამსხვერპლოდ იყენებენ პურს და ღვინოს. პურს უწოდებდნენ სამეუფოს, ღვინოს—ზედაშეს. ძღვნის სიწმინდეს დიდი ყურადღება ექცევა. უსისხლო მსხვერპლი იესომ დააწესა, მანამდე სისხლიანი ზვარაკი ეწირებოდაო, ამბობენ, მაგრამ საკლავს მუდამ კლავენ. სეფისკვერი—საღმრთო ტარიგის სიმბოლოა, ე. ი. იესოსი, რ-იც „ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგვარა" („მოიღეთ, ჭამეთ, ესაა ხორცი ჩემი, სვით ამისგან ყოველი, ესე არს სისხლი ჩემი, მისატევებლად ცოდვისა" — მათე 26, 26). მთელი ეს საწესო რიტუალი წირვასთანაა დაკავშირებული, გალობა, ანდერძის აგება, გალობით გარდახდა („ოტპეტანიე"): ნ. პანაშვიდი.

„წმინდა ადგილები" — ტბები, მდინარეები, ქალაქები, სოფლები, მთები, ხეები, სამარხები და ა. შ., რომლებიც რელიგიის ისტორიის თანახმად დაკავშირებულია ღმერთის ან წმინდანთა მოქმედებასთან და ქცეულან მორწმუნეთა მიმლოცველობის ადგილებად. მათი რწმენით, ასეთი ადგილების მონახულება უზრუნველყოფს სნეულთა განკურნებას, სანუკვარ სურვილთა აღსრულებას. წმ. ადგილებად ითვლებიან რომი, მექა, იერუსალიმი, ერევანი ქალაქ-სოფელი და გამოქვაბული. კათოლიკურ სამყაროში დიდად პოპულარულია ქ. ლურდი, რომლის „წმ. წყაროები" თითქოს ჯადოსნური ძალით კურნავენ სნეულთ და ცალკეულ პირთა უშრომელი შემოსავლის წყაროდ ქცეულან. როგორც ერთ გერმანულ თქმულებაშია: ხალხი აწყდებოდა ერთ ადგილს, სადაც საოცარი სამკურნალო წყარო გამოჩნდა. მიწის მფლობელმა ბაჟის აღება დაიწყო. წყარო გაშრა. შეწყვიტა — წყაროც ისევ ამოჩუხჩუხდა.

საბჭოთა კანონი კრძალავს „წმ ადგილების" უკონტროლოდ მონახულებას და მოტყუების გზით მათი სამკურნალო თვისებების ქადაგებას.

წმინდანთა ნაწილები — ნ. რელიქვიები.

წმინდანთა ცხოვრება — ქრისტ. სარწმუნოების პროპაგანდის მიზნით დაწერილი „ცხოვრებანი", მარტვილობანი წმინდანებისა, მოწამეებისა. საეკლ. მოღვაწეებისა. იწერებოდა პირველი საუკუნეებიდანვე და ყოველ ქრისტ. ერს დაუგროვდა უკვე მთელი ტომები, რომლებშიაც ბევრ სიძარცლესთან ერთად მრავალი ლეგენდა, გადმოცემა, ლიცვა და შეგონებაცაა. ქართ. პაგიოგრაფიული ლიტ-ში მრავალი ცხოვრებაა, ნამდვილი „ლასიკური ლიტერატურის ოქროს ფონდში შესული, და მხოლოდ ზოგ უმეცარს თუ შეუტევნია ეჭვი მათს მაღალ მხატვრულ ღირებულებაში. საერთოდ კი ცხოვრებათა დიდი ნაწილი ჯერ-ჯერობით ენაზე შედარებით მწირია და ერთფეროვანია.

წმინდა საიდუმლოებანი — ნ. საიდუმლოებანი.

ᲬᲔᲚᲙᲣᲠᲗᲮᲔᲚᲐ — ნ. ნათლისღება.

ᲬᲔᲚᲘᲐ — საკანონო, სულიერად განკანონება, ეპიტიმია (ბერძ. ἐπιτιμία: ἐπί—ზე, τιμᾶν –სასჯელი) — საეკლესიო სასჯელი, ზნეობრივ-გამასწორებელი ღონისძიება კათოლ. და მართლმადიდ. ეკლესიებში, ეკისრებათ საეროებს, მოძღვართ, ბერ-მონაზონებს ცოდვა-ბრალისათვის, რაც გამოიხატება სარწმუნოების წინააღმდეგ გამოსვლის, მბენე ახრისა და მოქმედებისათვის და ითვალისწინებს გარკვეული ხნით რაიმე რიტუალის შესრულებას: ხანგრძლივი და მკაცრი მარხვა, ხანგრძლივი ლოცვა, მიძღოცველობა წმინდა ადგილებში, ხორცის გვემა და ა. შ. დამნაშავეს მას ადებს უმთავრესად მოძღვარი აღსარების დროს, ან თვით მორწმუნე კისრულობს. ზოგ კუთხეში დღესაც სწამთ წყევლის ძალა და ქალაქებში საჯაროდ აწყევლინებენ ხოლმე ქურდს ან ვინმე უცნობ ავისმქნელს. ხალხი გმობს ავგულ მაწყევარს: „ვისაც პირსე წყველა-კრულვა აკერია, მისი გული შავი ძაფით ნაკერია“.

ჭ

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ-ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ (იაც, ჭმე) — მართლმადიდებელი მონარქიული სექტა, რ-იც ქრისტ. მოძღვრებას იყენებს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად. შეიქმნა უშუალოდ რუსეთის სამღვდელოების მიერ, როცა ეკლესია საბჭოთა წყობილების მიმართ ლოიალურ პოზიციასე უნდა გადასულიყო. მართლმადიდებლობას რელიგიის ღალატი დასწამა და შეიკრიბა ლენინგრადის მიტროპოლიტის იოსების (პეტროვის) ირგვლივ, ასე შეიქმნა მტრული ბირთვი, რ-ის ორგანიზაციული გაფორმება მოხდა 1927 წ., ხოლო 1928 წ. შეიქმნა ხელმძღვანელი ცენტრი. თავი გამოაცხადეს რევოლუციამდელი ეკლესიის უშუალო მემკვიდრეებად და მღვდლად ცნობდნენ მხოლოდ იმას, ვინც პატრიარქმა ტიხონმა ან მისმა მიმდევრებმა აკურთხეს. შეინარჩუნეს მართლმადიდებლობის თითქმის ყველა წესი და რიტუალი. აქცენტი გადაიტანეს იმაზე, რომ მალე უნდა მოხდეს მეორედ მოსვლა, მისი მოახლოების სიმპტომად თვლიდნენ საბჭოთა ხელისუფლების („ანტიქრისტეს“) გამარჯვებას (ბიბლიის თანახმად, ანტიქრისტე წარღვნის და ქვეყნის აღსასრულის წინამორბედია). ამასთან დაკავშირებით ცოდვად გამოაცხადეს საბჭოთა სკოლებში სწავლა, კოლმეურნეობაში მუშაობა, არმიაში სამსახური. კულაკობაზე დაყრდნობით გააძლიერეს ბრძოლა საკოლმეურნეო სისტემის წინააღმდეგ, ადიდებდნენ რომანოვების ოჯახს, მხნედ თვლიდნენ მიქელანგელოზს, აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს, კლავდნენ აქტივისტებს. ღვთისმსახურებას საიდუმლოდ მოწყობილ კატაკომბებში და შინაურ ეკლესიებში აწყობდნენ, მუშაობდნენ იატაკქვეშ. საქმის ვითარებამ სექტა მალე დაშალა და დღეს სულ მცირე წევრი დარჩა.

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ-ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ (იᲮᲗ) — მონარქიული ორიენტაციის მართლმადიდებელი სექტა, ანტისოციალისტური ხასიათისა.

შეიქმნა 30—40-იან წლებში კულაკობისა და მესაკუთრე შეძლებული გლეხების მხარდაჭერით, დაშლილი სექტანტების ნაშთებისაგან. განსაკუთრებით აქტიურობდა დიდი სამამულო ომის წლებში. ემსგავსებოდა ჭეშმარიტ-მართლმადიდებელთა სექტას, ოფიციალურ მართლმადიდებელ ეკლესიას ანტიქრისტეს მოსაიდულს უწოდებს, მორწმუნეებს უარძალავს კოლმეურნეობაში მუშაობას, წინასწარმეტყველებს განკითხვის დღის მოახლოებას, ადიდებს ტიხონს (ნ. ტიხონოვშჩინა), ლამობს მონარქიის აღდგენას. საბჭოთა ხელისუფლების გაძლიერებამ ნაწილობრივ დაშალა და უვნებელყო მებრძოლი სექტა.

ჭეშმარიტ-მართლმადიდებელი ქრისტიანული სექტა, მოხეტიალეები— ძველმორწმუნეთა (სტაროობრიადცების) მიმდინარეობა, მისი ნაირსახეობა, უმღვდელონი (ბესპოპოვცი). ქადაგებენ განდგომას, სახოგადოებაში ყოფნის უარყოფას, რამდენადაც იქ ეგულებათ ანტიქრისტე, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებზე უარის თქმას (სამხედრო სამსახური, ბეგარა, გადასახადები, სწავლა, დოკუმენტების მიღება, როგორც ანტიქრისტეს აშკარა გამოვლინება). ფანატიკურად უარყოფენ ყოველგვარ სხვა რელიგ. მიმდინარეობას, საპროტესტო მოქმედების მთავარ ღონისძიებად მიაჩნიათ გაქცევა, წასვლა უდაბნოებში, ფარულად ცხოვრება (მეტადრე აქტივი, ხელმძღვანელობა არალეგალურად საქმიანობს). წყევლიან საბჭოთა ხელისუფლებას და ქადაგებენ მის დაქცევას.

ხ

ხარება (ბლაგოვეშჩენიე, გერმ. მარია ფერკუნდიგუნგ) — საკ. მიხარება, ცნობის მიცემა; რელიგ. დღესასწაული: ხარებობა, ყოველად წმიდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამის დღეობა (25 მარტს, ახ. სტ. 7 აპრ.). წიგნის კითხვით გართულ ქალწულ მარიამს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა: „გიხაროდენ, მომადლებულო, უფალი შენთანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის", ე. ი. შობ იესოს, მაცხოვარს, კაცობრიობის მხსნელსო. მარიამს ჯერ შეეშინდა, მერე კდემით თავი დახარა: „აჰა მხევალი უფლისა", და უბიწოდ შვა—სულიწმიდის მოელინებით — იესო.

ხ. მართლმადიდებელ სარწმუნოებაში ითვლება ათორმეტთაგანად. უბიწოდ ჩასახვის მითი ცნობილია ძვ. ინდოეთის, საბერძნეთის, რომის რელიგიებში. დღესასწაულობენ IV ს-დან, როცა შობა, ნათლისღება და უფლის გამოცხადება სხვადასხვა დღესასწაულებად იქცა. შობა 25 დეკემბერსაა, ნათლობა (ნათლისცემა) 6 იანვარს, ხოლო ხარება დაადგინეს შობიდან უკან 9 თვის გადათვლით. ეკლესია ყოველნაირად ადიდებს ღვთისმშობელს, რ-საც თავისი სათნოებით, სიწმინდით მიაღწია იმას, რომ ღირს იქმნა ეშვა უფალი ჩვენი. ეს დღე რუსეთშიც და სხვაგანაც დაემთხვა საგაზაფხულო საეკუმენიოების ზეიმს.

ხატმებრძოლობა (იკონობორსტვო, იკონობორჩესტვო, ბილდერშტურმერაი) — სოციალურ-რელიგ. მოძრაობა საქრისტიანოში, ხატისა და წმ. ნაწილთა უარყოფის ცდა ბიბლიაზე დაყრდნობით, რომ ხატი („მსგავსი სახე") კერპია და ხატის თაყვანისცემა—კერპთთაყვანისმცემლობა. ამით უარყოფდნენ შეხედულებას, რომ გრძნობიერი, თვალსაჩინო საშუალებებით შეიძლება ნეტარების მიღწევა (ასეთი სიმბოლოებია ხატი, ჯვარი, ტაძარი, ღვთისმსახურება). თავდაპირველად ეს იყო ერთგვარი ბრძოლა საეკლ. მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, გამოხატავდა სხვადასხვა წოდების ინტერესებს, ამასთან ბიბლიის გარდა ეყრდნობოდნენ საეკლესიო ავტორიტეტებს (კლიმენტი ალექსანდრიელს, ევსებიოს კესარიელს და სხვ.). ამით ზიანს აყენებდნენ მოძღვრებას ქრისტეს ღმერთკაცობის შესახებ. აშკარაა ზეგავლენა მონოფიზიტებისა. ხატის კულტის წინააღმდეგ გაილაშქრეს პირველად IV ს-ში. მოძრაობა დაიწყო ბიზანტიაში. საერო არისტოკრატია, თვით იმპერატორი გარკვეული მოსაზრებით მხარს უჭერდა მოძრაობას, რათა დაესუსტებინათ ეკლესიის გაძლიერებული ზეგავლენა სახელმწიფოში. საერო და სასულიერო ფეოდალების ბრძოლა გამწვავდა მაშინ, როცა 726 წ. იმპერატორმა ლეო III გამოსცა ბრძანებულება და აკრძალა ხატების თაყვანისცემა.

მაგრამ რიცა ხალხთა მასების ხატმებრძოლურმა მოძრაობამ საშიში ხასიათი მიიღო, არისტოკრატები იძულებული გახდნენ გაეროიანებულიყვნენ. 786 წ. კონსტანტინოპოლის VII საეკლ. ყრილობაზე ხ. დაგმეს, ხოლო 843 წ. ბიზანტიაში საბოლოოდ აღდგა ხატების თაყვანისცემა. შემდეგ ხ-ბა მეორდება მხოლოდ ცალკეულ ერეტიკულ მოძრაობებში: ტონდრაკიელებში (VIII—X ს.), ბოგომილებთან (ბულგ. X—XII ს.), კატარებსა და ალბიგოელებში (საფრ., იტალ. XI—XIII ს.), მარკიანთა ერესში (რუს., XI—XIV ს.) და სხვ.

1556 წ. ნიდერლანდებში 5500 ეკლესიის ხატი და ქანდაკი დაამსხვრიეს.

ხატი (ბერძ. იკონი, „მსგავსი", „სახე") — წმინდანთა, ღმერთების, რელიგ. სიუჟეტების ფერწერული ან რელიეფური გამოსახულება (ხეზე, ლითონზე), რელიგ. თაყვანისცემის საგნად ქცეული ან ამ მიზნით გამოკვეთილი („თუ ხატი ჩემი გაჭედილია, იმისი მადლი ვიცი"). ხატის თაყვანისცემა არსებობს ქრისტ. სარწმ-ში (მართლმადიდ., კათოლიკ.), ლამაიზმში, ბუდიზმში. ითვლება ფეტიშიზმის გამოხატულებად, ნასესხებია უფრო ძვ. რელიგიებიდან. ხატის თაყვანისცემის წინ-გ აქტიურად გაილაშქრეს საეკლ. ისტორიკოსმა ევსებიოს კესარიელმა და ეკლესიის მამამ კლიმენტ ალექსანდრიელმა, რ-ნიც გამოდიოდნენ ბიბლიიდან: არა თაყვანი სცეთო კერპებს. მაგრამ IV ს-ში ხატების კულტი უართოდ გავრცელდა, მიეწერებოდათ სასწაულებრივი ძალა, სამკურნალო თვისებები, განახლებისა და თვალებით მინიშნების უნარი.

ამასთან უთვალავი ხატი ჩვენში და უცხოეთში ხელოვნების შედეერი და სიწმინდის სიმბოლოა.

ხატისმსახური — ხევსურთა სარწმუნოებრივი რწმუნებული, სამლოცველოს (ე. ი. ხატის) მსახური, ჩვეულებრივ ხევისბერი (მთავარი ხ.). ევალებოდა რელიგ. ცერემონიისა და მსხვერპლშეწირვის აღსრულება.

ხატობა — რელიგ. დღესასწ. ხატსე (ეკლესიაში) წირვა-ლოცვა და

მსხვერპლის შეწირვა, რაც პურობით თაედებოდა.

ᲮᲔᲚ(Თ) ᲓᲐᲡᲮᲛᲐ — ნ. კურთხევა (მღვდლად და სხვ.).

ᲮᲘᲚᲘᲐᲡᲖᲔᲘ (ბერძ. ხილიოი, ხილიე—ათასი) — უფლის ათასწლოვანი მეუფება (ქრისტ. მოძღვრებით), რაც უნდა მოჰყვეს სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე. მკვეთრად, მხატვრულ სახეებში გამოიკვეთა აღრექრისტ. წიგნში „იოანეს გამოცხადება". შემდეგ ხ. ეკლესიამ დაგმო, როგორც ერესი. ამის მიუხედავად, მან შუა საუკუნეების სექტებში ფართო გავრცელება ნახა. ბუნებრივია, ღარიბობა ამაში ხედავდა ერთგვარ იმედს, რომ თავს დააღწევდა ჩაგვრას და საშველი დაადგებოდა ციური განგების წყალობით. ზოგჯერ ეს იდეები უკავშირდებოდა „უფლის მეუფების" იდეას დედამიწაზე, ხდებოდა „გლეხურ-პლებეური ერესის ამოსავალი პუნქტი" (ენგელსი). ჩვენს დროშიც ეს იდეები ცოცხლობენ ადვენტისტების, იეღოვისტების და სხვა სექტების მოძღვრებაში, როგორც ჩაგვრისაგან ხსნის იმედები.

„ᲮᲘᲜ" (სპარს. „არაფერი") — ᲞᲝᲛᲔᲘᲜᲘᲡ (ნ.) დეკეზი: ყველას და ყველაფრის უარყოფა, შეიტური ფანატიზმის გარდა არაფრის ცნობა.

ᲮᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ — ნ. თვითმგვემელნი.

ᲮᲡᲜᲘᲚᲘ (ᲘᲐᲡᲝᲠᲘ) — გამოხსნილი, მორჩენილი (ფს. 106, 2; მათე 1,21). „ჟამი, ოდესცა შენდობილ არს ჭამა ხორცისა და სხვათა" (ხსნილის აღება). ესაა დროის მონაკვეთი, როცა მომარხულეებს ნება ეძლევათ ჭამონ ხორცეული. შემოდგომის ხსნილი გრძელდება 15 აგვისტოდან 14 ნოემბრამდე (ძვ. სტ.), ზაფხრისა — 25 დეკემბრიდან ყველიერამდე; ხორცით აღება (მიასოპუსტ) — დიდმარხვის წინა კვირა, რომლის განმავლობაშიც საელ. კანონი კრძალავს ხორცის ჭამას, მაგრამ ნებადართულია ყველის, ერბოს, თევზის ჭამა (ნ. ყველიერი, მარხვა).

„ᲮᲡᲜᲘᲡ ᲐᲠᲜᲘᲐ" — საერთაშორისო ქრისტ. — ფილანთროპიული ორგანიზაცია, რ-იც მქადაგებელ-მეთოდისტმა უ. ბუტსმა შექმნა ინგლისში 1865 წ. მოსახლეობის დაბალ. ფენებში რელიგიის გავრცელების მიზნით (შემდეგ გამოძახილი მიიღო სხვა ქვეყნებშიც). მისი წევრები მორალურ-რელიგიური ქადაგების გარდა ფინანსურადაც ეხმარებოდნენ ყველაზე უფრო უიმედო ღატაკებს და ცდილობდნენ მათს ჩამოცილებას პოლიტ. ბრძოლისაგან. ამ მიზნით დაარსდა მრავალი სკოლა, ბიბლიოთეკა, კოლონია, თავშესაფარი. სისტემა სამხედრო ხასიათისაა: ჰყავთ „ჯარისკაცები", „ოფიცრები", „გენერალი". ამჟამად ითვლიან 25 ათ. წევრს და აქვთ ცენტრები 68 ქვეყანაში, განაგებს საერთაშორისო შტაბი, საბჭოები, კონსულტაციები. პირველი გენერალის—ბუტსის ვარაუდით, ამან უნდა იხსნას თანამედროვე ურჩობისა და არეულობის ატმოსფეროში კაცობრიობა უწესობისაგან. ეინც დახმარებას იღებს, მონაწ. უნდა მიიღოს რელიგ. წესების აღსრულებაში.

Ჯ

ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ — გრძნეული, კუდიანი, მავნე, ავსული — წარმართობის დროიდან მომდინარე ცრუმორწმუნეობით ცნობილი ეშმაკის მსახური დედაკა-

ცი, რ-საც თითქოს შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანებს და პირუტყვს, გადაჩეხოს, გააგიჟოს, მუცელი მოუწყვიტოს და ა. შ. ხალხის რწმენით, უშმაკს ეშსახურება. შუა საუკ-ებში ინკვიზიცია სასტიკად დევნიდა ჯადოქრობაში ბრალდებულ, ეჭვქმიტანილ ქალებს, აწამებდა, კოცონზე წვავდა (ასეთი ბრალდება წაუყენეს თვით კეპლერის დედას). ჯადოქართა პროცესები მრავალ ქვეყანაში ეწყობოდა. ასობით სრულიად უდანაშაულო ქალს ელოდა სასტიკი განკითხვა. დღეს ღვთისმეტყველნი ქაჯ-ეშმაკსა და ჯოჯოხეთის სატანჯველს შემარიგებლური მოსაზრებით სიმბოლურ მნიშვნელობას აძლევენ, მაგრამ ოფიციალურად მათი უარყოფა არ მომხდარა. პირიქით, 1972 წ. პაპი იოანე პაველ VI გამოვიდა საგანგებო დეკლარაციით, რითაც ამტკიცებდა, რომ ეშმაკი არსებობს. მეორე დიდმა საეკლ. მოღვაწემ განაცხადა, რომ ეშმაკი ღმერთმა შექმნა და მანვე უარყო ურჩობისათვის. დიდი ღვთისმეტყველი თომა აქვინელი XIII ს-ში წერდა: ზოგს ეგონია, რომ ქაჯი, ეშმაკი და ჯადოქარი უანტაზიის მონაგონია. სინამდვილეში ისინი არსებობენ და იწვევენ ქარიშხლებს, შეუძლიათ ციდან ცეცხლი დაადენინონ. რომ. — კათოლ. ეკლესია მთელი ისტორიის განმავლობაში ებრძვის ჯადოქრებს და კუდიანებს. ინოკენტი IV-მ წამებით დაკითხვა შემოიღო. ინოკენტი VIII ბულით ლოცავს გერმანელ ბერთა ინსტიტორისისა და შპრენგერის საშინელ წიგნს „ჯადოქართა ურო". სხვა პაპებიც ხელს აფარებდნენ უდანაშაულო ქალთა წამების საშინელ ინსტიტუტს. ვინც ჯადოქრების არსებობაში ეჭვს შეიტანდა, ერეტიკოსად აცხადებდნენ და მასაც წამება ელოდა. XVI ს-ში ტრირელმა ოლოგმა თავის წიგნში ეჭვი გამოთქვა ადამიანთა საქმეებში ეშმაკის ჩარევის თაობაზე. წიგნი ხელნაწერშივე მოსპეს, ავტორი აწამეს, ციხეში ჩააგდეს, მრავალი დამცირების შემდეგ გაათავისუფლეს, ისიც დროებით, და მხოლოდ „სიკვდილმა იხსნა ბორბალზე გაკერისაგან". „ჯადოქართა ურო"ში წერია, რომ ქალაქ რავენსბრუკში 48 კუდიანი დაწვეს, ორსაც სეტყვის გამოწვევა დააბრალეს და დაწვეს. ტრირის ოლქში 6 წელიწადში 380 ადამიანი დაწვეს. იეზუიტმა ელბუცმა 200 ჯადოქარი გაგზავნა კოცონზე. აუგსბურგში 1590 — 92 წლებში 68 „ჯადოქარი" დაწვეს, ერენბერგში — 157 (სახელები ცნობილია). ბამბერგის ეპისკოპოსმა დაღოცა 600 ქალის დაწვა, და ასე უსასრულოდ. ათასობით მსგავსი ფაქტია აღნუსხული. გერმანელი მკვლევარი ენიგი წერს, რომ მარტო XVI ს-ში მარტო გერმანიაში დაწვეს 200 000 ადამიანი, ზოგი დილეტანტი კი წერს, რომ საჭირო არ იყო ასეთ საზარლობათა ისეთი აღწერილობის თარგმნა, როგორიცაა „წმინდა ბუნაგი", „ბალთაზარ კოსა"... თვით ღრმად განსწავლულმა დიდმა ლუთერმა კათოლიციზმიდან გადაიღო საშინელი სატანიზმი, მისთვის ეშმაკი იყო ღვთის რისხვის იარაღი, ჯალათი. ჯადოქართა პროცესები—სამარცხვინო ფურცელია კათოლიციზმის ისტორიაში.

ჯაინიზმი (საკუთ. სახელიდან ჯინ) — ერთ-ერთი უძვ. ინდური რელიგია, ბუ. წ. VI ს-დან ჩაისახა, ინდუიზმთან ერთად, რ-იც ბრაჰმანურ ოპოზიციას დაუპირისპირდა. თითქოს მომდინარეობს ისტორიის სიღრმიდან, როგორც 24 ძითიური წინასწარმეტყველის ნაანდერძევი. მათგან უკანასკნელია ჯინად წოდებული მაჰავირი. ჯინია ძლევამოსილი წინასწარმეტყველი, რ-მაც გზიდან

ჩამოიცილა რელიგიური ხსნის შემაბრკოლებელი კარმა და იქადაგა 5 ჭეშმარიტება: არ მოკლა, არ იცრუო, არ იქურდო, ნუ გინდა მიწიერი საგნები, იყავი უმწიკვლო (ბერთათვის). სულის გარდასახვის, კარმას, წინასწარმეტყველთა პერიოდულად გამოჩენის მოძღვრებანი ბრაჰმანიზმიდან გადმოიღო. ბუდიზმთან ერთად უარყოფს ინდივიდუალური ხსნის იდეას, კასტებს, ვედების სიწმინდეს, ბრაჰმანთა საკულტო წესებს. ჯ-ის წესებია: ჯინის თაყვანისცემა ღვთაების თანაბრად, წმინდა წერილთა კითხვა, საჯარო ქადაგებანი. დღეს 2 მილიონამდე მორწმუნე ახდენს რელიგიის მოდერნიზაციას, ებრძვის სიმდიდრის დაგროვებას, არაა მომხრე ძალადობისა.

ჯაჭვი მოღვაწეთა (ვერიგა, ძვ. სლ. „თოკი", „ჯიჭვი") — „ჯაჭვი, რომელსაც შიგნიდამ ჩაიცმენ მოღვაწენი": ბორკილი, ჯაჭვი ან სხვა რამ ხორცის დამტანჯველი საგანი, რასაც რელიგიური ფანატიკოსები მუდმივად ატარებდნენ ხორციელი სიამის დათრგუნვის მიზნით.

ჯვართამაღლება უფლისა — საქრისტიანოს დიდი დღესასწაული, მართლმადიდებლობაში ათორმეტთაგანი. საფუძვლად დაედო თქმულება ჯვარზე, რომელზედაც ქრისტე გააკრეს. ეს ძელი ჯვარისა ცალკე თქმულების საგნად ქცეულა ჯვრის მონასტრის ქართველთა შორის: აბრაამმა ძმისწულ ლოთეს შეცოდებისათვის ჩასჯელი დააკისრა: უნდა დაერგო ნაძვის, კედარის და კვიპაროსის გამხმარი რტოები და ერწყა, ვიდრე ამწვანდებოდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ მართლაც ამწვანდნენ ცრემლნარევი წყლით ნარწყაული ტოტები და დიდ ხედ წამოიზარდნენ. სოლომონის ბრძანებით ეს ძელი იერუსალიმის დიდი ტაძრის მშენებლობაზე უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ მშენებელთა დაუდევრობით მიიივიწყეს, მერე იქვე ბოგირად გადადეს და ბოლოს ქრისტეს ჯვარისათვის გამოიყენეს. ეს ძველი მორი გოლგოთის მთაზე ჩაფლეს და ზედ წარმართული სამსხვერპლო აღმართეს. მრისხანე წარმართ იმპერატორს კონსტანტინეს, რომელმაც ქრისტიანებს ღვთისმსახურების ნება მისცა და ამისათვის წმინდანად გამოაცხადეს, ის ჯვარი ორგზის ცასე მოეჩვენა, ორგზის სიზმარში, და განიზრახა მისი პოვნა. ეს პატიკი ერგო დედამისს, წმ. ელენეს, რომელმაც პალესტინაში გათხრები ჩაატარა და 324 წ. ჯვარი ნახა. ხალხის საჩვენებლად გოლგოთაზე აღმართეს და ჯვრის მონასტერში ინახებოდა, მერე სპარსელებმა გაიტაცეს და იმპერატორმა ერაკლეემ დაბრუნა. ერთი გადმოცემით იერუსალიმში ინახება, მეორე ეკლესიათ-რომში. გოლგოთაზე მისი აღმართვა იქცა სიმბოლოდ: ადამიანის გზა — გოლგოთის კუნძულე წამებით სვლაა, მაგრამ ესაა ხსნის, გადარჩენის გზა. იმ დღეს, 14 (27) სექტემბერს მორწმუნეები მარხულობენ („ვინც არ იმარხულებს, მასზე 7 ცოდვა ამაღლდებაო"). IV ს-ის მწერლები ასეთ ფაქტზე დუმან.

ჯვრის პოვნის ადგილზე 335 წ. ელენემ ტაძარი ააშენა.

ჯვარი ხალხთა თაყვანისცემის უძველესი საგანია. ინდოეთში, ეგ ი-ში, ამერიკის ხალხთა შორის ამ სიმბოლოს ქრისტიანობაზე ბევრად უფრო ადრე სცემდნენ თაყვანს. ჩანს, დაკავშირებულია ცეცხლის გაჩენის საშუალებასთან—ჯვარედინი ხის ხახუნისაგან რომ ცეცხლი ჩნდებოდა, ამას ზებუნებრივ მნიშვნელობას აძლევდნენ. მიაწერდნენ სასწაულებრივ ძალას. ეროვნულ ქრისტიანობა, მოვალეებისაგან რომ თავი დაეღწია, თავის მოკლეა განიზრახა.

ფიალაში შხამი ჩაასხა, პირჯვარი გადასახა და შხამმა არ იმოქმედა. თითქოს განკურნების ძალაც აქვს (გოლგოთაზე ნაპოვნმა ჯვარმა თითქოს გააცოცხლა მკვდარი და მოარჩინა სნეული).

ჯვართამაღლების მიზანიც აშკარაა: მარადიული სასუფეველისათვის კაცი ქრისტესავით უნდა ეწამოს, აიტანოს ყოველგვარი ჩაგვრა და ა. შ. ჯ-ის თემას საქ-ში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს (ბერთუბნის ტაძრის კონქში, 1213).

ჯვარი — ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლო, თაყვანისცემის უძვ. სიმბოლოა, ოღონდ ქრისტიანობამ უფრო დახვეწა და დაუკავშირა ცნობილ თქმულებებს. მისი ფორმა დასუსტებული არაა. მართლმადიდებელნი აღიარებენ ოთხ-, ექვს- და რვაბოლოიან ჯვარს, აქვს მრავალგვარი სახე. ინდურ ჯვარს სვასტიკას უწოდებენ. აკეთებდნენ ხისას, ლითონისას, ოქრო-ვერცხლისას, ძვირფასი ქვებით მოჭედილ, მოხატულს, რელიეფურგამოსახულებიანს... საქართველოში, კერძოდ სვანეთის მუზეუმში მრავალი ძვირფასი ჯვარია დაცული (წმ. გიორგის ცხოვრების ეპისოდებით და სხვ.).

ჯ., როგორც ქრისტიანობის, ქრისტეს ჯვარცმის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიმბოლო, ასეთი სახით მოგვიანებით დაკანონდა: მას შემდეგ, რაც იერუსალიმში მიმოსვლის დროს იმპერატორ კონსტანტინეს დედამ ელენემ თითქოს აღმოაჩინა ის ჯვარი, რომელზედაც ქრისტე გააკრეს, ძირითადად ასეთი სიმბოლიკა დაწესდა 326 წლიდან (საქ-ში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების თარიღი). ჩვენს დროში ჯვრის ტარება (მკერდზე) ძლიერ გავრცელდა. ბევრი ამას აკეთებს შეუცნობლადაც, ისე რომ დანიშნულება და ისტორია არ გაეგება. ამასე თ. ფანჯიკიძე მართებულად შენიშნავს, რომ თვითონ ბიბლია უარყოფს ერთდროულად ღმერთისა და მამონას სამსახურს და თუმცა ჯვრის ტარებას არავინ კრძალავს, „ჯვაროსნებმა" მისი მნიშვნელობა მაინც უნდა იცოდნენ.

ჯვარი — სალოცავიცაა ხევსურეთში. თითქმის ყოველ სოფელს თავისი ჯვარი (ხატი) აქვნდა: ხახმატის ჯვარი, გუდანისა, ბლოს, დიდგორის, კარატის, დართვისის და სხვ. აქ ხატობაზე სწირავდნენ მსხვერპლს, ირჩევდნენ „დასტურებს", დიასახლისს, ხევისბერი ლოცავდა, ამწყალობებდა ხალხს, სვამდნენ ლუდს, ადიდებდნენ ჯვარს (ჯვარდიდების ცერემონიალი).

ჯვარი ვაზისა — საქართველოში ეროვნულ სიმბოლოდ ქცეული ჯვარი, რომლითაც თითქოს გააქრისტიანა წმ. ნინომ ქართლი, მერე ის ინახებოდა (სიონის ჯ. ვ.). დაკავშირებულია ვენახის, ვაზის კულტთან, ამ წმ. მცენარესთან, რომელსაც მხოლოდ ბარბაროსნი ჩეხავენ და ერჩიან. იხ. „ნინოს ცხოვრება".

ჯვაროსნული ლაშქრობანი — დას. ევროპის ფეოდალთა, მეფე-მთავართა დამპყრობლური ომები რომის პაპისა და საერთოდ კათოლიკური სამყაროს ინიციატივით, მხარდაჭერით, აქტიური მონაწილეობით, ვითომ ქრისტეს საფლავის სახსნელად ურჯულოთა ბატონობისაგან, სინამდვილეში კი ახალი მიწების ხელში ჩაგდებისა და გამდიდრების მისნით. მართლაც, მათ განუსაზღვრელი სიმდიდრე შესძინეს პაპისა და ცალკეულ ფეოდალ-სარდალთა სალარიებს, მაგრამ უთვალავი მსხვერპლის ფასად. სულ 8 ლაშქრობა მოხდა.

თუ არ ჩავთვლით მღვდელ გოტშალკის უწესრიგო ბრბოს, რომელმაც უნგრეთ-შივე ნახა სამარე. მთავარ ლაშქრობათა სურათი მოკლედ ასეთია:

I — მოაწყო ურბან II-მ (1096 — 99). პაპის კურთხევით შეიყარა 100 000 (ზოგი ცნობით 300 000) გაწვრთნილი მეომარი, რომელთაც გზადაგზა მრავალი ხიფათისმაძიებელი შეუერთდა. სათავეში ჩაუყენეს გამოჩენილი სარდლები გოტფრიდ ბულონელი და მისი ძმები, გრაფი ჰუგო ვერმანდუა, ფილიპე I-ის ძმა, რაიმუნდ ტულუზელი, ტანკრედ აპულიელი... რაინისპირეთშიც დახოცეს 3500 ებრაელი, რითაც ცოდვები გამოისყიდეს (თუ აიკიდეს?). მრავალი ძნელბედობის შემდეგ აიღეს ანტიოქია, ედესი, იერუსალიმი, სადაც საშინელი სერეფა განმეორდა. იერუსალიმის პირველ მეფედ გამოცხადდა გოტფრიდი (დაარსდა სხვა სამთავროებიც, კონსტანტინოპოლის გზაზე კი ბერძნებმა სძლიეს). სარდალმა მიიღო მხოლოდ „უფლის საფლავის მცველის" ტიტული და მომდევნო წელს გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი ძმა. „იერუსალიმის სამეფო" არსებობდა 1100 — 1187 წლებში.

ამ წარმატებით წაქეზებულმა მბრძანებლებმა ბავარიელთა, გერმანელთა, იტალიელთა, ფრანგთა 260 000-იანი არმია დაძრეს, მაგრამ ის სელჯუკებმა დაამარცხეს და ნაწილობრივ გაელიტეს. 1144 ედესიც თურქებმა აიღეს. ევროპის ძალები მუსულმანურ აღმოსავლეთში უკვე დნებოდნენ.

II ლაშქრობა (1147 — 49) მოაწყო ევგენ III-ის თაოსნობით. რ-მაც ურბანიეთი აღუთქვა ყველა მონაწილეს ცოდვების მოტევება. შეცნობე ბერნარდ კლერვოელ მონაწილეობაზე დაითანხმა ფრანგთა მეფე ლუი VII და გერმანიის იმპერატორი კონრად III ჰოჰენშტაუფენი. შედგა უზარმაზარი არმია, რომელშიაც შედიოდა 140 000 მხედარი და 100 000 ფეხოსანი. ამ ურდომ, რომელიც ჭირმა და მცირე შეტაკებებმა შეათხელეს, დამასკოც კი ვერ აიღო და ლაშქრობა სამარცხვინოდ დამთავრდა.

III ლაშქრობა (1189 — 96) მოაწყო მას შემდეგ, რაც სულთანმა სალადინმა 1187 წ. იერუსალიმი აიღო. მასში მონაწილეობდნენ ძირითადად გერმანელი რაინდები, რომელთაც ფრიდრიხ I ბარბაროსა სარდლობდა, ფრანგები, რომელთაც ფილიპე II აგუსტი გაუძღვა და ინგლისელები, რომელთაც სათაკეში ედგა რიჩარდ ლომგული. ბარბაროსა მდინარე სალეფეში დაიხრჩო ბანაობის დროს, ფილიპე აგუსტი უკან გაბრუნდა, რიჩარდ ლომუელმა კი წარმატებით აიღო აკრა და კვიპროსი, მაგრამ იერუსალიმთან დაამარცხდა და სალადინთან ზავი შეკრა. ის ლევენდების გმირად იქცა.

IV ლაშქრობა (1202 — 1204) ინოკენტი III-მ მოაწყო. 20 000 ფრანგმა და გერმანელმა იერიშით აიღო და აიოხრა კონსტანტინოპოლი. ქრისტეს საფლავის სახსნელად დაძრულმა არმიამ დაანგრია ქრისტიანული იმპერიის სატახტო ქალაქი და მის ადგილზე „ლათინური იმპერია" შექმნა (1204 - 61). ამ იმპერიამ 57 წელი იარსება. ჯ. ლ-მ გააუქმა თავისი სახე. ქოგებული დარჩა ვენეციის რესპუბლიკა.

სათვალავში არ იღებენ ერთ-ერთ უდიდეს დანაშაულს -- 1212 წ. მოწყობილ ბავშვთა ჯვაროსნულ ლაშქრობას: 50 000 ბავშვი, რომელთაც ღმერთი უნდა დახმარებოდა ქრისტეს საფლავის დახსნაში, თითქმის მთლიანად დაიღუპა გზაში (ქარიშხალი ზღვაზე, ჭირი, უპატრონობა); არც უნგრეთის მეფის

კონრად II-ის ლაშქრობას სირიაში (1217 – 18). ზოგი ისტორიკოსი მას თვლის და მაშინ გამოდის 8 ლაშქრობა.

V (თუ VI) ლაშქრობა (1228 – 29) მოაწყო პაპის შეჩვენებულმა ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენმა, რ-საც ტევტონთა ორდენი უჭერდა მხარს. მან მოახერხა იაფას და იერუსალიმის აღება, იქვე ეკურთხა მეფედ, მაგრამ 1244 წ. ეს ქალაქი საბოლოოდ ჩავარდა არაბთა ხელში (აიღო ეგვიპტის სულთანმა).

VI (თუ VII) ლაშქრობა (1248 – 54) მოაწყო ფრანგთა მეფემ ლუი IX-მ, რ-საც მძიმე სნეულების დროს აღთქმა პქონდა დადებული, ქრისტეს საფლავს დავიხსნიო. საფლავი ვერ იხსნა, ტყვედ კი ჩავარდა და ძლივს გამოიხსნა თავი. ძალე დედა გარდაეცვალა და საფრანგეთში დაბრუნდა.

VII (ან VIII) და უკანასკნელი ჯვ. ლაშქრობა მოაწყო იმავე ლუი IX-მ 1270 წ. ტუნისში, სადაც არაა ქრისტეს საფლავი: მეფეს კარლ ანჟუელისთვის სჭირდებოდა ჩრდ. აფრიკა. ქალაქს აღეა შემოარტყა, მაგრამ ჭირმა იმსხვერპლა, ჯართან ერთად. ქრისტეს შემწეობის იმედი კვლავ საძარეში წაიღეს.

1268 წ. თურქეთმა ანტიოქია დაიბრუნა, მაღე ტრიპოლი და აკაც დაიკარგა და ჯვაროსანთა სისხლით მოპოვებული მიწები ისევ მაჰმადიანთა ხელში ჩავარდა. გიჟურ ლაშქრობათა შედეგი იყო უსარძაზარი მსხვერპლი, პაპის ავტორიტეტის დაცემა, კულტურის ძეგლების მოსპობა კონსტანტინოპოლში, განუზომელი უბედურება. მართალია, გაისარდა ცოდნა, გაცხოველდა ურთიერთობა, დაისაჯა ბევრი დესპოტიც.

ჯვაროსნ. ლაშქრობის ლოზუნგით კვლავ განაგრძობდნენ ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლას. ასე ჩატარდა ტევტონთა ორდენის ლაშქრობა რუსეთში, სადაც სასტიკად დიმარცხდნენ (ბრძოლა ყინულზე, 1242 წ.); ასე გაელიტეს ალბიგოელები (1209 წ.), ჩააქრეს ჩრდ. იტალიის აჯანყება (1305 წ.), ატეხეს ომი ჩეხი ჰუსიტების წინ-გ (1420 – 31); ჯვ. ლაშქ. გიმოაცხადა პიუს IX-მ საბჭოთა კავშირის წინ-გ 1930 წ., ლაშქრობენ კომუნიზმის წინ-გ დღესაც.

ჯვარცმა — ჯვარზე გაკვრა; ჯვარსე გაკრულ ქრისტეს გამოსახულება.

ჯიხანდი — ნ. პაზავათი.

ჯოჯოხეთი (ბერძ. ჰადესი, აიდი, აქედ. რუს ად) — შავეთი, ცოდვილთა საწამებელი ადგილი ქვესკნელში, სადაც რელიგ. წარმოდგენით სულები იტანჯებიან. ასრულებდა რეაქციულ როლს: მორწმუნეებს აიძულებდნენ, რომ მათი მნაგვრელები ჯოჯოხეთში დაიხეტიალონ და ამით ამშვიდებდნენ საქართველოს ჯოჯოხეთში დაღდასმულებს. მთელი თავისი საშინელებით აღწერა დანტემ „ღვთაებრივ კომედიაში". ქართ. ხალხ. წარმოდგენით, საიქიოში ორი ნაწილია: ჯ. და სამოთხე. მათ შორის ბეწვის ხიდია და იმ ხიდზე მიმავალი ცოდვილი კუპრის ტბაში ვარდება. „წყალ-წისქვილის მოღალატეს ჯოჯოხეთს პქონდეს ალიო" (ხალხ.).

ჰ

ჰაგიოგრაფია (ბერძ. ჰაგიოს—წმინდანი, გრაფო აღვწერ) — წმინდანთა (მარტვილთა) ცხოვრების აღწერილობა, ქრისტ. ლიტ-ის დარგი. მას მსოფლიო

ლიტ-ში და კერძოდ ქართ. მწერლობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მრავ. ჰ-ული ნაწარმოები (შუშანიკის წამება, აბოს წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და მრ. სხვა) კაზმული ლიტ-ის სიმკაულია ყველა დროისათვის და .მათი მხატვრული ღირებულების დამცირების ყველა ცდა, რასაც უმეცარი ლიტერატორები არაერთხელ ცდილან, კრახით თავდება.

ჰაზავათი (ჯიხადი) — „წმინდა", „საღვთო" ომი, რასაც ყურანის რეაქციული შეგონებით ყოველი მუსულმანი უნდა ეწოდეს „ურწმუნოთა", ე. ი. არამუსულმანთა წინ-გ. აღმოსავლელ დესპოტთა, უნდო ფეოდალთა მიზანი იყო ამით გაეცვეებინათ ბნელ ფანატიკოსთა შორის სიძულვილი ქრისტიანების წინ-გ და გამმართლებინათ თავიანთი დამპყრობლური ომი (არაბთა, ხალიფთა, თურქთა; ლეკთა მძარცველური ომები, შემოსევა, თარეში). ვინც „მრავალღმერთიან" გიაურებს გაძარცვავდა, გაჟლეტდა, დაიპყრობდა, მათ ურუ ალაჰი ცოდვებს მიუტევებდა, ბნელ ფანატიკოს მორწმუნეებსაც ბრძად სჯეროდათ ეს აბსურდული „ჰაზავათი" და მუდამ მზად იყვნენ საძარცვავად. დღეს თითქოს ისლამის მშვიდობიან ქადაგებად იქცა, მაგრამ კვლავ რჩება რეაქციულ იარაღად (პაკისტანი, ინდონეზია, ავღანეთი...).

ჰანიფიზმი — ისლამის წინამორბედი რელიგია (VII ს.).

ჰარაჯირი — მუცლის გამოფატვრით თვითმკვლელობა იაპონიაში, სამურაებს შორის, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, ატარებს რელიგ. ფანატიზმის სახეს.

ჰასანი (დაახ. 625 — 669) — ალის და ფატიმას შვილი, შიიტების მეორე იმამი. 661 წ., როცა ალი მოკლეს, მისმა მომხრეებმა ხალიფად გამოაცხადეს, მაგრამ უარი განაცხადა. ჰასიური და უბადრუკი ჰასანი მხოლოდ იმითაა ცნობილი, რომ 4-ჯ ცოლი ჰყავდა და წარამარა ეყრებოდა ერთერთს, რომ სხვა შეერთო. ამრიგად შეირთო ასამდე ქალი, მოკვდა ჭლექით და შიიტებმა „წმინდანად" შერაცხეს.

ჰასიდიზმი (ებრ. ჰასიდ—საზონო, ქველი) — რაბინთა სიმდიდრისა და თვითნებობის წინ-გ მიმართული მოძრაობა ებრაელთა შორის რუსეთსა და პოლონეთში (XVIII ს.). დაშაარსებელი იყო იზრაილ ბეშტი (1700 — 60). რაბინთა მოძღვრებას დაუპირისპირა ახალი, რ-ის მიხედვითაც ქვეყნად არაფერი არ არსებობს ღმერთის გარეშე და მის გარდა, არის მხოლოდ ადამიანი, მოწოდებული იმისათვის, რომ ღმერთს თაყვანი სცეს, მაგრამ ღმერთთან შენივთება, ღმერთის წყდომა ხდება არა ბიბლიისა და თალმუდის კითხვით, როგორც რაბინები ქადაგებენ, არამედ ლოცვისა და სათნო მოქმედებით. სინამდვილეში ესაა რეაქც. მოძღვრება, ბეშტის ცადიკი (ჭართლმორწმუნე) თვითონ არის შეურიგებელი ფანატიკოსი, რეგ. ბრძოლის ბტერი. დღეს ჰ-ის ძიძდევრები ძირითადად ისრაელში მუშაობენ.

ჰაჯი (ჰაჯჯი, ხაჯი) — შუპაქედის (ბაქმადის) სახელთან დაკავშირებული მიძღოცველობა მუსულმანებისა მექაში და სხვა „წმინდა ადგილებში", პირადად ან „შეკვეთით". ყოველი მორწმუნე მოვალეა სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოიაროს ქექა და ეამბოროს შავ ქვას.

პელიოლატრია (ლათ.: პელიოს (ბერძ.) — მზე, ლატრია—საძსახური, მსახური) — მზის თაყვანისცემა, საკულტო საძსახური, იმპერატორთა გეიანი ანტიკური კულტი.

პელიოცენტრიზმი (ბერძ. პელიოს—მზე, ლათ. ცენტრუმ—ცენტრი) — მეცნიერული წარმოდგენა მზის სისტემაში მზის ცენტრალური მდგომარეობის შესახებ, რაც წამოაყენა გენიალურმა პოლონელმა ასტრონომმა ნიკოლოზ კოპერნიკმა (1473 — 1543). ამით უარყოფილ იქნა არამეცნიერული გეოცენტრული სისტემა, დამუშავებული დიდი ბერძ. გეოგრაფის და ასტრონომის პტოლემეოსის მიერ (II ს.).

უწინ ადამ-თა წარმოდგენაში „უძრავი" დედამიწის დაძვრამ და ძვ. სისტემის შეცვლამ ძირფესვიანად შეარყია ეკლესიის იდეალისტური თვალსაზრისი, სამყაროს წყობის რელიგ. სქემა, ამიტომ საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა „კოპერნიკიანულ ერესს", დევნიდა მის გამზიარებელ მეცნიერებს—გალილეის, ბრუნოს, კეპლერს, თითქმის ზუსტად ასი წლით უმცროს მეცნიერს, რ-მაც მათემატიკურად დაასაბუთა კოპერნიკის მოძღვრების სისწორე და არაერთხელ მოუხდა გაქცევა: დევნიდნენ, დედა ჯადოქრად გამოუცხადეს, და როცა ბრუნო კოცონზე დაწვეს, დევნილი კეპლერი პრაღაში იმყოფებოდა. ხსენებულ მეცნიერთა გარდა ამ სისტემის მეცნ. სრულყოფაში დიდი როლი შეასრულეს ნიუტონმა და ა. აინშტაინმა თავისი ფარდობითობის თეორიით. საოცარი ისაა, რომ დღესაც კი ფიდეიზმი ცდილობს აღადგინოს გეოცენტრული წარმოდგენა, იმ საბაბით, რომ „ორიგენეს ერთი ფასი აქვს". ცხადია, ეს შეუძლებელია. ახალი მონაცემები კვლავ ადასტურებენ ჰ-ის მეცნ. სისტემის სისწორეს.

ჰილოზოიზმი (ბერძ. ჰილე—ნივთიერება, ზოე—სიცოცხლე) — ფილოს. თვალსაზრისი, რ-იც მთელს მატერიალურ სამყაროს განიხილავს, როგორც ცოცხალს, რ-საც აქვს განცდა და აზროვნების უნარიც კი. შეხედულება იმდროინდელია, როცა მეცნიერებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საშუალება აეხსნა სიცოცხლის რთული ფენომენი, ტვინის მუშაობა, ფიზიოლოგია. მაშინ ჰ. ერთგვარი იარაღი იყო რელიგიის წინ-გ ბრძოლაში, რადგან უარყოფდა მატერიის გარეთ არსებულ სუბსტანციას, ღმერთის სახით, უფსკრულს ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას შორის. იზიარებდნენ სპინოზა, დიდრო, ჰეკელი და სხვა დიდი მოაზროვნეები. საბოლოოდ ის მაინც მეტაფიზიკური შეხედულებაა, ვერ ხედავს თვისობრივ განსხვავებას ცოცხალ და არაცოცხალ მატერიებს შორის და აკლია მეცნ. დასაბუთება, რაც XIX — XX ს-ების ბიოლოგიამ მოგვცა.

ჰიპნოზი (ბერძ. ძილი) — განსაკუთრებული ძილისმაგვარი მდგომარეობა, ბურანში ყოფნა, რასაც იწვევს მეტ-ნაკლებად მოქმედი ზოგიერთი საშ-ება (ცერძოდ, ზემოქმედება სიტყვითა და მოძრაობით). ცნობილი იყო ძვ. ეგვიპტეში, ინდოეთში, საბერძნეთში. ფართოდ იყენებდნენ რელიგიური წარმოდგენების დამკვიდრებაში, რეალურზე ზებუნებრივი ძალის ზემოქმედების საბუთად. ძილის ღმერთს მიაწერდნენ მოვლენას, რომლის დროსაც წარმოთქმულ სიტყვებს წინასწარმეტყველურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ახსნას პოულობს პაველოვის მოძღვრებაში. ტვინის ქერქის დამუხრუჭების შემ-

დეგ. პიპნოტიზიორის ხმის მიმართ გრძნობიერი რჩება ტვინის გარკვეული ნაწილი და პიპნოტიზირებული პირი ბრმად ემორჩილება პიპნოზის ოსტატს, რადგან ქერქი პარალიზებულია და ვეღარ აკონტროლებს სხვა გარეშე ფაქტორებს, ვერ უყურებს კაცი კრიტიკულად იმას, რასაც აკეთებს. ორივე ნახევარსფეროს ქერქი კარგავს კონტროლის უნარს ძლიერი დაღლილობის, შიმშილის, უძილობის შედეგად. ჰ-ის მოელენამ დაკარგა მისტიკური გაგება და ახლა მას იყენებენ ზოგიერთი ნერვული დაავადების სამკურნალოდ.

ჰიპოსტასი (ბერძ. ჰიპოსტასის — არსი, არსება, სუბსტანცია) — სამების სახით მოელენილი ქრისტეს ერთ-ერთი სახე, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებით მიუწვდომელია (მედიცინაში ამ სიტყვას დანალექის, ძირის, შეგუებების მნიშვნელობა აქვს — დასუსტებული ორგანიზმის ქვედა ნაწილში).

ჰომეინი, აიათოლა (რუჰოლა მუსავი, დაიბ. დაბა ჰომეინიში 1900 ან 1903 წ. გარდ. 1989 წ.) — ირანის რესპუბლიკის ლიდერი, შიიტების შეუპოვარი ბელადი (აიათოლა—ამ სექტის უმაღლესი წოდებაა). მიიღო სასულიერო განათლება, შაპის წინ-გ მოწყობილი გამოსვლებისათვის ირანიდან განდევნეს, 12 წელი ერაყში გაატარა, შემდეგ პარიზში გადავიდა, ეწეოდა კარჩაქეტილ ცხოვრებას, 1979 წ. 15 წლის განდევნილობის შემდეგ დაბრუნდა, სათავეში ჩაუდგა თავისებურ „რევოლუციას", დაუპირისპირდა „თეთრ რევოლუციას" და ირანიდან გააძევა საძულველი შაპი, რითაც ბოლო მოუღო დაუნდობელ დესპოტთა ათასწლოვან მეუფებას, მაგრამ თვითონ ჩაუდგა სათავეში „ღვთისმეტყველის საუფლოს" (მისი წიგნის სახელია), დათრგუნა ყოველი წინააღმდეგობა, ომი გამოუცხადა სუნიტურ ერაყს და მიზნად დაისახა მსოფლიოში შიიტური სარწმუნოების გაბატონება. მკაცრი, გავლენიანი, შეურიგებელი, ევროპის მოძულე, „კუშტი პართელი", ჰ. 88 წლისაც ძველ პრინციპთა ერთგული რჩებოდა, არ ცნობდა არავითარ კულტურას, კომპრომისს, მოლაპარაკებას. როცა 50-მილიონიანი ქვეყნის ლიდერს ჰკითხეს, რას ფიქრობს სამშობლოზე, მოკლედ მოუჭრა: „ხინ": არაფერს! მისთვის შიიტობაა სამშობლოც, პატრიოტიზმიც, ომიც და მშვიდობაც. კითხვაზე, რა აზრისაა ბეთ-ჰოვენზე, შექსპირზე, რაფაელზე, შუბლი შეიკრა: „მე ისინი არაფერს მეუბნებიან". ამით მოახდინა ისედაც მუდამ აგრესიული ქვეყნის იზოლირება, როგორც ისლამური ფანატიზმის განსახიერებამ. უზადო ორატორი იყო, ზეპირად იცოდა ყურანი, ქადაგებდა ჯამარანის მეჩეთში, ნერგავდა შიიტურ ფანატიზმს, რასაც არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ სათნოებასთან. „რკინის აიათოლა" ასე ცდილობდა აემაღლებინა შუა საუკუნეებში დაჩაგრული შიიტობა.

ჰომილეტიკა (ბერძ. ჰომილეო—ადამიანებთან ურთიერთობა მაქვს) — საეკლესიო ქადაგების თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვის დარგი ღვთისმეტყველებაში, „პრაქტიკული" ღვთისმეტყველების საგანი, რასაც იყენებენ მღვდელთა და მქადაგებელთა მოსამზადებლად. განიხილავენ ქადაგების სახეებს, დალაგებას, წარმოთქმის ხერხებს. ნიმუშებად იყენებენ ქრესტომათიებს, საეკლ. მამების ნაწერებს, ბიბლიას, წინასწარმეტყველთა წიგნებს. მიზანი — პრაქტიკოს მქადაგებელთა მომზადება.

ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲢᲔᲑᲘ, ᰰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘ, ᲘᲝᲐᲜᲘᲢᲔᲑᲘ (ლათ. ᰰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲐ — სტუმარᲘᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲑᲐ) — ᲯᲯᲐᲠᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲐᲘᲜᲓᲘᲡ ᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲰᲐᲚᲔᲚᲘᲢᲘᲜᲐᲨᲘ, ᲬᲛ. ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ. 1530 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲙᲣᲚᲘᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲢᲐᲡᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ (ᲛᲐᲚᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲘᲡᲣᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ), 1834 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲠᲝᲛᲨᲘᲐ, ᲐᲥᲕᲡ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲰᲝᲚᲘᲢ. ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ; ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲙᲘ ᲐᲡᲔ ᲔᲠᲥᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲡᲜᲧᲣᲚᲗᲐ, ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲗᲗᲐ, ᲝᲑᲝᲚᲗᲐ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲡᲐ (ᲘᲝᲐᲜᲘᲢᲔᲑᲘ, ᲚᲐᲰᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ). ᲜᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲒᲔᲠᲰ. ᲔᲠᲗᲘᲡᲨᲘ „ᲒᲣᲓᲔᲠᲣᲜᲘ“.

ᲰᲝᲡᲢᲘᲐ (ᲚᲐᲗ.) — ᲡᲔᲤᲘᲡᲙᲔᲠᲘ.

ᲰᲣᲒᲔᲜᲝᲢᲔᲑᲘ (ᲤᲠ. ᲰᲣᲒᲔᲜᲝᲢᲡ, ᲒᲔᲠᲰ. ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲓᲐᲜ „ᲐᲘᲓᲒᲔᲜᲝᲡᲡᲔᲜ“ — ᲤᲘᲪᲘᲗ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲜᲘ, ᲡᲐᲫᲛᲝ: ᲐᲡᲔ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲙᲐᲚᲕᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ) — ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲙᲐᲚᲕᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲐᲜᲢᲔᲑᲘ (ᲠᲔᲚᲘᲒ. ᲝᲛᲑᲔᲑᲨᲘ, 1562 — 94), ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲫᲐᲚᲐ, ᲛᲔᲢᲐᲓ ᲭᲠᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲘᲓᲒᲔᲡᲚᲝᲑᲘᲡᲐ: ᲛᲐᲡᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲝᲠᲓᲜᲔᲑ ᲛᲔᲤᲔᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ-Გ ᲑᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ-Გ ᲑᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲑᲝᲑᲐᲪ. ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲔᲒ ᲡᲐᲡᲢᲘᲐᲓ ᲔᲑᲠᲫᲝᲚᲜᲔᲑ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲐᲙᲚᲐᲝ — ᲑᲐᲠᲗᲚᲝᲛᲔᲡ ᲓᲐᲛᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲠᲗ ᲓᲐᲛᲔᲨᲘ ᲒᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲰᲣᲒᲔᲜᲝᲢᲘ, ᲛᲝᲙᲚᲔᲡ. ᲗᲕᲘᲗ ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ ᲓᲔ ᲙᲝᲚᲘᲜᲘ, ᲣᲬᲘᲜ ᲒᲘᲖᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲔᲠᲐᲚᲘ, Რ-ᲘᲪ 1559 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲰᲣᲒᲔᲜᲝᲢᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲛᲮᲠᲝ ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲑᲐᲠᲗᲚᲝᲛᲔᲡ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ (1572 Წ). ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ ᲠᲔᲚᲘᲒ. ᲝᲛᲘ Ჰ-ᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. 1598 Წ. ᲜᲐᲜᲢᲘᲡ ᲔᲓᲘᲥᲢᲘᲗ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚ ᲓᲐ ᲚᲣᲘ XIV-ᲛᲔ ᲡᲣᲚᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲐᲣᲥᲛᲐ. Ჰ-ᲔᲑᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲜ ᲛᲘᲔᲦᲝᲗ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲑᲐ, ᲐᲜ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲑᲝᲚᲝᲚᲓ 1789 Წ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

ᲰᲣᲡᲘᲢᲔᲑᲘ — ᲩᲔᲩᲘᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲒᲐᲜᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲘ. ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲓᲒᲛᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲡᲣᲚᲘᲗ ᲡᲐᲔᲢᲐᲙᲘ ᲘᲐᲜ ᲰᲣᲡᲘ (1369 — 1415), Რ-ᲘᲪ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲗᲝᲗᲐ ᲛᲔᲥᲠᲗᲐᲛᲔᲝᲑᲘᲡ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲐᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲞᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ. ᲯᲔᲠ ᲐᲣᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ, ᲐᲓᲔᲠᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ (ᲠᲝᲛᲨᲘ), ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠ ᲡᲘ�გᲘᲖᲛᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲨᲘᲨᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲡ ᲔᲜᲓᲝ ᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘ�გᲘᲖᲛᲣᲜᲓᲘᲡ ᲝᲠᲭᲝᲤᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ, ᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔᲕᲔ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲕᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲪᲝᲜᲮᲖᲔ ᲓᲐᲬᲕᲔᲡ. ᲐᲛᲐᲜ ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲖᲔ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲝᲑᲐ ᲦᲔᲚᲐᲕᲓᲐ, 1419 Წ. „ᲬᲛ. ᲠᲝᲛᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲥᲕᲔᲨᲕᲠᲓᲝᲛᲘ ᲩᲔᲮᲔᲗᲘ, Რ-ᲡᲐᲪ ᲡᲘᲫᲐᲒᲡ ᲛᲝᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲒᲔᲒᲐᲠᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲩᲐᲒᲠᲘᲡ ᲣᲦᲔᲚᲘ, ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲘᲚᲐᲨᲥᲠᲔᲑᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ-Გ, ᲛᲝᲘᲝᲗᲮᲕᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲔᲙᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ, ᲖᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲤᲘᲠᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲓᲦᲘᲜᲘᲗᲐᲪ, ᲘᲐᲤᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ, ᲒᲠᲔᲛᲐᲜᲔᲚ-ᲒᲐᲓᲐᲛᲗᲘᲔᲚ ᲛᲝᲛᲫᲐᲚᲐᲓᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲕᲜᲐᲡ. ᲓᲐᲠᲘᲑᲝᲑᲐᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲧᲐᲠᲐ ᲗᲐᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲖᲔ. ᲗᲐᲑᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲔᲡ, ᲣᲐᲠᲧᲕᲔᲡ ᲓᲝᲒᲛᲐᲢᲔᲑᲘ, ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲪ ᲙᲘ („ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲛᲪᲜᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲨᲘᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ“). ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲗᲘᲨᲔᲡ. ᲗᲐᲑᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲠᲛᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲛ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ.

ჯულიშობა (სვ. მზის, შუქის დღესასწაული) — მზის დღესასწაული ძვ. სვანეთში, ძირითადად ლახამულაში, მუთრის ველზე, შუა ივნისში. ხალხი საკლავს კლავდა, მზეს შესთხოვდა შეწევნას, იმართებოდა დიდი ჭიდაობა, იკრძალებოდა ჩხუბი და უსიამოვნება. ეს იყო მშვიდობის დღესასწაული.

АКАКИЙ ГЕЛОВАНИ

ВЕРА, БОГИ, ЛЮДИ
Словарь религиозных терминов
Библиотека журнала «Партийное слово» №1—4
(На грузинском языке)
Издательство ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14

1990 год

რედაქტორი გ. გოგიაშვილი
გამომცემლობის რედაქტორები მ. ჯარდოსანიძე
ლ. იონათამიშვილი
მხატვრული რედაქტორი მ. ჭანიშვილი

გადაეცა წარმოებას 7.02.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.06.90,
ფორმატი 84×108¹/₃₂, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,6, სააღრიცხვო-ს.
გამომცემლო თაბახი 15,92. შეკვეთა 331, ტირაჟი 110 000, უე 00315,
ფასი 2 მან.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.
Ордена Трудового Красного Знамени Типография Издательст
ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.